აკაკი სურგულაძე
პაატა სურგულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქართველოს ისტორია

აკაკი სურგულაძე
პაატა სურგულაძე

ერეკლეული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორია

საკითხავი წიგნი
1783-1990

გამომცემლობა
„საქართველოს მაცნე“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„საქართველოს ისტორია 1783-1990 (საკითხავი წიგნი)“ ასახავს ჩვენი ქვეყნის წარსულს ბოლო ორი საუკუნის მანძილზე. წიგნში ობიექტურად, ადრინდელი სტერეოტიპების საპირისპიროდ განხილულია ის ფაქტები და მოვლენები, რომლებიც განსაზღვრავდნენ საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ-კულტურულ განვითარებას მე-19 და მე-20 საუკუნეებში. ყურადღება გამახვილებულია ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაზე როგორც ცარიზმის ბატონობის, ისე საბჭოური ოკუპაციის პერიოდში.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

K291.325

რედაქტორები: გურამ ფანჯიკიძე,
ჯუმბერ ოდიშელი

რეცენზენტები: ნოდარ ასათიანი,
შოთა ბადრიძე,
ლევან თოიძე

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

© აკაკი სურგულაძე, პაატა სურგულაძე

ISBN 978-9941-16-141-4

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

სულიერ ცხოვრებაზე საბჭოური იდეოლოგიის მავნე ზეგავლენა ყველაზე მეტად ახალი და უახლესი ეპოქების ისტორიულმა საზრისმა იწვნია. უთვალავ გამოკვლევებსა და პროპაგანდისტული ხასიათის ისტორიულ ლიტერატურაში ფაქტები და მოვლენები შერჩეული იყო სუბიექტურად, გააზრებული — წინასწარ დადგენილი დოგმებისა და სტერეოტიპების მიხედვით. ეს ნაკლი მთლიანად ვრცელდება საქართველოს ახალ და უახლოეს ისტორიაზე. საქართველოს მე-19 და მე-20 საუკუნეების ისტორია შეისწავლებოდა ერთი ყალიბით, ერთნაირ მეთოდოლოგიით. იგი მოწოდებული იყო გაემართლებინა ცარისტულ რუსეთისაგან საქართველოს განუყოფლობა, საქართველოს სახოგადოებრივი პროგრესის ბაირახტრად წარმოესახა ბოლშევიზმი და საბჭოური ეპოქა წარმოედგინა ქართველი ხალხის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული აღორძინების ხანად, მისი საუკუნებრივი ოცნების პრაქტიკულ განხორციელებად.

ახლა გაბედულად მიმდინარეობს ისტორიულ მეცნიერებაში ძველი სტერეოტიპების მსხვრევა; თითოეული ხალხის ისტორიული წარსულის შეფასება ობიექტურად, ზნეობრივ პრინციპებზე დაყრდნობით ხდება. იგივე საქმისათვის მოწოდებულია ქართული ისტორიოგრაფია. მოქმედებაშია საქართველოს ისტორიის სახელმწიფო პროგრამა, რომელმაც აღუთქვა ჩვენს ხალხს, სრულად და მართლად წარმოუდგინოს თავისი ისტორიული წარსული, მეობა, კულტურა და ტრადიციები.

ისიც უნდა ითქვას, რომ ოფიციალური იდეოლოგიის მავნე ზეგავლენა ნაკლებად შეეხო საქართველოს ისტორიის ძველ პერიოდს მე-18 საუკ. 80-იან წლებამდე. ამ პერიოდზე შექმნილია საყოველთაოდ აღიარებული გამოკვლევანი. გვაქვს საშუალო სკოლების სახელმძღვანელო წიგნიც, თუმცა ამ სახელმძღვანელოს ბოლო მონაკვეთი, მე-19 ს. პირველ ნახევარს რომ შეეხება, დაწერილია ძველი სტერეოტიპით და საჭიროებს ძირფესვიან გადამუშავებას. ქართველი საზოგადოებრიობა, ამასთანავე, მოუთმენლად მოელის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ სახელმძღვანელოს შემდგომ გაგრძელებას, განსაკუთრებით, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დახასიათებას მეოცე საუკუნის პირველ ოცწლეულში, ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენისა და მისი კვლავ დაკარგვის მიზეზთა წარმოჩენით. აღარაფერს ვიტყვით საბჭოური პერიოდის საქართველოს ისტორიაზე, სადაც რიგი ფაქტი და მოვლენა გაუკუღმართებულადაა წარმოდგენილი! საზოგადოებრიობას სურს იცოდეს წარსულის სიმართლე, იცოდეს იძულებით თავსმოხვეული უსამართლო რეჟიმის წინააღმდეგ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ხასიათი და მიმართულება.

წინამდებარე წიგნი ამ დანიშნულებისაა. იგი გამიზნულია საკითხავ წიგნად, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ბოლო ორი საუკუნე, მისი მატერიალური და სულიერი ცხოვრების ნიშან-თვისებანი ნაჩვენებია ობიექტურად და შეფასებულია ოფიციალური იდეოლოგიის ზეგავლენისაგან თავდაღწეული კრიტერიუმებით, ზნეობრივი პრინციპებიდან.

„საკითხავი წიგნი“ ეყრდნობა ქართველ ისტორიკოსთა მემკვიდრეობას, ბოლო წლებში გამოქვეყნებულ წყაროებს და ემიგრანტულ ლიტერატურას. წიგნის ხასიათის გამო ისტორიოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი მიმოხილვიდან და ცალკეულ მკვლევართა ნაშრომებზე მითითებებიდან თავს ვიკავებთ. ბუნებრივია, ფაქტებისა და მოვლენების ჩვენეული შეფასება საზოგადოებრიობაში, რომლის ნაწილი ჯერ კიდევ ძველ შეხედულებებს იზიარებს, კამათს გამოიწვევს. ძველი სტერეოტიპების დამცველთაგან მოველით მკვეთრ რეაგირებას, მწვავე შენიშვნებს, მაგრამ იმის იმედიც გვაქვს, რომ ახლებურად მოაზროვნეთა მხრივ მხარდაჭერა გვექნება. პაექრობის შედეგად (თუ იგი არ გასცდა აკადემიურ დონეს), რა თქმა უნდა, დაზუსტდება წიგნში გამოთქმული ზოგიერთი დებულება, უფრო უხვი გახდება ფაქტიური მასალის მხრივაც. ამ გზით, ვფიქრობთ, საქართველოს ახალ და უახლოეს ისტორიაში ალტერნატიულ ნაშრომთა საფუძველზე, მომწიფდება სახელმძღვანელო წიგნიც, რომელსაც დიდი ხანია მოელის ქართული სკოლა და მასთან ერთად მთელი ქართული საზოგადოებრიობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი I

საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში

§ 1 საქართველოს ანექსია

1. 1783 წ. ტრაქტატი. რუსეთის მმართველ წრეებში კავკასიისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა XVIII ს. მეორე ნახევრიდან. 80-იან წლებში ეკატერინე მეორის დიპლომატებმა შეიმუშავეს ახლო აღმოსავლეთის ათვისების გრანდიოზული გეგმა („საბერძნეთის პროექტი"), სადაც რუსეთის პროტექტორატის ქვეშ ნავარაუდევი ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს მეთაურად ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე იყო გამიზნული. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა ორიენტაციას ჩრდილოეთის მეზობელზე ხელსაყრელი დრო დაუდგა. რუსეთის სამეფო კარზე ერეკლე მეორისა და სოლომონ I სათხოვარ პუნქტებს ყურადღებით მიხედეს და შეამზადეს პირობები რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების გასაფორმებლად, რაშიც ორთავე მხარე იყო დაინტერესებული.

1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში, კავკასიის ხაზის რუსთა სარდლის შტაბ-ბინაში, დაიდო რუსეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოს ხელშეკრულება. მას ხელი მოაწერეს რუსეთის მხრივ პავლე პოტიომკინმა, საქართველოს მხრივ ერეკლეს სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა იოანე მუხრანბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ.

ამ ხელშეკრულების მიხედვით ქართლ-კახეთის მეფე შედიოდა რუსეთის მფარველობაში. რუსეთი ივალდებულებდა არ ჩარეულიყო ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო საქმეებში. ქართლ-კახეთის სამეფო ტახტი მემკვიდრეობით უმტკიცდებოდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას, მაგრამ მეფეს ტახტზე ასვლისას რუსეთის იმპერატორისაგან უნდა მიეღო სამეფო ნიშნები (გვირგვინი, სიგელი,

დროშა და სხვა). ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ინიშნებოდა რუსეთის წარმომადგენელი (რეზიდენტი), რომელსაც ეკისრებოდა ზრუნვა ხელისმომწერ მხარეთა თანხმობისათვის. ხელშეკრულების „სეპარატიული არტიკულები" ადასტურებდნენ საგარეო ინტერესთა ერთობას. რუსეთი დაპირებას იძლეოდა ეზრუნა საქართველოსათვის კუთვნილი, სხვადასხვა დროს თურქეთისა და სპარსეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიის დასაბრუნებლად. გათვალისწინებული იყო ერეკლე მეორის და სოლომონ I პოლიტიკური შეთანხმება, რაშიაც რუსეთი „მომრიგებლობას" კისრულობდა. თბილისში რუსთა ქვეითი ჯარის ორი ბატალიონი უნდა ჩაეყენებინათ.

1783 წ. ტრაქტატი „მეგობრული ხელშეკრულება" იყო და ფეოდალური ეპოქის საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით გულისხმობდა ნებაყოფლობით შესვლას ძლიერი სახელმწიფოს მფარველობაში, სუვერენულ უფლებათა შენარჩუნებით. იგი შეესაბამებოდა იმ დროის საქართველოს კონკრეტულ საგარეო ინტერესებს; აგრესიულ მეზობელთაგან გარემოცული ქვეყნისათვის „საუკეთესო გამოსავალს" წარმოადგენდა.

მაგრამ ეს ხელშეკრულება შეიცავდა დიდ საშიშროებასაც სამომავლოდ სუვერენობის შენარჩუნების თვალსაზრისით. რუსეთის ხელისუფლებამ ფეხი მოიდგა საქართველოში და ამიერიდან მოვლენათა განვითარება დამოკიდებული იყო იმ საგარეო ძალთა ჭიდილზე, რომლებიც კავკასიის პლაცდარმის დაუფლებაში თანდათან მეტ დაინტერესებას იჩენდნენ.

კავკასიისათვის ერთის მხრივ რუსეთის, მეორეს მხრივ ირანისა და თურქეთის, და მათ ზურგს უკან მდგომი ინგლისისა და საფრანგეთის ქიშპობაში, რუსეთმა ამ ხელშეკრულებით მიაღწია დიდ უპირატესობას. კავკასიაში მან ფეხი მოიკიდა. ამიერიდან ცარიზმი ცდილობდა ამ პლაცდარმის განმტკიცებასა და გაფართოებას, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ხელყოფით ემუქრებოდა.

1784 წ. 22 იანვარს თბილისში ჩატარდა რუსეთთან ხელშეკრულების დადების საზეიმო ცერემონიალი. ერეკლე II დაიფიცა რუსეთის ტახტის ერთგულებაზე. ამ ცერემონიალისათვის საქართველოში საგანგებოდ მოვლინებულმა რუსმა მოხელემ, პოლკოვნიკმა ტამარამ ერეკლე II გადასცა ეკატერინე II მიერ გამოგზავნილი სამეფო რეგალიები და საჩუქრები. ორმხრივ ხელმოწერილი ტრაქტატის გაცვლასთან დაკავშირებით რუსულმა ზარბაზნებმა 101-ჯერ მისცეს სალუტი.

სალუტების ექო კონსტანტინეპოლსა და თავრიზს გასცდა. მან ევროპის დიდი სახელმწიფოები — ინგლისიც და საფრანგეთიც შეაშ-

ფოთა. გაგულისებულმა თურქეთმა საქართველოს წინააღმდეგ აამ-ხედრა ახალციხის საფაშო და კავკასიის მუსლიმური სახანოები. მტრებით გარემოცული საქართველო უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ექცა. „ამისთანა განსაცდელში საქართველო არ ყოფილა“ — ნიშნავდა საქართველოს ელჩი რუსეთში გ. ჭავჭავაძე და სთხოვდა იმპერატორს სამხედრო დახმარებას. მაგრამ ერეკლე II-ს რუსეთი ცრუ დაპირებებით კვებავდა და თავის ვალდებულებებს არ ასრულებდა. 1787 წ. რუსეთმა თბილისიდან თავისი ჯარიც გაიყვანა. საქართველო კვლავ თავისი ძალების ანაბარა დარჩა.

მძიმე ვითარებაში იმძლავრა იმ დასის განწყობილებამ, რომელიც რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას უარყოფითად აფასებდა. თვით ერეკლეც იძულებული გახდა საგარეო პოლიტიკაში რუსეთისაგან დამოუკიდებლად ემოქმედა. 1786 წ. 12 სექტემბერს გაფორმდა სამშვიდობო ხელშეკრულება ქართლ-კახეთსა და ახალციხის საფაშოს შორის. ამ ზავით ერეკლეს სურდა ერთიმეორესათვის შეეთავსებინა ორ ქვეყანასთან მშვიდობიანი ურთიერთობა. ერეკლე იმასაც ცდილობდა, რომ მოეგვარებინა ურთიერთობა ირანთან და აღა-მაჰმად ხანთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა თავადი ციციშვილი.

მაგრამ ერეკლე მეორის ამ ღონისძიებებს არ მოჰყოლია საგარეო ორიენტაციის შეცვლა. რუსეთთან დამოკიდებულების არჩევანი ისევ ძალაში დარჩა.

2. საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენის ცდები. საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა მუდამ იყო ქვეყნის მესვეურთა მისწრაფება, მაგრამ XVI-XVIII ს. პირველ ნახევარში ეს პრაქტიკულად განუხორციელებელი ჩანდა. საქართველოს ერთიანობა ეწინააღმდეგებოდა დამპყრობელთა ინტერესებს. ეს გასაგებია, რადგან დაქუცმაცებული ქვეყნის დამორჩილება უფრო ადვილად შეიძლებოდა.

ქვეყნის პატარა „საქართველოებად“ დაქუცმაცების პერიოდში არ მოშლილა მთლიანობის შეგნება. იგი კარგად გამოსჭვიოდა ქართველ მეფეთა ტიტულებშიც („ჩვენ მეფემან საქართველოსამან ანუ ქართლისა და აფხაზეთისამან) „ორისავე ტახტის მტკიცედ მპყრობელმან“); ეს შინაარსი იყო ჩადებული სრულიად საქართველოს „ივერიად“ სახელდებაშიც. „ზემო საქართველო“ და „ქვემო საქართველო“, როგორც ეს იმდროინდელ ისტორიოგრაფიაშია მოხსენებული, ორივე ნაწილის ისტორიულ ეთნიკურ ერთიანობას გულისხმობდა, ხოლო კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი თუ სხვა მის ცალკეულ პროვინციებს წარმოადგენდნენ.

ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებისათვის რეალურად ხელსაყრელი ვითარება XVIII ს. 80-იან წლებიდან შეიქმნა. ქართლ-კახეთის ერთიანი სამეფო მტკიცედ ეპყრა ხელთ ერეკლე მეორეს, რომლის ავტორიტეტი რიგ სამხედრო წარმატებათა შემდეგ, დიდად გაიზარდა და გავრცელდა დასავლეთ საქართველოზეც. თავის მხრივ, დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მთლიანობისათვის ბრძოლაში წარმატებები მოიპოვა სოლომონ პირველმა. ერეკლე და სოლომონი კარგად გრძნობდნენ ერთიანობის უპირატესობას, თუმცა გავლენის სფეროების გამო მათ შორის წინააღმდეგობაც იყო. 1753 წელს მათ შორის სამხედრო კავშირიც დაიდო, რაც დროებით შეფერხების შემდეგ ისევ განახლდა 1773 წლიდან.

საქართველოს გაერთიანების საკითხი პრაქტიკულად დადგა სოლომონ I გარდაცვალების (1784 წ.) შემდეგ. იმერეთის მომდევნო მეფე დავით გიორგის ძე ვერ აღმოჩნდა წინამორბედის დონეზე. იმერეთის ტახტს ერეკლეს შვილიშვილი დავით არჩილის ძე უნდა დაუფლებოდა იმ დროიდან, როცა ასაკოვანი გახდებოდა, მაგრამ მის წინააღმდეგ დავით გიორგის ძე ინტრიგების ქსელს ხლართავდა. ქვეყანა კრიზისულ მდგომარეობის წინაშე იდგა. იმერეთის სამეფოს თავკაცთა შორის მომწიფდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებისა და მთელი ქვეყნის ბედ-იღბალის ერეკლესათვის ჩაბარების აზრი. 1789 წელს იმერეთის ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები დელეგაციის სახით ერეკლე მეფესთან ჩავიდნენ. ამ დელეგაციაში გელათელ და ქუთათელ მღვდელმთავრებთან ერთად შედიოდნენ სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, თავადები იოანე აბაშიძე, სეხნია წულუკიძე და სხვები. მათ ერეკლეს შესთავაზეს „ინებოს და შეიერთოს თავისდა სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთ მთავრობისა დროთა“. ერეკლემ საკითხი გაიტანა დარბაზის სამსჯელოდ. დარბაზის სხდომაზე თავი იჩინა საქართველოს ერთიანობის საკითხში საპირისპირო ორმა პოზიციამ. საქართველოს გაერთიანებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი სოლომონ ლეონიძემ, ჭაბუა ორბელიანმა, სარდალმა დავით ყაფლანიშვილმა, ქიზიყის მოურავმა ზაქარია ანდრონიკაშვილმა და სხვებმა. წინააღმდეგ გამოვიდნენ იოანე მუხრანბატონი და მისი თანამოაზრენი. ისინი ამბობდნენ, რომ მეფე ერეკლეს თავისი სამწყსოს მოვლა გასჭირვებია და დასავლეთ საქართველოს როგორღა მოუვლისო. ერთიანობის მოწინააღმდეგე ბანაკს კულისებიდან ზურგს უმაგრებდა დარეჯან დედოფალი. ერეკლემ საკმარისად ჩათვალა იმერეთის ტახტზე თავისი შვილიშვილის გამეფება. ერთი სიტყვით, მეორე პოზიციამ გაიმარჯვა. სოლომონ ლეონიძის,

ანტონ კათალიკოსის და სხვა პროგრესულ მოაზრეთა მხურვალე ცდები ქვეყნის გაერთიანებისათვის ჩაიშალა სასახლის კარზე მომძლავრებული კონსერვატიული ბანაკის ძალისხმევით. ეროვნულ ერთიანობის მომხრეთ ფარხმალი არ დაუყრიათ. 1790 წელს ივანეში სოლომონ ლეონიძის ინიციატივით შეიქმნა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამხედრო კავშირი. („ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თბილისს"). დასავლეთ საქართველო 1783 წ. ტრაქტატის პირობებს შეუერთდა.

3. აღა-მაჰმად ხანის შემოსევა. ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო ურთიერთობა 1790 წლიდან კიდევ უფრო გართულდა. ირანის ახალი მპყრობელი აღა-მაჰმად ხან ყაჯარი საქართველოდან რუსეთის ფეხის ამოკვეთას და ქართლ-კახეთში ირანის ადრინდელი მფლობელობის აღდგენას ამზადებდა. აქეთკენ აქეზებდა მას თურქეთიც.

1795 წელს აღა-მაჰმად ხანი მრავალრიცხოვანი ლაშქრით საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრა. 10 სექტემბერს იგი თბილისს მოადგა. ერეკლემ ვერ შეძლო სავარაუდო რაოდენობის ჯარის შეკრება, რადგან მას განუდგა ბევრი სათავადო. ირანელთა 35 ათასიან ლაშქარს თბილისის მოსადგომებთან მხოლოდ 5 ათასი ქართველი მეომარი დაუპირისპირდა. პირველ ბრძოლაში ერეკლეს მცირერიცხოვანმა მხედრობამ აღა-მაჰმად ხანის მოწინავე მოლაშქრენი დაამარცხა და უკუაქცია. ქართველთა მედგარი წინააღმდეგობით დაეჭვებული დამპყრობელი უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ერეკლეს მოღალატეებმა ღამით თბილისიდან გააპარეს მტრის ელჩი. მან ცნობა მიიტანა თავის ბანაკში, რომ ქართველებს სარეზერვო ძალები არ გააჩნიათ და თბილისის დაპყრობა ადვილად შეიძლებაო. აღა-მაჰმად ხანის გამხნევებულმა ლაშქარმა 11 სექტემბერს კრწანისის ველზე კვლავ შემოუტია ერეკლეს მხედრობას. ქართველები თავგანწირვით იბრძოდნენ. ბევრმა ქართველმა დასდო თავი მამულისათვის, გაწყდა არაგველთა 300 მოლაშქრე, მაგრამ სიმრავლემ სძლია მამაცობას. ერეკლე დამარცხდა. მრისხანე დამპყრობელი შემოიჭრა თბილისში.

აღა-მაჰმად ხანმა თბილისში ნამდვილი ჯოჯოხეთი დაატრიალა. ირანელი მოლაშქრენი განუკითხავად და უწყალოდ ხოცავდნენ ხალხს, ანგრევდნენ შენობებს, იტაცებდნენ ქონებას. დაანგრიეს ზარბაზნების ქარხანა, ზარაფხანა, სტამბა, აბანოები, დაწვეს თბილისის ბიბლიოთეკა. მარბიელი ლაშქარი შიდა ქართ-

ლის სოფლებსაც მოედო, ცეცხლს მისცეს ახტალის ვერცხლის და სპილენძის სადნობი ქარხნები, გაწყვიტეს დიდძალი მოსახლეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღა-მაჰმად ხანის ურდოებმა ქართლში 9 დღე იმყოფეს. ერეკლე II ამ დროს ანანურს იყო გახიზნული. იგი ახალ ლაშქარს ამზადებდა. დახმარებას სთხოვდა კავკასიის ხაზის რუსთა მხედრობის სარდალს გენერალ გუდოვიჩს, ამასთან, დროს გაყვანის მიზნით აღა-მაჰმად ხანთანაც ეწეოდა მოლაპარაკებას.

აღა-მაჰმად ხანი ირანში საშინაო ვითარების გართულების გამო იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო. იგი აპირებდა საქართველოზე ხელმეორედ გალაშქრებას, მაგრამ შეთქმულებმა მოკლეს.

კრწანისის ბრძოლაში თითქოს მარცხს უცდიდაო, — მხოლოდ. 1795 წ. დეკემბერში კვლავ შემოვიდა საქართველოში რუსთა ორი ბატალიონი. რუსებმა 1796 წ. აპრილში ამიერკავკასიაში ლაშქრობა წამოიწყეს, დარუბანდი და ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ქალაქები დაიკავეს. ერთი წლის შემდეგ რუსებმა ჯარი საქართველოდან კვლავ გაიყვანეს. მოკავშირე ქვეყნის — ქართლ-კახეთის მძიმე მდგომარეობა რუსეთს სრულიადაც არ აწუხებდა, ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებებს მხოლოდ მაშინ იხსენებდა, როცა მისი ინტერესები ამას მოითხოვდნენ. ეკატერინე მეორეს გარდაცვალების შემდეგ საიმპერატორო კარზე თანდათან მწიფდებოდა საქართველოს სრული დაპყრობის აზრი.

1798 წელს ერეკლე მეორე გარდაიცვალა. მის მემკვიდრეთა უნიჭო პოლიტიკა და ქიშპობა სამეფო ტახტის დასაუფლებლად ხელსაყრელ ვითარებას ქმნიდა რუსეთის ადრინდელი ჩანაფიქრის, — საქართველოს სრული ანექსიის — განსახორციელებლად.

დარეჯან დედოფალმა ერეკლეს ჯერ კიდევ 1791-1792 წლებში გამოძალა დათმობა — შეაცვლევინა მეფობის მემკვიდრეობის წესი. ერეკლეს შემდეგ მეფობა ამიერიდან არა შვილზე, არამედ ოჯახში უფროსზე უნდა გადასულიყო. მეფემ, ამასთან, შვილებს საუფლისწულო მამულები დაურიგა, რითაც ქართლ-კახეთის მიწა-წყალი დაქუცმაცა. დედოფლისადმი ამ დათმობამ ერეკლეს შემდეგ კრიზისული მდგომარეობა შექმნა. თავიანთ საუფლისწულოებში გახელმწიფებული ერეკლეს შვილები სამეფო ტახტს ერთმანეთს ეცილებოდნენ. ეს ქიშპობა წყალს ასხამდა საგარეო მტერთა წისქვილზე.

4. 1801 წ. მანიფესტი. 1798 წელს, ერეკლე მეორის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე ავიდა მისი უფრო-

სი შვილი გიორგი მეთორმეტე. მას აკლდა სახელმწიფო მართველობის მამისეული ნიჭი და ენერგია; იმდროინდელ საშინაო და საგარეო სირთულეებს გიორგი თავს ვერ ართმევდა. სასახლის სარეველზე გაძლიერდა მეფისადმი მტრული დაჯგუფება, რომელსაც ერეკლეს ქვრივი — გიორგის დედინაცვალი დარეჯან დედოფალი მეთაურობდა. დარეჯანი იმისთვის იბრძოდა, რომ გიორგის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტი თავისი შვილის იულონისათვის შეემზადებინა. გიორგი კი ცდილობდა გაეუქმებინა ერეკლეს შემოღებული წესი და ტახტი თავისი შვილის დავითისათვის დაემტკიცებინა.

ქართლ-კახეთის სამეფო კარზე საშინაო საქმეების აწეწვა და ქიშპობა არ გამოპარვია მეზობლებს. ირანის შაჰი გიორგის დაჟინებით სთხოვდა ხელი აეღო რუსეთის მფარველობაზე და ირანის ქვეშევრდომობა ეღიარებინა. გიორგის არ გააჩნდა ქვეყნის თავდაცვისათვის საჭირო ძალები. რუსეთმა, მართალია, ისევ გაიხსენა 1783 წლის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი და თბილისში ერთი პოლკი ჯარი გამოგზავნა, მაგრამ ეს გიორგის გაჭირვებას ვერ შველოდა... რუსეთის ხელმწიფეს იგი საიმედოდ სამხედრო დახმარებას და ფინანსებს სთხოვდა და იმაზეც თანხმდებოდა, რომ თავისი სუვერენული უფლებები შეეზღუდა და რუსეთისათვის მიეცა საშინაო საქმეებში ჩარევის უფლებაც.

XVIII ს. მიწურულში კავკასიის საკითხი გააქტიურდა აგრეთვე ინგლისის და საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში. ეს ქვეყნები ირანისა და თურქეთის მეშვეობით ცდილობდნენ რუსეთის განდევნას კავკასიიდან და აქ გაბატონებას. რუსეთმა კარგად ისარგებლა ქართლ-კახეთის საშინაო და საგარეო სიძნელეებით და მოქიშპეებს დაასწრო მისი ანექსიის ღონისძიებათა განხორციელება. 1800 წლის 18 დეკემბერს რუსეთის იმპერატორმა პავლე I გამოსცა მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ. ამ მანიფესტით ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიის უფლებით შედიოდა იმპერიის შემადგენლობაში. პავლეს არ დასცალდა ამ მანიფესტის განხორციელება. იგი მომდევნო წელს 12 მარტს სასახლის შეთქმულების მსხვერპლი გახდა. პავლეს მანიფესტის საქართველოში ჩამოტანამდე გიორგი მეთორმეტეც გარდაიცვალა. საქართველოს საკითხის გადაწყვეტა ახალ იმპერატორ ალექსანდრე I ხელში გადავიდა.

ალექსანდრე I მეტ ანგარიშს უწევდა ევროპის დიდ სახელმწიფოებს და ცდილობდა საქართველოს საკითხი გადაეწყვიტა იმგვარად, რომ მოქიშპეთა მხრივ პრეტენზიები ნაკლები ყოფილიყო.

რუსეთთან შეერთების თაობაზე ქართული საზოგადოებრივი აზრის „შესწავლა“ მან დააკისრა კავკასიის ხაზის სარდალს გენერალ კნორინგს, რომლის დასკვნები სამსჯელოდ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე გაიტანა. სახელმწიფო საბჭოში საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხს ბევრი მოწინააღმდეგეც გამოუჩნდა იმ საბაბით, რომ ევროპა ამ აქციას დაპყრობად შეაფასებდა. საქართველოს შეერთების საკითხი უმრავლესობის მხარდაჭერით დადებითად გადაწყდა. 1801 წლის 12 სექტემბერს იმპერატორის ხელმოწერით გამოიცა მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ. ეს მანიფესტი დაგვიანებით, მომდევნო წლის 12 აპრილს გამოცხადდა თბილისში სიონის ტაძარში მოწვეულ ქართველ წარჩინებულთა შეკრებაზე. აღსანიშნავია, რომ იმ დღეს სიონი გარშემორტყმული იყო რუსთა სამხედრო ნაწილებით, რომელთაც საიდუმლო დავალება ჰქონდათ წინააღმდეგობის ყოველგვარი ცდა იარაღით ჩაეხშოთ.

წესრიგის დასამყარებლად თბილისში მოვლინებულ რუსის ჯარს, როგორც წესი, თან ჩამოჰყვა მოხელეთა შტატი, რომელსაც ამიერიდან აღმოსავლეთ საქართველო უნდა ემართა. მხარის უზენაესი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალი ხდებოდა „მთავარმართებელი“. ეს თანამდებობა გენერალ კნორინგმა დაიკავა. საქართველოს სამოქალაქო საქმეთა მართვაში მისი პირველი თანაშემწე იყო „საქართველოს მმართველი“. ამ თანამდებობაზე დანიშნულ იქნა გენ. კოვალენსკი. საქართველოს მართველობა დაიყო ოთხ ექსპედიციად. (აღმასრულებელ, სამოქალაქო, სისხლის სამართლის და სახაზინო). მათ შორის მთავარი იყო აღმასრულებელი ექსპედიცია, რომელსაც თვით კოვალენსკი განაგებდა იმპერატორის სახელით. ექსპედიციების უფროსებად რუსი მოხელეები უნდა ყოფილიყვნენ. ქართლ-კახეთის სამეფო დაიყო მაზრებად. მაზრის უფროსებად ინიშნებოდნენ რუსი ოფიცრები, რომელთაც „კაპიტან-ისპრავნიკები“ ეწოდებოდათ. ქვეყნის მართველობის ასეთი ორგანიზაცია აღებული იყო რუსეთის კანონმდებლობიდან და იმეორებდა საგუბერნიო მართველობის 1775 წლის დებულებას. ფორმალობისათვის მართველობაში დაშვებულ იყო ქართული ელემენტიც, მაგრამ იმდენად, რომ მხარის მართვა წმინდა რუსული კანონებით ოდნავადაც არ დაბრკოლებულიყო.

ამრიგად, 1801 წლის მანიფესტით ცარიზმმა განახორციელა საქართველოს რუსეთთან თვითნებური მიერთება, რითაც თვითვე დაარღვია 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელ-

შეკრულება, მოსპო მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და განახორციელა სრული ანექსია. საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში ეს აქტი დიდი უბედურება იყო.

ცარიზმმა გააუქმა ბაგრატიონთა სამეფო პრეროგატივა. დავითი, რომელიც გიორგიმ მისივე სიცოცხლეში რუსეთის სამეფო კარის დასტურით მემკვიდრედ დაიმტკიცა, ცარიზმმა რუსეთს გადაასახლა. რუსეთში გადასახლება გადაუწყვიტეს საქართველოს უკანასკნელ დედოფალს — გიორგი მეთორმეტის მეუღლეს მარიამსაც, მაგრამ ამ ბრძანებას იგი არ დაემორჩილა. 1805 წელს, როცა მარიამს ოთახში შეუვარდა ციციანოვის მიერ მიგზავნილი რუსი გენერალი ლაზარევი, დედოფალმა იგი ხანჯლით განგმირა. ეს აქტი სიმბოლურად იმას ნიშნავდა, რომ ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულო არ დამორჩილებია რუსეთის უკანონო მოქმედებას და თავის უფლებას საქართველოს სუვენერულ მართველობაზე სისხლით იცავდა.

5. **დასავლეთ საქართველოს დაპყრობა.** ქართლ-კახეთის დაპყრობის შემდეგ ცარიზმმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი კავკასიის პლაცდარმის გაფართოებას. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა საქართველოს მართველად 1804 წელს დანიშნულმა გენერალმა პავლე ციციანოვმა, რომელიც აღზრდილი იყო რუსულ ყაიდაზე და მოქმედებდა მისი ინტერესებით. რუსეთმა შეიერთა დერბენდის, ყუბის, ბაქოს, თალიშის სახანოები და საზღვრები დიდად გადასწია კასპიის ზღვის მიმართულებით. ცარიზმმა დღის წესრიგში დააყენა აგრეთვე თავისი სამფლობელოს გაფართოება შავი ზღვის მიმართულებით.

დასავლეთ საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარება XIXს. დამდეგს მეტად გართულებული იყო. სოლომონ მეორე ადრე რუსულ ორიენტაციას ადგა, მაგრამ ქართლ-კახეთში დატრიალებულმა ამბებმა აგრძნობინა, რომ ეს ორიენტაცია დასავლეთ საქართველოსაც ქართლ-კახეთის ხვედრს უმზადებდა. სოლომონმა განაგრძო ბრძოლა 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის პირობების შენარჩუნებისათვის და საქართველოს სამეფო ტახტზე იულონ ერეკლეს-ძის გამეფებას დაუჭირა მხარი. ცარიზმი ამზადებდა პირობებს იმერეთის სამეფო ტახტისაგან სოლომონის ჩამოცილებისა და დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა თანდათანობითი მიერთებისათვის.

პირველი სამთავრო, რომელზედაც დასავლეთ საქართველოში გავრცელდა რუსეთის ხელისუფლება, იყო სამეგრელო. 1803 წ.

ივლისში გრიგოლ დადიანმა რუსეთის ქვეშევრდომობის ფიცი დასდო, შემდეგ იგივე ნაბიჯი გადადგა გურიის მთავარმა, ... მარტო დარჩენილი სოლომონ II იძულებული გახდა თავადაც რუსეთის ქვეშევრდომობაზე დათანხმებულიყო. 1804 წ. 25 აპრილს სოფ. ელაზნაურში გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც იმერეთის მეფე რუსეთის მფლობელობაში შედიოდა იმავე პირობით, როგორითაც სამეგრელოს სამთავრო. ამის შემდეგ ციციანოვმა დაიწყო აფხაზეთის საქმეებში ჩარევაც. მაგრამ აფხაზეთში ოსმალეთის ბატონობა გრძელდებოდა და ამ მხარის შეერთებისათვის არსებითი ნაბიჯის გადადგმა რუსეთს ჯერ კიდევ არ შეეძლო.

ციციანოვის მომდევნო მმართველები აგრძელებდნენ შეტევას შავი ზღვის მიმართულებით. ეს სწრაფვა უფრო გაცხოველდა 1805 წ. რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებიდან. სოლომონი ხვდებოდა რომ რუსეთის ხელისუფლება მას დაპატიმრებას და ბაგრატიონთა სხვა ოჯახების მსგავსად რუსეთს გადასახლებას უმზადებდა. იგი ქუთაისს გაეცალა და თავი ახალციხის სოფლებს შეაფარა.

1810 წ. თებერვალში მთავარმართებელმა ტორმასოვმა სოლომონი მიიწვია მოლაპარაკებისათვის, მაგრამ მუხანათურად დააპატიმრა და თბილისს ჩაიყვანა რუსეთში გადასახლების მიზნით. ერთგულმა პირებმა სოლომონი მალულად გამოიხსნეს პატიმრობიდან და ახალციხეში გააპარეს.

ამიერიდან იმერეთის მეფე რუს დამპყრობლებთან აშკარა შეურიგებელ ბრძოლაზე გადავიდა და სათავეში ჩაუდგა 1810 წლის იმერეთის აჯანყებას. უთანასწორო ბრძოლაში სოლომონი დამარცხდა. რუსთა ჯარები იმერეთს დაეპატრონენ. ამრიგად, ქ ა რ თ ლ - კ ა ხ ე თ ი ს ხ ვ ე დ რ ი ი მ ე რ ე თ მ ა ც გ ა ი ზ ი ა რ ა , ი ს ი ც ა ნ ე ქ ს ი რ ე ბ უ ლ ი ქ ნ ა . სამშოლბოდან გადახვეწილი, იმედგაცრუებული სოლომონ მეფე 1815 წლის 7 თებერვალს ტრაპიზონში გარდაიცვალა.

1805—1812 წლების ომში რუსეთმა შავი ზღვის კავკასიური სანაპიროების შეერთების საკითხი ვერ გადაწყვიტა. იგი მართალია, სოხუმში დამკვიდრდა, მაგრამ ფოთი ისევ ოსმალებს დარჩათ. ცარიზმი აფხაზეთის რუსეთთან შეერთების კანონზომიერებას ასაბუთებდა საქართველოს ისტორიულ საზღვრების აღდგენის მოტივით და აქტიურად ერეოდა სამთავრო ტახტისათვის ბრძოლაში. აფხაზეთის მთავარი ქელეშბეი შარვაშიძე (ჩაჩბა) 1808 წ. თურქებმა მოკლეს. მისი უფროსი შვილი გიორგი შარვაშიძე რუსეთის მთავრობამ თავის მფარველობაში აიყვანა. 1810 წ. რუსეთის ქვეშევრდომ გ. შარვაშიძეს ზეიმით ჩააბარეს ოპერატორის წყალობა.

§ 2. საქართველო XIX ს. დამდეგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ზოგადი დახასიათება. მოსკოვის სახელმწიფოს მიერ არარუს ხალხთა დაპყრობანი დაიწყო ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან, როცა მან სახლვრები მნიშვნელოვნად გააფართოვა კარელიის, კომის, შუა ვოლგისპირეთის, ურალისპირეთის (თათრები, უდმურტები, მარიელები, ჩუვაშები, მორდველები, ბაშკირები) შეერთებით. XVII ს. დამდეგს მოსკოვის სახელმწიფომ განახორციელა ციმბირის სახანოს, ხოლო შუა წლებში უკრაინისა და ბელორუსიის მიწა-წყლის დაპყრობა. კოლონიურ დაპყრობათა პროცესი უფრო ინტენსიური იყო XVIII საუკუნეში. პირველ ოცწლეულში რუსეთმა დაიპყრო ბალტიისპირეთი, პოლონეთისა და ფინეთის ნაწილი, დაამთავრა მრავალწლიანი ბრძოლა ყირიმის შესაერთებლად. XIX ს. დამდეგიდან რუსეთის იმპერიის მფლობელობაში აღმოჩნდა კავკასია. ამავე საუკუნის შუა წლებიდან რუსი დამპყრობლები ინტენსიურად მიიკვლევდნენ გზას შუა აზიის და შორეულ აღმოსავლეთისაკენ. იმპერიის საზღვრები ამ დროისათვის გადაიჭიმა წყნარი ოკეანიდან დუნაიმდე, ჩრდილოეთის ზღვიდან შავ ზღვამდე.

რუსეთის მიერ არარუს ხალხთა დაპყრობა ამ ხალხების ძარცვითა და ჩაგვრით ხასიათდებოდა. რუსეთის გაბატონებული ზედა ფენა, რომლის ინტერესებს ასახავდა და იცავდა ცარიზმი, „განაპირა ნაციონალურ რაიონებს“ უყურებდა როგორც გამდიდრების წყაროს. დაპყრობილ ადგილებში საუკეთესო მიწების თვითმპყრობელობა ურიგებდა რუს მემამულეებს, ეკლესიის მსახურთ და მოხელეებს. ადგილობრივ გაბატონებულ წოდებას ცარიზმი უნარჩუნებდა გარკვეულ პრივილეგიებს იმ მიზნით, რომ თავისი კოლონიური პოლიტიკის განხორციელებაში დასაყრდენი ჰყოლოდა. მაგრამ დაპყრობილ ხალხთა მიმართ ცარიზმი მაინც ვერ იყენებდა ძარცვისა და გამოძალვის იმ ყაჩაღურ მეთოდებს, რაც, საერთოდ, ევროპის დიდ სახელმწიფოთა კოლონიურ პოლიტიკას ახასიათებდა. საქმე ისაა, რომ დაპყრობილი ტერიტორია ცარიზმს იმპერიის საზღვრების ბუნებრივ გაგრძელებად მიაჩნდა. გარეგნულად ცარიზმი თითქოს მზრუნველობდა დაპყრობილ ხალხებს, ახორციელებდა მათი სამეურნეო ცხოვრების, სოციალური სტრუქტურის რუსულთან ნიველირებას, რითაც სპობდა განვითარებას სხვადასხვა დონეზე მყოფი ხალხების სპეციფიკას. რუსეთის ცარიზმი დაპყრობილ ქვეყნებს თავის საკუთრებად თვლიდა. „მთლიანი და განუყოფელი რუსეთის“ შემადგენლობაში ა[illegible]ეყნების მოქცევა იმპე-

რიული იდეოლოგიით სიკეთედ ცხადდებოდა. ცარიზმი მათზე მზრუნველის როლში გამოდიოდა. მაგრამ „მზრუნველობის“ საფარქვეშ დაპყრობილ ხალხთა გარუსების, ეროვნული გადაგვარების ღონისძიებანი ხორციელდებოდა. დაპყრობილ რაიონებში ცარიზმის არმიას მიჰყვებოდნენ რუსი მოხელეები, რომლებიც რუსულ ყაიდაზე აწყობდნენ ადმინისტრაციულ მმართველობას, რუსული სამართლით სჯიდნენ დამნაშავეთ, ხსნიდნენ რუსულ სკოლებს და მეთოდურად ახორციელებდნენ რუსული, იმპერიული სულის გაბატონებას. ცარიზმის საერო დაწესებულებანი და ეკლესია შეთანხმებით იღვწოდნენ კოლონიურ ხალხთა ტრადიციების, განსხვავებული სჯულის, ეროვნული ენის, კულტურის ამოძირკვისა და სანაცვლოდ რუსულის დამკვიდრებისათვის. ამ პოლიტიკაში ყველაზე მთავარი მაინც გარუსება იყო. ამაში ვლინდებოდა მისი ყველაზე რეაქციული ხასიათი.

დაპყრობილი ქვეყნების გეოგრაფიული თავისებურება და სოციალ-კულტურული განვითარების სხვადასხვა დონე ცარიზმს აიძულებდა მათ მიმართ გამოეყენებინა კოლონიური მართვის განსხვავებული მეთოდები. ცარიზმი, მაგალითად, მეტ ლმობიერებას იჩენდა პოლონეთის, ბალტიისპირეთის, უკრაინა-ბელორუსიის მიმართ. ამას ევროპის ქვეყნებთან მათი სიახლოვე და რევოლუციისადმი შიში აიძულებდა. კავკასიელი და შუააზიელი ხალხების ასიმილაციას ცარიზმი მეტი შეუპოვრობით ახორციელებდა, რასაც „აზიური ჩამორჩენილობის“ დაძლევის ეგიდით ამართლებდა.

საქართველოს მიმართ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა თავისი არსით ეყრდნობოდა ეკატერინე მეორის ცნობილ ფორმულას: — სხეული ქართული, სული რუსული. ამ ფორმულით ხელმძღვანელობდა არა მარტო ცარისტული ოფიციალური იდეოლოგია, არამედ ე. წ. დემოკრატული აზრიც. მაგალითად, ცნობილი დეკაბრისტის, პესტელის კონსტიტუციაში კავკასია დახასიათებული იყო განწყობილებით ერთმანეთისაგან განსხვავებულ კატეგორიებად: მშფოთვარე, დაუმორჩილებელ და მშვიდ, დამყოლ ტომებად. დეკაბრისტთა მესვეურის სახელმწიფო კანონი ითვალისწინებდა პირველის გასახლებას იმპერიის ფარგლებიდან, ხოლო მეორის თანდათანობით ასიმილაციას და სრულ გათქვეფას რუსულ მოსახლეობაში. საქართველოს კოლონიური მართველობის სპეციფიკას მეტროპოლიის სისუსტე განსაზღვრავდა.

ამ პოლიტიკით ხელმძღვანელობდა რუსეთის ცარიზმი საქართველოში კოლონიური ბატონობის 117 წლის განმავლობაში. იგი სდევნიდა ქართულ ენას, სპობდა ქართულ ტრადიციებს, აფერხებ-

და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და მის ბუნებრივ სიმდიდრეებს საკუთარი ინტერესებისათვის იყენებდა. ცარიზმი რამდენადმე ზრუნავდა საქართველოს წარჩინებული წოდების პრივილეგიათა შესანარჩუნებლად, რომ იგი გამოეყენებინა დასაყრდენ ძალად ხალხის კოლონიურ ძარცვაში. ამასთან შეფარვით ახორციელებდა ამ წოდების გარუსებას. ცარიზმი მოხერხებულად იყენებდა კავკასიის ეთნიკურ სიჭრელეს და კოლონიური ძარცვის მიმართ ხალხის საერთო აღშფოთება რომ შეესუსტებინა, მიმართავდა ცალკეულ ხალხთა ურთიერთშულლის გაღვივებას და აქეზებდა შინა ომებს. ცარიზმი, ამასთან ახორციელებდა მხარის ინტენსიურ კოლონიზაციას. საქართველოს სამხრეთ რაიონებში ასახლებდა სომხურ მოსახლეობას, შავი ზღვისპირა რაიონებში რუსობას, შიდა რაიონებში რუს და გერმანულ სექტანტებს.

ამრიგად, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში ითვალისწინებდა ქართველი ხალხის თანდათან გაქრობას, მის გარუსებას, ქართული კულტურისა და ტრადიციების მოსპობას, მის ნაცვლად რუსულის დამკვიდრებას. ეს პოლიტიკა სხვადასხვაგვარი მეთოდებითა და ხერხებით, სიტუაციის შესაფერისი აქტივობით ხორციელდებოდა საქართველოს ანექსიის მთელ მანძილზე — 1801 წლიდან 1917 წლამდე.

2. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. ქართული ეკლესია ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მთელ მანძილზე მისი ეროვნული მთლიანობის განმტკიცების საქმეს ემსახურებოდა. ამიტომ ცარიზმმა ქართული ეროვნული სახელმწიფოებრივი აპარატის მოშლისა და რუსული მმართველობის დამკვიდრების კვალდაკვალ, ქართულ ეკლესიას შეუტია. 1811-1814 წლებში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში გაუქმდა კათალიკოს-პატრიარქის ტახტი. ქართული ეკლესია რუსეთის სინოდის საეგზარქოსოდ გარდაიქმნა. პირველი ეგზარქოსი ვარლამი (ერისთავი) ცარიზმმა გადააყენა და რუმინეთში გაიწვია იმ საბაბით, რომ იგი აქტიურად არ იბრძოდა ახალი კანონის პრაქტიკული განხორციელებისათვის. ეგზარქოსის თანამდებობაზე დანიშნეს რიაზანის არქიეპისკოპოსი თეოფილაქტე რუსანოვი; წირვა-ლოცვა შემოღებული იქნა რუსულ ენაზე. თეოფილაქტეს მითითებით დაიწყო საეკლესიო ქონების აღწერა, რათა იგი ხაზინას გადასცემოდა. ამ ღონისძიებას წინ აღუდგნენ ეკლესიის მესვეურნი აღმო-

K291.323
3
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

სავლეთ და დასავლეთ საქართველოში. მოძრაობამ მიიღო მასობრივი აჯანყების ხასიათი, რაზედაც ქვემოთ ვილაპარაკებთ. მოძრაობის სასულიერო მესვეურები გენათელი ექვთიმე და ჭუთათელი დოსითეოსი დააპატიმრეს და რუსეთის გზას გაუყენეს. დოსითეოსი გზაშივე ტომარაში მოახრჩეს, ხოლო ექვთიმე გადაასახლეს ჩრდილოეთში, — სვირის მონასტერში (ადრე რომ კათალიკოსი ანტონ II იყო გადასახლებული), სადაც გარდაიცვალა. რუსეთის მთავრობამ ქართულ ეკლესიას წაართვა არა მარტო თვითმართველობა, არამედ მოუსპო ნივთიერი სახსარი. საეკლესიო ქონება და მამულები ცარიზმმა თანდათან სახაზინო საკუთრებად გადააქცია, ხოლო სამღვდელოება სახაზინო ანაზღაურებაზე გადაიყვანა. ცარიზმის ანაფორიანი და მუნდირიანი მოხელეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქართული ეკლესიის სულიერ და ნივთიერ ძარცვაში. ეკლესიებიდან ეზიდებოდნენ განძეულს და ისტორიულ არქივებს, ქართულ მხატვრობას, ფრესკებს კედლებიდან ფხეკდნენ და მათ კირით ათეთრებდნენ.

ცარიზმი მიზნად ისახავდა ეკლესიიდან განედევნა ქართული ენა. სასულიერო სასწავლებლებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. სასულიერო პირთა ზედა ფენაში ცარიზმმა მიაღწია საწადელს: ქართული ენა რამდენადმე ამოძირკვა ხმარებიდან, მაგრამ ეს ვერ შეძლო დაბალ ფენებში. ქართულ მრევლს ეკლესია მაინც მშობლიურ ენაზე ემსახურებოდა, რაც ეროვნული მეობის შენარჩუნების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა.

ცარიზმმა ეკლესია გამოიყენა საქართველოს განაპირა რაიონების კოლონიზაციისათვის, იქაური არაქართული მოსახლეობის (აფხაზები, ოსები) ქართველობასთან დასაპირისპირებლად. სასულიერო ბნელეთის მოციქულები ამ ხალხებს მშობლიურ ენაზე დამწერლობისა და მწიგნობრობის შექმნას აღუთქვამდნენ, თითქოს ანბანსაც უქმნიდნენ და ამით განმანათლებლურ მისიას მიიწერდნენ. სინამდვილეში ნერგავდნენ რუსულ საეკლესიო მსახურებას. სასულიერო მესვეურთა ამოცანას შეადგენდა აგრეთვე ქართული ეროვნული ერთობის მოშლა. ისინი მეგრელებს, სვანებს ცალკე ერებად აცხადებდნენ და მათზე მზრუნველობის აბრით ცდილობდნენ ქართული ენის ამოძირკვას ამ რეგიონებში. აფხაზეთსა და ზოგიერთ სხვა განაპირა ადგილებში ცარიზმმა მართლაც შექმნა თავისი სულიერი საყრდენი (ბიჭვინტის საკათალიკოსო კერა, ათონის მონასტერი და სხვა).

რუსული ეკლესია გარკვეულ პოლიტიკას ახორციელებდა იმ ქართველ მაჰმადიანთა მიმართ, რომლებიც XIX ს. დამდეგიდან

თანდათან უბრუნდებოდნენ მშობლიურ სამკვიდროს. რუსულ ეკლესიას გაუჭირდა მათი კვლავ ქრისტიანებად მოქცევა და შემდეგ მათი გარუსება. ამიტომ ახორციელებდა ვერაგულ პოლიტიკას ქართველ მაჰმადიანებს საქართველოს საზღვრებიდან ოსმალეთში ასახლებდა, ხოლო მათ მიწა-წყალს უთმობდა რუს ან სომეხ კოლონისტებს. ცარიზმმა ქართული ქრისტიანული ტრადიციების მოსპობას მიჰყო ხელი სამხრეთ საქართველოში, რუსი კლერიკალები იქ დაეპატრონენ საფარის მონასტერს იმ მიზნით, რომ იგი რუსიფიკაციის კერად გადაექციათ.

ცნობილია, რომ მესხეთის მკვიდრი მოსახლეობა ოსმალო მოძალადეთა ასიმილატორულ ღონისძიებათა მიუხედავად თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ფარულად ინარჩუნებდა ქრისტეს სჯულს. დედა-სამშობლოსთან გაერთიანების შემდეგ, ერთმორწმუნე რუსეთის მფლობელობაში, ბუნებრივია, ქართველ მოსახლეობას ამ მხრივ გასაქანი უნდა მისცემოდა, მაგრამ ცარიზმი საპირისპირო ღონისძიებებს ახორციელებდა. იგი ცდილობდა ქართული კულტურის კვალის აღმოფხვრას ამ არე-მარეში და სანაცვლოდ, სამცხეში, ჯავახეთში, არტაანში თავის დასაყრდენად რუს სექტანტებს, სომხებსა და ქურთებს ასახლებდა.

ქართული ეკლესია XIX ს. პირველ ნახევარში რუსიფიკაციის ამ პოლიტიკას ვერ უწევდა ჯეროვან წინააღმდეგობას. მისი ბრძოლა რუსული სინოდალური რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ჯერ კიდევ სუსტი იყო და მხარს ვერ უბამდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას. სასულიერო ეროვნულ ბრძოლაში გარდატეხა XIX ს. 60-იან წლებიდან იღებს სათავეს, როცა სასულიერო ანტირეჟიმულ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ისეთი გამოჩენილი მოღვაწე, როგორიც იყო გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე).

3. მართველობა. სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი, რომელიც ცარიზმმა საქართველოში დაამყარა, ხალხისათვის უცხო და მიუღებელი იყო. ქართველობა მართველობის სხვაგვარ ფორმას იყო შეჩვეული და მან ვერაფერი გაიგო რუსული ბიუროკრატიული აპარატის ბუნებისა. კაპიტან-ისპრავნიკები, კომენდანტები, პოლიცმეისტერები მისთვის მიუღებელნი გახდნენ. რაც მთავარია, მმართველობა ხალხისათვის უცხო, — რუსულ ენაზე წარმოებდა. ახალი წესებისადმი შეგუების შემთხვევაშიც ენის გამო მოხელეებს და ხალხს შორის უფსკრული გარდუვალი გახდა.

ყველაფერ ამას ზედ ერთვოდა მოხელეთა გაუგონარი ბოროტმოქმედებანი. — ხალხისაგან სხვადასხვა საშუალებით სიმდიდრის გამოძალვა და მიტაცება. უზნეობის, სიხარბის, მექრთამის ტი-

პიური განსახიერება იყო საქართველოს პირველი სამოქალაქო მმართველი კოვალენსკი, რომელმაც თავისი უკანონო ქცევით არა მარტო ქართველობა, არამედ ცარიზმის მმართველი ზედაფენაც აღაშფოთა. ციციანოვი მას სწერდა: „თქვენ შეურაცხყოფდით მათ (ქართველებს) თქვენის ქცევით და ამით აიძულეთ შეეძულებინათ მმართველობა იმ ზომამდე, რომ მე აქ ვიხილე საშინელი დრტვინვა რუსული მართველობის წინააღმდეგო". ცარიზმის უკანონობას ვერ მალავს ოფიციალური ისტორიკოსი ნ. დუბროვინიც. იგი აღნიშნავს „იმ ბოროტმოქმედებათა გარდა, რომლებიც მმართველ კოვალენსკისა და მის მოხელეთა მიერ იქნა ჩადენილი, და რომელთაც ხალხის საყოველთაო აღშფოთება და დრტვინვა გამოიწვიეს, ახალი მართველობა უძლური იყო ვინმე დაეკმაყოფილებინა, რადგან 12 სექტემბრის მანიფესტით აღიარებულ კეთილ ზრახვებს დაუპირისპირდა გარემოებით გაუთვალისწინებელი სინამდვილე: ექსპედიციები და საერობომართველობა, ჩვეული რუსული ფორმალობით ინსტანციებიდან ინსტანციებში, დაწესებულებებიდან დაწესებულებებში საქმეების გადატანა, ყოველივე ეს უცხო და აუტანელი აღმოჩნდა ხალხისათვის, რომელიც საქმის ასე გაჭიანურებას არ იყო მიჩვეული..."

1829 წელს ამიერკავკასიის მმართველობის სისტემა გამოიკვლია სენატის კომისიამ კუტაისოვისა და მეჩნიკოვის თაოსნობით. სააშკარაოზე გამოტანილ იქნა ის საშინელი ქაოსი და უკანონობა, რომელიც 1801 წლიდან იყო აქ ფეხმოკიდებული. უკანონობანი, როგორც წესი, დაბრალდა უკვე სცენიდან ჩამოსულ მართველებს — ციციანოვს, გუდოვიჩს, ტორმასოვს, ერმოლოვს, სტრეკალოვს, სიპიაგინს და სხვებს. გენერალმა პასკევიჩმა მოხერხებულად მოიხსნა პასუხისმგებლობა ძველის მიმართ და რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ პირველს წარუდგინა ამიერკავკასიის მმართველობის ახალი პროექტი. კავკასიაში საომარ მოქმედებათა ძირითადათ დასრულების გამო პასკევიჩი მიზანშეწონილად თვლიდა სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის ნაცვლად შემოეღოთ აქ სამოქალაქო ხელისუფლება წმინდა რუსული სისტემით. გამონაკლისს უშვებდა მხოლოდ მუსლიმური პროვინციების მიმართ, სადაც ძალაში უნდა დარჩენილიყო ადგილობრივი სამართალი. პასკევიჩის ეს პროექტი გაჟღენთილი იყო რუსიფიკატორული სულისკვეთებით და გამიზნული იყო მხარის სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამორჩილებისათვის. პასკევიჩმა მალე დატოვა კავკასია. მონაცვლე მართველმა როზენმა პასკევიჩის პროექტს მხარი არ დაუჭირა. პეტერბურგიდან თბილისში კვლავ მოვლენილ იქნა სენატის რევიზია,

რომელსაც ბარონი განი ხელმძღვანელობდა. 1837 წელს თბილისს ეწვია ნიკოლოზ პირველი. განმა მას გადაუშალა კავკასიაში გამეფებული ქაოსის სურათი და მართველობის საკუთარი პროექტი წარუდგინა.

1840 წელს განის პროექტი დაამტკიცა იმპერიის სახელმწიფო საბჭომ. ამიერკავკასია „საქართველო-იმერეთის გუბერნიად“ და „კასპიის ოლქად“ გაიყო. ახალი ადმინისტრაციული დაყოფა ეროვნული მთლიანობის მოშლას ითვალისწინებდა. იმერეთ—საქართველოს გუბერნიაში შედიოდა სომხეთი და აზერბაიჯანის ნაწილიც (ყოფ. განჯის სახანო). მმართველობაში გზა მთლიანად დაეხშო ადგილობრივ ელემენტებს. სამოქალაქო სამართლიდან ქართული სჯულდება განიდევნა. ამ დებულებით კოლონიური ჩაგვრა უფრო გამწვავდა, რაც თავის მხრივ იწვევდა მოსახლეობის ანტიკოლონიური ბრძოლის გააქტიურებას. იგი, მაგალითად, უშუალო საბაბი გახდა 1841 წელს გურიის აჯანყებისა.

განის რეფორმის შეუსაბამობა ცხადი გახდა. საგარეო პოლიტიკაში აღმოსავლეთის საკითხის გააქტიურებასთან დაკავშირებით იმპერატორს სჭირდებოდა სიმშვიდე ამიერკავკასიაში და ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა. დრომ მოიტანა სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის რამდენადმე რბილი, მოქნილი პოლიტიკით შეცვლის აუცილებლობა. ახალი პოლიტიკის გამტარებლად პეტერბურგში შერჩეულ იქნა გამოცდილი, ჭკვიანი და ცბიერი მოხელე გრაფი მიხეილ ვორონცოვი. შეიცვალა იმპერიის შემადგენლობაში კავკასიის სტატუსიც — იგი სამეფისნაცვალო გახდა. სამეფისნაცვალო დაიყო თბილისის, ქუთაისის, შემახის და დერბენტის გუბერნიებად. ცარიზმმა ამით ხმარებიდან ამოიღო ცნება საქართველო, როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სახელწოდება, რაც ცხადია, მხარის რუსიფიკაციისათვის იყო გამიზნული.

კავკასიის კოლონიური ათვისების ვორონცოვისებური მეთოდი შინაარსის იგივეობის მიუხედავად, ფორმით განსხვავებული, ეპოქასთან უფრო შეხამებული და ცარიზმისათვის მომგებიანი იყო. ვორონცოვმა თავის კოლონიურ მმართველობაში უხეშობისა და ძალადობის ნაცვლად აამოქმედა შემპარავი, გულისმომგები მეთოდები. იგი ჩაწვდა ადგილობრივი გაბატონებული წოდების კლასობრივ გულისნადებს და დაყვავების პოლიტიკით განიზრახა მისი აყოლიება. თუ წინანდელი მმართველები არისტოკრატიას მტრული თვალით უცქერდნენ და იგი სეპარატიული მოძრაობის მოთავედ მიაჩნდათ, ვორონცოვმა, პირიქით, ხელი გაუწოდა გაღატაკების გზაზე შემდგარ თავადაზნაურობას და თანდათან ჩაითრია კო-

ლონიურ ღონისძიებათა განხორციელებაში. მან თავადაზნაურობა პრივილეგიების მხრივ გაუთანასწორა რუსეთისას, გაუხსნა მას ბანკი და გრძელვადიანი სესხი მიაშველა. ამასთან ერთად, ასევე ადგილად გადაწყვიტა ბატონისა და ყმის დამოკიდებულების მრავალი საკითხი. ვორონცოვმა, ამასთან თავადაზნაურობას გზა გაუხსნა ადგილობრივ ხელისუფლებაშიც. მანვე ხელი შეუწყო ადგილობრივ თაოსნობას კულტურულ ღონისძიებათა გატარებაში. მის დროს გაიხსნა თბილისში ქართული და რუსული თეატრები, ოპერა, საჯარო ბიბლიოთეკა, აღდგა გაზეთის გამოცემა, გაიხსნა სკოლები, დადგინდა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ადგილობრივ თავადაზნაურთა შვილების მივლინება.

ამ ღონისძიებებით თავადაზნაურობას გული მოუბრუნდა მმართველობისაკენ. ჩინ-მედლების ცდუნებას აყოლილი, იგი თვითვე ჩაება ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გატარებაში და ერთგვარად მისი თანაშემწე გახდა.

ვორონცოვის კოლონიური პოლიტიკა, ობიექტურად რიგი დადებითი ღონისძიებების მიუხედავად, შეიცავდა ქართველი ხალხის ეროვნული გადაგვარების მეტ საშიშროებას.

მ. ვორონცოვის კოლონიურ პოლიტიკას აგრძელებდნენ მომდევნო მეფისნაცვალნი-ბარიატინსკი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლიზის ძე რომანოვი და სხვები. 50-იანი წლების მიწურულში ცარიზმმა წარმატებით დაასრულა კავკასიის მთიანეთის დაპყრობისათვის წამოწყებული ხანგრძლივი ომი. კავკასიის მთიანეთის დაპყრობის ფინალი აღინიშნა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შემორჩენილ ფორმალურად დამოუკიდებელ სამთავროთა გაუქმებით. 1857 წელს გაუქმდა სამეგრელოს სამთავროს შინაგანი დამოუკიდებლობა, 1859 წელს სვანეთისა. 1864 წელს გაუქმდა აფხაზეთის სამთავროც. ამიერკავკასია მოექცა კოლონიური მფლობელობის ერთიან სისტემაში.

4. კოლონიზაცია. საქართველოს ტერიტორიაზე რუსი და სხვა არაქართველი ეროვნების ხალხთა ჩამოსახლება ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო. ცარიზმს სწამდა, რომ კოლონისტები გადაიქცეოდნენ საიმედო დასაყრდენად ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. კოლონიზაცია გამიზნული იყო აგრეთვე ეროვნული და რელიგიური შუღლის გასაღვივებლად, ამასთან მეურნეობის იმ სახის განვითარებისათვის, რაც მეტროპოლიის ბურჟუას ესაჭიროებოდა.

მთავრობაში საქართველო-ამიერკავკასის კოლონიზაციის გეგმები შემუშავდა მისი დაპყრობიდანვე. 1804 წელს, სამეგრელოს სამთავ-

როს მფარველობაში აყვანის გამო დაიბადა აზრი შავი ზღვის სანაპიროზე კაზაკთა კოლონიზაციისა. მის პრაქტიკულ განხორციელებაში ძალზე აქტიურობდნენ რტიშჩევი, ერმოლოვი, პასკევიჩი და სხვა მთავარმართებლები. მაგალითად, რტიშჩევმა იმპერატორს წარუდგინა „სრულიად საქართველოს გენერალური რუკა“, ვრცელი ახსნა-განმარტებით, სადაც აყენებდა საკითხს მხარის ინტენსიური კოლონიზაციის შესახებ. ერმოლოვი წინადადებას აყენებდა ჩაესახლებინათ საქართველოში გერმანელები. მართლაც, 1817 წელს ამიერკავკასიაში ცარიზმმა გადმოასახლა გერმანელ სექტანტთა ხუთასზე მეტი ოჯახი, რომლებიც ჩაასახლეს სართიჭალაში, თბილისში დიდუბის სახაზინო მიწებზე, კუკიაზე, ბორჩალოს მაზრაში. კოლონიზაციის პროცესი უფრო ინტენსიური გახდა რუსეთ-ირანის და რუსეთ-თურქეთის ომების პერიოდში. მთავარმართებელმა პასკევიჩმა 1828-1829 წლებში ირანის აზერბაიჯანიდან ამიერკავკასიაში ჩაასახლა სომეხთა 8249 ოჯახი. მათ ძირითადად ნახჭევანის ტერიტორია დაიკავეს. იმავე პასკევიჩმა თურქეთის საფაშოებიდან 1829-31 წლებში ამიერკავკასიაში გადმოასახლა ქრისტიანი სომხებისა და ბერძნების 6000-ზე მეტი ოჯახი; ისინი ახალციხე-ახალქალაქისა და წალკის მიწა-წყალზე დასახლდნენ.

30-იანი წლების მიწურულიდან საგანგებო ყურადღება მიექცა რუსული სამხედრო სოფლების შექმნას. იმ ჯარისკაცებს, რომელთაც მოხდილი ქონდათ 15 წლიანი სამხედრო სამსახური, მიეცა დაოჯახების უფლება და საქართველოს ტერიტორიაზე გამოეყო მიწა-წყალი. ასე აღმოცენდნენ თბილისის შემოგარენში, თეთრწყაროში, გომბორში, წითელწყაროში, მანგლისში და სხვაგან რუსული სოფლები. მეფის მთავრობა, ამასთან, კავკასიაში ასახლებდა იმპერიის ქრისტიანულ ეკლესიის მიერ დევნილ სექტანტებს, — დუხობორებს, მალაკნებს, სკოპცებსა და სხვებს. გადმოსახლებულთა ამ კატეგორიამ 1845 წლისათვის 10 ათას სულს გადააჭარბა.

კოლონიზაციას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ამიერკავკასიის ეკონომიკური ათვისების იმ პროექტებში, რომელთაც აყენებდნენ კავკასიის ხელისუფალნი და რუსეთის ცარიზმის სხვადასხვა დეპარტამენტები. მაგალითად, თბილისის გუბერნატორი ზავილეისკი და მწერალი ა. გრიბოედოვი, პასკევიჩს სთავაზობდნენ აქ „რუსეთის ამიერკავკასიული კომპანიის“ დაფუძნებას. ამ კომპანიას უნდა განევითარებინა მეურნეობის სხვადასხვა დარგები „გამოუყენებელ“ მიწებზე და სახაზინო მამულებზე სომხების დასახლებით. პროდუქცია უნდა გაეტანათ რუსეთში ბათუმის გზით. „ამ-

იერკავკასიის ბუნებას ყველაფერი მოუმზადებია ადამიანისათვის, საჭიროა მხოლოდ ამ დოვლათის გამოყენებაო" — აღნიშნავდნენ პროექტის ავტორები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის კოლონიური ათვისების საკუთარი გეგმა ჰქონდა რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრ კანკრინს. ამ გეგმას დიდად თანაუგრძნობდა მთავარმართებელი გენერალი პასკევიჩი. კანკრინს ამიერკავკასიის პროვინციების, როგორც კოლონიების, დანიშნულებად მიაჩნდა რუსეთის ეკონომიკისათვის სარგებლობის მოტანა. პასკევიჩი იცავდა რა ამ თეზისს, თავის მხრივ დასძენდა: „განა არ უნდა ვუყურებდეთ საქართველოს როგორც კოლონიას, რომელიც ჩვენს ფაბრიკებს მიაწვდიდა მასალას (აბრეშუმს, ბამბას და სხვა.) და სანაცვლოდ რუსეთისაგან მიიღებდა მანუფაქტურულ ნაკეთობასო".

ზავილეისკი-გრიბოდოევის და კანკრინ-პასკევიჩის პროექტები ასახავდნენ მხოლოდ გაბატონებული ქვეყნის ინტერესებს და ამიერკავკასია-საქართველოს მხარეს მიიჩნევდნენ იმპერიის სამეურნეო დანამატად, ისე, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესი სრულებითაც არ ყოფილა გათვალისწინებული.

კოლონიური ძარცვის საპირისპირო, ეროვნული პოზიცია იყო დაცული იმ პროექტში, რომელიც იმპერატორს წარუდგინა ალექსანდრე ჭავჭავაძემ. მისი აზრით კავკასიის ომების დასრულების შემდეგ იქმნებოდა საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის პერსპექტივები, მაგრამ ეს აღმავლობა უნდა განხორციელებულიყო არა უცხო ეთნიკური ჯგუფების ჩამოსახლებით, არამედ თვით ქართველთა ხელით. „რუსეთიდან მიწათმოქმედთა გადმოსახლება, — ნათქვამია ა. ჭავჭავაძის მიერ იმპერატორისადმი 1837 წ. წარდგენილ მოხსენებაში, — ვერ დააკმაყოფილებს უმთავრეს მიზანს, ვინაიდან ისინი ვერ შეძლებენ ტროპიკულ ნაწარმთა დამუშავებას, რომელნიც ხარობენ ჩრდილოელ მცხოვრებთათვის დამღუპველ, ფრიად სიცხიან ადგილებში. ამ სასარგებლო საქმისათვის ადგილობრივი მცხოვრებნი უნდა გამოვიყენოთო". ალ. ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ ადგილობრივი ძალებითვე შეიძლებოდა მრეწველობის აღორძინებაც. მოხსენებაში გამოთქმული მოსაზრებანი შეიცავდა მიმანიშნებელ პროტესტს იმ კოლონიზატორულ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომელთაც ცარიზმი ახორციელებდა.

5. ფეოდალურ-მონარქიული ჩაგვრის ქვეშ. მეფის რუსეთი ფეოდალურ-ბატონყმური ქვეყანა იყო. გაბატონებულ სოციალურ ფენას შეადგენდნენ თავად-აზნაურები. მათს დამოკიდებულებაში იმყოფებოდა მოსახლეობის ცხრა-მეათედი, ანუ ყმა-გლეხობა, რომე-

ლიც უსასტიკეს ექსპლუატაციას განიცდიდა. პრივილეგირებული კლასის ინტერესებს იცავდა თვითმპყრობელობა, რომლის ძალა-უფლება განუსაზღვრელი იყო. იმ მძიმე სოციალურ ჩაგვრას, რასაც რუსი მოსახლეობა განიცდიდა, იმპერიის განაპირა-ნაციონალურ რაიონებში ზედ ერთვოდა ეროვნული ჩაგვრა, რაც ცარიზმის საშინაო პოლიტიკის არსს გამოხატავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის მფლობელობა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოს გლეხთა მდგომარეობა გაუარესდა. საქართველოს გლეხობის სოციალური მდგომარეობა ისედაც მძიმე იყო ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა ბატონობის მთელ პერიოდში. რუსული მართველობის დამკვიდრებიდან კი სოციალურ ჩაგვრას ეროვნულიც დაემატა და ამრიგად, იგი გაორკეცდა.

რუსულ მართველობას ადგილობრივ თავად-აზნაურთა პრივილეგიები არ შეუზღუდავს. უცვლელი დარჩა ის ბეგარა-გამოსაღებები, რომელსაც ყმა გლეხები მებატონეებს უხდიდნენ. 1807 წელს ცარიზმმა ქართველ მემამულეთ ნება დართო თვითვე განეხილათ გლეხთა სამოქალაქო საჩივრები. 1832 წლის კანონით ცარიზმმა ყმათა ყოლის უფლება დაუდასტურა მხოლოდ თავად-აზნაურობას. (ადრე ეს უფლება სხვა წოდებებზეც ვრცელდებოდა). ძველ საბატონყმო ბეგარა-გადასახადებს დაემატა ახალი ვალდებულებანი. მაგალითად, 1803 წლიდან ქართლ-კახეთის გლეხობას დაეკისრა ყოველწლიურად უფასოდ გამოეყვანა 112-114 ათასამდე ხარ-ურემი და 99 780 ცხენი თავისი ჩალვადრებით. რუსულმა მართველობამ ადგილობრივ მოსახლეობას დააკისრა ადგილობრივი პურით საოკუპაციო ჯარის გამოკვებაც. პურს მთავრობა მის მიერ დადგენილ ფასებში იძენდა. ეს ფასი საბაზროს დიდად ჩამოუვარდებოდა. პროვიანტ-კომისიონერები ქართლ-კახეთის სოფლებში რუსი ჯარისკაცების დახმარებით მოსახლეობას იძულებით ართმევდნენ შეწერილი პურის რაოდენობას. ამასთან დაკავშირებით კაპიტან-ისპრავნიკები ათასგვარ სისაძაგლეს ჩადიოდნენ. ისინი ხალხს ართმევდნენ მეტს, ვიდრე მთავრობისაგან ჰქონდათ შეწერილი. მცირეოდენი წინააღმდეგობის შემთხვევაში გლეხობას სცემდნენ, სახლკარს უწიოკებდნენ, შეურაცხყოფდნენ და კლავდნენ კიდეც. 1828-1829 წლებში ამიერკავკასიაში სარევიზიოდ მოვლინებული სენატორი მეჩნიკოვი თავის მოხსენებაში აღნიშნავდა: „ბევრ მცხოვრებს ართმევდნენ უკანასკნელ ლუკმას და სათესლე პურსაც კი არ უტოვებდნენ. სახაზინო გლეხები ვალდებული იყვნენ სხვა გლეხებზე სამჯერ მეტი პური ჩაებარებინათ. უფრო მძიმე იყო პურის გადაზიდვა ხანდახან 300 ვერსის მანძილზე. კარგავდნენ რა თავიანთ

საქონელს შორეულ სამხედრო ტრანსპორტზე და ჭირისაგანაც, მათ ტრანსპორტის გასამართავად სხვა საქონელი უნდა [illegible] ვებინათ და მასში იმ ფასზე ხუთჯერ მეტი უნდა გადაეხადათ, [illegible] ხაზინისაგან ჰქონდათ დაწესებული... საგადასახადო პურს გაწერილზე მეტი რაოდენობით კრებდნენ ადგილობრივი უფროსმოხელენი და თავისთვის იტოვებდნენ“.

სოფელ ბოდბეს მცხოვრებთა მიერ მთავრობისადმი გაგზავნილ საჩივარში, რომელიც 1812 წელსაა დაწერილი, ნათქვამია: „ფოთის ქალაქში ზურგით მივიტანეთ სურსათი, ურმები რომ ვერ მიუდგა, ოსმალშიგა დავყავით თხუთმეტი ურმით და რაც იქ ხარი იყო, ერთი აღარ მოვიდა; და რაც მეხრე იყო, ნახევარი იქ დარჩა და რაც მოვიდა, ისინიც დამძრალი. და ამას გარდა, როცა ხელმწიფის ჯარი ომობდა, ჩვენც სურსათი იქ გვიზიდნია: გუმრს, განჯას, ერევანსა და საცა საომრად მიდიოდნენ, ჩვენ თან სურსათი გვიზიდნია და კიდევ ყარაულათ დავდევდით და ჯარითაც და როგორც ესენი იხოცებოდნენ და სისხლსა ღვრიდნენ, ჩვენც ისე ვიხოცებოდით ხელმწიფის ერთგულებისათვის, ჩვენის ეკლესიის სამსახურად“.

გლეხობა ჩიოდა ასეთი უსამართლობის წინააღმდეგ, მაგრამ სამართალს ვერსად ვერ პოულობდა. ჯერ ერთი, სასამართლო ორგანოებში ისხდნენ რუსი მოხელენი, რომელთაც ქართული არ ესმოდათ. მეორეც — სასამართლო ორგანოებში გაბატონებული იყო მექრთამეობა, საქმის წარმოების ბიუროკრატიული მეთოდები, რის გამოც საჩივართა განხილვა წლობით ჭიანურდებოდა და განაჩენი ქრთამზე იყო დამოკიდებული. თელავის მაზრის მცხოვრებნი იმავე 1812 წლის საჩივარში წერდნენ. „მოგვეცა უეზდის სასამართლო, რომლიდამაც ჩვენი ყოველი საჩივარი უნდა შესრულებულიყო ხოლმე ექვს თვეს და თუნდ ერთს წელიწადს, მაგრამ ვაი ჩვენ, უბედურთ, დღესაც მრავალი საჩივრები არის ჩვენი იქ დარჩომილი ხუთის წლისა და მეტისაც, რომ უპასუხონი ვართ დარჩომილნი და არც გვამტყუნებს და არც გვამართლებს...

სუდია და სეკრეტარი რომ მეტად შეგვაწუხებდნენ, რომ საქმე დაგვიანდის, გვთხოვიან ქრთამი. რომ მეტად შეწუხებული ვიყავით, მეტი რა გზა გვქონდა უნდა მიგვეცა ქრთამი, დაწყებული ხუთის თუმნიდამ სამოცსა და ოთხმოც თუმნამდის და ამასაც ხომ ერთ მოჩივარს არ გამოგართმევდა, ორსავ მხარეს გამოგვართმევდნენ, მაგრამ მაინც ამითაც არ გვეშველა რა, ქრთამიც აღებული აქვსთ და საჩივარიც დარჩომილი და გადაუწყვეტელია ისევ და ვართ ხალხი შეწუხებული იმდენის დაკარგვისათვის და პასუხის მოუცემლობისათ-

ვის. და თუ საჩივარი ვისმე გვაქვს, დღესაც შიშით ველარ გვიბ-
ლია, რომ ქრთამი მოგვინდება, არა გვაქვს და რომ შევიდეთ სასა-
მართლოში, პასუხი არ მოგვეცემა და ვიყავით ამისთანას ბუნარ-
ბასა და ვაების ცხოვრებაში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის მფარველობაში მოქცევის შემდეგ, ასევე მძიმე მდგო-
მარეობაში ჩავარდა დასავლეთ საქართველოც. განსაკუთრებით
მძიმე ვითარება შეიქმნა იმერეთში, საიდანაც მოსახლეობა გარბო-
და და საქართველოს სხვადასხვა მხარეებს ეხიზნებოდა.

ამრიგად, რუსეთის მართველობის შემოღებას
საქართველოს ყველა მხარეში მოსახლეობის
სრული იმედგაცრუება მოჰყვა. ახალი რეჟიმი
მისთვის უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა.
ცარიზმმა ვერ მოიგო საზოგადოებრიობის
ვერცერთი ფენის გული. უვარგისნი იყვნენ
არა მარტო კავკასიის მმართველად მოვლენი-
ლი მოხელენი, არამედ უვარგისი, ხალხისათ-
ვის უცხო და შეუფერებელი იყო მმართველობ-
ის ის სამხედრო-საოკუპაციო სისტემა, რომ-
ელიც ცარიზმმა საქართველოში 1801 წლი-
დან დააკანონა.

6. ობიექტურად დადებითი შედეგები. კოლონიური პოლიტიკი-
სათვის საერთოდ დამახასიათებელი მძარცველობის მიუხედავად,
ცალკეულ ისტორიულ მონაკვეთებში თავს იჩენდა ობიექტურად
დადებითი შედეგებიც. ინგლისმა, საფრანგეთმა, ესპანეთმა და
სხვა სახელმწიფოებმა — თავიანთი კოლონიური სამფლობელოე-
ბიდან, მართალია, აურაცხელი სიმდიდრე ამოქაჩეს, მაგრამ გარ-
კვეულწილად მაინც ხელი შეუწყვეს აზიისა და აფრიკის ქვეყნებში
მწარმოებლურ ძალთა განვითარებას, კულტურის აღმავლობას.

რუსეთის კოლონიურ სამფლობელოებშიც საზოგადოებრივი
ცხოვრება ხასიათდებოდა ობიექტურად ზოგიერთი დადებითი შე-
დეგით, ეს დადებითი მოვლენები, რა თქმა უნდა, ცარიზმის ინტე-
რესების მიღმა და მის საპირისპიროდ ხორციელდებოდა.

რუსეთის ცარიზმის დაპყრობითმა ომებმა კავკასიაში ობიექ-
ტურად შეაპირობეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის
თითქმის აღდგენა, მისი გაერთიანება. საქართველოს შემოუერთ-
და თურქეთის მიერ ადრე მოტაცებული სამფლობელოები; გაირღვა
ის დახშული რკალი, რომელიც სამი საუკუნის განმავლობაში ერ-
ტყა ჩვენს ქვეყანას, საქართველო გავიდა საერთოევროპული ცივი-
ლიზაციის ორბიტაზე. ირანისა და თურქეთის დამპყრობლურ ომ-

ებს ზღვარი დაედო. საქართველოს იმდროინდელი ვითარების შესახებ ილია ჭავჭავაძე წერდა: „დამშვიდდა დიდი ხნის დაუშშვიდებელი ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დაეხსნა ომისა და ბრძოლისაგან“. მშვიდობამ ხალხს შეუქმნა სამეურნეო წინსვლის შესაძლებლობა, ინტენსიურად წარიმართა ქართული მოსახლეობის მომრავლება.

ცარიზმის კოლონიური ინტერესების მიღმა და საპირისპიროდ ახალ ვითარებაში გაძლიერდა ეროვნული კონსოლიდაცია. რუსეთის დემოკრატიულმა კულტურამ კეთილისმყოფელი გავლენა იქონია ქართულ კულტურაზე. რუსეთის გზით ეზიარა საქართველო ევროპის კულტურულ მონაპოვარს. მშვიდობამ თვალსაჩინო როლი შეასრულა ეროვნული ტრადიციების აღორძინებაში.

რუსეთის ცარიზმის მიერ ქართველი ხალხის უწყალო კოლონიური ჩაგვრა არ გადაზრდილა რუსი ხალხისადმი სიძულვილში. ცარიზმის საპყრობილეში რუსი ხალხიც იტანჯებოდა. უსამართლო რეჟიმის წინააღმდეგ ერთობლივად იბრძოდნენ რუსი და ცარიზმის მიერ დაპყრობილი არარუსი ხალხები. ამ ერთობლივმა ბრძოლამ შეაპირობა 1917 წელს, თებერვალში თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობა, რამაც ქართველ ხალხს შეუქმნა შესაძლებლობა აღედგინა დამოუკიდებლობა და ეროვნული სახელმწიფოებრიობა.

§ 3 კოლონიური ჩაგვრისადმი საყოველთაო დაუმორჩილებლობა

1. 1802 წლის შეთქმულება. ქართლ-კახეთში რუსული მმართველობის შემოღებით ცარიზმმა ხელისუფლების სადავეებს სამუდამოდ ჩამოაცილა ბაგრატიონთა სამეფო დინასტია, რომელსაც ჰქონდა ერის მესვეურობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია. რუსულ მთავარმართებლობას მიცემული ჰქონდა საიდუმლო დავალება, შეეპყრო და რუსეთში გადაესახლებინა მთელი სამეფო სახლი, პირველ რიგში ტახტის პრეტენდენტები.

საოკუპაციო მართველობის წინააღმდეგ აღსდგა ერეკლეს მთელი სახლეული. დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში ჩაება არა მარტო დავით გიორგის ძე, რომელიც ადრე რუსეთის თანხმობით უკვე დამტკიცებული იყო ტახტის მემკვიდრედ, არამედ მისი მოქიშპენიც. შეთქმულთა ცენტრს წარმოადგენდა თბილისი, მისი სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყო ერეკლე მეორეს ქვრივი დარეჯან დედოფალი.

რუსული მართველობის წინააღმდეგ შეთქმული უფლისწულ-ბის გვერდით აღმოჩნდა ქართლ-კახეთის თავადობა. ეს წარჩინებული წოდება მიჩვეული იყო დიდ პატივსა და უზრუნველ ცხოვრებას — ვალს, სამემკვიდრო თანამდებობას, ნახევარხელმწიფობას — თვით სათავადოში, ყმა-გლეხზე სულ-ხორციანად ბატონობას. რუსეთის მიერ დაწესებული რეჟიმი კი ერთის დაკვრით აუქმებდა და ამსხვრევდა საუკუნოებრივ სისტემას, ქართულ ფეოდალურ-ვასალურ ტრადიციებს. ამიერიდან ქართველი წარჩინებული არსებითად „უგვარო რუსი მოხელის“ ხელქვეითი ხდებოდა. მოურავები კაპიტან-ისპრავნიკებმა შეცვალეს, ისინი თავადის განკარგულებას ყურადაც არ იღებდნენ და მის ქონებასაც განაგებდნენ. უმაღლესი და სამაზრო მოხელეობა იმ აზრით იყო განმსჭვალული, რომ ყველა ქართველი რეჟიმის წინააღმდეგი და ამდენად „მოღალატეა“. თვით კნორინგი ქართველობას ღირსადაც კი არ თვლიდა რომ რუსეთის ქვეშევრდომად ეღიარებინა. მეფის ყოფილი ელჩი გარსევან ჭავჭავაძე რუსეთის საგარეო საქმეთა რწმუნებულ სოკოლოვს ქართველი თავადობის გაბოროტების მიზეზს ასე უხასიათებდა: რუსული მართველობა შეურაცხყოფს ქართველებს, ართმევს მათ იმ უფლებებს, რაც იმპერატორმა დაუმკვიდრა. მოხელეთა თავაშვებული, თვითნებური ქცევით უკმაყოფილო მოსახლეობაში ადვილად ვრცელდება ყოველგვარი ჭორი. ქართველებს მართლაც ეშინიათ იმისა, რომ არ აღსრულდეს ის ხმები, რაც ამჟამად მთელს ქვეყანაშია მოდებული — თითქოს თავადაზნაურობა რუსეთს უნდა გადაასახლონ, რომ ქართველმა წარჩინებულმა წოდებამ დაჰკარგა ძველი პრივილეგიები და სამემკვიდრო თანამდებობანიო.

თავადობის სახით ბაგრატიონთა სახლეულს ანტირეჟიმულ ბრძოლაში საიმედო დასაყრდენი ჰქონდა.

დარეჯან დედოფლის სასახლეში მუშავდებოდა რუსული საოკუპაციო რეჟიმის დამხობის ღონისძიებანი. შეთქმულთ ურთიერთობა ჰქონდათ ყველა უკმაყოფილო ძალებთან, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეწეოდნენ მზადებას. დავით გიორგის ძე ბორჩალოში უყრიდა თავს ლაშქარს. იულონ ერეკლეს ძე იმერეთში იყო გახიზნული და ამზადებდა ჯარს კახეთში საბრძოლო მოქმედებისათვის. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ თეიმურაზ, ვახტანგ ბატონიშვილები, რომლებიც თავიანთ საუფლისწულოებში აგროვებდნენ ძალებს. ვახტანგ ბატონიშვილს დაკისრებული ჰქონდა ჩაეკეტა დარიალის უღელტეხილი. შეთქმულნი იმედს ამყარებდნენ ალექსანდრე ბატონიშვილზეც.ერეკლეს ვაჟი ალექსანდრე ადრევე გაიქცა საქართველოდან და მოთავეობდა ან-

ტირუსულ ძალთა კოალიციას ახლოაღმოსავლურ მუსლიმურ სამყაროში. მოკავშირედ ეგულებოდათ იმერეთის მეფე სოლომონ მეორეც, რომელიც იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს იფარავდა და თავადაც აქტიურობდა რუსეთის მართველობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1802 წ. ივლისში ვითარება დაიძაბა. საშიშ მდგომარეობაში აღმოჩნდა თბილისი, — რუსული მართველობის რეზიდენცია. ქალაქზე თავდასხმას ბორჩალოდან, საარაგვოდან, ბელაქნიდან ყოველდღიურად მოელოდნენ. თბილისში მთავრობამ გააძლიერა სამხედრო ნაწილები, ამასთან საგანგებო რაზმები გაიგზავნა მეამბოხე უფლისწულთა შესაპყრობად.

მოძრაობა უფრო ფართო ხასიათს იღებდა კახეთში. კახელმა თავადებმა აღმასრულებელი ექსპედიციის უფროსს პ. კოვალენსკის მიმართეს საგანგებო წერილით, სადაც დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის გამო და მოითხოვდნენ 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატით გათვალისწინებული მუხლების აღდგენას. წერილის მიმტანი კახეთის თავადები მეფის გენერალმა გულიაკოვმა დააპატიმრა. იგი შეუდგა შეთქმულების მოთავეთა საქმის გამოძიებას. ამან კახელ შეთქმულთა აქტივობა გააძლიერა. მათ ანალოგიური შინაარსის წერილი თვით იმპერატორის სახელზე შეადგინეს. 24 ივლისს შეთქმულთა დიდი ჯგუფი შეიკრიბა სოფელ მაღაროს მახლობლად, კელმენჩურზე, იმ მიზნით, რომ ქართლ-კახეთის ტახტზე აეყვანა იულონ ერეკლეს ძე და მისდამი ხალხის შეფიცვა განეხორციელებინა. ბოდბელი მიტროპოლიტის იოანეს ჩვენებაში ნათქვამია: „ხიზიუს ხალხი მოვიდა სოფლიდამ და დაიფიცეს ჯერ ხელმწიფის ერთგულებაზე და ამასუკან იულონის მემკვიდრეობაზე, რადგან მეფის ირაკლის ანდერძი ასე არის, თუ იმის დიდებულება ინებებს". სწორედ შეფიცვის დროს შეთქმულთ თავზე წამოადგათ კაპიტან — ისპრავნიკი ჯარით და მესვეურთა დაპატიმრება განიზრახა. ხალხმა იმარჯვა, მოთავენი გააპარა და სისხლის ღვრა თავიდან აიცდინა.

კელმენჩურზე შეფიცვის ჩაშლის შემდეგ კახეთში შეთქმულთა აქტივობამ იკლო. აქა-იქ გრძელდებოდა სპორადიული გამოსვლები.

მოძრაობის ცენტრმა გადაინაცვლა მანავში, მაგრამ იგი აქაც წარუმატებლად დასრულდა. მთავრობის ჯარებმა გულიაკოვისა და ლაზარევის მეთაურობით შეძლეს დაეტუსაღებინათ მოთავეები და თბილისის საპატიმროში გამოემწყვდიათ.

შეთქმულების მარცხი შეაპირობა ძირითადად იმან, რომ ერთ-

სულოვნება და ორგანიზება აკლდათ. შეთქმულები ცალ-ცალკე, დაქსასულად მოქმედებდნენ. მმართველობას შესაძლებლობა ჰქონდა ძალთა მანევრირებით განეხორციელებინა იზოლირებული ცალ-ამბოხი კერების ჩაქრობა. შეპირებული ძალები შეთქმულთ ვერც ალექსანდრე ბატონიშვილმა მიაშველა. მეზობელმა მუსლიმურმა სახანოებმაც, შეპირების მიუხედავად პასიურობა გამოიჩინეს.

ნაწილობრივ კონსერვატულობის მიუხედავად, ეს შეთქმულება პროგრესული იყო, რადგან მიზნად ისახავდა საოკუპაციო რეჟიმის დამხობას და რუსეთ საქართველოს ურთიერთობის აღდგენას 1783 წლის ტრაქტატის პირობებში, იგი წარმოადგენდა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის პირველ გამოვლინებას.

ცარიზმმა ამ შეთქმულებით თვალნათლივ დაინახა, რომ საქართველო ვერ იგუებდა თავს მოხვეულ რეჟიმს და მას ბრძოლას უცხადებდა, ამიტომ რეპრესიები გააძლიერა. მთავარი იერიშები სამეფო სახლზე იქნა მიტანილი. დაჩქარდა ყოფილი მეფის ოჯახის წევრთა და ერთგულ დიდებულთა რუსეთში გადასახლება.

ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას, პირველი მარცხის მიუხედავად, იმედი არ ჩაქრობია და განაგრძობდა ბრძოლას 1783 წლის ტრაქტატის აღდგენისათვის. ციციანოვის მოკვლის შემდეგ, 1806 წელს, პეტერბურგში არჩევდნენ მმართველს საქართველოში მოსავლინებლად. ჩანს, ერთერთ კანდიდატად ცნობილი გენერალი, პეტრე ბაგრატიონიც იყო ნაგულისხმევი. პ. ბაგრატიონმა იცოდა კახელ თავად-აზნაურთა ფრონდისტული განწყობილება და თავისი ძმის საშუალებით საიდუმლოდ თხოვნით მიმართა ქართველ წარჩინებულთ ჩამოეყალიბებინათ თავიანთი პრეტენზიები. პეტრე ბაგრატიონის წერილის საპასუხოდ საიდუმლო თათბირი მოიწვია თავადების იმ ჯგუფმა, რომელიც ცარიზმისადმი მტრულად იყო განწყობილი. ან თავისი პრეტენზიები 11 მუხლად ჩამოაყალიბა და გაგზავნა პეტერბურგში. მოთხოვნებში მითითებული იყო რომ აღსდგეს ქართული სამართალი, ძალაში დარჩეს მოურავობა, გაუქმდეს კაპიტან-ისპროვნიკობა, აღიკვეთოს ქართველი თავადაზნაურობისადმი დამამცირებელი დამოკიდებულება და გათანასწორდეს იგი რუსეთის თავადაზნაურობასთან, გათავისუფლდეს რუსეთის მტრობაში ეჭვმიტანილი პატიმარი თავადები და სხვ.

ცარიზმმა ეს მოთხოვნები, რა თქმა უნდა, არ დააკმაყოფილა. მან არც ის ჩათვალა მიზანშეწონილად რომ პეტრე ბაგრატიონისათვის მიენდო მხარის გამგებლობა. ციციანოვის მომდევნო მმართველებს ცარიზმი ავალებდა სასტიკი რეპრესიებით აღმოეფხვრა ქართველ

ხალხში რუსული რეჟიმისადმი მტრობა, რომელიც თანდათან მასობრივ ხასიათს იღებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. 1804 წლის აჯანყება მთიანეთში. რუსული მართველობის დამკვიდრებას საქართველოში გლეხობა თავდაპირველად დადებითად შეხვდა. იგი მოელოდა, რომ ახალი ხელისუფლება საზღვარს დაუდებდა მტრული მეზობელი ქვეყნების შემოსევებს, ალაგმავდა ლეკთა თარეშს და ქვეყნად მშვიდობასა და წესრიგს დაამყარებდა. ამიტომაც იყო, რომ ოკუპაციის პირველ წელს გლეხობას არ გამოუმჟღავნებია რეჟიმისადმი შეურიგებლობა, მას ლოდინის პოზიცია ეკავა, ეჭვიანი თვალით აკვირდებოდა და სწონიდა ახალი რეჟიმის ხასიათსა და სარგებლიანობას.

სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმმა გლეხობას მალე გაუცრუა იმედები. ორ-სამ წელსაც არ გაუვლია, რომ მან საკუთარ ზურგზე იგრძნო ჩაგვრის გაორკეცება. ახალ ვითარებაში მის საკუთარ ბატონს დაემატა უცხო ტომის მძარცველები, რომლებიც მონღოლი ბასკაკებისა და ყიზილბაშთა ურდოების მსგავსად გლეხის მთელ სარჩოსაბადებელს ითვისებდნენ და წინააღმდეგობის შემთხვევაში დაუნდობლად უსწორდებოდნენ.

ახალი რეჟიმის სისასტიკე და აუტანლობა ყველაზე მეტად ზემო ქართლის მთიანეთმა იწვნია. რუსეთს საქართველოსთან იმ დროს აკავშირებდა ერთად-ერთი გზა — დარიალის უღელტეხილი. იგი საჭიროებდა ხშირ შეკეთებას, რასაც ხელისუფლება გზის გასწვრივი სოფლების (ჭართალი, ხანდო, გუდამაყარი, ხევი) მოსახლეობას აკისრებდა. საგზაო ბეგარა მძიმე ტვირთად დააწვა მთიელ გლეხობას. მას არა მარტო გზები უნდა შეეკეთებინა, არამედ მთავრობისათვის ტრანსპორტი უნდა მიეცა და საოკუპაციო ჯარი გამოეკვება. რუსი მოხელენი გლეხობას, ამასთან, თვითნებურად აწერდნენ ფულად გადასახადს. განსაკუთრებით მძიმე დრო გლეხებს დაუდგებოდათ ხოლმე ზამთარში, როცა უღელტეხილს თოვლი დაფარავდა. დათოვლილი გზა უნდა გაეწმინდა გლეხობას. ზვავების ჩამოწოლა ხშირად იწვევდა მსხვერპლს. ურჩ გლეხებს მოხელეები სცემდნენ, შეურაცხყოფდნენ, კლავდნენ. მთიულეთში სალდათებმა ცემით მოკლეს 23 მოხევე. იყო შემთხვევები, როცა ხარების ნაცვლად უღელში აბამდნენ დედაკაცებს. თუ რომელიმე სოფელი რუს მოხელეთა უკანონობაზე საჩივარს აღძრავდა, უარესი დღე მოელოდა, რადგან ურჩობის ყოველი გამოვლინება ისე ფასდებოდა როგორც „ფიცის გატეხვა“ და მთავრობისადმი ღალატი. მაგალითად, ანანურის მაზრის „კაპიტან — ისპრავნიკმა“ ჟამურელ გლეხებს სა-

ჩივრის პასუხად უსასტიკესი ანგარიშსწორება მოუწყო: სახლები გადაწვა, მოსახლეობა ააწიოკა და არაადამიანურად აწამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაგველ გლეხთა საჩივარში ნათქვამია: „თუ ადრე ჩვენ ტმერთს შევთხოვდით რუსთა მოსვლას ჩვენს ქვეყანაში, ახლა სიკვდილს ვნატრულობთ, რადგან ამ ტანჯვას და მათრახით სიკვდილს, ჩვენის ცოლების უწესო საქმით დანახვას ეს გვირჩევნია, ასე დავიხოცნოთო“.

რუს მოხელეთა ძალადობა რომ ყელში ამოუვიდათ, მთიელმა გლეხებმა გადაწყვიტეს შეიარაღებული ბრძოლით გაერეკათ დამპყრობნი მთიულეთიდან. ანანურის მაზრაში აჯანყება დაიწყო 1804 წლის მაისში. საქართველოს მთავარმართებელი ციციანოვი ამ დროს ერევნის სახანოს უტევდა. ანანურელებმა ეს გარემოება მიიჩნიეს გამოსვლისათვის ხელსაყრელ შემთხვევად.

აჯანყება გაფართოვდა და მთელი მთიანეთი (ქსნის, დიდი და პატარა ლიახვის ხეობები, ხანდო, ჭართალი, გუდამაყარი, ცხაოტი, თრუსო, ქარჩახი, ჟამური და სხვ. სოფლები) მოიცვა. აჯანყებას მეთაურობდნენ მთიელი გლეხები ლევან ნაზღაიძე, შიო ბურდული, თათარა ჩქარეული, პაპუნა ჩებოლური, ნ. და ო. ბედოიძენი, ნ. ბენიამიძე და სხვები.

აჯანყებულებმა პირველი იერიში კაიშაურის ციხეზე მიიტანეს და დაიკავეს იგი. ამის შემდეგ აჯანყება მიზანდასახულობის მიხედვით სამ ერთეულად, — ხევის, ანანურის და ლომისის დაჯგუფებად ჩამოყალიბდა. თითოეულ ჯგუფს დაკისრებული ქონდა კონკრეტული საბრძოლო ამოცანა. საბოლოო მიზანს შეადგენდა დარიალის სამხედრო გზის ჩაკეტვა რუსებს რომ დამხმარე ძალა არ მიელოთ, მთიანეთში განლაგებული სამხედრო ნაწილების ლიკვიდაცია, მთაში რუსთა მართველობის მოშლა. აჯანყებულები გამოსვლისათვის აქეზებდნენ ბარის მოსახლეობასაც. ვარაუდობდნენ მთის გამოსვლა საყოველთაო ამბოხებად გადაექციათ და ამ გზით დაემხოთ სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი საქართველოში.

ციციანოვის მოადგილე ვოლკონსკის სამხედრო ძალების სიმცირის გამო შეეშინდა დაეწყო მოქმედება აჯანყებულთა წინააღმდეგ. მან სცადა კონფლიქტი გადაეწყვიტა მოლაპარაკებით, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. სამხედრო ძალების გაძლიერების შემდეგ ვოლკონსკიმ დაიწყო შეტევითი ოპერაციები ციხისჯვრის უბანზე და იქ მოპოვებული წარმატების შემდეგ ლომისას დაჯგუფებას ეკვეთა, რადგან აჯანყების ბედს ძირითადად სწორედ ეს დაჯგუფება წყვეტდა. ლომისას უბანზე აგვისტოს პირველ რიცხვებში მიმდინარეობდა ცხარე ბრძოლები. აჯანყებულებმა აქ წარმატება მოიპოვეს და გზა გაიკაფეს თუშეთისაკენ.

სექტემბრიდან აჯანყებაში ჩაებნენ ქართველი ბატონიშვილები იულონი და ფარნაოზი, რომლებიც 1802 წლის შეთქმულების მარცხის შემდეგ ცარიზმის მიერ ჯერ კიდევ დაუმორჩილებელ ადგილებში იყვნენ გახიზნულნი. მთიელთა აჯანყებისთანავე ტახტის მაძიებლებმა დაიწყეს მოქმედება. 3 ივლისს ისინი ქუთაისიდან გავიდნენ მცირე ამალით, რათა ბორჯომის ხეობით საციციანოში გადასულიყვნენ. ძმებს იმედი ქონდათ რომ მათი საბრძოლო რაზმი ქართლში გაიზრდებოდა. მრავალრიცხოვანი ლაშქრით შეუერთდებოდნენ აჯანყებულ მთიულებს და ერთიანად შეუტევდნენ დამპყრობლებს. რუსთა რაზმებმა მიაგნეს ქართლში გადმოსულ ბატონიშვილთა სადგომს. იულონი შეიპყრეს, ფარნაოზმა გაქცევა მოასწრო და კახეთს მიაშურა, რომ იქაური თავადობა მიემხრო. თავადთა ერთი ჯგუფი მართლაც ამოუდგა გვერდით ფარნაოზს და სექტემბერში იგი დიდი ამალით დაიძრა მთიულეთისაკენ. სტეფაწმინდაში ფარნაოზი ჩადგა აჯანყებულთა სათავეში. მან გადაწყვიტა აჯანყების მასშტაბები გაეფართოვებინა, ქართლ-კახეთის ყველა მიმართულებით შიკრიკები აფრინა და თავადობას ამბოხებისაკენ მოუწოდა. ალექსანდრე ბატონიშვილთან დაკავშირებაც სცადა.

მაგრამ ფარნაოზის გეგმები განწირული აღმოჩნდა. საქართველოს მართველობამ კრიზისული მდგომარეობა დასძლია და თანდათანობით აჯანყების ცალკეულ კერათა ლიკვიდაცია მოახერხა, ციციანოვმაც თავი მიანება ერევანში წარუმატებელ ლაშქრობას და უკან დაბრუნებული არმია მთლიანად აჯანყებულებს მიუსია.

ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით ფარნაოზის ამალაში მყოფ კახელ თავადობასაც წარმატების იმედი გადაეწურა. მათგან დიდმა ნაწილმა მიატოვა ბრძოლის ველი და რუსეთის ხელისუფლებას შეურიგდა. 13 ოქტომბერს ფარნაოზის ლაშქარი დაამარცხა დარიალის გზით ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსულმა სამხედრო ნაწილებმა ნესვეტოევის მეთაურობით. რუსთა რაზმებმა უღელტეხილიდან ანანურამდე მთელი გზა გამარჯვებით განვლეს. სამხედრო ნაწილებმა ლიახვის ხეობაში აჯანყებულ ოსთა სოფლებს შეუტიეს. რუსის ჯარებმა დაიკავეს მთიანეთის ყველა სოფელი. აჯანყების მესვეურნი შეიპყრეს.

მარცხის მიუხედავად მთიანეთი არ დამშვიდებულა. მომდევნო წელს გუდამაყრელებმა ისევ ჩაკეტეს დარიალის უღელტეხილი და ანანურის კაპიტან-ისპრავნიკსაც გზები გადაუკეტეს, მაგრამ დამარცხდნენ. ციციანოვმა მთიელთა გულისმოგება იმით სცადა, რომ ბოლო მოუღო კაპიტან-ისპროვნიკის აღვირახსნილობას და მას მოქმედების ჩარჩოები დაუვიწროვა. ამიერიდან საგზაო ბეგა-

რა მთავრობას ფულით უნდა აენაზღაურებინა. ამ ღონისძიებებმა ქართლის მთიანეთი დროებით დაამშვიდა, თუმცა მართველობისადმი შეურიგებლობის სულისკვეთება მთაში არ გამქრალა და სპორადული გამოსვლები გრძელდებოდა XIX ს. მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში.

3. 1812 წლის აჯანყება კახეთში. ქართლის მთიანეთისათვის რუსული მართველობის მკაცრ ანგარიშსწორებას არ მოჰყოლია მოსახლეობის სიმშვიდე და მორჩილება. მოძრაობის კერები თავს იჩენდნენ ხან ქვემო ქართლში, ხან ისევ მთიანეთში. რუსეთის მართველობა ამ დროს ბრძოლას ეწეოდა ორ ფრონტზე: ერთი ფრონტი პლაცდარმის გაფართოვებას, ე. ი. ახალ-ახალი ტერიტორიების დაპყრობას ემსახურებოდა. მეორე ფრონტს ანტირეჟიმული-გამათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა და ბატონობის განმტკიცება ეკისრებოდა. ყველაზე დიდი საშიშროება საშინაო ფრონტზე რუსულ მართველობას შეექმნა 1812 წელს, როცა მის წინააღმდეგ აღსდგა მთელი კახეთი. ისიც აღსანიშნავია, რომ კახეთის აჯანყების კულმინაციურ ფაზაში რუსეთს შემოესია ნაპოლეონის დიდი არმია დასავლეთიდან და რუსეთის ცენტრი-მოსკოვიც კი დაიკავა.

კახეთის 1812 წლის აჯანყება, რეჟიმისადმი საერთო უკმაყოფილებასთან ერთად, გამოიწვიეს კონკრეტულმა მიზეზებმა:

საქართველოში დამკვიდრების პირველ ათწლეულში ცარიზმს იმი ჰქონდა გაჩაღებული თურქეთის და ირანის წინააღმდეგ. რუსეთის ჯარების ზურგის სამსახური თითქმის მთლიანად ქართველ მოსახლეობას დაეკისრა. დამატებით ვალდებულებათაგან ყველაზე მძიმე იყო სატრანსპორტო ბეგარა და არმიის სურსათით მომარაგება.

„სადაც კი ლაშქრობდა ხელმწიფის ჯარი, ჩვენ იქ სურსათი უნდა მიგვეტანა ყველგან, — გომბორში, ერევანში და საითკენაც კი დაიძრებოდნენ, ჩვენც უკან მივსდევდით ურმებით და სურსათს ვეზიდებოდით. მივდიოდით სადარაჯოდ და საომრად და, როგორც სალდათები ანთხევდნენ სისხლს, ისე ჩვენც ვიულიტებოდით... როცა ურმების გადასაყვანად გაჩნდებოდნენ სალდათები, საკმარისი იყო ორი საათი დაგვგვიანებოდა ხარების შებმა, რომ დედაკაცები გამოერეკათ და შეებათ ურემში. ორმოცი ურმის მაგიერ ბარგიბარხანას დაუდებდნენ ოც ურემზე, რადგან საქონელი უზომოდ დადებულ ურემს ვერ ერეოდა, მოგვცვინდებოდნენ გაბრაზებული სალდათები და გვცემდნენ. ერთი კვირის მაგიერ თვეობით ვეყარეთ ბეგარაზე. ან ავდარი, ან თოვლი მოგვისწრებდა, საქონელი გვეხოცებოდა და შინ ცარიელ-ტარიელი ვბრუნდებოდით“ — ნათქვამია კახელ გლეხთა საჩივარში. რუსთა სარდლობის მოთხოვნა-ო მოსახლეობას ყოველწ-

ლიურად უსასყიდლოთ გამოჰყავდა 112000-ზე მეტი ხარ-ურემი და ასი ათასამდე ცხენი თავისი ჩალავადრებით. მთავარმართებელმა მარკიზ-პაულუჩიმ, 1811 წელს მოუსავლიანობის მიუხედავად სიღნაღის მაზრას შეაწერა 40000 კოდი ხორბალი. პურის საფასურად მთავრობა გლეხს კოდში მხოლოდ 6 აბაზს უხდიდა, მაშინ როცა გლეხი მას ბაზარზე იძენდა 4 მანეთად. ხორბლეულის სწრაფი ამოქაჩვის მიზნით რუსეთის მართველობამ ოკუპირებული ტერიტორია 7 ოლქად დაჰყო. ოლქის უფროსები ჯიბეს ისქელებდნენ მოსახლეობის ხარჯზე. თელავის და სიღნაღის ოლქებს მეთაურობდა მორალურად გახრწნილი ვინმე პორტნიაგინი, რომლის სახელის ხსენებაც კი მოსახლეობის ზიზღსა და აღშფოთებას იწვევდა. „გლეხთა სახლებში პურს რომ ვერ ნახულობდნენ, ჯარისკაცები გლეხის საქონელს და ფრინველს დაერეოდნენ და უანგარიშოდ ხოცავდნენ. ღვინოს ხომ სვამდნენ და სვამდნენ, რასაც ვერ მოერეოდნენ, მიწაზე ღვრიდნენ და ბაღ-ბოსტნებს შეესეოდნენ და ანადგურებდნენ. ჯარისკაცთა და ოფიცერთა ბოროტმოქმედებანი გლეხის აწიოკებით როდი ისაზღვრებოდა. ისინი ქალებსაც არ ინდობდნენ და ქმრების თვალწინ ნამუსს ხდიდნენ“ — წერს ცარიზმის ოფიციალური ისტორიკოსი ნ. დუბროვინი.

მარკიზ-პაულიჩიმ, გაუგონარი რეპრესიების მიუხედავად მოსახლეობიდან ხორბლის ნავარაუდევი ნორმის ამოქაჩვა მაინც ვერ შეძლო. მაშინ ურჩ სოფლებში მან ეკზეკუციები ჩააყენა. პორტნიაგინის დრაგუნები მთელ კახეთს მცირე რაზმებად მოედვნენ იანიჩარებისა და ყიზილბაშების მსგავსად. ხალხის მოთმინების ფიალა აივსო და დაგუბებულმა ბოღმამ შეიარაღებულ აჯანყების სახით ერთბაშად გადმოხეთქა.

აჯანყება წამოიწყეს ახმეტელებმა, რომელთაც 1812 წ. იანვარში იფრინეს რუსის მთავრობის ჯარები. აჯანყების კერა ჩქარა გაფართოვდა და მოედო მთელ კახეთს. აჯანყებულებმა გაილაშქრეს თელავზე და 2 თებერვალს იგი დაიკავეს. 5 თებერვალს ქიზიყელებმა ალყა შემოარტყეს სიღნაღს და იერიშით აიღეს. ჩაკეტილ იქნა თელავიდან და სიღნაღიდან თბილისისკენ მიმავალი გზები. ძლიერი ბრძოლები კახელებმა გადაიტანეს ბოდბისხევთან, სადაც ერთი პოლკი გაანადგურეს. იგივე განმეორდა ანაგაში. აჯანყების ძლიერი კერები გაჩაღდა მანავსა და კაკაბეთში, მარტყოფსა და საგარეჯოში.

აჯანყების მესვეურები მოქმედებდნენ გეგმაზომიერად. მათ დიდი მუშაობა გასწიეს რათა რუსული მართველობის წინააღმდეგ აემხედრებინათ მთიანეთი და ქართლი. მართლაც, ფშავ-ხევსურეთი ფეხზე

დადგა. 10 თებერვალს ფშავ-ხევსურთა 1000 კაციანი რაზმი ბრძოლაში ჩაება. მან ხელთ იგდო დუშეთის და ფასანაურის საგუშაგოები და ანანურს ალყა შემოარტყა. დარიალის უღელტეხილზე [illegible] მოელოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახეთის აჯანყებაში აქტიური პოზიცია დაიკავა თავადობამ. გლეხთა რაზმებს სათავეში ჩაუდგნენ სიმონ და ადამ ბებურიშვილები, ნინია ანდრონიკაშვილი, ოთარ ქართველიშვილი, იოსებ სიდამონიშვილი და სხვები. ასპარეზზე ისევ გამოჩნდა შეურიგებელი და ბობოქარი ალექსანდრე ბატონიშვილი. სექტემბრის დამდეგს იგი ერევნიდან მცირე ამალით თიანეთში აღმოჩნდა. აქედან მორბედნი აფრინა ქართლ-კახეთის ყველა მხარეს და მოუწოდა მათ იარაღი აესხათ რუსთა მართველობის დასამხობად. ალ. ბატონიშვილის გამოჩენამ კახეთში ბევრ წარჩინებულს მართლაც აღუძრა იმედი დამოუკიდებლობის აღდგენისა. კახეთისა და ქართლის სოფლებიდან დაიძრნენ პატრიოტი თავადები, აზნაურები და გლეხები. ალექსანდრეს გადამწყვეტი შეტევა ალავერდობის ღამეს უნდა დაეწყო. ტრადიციულად ამ საზეიმო დღეს იგი საქართველოს მეფედაც უნდა ეკურთხებინათ.

მაგრამ რუსული მართველობა ძალებს იკრებდა და გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდა. ყველაზე დიდ საფრთხედ მიჩნეული იყო ალექსანდრე ბატონიშვილის ბანაკი შილდასთან. პოლკოვნიკ ტიხონოვსკის და ორბელიანის რაზმებმა ბატონიშვილს გადაუკეტეს ყველა სავარაუდო სამოქმედო გზა. 25 სექტემბერს შილდასთან მოხდა დიდი ბრძოლა, მაგრამ გადამწყვეტი გამარჯვება არცერთ მხარეს არ რგებია. მთავრობის ძალებმა უპირატესობა იმ მხრივ მოიპოვეს, რომ გაერთიანდნენ და ამიერიდან ერთობლივი ოპერაციების შესაძლებლობა მიეცათ. მძაფრ შეტაკებებს ქონდა ადგილი 13 ოქტომბერს ისევ შილდასთან, 18 ოქტომბერს — სიღნაღში, 24 ოქტომბერს — მაღაროში, 29 ოქტომბერს — ჩალაუბანში.

გადამწყვეტი ბრძოლა აჯანყებულებსა და მეფის ჯარებს შორის მოხდა ჩუმლაყში. 4000 აჯანყებული თავგანწირვით იბრძოდა. გმირულად მოქმედებდა ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს ძე, რომელიც ქართლიდან იყო მისული აჯანყებულთა დასახმარებლად. ბრძოლაში გამარჯვება მეფის ჯარებს დარჩათ. ალექსანდრე ბატონიშვილს ჩამოსცილდა ბევრი კახელი თავადი. იგი იძულებული გახდა ისევ ირანს გადახვწილიყო. გრიგოლ ბატონიშვილი დაღესტანს გაიქცა. მეფის ჯარებს წარმატება ხვდათ სამხედრო გზის გასწვრივაც. 4 მარტს პაულჩი გამარჯვებული შევიდა თელავში. დაეცა თიანეთიც. მარტის შუა რიცხვებისათვის აჯანყების კერები ლიკ-

ვიდირებული იქნა. აჯანყებულთა მესვეურებს ადგილზევე უსწორდებოდნენ. მაგალითად, მარტო თიანეთის ბრძოლის წარმატების შემდეგ იქვე 8 კაცი ჩამოახრჩეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსულმა მართველობამ კახელი გლეხობის მასობრივ გამოსვლაში იგრძნო იმის საშიშროება, რომ მოქმედ ვულკანზე იჯდა. რეპრესიებთან ერთად საჭირო იყო მოსახლეობის მოთხოვნებისათვის ანგარიშგაწევაც. დაინიშნა საგანგებო კომისია, რომელსაც კახელ გლეხთა აჯანყების მიზეზები უნდა ეძია. კომისიის სახელზე მრავალმა სოფელმა შეიტანა თავისი საჩივარი, სადაც აღწერა მთავრობის მოხელეთა გაუგონარი უწესობანი და ცხოვრების უკიდურესი სიმძიმე. ეს საჩივრები ძვირფასი მასალაა საოკუპაციო რეჟიმის ხასიათის შესწავლისათვის.

მართველობამ აჯანყებულებთან ანგარიშსწორების პროცესში დიდი რაოდენობით ხალხი გაჟლიტა. დაპატიმრებულთაგან სამართალში მისცა 62 კაცი, 29 კაცს მიესაჯა სამუდამო კატორღა ციმბირის მაღაროებში. 31 ჯარისკაცად განამწესეს რუსეთში. მსჯავრდადებული, ორი ქალი რუსეთის ერთერთ მონასტერში მონაზვნად აღკვეცეს. მაგრამ ამასთან, მართველობამ საჭიროდ ცნო ზოგი ცვლილების შეტანა მხარის გამგებლობაში. გაუქმდა კაპიტან — ისპროვნიკობა. მაზრებში შემოღებულ იქნა მეთვალყურის („სმოტრიტელ") ინსტიტუტი. ამ თანამდებობაზე ქართველი წარჩინებული უნდა დანიშნულიყო. ქართული ელემენტი მართველობაში საერთოდ მეტი რაოდენობით ჩააბეს.

4. 1819—1820 წლების აჯანყება იმერეთსა და გურიაში. დასავლეთ საქართველოს დაპყრობა ცარიზმმა იარაღით განახორციელა, საოკუპაციო რეჟიმს მოსახლეობა მტრულად შეხვდა. სოლომონ მეფის მომხრე თავად-აზნაურობის ერთი ნაწილი ტყეში იყო გახიზნული და ბრძოლას განაგრძობდა. სოფლებში ჩაყენებული საეკზეკუციო სამხედრო ნაწილები მოსახლეობას განუკითხავად ძარცვავდნენ.

ხალხის ეკონომიკური მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში უფრო მძიმე იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში, მისთვის დამახასიათებელი მცირემიწიანობისა და თავად-აზნაურული ფენის სიმრავლის გამო. მძიმე სოციალურ ჩაგვრას, რასაც მოსახლეობა ადგილობრივ თავად-აზნაურთაგან განიცდიდა, ზედ ერთოდა საოკუპაციო ხელისუფლების ბეგარა-ვალდებულებანი და მოხელეთა აღვირახსნილი მოქმედება.

ოკუპაციის პირველ წლებში იმერეთს თავს დაატყდა სტიქიური უბედურებაც — მკაცრი ზამთარი და დიდი წყალდიდობა, რამაც ჭირ-

ნახული მთლიანად გაანადგურა. 1811 წელს მასობრივ შიმშილობას მოჰყვა შავი ჭირის ეპიდემიაც, რომელიც ახალციხის მხრიდან გავრცელდა. შიმშილობამ და ეპიდემიამ მარტო ერთი წლის განმავლობაში 32.750 კაცი იმსხვერპლა. ხალხი რკოსა და ვაზის რტოების ნაფქვავით, ხის ძირებითა და ბალახით იკვებებოდა. მოსახლეობის ერთი ნაწილი აიყარა და გადასახლდა. კავკასიის მთავარმართებელი ერმოლოვი იმერეთში შექმნილ მდგომარეობას ასე ახასიათებდა: „იმერეთში მძვინვარე უძლიერესი შავი ჭირი და შიმშილი იმდენად საშინელი იყო, რომ მამები თავიანთ შვილებს სამუდამოდ მონობაში ჰყიდნენ ლუკმაპურისთვის, სასოწარკვეთილი დედები კი შიმშილისაგან გალეულ ბავშვებს ტყეში და შარაგზაზე ტოვებდნენო“.

ასეთ მძიმე პირობებში რუსის მთავრობა მოსახლეობისაგან ბეგარავალდებულებათა შესრულებას მოითხოვდა. გლეხობა საჩივარში აღნიშნავს: „ოჯახშიდ იმერეთშიდ დღეს თავისთავის მუშაობა არ არის თუ გზის ჩეხით, თუ ციხის შენებით, თუ მშიერის მუშაობით თქვენთვის, თუ სხვისი და სხვისი მწუხარებით, რომელიც ჩვენის მეფის ხელშიდ არც ერთი არა გვქონია და თავისუფალი ვიყავით. შეუძლებელიც არის რომ მოგართვათ 480 ცხენი. არ ძალგვიძს დახოცვითა და აოხრებითა“.

რეჟიმის მიმართ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უკმაყოფილება კიდევ უფრო გამწვავდა საეკლესიო რეფორმის შედეგად. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას და რუსიფიკაციას ეკონომიკური დაწოლაც მოჰყვა. მთავრობა ეკლესიას ართმევდა ქონება-შემოსავალს და იგი სახაზინო უწყებაში გადაქონდა. იზრდებოდა ყმა გლეხთა საეკლესიო გადასახადიც, მცირდებოდა ეპარქიათა რიცხვი. საეკლესიო რეფორმა პირველ რიგში ქართველ მემამულეთა და სასულიერო პირთა ინტერესებს უპირისპირდებოდა, მაგრამ აზნაურობის, დაბალი სასულიერო წოდების და ყმა-გლეხობის ინტერესებსაც ბღალავდა. ეს რეფორმა საზოგადოების ყველა ფენისათვის მძიმე და აუტანელი იყო.

1819 წლის ივნისში ხელისუფლების განკარგულებით საეკლესიო ყმა-მამულების აღწერა დაიწყო. ხალხმა ამ აღწერაში თავისი ისედაც ბეჩავი მდგომარეობის გაუარესება დაინახა და მას წინ აღუდგა. მან აღწერის შეწყვეტა, შედგენილი სიების დაწვა-მოსპობა და იმერეთიდან ეგზარქოს თეოათილაქტეს დაუყოვნებლივ გაწვევა მოითხოვა.

აჯანყების პირველი კერა გახდა შორაპნის ოლქი. იგი იმერეთის ყველაზე ღარიბი მხარე იყო და მოსახლეობასაც ყველაზე მეტად

უჭირდა. საერთო ძალისხმევით გლეხებმა გარეკეს აღწერის მიზნით სოფლებს მოდებული მოხელენი. ამასთან განახორციელეს თავდასხმა რუსთა გარნიზონებზე. აჯანყების ტალღა შორაპნიდან ქუთაისის სოფლებში გადავიდა, მოსახლეობა შეიარაღდა, მოთავეები ამოირჩია, რომელთაც იმერეთის მართველ კურნატოვსკის წაუყენეს მოთხოვნები რომ საეკლესიო რეფორმის გატარება დაუყოვნებლივ გაეუქმებინა.

შორაპანსა და ქუთაისს რაჭაც გამოეხმაურა. მალე ფეხზე დადგა არა თუ მთელი იმერეთი, არამედ გურიაც. რეფორმისადმი მასობრივი შეურიგებლობა პირველ ხანებში არ ატარებდა შეიარაღებულ ხასიათს. იგი ულტიმატუმს არ გასცილებია, მაგრამ დიდად დამაფიქრებელი იყო თავისი ერთსულოვნებით.

მოსახლეობის ანტირეჟიმული განწყობილების საჯარო გამოვლინებამ იმერელ თავად-აზნაურთა იმ ნაწილში, რომელიც სოლომონ მეფეს თანაუგრძნობდა და საოკუპაციო რეჟიმთან შეგუებული არ ყოფილა, ააღორძინა დამოუკიდებლობის აღდგენის იმედები. ეს ჯგუფი იმედოვნებდა გარედან დახმარებას. ყველაზე რეალურ მხარდაჭერას მოელოდა საქართველოს სამეფო ტახტის უიღბლო და ხანგრძლივ მაძიებელ ალექსანდრე ბატონიშვილისაგან, რომელსაც მისვლოდა იმერეთში ამბოხების ამბავი და მოქმედებისათვის ემზადებოდა.

ქართველ პრივილეგიურ წოდებაში არ იყო ერთსულოვნება. ერთი ნაწილს უკვე მოესწრო მეფის სამსახურში ჩადგომა და გვერდში ედგა მას აჯანყების დასათრგუნავად. რეჟიმის მოწინააღმდეგეთა შორისაც ურთიერთ საპირისპირო ინტერესები იჩენდა თავს: ერთი ნაწილი მომხრე იყო სამეფო ტახტი ალექსანდრე ბატონიშვილისათვის გადაეცა, მეორე ნაწილი მხარს უჭერდა ივანე აბაშიძეს (სოლომონ პირველის შვილიშვილს) თუმცა ი. აბაშიძის მერყეობა და პოზიციის ხშირი მონაცვლეობა არ იძლეოდა გარანტიას, რომ იგი იქნებოდა დასავლეთ საქართველოს იმედიანი მესვეური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

აჯანყებულთა ერთმა ნაწილმა ივანე აბაშიძე გამოაცხადა კიდეც იმერეთის მეფედ. ორჭოფ ივანეს არ ქონია ფართო მხარდაჭერა; ბევრმა ისიც იცოდა, რომ ივანე რუსეთის ხელისუფლებასთანაც იყო დაკავშირებული. იგი სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა პირადს აყენებდა. ზურაბ წერეთელმა სამეფო ტახტზე ივანეს დაუპირისპირა თავისი შვილი გრიგოლი. ზაფხულზე მღელვარებამ მთელი რაჭა მოიცვა, აჯანყებულებმა ჩაკეტეს ქუთაისისკენ მიმავალი გზები, ხოლო იქ განლაგებული გარნიზონი კვარას ციხეში გამოამწყვდიეს.

შეშფოთებული კურნატოვსკი მთავრობას სთხოვდა ჯარების მოშველიებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოველთაო შფოთმა მართველობა დააფრთხო. მან ენერგიულ ზომებს მიმართა, ქუთაისის მისადგომები გამაგრებულ იქნა. ერმოლოვის ბრძანებით ქუთაისისაკენ გენერალ რენიაკინის რაზმები გაემართნენ. აჯანყებულებმა ჩახერგეს სურამის უღელტეხილი. ერმოლოვი ამ დროს დაღესტანში ლეკთა წინააღმდეგ ეწეოდა ენერგიულ ლაშქრობას და არ გააჩნდა გამოთავისუფლებული სამხედრო ნაწილები. მისი მითითებით მართველობამ აირჩია კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზა. რენიაკინი შეპირდა ხალხს თეოფილაქტეს გაწვევას, საეკლესიო ყმა-მამულების აღწერის შეწყვეტას. მოსახლეობა მაინც არ დამშვიდდა. სწორედ ამ დროს ალექსანდრე ბატონიშვილისაგან და ახალციხის ფაშასაგან მოდიოდა გამამხნევებელი ცნობები, ისინი დაპირებას იძლეოდნენ რომ აჯანყებულთ შეიარაღებული ძალებით დაეხმარებოდნენ. ეს ცნობები ერომოლოვის ყურამდეც მივიდა. იგი დაფრთხა, უინიციატივო კურნატოვსკი იმერეთის მართველის პოსტიდან გადააყენა. მის ნაცვლად დანიშნულ გენერალ პუზირევსკის დავალება მიეცა აქტიურ და სწრაფ მოქმედებაზე გადასულიყო. პუზირევსკიმ პირველყოვლისა მიმართა აჯანყების მოთავეთა იზოლაციის პოლიტიკას. მან 1820 წელს ქუთაისში მოტყუებით მიიწვია სტუმრად მიტროპოლიტები დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გენათელი, თავადი სეხნია წულუკიძე, მდივანბეგი მიქელაძე და დააპატიმრა. ხელიდან გაუსხლტა ივანე აბაშიძე, რომელმაც თავი შეაფარა გურიის მთავრის ბიძას ქაიხოსრო გურიელს. შემოქმედში ბიძისა და მისი სტუმრის წინააღმდეგ აღსდგა გურიის მთავარი, რომელიც რუსულ მმართველობას უჭერდა მხარს. პუზირევსკი თავად გაემგზავრა ჯარით გურიელის დასახმარებლად. შემოქმედში ჩასული პუზირევსკი აჯანყებულებმა მოჰკლეს, მათვე დაამარცხეს მთავრობის ჯარი შემოქმედის ციხესთან და დაბა ჩოხატაურში.

აჯანყებული გურულები მალე შეტევაზე გადავიდნენ. მათ აიყოლიეს სამეგრელოც, სადაც მღელვარებას სათავეში ჩაუდგა მთავრის ძმა გრიგოლ დადიანი. მთავარი ლევანი რუსული ორიენტაციისა იყო და ძმის წინააღმდეგ თანამოაზრენი აამოქმედა. გამარჯვება წილად ხვდა ლევანს, რომელმაც დაპატიმრებული მოქიშპე რუსთა სარდლობას ჩააბარა.

ივანე აბაშიძე გადავიდა იმერეთში, სადაც 1820 წლის ზაფხულში მოძრაობამ კვლავ მიიღო აქტიური ხასიათი. ერმოლოვმა დაყვავების ტაქტიკა უკუაგდო და გადავიდა გადამწყვეტ ბრძოლაზე. დიდ

სამხედრო ექსპედიციას გენერალ ველიამინოვის მეთაურობით დავალება მიეცა დაესაჯა ამბოხებული სოფლები და ურჩთ ადგილებზე გასწორებოდა. დაიწყო გადამწყვეტი შეტევა ხანაში დაბახებული ივანე აბაშიძის წინააღმდეგ, იმერეთისა და რაჭის სოფლების „დასამშვიდებლად". სამხედრო ლაშქრობანი ერთდროულად წარმოებდა გურიაში. შემოქმედთან გადამწყვეტ ბრძოლაში გურულები დამარცხდნენ. 1820 წლის შემოდგომაზე მთავრობამ შესძლო იმერეთსა და გურიაში აჯანყების კერების საბოლოო ლიკვიდაცია. სოფლებს უსასტიკესად გაუსწორდნენ. ამბოხების მოთავეები დააპატიმრეს და გადაასახლეს რუსეთის გუბერნიებში. მიუხედავად გამარჯვებისა, მართველობამ საეკლესიო რეფორმის გატარება ჩაფიქრებული გეგმით მაინც ვერ შეძლო. ამ რეფორმას იგი შემოვლის გზით თანდათან და შეპარვით ახორციელებდა.

§ 4. 1832 წლის შეთქმულება

1832 წლის შეთქმულება ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა XIX ს. პირველი ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იგი წარმოადგენდა საქართველოს პროგრესული ძალების ორგანიზებულ ცდას ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. შეთქმულებამ, დამარცხების მიუხედავად, ღრმა კვალი დაამჩნია 30-40-იანი წლების საზოგადოებრივ პოლიტიკურ მოძრაობას და სათავე დაუდო იმ იდეებს, რომლებიც 60-80-იან წლებში ხალხის იდეური ცხოვრების ნიშანსვეტს წარმოადგენდა.

1. შეთქმულების აღმოცენება. შეთქმულების პირველი კერები აღმოცენდნენ პეტერბურგსა და მოსკოვში. იქ იძულებით გადასახლებული ქართველ ბატონიშვილთა ოჯახები ვერ შეურიგდნენ თავიანთ ხვედრს და იბრძოდნენ ბაგრატიონთა სამეფო ტახტის აღდგენისათვის.

ამ ბრძოლას ბიძგი მისცა ერთის მხრივ დეკაბრისტთა შეიარაღებულმა გამოსვლამ პეტერბურგში, მეორე მხრივ ოციანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ ევროპის ქვეყნებში. ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეები ედო საფუძვლად დავით, იულონ, თეიმურაზ, იოანე ბატონიშვილთა საქმიანობას. 20-იანი წლების დამდეგიდან ამ იდეალის მოთავენი გახდნენ დიმიტრი იულონის ძე და ოქროპირ გიორგის ძე ბაგრატიონები. პეტერბურგში დიმიტრი ბატონიშვილის ბინაზე სისტემატურად იკრიბებოდნენ ელიზბარ და ზაქარია ერისთავები, დიმიტრი და

ვახტანგ ორბელიანები, ლუარსაბ და ივანე ჩოლოყაშვილები, დავითი ჯორჯაძე, სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე და სხვები. მათი საუბარი შეეხებოდა საერთო ევროპული მოძრაობის მიმდინარეობას და იმ მძიმე ხვედრს, რომელშიაც სამშობლო იმყოფებოდა. ამ საუბრებში თანდათან მწიფდებოდა ცარიზმის კოლონიური მართველობის დასამხობად შეიარაღებული გამოსვლის იდეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ჯორჯაძის გადმოცემით მიმდინარეობდა „ბაასი თავისუფლების შესახებ", დიმიტრი ბატონიშვილს ნიმუშად ასეთი თავისუფლებისა მოჰყავდა „საფრანგეთი და მისი კანონები, ხან თავისუფალი ქალაქები". შეთქმულების პირველი აქტივისტები პეტერბურგში თანდათან აფართოვებდნენ თანამოაზრეთა წრეს. პეტერბურგელ ქართველთა ფარულ საქმიანობას მოსკოვში მხარი აუბა ოქროპირ ბატონიშვილმა, რომელმაც აგრეთვე თანამგრძნობთა ჯგუფი გაიჩინა.

პეტერბურგში 1825 წელს შექმნილი საიდუმლო წრის საქმიანობამ 1827 წლიდან თბილისში გადმოინაცვლა. ამ წელს დაბრუნდა საქართველოს დედაქალაქში სოლომონ დოდაშვილი, — შეთქმულთა ერთერთი ყველაზე აქტიური მოღვაწე. მოსკოვიდან თბილისს საგანგებოდ ჩამოვიდნენ ოქროპირ ბატონიშვილი, ალ. ჩოლოყაშვილი. მათი თაოსნობით აქ თავი მოიყარა შეთქმულთა ფართო წრემ, რომელიც სისტემატურად იკრიბებოდა არალეგარულად და მსჯელობდა იდეურ და ორგანიზაციულ საკითხებზე. თბილისის წრეს კავშირი ქონდა პეტერბურგისა და მოსკოვის წრეებთან. მიმოწერა საიდუმლო ნიშნებით წარმოებდა. საიდუმლო ანბანის ავტორი იყო მღვდელი ფილადელფოს კიკნაძე, რომელმაც აგრეთვე შეთქმულთა საწესდებო დოკუმენტი „აქტი გონიური" შეადგინა.

1829-30 წლებში შეთქმულთა წრე გაფართოვდა. მასში ჩაებნენ გიორგი და ელიზბარ ერისთავები, გრიგოლ, ალექსანდრე და მამუკა ორბელიანები, დიმიტრი ყიფიანი, იასე ფალავანდიშვილი, თამარ ბატონიშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი და სხვები. ფარული ჯგუფის შტაბი შედგებოდა სამი კაცისაგან. ესენი იყვნენ ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი და სოლომონ დოდაშვილი. შეთქმულებმა ფილიალები გაიჩინეს სამაზრო ქალაქებშიც. შეთქმულთა საქმიანობას იცნობდა და თანაუგრძნობდა პოეტი-გენერალი ალექსანდრე ჭავჭავაძე. შეთქმულებასთან დაკავშირებული იყვნენ თბილისის გენერალ-გუბერნატორი პეტრე ზავილეისკი, — წარმოშობით პოლონელი, საფრანგეთის კონსული ლეტელიე და სხვები. შეთქმულთა საერთო რაოდენობა 150 კაცს აღემატებოდა.

შეთქმულები დიდ იმედებს ამყარებდნენ 1830 წლის პოლონე-

თის ეროვნულ მოძრაობაზე. პოლონეთის აჯანყებასთან დაკავშირებით საქართველოდან გაიწვიეს მთავარმართებელი გენერალი პასკევიჩი. იმპერიის სამხედრო ნაწილები პოლონეთის წინააღმდეგ ომში იყო ჩაბმული. ეს გარემოება შეთქმულთ წარმატების იმედებს უსახავდა. ეს იმედები ამაო გამოდგა, ცარიზმმა შეძლო პოლონეთის აჯანყების ჩახშობა, რამაც შეთქმულთა საქმიანობა ერთგვარად შეანელა, მაგრამ იგი კვლავ გაცხოველდა 1832 წლიდან. ამ წლის ზაფხულზე შეკრებებმა მიიღო სისტემატური ხასიათი.

2. შეთქმულთა პროგრამა. 1832 წლის შეთქმულება კონიუნქტურული მიზეზების გამო ზოგ მკვლევართა მიერ მიჩნეული იყო რეაქციულად. მათი აზრით შეთქმულება მიზნად ისახავდა ერეკლე მეორესდროინდელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას, რაც თითქოს „ისტორიის ჩარხის უკუღმა მოტრიალებას" მოასწავებდა. შემდგომმა კვლევა-ძიებებმა ცხადჰყვეს, რომ ეს მოსაზრება მცდარია, რომ შეთქმულნი წინ იყურებოდნენ და საქართველოს მომავალი წარმოდგენილი ჰქონდათ XIX ს. 20-30-იანი წლების სახელმწიფოებრივ სისტემათა დადებითი გამოცდილების გათვალისწინებით.

შეთქმულთა პირველი მოთავენი დიმიტრი და ოქროპირი განმანათლებლურ იდეებს თანაუგრძნობდნენ. ახლო წრეში დიმიტრი ბატონიშვილს „ქართველ ვოლტერს" ეძახდნენ. ქვეყნის რესპუბლიკური წყობა იტაცებდა ოქროპირ ბატონიშვილსაც.

შეთქმულთა წრე იდეურად ერთგვაროვანი არ ყოფილა. ერთ ნაწილს ძირითად ამოცანად მიაჩნდა მონარქიული წყობილების აღდგენა. მეორე ნაწილი რესპუბლიკურ მართველობას უჭერდა მხარს. რესპუბლიკური იდეების მოთავე იყო სოლომონ დოდაშვილი, რომელიც დაბალი წოდებიდან იყო გამოსული და დიდგვარიანი არისტოკრატიის პრივილეგიებს არ თანაუგრძნობდა. მონარქისტული პროგრამის მომხრეებსაც არ სურდათ საქართველო ძველებურ რეჟიმს დაბრუნებოდა. მათი აზრით დამოუკიდებელი საქართველო ევროპის პოლიტიკური წყობის ყაიდაზე უნდა მოწყობილიყო თავისი სამინისტროებით, თავისი წარმომადგენლობითი დაწესებულებით. საქართველოს მართველობა მათი აზრით აეწყობოდა კონსტიტუციური მონარქიის ყაიდაზე. მართველობის ორ პალატიან სისტემაში ზედა პალატად იგულისხმებოდა მეფე და მისი მინისტრები, ქვედა პალატად დეპუტუტთა საკრებულო საქართველოს ყველა მაზრიდან. მეფედ ნავარაუდევი იყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ნაცადი ალექსანდრე ბატონიშვილი. უკვე განაწილებული იყო მინისტრთა პორტფელებიც (სამხედრო მინისტრი — ალექსანდრე ჭავჭავაძე, ფინანსთა მინისტრი — ნიკო ფალავანდი-

შვილი, შინაგან საქმეთა და განათლებისა — იაგორ ჭილაშვილი, საგარეო საქმეთა — თავ. ბებუთაშვილი, იუსტიციისა — მუხრან ბატონი და სხვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთქმულ ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენებით აჯანყების გამარჯვების მეორე დღესვე უნდა მოწვეულიყო „სეიმი“ და ვიდრე მეფეს აირჩევდნენ, საქართველოს მართველობა სეიმის წევრებისათვის უნდა ჩაებარებინათ. დაუყოვნებლივ უნდა მომხდარიყო მუდმივი ჯარის ორგანიზაცია („რეღულის გაწყობა“). შეთქმულთ შემუშავებული ჰქონდათ ეროვნული ჰიმნი; შეთქმულმა ქალებმა ეროვნული დროშებიც მოქარგეს.

იმ ეპოქის ფონზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შეთქმულთა მემარცხენე ფრთის რესპუბლიკური პროგრამა. ამ ფრთის მესვეურს, იმ დროის უნიჭიერეს ფილოსოფოსს, არ იტაცებდა მონარქიული რეჟიმი. იგი არ თანაუგრძნობდა წოდებრივ პრივილეგიებს და ყველაზე მეტად აწუხებდა საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის — გლეხობის ბედ-იღბალი. სოლომონის აზრით საქართველოს მომავალი წყობილება უმეფო უნდა ყოფილიყო. მართველობის ფორმად იგი „რესპუბლიკის ნაირსახეობას“ მიუთითებდა.

ორთავე ფრთას რუსეთთან საქართველოს მომავალი ურთიერთობა წარმოდგენილი ჰქონდა 1783 წლის ტრაქტატის პირობებში. საშინაო საქმეებში ქვეყანა სუვერენული იქნებოდა, რუსეთთან მისი დამოკიდებულება საგარეო სფეროებით იფარგლებოდა.

შეინიშნება შეთქმულების იდეური ნათესაობა რუს დეკაბრისტებთან. რუსეთის ბედნიერებისათვის წამებული მოღვაწენი — დეკაბრისტები აღტაცებას იწვევდნენ რუსეთის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებში. შეთქმულთა ზოგი წევრი დეკაბრისტთა გამოსვლის მონაწილეც იყო. ზაქარია ჩოლოყაშვილი დაახლოებული იყო პესტელთან, რომელიც რესპუბლიკურ წყობას უჭერდა მხარს. საქართველოში გადმოსახლებული დეკაბრისტები ალექსანდრე და პავლე ბესტუჟევები, ვლადიმერ ოდოევსკი, ვალერიან გოლიცინი, ვლადიმერ ვოლხოვსკი, ვლადიმერ ტოლსტოი, ალექსანდრე განგებლიშვილი და სხვები ახლოს იყვნენ შეთქმულებთან, განსაკუთრებით ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახთან, სადაც სისტემატურად ეწყობოდა ქართველ ინტელიგენციასთან შეხვედრები.

3. შეთქმულების გადაშწყვეტი ეტაპი. ჩავარდნა. სასჯელი. 1832 წლის დამდეგიდან შეთქმულთა საქმიანობა გაცხოველდა. დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო გაზეთ „თბილისის უწყებანის“ ლიტერატურული დამატების („სალიტერატურონი ნა-

წილნი ტფილისის უწყებათანი") გამოცემა. მისი რედაქტორი სოლ. დოდაშვილი ჟურნალის ფურცლებზე, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ცენზურის პირობებში, პროპაგანდას უწევდა ეროვნულ განმათავისუფლებელ იდეებს, საჯანყებო განწყობილებას. შეთქმულებს მიაჩნიათ, რომ დადგა ხელსაყრელი მომენტი გამოსვლისათვის: მუსლიმურ სამყაროში დაიწყო მღელვარება. ეგვიპტის ფაშა ოსმალეთს უტევს, ევროპისა და რუსეთის ყურადღების ცენტრი გადატანილია კონსტანტინეპოლზე, რუსეთი ამზადებს საექსპედიციო კორპუსს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების დაპატრონებისათვის. ევროპაში ისევ გაჩაღებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ზაფხულზე შეთქმულნი გადადიან გამოსვლისათვის პრაქტიკულ მზადებაზე. პეტერბურგიდან საგანგებოდ ჩამოსული გიორგი და დიმიტრი ერისთავები აძლიერებენ შეთქმულთა ბირთვის საქმიანობას. გამოსვლის დღე ინიშნება 20 ნოემბერი — თავადაზნაურთა წინამძღოლის არჩევნების დღე. შემუშავდა ამ დღეს სამოქმედო კონკრეტული გეგმა, რომელიც ცნობილია „პირველი ღამის განკარგულების" სახელწოდებით.

ამ დოკუმენტის მიხედვით აჯანყება თბილისში უნდა დაწყებულიყო. მისი საბაბი იქნებოდა სალდათობის საწინააღმდეგოდ გამოსვლა. წინა დღეებში საგანგებო პირებს ხმა უნდა გაევრცელებინათ რომ მთავრობა იძულებით აწესებს გლეხობის ჯარში გაწვევასო და მის წინააღმდეგ განეწყოთ მოსახლეობა. ქალაქის მსხვილი მოხელეობა უნდა მიეწვიათ ნადიმზე ალექსანდრე ორბელიანის ოჯახში და იქ გაესწორებინათ მათთვის ანგარიში. ღამის პირველ საათზე შუშხუნები, ეკლესიათა ზარები, მუსიკა ამცნობდა ქალაქს აჯანყების დაწყებას. განგაშზე თავშეყრილ მოსახლეობას დააფიცებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ერთგულებაზე. მოხაზული იყო იერიშის მთავარი პუნქტები: დიმიტრი ორბელიანს დავალებული ჰქონდა ციხის აღება, გიორგი რევაზის ძე ერისთავს — შეტევა რუს ჯარისკაცთა ყაზარმებზე. ცალ-ცალკე ჯგუფებად იერიშები განხორციელდებოდა იარაღის საწყობზე (არსენალზე), სასურსათო პუნქტებზე, „ხაზინაზე" და სხვ.

შეთქმულთა ვარაუდით თბილისში მოპოვებული გამარჯვება წააქეზებდა ქართლისა და კახეთის თავადობას. ისინი ქუდზე კაცს გამოიყვანდნენ, რაც რეგულარულ ჯარის საფუძველი გახდებოდა. რეგულარული არმიის სარდლებად შერჩეული

იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, ივანე აფხაზი, გიორგი ერისთავი. ქვეყნის მართველობას დაუყოვნებლივ ჩაუდგებოდა სათავეში დროებითი ხელისუფლება, რომელიც თანდათან გახალხურ ციელებდა ახლებურ ყაიდაზე საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ღონისძიებებს.

შეთქმულებმა ვერ მოახერხეს ჩანაფიქრის 20 ნოემბრისათვის განხორციელება. აჯანყება ერთი თვით გადაიდო. დეკემბრის პირველი რიცხვები განსაკუთრებით ინტენსიური მოქმედებით ხასიათდებოდა. შეთქმულნი ყოველდამ საიდუმლოდ იკრიბებოდნენ ალექსანდრე ორბელიანის ბინაზე და აზუსტებდნენ გამოსვლის დეტალებს. დამამთავრებელ ეტაპზე შეთქმულება გასცა მისმა ერთერთმა მონაწილემ იასე ფალავანდიშვილმა. 9 დეკემბრის თარიღით დაწერილ დასმენაში მან ქალაქის გუბერნატორს — თავის ძმას ნიკო ფალავანდიშვილს, დაწვრილებით გააცნო შეთქმულთა მოქმედების გეგმა, დაასახელა აჯანყების მონაწილენი. მთავრობა მეორე დღესვე შეუდგა აჯანყების მოთავეთა დაპატიმრებას. დაპატიმრებულნი ავლაბრის ყაზარმებში გამოამწყვდიეს. მთავრობის საგანგებო კომისია იმპერატორ ნიკოლოზ I განკარგულებით შეუდგა შეთქმულთა საქმის გამოძიებას. მთავრობის კომისია დეტალურად იკვლევდა შეთქმულთა საქმიანობას. პატიმრები ღირსეულად იქცეოდნენ. ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ დაეფარათ თანამზრახველები, „რაც უნდა გვტანჯონ, არ გამოვტყდეთ“ — ასეთი იყო მათი დევიზი, მაგრამ დასმენის გამო ყველაფრის დაფარვა შეუძლებელი იყო. ამის გამო შეთქმულთა მესვეურებმა უმჯობესად ჩათვალეს მათი საქმიანობისათვის მიეცათ პრიმიტიული ხასიათი, დაეფარათ მისი პოლიტიკური პროგრამული საფუძველი.

1834 წლის 10 თებერვალს ყველა ბრალდებული გაასამართლეს თბილისში „სამხედრო წესდების“ მიხედვით. მთავარ დამნაშავეებად ცნობილ იქნენ ელ. ერისთავი, ალ. ორბელიანი, ს. დოდაშვილი, მოლა ზამანა, ლ. ორბელიანი, დ. პაუშენკო, ვახტ. ორბელიანი, სოლ. რაზმაძე გ. ერისათვი, ზ. ჩოლოყაშვილი. ყველა მათ სიკვდილით დასჯა მიესაჯათ. მთავარმართებელმა როზენმა პეტერბურგში გაგზავნა განაჩენი, თანაც ითხოვა მისი შემსუბუქება.

როზენს არ აწყობდა აჯანყებისათვის მიეცა ცარიზმის წინააღმდეგ პოლიტიკური გამოსვლის ხასიათი, რადგან ამით მისი რეპუტაციაც ილახებოდა. შეთქმულება მან მონათლა რამდენიმე პირის

ბოროტ განზრახულობად, ამასთან ხაზგასმით მიუთითა საიმპერა-
ტორო ტახტისადმი ქართველი თავადაზნაურობის ერთგულებაზე.
რუსეთის იმპერატორს, რომელიც უმკაცრესი ღონისძიებებით
უსწორდებოდა ყველა სახის გამოსვლას ტახტის წინააღმდეგ, ცხა-
დია ქართველ შეთქმულთათვის უმკაცრესი სასჯელის მისაგებად
ხელი არ აუკანკალდებოდა. მაგრამ რიგი გარემოებანი მას აი-
ძულებდა ლმობიერება გამოეჩინა.— სწორედ ამ დროს კავკასიის
მთიანეთში მიმდინარეობდა შეუპოვარი ბრძოლა რუს დამპყრობთა
წინააღმდეგ და ცარიზმს სჭირდებოდა ქართველი თავადაზნაურე-
ბის მხარდაჭერა. მეორეც, ცარიზმი სწორედ ამ ხანებში გაუსწორ-
და უსასტიკესი ზომებით პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის ბრ-
ძოლის მოთავეებს, რამაც ევროპაში საკმაოდ შეარყია მისი ავტორი-
ტეტი. ქართველთა შეთქმულების პოლიტიკურ აქტად გამოცხადება
და მისთვის მორიგი ანგარიშგასწორება ამ გულისწყრომას კიდევ
უფრო გააღრმავებდა. ალ. ორბელიანს კარგად აქვს შენიშნული
ცარიზმის ჩანაფიქრი. მოგონებებში იგი აღნიშნავს: „იქამდისინ ოს-
ტატნი არიან რუსეთის მთავრობა, რომ იძულებულ ქმნილთა და შე-
წუხებულებს — ყველას ათქმევინეს, შეთქმულები და სხვანიც მრა-
ვალნი ალაპარაკეს, რომ რაც მოხდა, ეს მამულის გამოხსნის
შეთქმა არ არის, სხვას მნიშვნელობას აძლევდნენ, რაღაც სხვა
მიზეზებს. ეს რუსეთის მთავრობის საიდუმლო არის, რომელიც იმან
უნდა იცოდეს და სხვამ არავინ, რისთვისაც სდებდა სხვა მიზე-
ზებსა“.

ცარიზმის კავკასიაში გაბატონებას არ თანაუგრძობდნენ ინგ-
ლისი და საფრანგეთი. ნიკოლოზ პირველს არ აწყობდა გაემჟღავ-
ნებინა, რომ მისი მმართველობა შეუთავსებელი იყო ხალხის ინტე-
რესებთან და საქართველო მიილტვოდა სახელმწიფო დამოუკიდებ-
ლობისაკენ.

ამიტომ მოხდა, რომ სენატმა მსჯავრდებულნი შეიწყალა. მთა-
ვარი დამნაშავენი სხვადასხვა ვადით რუსეთში გადაასახლეს.
ელიზბარ ერისთავი გადაასახლეს ფინეთში, ალ. ორბელიანი —
ორენბურგში, ს. დოდაშვილი — ვიატკაში, ალ. ჭავჭავაძე — ტამბოვ-
ში, ს. რაზმაძე — პენზაში, დ. ყიფიანი — ვოლოგდაში, დ. ერისთა-
ვი პოლონეთში და სხვა. ასევე დაფანტა მთავრობამ შეთქმულება-
ში გამჟღავნებული ქართველი ბატონიშვილები.

5. 1832 წლის შეთქმულების ისტორიული მნიშვნელობა. 1832
წლის შეთქმულება ქართველი ინტელიგენციის პირველი ორგანიზე-
ბული შეიარაღებული გამოსვლის ცდაა ქართული სახელმწიფოებ-
რიობის აღსადგენად. იგი არსებითად განსხვავდებოდა წინა

პერიოდის მასობრივ აჯანყებებისაგან იმით, რომ გარკვეულ პროგრამას შეიცავდა და ითვალისწინებდა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას ევროპული განმანათლებლობის პრინციპების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთქმულებაში ჩაბმული იყო XIX ს. 20-30-იანი წლების მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენცია. ამდენად შეთქმულება იმის ნათელი მოწმობაა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეები თანდათან იდგამდა ფესვებს საქართველოში.

შეთქმულებისათვის მზადების მთელი პერიოდი ხასიათდებოდა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით. განსაკუთრებით საყურადღებო მოვლენა იყო ქართული პრესის საქმიანობა. ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", რომელიც შეთქმულთა პოლიტიკური ორგანო იყო, ემსახურებოდა ქართული კულტურის წინსვლის, ქართული ენის, ლიტერატურის აღორძინების საქმეს. იგი თავის გარშემო იკრებდა და რაზმავდა ერის რჩეულ შვილებს, აღვივებდა მათ საბრძოლო განწყობილებას. ჟურნალის ფურცლებზე დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილები, ლექსები, მოთხრობები განმსჭვალული იყო სამშობლოს თავისუფლებისათვის თავგანწირვის სულისკვეთებით.

„ჟამი არს მტერი მამულის მივცეთ მახვილსა ლესულსა!" — ნათქვამია გივი ამილახვარის აღსარებაში, რომელიც გრ. ორბელიანის მიერაა დაწერილი და გამიზნული იყო ჟურნალში დასაბეჭდად. რედაქციის არქივში, რომელიც დაპატიმრების ჟამს ჩამოართვეს ს. დოდაშვილს, არის მოსახლეობაში გასავრცელებლად გამიზნული პროკლამაციები და საამბოხო ლექსები. ერთერთ ანონიმურ ლექსში, რომელსაც მკვლევარები იოანე ბატონიშვილს მიაწერენ, იმდროინდელი საქართველოს ვითარება ასეა დახატული: „სკვით წაგვართვეს მთლად ქვეყანა, არც კი მოგვცეს კაცი ერთი; ქართლ-კახეთსა არ დაჰჯერდნენ, ზედ დაიდვეს იმერეთი. მწირობაში დავგლახავდით, შემწე არ გვყავს არცა ერთი, შევთხოვთ ზენას სამართალსა, ვნახოთ ვითა განსჯის ღმერთი".

1832 წლის შეთქმულება ეხმაურებოდა ევროპის მცირე ერების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. იგი მჭიდრო კავშირში იყო პოლონელი ხალხის ბრძოლასთან ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ასეთი ხასიათის მოძრაობანი უპირისპირდებოდა ცარიზმის იმპერიულ ინტერესებს, ბიძგს აძლევდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას და ზოგ შემთხვევაში აიძულებდა მას ერთგვარად შეემსუბუქებინა კოლონიური ჩაგვრის უღელი.

1832 წლის შეთქმულებამ ბიძგი მისცა მომდევნო თაობის ეროვ-

ნული სულისკვეთების გაღვივებას. ამის ნათელი მოწმობაა ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მისი თაობის გამოსვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე. ნ. ბარათაშვილის გენიალურ მხატვრულ ქმნილებებს საფუძვლად ედო შეთქმულთა იდეოლოგია. შეთქმულებმა ილია ჭავჭავაძის შეფასებით ცხოვრების ხნულში ჩათესეს ის კეთილშობილური იდეალები, რომლებმაც იხარა და ნაყოფი გამოიღო 60-70-იან წლებში. ილია 70-იანი წლების ქართულ პრესას, რომელიც ეროვნულ იდეალებს ნერგავდა, თვლიდა სოლომონ დოდაშვილის მემკვიდრედ.

§ 5 საქართველოს ეკონომიკური და სოციალური ვითარება XIX ს. პირველ ნახევარში

1. ეკონომიკური განვითარება. XIX ს. დამდეგისათვის საქართველო ეკონომიკურად გაღარიბებულ ქვეყანას წარმოადგენდა. ცხოვრების ყველა დარგში იგრძნობოდა წინა საუკუნეთა მანძილზე მტერთა გამაჩანაგებელი შემოსევების, მოსახლეობის ნაწილის ამოწყვეტის, ან ტყვეებად წაყვანის, ხარკის, ფეოდალურ-ბატონყმური ექსპლუატაციის მძიმე შედეგები. მდგომარეობა უკეთესობისაკენ არ შეუცვლია რუსთა ბატონობის დამყარებას. კავკასიის პოლიტიკური დაპყრობისათვის გაჩაღებული ომების ეკონომიკური ხარჯები ცარიზმმა ძირითადად ადგილობრივ მოსახლეობას დააკისრა. ქართველობა მეფის არმიის მომსახურებით იყო დაკავებული და მოკლებული იყო საკუთარი მეურნეობის წარმართვის შესაძლებლობას. ცარიზმს, მართალია საქართველოში დამკვიდრებისთანავე გაუჩნდა სურვილი მისი ეკონომიკური ათვისებისა, მაგრამ ომის ვითარებაში ეს არ შეეძლო და უპირატესად დაზვერვითი ხასიათის ღონისძიებებით კმაყოფილდებოდა, ამასთან ადგენდა გეგმებს მისი შემდგომი კოლონიური ათვისებისათვის.

30-40-იან წლებში ვითარება შეიცვალა. კავკასიის დაპყრობისათვის საომარი ოპერაციები ძირითადად დასრულდა და მყუდროება დამყარდა. მშვიდობიან ვითარებაში შესამჩნევი გახდა მოსახლეობის ზრდა და მისი სამეურნეო საქმიანობის დაწინაურება, გადიდდა ნათესების ფართობი, გაიზარდა მოყვანილი მარცვლეულის რაოდენობა. დაწინაურდა მევენახეობა, მებაღეობა — მებახჩეობა და ინტენსიური მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიცაა მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოება, მებამბეობა და სხვ. ჭარბი პროდუქციის ვითარებაში გაცხოველდა საბაზრო-ფულადი ურთიერთობანი. სოფ-

ლის მეურნეობის ნაწარმი ამ დროიდან რუსეთში და საზღვარგარეთაც გაქონდათ. განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებდა ქართული ღვინო, რომელიც მეტი და მეტი რაოდენობით გადიოდა რუსეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნის სამეუნეო წინსვლას თან ახლდა ქალაქების დაწინაურება, მათი სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობის გაცხოველება. იგი პირველყოვლისა დაეტყო თბილისს, რომლის მოსახლეობამ შესამჩნევად იმატა. თბილისთან ერთად, იზრდებოდნენ სამაზრო ქალაქები — თელავი, სიღნაღი, გორი. ჭრილობებს თანდათან იშუშებდა და წინაურდებოდა ქუთაისის და დასავლეთ საქართველოს სამაზრო ქალაქები. სწრაფად ვითარდებოდა ხელოსნური წარმოებანი; ჩნდებოდა კაპიტალისტური ხასიათის მანუფაქტურები, აბრეშუმის, შაქრის, მინის, ტყავის, საპნის, აგურის წარმოებანი. 1852 წლისათვის თბილისის გუბერნიაში 154 საწარმო არსებობდა, ხოლო 10 წლის შემდეგ მათმა რაოდენობამ 400-ს გადააჭარბა.

სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საქმიანობის აღმავლობას თან მოჰყვა ვაჭრობის ზრდა. ამას ხელი შეუწყო ფეოდალურ საბაჟოთა გაუქმებამ. გაიზარდა უცხოეთთან ვაჭრობა, რასაც დიდად შეუწყო ხელი ე. წ. „შეღავათიანი ტრანზიტის“ შემოღებამ. ოციან წლებში თბილისელი ვაჭრები მომრავლდნენ ევროპის ბაზრებზე. იქედან შემოტანილი საქონლის ნაწილი საქართველოში საღდებოდა, ნაწილი ირანში გაქონდათ. თბილისში წარმოიშვა კომერციული სახლები. აღმოცენდა იარმარკები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. თბილისელი ვაჭრები მომრავლდნენ ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე. რუსეთიდან უპირატესად შემოქონდათ ბამბის, სელის, შალის და აბრეშუმის ქსოვილები, რკინისა და ფაიფურის ნაწარმი, შაქარი, პურის ფქვილი და სხვ. ევროპის ქვეყნებიდან — ძვირფასი ღვინოები, ყავა, საღებავები, სანელებლები, შაქარი, ფოლადი, ტყვია და სხვ. ირანიდან — აბრეშუმისა და შალის ქსოვილები, გამოყვანილი ტყავი, ხმელი ხილი და სხვა აზიური საქონელი. თბილისელ ვაჭრებს ნაირ-ნაირი საქონელი გაქონდათ რუსეთში და საზღვარგარეთ. ნოვგოროდის იარმარკაზე 1850 წელს თბილისელ ვაჭრებს ჩაუტანიათ 1.195019 მანეთის საქონელი. დასავლეთ საქართველოდან სიმინდის დიდი რაოდენობა გაქონდათ ინგლისში და ირლანდიაშიც კი.

უცხოეთთან თავისუფალი ვაჭრობა არ უპასუხებდა რუსეთის კოლონიურ ინტერესებს, მაგრამ ცარიზმი იძულებული იყო დაეშვა იგი დროებით მაინც, რადგან ომის ვითარებაში თვითონ ვერ აუდიოდა ქვეყნის უზრუნველყოფას საჭირო პროდუქციით. ირანთან და თურქეთთან ომები რომ წარმატებით დაამთავრა, ცარიზმი გადავიდა

ამიერკავკასიის ეკონომიკური ათვისების ღონისძიებებზე. მან შეცვალა ვათიანი ტრანზიტი 1836 წელს შეცვალა „ამკრძალავი ტარიფით", რითაც გზა გადაუკეტა უცხოეთის ქვეყნებთან თავისუფალ ვაჭრობას და გზა გაუხსნა რუს ვაჭრებს თავის კოლონიაში. ამ დროიდან ცარიზმმა გამოკვეთა საქართველოს, როგორც კოლონიის მიმართ თავისი პოზიცია. საქართველოს ეკისრებოდა რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებისათვის ნედლეულის მიწოდება, სამაგიეროდ რუსეთი აქ იმკვიდრებდა ბაზარს თავისი პროდუქციის გასაღებისათვის.

2. სოციალური ურთიერთობანი. XIX საუკუნის პირველი ნახევარი ხასიათდება ქართველი ხალხის სოციალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებებით, რაც ერთის მხრივ კოლონიური მართველობის, მეორეს მხრივ ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის კრიზისით იყო შეპირობებული.

რუსეთის მართველობამ საბატონო გლეხთა ერთი ნაწილი სახაზინოდ აქცია, ე. ი. უშუალოდ სახელმწიფოს დაუქვემდებარა და მას ბეგარასთან ერთად ფულადი გადასახადები დააკისრა. საბატონო გლეხობაში საუკუნის პირველ მესამედში ბეგარა-გადასახადების მხრივ არსებითი ცვლილებანი არ მომხდარა, მაგრამ თავადაზნაურთა ინტერესებიდან გამომდინარე, აქაც ფულადი რენტა თანდათან გაბატონებულ მდგომარეობას იკავებდა. ტრადიციულ ფეოდალურ ვალდებულებებს (ბეგარა, ღალა, კულუხი, მახტა და საური, საუდიერო და სხვ.) თან დაერთო საომარი მდგომარეობით გამოწვეული ვალდებულებანი, რაც მართალია, დროებითი ხასიათისა იყო, მაგრამ მძიმე და აუტანელი გლეხობისათვის.

ქვეყნის თანდათანობითი ეკონომიკური წინსვლა, რამაც კავკასიაში ომიანობის დაცხრომის შემდეგ იჩინა თავი, თავისებურ გავლენას ახდენდა სოფელზეც. გლეხი ჩაება სავაჭრო — სამრეწველო საქმიანობაში, გავიდა საშოვარზე. უმიწო და მცირემიწიანი გლეხობა მიაწყდა ქალაქებს, რათა დაეგროვებინა თანხა სახელმწიფოს და მემამულის გასასტუმრებლად. ახალ ეკონომიკურ პროცესებში ჩაბმულ გლეხთაგან ნაწილი მოღონიერდა, დიდი ნაწილი მოსწყდა რა საკუთარ მეურნეობას, დაქირავებული მუშა-ხელის მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამგვარად, გლეხთა კლასში თავი იჩინა შინაგანმა დიფერენციაციამ. უმცირესობის ქონებრივმა მატებამ სოფლად წვრილბურჟუაზიული-კულაკური ბირთვის შექმნა შეაპირობა. გლეხობის დიდ უმრავლესობას თავისივე კლასიდან ახალი ექსპლუატატორი შეემატა.

რუსული მართველობა ცდილობდა, რომ ბატონისა და ყმის დამო-

კიდებულება საქართველოშიც რუსეთის მსგავსად აეწყო, მაგრამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ეს ვერ შეძლო. ძველი ფეოდალური ვალდებულებანი არსებითად ძალაში დარჩა. გლეხის მდგომარეობა დამძიმდა სახელმწიფო ვალდებულებებით.

სოციალური ხასიათის ცვლილებანი შეეხო თავადაზნაურობასაც. რუსეთის მონარქიული წყობილება მართალია, საერთოდ თავადაზნაურთა ინტერესებს იცავდა, მაგრამ იგი არ შერიგებია პოლიტიკურ იმუნიტეტს, რომლითაც ქართველი თავადაზნაურობა სარგებლობდა. რუსულმა მართველობამ საქართველოში მოშალა ე. წ. სათავადოთა სისტემა და თავადაზნაურობა უფლებრივად რუს „პომეშჩიკებს" გაუთანაბრა. გაუქმდა მოურავობის ინსტიტუტიც, ამრიგად ქართველმა წარჩინებულმა წოდებამ დაკარგა მართვა-გამგეობის სამემკვიდრო პრივილეგიები.

თავადაზნაურთა ერთი ნაწილი რუსული მართველობის სამსახურში ჩაება. ამ მხრივ ფართო ასპარეზი მას ცარიზმის მიერ წამოწყებულ ომებში გადაეშალა. კარიერასა და ჩინ-მედლებს დახარბებული თავადობა განსაკუთრებით აქტივობდა ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ ომებში და კავკასიის მთიელთა დაპყრობითს ოპერაციებში. ბევრმა ქართველმა წარჩინებულმა მაღალ სამხედრო ხარისხს მიაღწია და მთავრობის ჯილდოები დაიმსახურა.

რუსულმა მართველობამ შეცვალა აზნაურობის ადრინდელი მდგომარეობა. საეკლესიო აზნაურები გათავისუფლდა ეკლესიის დამოკიდებულებიდან. 1833 წლის კანონით სათავადო აზნაურებმაც მოიპოვეს დამოუკიდებლობა, მაგრამ ყოფილ პატრონებთან სამამულო გამიჯვნის პროცესი სირთულეებთან იყო დაკავშირებული და დიდხანს გრძელდებოდა. თავადობისა და აზნაურობის ქონებრივი — სამამულო გათიშვა ხელს უწყობდა მსხვილი თავადური მიწათმფლობელობის რღვევას.

თავადობა ძველი პრივილეგიების დაკარგვის ვითარებაში შეეცადა სახაზინო ხელყოფისაგან ყმა-მამული შეენარჩუნებინა. მთელმა რიგმა სათავადო სახლებმა (მუხრანბატონები, ამილახვრები, დავითაშვილები, ვაჩნაძეები, ანდრონიკაშვილები და სხვ.) საერთო ყმა-მამულების საგვარეულოში დაყოფას მიჰყვეს ხელი: ცარიზმი თვითონ იყო დაინტერესებული საქართველოში მსხვილი მიწათმფლობელობის მოსპობით და ამ პროცესს ხელს უწყობდა.

რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველი თავადაზნაურობა გამოვიდა კარჩაკეტილობიდან. ახალი ვითარებისათვის შეგუების მისწრაფებამ მისი მოთხოვნილებანი გაზარდა. ფუფუნებით ცხოვრებისათვის საჭირო სახსრებისათვის ძებნაში ერთის მხრივ დამ-

ძიმდა ყმური მოსახლეობის ექსპლუატაცია, მეორეს მხრივ გახშირდა მეურნეობის ახლებურ ყაიდაზე მოწყობის მისწრაფებანი. მემამულეთა ერთმა ჯგუფმა (დიმიტრი აფხაზი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ, თორნიკე, გრიგოლ ანდრონიკაშვილები, ივანე ძუხრანბატონი, ნიკო ჩიჯავაძე, კონსტანტინე და მიხეილ ერისთავები, ივანე სულხანიშვილი და სხვ.) ხელი მიჰყვეს მეურნეობის რაციონალიზაციას იმ მიზნით, რომ გაეზარდათ შრომის ნაყოფიერება. მათ ევროპის ქვეყნებიდან შემოიტანეს გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო მანქანები და შეეცადნენ მეურნეობის ევროპულ ფერმერულ ყაიდაზე მოწყობას. მაგრამ ასეთი მეთაოსნე მემამულეთა რიცხვი ძლიერ მცირე იყო. იგი თავადაზნაურთა საერთო რაოდენობის სამ პროცენტამდეც ვერ აღწევდა. ასეთ წამოწყებებს ბატონ-ყმობის ვითარებაში ფართო გასაქანი არ ქონია. თავადურ მეურნეობათა დიდი უმრავლესობა ისევ მამა-პაპურ წესებზე იყო აწყობილი და საკმაო შემოსავალს ვერ იძლეოდა.

რუსულმა მართველობამ თავისი ინტერესების შესაბამისად ცვლილებები განახორციელა საეკლესიო ცხოვრებაშიც. ქართლ-კახეთში მანამ არსებული 13 ეპარქია მან ორამდე დაიყვანა. მთელი საეკლესიო ქონება აღრიცხა და სინოდს დაუქვემდებარა. დაბალი სამღვდელოების გული ერთგვარად მოიგო იმით, რომ იგი საბატონო ბეგარა-ვალდებულებებისაგან გაათავისუფლა და მოაქცია სახაზინო უწყებაში.

სასაქონლო — ფულად ურთიერთობათა გაფართოებამ საქართველოს ქალაქებსაც სახე შეუცვალა. გაჩნდა ვაჭრული ფენა, რომელიც ეკონომიკურ ცხოვრებაში თანდათან მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა. ქალაქების მოსახლეობის რიცხობრივმა ზრდამ მომსახურე პერსონალის გადიდება გამოიწვია. თანდათანობით მრავლდებოდა წვრილბურჟუაზიული ე. წ. „შუალედური“ ფენები. წვრილბურჟუაზიული მოსახლეობა არ წარმოადგენდა კომპაქტურ სოციალურ ერთეულს. მასში ვაჭრებისა და ხელოსნების გარდა შედიოდნენ დღიური მუშები, რომლებიც ლუკმა-პურის მოსაპოვებლად უმძიმეს შრომას ეწეოდნენ. საქართველოს ქალაქური წვრილბურჟუაზიული ფენა თანდათან მრავლდებოდა და იგი საქალაქო ცხოვრების კოლორიტს განსაზღვრავდა. ეს ფენა, ამასთან, ძირითადი ძალა იყო ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა რღვევის პროცესში.

3. გურიის აჯანყება 1841 წელს. 1841 წელს დიდი მასშტაბის აჯანყება მოხდა გურიაში. ეს აჯანყება თავისი ხასიათით ასახავდა იმ სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებს, რომელსაც ადგილი

ჰქონდა დასავლეთ საქართველოში XIX ს—. 40-იან წლებში ფეოდალურ-ბატონყმური ექსპლუატაციის ზრდისა და კოლონიური ჩაგვრის გამწვავების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორმხრივი ჩაგვრით სულშეწუხებული მოსახლეობა თავისი ადამიანური უფლებების დასაცავად სხვადასხვა ზომას მიმართავდა. სამაზრო და საგუბერნიო მართველობის სახელზე ათასობით საჩივრები შედიოდა, მაგრამ უშედეგოდ. იმედგაცრუებული გლეხები ურჩობას იჩენდნენ და უარს ამბობდნენ დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებაზე.

ურჩობის ათეულობით შემთხვევებია აღრიცხული აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში. რუსული მართველობის წინააღმდეგ იარაღით ბრძოლას აქტიური ხასიათი მიეცა ქართლში, განსაკუთრებით ოს მოსახლეობაში, აგრეთვე კახეთსა და იმერეთში.

ამ გამოსვლათა შორის ყველაზე მასობრივი იყო გურიის გლეხთა აჯანყება, რომელმაც იმერეთის რიგი სოფლებიც მოიცვა.

გურიის მცირემიწიანი გლეხობა თავიდანვე სულშეხუთული იყო ფეოდალური ვალდებულებითა და სახელმწიფო გადასახადებით: 1841 წელს მთავრობამ განიზრახა გადასახადები ფულადი სახით აეკრიფა. მთავრობის მოხელეები გურიაში თვითნებურად იქცეოდნენ და ტყავს აძრობდნენ დამშეულ მოსახლეობას. ხალხის მოთმინების ფიალა იმითაც აივსო, რომ დაირხა ხმები სალდათობაში გაწვევის შესახებ.

პირველი გამოსვლები 1841 წლის მაისის თვეში დაიწყო. მოსახლეობამ უარი სთქვა სახაზინო გადასახადზე და მთავრობის მხრივ დარბევის თავიდან ასაცილებლად დაიწყო შეიარაღებული რაზმების შექმნა. მოძრაობის ცენტრი გახდა სოფელი აკეთი. შეიარაღებული რაზმები ხატზე იფიცებდნენ აჯანყებისადმი ერთგულებას. მოძრაობის ტალღა სწრაფად იზრდებოდა და ახალ-ახალ სოფლებს ედებოდა. აჯანყების მოთავეებიდან აქტივობითა და სიმამაცით გამოირჩეოდნენ გოგია, ენუქა და ათანასე ვადაჭკორიები, ოთარ და ნიკოლოზ თოიძეები, გოგია და როსტომ მამინაიშვილები, აზნაურებიდან — ა. ბოლქვაძე, ს. გოგოლაშვილი, თავადებიდან — ა. შალიკაშვილი, ქ. გუგუნავა და სხვები. აჯანყებულთა რიცხვმა მალე შვიდიათას კაცს გადააჭარბა. მათ ხელში მოექცა გურიის სტრატეგიული ადგილები. 7 აგვისტოს აჯანყებულთა დიდი ლაშქარი სოფელ გოგორეთთან შეეტაკა პოლკოვნიკ ბრუსილოვის რაზმს და დაამარცხა იგი. აჯანყებულებმა გადაკეტეს ქუთაისთან დამაკავშირებელი გზები. ხელისუფლების განკარგულებაში მხოლოდ ოზურგეთი

აღმოჩნდა. ეს სამაზრო ცენტრიც ყველა მხრიდან ალყა შემორტყმული იყო.

აჯანყებას პირველ ხანებში თანაუგრძნობდა გურული აზნაურობაც, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას ვარაუდობდა. მაგრამ მალე აზნაურ და გლეხ წინამძღოლთა შორის თავი იჩინა განხეთქილებამ. წარჩინებული წოდება არა თუ ჩამოცილდა აჯანყებას, არამედ ფაქტიურად მონაწილეობდა კიდეც მის ჩახშობაში. გურიის დიდკაცობას წამოეშველა სამეგრელოს და იმერეთის თავად-აზნაურთა რაზმი, მაგრამ აჯანყებულებმა ისინი დაამარცხეს. აჯანყებულთა მთავარი იერიშები ამის შემდეგ ოზურგეთის ციხე-სიმაგრეზე იქნა მიტანილი, მაგრამ მას წარმატება არ ჰქონია.

გურიის აჯანყების საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენებას შეეცადა ოსმალეთი, რომელსაც ხელს აძლევდა აქ რუსული მფლობელობის დამხობა. ქობულეთის ბეგი ჰაიდარ თავდგირიძე თავიდანვე აქეზებდა გურულებს რუსების წინააღმდეგ. აჯანყებულთა დასახმარებლად თავისი რაზმიც გამოგზავნა, მაგრამ ქუთაისის გუბერნატორის მკაცრი გაფრთხილების შემდეგ იგი აჯანყებას გამოეთიშა.

ქუთაისის გუბერნატორმა გურიაში აჯანყების ჩასახშობად გაგზავნა რეგულარული არმია პოლკოვნიკ არღუთინსკ-დოლგორუკოვის მეთაურობით. 5 სექტემბრის გადამწყვეტ ბრძოლაში გურული ამბოხებულები დამარცხდნენ. მთავრობამ აჯანყების მოთავე 50 კაცი დააპატიმრა და სამხედრო წესებით გაასამართლა, მაგრამ გლეხთა შემდგომი აჯანყების შიშით მათ მიმართ იოლი სასჯელით დაკმაყოფილდა.

4. საზოგადოებრივი მოძრაობა 40-50-იან წლებში. 1832 წლის შეთქმულების მარცხმა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მძიმე დარტყმა მიაყენა. ამ მოძრაობის მოთავენი ცარიზმმა შორეულ რუსეთში გადაასახლა. რეპრესიების გაძლიერების გამო კულტურული კერების საქმიანობა ჩაკვდა. აიკრძალა ქართული გაზეთი და ჟურნალი.

ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ქვეყანას ეზრდებოდა ახალგაზრდა ძალები, რომლებიც შეთქმულთა იდეოლოგიის აღორძინებისათვის იღვწოდნენ. ეროვნული მოძრაობის ახალი კერა გაჩნდა თბილისის გიმნაზიაში. აქ მოსწავლეთა ჯგუფმა, რომელშიაც შედიოდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, დავით მაჩაბელი და სხვები გამოსცა ორი ხელნაწერი ჟურნალი, რომლებშიაც აღძრული იყო ეროვნული მოაძრაობის იგივე პრობლემები, რაც თავის დროზე შეთქმულებმა დააყენეს.

ქართულ საზოგადოებრივ აზრს აწუხებდა შებოჭილობა. იგი გასაქანს ეძიებდა, რათა ფეხი აეწყო იმ დროის რუსეთისა და ევროპის დემოკრატიული მოძრაობისათვის. 1838 წელს ინტელიგენციამ და აყენა საკითხი ქართული ჟურნალის გამოცემის შესახებ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. 1842 წელს კვლავ აღიძრა ეს საკითხი. 27 კაცის ხელმოწერით მთავრობას წარედგინა დოკუმენტი („გამოცხადება"), სადაც დასაბუთებული იყო ქართული ჟურნალის დაარსების აუცილებლობა. ამ მნიშვნელოვან დოკუმენტში მითითებულია წინა ეპოქებში ქართული კულტურის მაღალ დონეზე და გამოთქმულია საყვედური იმის გამო, რომ ახლა, როცა „განათლებული საუკუნე დადგა", „სიბნელის ფარდა" გვიხშობს მხედველობასო. საზოგადოებრივ საქმიანობაში 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჩაება ახალი თაობა, რომელმაც გეზი აიღო ერის თვითშეგნების ამაღლებაზე, ნ. ბარათაშვილის თაოსნობით გადაწყდა დაწერილიყო საქართველოს ისტორია. ამ საქმეში ახალგაზრდობას მხარში ამოუდგა ღრმად განსწავლული ისტორიკოსი და ფილოსოფოსი პლატონ იოსელიანი. შეთქმულთა იდეური ჩანაფიქრი დიდი მხატვრული ოსტატობით გადმოსცა ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავის პოემაში „ბედი ქართლისა".

30-იანი წლების მიწურულში საზოგადოებრივი მოძრაობა კვლავ აღმავლობის გზაზე დადგა. გადასახლებიდან დაბრუნდნენ გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, ალექსანდრე ორბელიანი და სხვები, რომლებიც ისევ გატაცებით ჩაებნენ ეროვნულ მოძრაობაში. კვლავ აღორძინდა თბილისის ლიტერატურული სალონების შემოქმედებითი საქმიანობა. დედაქალაქის საზოგადოებრიობა განსაკუთრებით ელტვოდა ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მანანა ორბელიანის ლიტერატურულ სალონებს, სადაც გარდა ქართველობისა, თავს იყრიდნენ სტუმრები რუსეთიდან და ევროპის ქვეყნებიდან.

ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის გაჩაღებულ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდა პეტერბურგსა და მოსკოვში გასახლებული, ან უმაღლესი განათლების მისაღებად იქ წასული ინტელიგენცია. 1841 წელს პეტერბურგში თეიმურაზ ბატონიშვილის, ნიკო ჩუბინაშვილის, ზ. ფალავანდიშვილის თაოსნობით დაიბეჭდა შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი". ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობდა ფრანგი ისტორიკოსი მარი ბროსე, რომელიც საგანგებოდ დაინტერესდა საქართველოს ისტორიით, მისი ღრმად შესწავლის მიზნით პეტერბურგში გადმოვიდა საცხოვრებლად და მჭიდრო კონტაქტი დაამყარა ქართველ მოღვაწეებთან. მარი ბროსემ დიდი ღვა-

წლი დასდო საქართველოს წარსულის კვლევას. საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებზე რუსეთში მცხოვრებმა ქართველმა მოღვაწეებმა მრავალი ნაშრომი შექმნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

40-იანი წლების მეორე ნახევრიდან საზოგადოებრივი მოძრაობის აღმავლობას ხელი შეუწყო მეფის ნაცვალ ვორონცოვის ახლებურმა პოლიტიკამაც. ვორონცოვმა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მართველობის სამხედრო-ადმინისტრაციულ მეთოდს შეუფარდა ადგილობრივი თავადაზნაურობის დაყვავების, მათი ეროვნული გრძნობებისადმი გულისხმიერების პოლიტიკა, რაც ცარიზმის პოზიციების განმტკიცებას ემსახურებოდა. ვორონცოვი არ ზღუდავდა ქართველი ინტელიგენციის თაოსნობას ეროვნულ კულტურულ ღონისძიებებში. 1846 წელს თბილისში დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკა. ამ საქმის თაოსნები იყვნენ დ. ყიფიანი, ზ. ერისთავი, ზ. ფალავანდიშვილი, ვ. ორბელიანი, მ. თუმანიშვილი და სხვ.

დიდმნიშვნელოვანი ეროვნული მოვლენა იყო ქართული თეატრის ადრინდელი ტრადიციების აღორძინება. ახალ ქართულ თეატრს სათავეში ჩაუდგა თვალსაჩინო მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ერისთავი. 1850 წელს თბილისის გიმნაზიის შენობაში წარმოდგენილ იქნა გ. ერისთავის „გაყრა". სპექტაკლს დიდძალი ხალხი ესწრებოდა. თეატრალური დასის წარმატება დიდი იყო. იმავე ლის მაისში თეატრის კოლექტივმა გ. ერისთავის მეორე პიესაც („დავა") წარმოადგინა. ასე ჩაეყარა საფუძველი ახალ ქართულ თეატრს, რომელიც ადრინდელ ტრადიციებს აგრძელებდა. თეატრი დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

თეატრის საქმეში წარმატებამ გ. ერისთავი წაახალისა ქართული ჟურნალის დასაარსებლად. 1851 წელს მან ითხოვა ნებართვა ამის თაობაზე. ვორონცოვის შუამდგომლობით ეს თხოვნა პეტერბურგში დააკმაყოფილეს. 1852 წელს გ. ერისთავის რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალი „ცისკარი". 1852-1854 წლებში გამოიცა სულ 12 ნომერი და შემდეგ, კავკასიაში საომარი ოპერაციების განახლების გამო, შეწყდა. ჟურნალი მკაცრი ცენზურის პირობებში ვერ ახერხებდა აესახა ქართველი საზოგადოებრიობის ცხოვრება და მისი იდეალები. ჟურნალის გამოცემა განახლდა 1856 წლიდან ივანე კერესელიძის მეთაურობით.

5. ყირიმის ომი და საქართველო. 1853 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი, რომელსაც იმის გამო, რომ საბრძოლო ოპერაციები ძირითადად რუსეთის სამხრეთში — ყირიმში მიმდინარეობდა, ყირიმის ომს უწოდებენ. თურქეთის მხარეზე ამ ომში გამოვიდნენ ინგლი-

სი, საფრანგეთი და ნეაპოლის სამეფო. რუსეთი იზოლირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. თურქეთმა და მისმა მოკავშირეებმა საბრძოლო ოპერაციები, გარდა ყირიმისა, გააჩაღეს რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის კავკასიაშიც.

კავკასიას ერთერთი ძირითადი ადგილი ეკავა თურქ-ოსმალთა დამპყრობლურ გეგმებში. თურქეთი არ შერიგებია საქართველოს ტერიტორიიდან განდევნას და ცდილობდა დაებრუნებინა ადრე მიტაცებული მიწა-წყალი. ამ მხრივ მას მოკავშირეებიც აქეზებდნენ, რომელთა მიზან-დასახულობას შეადგენდა რუსეთისათვის ფეხი ამოეკვეთათ სომხეთსა და საქართველოში.

— 1853 წლის 15 ოქტომბერს ღამით თურქთა სამხედრო რაზმი თავს დაესხა გურიის საგუშაგოს შეკვეთილთან. მათ ამოწყვიტეს შეკვეთილის გარნიზონი და გურიას შეესივნენ. თურქეთს დიდად ეწადა ახალციხის ხელში ჩაგდება და შეუტია აქ დაბანაკებულ გარნიზონს. ახალციხისათვის ბრძოლაში თურქებს სასტიკი მარცხი აგემა გენერალ ივანე ანდრონიკაშვილის ჯარმა, რომელშიაც ქართველი მოლაშქრენიც შედიოდნენ. თურქებმა არდაგანისკენ დაიხიეს. რუსებისა და ქართველების ლაშქარს დიდძალი დავლა დარჩა. წარუმატებლად დამთავრდა თურქეთის საომარი ოპერაციები ალექსანდროპოლის მიმართულებითაც. ბაშკადიკლართან გენერალ ბებუთოვის, ილია ორბელიანის, ჭავჭავაძის რაზმებმა თურქებს მძიმე მარცხი აგემეს.

თურქები მიუხედავად მარცხისა, განაგრძობდნენ ახალი ძალების თავმოყრას სამხრეთ საქართველოსა და შავი ზღვისპირა ქართული ტერიტორიების მისატაცებლად. მათ საზღვაო დესანტები გადმოსხეს ბათუმში, ქობულეთში, ანაკლიაში, სოხუმში. თურქთა მრავალრიცხოვან არმიას სელიმ ფაშა ხელმძღვანელობდა. თურქებმა ოზურგეთი დაიკავეს. ქართულმა მილიციამ მალაქია გურიელის მეთაურობით გააჩაღა პარტიზანული ბრძოლა და თურქებს მოსვენებას არ აძლევდა.

საქართველოში თურქთა შემოსევამ მოსახლეობა ფეხზე დააყენა. ისტორიული მტრის წინააღმდეგ აღსდგა ხალხი. დგებოდა მოხალისეთა რაზმები და ფრონტისკენ მიეშურებოდა. ქართველ მოლაშქრეებს სათავეში ედგნენ ნაცადი მხედრები დავით ჯანდიერი, ნიკო ჭავჭავაძე, დავით ვახვახიშვილი, გიორგი ერისთავი, ქაიხოსრო მიქელაძე და სხვები. 75 წლის ქაიხოსრო მიქელაძემ მოგვარე თავადთაგან მთელი ასეული შეადგინა და ფიცი დასდო, რომ უკანასკნელ გასროლამდე თავდადებით იბრძოლებდა.

ქართველმა მოლაშქრეებმა რუს ჯართან ერთად ი. ანდრონიკა-

შვილის სარდლობით შეუტიეს სელიმ ფაშას არმიას, ფეხდაფეხ სდიეს მას და ჩოლოქთან ივნისის ბრძოლაში სასტიკი მარცხი აგემეს. სელიმ ფაშას 35 ათასიანი კორპუსი განადგურებულ იქნა. ამ ოპერაციით სამხრეთ საქართველოს მიტაცების თურქული გეგმა საბოლოოდ ჩაიშალა.

თურქეთის ჯარებმა ვერც სხვა მიმართულებით მიაღწიეს წარმატებას. მიუხედავად ამისა, 1854 წლის განმავლობაში აგრძელებდნენ საომარ მოქმედებას ახალ-ახალი სადესანტო ძალებით. ეს დაფანტული საბრძოლო ოპერაციები მიზნად ისახავდა ყარსის ციხე-სიმაგრეზე რუსთა საიერიშო ძალების შესუსტებას.

ყარსის ციხე-სიმაგრის გადასარჩენად თურქებმა დაგეგმეს დიდი საბრძოლო ოპერაცია, რომლის განხორციელება გენერალ ომერ-ფაშას დააკისრეს. საგანგებო მომზადების შემდეგ, ომერ ფაშამ სამხედრო ძალები 1855 წ. სექტემბრის დამდეგს გადმოსხა ბათუმში, სოხუმში და შავი-ზღვის პირა სხვა ნავსადგურებში. ომერ ფაშას გადაწყვეტილი ქონდა საქართველოს გავლით ყარსამდე ჩაეღწია და ციხის გარნიზონს ალყის გარღვევაში დახმარებოდა.

აფხაზეთის ტერიტორიის დაკავების შემდეგ ომერ ფაშას ძირითადი ნაწილები სამეგრელოსკენ დაიძრნენ. მდინარე ენგურთან მათ გზა გადაუღობა რუს-ქართველთა შერეულმა ლაშქარმა გენერალ ივანე მუხრან-ბატონის სარდლობით. ბრძოლაში წარმატება ხვდა თურქ-სარდალს, რომელიც ამის შემდეგ სამეგრელოში შევიდა.

ომერ ფაშას ეგონა, რომ საქართველოს მოსახლეობა მას მხარს დაუჭერდა. იგი მოთაფლულ წერილებს სწერდა სამეგრელოს მთავარ ეკატერინე დადიანს და დამოუკიდებლობას აღუთქვამდა. ხალხის მეხსიერებაში ცოცხლობდა თურქ დამპყრობთა გამანადგურებელი შემოსევების ხსოვნა. იგი ალღოთი გრძნობდა, რომ თურქები საქართველოს დამონების უფრო მძიმე უღელს უმზადებდნენ. ამიტომ იყო, რომ მთელი სამეგრელო ფეხზე დადგა და პარტიზანული ომებით მტერს დიდ ზიანს აყენებდა. სამეგრელოში ხელმოცარულმა ომერ-ფაშამ კურსი ქუთაისისკენ აიღო, მაგრამ ვერ გაბედა ცხენისწყლის გადალახვა, რომლის იქითა ნაპირზე ქართული ლაშქარი იდგა.

1855 წლის 15 ნოემბერს ყარსის ციხე-სიმაგრემ კაპიტულაცია გამოაცხადა. ეს კავკასიის ფრონტზე უდიდესი მნიშვნელობის გამარჯვება იყო და ომის მთელ ბედ-იღბალს წყვეტდა. ომერ-ფაშას წინსვლას ყარსის მიმართულებით აზრი დაეკარგა. სამეგრელოში გაჩერებაც აღარ შეიძლებოდა, რადგან სახალხო შურისგების რკალში იყო მოქცეული. ქართული ლაშქრის დასახმარებლად ყარსიდან

დაიძრნენ რეგულარული ნაწილები. ომერ-ფაშამ გადაწყვიტა უკან დაეხია. გაბოროტებული თურქები უკანდახევის გზაზე ყველაფერს წვავდნენ და ანადგურებდნენ. მათ გაძარცვეს და დაწვეს სამეგრელოს მთავრის სასახლე. უკანდახევა ომერ ფაშას ძვირად დაუჯდა. დაიწყო წვიმები, მდინარეები ადიდდა. დეკემბერში ზუგდიდთან ომერ ფაშას თავს დაესხა ქართველ მოლაშქრეთა რაზმი გრიგოლ დადიანის მეთაურობით და დიდი ზიანი მიაყენა. 1856 წლის თებერვალში ომერ ფაშას შემეჩხერებულმა არმიამ მთლიანად დასტოვა საქართველო.

ყირიმის ომი დასრულდა პარიზის საზავო ხელშეკრულებით. დამარცხებული რუსეთი იძულებული გახდა დაეთმო ყარსის ციხე, ყირიმის ნახევარკუნძული რომ შეენარჩუნებინა. ამ ომით ცარიზმმა კავკასიაში თავისი მფლობელობა განიმტკიცა იმით, რომ ევროპის ქვეყნებმა აღიარეს მისი დაპყრობანი.

6 სამთავროთა გაუქმება. დასავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ცარიზმმა სამეგრელოს, აფხაზეთს და სვანეთს შეუნარჩუნა ავტონომიური მართველობა, თუმცა, ამ უფლებებს იგი თანდათან ზღუდავდა. ასე მაგალითად, 1840 წელს ცარიზმმა მიიერთა სამურზაყანო და ზღვის სანაპირო ზოლი, რომელიც მანამდე სამეგრელოს მთავარს ეკუთვნოდა.

ყირიმის ომის დამთავრებისთანავე ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის დედაარსი გახდა „კავკასიის დამშვიდება და მისი საბოლოო შერწყმა იმპერიის დანარჩენ ნაწილებთან". მეფის მოხელეებმა პირველ რიგში თვალი დაადგეს სამეგრელოს სამთავროს. მთავარი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისას მოთხოვეს ნებაყოფლობით ეთქვა უარი ხელისუფლებაზე. ეკატერინე მიუხედავად იმისა, რომ რუსული ორიენტაციისა იყო და ტახტისადმი თავისი ერთგულება ყირიმის ომშიც გამოავლინა, ამ წინადადებას წინ აღუდგა.

სამთავროს გაუქმების საბაბად ცარიზმმა გამოიყენა 1857 წლის გლეხთა აჯანყება. სამეგრელოში მივლინებულ იქნენ რუსი მოხელენი სათანადო რაზმებით, რომლებიც ვითომ აჯანყების მიზეზს იკვლევდნენ და წესრიგის დაცვის მომიზეზებით თანდათან ღრმად ერეოდნენ სამთავროს საშინაო საქმეებში. კავკასიის ახალ მეფისნაცვალ ბარიატინსკის პეტერბურგიდან მოუვიდა საიდუმლო განკარგულება, შეემუშავებინა სამეგრელოს მართვის ახალი დებულება. 1857 წ. 26 სექტემბერს სამეგრელოს „დროებით" მართველად დაინიშნა გენ. კოლუბიაკინი. ეკატერინე და მისი ოჯახი საცხოვრებლად პეტერბურგში გაიწვიეს. „დროებითი მართველობა" მუდმივი გამოდგა. 1867 წელს ცარიზმმა ეკატერინეს ვაჟს ნიკოლოზ დადიანს

საბოლოოდ უარი ათქმევიხა ძთავრის უფლებებზე. სამეგრელო ჩა-
ერთო მართველობის იმ სისტემაში, რაც ცარიზმს შემოღებული
ჰქონდა დასავლეთ საქართველოში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცარიზმი ესწრაფვოდა სვანეთის სამთავროს გაუქმებასაც, ამი-
სათვის იგი მოხერხებულად იყენებდა იმ შინაფეოდალურ ბრძოლას,
რომელიც დადეშქელიანთა ორ შტოს შორის იყო გაჩაღებული. ერთ-
ერთ შტოს მეთაურს კონსტანტინეს ქუთაისის გენერალ გუბერნა-
ტორმა გაგარინმა ერევანში გადასახლება გადაუწყვიტა. 1857 წ. 24
ოქტომბერს გაგარინსა და კონსტანტინე დადეშქელიანს შორის ქუ-
თაისში გაიმართა მოლაპარაკება. გაგარინი წინ აღუდგა კონსტან-
ტინეს თხოვნას, საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად დროებით
სვანეთში წასვლის შესახებ და ბრძანა მისთვის იარაღი აეყარათ.
ზვიადმა მთავარმა ეს შეურაცხყოფად მიიღო და ხანჯლით სასიკვდი-
ლოდ დაჭრა გაგარინი, დახოცა თანდამსწრე მისი მოხელენი და
გაიქცა. კონსტანტინე მალე შეიპყრეს და დახვრიტეს, ხოლო მისი
მამულები ხაზინას გადასცეს. 1858 წელს სამთავრობო უფლებებზე
უარი სთქვა დადეშქელიანთა მეორე შტოს წარმომადგენელმა თენ-
გიზმაც. მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ სადადეშქელიანო სვანეთში
საბოქაულო დააწესა.

მთაგორიან სვანეთს ცარიზმი დასავლეთ კავკასიაში მფლობე-
ლობის განსამტკიცებლად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებ-
და. სვანეთის დაუფლებით რუსეთის ძალა-უფლება უზრუნველყოფი-
ლი ხდებოდა ჩრდილოეთშიც, — ყაბარდოსა და ყარაჩაიში.

ჩრდილოეთ კავკასიის დამორჩილებისათვის ომებში ცარიზმი
დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აფხაზეთს, რომელიც უშუალოდ ესა-
ზღვრებოდა ჩერქეზეთს, ამასთან, მჭიდრო ურთიერთობაში იყო უბი-
ხებთან, ჯიქებთან, შაპსუღთა და ახჩიპსხეულთა ტომებთან. კავ-
კასიელ მთიელთა წინააღმდეგ ომის პერიოდში ცარიზმს ძალები არ
ყოფნიდა აფხაზეთის დაპყრობისათვის, ამიტომ თვითმართველობას
ურიგდებოდა. მაგრამ მას შემდეგ, როცა დაასრულა საბრძოლო ოპე-
რაციები და იმამ შამილის უკანასკნელი ციხე-სიმაგრე ღუნიბი დაი-
კავა, ცარიზმმა დაადგა თვალი დასავლეთ კავკასიას და აფხაზე-
თის დამოუკიდებლობის ლიკვიდაციას შეუდგა.

აფხაზეთის იმდროინდელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე რუსულ
ორიენტაციას ადგა. იგი ამასთან მხურვალე დამცველი იყო აფხაზეთ-
საქართველოს ერთიანობისა. კავკასიის მეფის ნაცვალმა მიხეილს
ისე, როგორც ეკატერინე დადიანს, მოსთხოვა ნებაყოფლობით აეღო
ხელი დამოუკიდებელ მართველობაზე. ჭკვიანი მთავარი მიხვდა,
რომ წინააღმდეგობა უაზრო იყო და დათანხმდა რუსი მმართველის

„რჩევას„, ოღონდ ითხოვა ნება დაერთოთ მისთვის აფხაზეთში ეცხოვრა. 1864 წელს აფხაზეთში დაწესდა რუსეთის დროებითი მმართველობა. კავკასიის მმართველობამ მიხეილ შარვაშიძისადმი ... ცემული პირობა იმავე წელს გატეხა, ყოფილ მთავარს სამეგრელოს ... ღალატი დააბრალა და ღრმად მოხუცი რუსეთს გადაასახლა. 1865 წელს მიხეილი ვორონეჟში გარდაიცვალა.

სამეგრელოს, სვანეთის და აფხაზეთის დაპყრობით ცარიზმმა განიმტკიცა პოლიტიკური მფლობელობა მთელს კავკასიაში. ამიერიდან იგი მეტი ინტენსიობით შეუდგა ამ მხარის ეკონომიკურ ათვისებას.

7. ბატონყმურ ურთიერთობათა კრიზისი. ანტიბატონყმური აჯანყებანი. ყირიმის ომში თვალნათლივ გამოვლინდა მეფის რუსეთის უძლურება და შინაგანი სიდამპლე. ცხადი გახდა, რომ ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმი იყო ქვეყნის ჩამორჩენილობის მთავარი მიზეზი. მართლაც, ომის წლებში გლეხთა ანტიბატონყმურმა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. შექმნილ კრიზისულ ვითარებაში რუსეთის ახალი იმპერატორი ალექსანდრე II იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ უმჯობესია ბატონყმობა გავაუქმოთ ზემოდან, ვიდრე გლეხები ქვემოდან (ე. ი. რევოლუციური გზით) დაგვამხობდნენო.

ანტიბატონყმურმა იდეოლოგიამ მძლავრად მოიკიდა ფეხი რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის აზროვნებაში.

ყირიმის ომის შემდგომ პერიოდში ანტიბატონყმური მოძრაობა გააქტიურდა საქართველოშიც. ომის პერიოდში განცდილ ზარალს თავადაზნაურობა გლეხობის ზურგით ინაზღაურებდა. გლეხთა ექსპლუატაციამ აუტანელი ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით სამეგრელოში, რომელიც ომერ-ფაშას შემოსევის შემდეგ ეკონომიკურად გაჩანაგებულ მხარეს წარმოადგენდა.

1856 წლის შემოდგომაზე სამეგრელოში ლიისა და ხობის სოფლებში გაჩნდა მღელვარების პირველი კერები. შეიარაღებულმა გამოსვლებმა მალე მიიღო საყოველთაო ხასიათი და მთელი სამეგრელო მოიცვა. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა მჭედელი უტუ მიქავა, რომელიც ჭკვიანი და ენერგიული ხელმძღვანელი გამოდგა. მისი მეთაურობით აჯანყებულებმა სამეგრელოს მთავრის რეზიდენცია (ზუგდიდში) დაიკავეს. გამარჯვებული გლეხები თვითვე აწესებდნენ ახალ მართველობას, ახორციელებდნენ სამართალს. სამეგრელოს მთავარი ეკატერინე დადიანი ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა. აჯანყების ცნობა რომ მიუვიდა, სასწრაფოდ დაბრუნდა სამთავროში. ... ნგრიგის აღსადგენად დახმარება სთხოვა ქუთაისის გუბერ-

ნატორ კოლუბიაკინს. დიდძალი ჯარით კოლუბიაკინი ქუთაისიდან ზუგდიდისაკენ გაეშურა.

1857 წლის 20 მაისს კოლუბიაკინი შეხვდა აჯანყებულებს — იმ მიზნით, რომ მათი უკმაყოფილების მიზეზი გაერკვია. გუბერნატორის თანდასწრებით ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა უტუ მიქავამ, რომელმაც შთამბეჭდავად აღწერა გლეხებისადმი თავადაუზნაურთა არაადამიანური მოპყრობა. მან თქვა: „ჩვენ სამშობლო შეგვჯავრდა, გადავწყვიტეთ მოვშორდეთ აქაურობას და სამუდამოდ სადმე ჯანდაბას გადავიკარგოთ... ერთმანეთს შევფიცეთ — არაფრის გულისათვის არ დავბრუნდეთ უკან. ოხრადაც კი დარჩეს ისეთი სამშობლო, როცა თავიც კი ვერ შეგიფარებია სადმე, როცა შენზე ნადირობენ, ნადირივით დაგსდევენ... ჩვენ არც ავაზაკები ვართ და არც მეამბოხენი; სამართალს ვითხოვთ, მეტს არაფერს, გვიწყალობე, გენერალო, ეს სამართალი, გვიყავი სიკეთე...“

მიქავამ კოლუბიაკინს აჯანყებულთა სახელით მოსთხოვა აღკვეთილიყო მოსახლეობისადმი დამამცირებელი დამოკიდებულება, აკრძალულიყო ყმებით ვაჭრობა, თვითნებური გადასახადები, აღკვეთილიყო გლეხთა დასჯის ველური მეთოდები, „კაცის კაცი არ უნდა იყოსო“ — მოითხოვდა იგი. კოლუბიაკინი შეპირდა მოთხოვნათა დაკმაყოფილებას და სთხოვა ხელი აეღოთ შეიარაღებულ გამოსვლებზე, მაგრამ დაპირება არ შესრულდა. ხალხი ისევ მოიცვა მღელვარებამ. მთავრობის ჯარებთან აგვისტო-სექტემბერში აჯანყებულთ არა ერთგზის მოუხდათ სისხლისმღვრელი შეტაკება. მთავრობის გაძლიერებულმა რაზმებმა შეძლეს გაეტეხათ აჯანყებულთ წინააღმდეგობა. აჯანყება დამარცხდა. მისი მესვეურები უტუ მიქავა, კოჩა თოდუა, ლევან კვარაცხელია და სხვები შეიპყრეს და დიდი ხნით შორეულ რუსეთში გადაასახლეს.

სამეგრელოს აჯანყება ერთ-ერთი ძლიერი ანტირეჟიმული და ანტიბატონყმური გამოსვლა იყო, რომელშიც 20 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა. მაგრამ იგი ერთადერთი არ ყოფილა. 1856-1864 წლებში საქართველოს სხვადასხვა მაზრებში ადგილი ჰქონდა მღელვარებებს. 1857 წლის ნოემბერში მღელვარება მოედო იმერეთს. ყველაზე მეტად აქტიურობდნენ ბაღდადის რეგიონის გლეხები, რომელთაც მებატონემ სამკვიდრო მიწა-წყლიდან აყარა და სხვაგან გადასახლება მოსთხოვა. ბაღდადელთა აღშფოთებას მეზობელი სოფლებიც შეუერთდნენ. ეს მოძრაობა მთავრობამ ჩააქრო სამხედრო ძალების გამოყენებით. იმერეთიდან მღელვარების ტალღამ ქართლშიც გადაინაცვლა. 1858 წელს ანტიბატონყმური მოძრაობის კერები გაჩნდა გორის მაზრაში, რომლის 60 სოფელი ყაზბეგზე იყო შემდგარი და

მემამულე-თავადებს აღარ ემორჩილებოდა. 1862 წელს მოძრაობამ გურიაშიც იჩინა თავი. გლეხები აუმხედრდნენ გურიელებსა და ნაგაშიძეებს. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ლანჩხუთელი, გურიანთელი და ნიგოითელი ყმა-გლეხები. მომდევნო წელს გურიიდან აჯანყების ტალღამ ისევ სამეგრელოში გადაინაცვლა. ამჟამად აჯანყების ცენტრად იქცა სოფელი თამაკონი. მთავრობა აქაც სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს. 1864 წელს გლეხთა მღელვარებებს ადგილი ჰქონდა თბილისის მაზრასა და თიანეთის ოკრუგში.

1866 წელს აგრარული ბრძოლა გაჩაღდა აფხაზეთში. მოძრაობის მთავარი კერა იყო სოფელი ლიხნი. ლიხნელ გლეხებს მალე სოხუმელები შეუერთდნენ. აჯანყებული გლეხები, რომელთა რიცხვმა 20 ათასს მიაღწია, დაერივნენ მეფის მოხელეებს, რომელთაც თავი შარვაშიძის სასახლეს შეაფარეს. გლეხებმა ამოხოცეს 50-ზე მეტი კაზაკი და მათი მეთაური. აჯანყებულები მედგრად უტევდნენ სოხუმის ციხე-სიმაგრეს. მთავრობამ ჯარები გამოიძახა ფოთიდან, ქუთაისიდან. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი სვიატოპოლკ-მირსკის მეთაურობით მეფის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, და აჯანყებულთ სოხუმიდან დაახევინეს. მათ შეუერთდნენ გლეხები წებელდიდან, ბზიფიდან. აგვისტოს პირველი რიცხვისათვის მთავრობის ჯარს ახალი მაშველი რაზმები მოუვიდა. აჯანყებულები იძულებულნი გახდნენ იარაღი დაეყარათ.

ზემოთ მოტანილი ფაქტები ცხადჰყოფს, რომ 50-იანი წლების მეორე ნახევარსა და 60-იანი წლების პირველ ნახევარში მთელს საქართველოში გლეხთა ანტიბატონყმურ გამოსვლებს სისტემატური და მასობრივი ხასიათი ჰქონდათ. ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმი აქაც გამოუვალი კრიზისის წინაშე იდგა და ის საშიშროება, რომელსაც რუსეთის ახალი იმპერატორი აღნიშნავდა, საქართველოზეც მთლიანად ვრცელდებოდა.

გლეხთა მოძრაობის ზრდის კვალდაკვალ საქართველოში თანდათან იდგამდა ფეხს ანტიბატონყმური იდეოლოგია. ქვეყნის მოწინავე შვილები გრძნობდნენ, რომ ბატონყმობა აფერხებდა ქვეყნის პროგრესს და ამწვავებდა კლასობრივ ბრძოლას. ახალმა იდეოლოგიამ ფეხი მოიკიდა ჟურნალ „ცისკარშიც". მის გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდების ერთი ჯგუფი რევოლუციურ-დემოკრატიულ აზრებს ქადაგებდა. ამ ჯგუფის იდეური განწყობილება მხატვრულ ფორმებში გადმოსცა დანიელ ჭონქაძემ, მოთხრობაში „სურამის ციხე", სადაც შთამბეჭდავადაა დახატული ბატონყმური წყობილების უსამართლობა.

§ 6. ქართული კულტურა XIX ს. პირველ ნახევარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ანექსიიდან დამოუკიდებლობის აღდგენამდე ესე იგი 1801 წლიდან 1918 წლამდე, მთელი 117 წლის განმავლობაში ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრება მიმდინარეობდა ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლის ნიშნით. კულტურა, როგორც ცნობილია, ერის ცხოვრების ორგანული ნაწილია, ამიტომ ხსენებულ პერიოდში ქართული კულტურის არსი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო. ეს ტენდენცია ედო საფუძვლად ქართულ კულტურას XIX ს. პირველ ნახევარშიც.

ანექსიის პირველ წლებში წარჩინებულთა ოჯახების რუსეთში გადასახლებით რუსულმა მართველობამ მოშალა ქართული კულტურის კერები. დაიხურა სასწავლებლები თბილისსა და თელავში. პოლიტიკური არეულობის ხანაში საქართველოში კულტურული საქმიანობა მინელდა.

პეტერბურგსა და მოსკოვში გადასახლებული ქართველი ბატონიშვილები არ კარგავდნენ დამოუკიდებლობის აღდგენის იმედს და იქ ენერგიულ კულტურულ საქმიანობასაც ეწეოდნენ: წერდნენ წიგნებს საქართველოს ისტორიაზე, ადგენდნენ სახელმწიფოებრივი გარდაქმნის პროექტებს, თარგმნიდნენ უცხოურ ლიტერატურას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია თეიმურაზ, იოანე, დავით, ვახტანგ და სხვა ბატონიშვილთა საქმიანობა. იოანე ბატონიშვილმა დაწერა ენციკლოპედიური ნაწარმოები „კალმასობა“, რომელშიც ასახულია XIX ს. დამდეგის საქართველოს სინამდვილე.

ცარიზმს საქართველოს მართველობისათვის ადგილობრივი კადრებიც სჭიროდა. ამ მიზნით 1804 წელს თბილისში გახსნა რუსული სკოლა, რომელიც 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა. ამავე წელს გაიხსნა ქალთა სკოლა-პანსიონატი. 1817 წელს დაარსდა სასულიერო სემინარია. თბილისში და სხვა ქალაქებში თანდათან მომრავლდა კერძო სკოლები და პანსიონები. 1850 წელს თბილისში გაიხსნა მეორე გიმნაზიაც. სამაზრო (საერობო) სკოლები გაიხსნა ქუთაისში, გორში ახალციხეში, სიღნაღში, დუშეთში და სხვაგან. უმაღლესი განათლების მისაღებად ქართველი ახალგაზრდობა რუსეთში მიემგზავრებოდა.

ოციანი წლების მეორე ნახევრიდან თბილისში კულტურული საქმიანობა თანდათანობით ცხოველდება. დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1819 წელს ქართული გაზეთის დაარსება. ქართული პრესის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის სოლომონ დოდაშვილს. მან თავი გამოიჩინა პეტერბურგშივე იმით, რომ დაწერა ლოგიკის

პირველი სახელმძღვანელო რუსულ ენაზე. 1818-1832 წლებში მისი რედაქტორობით გამოდიოდა გაზეთ „თბილისის უწყებანი“. 1832 წელს დაარსა პირველი ლიტერატურული გაზეთი („სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“), რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებს ავრცელებდა და ხელს უწყობდა ქართული კულტურის აღორძინებას. 1832 წლის შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ ქართული პრესა დიდი ხნით აიკრძალა. დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1846 წელს ქართული საჯარო ბიბლიოთეკის დაარსება. 50-იან წლებში თბილისში შეიქმნა კავკასიის მუზეუმი.

ქართული კულტურის განვითარების საქმეში წამყვანი პოზიცია ეკავა ქართულ ლიტერატურას. ქართველი მწერლები, ისე როგორც წარსულში ახლაც სათავეში ედგნენ ერის სულიერ ცხოვრებას. მათ მხატვრულ ქმნილებებში ასახულია სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის იდეალები.

XIX ს. პირველი ნახევრის ქართულ მწერლობაში წამყვან მიმართულებას წარმოადგენდა რომანტიზმი. მისი დამკვიდრება შეაპირობა საუკუნის დამდეგის პოლიტიკურმა მოვლენებმა. რომანტიკოს შემოქმედთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე (1786—1846) ღრმად განათლებული პიროვნება იყო. იგი მონაწილეობდა ანტირეჟიმულ მოძრაობაში. ალექსანდრეს ოჯახი განთქმული იყო სტუმართმოყვარეობით. მის სალონში სისტემატურად იკრიბებოდა დედაქალაქის რჩეული საზოგადოება, იმართებოდა ლიტერატურული პაექრობანი.

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობა მეტად მდიდარია. იგი ქართული რომანტიკული პოეზიის მოთავედაა აღიარებული. მის პატრიოტულ ლირიკაში ასახულია საქართველოს სასახელო წარსული, მისი ბედუკულმართობის გამო აღძრული მამულიშვილური გულისტკივილი. ახალი ქართული პოეზიის შედევრებად ითვლება მისი სატრფიალო და სანადიმო ლექსები. მასთანვე იღებს სათავეს სოციალური პრობლემატიკაც.

ალ. ჭავჭავაძის დიდი დამსახურებაა ქართული ლიტერატურის გამდიდრება თარგმანებით. მან თარგმნა უცხოელ და რუს გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებები.

გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი (1804-1883) ქართული რომანტიკული პოეზიის ერთერთ უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია, რომელსაც ილია ჭავჭავაძე „ქართული სიტყვის მეუფეს“ უწოდებდა.

გრ. ორბელიანი სამხედრო კარიერას გაჰყვა და ინფანტერიის

გენერალ-ლეიტენანტის წოდებას მიაღწია. სახელი გაითქვა რუსეთ-თურქეთის ომებში, კავკასიის მთიანეთის დაპყრობაში, ასევე კავკასიის მთავარმართებელის მოვალეობასაც. სამსახურთან ერთად გ. ორბელიანი ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ამასთან იყო დიდი ნიჭით დაჯილდოვებული შემოქმედი-პოეტი. მისი პოეტური მემკვიდრეობის ლაიტმოტივი ეროვნული პრობლემაა. მას თავდავიწყებით უყვარს სამშობლო („სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა!"), დიდი მხატვრული ძალით გადმოგვცემს მის მშვენიერებას და სილამაზეს („საღამო გამოსალმებისა", და სხვ.) მოხიბლულია მისი წარსულის ბრწყინვალებით და ნაღვლობს რომ მის თანამედროვეობაში ძველი დიდება დაეცა და ქვეყანას უცხო ძალა დაეპატრონა. („თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში", „იარალი", „ჰეი გონებავ", პოემა „სადღეგრძელო"). გრ. ორბელიანის შემოქმედებაში იგრძნობა ჰუმანისტურ-განმანათლებლური სულისკვეთება, ევროპეიზმი, თანაგრძნობა სოციალური უსამართლობით დაჩაგრულ თანამემამულეთა მიმართ („მუშა ბოქულაძე"). საზოგადოებრიობაში დიდი მოწონებით სარგებლობდა მისი მუხამბაზური ლექსები („მუხამბაზი" „მირზაჯანას ეპიტაფია", „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები" და სხვ.)

გრ. ორბელიანი ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც. ნათარგმნი აქვს რუსი პოეტების ი. კრილოვის. ვ. ჟუკოვსკის, მ. ლერმონტოვის ნაწარმოებები.

ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი (1816—1845) ქართული რომანტიკული პოეზიის უდიდესი წარმოადგენელია, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს „ფიქრთა მპყრობელს".

ნიკოლოზ ბარათაშვილი ბავშვობიდანვე, — ოჯახშიც და სკოლაშიც იმ წრეში ტრიალებდა, სადაც საქართველოს ტრაგიკული ცხოვრების ყველა აქტს მტკივნეულად განიცდიდნენ, საქართველოს მომავალი მიაჩნდათ სიცოცხლის მიზნად. „ქართვლის ბედზე" მომავალი პოეტი გიმნაზიაშივე ფიქრობდა, მის მაღალ ოცნებებს ცხოვრებამ ფრთები შეაკვეცა და გიმნაზია დამთავრებული, მიჯაჭვული აღმოჩნდა მთავრობის რიგითი მოხელის მაგიდასთან.

განმარტოვებული ჭაბუკი „სოფლის ამაოებას" აუმხედრდა. ამის გამოხატულებაა მისი „ფიქრი მტკვრის პირას", „შემოღამება მთაწმინდაზედ", „სულო ბოროტო", „მერანი" — ეს შედევრები ქართული პოეზიისა. ნ. ბარათაშვილმა შეძლო ეროვნულ-პატრიოტული საკითხი ზოგადსაკაცობრიო იდეალებთან შეესისხლხორცებინა და ამით თავისი შემოქმედებაც აეყვანა მსოფლიო პოეზიის მწვერვალ-

ზე. ილია ჭავჭავაძე ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას რომ ახასიათებს, აღნიშნავს, რომ მან „ჩვენს გულთა თქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილთან მისაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა“.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ეპიკური ქმნილება „ბედი ქართლისა“, სადაც XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დამდეგის ტრაგიკული მოვლენებია ასახული.

პოეტი ღრმად აანალიზებს ქართული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ყოფნა-არყოფნის პრობლემას. მისი სიმპათია სამშობლოს დამოუკიდებლობის მოტრფიალეთა მხარეზეა. პოეტი ამასთან ანგარიშს უწევს მკაცრ აუცილებლობას და რუსეთთან შეერთების ობიექტურად დადებით შედეგებსაც წარმოგვიდგენს.

ნ. ბარათაშვილი შთამბეჭდავად გვისურათებს კოლონიურ მფლობელობაში მყოფი ხალხის მძიმე ხვედრს. („სუმბული და მწირი“). იგი ვერ შერიგებია სინამდვილეს და „გვაზიარებს მასთან შერკინების სულისკვეთებას:“

„გასწი, გაფრინდი ჩემო მერანო, გადამატარე ბედის სამზღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი“.

ნ. ბარათაშვილი 28 წლის გარდაიცვალა განჯაში. სიცოცხლეში არც ღირსებია მისი ქმნილებები დაბეჭდილი ენახა. მისი შემოქმედების გამოვლინებას და დაფასებას უდიდესი ამაგი დასდო ილია ჭავჭავაძემ.

რომანტიკული მიმართულების წარმომადგენლები იყვნენ პოეტები ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანები, სოლომონ რაზმაძე, მიხეილ თუმანიშვილი, მამია გურიელი და სხვები. მათი შემოქმედება ასახავდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეალებს და ხელს უწყობდა საზოგადოებრიობის თვითშეგნების ზრდას.

40-იანი წლებიდან რომანტიზმის გვერდით ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში გზას იკაფავს რეალისტური მიმართულება. ქართველი ხალხის ეკონომიკურსა და სოციალურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებათა ასახვა იქცევა ლიტერატურის მთავარ დანიშნულებად. რეალისტური პოზიციიდან შეხედა სინამდვილეს 40-50-იანი წლების გამოჩენილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ გიორგი ერისთავმა (1811-1864). მისი მრავალმხრივი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია დრამატული ქმნილებანი („გაყრა“, „დავა“, „ძუნწი“, „ყვარყვარე ათაბაგი“ და სხვ.) სადაც რეალისტურადაა ასახული ფეოდალურ-ბატონყმური

მეურნეობის რღვევა, სავაჭრო კაპიტალის მომძლავრება, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შეუთავსებლობა ქართველი ხალხის ბუნებასთან და სხვ. გიორგი ერისთავის სახელთანაა დაკავშირებული მუდმივი ქართული თეატრის აღორძინება და თაოსნობა პირველი ქართული ჟურნალის („ცისკარი") დაარსებაში. გ. ერისთავმა მის თანამედროვე მოღვაწეებზე დიდი გავლენა მოახდინა. მის მიერ არჩეულ რეალისტურ-დემოკრატიულ მიმართულებას გაჰყვნენ დრამატურგი ზურაბ ანტონოვი („მზის დაბნელება საქართველოში", „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა" და სხვ.), რაფიელ ერისთავი, რომელიც თავის პოეტურ შემოქმედებაში გულწრფელ მოსარჩლედ მოევლინა ქართველ გლეხობას („ბეჩავი", „მთხოვნელ მსაჯულისადმი", „მათხოვარი გლახაკი", „ნინო", „ბერუას ჩივილი" და სხვ.). პატრიოტული ლირიკის საგანძურშია შესული რაფიელ ერისთავის ბრწყინვალე ლექსი „სამშობლო ხევსურისა".

50-იან წლებში აღორძინებას განიცდის ქართული პროზა, რომელიც რეალისტური ტენდენციებით ხასიათდება. ამ მხრივ დიდად მნიშვნელოვანია ლავრენტი არდაზიანის (1815-1870) „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი". XIX საუკუნის ეს პირველი სოციალური რომანი ასახავს სავაჭრო-სავახშო კაპიტალის მომძლავრებას საქართველოში.

ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა კრიზისით გამოწვეული სოციალური კონფლიქტები შთამბეჭდავადაა ასახული დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეში". მოთხრობა გვისურათებს მებატონეთა გულქვაობას, ვაჭართა გაიძვერობას. წინა პლანზეა წამოწეული ბატონყმობის მოსპობის აუცილებლობა.

XIX ს. პირველი ნახევრის ქართულმა ლიტერატურამ შეამზადა ეროვნული და სოციალური მოძრაობის შემდგომი აღორძინების საფუძვლები.

XIX ს. პირველი ნახევრის ქართულ მწერლობას შემოქმედებითი კონტაქტები ჰქონდა სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის და უცხოეთის მწერლობასთან. თბილისი ამიერკავკასიის კულტურული ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა. აქ აიდგა ფეხი XIX ს. აზერბაიჯანულმა და სომხურმა მწერლობამ. საქართველოში სტუმრად ჩამოდიოდნენ რუსეთის და უცხოეთის გამოჩენილი მწერლები. კულტურულ ურთიერთობათა განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პუშკინის, ლერმონტოვის, ლ. ტოლსტოის და სხვათა სტუმრობას საქართველოში. თბილისში ცხოვრობდნენ დეკაბრისტული მიმართულების რუსი მწერლები, რომელთა შემოქმედებით თემატიკაში საქართველოს ეკავა მნიშვნელოვანი ადგილი. საქართველოში

სტუმრად იყვნენ ცნობილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა, გერმანელი მწერალი ბოდენშტედტი და სხვები, რომლებმაც მოგვცეს ქართველი ხალხის და მისი კულტურის გულთბილი დახასიათება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIX ს. პირველი ნახევარი ხასიათდება სამშობლოს ისტორიის, ენის საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებით. საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი გამოკვლევები შექმნეს დავით და თეიმურაზ ბაგრატიონებმა, ნიკოლოზ დადიანმა, პ. იოსელიანმა, ს. ბარათაშვილმა, მ. ბარათაშვილმა და სხვებმა. ქართველთმცოდნეობაში განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანა თეიმურაზ ბაგრატიონმა და მისმა მოწაფემ, — ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ. 1841 წ. თეიმურაზ ბაგრატიონისა და მარი ბროსეს თაოსნობით რუსეთში გამოიცა "ვეფხის ტყაოსანი". 1845 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტში შეიქმნა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა. ქართველოლოგიის განვითარებისათვის დიდი შრომა გასწია დ. ჩუბინაშვილმა. მან შეადგინა და 1846 წელს გამოსცა ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ხოლო 1866 წელს ქართული ენის გრამატიკა, შექმნა წანამძღვრები ქართული კულტურის შემდგომი აღორძინებისათვის.

ამავე ეპოქაში განვითარებას განიცდიდნენ ქართული კულტურის სხვა დარგები. ქვეყანა თანდათან გამოდიოდა აზიური კარჩაკეტილობიდან და ევროპულ ყაიდაზე იწყებდა ცხოვრებას. დედა-ქალაქის წარჩინებულთა ოჯახებში ხშირად იმართებოდა ევროპული ხასიათის საღამოები და მეჯლისები, ფეხს იკიდებდა ევროპული ჩაცმულობის მოდა. ევროპეიზაციის ტენდენციები დაეტყო მუსიკას, არქიტექტურას. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო იტალიური ოპერის დაარსება 1851 წელს. 30-40-იან წლებში არისტოკრატიულ წრეებში ფეხი მოიკიდა თეატრით გატაცებამ. თბილისის ლიტერატურულ სალონებში ხშირად დგამდნენ სპექტაკლებს რუსი და უცხოელი დრამატურგების პიესების მიხედვით. ქართული საზოგადოებრიობა ხარბად ეტანებოდა თბილისის რუსულ თეატრს, რომელსაც 40-იან წლებში დაედო სათავე. დედაქალაქის ეს გატაცება პროვინციასაც გადაედო. მაგალითად, სოფელ მეჯვრისხევში სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქნა შექსპირის "ოტელო" ქართულად. სოფელ გორისაში დადგეს ოქროპირ წერეთლის კომედია "ქორწილი იმერეთის თავადისა". ამ გატაცებამ შეამზადა პროფესიული ქართული თეატრის აღმოცენება გიორგი ერისთავის თაოსნობით.

ქართული საზოგადოებრიობა სანახაობათა მრავალფეროვან ტრადიციებს მტკიცედ იცავდა XIX ს. პირველ ნახევარშიც. თბილისში და აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქ-სოფლებში იმართე-

ბოდა „ყეენობა“, ყაბახი, ჭიდაობა, კრივი და სხვა მასობრივი გართობანი. სოფლებში გავრცელებული იყო ბურთაობა, ჭიაკოკნობა და რელიგიურ ტრადიციებთან მისადაგებული გართობანი. მძიმე ცხოვრების მიუხედავად კვირა და უქმე დღეებში ხალხი მთელი გატაცებით ერთობოდა. მასობრივი შეკრების პუნქტებს წარმოადგენდნენ ეკლესია-მონასტრები, სადაც წირვის შემდეგ ცეკვა-სიმღერა და მასობრივი თამაშობანი ეწყობოდა. ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის ვითარებაში ხალხურ კულტურას, მისი ძველთა ძველი ტარდიციების დაცვას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ოჯახთან ერთად ერის თვითმყოფობის უდიდეს ფაქტორს წარმოადგენდა.

XIX ს. დამდეგიდან ქართველ ხალხში თავი იჩინა ცოდნა-განათლებისადმი საყოველთაო მისწრაფებამ. ამ მხრივ დიდ საქმეს აკეთებდნენ ეკლესია — მონასტრებთან არსებული სკოლები და „საშინაო სკოლები“. ახალგაზრდობა აქ პირველდაწყებით განათლებას იძენდა და ზნეობრივად ყალიბდებოდა. კულტურის წინსვლას დიდად უწყობდა ხელს ხალხური პოეზია, რომელიც თავისი მხატვრულობით მხარს უსწორებდა პროფესიულ მწერლობასაც კი. ხალხური შემოქმედების მრავალფეროვანი თემატიკა ასახავდა ცხოვრების ყველა მხარეს, — გმობდა უსამართლობას, ასაფუძვლებდა მაღალ ზნეობრივ პრინციპებს. მაგალითად, ხალხმა გაითავისა 40-იან წლებში შექმნილი მესტვირული პოემა „არსენას ლექსი“, რომელიც სოციალურ ჩაგვრას გმობდა და მის წინააღმდეგ მებრძოლ ვაჟკაცს არსენა ოძელაშვილს განადიდებდა. არსენა მდიდრებს ართმევს, ღარიბთ აძლევს, ასეთ კაცს ღმერთი არ წაახდენსო — მღეროდა ხალხი. ხალხური ლექსები ხოტბით მოიხსენიებდნენ ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლ გმირებს. ხალხური შემოქმედების თემატიკა შეეხებოდა აგრეთვე ისეთ საკაცობრიო იდეალებს, როგორიცაა სიყვარული, მეგობრობა, თავისუფლება ქალისადმი მოკრძალება, და სხვ.

XIX ს. პირველი ნახევრის ქართულ კულტურას თავის განვითარებაში ევროპეიზმის საერთო ტენდენცია ახასიათებდა. აზიური კარჩაკეტილობიდან თავდაღწეული ქართული კულტურა უბრუნდებოდა ბუნებრივ მიმართულებას, თანდათანობით და მტკიცედ იკაფავდა გზას მის ბუნებასთან ადრიდანვე შესისხლხორცებული დასავლური კულტურისაკენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი II

საქართველო XIX ს. მეორე ნახევარში

§ 1 1864 წლის საგლეხო რეფორმა და მისი შედეგები

1. ბატონყმობის გაუქმება. ყირიმის ომში მარცხმა ცხადყო რუსეთის ჩამორჩენილობა, რაც გამოწვეული იყო დრომოჭმული ფეოდალურ-ბატონყმური წყობილებით. კრიზისულმა მდგომარეობამ ცარიზმი აიძულა თვით აეღო ინიციატივა ქვეყანაში ბურჟუაზიული ხასიათის რეფორმათა განხორციელებაზე, პირველ რიგში ბატონყმობის გაუქმებაზე. 1857 წლიდან დაიწყო სამზადისი საგლეხო რეფორმისათვის. 1861 წლის 19 თებერვალს იმპერატორ ალექსანდრე მეორის ხელმოწერით გამოქვეყნდა მანიფესტი, რომლითაც გლეხებმა მოიპოვეს პირადი თავისუფლება. თავადაზნურობას ცარიზმმა არამარტო მამულები, არამედ მთავარი წოდებრივი პრივილეგიებიც შეუნარჩუნა.

საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარებისაგან ცარიზმი პირველ ხანებში თავს იკავებდა, მაგრამ სოციალური კონფლიქტების გამწვავებამ იგი აიძულა აქაც შედგომოდა სამზადისს რეფორმისათვის.

საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარების ღონისძიებათა მომზადების ხელმძღვანელობა ცარიზმმა დააკისრა დიმიტრი ყიფიანს. 1862 წელს თბილისში მოწვეული იქნა გუბერნიის თავად-აზნაურთა ყრილობა, სადაც შემუშავდა სახელმძღვანელო პროექტები მომავალი რეფორმის თაობაზე. მომდევნო წელს თავადაზნაურთა ყრილობამ განიხილა წარმოდგენილი თვალსაზრისები. პროექტების უმრავლესობა მხარს უჭერდა გლეხთა პირად თავისუფლებას მიწა-მამულზე მემამულეთა საკუთრების შენარჩუნებით. თავი იჩინა დემოკრატიულმა აზრმაც გლეხთა მიწიანად გათავისუფლების შესახებ, მაგრამ მას არც ცარისტული მმართველობის, არც მემამულე-

თავადაზნაურთა მხრივ მხარდაჭერა არ ჰქონია. 1864 წელს 13 ოქტომბერს გამოიცა დებულება თბილისის გუბერნიის გლეხთა მიწათმოწყობის შესახებ. 1865 წლის ნოემბერში გლეხთა გათავისუფლების დებულება გავრცელდა ქუთაისის გუბერნიაზეც. ბამეგრელოში ბატონყმობის გაუქმება განხორციელდა 1867 წლის დამდეგს, აფხაზეთში — 1870 წ. სვანეთში — 1871 წელს.

საგლეხო რეფორმამ საქართველოში გლეხებს კიდევ უფრო შეუმცირა მიწა-წყლის ოდენობა. ასე მაგალითად, თუ რეფორმამდე ყმა გლეხი საშუალოდ 5,2 დესიატინა მიწით სარგებლობდა, რეფორმის შემდეგ დროებით ვალდებულ გლეხს 3,4 დესიატინა დარჩა: ყველაზე მოსავლიანი მიწები ჩამოაჭრეს. „ჩამონაჭრები" თავადაზნაურობას და ხაზინას ერგო. გლეხობას პირად სარგებლობაში არ მისცეს არც ტყე, არც საძოვრები. მათი სარგებლობისათვის დაწესებულ იქნა მძიმე გადასახადები. ცარიზმმა თავადაზნაურობის გული მოიგო იმითაც, რომ თითოეულ ყოფილ ყმა-გლეხზე მისცა ფულადი ანაზღაურება 25-50 მანეთამდე.

ბატონყმობის გაუქმებამ საქართველოში გლეხთა მდგომარეობა გააუარესა. 60-იანი წლების ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ, პუბლიცისტმა ნიკო ნიკოლაძემ მთელი ევროპის გასაგონად ამ რეფორმას „მძარცველობის და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულობის დაკანონება" უწოდა.

2. მომდევნო ბურჟუაზიული რეფორმები. ცარიზმი იძულებული გახდა საგლეხო რეფორმის შემდეგ სხვა ბურჟუაზიული ხასიათის რეფორმებიც გაეტარებინა. 1865 წელს რუსეთში შემოღებული იქნა „ერობანი" — პირველი არჩევითი დაწესებულება. 1864 წელს გატარდა სასამართლო რეფორმა, 1870 წელს — საქალაქო, მომდევნო წლებში განხორციელდა სამხედრო, საფინანსო რეფორმებიც.

ცარიზმი, ჩვენთვის უკვე ცნობილი მიზეზების გამო, კიდევ უფრო ძუნწი აღმოჩნდა საქართველოში მომდევნო ბურჟუაზიულ რეფორმათა განხორციელებაში. საერობო მართველობა აქ საერთოდ არ შემოუღიათ იმის მომიზეზებით, რომ თითქოს ხალხი ამისათვის მომზადებული არ ყოფილა. ერობათა ნაცვლად შემოღებულ იქნა ე. წ. „სასოფლო მართველობა", რომელსაც სათავეში მამასახლისი ედგა. სასოფლო მართველობას უპირატესად საგლეხო გადასახადების აკრეფა ეკისრებოდა.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ხასიათმა ყველაზე ნათლად იჩინა თავი სასამართლო რეფორმის გატარებაში. რუსეთში სასამართლო რეფორმა ყველაზე დემოკრატიული იყო თავისი ხასიათით: მოსამართლეებს ირჩევდნენ, დაწესდა ნაფიც მსაჯულთა ინს-

ტიტუტი. საქართველოში სასამართლო რეფორმა, რომელიც 1867 წლიდან შევიდა ძალაში, ამ სიახლეს არ ითვალისწინებდა, თვითმპყრობელობამ კოლონიურ საქართველოს თავზე მოახვია მძიმე ბიუროკრატიულ აპარატსა და მოხელეობაზე დამოკიდებული სასამართლოები, სადაც საქმის წარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ცარიზმი აქაც საზოგადოებრიობის მოუმზადებლობას იმიზეზებდა. მისი მოტივების მიღმა უხეში კოლონიური ჩაგვრის მთელი სისტემა იმალებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქალაქო რეფორმა თბილისზე გავრცელდა 1874 წლიდან. 18 ნოემბერს შედგა ქალაქის სათათბიროს ხმოსანთა არჩევნები, რომელიც ქონებრივი ცენზის მიხედვით სამ თანრიგად ჩატარდა. შეიქმნა ხმოსანთა სათათბირო, რომლის თავმჯდომარეობა დაეკისრა დიმიტრი ყიფიანს. ქუთაისში სათათბიროს არჩევნები ჩატარდა 1875 წლის სექტემბერში. ქალაქის თავად არჩეულ იქნა ნ. აბაშიძე, მომდევნო წლებში თვითმართველობა შეიქმნა გორში, ახალციხეში, ფოთში. მოგვიანებით — ახლადშემოერთებულ ბათუმში. საქალაქო თვითმართველობათა უფლებები ფრიად შეზღუდული იყო. მათ ადგილობრივი სამეურნეო საქმიანობის გაძღოლა ევალებოდათ. ამის მიუხედავად საქალაქო რეფორმას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, მან გზა გაუხსნა ქალაქების კეთილმოწყობაში ერის პატრიოტ მოღვაწეთა ინიციატივას.

3. ხელოსნური ჯანყი თბილისში 1865 წელს. 1865 წელს თბილისში ღარიბი მოსახლეობის გრანდიოზული გამოსვლა მოხდა. ამ აჯანყებაში წამყვან ძალას წარმოადგენდნენ ხელოსნები, რომლებიც სხვადასხვა ამქარში იყვნენ გაერთიანებულნი. ამიტომ ამ მღელვარებას „ამქართა ბუნტსაც" უწოდებენ. ამქრების გარდა აჯანყებაში მონაწილეობდნენ სოფლიდან ქირაზე ჩამოსული გლეხები და წვრილი ვაჭრები.

აჯანყების მიზეზი იყო ქალაქის დაბალი ფენების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. თბილისში ლუკმა პურის საძიებლად სოფლიდან ჩამოსულ მუშა ხელს ულმობლად ყვლეფდნენ ადგილობრივი მსხვილი ბურჟუაზია და მთავრობის მოხელენი. მძიმე ტვირთი აწვა წვრილ მოვაჭრეებსაც. ხალხის მოთმინების ფიალა აავსო იმან, რომ მთავრობამ, ვითომცდა ქალაქის ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის მიზნით, დააწესა ახალი გადასახადი, რომლის გადახდა გაძვალტყავებულ მოსახლეობას აღარ შეეძლო.

გადასახადების თაობაზე მთავრობის განკარგულების წინააღმდეგ 1865 წლის გაზაფხულზევე დაიწყო კრებები. მღელვარების მოთავეებმა თხოვნით მიმართეს ქალაქის თავს, მეფის ნაცვალს და

თვით იმპერატორსაც კი გაეუქმებინათ უკანონო გადაწყვეტილება. საჩივარს შედეგი არ მოჰყოლია. 26 ივნისს ვაჭართა და ხელოსანთა მონაწილეობით გაიმართა მიტინგი, სადაც გადაწყდა დაცარიელებულ ყველა მაღაზია და დუქანი. როცა პოლიცმეისტერმა ხალხს მუქარა დაუწყო, მის რეზიდენციასთან 10 ათასი კაცი შეგროვდა და მოითხოვა არა მარტო გადასახადების გაუქმება, არამედ პოლიცმეისტერის გადაყენებაც. მღელვარების დაშოშმინება სცადა გრიგოლ ორბელიანმა, რომელიც მაშინ საქართველოს უმაღლესი ხელისუფალი იყო. მან ხალხს მიმართა: „შვილებო, გონს მოდით, დამშვიდდით, კანონი ყველასათვის ერთია. კაცი მთავარმართებელი ვარ და ცხენის ხარჯს მეც ვიხდიო". მას დაცინვით გამოეპასუხენ: „თქვენ ცხენს აჭმევთ, ჩვენ კი ცხენი გვაჭმევსო". პოლიცმეისტერი შეეცადა თავშეყრილთა გაფანტვას სამხედრო ძალის გამოყენებით. შეტაკებისას სისხლიც დაიღვარა. მღელვარების მონაწილეებმა დალეწეს ქალაქის თავის სასახლე, გადასახადების ამკრეფი მოკლეს და მისი სახლი დაარბიეს.

ქალაქის ხელისუფლებამ აჯანყებულებთან მოლაპარაკება გამართა, მაგრამ უშედეგოდ. 28 ივნისს აჯანყებულებს ჯარის ნაწილები მიესივნენ. ამ შეტაკებას მსხვერპლიც ახლდა. აჯანყება ჩაქრობილ იქნა. მოთავეები სასტიკად დასაჯეს.

ცარიზმის რეაქციულმა პრესამ ეს აჯანყება ანტირუსულ გამოსვლად შეაფასა. არარუსი ხალხების მოძულე კატკოვი, რომელიც მთავრობის გაზეთს რედაქტორობდა, აფრთხილებდა მთავრობას, რომ საქართველოში, ისე როგორც პოლონეთში, მოქმედებს ანტირუსული საიდუმლო ორგანიზაცია „მოლოდაია გრუზია", რომელიც ანტირეჟიმულ აჯანყებას ამზადებსო. ეს დასმენა გამიზნული იყო იქეთკენ, რომ მთავრობას საქართველოში რეპრესიები გაეძლიერებინა.

კატკოვის პროვოკაციულ გამოლაშქრებას ჟურნალ „კოლოკოლში", რომელიც ლონდონში გერცენისა და ოგარევის ხელმძღვანელობით გამოდიოდა, 1865 წ. სექტემბრის ნომერში ნიკო ნიკოლაძემ გასცა საკადრისი პასუხი. ნიკოლაძემ თბილისის ღარიბობის გამოსვლა შეაფასა „მთავრობის უჭკუობის და თავისი სამწყსოს გაძღოლის უუნარობის" მორიგ გამოვლინებად. მანვე სასაცილოდ აიგდო „რუსულ-კატკოვური ნაციონალური პოლიტიკის თვალსაზრისი" და ამხილა არარუსი ხალხებისადმი ცარიზმის ვერაგული დამოკიდებულების ფაქტები. „თქვენ გადაასახლეთ ჩერქეზები საშშობლო მთებიდან და ახლა თხოულობთ სხვა ეროვნებათა აღმოფხვრას... როგორ მოჩანს ყველა ამაში მონღოლური მიდრეკილება, რომელიც

ფიქრობს ააგოს თავისი დიდება განადგურებასა და ნანგრევებზე" – აღნიშნავდა ნიკო ნიკოლაძე. ეს იყო ქართველი ერის კოლონიური ჩაგვრის პირველი საჯარო მხილება ევროპულ ასპარეზზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჯანყებას დადებითი შედეგები მოჰყვა, მთავრობა იძულებული გახდა წასულიყო ზოგიერთ დათმობაზე. განხორციელდა ცვლილება ქალაქის მართველობაშიც.

§ 2. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და სოციალური ცვლილებები რეფორმათა შემდგომ პერიოდში.

1. ეკონომიკური წინსვლა. ბატონყმობის გადავარდნა პროგრესული მოვლენა იყო. ყმური, იძულებითი შრომის გაუქმებით გზა გაეხსნა ბურჟუაზიულ ურთიერთობათა შემდგომ განვითარებას. ქალაქებს მიაწყდა თავისუფალი მუშახელი, მეტი გასაქანი მიეცა ფაბრიკა-ქარხნების მოწყობას, ვაჭრობა-აღებმიცემობას.

ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების წინსვლას დიდად შეუწყო ხელი რკინიგზების მშენებლობამ. 1871 წელს გაყვანილი იქნა ფოთი-ყვირილას რკინიგზის ხაზი, მომდევნო წელს თბილისი-ფოთისა. 1883 წელს რკინიგზით თბილისი ბაქოს და მისი საშუალებით რუსეთს დაუკავშირდა. რკინიგზა გაყვანილ იქნა აგრეთვე ქუთაისის, ბათუმის, ტყიბულის, ბორჯომის მიმართულებით.

რკინიგზებმა მოიზიდა საქართველოსა და ამიერკავკასიას დახარბებული რუსი და უცხოელი საქმოსნები, რომლებმაც ხელი მიყვეს ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავებას. დაიწყო ჭიათურის მანგანუმის მოპოვება და გატანა მსოფლიო ბაზარზე, ტყიბულის ქვანახშირის ამოღება. საუკუნის ბოლოსათვის საქართველოდან გაქონდათ 40 მილიონ ფუთზე მეტი მანგანუმი. რკინიგზამ მეტად დაუახლოვა ერთმანეთს სხვადასხვა კუთხეები, გაცხოველდა მათი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთკავშირი. შინაური ბაზრის ზრდის, რუსეთისა და მსოფლიო ბაზრებში ჩართვის შედეგად დაჩქარდა სამრეწველო განვითარება.

90-იან წლებში უმსხვილესი საწარმო გახდა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები თბილისში. აქ თავი მოიყარა მუშათა დიდმა რაოდენობამ. 1890 წელს რკინიგზის თბილისის სახელოსნო და დეპო 3000-მდე მუშასა და მოსამსახურე პერსონალს აერთიანებდა.

თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რიგ სამაზრო ქალაქებში 70-90-იან წლებში შენდებოდა ახალი საწარმოები. მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებში სამანქანო წარმოებაც ინერგებოდა.

საქართველოს სამრეწველო განვითარება მაინც ნელა მიმდინარეობდა. ცარიზმის კოლონიური ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველო კვლავ რჩებოდა მომხმარებელ და არამწარმოებელ ქვეყნად. მომრავლებული საწარმოები უპირატესად ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებისათვის იყო გამიზნული. სამრეწველო პროდუქციის დიდი ნაწილი საქართველოში რუსეთიდან შემოდიოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს მრეწველობაში გაბატონებული მდგომარეობა უცხო კაპიტალს ეკავა, განსაკუთრებით მძლავრად იყო ფეხმოკიდებული სომხური კაპიტალი, რომელიც აბრკოლებდა ქართული ბურჟუაზიის წარმოქმნას.

ქართველ მრეწველთაგან ერთეულები თუ ახერხებდნენ დაწინაურებას. ფართო მასშტაბის მრეწველი გახდა დავით სარაჯიშვილი. მან რუსეთში და უცხოეთში მიიღო საბუნებისმეტყველო განათლება. 1888 წელს თბილისში ააგო კონიაკის ქარხანა, რომელიც სამამულო ნედლეულზე მუშაობდა. მისი ქარხნის ნაწარმმა დიდი მოწონება პოვა რუსეთის და მსოფლიო ბაზრებზე. დ. სარაჯიშვილი თავისი ქვეყნის მხურვალე პატრიოტი იყო. კაპიტალს იგი ახმარდა ეროვნულ დაწესებულებებს. ბაქოს ნავთობის მრეწველობაში თავი გამოიჩინეს ზუბალაშვილებმა, ა. ხოშტარიამ და სხვებმა, რომლებიც ასევე მეცენატობდნენ ქართულ კულტურას.

2. სოციალური ურთიერთობათა გამწვავება სოფლად. რეფორმის შემდეგ საქართველოს გლეხთა მდგომარეობა გაუარესდა. მემამულე მიწათმფლობელთა მხრივ გლეხთა ექსპლუატაციას ზედ დაერთო სოფლად მომძლავრებული კულაკებისა და ჩარჩ-ვაჭრების მხრივ ჩაგვრა. გაიზარდა სახელმწიფო გადასახადებიც.

ჩაგვრის გაძლიერებამ გამოხატულება პოვა გლეხთა აჯანყებებში, რომელსაც 70-80-იან წლებში ადგილი ჰქონდა სამეგრელოში, სვანეთში, კახეთში და სხვაგან.

1876 წელს ზუგდიდის მაზრის სოფელ ლიასა და ფახულიანის გლეხებმა საჯაროდ განაცხადეს უარი შეესრულებინათ ვალდებულებანი თავად დადიანისათვის. მოლაპარაკებამ არ გაჭრა. გლეხებმა იარაღს მოჰკიდეს ხელი. მათ ახლომახლო სოფლების გლეხებიც შეუერთდნენ. მაზრის უფროსმა აჯანყებულ გლეხთა წინააღმდეგ ჯარი გამოიყენა, შეტაკებას ორივე მხრიდან მსხვერპლი მოჰყვა.

უფრო ხანგრძლივი იყო სვანეთის გლეხთა აჯანყება, რომელიც დაიწყო იმავე პერიოდში. მთავრობამ სვანეთში ახალი გადასახადების დაწესება განიზრახა, რისთვისაც შეუდგა მიწების აზომვა-აღწერას. გლეხობამ ამ ღონისძიებას ენერგიული წინააღმდეგობა გაუ-

წია. მოხელეთა დასახმარებლად მთავრობამ ჯარი მოიშველია, აჯანყებულმა გლეხებმა ჯართან შეტაკებისას მოჰკლეს მაზრის უფროსი და სამხედრო ნაწილის მეთაური: მთავრობამ ჯარის ახალი ნაწილები გაგზავნა. იერიშით აიღეს და მიწასთან გაასწორეს სოფელი ხალდე. აჯანყების მოთავენი მთავრობამ დააპატიმრა.

აჯანყებულთა მესვეურებს მთავრობამ მოუწყო სასამართლო. აღსანიშნავია რომ დაპატიმრებულ გლეხთა დასაცავად გამოვიდნენ ნ. ნიკოლაძე, აკ. წერეთელი. ქართული პრესის ფურცლებზე დაიწერა პუბლიცისტური წერილები, სადაც მხილებული იყო გლეხთა უმძიმესი მდგომარეობა და მთავრობის მოხელეთა უკანონობა.

1878 წელს აჯანყება მოხდა კახეთში. თურქეთის წინააღმდეგ ომის გამო მთავრობამ აქ ახალი ბეგარა-გადასახადების დაწესება სცადა, რასაც გლეხობა წინ აღუდგა. აჯანყების მთავარი კერა იყო ქიზიყი, ფიწლებით, ხანჯლებით, ცულებით შეიარაღებული გლეხობა დაიძრა სიღნაღისაკენ და გარს შემოერტყა მაზრის უფროსის რეზიდენციას. 5 ივლისს აჯანყებულებმა სოფელ ბაკურციხეში ალყა შემოარტყეს თავად ვაჩნაძის სახლს, სადაც მაზრის უფროსი ნადიმობდა. გლეხებმა დაარბიეს ვაჩნაძის სახლკარი, სცემეს მაზრის უფროსს, შემდეგ ადგილობრივ კულაკებსა და ჩარჩ-ვაჭრებს დაერივნენ.

მთავრობამ ეს აჯანყებაც სამხედრო ძალის გამოყენებით ჩაახშო. აჯანყების 21 თავკაცი სასამართლოში მისცეს და ციმბირში გადაასახლეს.

გლეხთა მღელვარებები საქართველოს სხვა სოფლებშიც იყო. ეს მღელვარებანი იმას მოწმობდნენ, რომ გლეხურ მოსახლეობაში იზრდებოდა სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლო სულისკვეთება.

3. მუშათა კლასის წარმოქმნა. ბატონყმური უღლისაგან განთავისუფლებული უმიწაწყლო გლეხთა დიდი ნაწილი მიაწყდა ქალაქებს, სადაც ახლად გახსნილ საწარმოებში ან მომსახურების სფეროში ჩაება ლუკმა პურის საშოვნელად. სოფლებში დარჩენილი გლეხობიდან დიდი ნაწილი ძლივსძლივობით ახერხებდა თავის გატანას. გლეხთა მხოლოდ მცირედი ნაწილი ადგილ-მამულის შესყიდვით ეკონომიკურად წინაურდებოდა და სოფელს ახალი ექსპლუატატორის როლში ევლინებოდა. გლეხთა დიფერენციაციის პროცესი გაღრმავდა 70-90-იან წლებში, ამასთან ერთად გართულდა სოციალური ურთიერთობანი.

გლეხობა დაუპირისპირდა არა მარტო მემამულე თავადაზნაურობას, არამედ მომძლავრებულ სოფლის ბურჟუაზიას. ქართული

სოფლისათვის დამახასიათებელი ეს ახლებური პროცესები მხატვრული ფორმებში აისახა მწერლების — ეგნატე ნინოშვილის, სოფრომ მგალობლიშვილის, ეკატერინე გაბაშვილის და სხვათა ნაწარმოებებში. რეფორმის შემდგომმა ეკონომიკურმა პროცესებმა შეაპირობეს მემამულურ-თავადაზნაურული მეურნეობის დეგრადაცია. ქართველ თავად-აზნაურთა უმრავლესობამ ვერ აუწყო ფეხი ახლებურ ცხოვრებას, ვერ გარდაქმნა თავისი მეურნეობა ბურჟუაზიულ ყაიდაზე, ფუფუნების მოყვარული თავადობის დიდი ნაწილი მამულებს ან ყიდდა, ან საადგილმამულო ბანკში აგირავებდა, ხოლო თვითონ სახელმწიფო სამსახურში ეწყობოდა. თავად-აზნაურთა მიერ გაყიდულ მამულებს უპირატესად მდიდარი სომეხი ვაჭარ-კაპიტალისტები ეპატრონებოდნენ. ეს იყო ეროვნული მთლიანობისათვის საშიში პროცესი, რასაც თავგამოდებით ებრძოდა მოწინავე ქართული საზოგადოება.

70-90-იანი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს ქალაქურ წარმოებებში მუშათა მომრავლება. რკინიგზის მშენებლობამ, სამთომადნო წარმოების განვითარებამ, ფაბრიკა-ქარხნების რიცხვის ზრდამ მიიზიდა სოფლის გაღატაკებული გლეხობა, რომელიც ჩაება სამრეწველო ცხოვრებაში. XX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს მუშათა რაოდენობა 20 ათასს აღემატებოდა.

მუშები არ ფლობდნენ წარმოების საშუალებებს, ისინი თავიანთ სამუშაო ძალას ჰყიდდნენ. მათი საყოფაცხოვრებო პირობები წარმოების მეპატრონე კაპიტალისტზე იყო დამოკიდებული. კაპიტალისტები კი იმას ცდილობდნენ, რომ მუშებს მეტი სამუშაო შეესრულებინათ და ნაკლები გასამრჯელო მიეღოთ. ქალაქად მოძალებული დამშეული გლეხების სიმრავლის გამო კაპიტალისტებს საშუალება ეძლეოდათ გაეძლიერებინათ ექსპლუატაცია. მუშები წარმოებაში 14-16 საათს მუშაობდნენ. ხელფასი კი იმდენათ მცირე იყო, რომ ისინი ნახევრად შიმშილობდნენ.

ფაბრიკა-ქარხნებში დასაქმებულ მუშებს თანდათან უმუშავდებოდათ მეპატრონეთა წინააღმდეგ კოლექტიური ბრძოლის სულისკვეთება. ჩვენშიც, ისე როგორც ყველა ბურჟუაზიულ ქვეყანაში, თავს იჩენდა მუშათა ბრძოლის ისეთი ფორმები, როგორიცაა გაფიცვა, დემონსტრაციები და სხვა. 80-90-იან წლებში გაფიცვები მიზნად ისახავდა ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. ახალი საუკუნის დამდეგიდან გაფიცვებმა და დემონსტრაციებმა პოლიტიკური ბრძოლის ხასიათი შეიძინეს.

საქართველოს მუშები არსებითად განსხვავდებოდნენ რუსეთის და ევროპის მუშათა კლასისაგან იმით, რომ ისინი სოფელს მთლი-

ანად მოწყვეტილი არ ყოფილან. რკინიგზის სახელოსნოებში, სამთომადნო მრეწველობაში დასაქმებულ მუშათა დიდ უმრავლესობას სოფლად ოჯახი ჰყავდა და მცირე მიწა-წყალიც გააჩნდა, რომელსაც კვირა და უქმე დღეებში ამუშავებდა. სოფელთან ეს მუდმივი კავშირი ქართველ მუშათა თავისებურ ფსიქოლოგიას აყალიბებდა, რაც მას, მაგალითად, რუსი პროლეტარისაგან დიდად განასხვავებდა. თავის სამკვიდროსთან მიჯაჭვული მუშის ეროვნული სულისკვეთებაც მუდამ მაღალი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეფორმის შემდგომ პერიოდს, სავაჭრო და სამრეწველო ცხოვრების გაცხოველების გამო მოჰყვა ქალაქების მოსახლეობის ზრდა. ეს ყველაზე მეტად დაეტყო თბილისს, რომლის მცხოვრებთა რაოდენობა რეფორმის პერიოდიდან დიდად გაიზარდა. მაგალითად, თუ 1865 წელს თბილისში 71,051 მოსახლე იყო აღრიცხული, 1897 წლის აღწერით იგი 159.520 სულამდე გაიზარდა. სწრაფად იზრდებოდა დასავლეთ საქართველოს საგუბერნიო ქალაქი ქუთაისი, ახლადშემოერთებული ბათუმი, ჭიათურა, ხაშური და სხვა.

თბილისი წარმოადგენდა არა მარტო საგუბერნიო ქალაქს, არამედ კავკასიის ცენტრს. აქ იყო თავმოყრილი მხარის მართველი ზედაფენა, სამხედრო და სამოქალაქო სამსახურები. რუსეთის სამოხელეო ბიუროკრატია ჩაკეტილ კასტას წარმოადგენდა და იგი ქართული ეროვნული სულისკვეთებისადმი მტრულად იყო განწყობილი. ხალხმრავალ ქალაქს მომსახურეთა ფართო წრე ჭირდებოდა. თბილისი უთვალავი წვრილი სახელოსნოებითა და სავაჭრო დუქნებით იყო მოფენილი. თბილისის ბაზრებს კავშირი ჰქონდათ მრავალ ქვეყანასთან. ქალაქის ვაჭრები, ხელოსნები, მომსახურე პერსონალი გაცილებით მეტი იყო რაოდენობრივად, ვიდრე მუშათა კლასი. ეს წვრილბურჟუაზიული მასა ანუ ე. წ. „შუალედური ფენები" განსაზღვრავდნენ ქალაქის იერ-სახეს. შუალედურ ფენებს წამყვანი პოზიცია ეკავათ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამ წრიდან იღებდა შევსებას ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია, რომელიც რევოლუციურ-გამათავისუფლებელ ბრძოლებს მესვეურობდა.

§ 3. ბათუმის ოლქის შემოერთება. კოლონიური ჩაბვრის გაძლიერება.

1. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი და აჭარის დედასამშობლოში დაბრუნება. 1877 წელს მეფის რუსეთსა და სულთანურ თურქეთს შორის ისევ ომი დაიწყო. ამ ომს ორთავე მხრივ დამ-

პყრობლური მიზნები ჰქონდა. რუსეთი ესწრაფვოდა ბალკანეთის ქვეყნებსა და კავკასიაში თავისი ბატონობის განმტკიცებას და ახალი ტერიტორიების დაპყრობას. თურქეთი ცდილობდა ჩაეხშო მის მიერ დაპყრობილი ბალკანელი ხალხების გამათავისუფლებელი ძალისხმევა, ამასთან აღედგინა თავისი ადრინდელი ძლიერება და ბატონობა ბალკანეთსა და ამიერკავკასიაში.

ქართული საზოგადოებრიობა იმის მიუხედავად რომ ცარიზმისადმი მტრულად იყო განწყობილი, ამ ომში მის მხარეზე იდგა. ომში ქართველი ხალხი მოელოდა თურქ დამპყრობელთაგან ადრე მიტაცებული თავისი სამხრეთი მიწა-წყლის გათავისუფლებას. აჭარის იძულებით გამაჰმადიანებული მოსახლეობაც სულითა და გულით დედა-სამშობლოსაკენ მოისწრაფვოდა. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე თურქეთის მიერ მიტაცებულ ქართულ პროვინციებში გაჩაღებული იყო ანტითურქული აჯანყებები.

ომის დაწყებისთანავე საქართველოში დაიწყო მოხალისე მოლაშქრეთა (მილიციის) რაზმების ჩამოყალიბება. საომარი ოპერაციები განვითარდა ბალკანეთსა და ამიერკავკასიაში. რუსეთის ჯარმა ქართველ მოლაშქრეებთან ერთად გადალახა თურქეთის საზღვარი და ბრძოლა მის ტერიტორიაზე გადაიტანა. 1877 წლის 30 აპრილს მათ დაიკავეს ქ. ბაიაზეთი, შემდეგ ქ. არტაანი. აქ ბრძოლებში თავი ისახელეს მუსხელიშვილის და მ. ამირეჯიბის სამხედრო ნაწილებმა. არტაანის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ არტანუჯისა და ართვინის გავლით გზა ბათუმისკენ იხსნებოდა, მაგრამ კავკასიის არმიის სარდლობამ პირველი რიგის ამოცანად დასახა ყარსის ციხე-სიმაგრის დაკავება და შეუტია ამ მიმართულებით. ბათუმზე შეტევა ოზურგეთის მხრიდანაც მიმდინარეობდა, აღებულ იქნა მუხაესტატე და ხუცუბანი. ივნისში დიდი ბრძოლა გაიმართა ციხისძირთან, მაგრამ აქ გამარჯვება თურქებს დარჩათ. თურქეთმა ამავე პერიოდში შავი ზღვით დესანტი გადმოსხა გუდაუთაში და სოხუმს შეუტია. ოქუმის მიდამოებში მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა. აქ მტერი დაამარცხა გენერალმა ალხაზიშვილმა რუს-ქართველთა ჯარით. თურქებისაგან მან მალე გაწმინდა აფხაზეთის მთელი ტერიტორია.

1877 წლის 17-18 ნოემბერს კავკასიის ფრონტის ჯარებმა თურქეთს გამოსტაცეს ყარსის ციხე-სიმაგრე. ეს იყო დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება, რომელიც არსებითად წყვეტდა ამ ფრონტის ბედიღბალს, მით უმეტეს, რომ შეტევა წარმოებდა ერზერუმის მიმართულებითაც.

ბათუმისათვის სამხედრო ოპერაციები ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. დეკემბერში კავკასიის არმიის ნაწილები შეიჭრნენ შავშეთში, 16 დეკემბერს დაკავებულ იქნა არტანუჯი.

ომის საბოლოო ბედი ბალკანეთის ფრონტმა გადაწყვიტა. პლევნას ციხე-სიმაგრის აღების შემდეგ რუსეთის ჯარებმა გადალახეს ბალკანეთის მთები და საომარი ოპერაციები გააჩაღეს ბულგარეთის ტერიტორიაზე. თურქთა არმიებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. რუსეთის არმია კონსტანტინეპოლს მიუახლოვდა. 1877 წ. 3 მარტს მეომარ მხარეთა შორის სან-სტეფანოში გაფორმდა საზავო ხელშეკრებულება.

სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება რუსეთის საზიანოდ ზოგიერთი ცვლილებით დაადასტურა ბერლინის საერთაშორისო კონგრესმა, რომელიც 1878 წ. ივნისში შეიკრიბა. 13 ივლისს ხელმოწერილი, ე. წ. „ბერლინის ტრაქტატით" კავკასიაში რუსეთის მფლობელობაში გადავიდა ბათუმი, ყარსი და არდაგანი. ამრიგად, ოსმალთა მფლობელობისაგან საბოლოოდ განთავისუფლდა აჭარა-ქობულეთის მიწა-წყალი, თუმცა საქართველოს ტერიტორიის ნაწილი ძველ მდგომარეობაში დარჩა.

ზავზე ხელმოწერის მომენტში ბათუმი ისევ თურქთა ჯარს ეკავა. გულმოდგინედ მუშაობდნენ თურქეთის აგენტები, რათა აჭარის მუსლიმურ მოსახლეობასა და ქართველთა შორის შუღლი გაეღვივებინათ, მაგრამ ვარაუდი ჩაეშალათ. აჭარის მოსახლეობამ გამათავისუფლებელ არმიას სრული სოლიდარობა გამოუცხადა. 1878 წლის 25 აგვისტოს კავკასიელი მოლაშქრენი ბათუმში შევიდნენ. ბათუმის ნავსადგური რუსეთის საბრძოლო ხომალდებმა დაიკავეს. ეს დღე ბათუმში დიდი ზეიმით აღინიშნა.

ქართული საზოგადოებრიობა მხურვალედ მიესალმა თურქთა უღლისაგან აჭარის გათავისუფლებას. „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა, — წერდა ი. გოგებაშვილი გაზ. „დროებაში"... ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა", ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა".

ქართველი საზოგადოებრიობა არ ზოგავდა სახსრებს, რომ აჭარელ მოსახლეობას მიშველებოდა. გროვდებოდა შეწირულებანი. ილია ჭავჭავაძე აქეზებდა ხალხის ამ თაოსნობას და გაზ. „ივერიაში" წერდა: „აბა ქართველობავ, ახლა შენ იცი როგორ დაანახებ თავს შენს ახლად შემოერთებულ ძმებსა! ახლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათ ანდერძს: ძმა ძმისთვინა და შავი დღისთვისაო"! ამ ნიშნით ჩატარდა თბილისში გათავისუფლებული აჭარის თავკაცთა სტუმრობა. შეხვედრაზე მხურვალე პატრიოტული სიტყვა წარმოთქვა გრიგოლ ორბელიანმა.

2. ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის გაძლიერება. 1881 წლის 1 მარტს ნაროდნიკმა ტერორისტებმა მოჰკლეს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე. ახალი იმპერატორის ალექსანდრე III სამის ტახტზე ასვლისთანავე გაძლიერდა რეპრესიები. ქვეყანაში დამყარდა მკაცრი პოლიტიკური რეაქციის ხანა. თვითმპყრობელობამ კურსი აიღო 60-იანი წლების რეფორმებით შელახული წოდებრივი პრინციპების აღდგენაზე. მთელს ქვეყანაში მკაცრი ბრძოლა გამოეცხადა რევოლუციურ და ლიბერალურ მოძრაობას, შეფერხდა ბურჟუაზიული განვითარება. რეაქციულმა ხელისუფლებამ განსაკუთრებული სისასტიკით შეუტია იმპერიის არარუს ხალხთა ეროვნულ მისწრაფებებს. რუსიფიკატორული ღონისძიებანი გაძლიერდა პოლონეთში, ფინეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთსა და ამიერკავკასიაში. არარუსი ხალხების სეპარატიზმს ცარიზმმა დაუპირისპირა „მთლიანი და განუყოფელი რუსეთის“ შოვინისტური იდეოლოგია. რეაქციული ჟურნალ-გაზეთები შეუდგნენ იმის მტკიცებას, რომ რუსი ხალხი რჩეულია და სლავი ხალხების მესვეურობის მისიაც მას ეკისრებაო. ეს შოვინისტები რუსეთის იმპერიაში შემავალ არარუს ხალხებს ისტორიის „შავ მასალად“ თვლიდნენ. დაიწყო ებრაელთა მასობრივი დარბევანი.

პოლიტიკური რეაქციის ხანა ამიერკავკასიაში აღინიშნა ეროვნული ჩაგვრის მკვეთრი გაძლიერებით. ცარიზმმა გააუქმა კავკასიის სამეფისნაცვლო და აღადგინა მთავარმართებლობა. მთავარმართებლის პოსტზე დანიშნეს სატრაპი დონდუკოვ-კოსაკოვი. მან გვერდით ამოიყენა უკიდურესი შოვინისტები — კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი, ეგზარქოსი პავლე და სხვები. „რეაქციის ტრიუმვირატმა“ მიზნად დაისახა ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული მეობის წაშლა და მისი გარუსება. ხმარებიდან ამოღებულ იქნა პოლიტიკური მცნება საქართველო. თბილისის და ქუთაისის გუბერნიები უშუალოდ საიმპერიო ცენტრს დაუქვემდებარდნენ. გუბერნატორს დავალება მიეცა სამსახურში არ დაეშვათ ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები, რადგან ისინი შენიშნულნი იყვნენ „სეპარატისტულ განწყობილებაში“. დონდუკოვ-კორსაკოვი 1890 წელს შეცვალა შერემეტიევმა. 1896 წელს მთავარმართებელი გახდა გოლიცინი, რომელიც განსაკუთრებული ენერგიულობით შეუდგა მხარის რუსიფიკაციას.

კავკასიის რეაქციონერმა მართველებმა პირველყოვლისა ეროვნულ ენებსა და კულტურას შეუტიეს. გამკაცრდა ცენზურა. აიკრძალა ის ქართული ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც ეროვნულ მოძრაობას თანაუგრძნობდნენ. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა

იანოვსკიმ 1881 წელს სკოლებს დაუგზავნა ცირკულარი, რომელიც ქართული ენის ნაცვლად რუსული ენის სწავლებას აწესებდა. მშობლიური ენა ცხადდებოდა არასავალდებულოდ და მას მხოლოდ ბალ კლასებში ეთმობოდა საათების მცირე რაოდენობა, ისიც გავვეთილის ბოლოს. იგივე იანოვსკიმ 1885 წლის ცირკულარით ქართული ენა საერთოდ აკრძალა სკოლებში და იგი „საოჯახო ზრუნვის" საგნად გამოაცხადა. ამ ცირკულარით რუსული ენის არმცოდნე ბავშვები სკოლის გარეშე რჩებოდნენ. ვერაგული იყო განზრახვა იმის თაობაზე, რომ სამეგრელოს, აჭარის, სვანეთის სკოლებში სწავლა შემოეღოთ მეგრულ, თურქულ და სვანურ ენებზე იმის მომიზეზებით, რომ თითქოს მეგრელები აჭარლები და სვანები ცალკე, არაქართულ ეროვნებებს წარმოადგენდნენ.

კავკასიის მთავარმართებლობამ გააძლიერა მხარის კოლონიზაცია უცხოური ელემენტებით. ადგილ-მამულებს ურიგებდნენ რუს კოლონისტებს, მაშინ როცა ადგილობრივი მოსახლეობა მიწის დიდ სივიწროვეს განიცდიდა. განსაკუთრებული გულმოდგინებით შეუდგა ცარიზმი შავი ზღვისპირა რაიონების ათვისებას. გათვალისწინებული იყო სოხუმ-გაგრის რაიონების რუსულ ახალშენებად გადაქცევა. კოლონიზატორულ ღონისძიებათა განხორციელებაში ცარიზმს მხარში ედგა რუსული მართმადიდებლური ეკლესია. განიდევნა ქართული წირვა-ლოცვა, დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა ქართველ-აფხაზთა კულტურულ ერთობას. აფხაზთა შორის ხელოვნურად განგებ ნერგავდნენ ანტიქართულ განწყობილებას.

ასეთივე პოლიტიკას ახორციელებდა ცარიზმი ახლად შემოერთებულ აჭარაშიც. აჭარის მართველობა ცარიზმმა მოაწყო რუსულ ყაიდაზე. იგი ყოველმხრივ ცდილობდა ამ მხარის რუსიფიკაციისათვის მიეღწია. ცარიზმი XIX ს. 80-იანი წლებიდან მისი არსებობის ბოლო პერიოდამდე დაუნდობლად ებრძოდა ქართველ მოღვაწეთა მისწრაფებას აეღორძინებინათ მშობლიურ აჭარაში ეროვნულ-პატრიოტული განწყობილება. ბათუმის რუსული პრესა შოვინისტურ იდეებს ქადაგებდა და ცდილობდა პროთურქული ელემენტების — მოლების და ხოჯების საშუალებით ადრე ძალად გამუსლიმებული აჭარის მოსახლეობა მომძე ქართველობისათვის დაეპირისპირებინა.

§ 4. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა 60-70-იან წლებში

1. მოძრაობის სათავეებთან. დიმიტრი ყიფიანი, გაბრიელ ეპისკოპოსი. 60-70-იანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრა-

ობა ბრწყინვალე ფურცელია XIX საუკუნის საქართველოს ისტორიაში. ამ დროს გამოვიდა ასპარეზზე თერგდალეულთა შესანიშნავი თაობა, რომელმაც უდიდესი საქმე გააკეთა ეროვნული გონიერების ამაღლებისა და თვითშეგნების ამაღლებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერგდალეულობას საფუძველი 40-50-იანი წლების პროგრესულმა მოღვაწეებმა შეუმზადეს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია დიმიტრი ყოფიანისა და გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლი, რომელთაც წარუშლელი კვალი დაამჩნიეს იმ დროის საერო და სასულიერო ცხოვრებას.

დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი (1814-1887) თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დამთავრებისთანავე ჩაება საზოგადოებრივ მოძრაობაში. იყო 1832 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილე, რის გამოც ვოლოგდაში გადაასახლეს. 1837 წელს დაბრუნდა თბილისში. სწრაფად დაწინაურდა სახელმწიფო სამსახურში და მეფისნაცვლის საბჭოს წევრი გახდა. 60-იან წლებში იყო ჯერ თბილისის, შემდეგ ქუთაისის თავადაზნაურთა წინამძღოლი, შემდეგ თბილისის ქალაქის თავი.

სახელმწიფო სამსახურში დ. ყიფიანი განუხრელად იდგა ქართველი ერის ინტერესების სადარაჯოზე. ამასთან ერთად თაოსნობდა მრავალ ეროვნულ წამოწყებას. მისი აქტიური მონაწილეობით ჩამოყალიბდა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა. შემუშავდა ეროვნული ბანკის წესდება, შეიქმნა „საქართველოს დრამატიული საზოგადოება, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელსაც სტავროპოლში გადასახლებამდე თავმჯდომარეობდა.

დ. ყიფიანმა უდიდესი ღვაწლი დასდო ქართულ კულტურას. ქართულ ენაზე თარგმნა დასავლეთ ევროპის გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებები. 1862 წელს პეტერბურგში გამოაქვეყნა „ახალი ქართული გრამატიკა“. მისი ნარკვევები რუსულ პრესაში ნათელს ფენდა საქართველოს წარსულს, მდიდარ ქართულ კულტურას, მისი „მემუარები“ ძვირფასი პირველწყაროა 30-70-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების შესასწავლად.

დ. ყიფიანი მედგრად აღუდგა წინ ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას. იგი გაბედულად შეებრძოლა 80-იანი წლების დამდეგიდან მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვის მიერ აღებულ რეაქციულ კურსს, რისთვისაც რისხვა დაიმსახურა. მან მოსთხოვა ეგზარქოს პავლეს, რომელმაც რევოლუციონერ ლაღიშვილის მიერ დეკანოზ ჩუდეცკის მკვლელობასთან დაკავშირებით საჯაროდ დასწყევლა ქართველი ერი, დაეტოვებინა საქართველო. რეაქციის მეს-

ვეურებმა დ. ყიფიანი გადაასახლეს სტავროპოლში, სადაც ცარიზმის საიდუმლო მსახურებმა ვერაგულად მოჰკლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ყიფიანის დაკრძალვა დიდ სახალხო დემონსტრაციად იქცა. ქების სიტყვები უძღვნა დიდ მამულიშვილს ილია ჭავჭავაძემ, მისი დახასიათებით დიმიტრი ყიფიანი იყო „გულთასრული", „მართალი" „დიდბუნებოვანი" კაცი, რომლის წინაშე „ყველა თავს იხრის მოწიწებით და სასოებითა".

გ ა ბ რ ი ე ლ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე (1825-1896) ქართველი ხალხის ეროვნული სულისკვეთების გაღვივებას და ზნეობის გაკეთილშობილებას მესვეურობდა. პეტერბურგის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ 1849-58 წლებში მოღვაწეობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1858 წელს, ოჯახური უბედურების შემდეგ ეკურთხა მღვდელ-მონაზნად; იყო ჯერ დავით გარეჯის არქიმანდრიტი, გორის, ხოლო შემდეგ ქუთაისის ეპისკოპოსი. მთელს იმპერიაში გაითქვა სახელი ნაშრომით „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები", რომელიც სახელმძღვანელო წიგნი იყო რუსეთის სასულიერო სემინარებში.

განსაკუთრებით დიდი რეზონანსი ჰქონდა გაბრიელის ზეპირ ქადაგებებს გელათის მონასტერში. მის სასმენად საქართველოს ყველა კუთხიდან მოდიოდნენ. ეს ქადაგებანი ეკლესიებში იკითხებოდა და გარუსების გზაზე შემდგარი ეკლესია ეროვნულ სულს და შინაარს იბრუნებდა. აღსანიშნავია, რომ გაბრიელის ქადაგების მოსასმენად ინგლისიდან საგანგებოდ ჩამოვიდა მეცნიერი სიზარ-მალანი, რომელიც შემდეგ ქართველოლოგი გახდა. გაბრიელის ქადაგებანი შეიცავს სასულიერო და საერო ინტერესების შერწყმის, ქართველი ერის გამათავისუფლებელი მოძრაობის ზნეობრივი საფუძვლების მეცნიერულ დასაბუთებას. გაბრიელი, ერისკაცობაშიც და სასულიერო მოღვაწეობის პერიოდშიც ეროვნული მოძრაობის შუაგულში იდგა. მისი თაოსნობით გაიხსნა სახალხო სკოლები. მანვე ქუთაისში დაარსა ქალთა ეპარქიული სასწავლებელი და სასულიერო სემინარია. იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი. გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლი შეფასებული აქვს ილია ჭავჭავაძეს იმ სიტყვაში, რომელიც წარმოთქვა გელათში გაბრიელის დაკრძალვის დღეს. ილიას თქმით გაბრიელი იყო კაცი, რომელიც „სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა" — მან „იცოდა რა ტკივილით იმტკივნეულოს, რა სიხარულით ინუგეშოს", იგი „მოციქულობდა ჩვენის სამშობლო სიტყვითა, იმ ენითა, რომლითაც დღესაც ვადიდებთ ღმერთსა, ვპატრონობთ ქვეყანასა და სულსა და გულს ვაწვდით ერთმანეთსა საუკუნიდან საუკუნემდე".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიმიტრი ყიფიანი და გაბრიელ ეპისკოპოსი წინამავალნი იყვნენ იმ გზაზე საითაც შემდგომ წარიმართა ჩვენი სულიერი ცხოვრება.

2. თერგდალეულთა გამოსვლა ასპარეზზე. 60-იანი წლებიდან საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა თერგდალეულთა ბრწყინვალე პლეადა. „თერგდალეული" პირობითი ტერმინია. ამ სახელწოდებით საზოგადოებრივობამ მონათლა თერგს გაღმა რუსეთში სწავლამიღებული ახალგაზრდობა. თერგდალეულებმა თავიანთ დროშას წააწერეს ლოზუნგი „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!" პირველი რიგის ამოცანად დაისახეს რულს მიცემული საზოგადოებრიობის გამოფხიზლება და გათვითცნობიერება. მათ ერთსულოვნად შეუტიეს ცხოვრების მანკიერ მხარეებს დაცემული ვინაობის აღსადგენად, ზნეობის ასამაღლებლად. ევროპის იმდროინდელი მოწინავე იდეების გასავრცელებლად აამოძრავეს მთელი ეროვნული ენერგია.

თერგდალეულთა ბრწყინვალე პლეადას მესვეურობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. ამ საზოგადოებრივი მიმდინარეობის სათავეში იდგა ილია ჭავჭავაძე.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე (1837-1907) იყო სულიერი მამა და მოძღვარი ქართველი ერისა. „მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანმიმდევი უკვდავი სული" — დიდი მოღვაწის ეს სიტყვები ასახავს მის როლს საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში დღევანდელობის ჩათვლით.

ილია პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში სათავეში ედგა ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს. სტუდენტობის წლებშივე გამოიკვეთა მისი საბრძოლო ეროვნული პროგრამა, რომელიც 1860 წელს დაწერილ ლექსში „მესმის, მესმის" — აამეტყველა.

„მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს დასათრგუნვლად მონობისა.
აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში!"

ილიამ სტუდენტობის დროიდანვე „ცისკრის" ფურცლებიდან შეუტია ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების რუტინას, დრომოჭმულ იდეალებს. 1861 წელს იგი რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდა და შეუდგა სამზადისს ქართული ჟურნალის დაარსებისათვის. 1863 წელს მისი რედაქტორობით გამოიცა ჟურნალი „საქართ-

ველოს მოამბე“, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინებაში.

ამ ჟურნალის დახურვის შემდეგ ილია სახელმწიფო საქმეებ-ში ჩადგა. ამ პერიოდში ღრმად ეცნობოდა მშობლიური ხალხის ჭირ-ვარამს. 70-იანი წლების დამდეგიდან სათავეში ჩაუდგა იდეურ ბრძოლას „მამათა“ ჩამორჩენილი იდეოლოგიის წინააღმდეგ. მისი თაოსნობით 1875 წელს დაარსდა სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი, რომლის სახსრები მთლიანად ეროვნულ საქმეს ხმარდებოდა. ილია თავმჯდომარეობდა ქართულ დრამატიულ საზოგადოებას, ხოლო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში იდგა დიმიტრი ყიფიანის გვერდით. 1877 წელს გამოსცა ჟურნალი „ივერია“, რომელიც 1886 წლიდან ყოველდღიურ გაზეთად აქცია. „ივერია“ საქართველოს სულიერ ცენტრს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მედროშეს წარმოადგენდა.

60-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან ვერ დავასახელებთ რომელიმე მნიშვნელოვან მოვლენას, რომლის მოთავე ან აქტიური მონაწილე ილია არ ყოფილიყოს. იგი აქეზებდა აქტიური მოღვაწეობისათვის პატრიოტ ახალგაზრდობას, საკადრის პასუხს აძლევდა საქართველოს მტრებს. „ივერიის“ სარედაქციო ბინა, სადაც თვითონაც ცხოვრობდა, წარმოადგენდა ეროვნულ შტაბს. აქ სისტემატურად იკრიბებოდა და საზოგადოებრივ საკითხებზე მსჯელობდა თბილისის მოწინავე ინტელიგენცია. ილიას მხატვრული ქმნილებები ხალხში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. ილიას მახვილი პუბლიცისტიკა მშობლიური ენის, ტრადიციების, კულტურის დაცვასა და განვითარებას ემსახურებოდა.

აკაკი წერეთელი (1840-1915) თერგდალეულთა პლეადიდან იყო ყველაზე პოპულარული პიროვნება. მისი ბრწყინვალე პოეზია ხალხმა გაითავისა, ჭირისა და ლხინის თანამოზიარედ გაიხადა. აკაკი, ილიასთან ერთად ებრძოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობას, მის მანკიერ მხარეებს და საზოგადოებრივ აზრს განაწყობდა თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ.

აკაკი წერეთელმა დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. სტუდენტობის წლებშივე ამოუდგა გვერდით ილია ჭავჭავაძეს, მისი მახვილი სატირა „ცისკრის“ ფურცლებზე რომ იბეჭდებოდა, ამხელდა „მამათა“ იდეურ ჩამორჩენილობას.

1863 წელს დაბრუნდა თბილისში და მთელი გატაცებით ჩაება

საზოგადოებრივ მოძრაობაში. პირველ ხანებში ცხოვრობდა ქუთაისში და აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ მოღვაწეთა იმავე წრის საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1867 წლიდან აკაკი თბილისში გადმოვიდა და გაზ. „დროების“ აქტიური თანამშრომელი გახდა. „დროების“ რედაქტორი ს. მესხი 1875 წელს აღნიშნავდა: „თამამად შემიძლია ვთქვა, ყველა ახლანდელ ჩვენს მწერლებში აკაკი ყველაზე უფრო ნიჭიერია და ყველაზე უფრო გამოსადეგი გაზეთისათვის. ამისთანა ცოცხალი კალამი, მარჯვე, მკვირცხლი სიტყვა, ირონია და ადვილი წერის ნიჭი არცერთ ჩვენ მწერალს არა აქვს. ამიტომ ძვირფასად მიმაჩნია ის გაზეთისათვის და საზოგადოდ ჩვენი ლიტერატურისათვის“. მართლაც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მის თანამედროვე მწერალთაგან არავის არ ჩაუხედია ქართველი კაცის სულის კუნჭულებში ისე ღრმად , როგორც აკაკის, არავის უტყორცნია მტრის ბანაკში ცრემლსა და ნაღველში ნაბანი იმდენი ისარი, რამდენიც აკაკის, არავის არ შეუთრთოლებია ერის გულის სიმები ისე ძლიერად, როგორც აკაკის, და ბუნებრივია ამგვარი პოპულარობა, სახალხო სიყვარული არავის ღირსებია.

აკაკი ერთერთი მთავარი ბურჯი და ფალავანი იყო ახალი თაობისა. ილიასთან ერთად ეჭირა მას ხელში ის დროშა, რომელზედაც ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლება, დემოკრატიული წყობილება და საზოგადოებრივი პროგრესი იყო წარწერილი.

ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე (1843—1928) ევროპული დონისა და მასშტაბის საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი იყო. პეტერბურგის უნივერსიტეტშივე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, რისთვისაც დაეპატიმრეს კიდეც. 1864 წლიდან სწავლა განაგრძო ევროპაში, სადაც რუსულ ემიგრაციასთან ერთად ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. საქართველოს 60-იანი წლების ცხოვრების შესახებ ბრწყინვალე წერილები გამოაქვეყნა ჟურნალ „კოლოკოლში“, რომელსაც რუსი რევოლუციონერი-დემოკრატები გერცენი და ოგარევი ლონდონში სცემდნენ. 1866 წელს შვეიცარიაში ფრანგულ ენაზე გამოსცა წიგნი „მთავრობა და ახალი თაობა“ და სხვა ნაშრომები. 1868 წელს დაამთავრა ციურიხის უნივერსიტეტი და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „განიარაღება და მისი ეკონომიკური და სოციალური შედეგები“, რომელიც აგრეთვე ფრანგულ ენაზე გამოიცა ჟენევაში.

სამშობლოში დაბრუნებული აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. ერთხანს „დროებას“ რედაქტორობდა. 1871 წელს დაარსდა ჟურნალი „კრებული“, რომელშიც ეროვნული მოძრაობის

ბევრი საპროგრამო სტატია იბეჭდებოდა. იყო რუსული გაზეთის „ტიფლისსკიე ვესტნიკის“ რედაქტორი. 1878 წელს რედაქტორებ-და კავკასიის დიდად ავტორიტეტულ გაზეთ „ობზორს“. 1897-98 წლებში გამოსცა რუსული გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“. 1875 წელს პარიზში გამოსცა წიგნი „დეკადანსის პრესა“, რომელსაც პარიზის საზოგადოებრიობა აღტაცებით შეხვდა.

ნ. ნიკოლაძე მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა 70-80-იანი წლების რუსეთის საზოგადო მოღვაწეთა შორის. აქტიური მონაწილეობა მიიღო ნ. ჩერნიშევსკის განთავისუფლებაში, თანამშრომლობდა ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ ფურცლებზე.

70-იანი წლების დამდეგს, ვიდრე ილია ჭავჭავაძე დუშეთში მსახურობდა, თერგდალეულთა პლეადას მესვეურობდა ნიკო ნიკოლაძე. ამ პლეადას მან კიდევ უფრო გაუღვივა მებრძოლი სულისკვეთება. „დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენზე ნიკო ნიკოლაძეს — იგონებს ამ წლების შესახებ იმდროინდელი ცნობილი ჟურნალისტი იაკობ მანსვეტაშვილი, — მისი სიცოცხლით სავსე წერილები, მისი მწვავე მათრახები მოწინააღმდეგის მიმართ, მისი მახვილი, ბასრი კალამი დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა ჩვენს გულში. ყველა ჩვენგანი ცდილობდა მოჰყოლოდა იმ წრეში, რომელსაც ხელმძღვანელობდა დ. გურამიშვილი, ნ. ნიკოლაძის ცოლის ძმა, იმ იმედით, რომ იქ თვით ნიკოლაძესაც ვიხილავდით, პირისპირ ვნახავდით და მის ცოცხალ სიტყვას მის საკუთარ პირიდან გავიგონებდით“.

ნ. ნიკოლაძე საქართველოს ეკონომიკურ პროგრესს თერგდალეულთა პროგრამის ერთერთ მთავარ საკითხად თვლიდა. დიდი პრაქტიკული ნიჭით დაჯილდოვებული, იგი ცდილობდა გაეცხოველებინა საქართველოს ეკონომიკური კავშირები, უცხოეთიდან საქართველოს წიაღისეულის დამუშავებაში ჩაება ევროპელი მრეწველები. განსაკუთრებით დიდია მისი როლი ფოთის კეთილმოწყობაში, სადაც ქალაქის თავი იყო წლების მანძილზე.

გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი (1842-1900) XIX ს. მეორე ნახევრის ეროვნულ მოღვაწეთა პლეადას ეკუთვნის. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. აქტიურად თანამშრომლობდა ქართველ სტუდენტთა იმ სათვისტომოში, რომელსაც მოთავეობდა ილია ჭავჭავაძე. 1861 წელს უნივერსიტეტის სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს ნიკო ნიკოლაძესთან ერთად.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩაება ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გარშემო შემოკრებილ მოღვაწეთა წრეში. ამ ჟურნალის დახურვის შემდეგ ითავა ქართული გაზეთის გამოცემა. 1866 წელს

მისი რედაქტორობით გამოვიდა გაზ. „დროება“. 70-იანი წლების დამდეგიდან ეს გაზეთი თერგდალეულთა მებრძოლი ორგანო გახდა. გაზეთის რედაქცია იყო ბინა, სადაც სისტემატურად იყრიდნენ თავს ქართველი მოღვაწენი ეროვნულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. წერეთლის თაოსნობით განხორციელდა აგრეთვე „სასოფლო გაზეთის“ გამოცემა, ქართველი გლეხობისათვის განკუთვნილ ამ ორგანოში ქვეყნდებოდა მრავალფეროვანი მასალა სოფლის მეურნეობის და გლეხური ყოფა-ცხოვრების, მათი ჭირ-ვარამის შესახებ. გ. წერეთელი თბილისის რუსულ პრესაშიც თანამშრომლობდა. რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში იგი იყო პეტერბურგის გაზეთ „გოლოსის“ კავკასიის სამხედრო-კორესპონდენტი და რუს მკითხველს აცნობდა საომარი ოპერაციების მსვლელობას, საქართველოს საზოგადოებრივ აზრს ამ პერიოდში. იგი მხურვალედ თანაუგრძნობდა თურქეთის უღლისაგან აჭარის გათავისუფლებას. გ. წერეთელი იმასაც იმედოვნებდა, რომ რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმული ინგლისი საქართველოში თავის ჯარს გამოგზავნიდა და რუსეთს განდევნიდა კავკასიიდან. ამის თაობაზე მას ქობულეთში საიდუმლო მოლაპარაკებაც ჰქონდა თურქეთის ჯარის სარდლებთან. ამ გაბედულ ინიციატივის გამო სასჯელს ძლივს გადაურჩა. გიორგიმ დიდი ამაგი დასდო აღორძინებულ ქართულ თეატრს, აქტიურად თანამშრომლობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაშიც.“

გ. წერეთელი მრავალმხრივი ნიჭის მოღვაწე იყო. ღრმად იცნობდა საქართველოს ისტორიულ წარსულს და აქვეყნებდა კიდეც წერილებს შუასაუკუნეების საქართველოს სხვადასხვა საკითხებზე. დიდად იყო დაინტერესებული საქართველოს სიძველეთა შესწავლით. აქტიური მონაწილე იყო რუსეთის არქეოლოგთა (სიძველთმცოდნეთა) ყრილობისა, რომელიც ჩატარდა თბილისში 1881 წელს.

1893 წლიდან გ. წერეთელი იწყებს ჟურნალ „კვალის“ გამოცემას. ეს ჟურნალი გაეთიშა თერგდალეულებს და დადგა იმ პოზიციაზე, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში ახალმა მიმდინარეობამ („მესამე დასმა“) დაიკავა. თვით გ. წერეთელი ამ ახალ მიმდინარეობას არ გაჰყოლია. იგი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ერთგული იმ იდეალებისა, რასაც ქართველი სამოციანელები ქადაგებდნენ.

ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი (1840-1912) თავის მრავალმხრივ მოღვაწეობაში განსაკუთრებით მზრუნველობდა ეროვნულ განათლებას. იგი იყო საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის ფუ-

ძემდებელი. კიევის სასულიერო აკადემიაში განათლებამიღებული, იაკობი 1863 წელს დაბრუნდა თბილისში. ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, მაგრამ როგორც „პოლიტიკურად არასაიმედო“ 1874 წელს დაითხოვეს სამსახურიდან. შემდგომ წლებში მთელი ენერგია საზოგადოებრივ საქმიანობას მოახმარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკობის ბინაზე თავს იყრიდნენ დედაქალაქის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. ამ შეკრებებზე იბადებოდა ქართველი ერის გათვითცნობიერების, მისი კონსოლიდაციის მრავალი კეთილშობილური იდეა. აქ შემუშავდა აზრი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების შესახებ, მშობლიურ ენაზე სასკოლო სახელმძღვანელოთა შექმნის შესახებ და სხვ.

1865 წელს იაკობმა გამოსცა „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მასწავლებელთათვის“, 1868 წელს „ბუნების კარი“, 1876 წელს „დედა ენა“. ამ წიგნებში ჩამოყალიბებული პრინციპები დაედო საფუძვლად ქართულ პედაგოგიკას. ამ წიგნებზე იზრდებოდნენ თაობები. იაკობის დაუღალავი შრომით ქართველ ბავშვებს მუდამ ჰქონდათ საინტერესო საკითხავი წიგნები, („კუნწულა“, „აკიდო“, „ხომლი“, „კოკორი“, „მოსავლის მცველნი“ და სხვ.) იაკობის მოთხრობები ახალგაზრდობას სამშობლოსადმი სიყვარულისა და ერთგულების გრძნობებს უღვივებდა.

იაკობმა განსაკუთრებული ღვაწლი დასდო „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომლის გამგეობაში სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა.

იაკობი სისტემატურად თანამშრომლობდა ქართულ პრესაში. მისი სტატიები შეეხებოდა ეროვნული ცხოვრების ყველაზე მტკივნეულ საკითხებს, ხასიათდებოდა მებრძოლი დემოკრატიზმით, რუსიფიკატორული პოლიტიკისადმი შეურიგებლობით. იაკობი მუდამ ედგა გვერდით ილია ჭავჭავაძეს ქართული ენის, ტრადიციების, კულტურის დაცვისა და განვითარებისათვის ბრძოლაში. იგი შეურიგებლად ამხელდა კავკასიის რეაქციულ მოხელეთა ბოროტ მცდელობას სკოლიდან ქართული ენის გასადევნად, მათ ერთობლივი დარტყმა მიაყენეს „იანოვსკის ცირკულარებს“. ეს დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ იაკობის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მახინჯი ჩანასახი დედის მუცელშივე გაწყალდა“. ი. გოგებაშვილი ილიას თანამოაზრე იყო არა მარტო ორგანიზაციულ საკითხებში. მსოფლმხედველობრივად სავსებით თანაუგრძნობდა და აქტიურად იცავდა იმ პროგრამას, რომლითაც საზოგადოებრივ ასპარეზზე თერგდალეულნი გამოვიდნენ.

ს ე რ გ ი მ ე ს ხ ი (1845-1883) პეტერბურგის უნივერსიტეტში

სწავლობდა 1863-67 წლებში და აქტიურად მონაწილეობდა სტუ-
დენტთა რევოლუციურ მოძრაობაში. სამშობლოში დაბრუნების შემ-
დეგ ერთი წელი ქუთაისში მოღვაწეობდა. 1868 წელს მიიწვიეს გან-
„დროების" რედაქტორად და სიცოცხლის ბოლომდე ედგა სათავეში
ამ გამოცემას.

ს. მესხი პუბლიცისტი იყო. მისი კალამი იმდროინდელი ცხოვ-
რების ყველა მტკივნეულ საკითხს ეხებოდა. მის ფელეტონებში თუ
მოკლე კორესპონდენციებში იგრძნობოდა ქვეყნის გულშემატკივრო-
ბა, მისი პროგრესისათვის დაუცხრომელი ზრუნვა.

ს. მესხის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ქვაკუთხედი ეროვნუ-
ლი საკითხი იყო, იგი დიდი ილიას დროშას მიჰყვებოდა. მიაჩნდა,
რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ქართველი ხალ-
ხის ყველა ფენა, ყველა მდგომარეობისა და ხელობის კაცი უნდა ჩაბ-
მულიყო: გლეხი, თავადი, აზნაური, ვაჭარი, სასულიერო პირი —
ყველა შთაგონებული უნდა ყოფილიყო ერთი მისწრაფებით, — ეხი-
ლა თავისი სამშობლო კოლონიური ჩაგვრისაგან თავისუფალი და
ძლიერი.

ს. მესხს მიაჩნდა, რომ საქართველო, — ძველი ცივილიზაციის
ქვეყანა, ჩამორჩა ჟამთა სიავის გამო. მაგრამ იმის ურყევი რწმენაც
ჰქონდა, რომ ამ ჩამორჩენილობას იგი მალე დაძლევდა. ევროპული
ქვეყნების დაწინაურებულ ცხოვრებას კარგად გაცნობილი, იმას
ოცნებობდა, რომ საქართველოც მათი გზით წასულიყო. ს. მესხი
იყო „ევროპეისტი". საქართველოს მომავალი ცხოვრების
მისაბაძ მაგალითებს შვეიცარიის ქვეყანაში ხედავდა. მისი ღრმა
რწმენით საქართველოს პროგრესი ვაჭრობა — მრეწველობის გან-
ვითარებაზე იყო დამოკიდებული. ქართველი ხალხი მისი აზრით
მაშინ მოღონიერდებოდა, თუ თვითონ მოჰკიდებდა ხელს მისი უხვი
ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავებას. გულს უკლავდა, რომ საქართ-
ველოს წიაღისეულს რუსი და უცხოელი მრეწველები ეპოტინებოდ-
ნენ.

ს. მესხი ებრძოდა საქართველოში უცხოტომელთა ჩამოსახლების
ცარისტულ პოლიტიკას. ასაბუთებდა, რომ შავი ზღვის სანაპიროებ-
ზე სხვა ხალხის დასახლება უკანონო, ანტიეროვნული მოქმედება
იყო. ასევე ებრძოდა იგი ქართული ენისა და კულტურის მტრებს.

ს. მესხი დიდი ძალა იყო თერგდალეულთა პლეადაში, მაგრამ
სუსტმა ჯანმრთელობამ და გამუდმებულმა შრომამ იგი ადრე მო-
სწყვიტა ამ თაობას.

საქართველოს 60-70-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლე-

ბელი მოძრაობის ყველაზე გამოჩენილ პიროვნებათა შორის იყვნენ სხვა მრავალი თავდადებული მოღვაწენიც. (პეტრე უმიკაშვილი, დავით და მიხეილ ყიფიანები, ანტონ ფურცელაძე, კირილე ლორთქიფანიძე, ბესარიონ ღოღობერიძე, მიხეილ თუმანიშვილი, ილია წინამძღვრიშვილი, ვახტანგ თულაშვილი და სხვ.), რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შექონდათ თერგდალეულთა მრავალმხრივ ეროვნულ საქმიანობაში.

აღსანიშნავია, რომ 70-იანი წლებიდან თერგდალეულებს თავიანთი ხმა ქართველმა ქალებმაც შეუერთეს. პრესაში პირველად გამოჩნდა ქართველი პუბლიცისტი ქალების სახელი. ახალგაზრდა მწერალმა ქალმა ნ. ინაშვილმა თარგმნა და 1869 წ. ჟურნ. „მნათობში“ დაბეჭდა ინგლისელი ეკონომისტის ჯონ სტიუარტ მილის წერილი „ქალების განთავისუფლება“. ქალთა ემანსიპაციის საკითხზე პუბლიცისტურ მოღვაწეობაში ჩაებნენ ელ. ყიფიანი, ღვინიაშვილი. ქართველ ქალთა ჯგუფმა მალე საკითხავი წიგნიც გამოაქვეყნა.

3. საზოგადოება „უღელი“. 70-იანი წლების დამდეგიდან გაიზარდა ქართველი ახალგაზრდობის ლტოლვა საზღვარგარეთ. ციურიხის და ჟენევის უნივერსიტეტებში ქართველმა სტუდენტებმა თავიანთი სათვისტომოები შექმნეს. 1873 წელს ციურიხში მათ დაარსეს საზოგადოება „უღელი“, რომლის მიზანს შეადგენდა ევროპული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის შესწავლა და მოწინავე იდეების პოპულარიზაცია საქართველოში. ამ საზოგადოების შექმნის ორგანიზატორი იყო ნიკო ნიკოლაძე, აქტიური წევრები — გ. წერეთელი, ს. მესხი, დ. მიქელაძე, პ. იზმაილოვი, ნ. ჯაფარიძე, ა. ელიაშვილი და სხვ. აღსანიშნავია „უღლის“ საქმიანობაში ქართველ სტუდენტ ქალთა აქტიური მონაწილეობა. (ო. გურამიშვილი, ეკ. მიქელაძე, ო. ნიკოლაძე, ეკ. მელიქიშვილი და სხვ.).

„უღელი“ თერგდალეულთა იდეურ პოზიციას ადგა. სისტემატურ შეკრებებზე ახალგაზრდები მსჯელობდნენ იმის თაობაზე, თუ ევროპის საზოგადოებრივი აზროვნებიდან რა იყო საქართველოსათვის მისაღები. ეწეოდნენ მთარგმნელობით საქმიანობას. ორნაზიეულ საკითხებზე უთანხმოების გამო „უღელში“ გათიშვა მოხდა. დიდი ნაწილი სამოღვაწეოდ ჟენევაში გადავიდა, „ჟენევის“ ჯგუფი ინტენსიურ ინტელექტუალურ ცხოვრებას ეწეოდა. სისტემატურ შეკრებებზე იკითხებოდა ლექციები საქართველოს ისტორიაში, რუსეთისა და საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების შესახებ. განიხილავდნენ ევროპის საზოგადოებრივი აზროვნების საკითხებს. ამ შეკრებაზე ხშირად ესწრებოდნენ ევროპის პოლიტიკური პარტიების თვალსაჩინო წარმომადგენლებიც.

„ულლის“ მოღვაწეობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. წ. „ჟენევის კონგრესი“, რომელიც 1874 წელს იქნა მოწვეული ამიერკავკასიელ, რუს ემიგრანტ რევოლუციონერთა და ევროპელ მოღვაწეთა მონაწილეობით. კონგრესს თავმჯდომარეობდა გ. წერეთელი. კონგრესზე თავი იჩინა ორმა მიმდინარეობამ: პირველი მიმდინარეობა (გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ო. გურამიშვილი, ეკ. მიქელაძე, გ. ჯაფარიძე, ო. გურამიშვილი და სხვ.) თვლიდა, რომ სარუსეთო გამათავისუფლებელ მოძრაობაში საქართველოს წინა პლანზე ეროვნული საკითხები უნდა დაეყენებინა.

მათ საჭიროდ მიაჩნდათ ამიერკავკასიის რევოლუციურ მოღვაწეთა გაერთიანება და ბრძოლა კავკასიის ფედერაციისათვის; კავკასიის ფედერაცია მათი წარმოდგენით გულისხმობდა კავკასიის ერთა ნებაყოფლობით სახელმწიფო გაერთიანებას, რომელიც საშინაო საქმეებში რუსეთისაგან დამოუკიდებელი იქნებოდა. ამ მიმართულებას დაუპირისპირდა მეორე ჯგუფი, რომელიც ნაროდნიკული იდეოლოგიის ზეგავლენით ეროვნული საკითხის წინ წამოწევას მიზანშეუწონლად თვლიდა. (ი. ჯაბადარი, ალ. ჩიკოიძე, ა. ციციშვილი, რ. ჩოლოყაშვილი და სხვ.) ეს ჯგუფი ნიჰილისტურად იყო განწყობილი.

კავკასიის ფედერაციის საკითხის დღის წესრიგში დაყენება ახალი და მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში. შეთანხმება ამ საკითხზე ვერ მოხერხდა.

„ულელის“ საზოგადოებამ იარსება 1876 წლამდე. ჟენევაში და ციურიხში მოღვაწე ქართველი ახალგაზრდობა დაუბრუნდა სამშობლოს. ამ მოღვაწეთაგან დიდი ნაწილი გაჰყვა ილია ჭავჭავაძის გზას. მეორე ნაწილი ჩაება ნაროდნიკულ მოძრაობაში.

3. ქართული ხალხოსნობა. „ნაროდნიკული“ მოძრაობა გაჩაღდა რუსეთში XIX ს. 70-იან წლებში. „ნაროდნიკები“ გლეხობაზე დაყრდნობით ფიქრობდნენ რუსეთში თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობას და სოციალური სამართლიანობის დამყარებას. გაბედულ თავგანწირულ რევოლუციონერებს რუსეთის იმდროინდელ ვითარებაზე მცდარი წარმოდგენა ჰქონდათ. მათ ეგონათ, რომ რუსეთის საზოგადოებრივი პროგრესი განხორციელდებოდა კაპიტალიზმის გვერდავლით, ხოლო ძირითადი ძალა, რასაც ამ პროგრესისათვის ბრძოლაში უნდა დაყრდნობოდნენ, გლეხობა იყო.

„ნაროდნიკულმა“ მოძრაობამ რამდენიმე ეტაპი განვლო. პირველმა ეტაპმა ე. წ. „ხალხში გასვლამ“ კრახი განიცადა. მეორე ეტაპზე მათ სცადეს ხანგრძლივი დასახლება ხალხში და მისი შემზადება რევოლუციისათვის, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა. მესამე

ეტაპი აღინიშნა ინდივიდუალური ტერორის გაძლიერებით. ტერორის მომხრენი ფიქრობდნენ, რომ სახელმწიფოს მესვეურთა ლიკვიდაციას მოჰყვებოდა რეჟიმის შეცვლა. ეს ვარაუდებიც ...

რუსეთის ნაროდნიკულ მოძრაობაში ფართოდ იყო ჩართული მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობა. რუს სტუდენტებთან ერთად ისინი გადიოდნენ ხალხში და რევოლუციას ქადაგებდნენ. ერთერთი ძლიერი ნაროდნიკული ორგანიზაცია იყო ე. წ. „მოსკოველთა წრე" რომელსაც ი. ჯაბადარი, გ. ზდანოვიჩ-მაიაშვილი, მ. ჩიკოიძე, ა. ციციშვილი ი. ქიქოძე, ა. გამრეკელიძე და სხვები განაგებდნენ. ეს ორგანიზაცია 1875 წელს აღმოაჩინა ჟანდარმერიამ. „მოსკვიჩებს" მთავრობამ მოუწყო იმ დროს დიდად გახმაურებული სასამართლო „50-ის პროცესი" და მკაცრად დასაჯა.

რუსეთში სწავლამიღებულმა ქართველმა სტუდენტებმა ხალხოსნური მოძრაობა სამშობლო ქვეყანაშიც გააჩაღეს. ხალხოსნური ორგანიზაციები აღმოცენდა თბილისში, ქუთაისში, თელავში, გორში, ოზურგეთში და სხვა ქალაქებში. ამ წრეების შექმნასა და რევოლუციურ პროპაგანდაში აქტიურად მონაწილეობდნენ ე. იოსელიანი და თარხნიშვილი, ი. ბაქრაძე, ა. ფურცელაძე, ს. მგალობლიშვილი, შ. დავითაშვილი, მ. ყიფიანი, ი. ქიქოძე, ს. ჭრელაშვილი, დ. კეზელი, ო. ყიფიანი და სხვები. ჟანდარმერიის მონაცემებით საქართველოს ხალხოსნურ საიდუმლო წრეებში 200-ზე მეტი კაცი იყო გაერთიანებული.

ქართველი ხალხოსნები, მათი რუსი თანამოაზრეების მსგავსად არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას თვლიდნენ რევოლუციონერთა საერთო-სარუსეთო საქმედ. მათთვის მთავარი იყო უსამართლო რეჟიმის დამხობა. ეგონათ, რომ ეროვნული საკითხისადმი ყურადღების გამახვილება დაასუსტებდა მებრძოლთა საერთო ფრონტს. ნიჰილიზმი ეროვნული საკითხისადმი, რაც ქართულ ხალხოსნობას ახასიათებდა, შემდგომში მემკვიდრეობათ მიიღო სოციალ-დემოკრატიულმა მოძრაობამ.

1878 წელს ჟანდარმერიამ ერთდროულად მოუწყო თავდასხმა საქართველოს ნაროდნიკულ ფარულ ორგანიზაციებს და მათი მოთავენი დააპატიმრა. პასუხისგებაში მიცემულ იქნა 80-ზე მეტი კაცი. მათ ბრალად დასდეს ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა. ბრალდება დაუდასტურეს და მძიმე სასჯელი დაადეს 40-ზე მეტ კაცს.

ამის შემდეგ ხალხოსნური მოძრაობა ერთხანს მინელდა, მაგრამ მან კვლავ იჩინა თავი 80-იანი წლების დამდეგიდან. ახალ ორგანიზაციებში ჭარბობდა „ნაროდოვოლცური" განწყობილება, ე. ი. გეზი ტერორზე. ხალხოსნური ორგანიზაციები ისევ აღმოცენდა

თბილისში და სხვა ქალაქებში. განსაკუთრებით ძლიერი ორგანიზაცია ჰქონდათ გორელ ხალხოსნებს.

80-იანი წლების ხალხოსნებმა საკუთარი პერიოდული პრესაც გაიჩინეს. თბილისში ხალხოსნურ გაზეთს („იმედი") რედაქტორობდა ი. გურგენიძე, ქუთაისში — („შრომა") დ. დადიანი. ხალხოსნურმა ტენდენციებმა თავი იჩინა არა მარტო პუბლიცისტიკაში, არამედ მხატვრულ ლიტერატურაშიც. ს. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური, ა. ფურცელაძე და სხვები თავიანთ ნაწარმოებში აიდეალებდნენ ქართველ გლეხობას, გადაჭარბებით აფასებდნენ მის რევოლუციურ აქტივობას. მხატვრულ ლიტერატურაში ამ მიმდინარეობამ „ტეტიათა მოტრფიალეების" სახელწოდება დაიმკვიდრა.

1883 წლის მარტში მეფის ჟანდარმერიამ მეორედ მოუწყო თავდასხმა ქართველ ხალხოსნებს და მოთავენი დააპატიმრა. ამის შემდეგ ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში მინელდა. ალექსანდრე მეორის მკვლელობის შემდეგ ნაროდნიკულმა მოძრაობამ რუსეთშიაც ამოსწურა თავისი შესაძლებლობანი. ნაროდნიკული ორგანიზაციები მთავრობამ თანდათანობით გაანადგურა.

რეპრესიებს გადარჩენილი ან გადასახლებიდან დაბრუნებული ქართველი ხალხოსნები გაჰყვნენ იმ მიმდინარეობას, რომელსაც სათავეში ილია ჭავჭავაძე ედგა. შეწყდა ხალხოსნური პრესაც და მისი თანამშრომლები გაზ. „ივერიის" გარშემო შემოიკრიბნენ.

ქართულმა ხალხოსნურმა მოძრაობამ ვერ დატოვა ღრმა კვალი. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მისი მესვეურები ნიჰილისტები იყვნენ და განზე იდგნენ მთავარი საკითხებისაგან, რასაც იმ დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წინა პლანზე აყენებდა.

§ 5 საზოგადოებრივი მოძრაობა XIX ს. 80-90-იან წლებში.

1. მოძრაობის ხასიათი. 80-იანი წლებიდან ცარიზმის მიერ რეაქციისაკენ აღებული კურსი მიზნად ისახავდა ერთდროულად თვითმყრობელობისათვის ორი მთავარი საშიში მიმართულების — „ნიჰილიზმისა" და „სეპარატიზმის" აღმოფხვრას. „ნიჰილიზმში" ნაროდნიკული რევოლუციური მოძრაობა იგულისხმებოდა, „სეპარატიზმში" იმპერიის განაპირა კოლონიური ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ამიერკავკასიის ოფიციალური ხელისუფალნი ყველა საშუალებით ებრძოდნენ ორთავე საშიშ მიმართულებას. მთავარი ყურადღება მაინც ეროვნული მოძრაობის ამოძირკვასა და მხარის რუსიფიკაციაზე იყო გადატანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეაქციის მძლავრობის ვითარებაში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მოთავეებმა მთელი ძალ-ღონე მიმართეს რუსიფიკაციის წინააღმდეგ. ერის დედაბოძის – მშობლიური ენის დაცვა იქცა მოძრაობის ქვაკუთხედად. ამის თაობაზე ქართული პრესის ფურცლებზე ქვეყნდებოდა მრავალი სტატია. ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები თავგამოდებით იცავდნენ ქართულ ენას, ისტორიას, კულტურას. ამასთან კვლავ დაუღალავად ემსახურებოდნენ ეროვნული კონსოლიდაციის და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას.

კავკასიის ხელისუფალნი განსაკუთრებით მტრობდნენ ქართველთა ეროვნული მოძრაობის მესვეურს ილია ჭავჭავაძეს. მეფის ჟანდარმერია ახასიათებდა რა ილია ჭავჭავაძის საქმიანობას 80-90-იან წლებში, წერდა, რომ იგი სარგებლობს ატორიტეტით საერთოდ ქართველთა და განსაკუთრებით თავისუფალ მოაზროვნეთა შორის. ხმები დადის, რომ დროდადრო მასთან ეწყობა საიდუმლო კრებები, რომელზედაც ირჩევა სხვადასხვა საზოგადოებრივი და სოციალური საკითხებიო.

მთავრობამ ილიაზე საგანგებო მეთვალყურეობა დააწესა. ქართველ საზოგადოებრიობას ცარიზმმა ნება არ დართო 1897 წ. გადაეხადა ერის მოძღვარის იუბილე, გაზ. „ივერიას" ხშირად კრძალავდნენ. ცენზურა ჩეხდა გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიებს. ამიტომ გაზეთს ხშირ შემთხვევაში თანამიმდევრობა აკლდა, მკითხველს იგი ეზოპეს ენით ელაპარაკებოდა.

მეორე მნიშვნელოვანი კერა, რომელიც 80-იანი წლების დამდეგიდან ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას ემსახურებოდა, იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", რომელიც დაარსდა 1879 წელს და, რომელსაც 1885 წლიდან, დიმიტრი ყიფიანის ვერაგულად მოკვლის შემდეგ, ილია ჭავჭავაძე ედგა სათავეში.

ეს ნებაყოფლობითი, საქველმოქმედო დაწესებულება პირველ რიგში განათლების საქმეს ემსახურებოდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით იქ, სადაც ქართული მოსახლეობა მცირე იყო და მის ეროვნულ მეობას საფრთხე ემუქრებოდა, გახსნა ქართული სკოლები, რომელსაც თვითვე აფინანსებდა და ამარაგებდა სახელმძღვანელოებით. დიდი მუშაობა გასწია ამ საზოგადოებამ ახლადშემოერთებულ აჭარის მოსახლეობაში ქართული ენისა და ტრადიციების აღორძინებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით დაუღალავ მუშაობას ეწეოდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე. იგი აჭარის სოფელ-სოფელ იაკობ გოგებაშვი-

ლის „დედა ენით“ სავსე ტომრით ზურგაკიდებული დადიოდა და ხალხში ავრცელებდა წიგნებს ხოჯებისა და მოლების დედა ენა-აღმდეგობის მიუხედავათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საზოგადოების“ გამგეობა შეუდგა ზრუნვას ბიბლიოთეკების დაარსებისათვის. ამასთან დაიწყო ძველი ქართული ხელნაწერების შეძენა-დაბინავება. „ივერიამ“ წააქეზა ქართველობა „საზოგადოების“ კუთვნილებაში გადაეცათ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტები და ნივთები. შემომწირველთა ვინაობა ქვეყნდებოდა გაზეთში. 1885 წელს „საზოგადოებას“ თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა და ხელნაწერები გადასცა სამეგრელოს უკანასკნელმა მთავარმა ნიკო დადიანმა. ეს იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტი იყო, რომ ილია ჭავჭავაძემ საჭიროდ ჩათვალა სხვებთან ერთად გამგზავრებულიყო სამეგრელოში სოფ. გორდში ამ განძეულის თბილისში ჩამოსატანად. ძვირფასი წიგნთსაცავი შესწირეს საზოგადოებას აგრეთვე დავით ჩუბინაშვილმა, რაფიელ ერისთავმა და სხვებმა.

საზოგადოებრივ მოძრაობაში თანდათან მეტი გაბედულებით და მრავალრიცხოვნად ჩაებნენ ქალები. ქალთა მოღვაწეობას მესვეურობდა გიორგი წერეთლის მეუღლე ანასტასია თუმანიშვილი, რომელიც შვეიცარიიდან დაბრუნების შემდეგ ენერგიულად იბრძოდა მასწავლებელ ქალთა დასარაზმავად. 1884 წელს მან მშობლიურ სოფელში ხელთუბანში გახსნა სკოლა, რომელსაც საკუთარი ხარჯებით უძღვებოდა. 1889 წლიდან მისივე თაოსნობით დაიწყო საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ გამოცემა. ამ ჟურნალმა დიდი როლი შეასრულა ბავშვთა თვითგანვითარებისა და მათში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებაში.

ახალი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1893 წლის დამდეგიდან გაზეთ „კვალის“ გამოცემა. ეროვნულ-ლიბერალური მიმართულების ახალ გაზეთს სათავეში ედგნენ გიორგი წერეთელი და მისი მეუღლე. გაზეთმა შემოიკრიბა ფართო წრე აღიარებული დემოკრატიული მოღვაწეებისა, რომლებიც თანმიმდევრულად იბრძოდნენ ცარისტული კოლონიური პოლიტიკისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. „კვალი“ ზოგიერთ საკითხებში ეკამათებოდა „ივერიას“, მაგრამ პრინციპში იმავე მიმართულებას ადგა მანამ, ვიდრე მასში „მესამე დასი“ არ გაბატონდებოდა. „კვალის“ პროგრამა ქართული საზოგადოებრიობის მოწინავე ნაწილის გულისნადებს გამოხატავდა და ეხმარებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. მასში სისტემატურად თანამშრომლობდნენ აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, ეკატერინე

გაბაშვილი, დუტუ მეგრელი, გრ. აბაშიძე, რომანოზ ფანცხავა (ხომლელი) ლუარსაბ ბოცვაძე და სხვები.

90-იანი წლების დამდეგს ჩამოყალიბდა „წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობა“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ალექსანდრე ჯაბადარი. ამ გაერთიანებამ 1890-93 წლებში გამოსცა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ოთხი ტომი, აკაკის პოეზიის ერთტომეული, ქართული ზღაპრები, ხალხოსან პოეტთა ლექსები და სხვ. ამხანაგობის თაოსნობით 1894 წელს დაიწყო ჟურნალ „მოამბის“ გამოცემა, რამაც კიდევ უფრო გააფართოვა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების თვალსაწიერი. ჟურნალი აქვეყნებდა ქართველ და უცხოელ მწერალთა თხზულებებს, კრიტიკულ სტატიებში აყენებდა თანამედროვეობის მტკივნეულ პრობლემებს.

2. თერგდალეულთა მომდევნო თაობა. თერგდალეულთა მიმდინარეობას 80-იან წლებში შეემატა ეროვნული მიმართულების უნიჭიერესი წარმომადგენლები ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა ფშაველა, ივანე მაჩაბელი და სხვები.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ყ ა ზ ბ ე გ ი (1848—1893) ქართველ მთიელთა წარჩინებული გვარის წარმომადგენელი იყო. უმაღლესი განათლება მიიღო მოსკოვის სამეურნეო აკადემიაში. სამშობლოში დაბრუნებულმა ხელი მიყო მწყემსობას იმ მოსაზრებით, რომ ახლო გაცნობოდა თანამემამულეთა ცხოვრებას. 1879 წლიდან საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და გატაცებით ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. ა. ყაზბეგი განსაკუთრებით გაიტაცა ახლად აღორძინებულმა თეატრალურმა საქმიანობამ. წერდა დრამატულ თხზულებებს, მსახიობობდა.

ალექსანდრე ყაზბეგის რეალისტურ-რომანტიკულ შემოქმედებაში მძლავრად აჟღერდნენ ის ნოტები, რომელთა ხმა ჯერ კიდევ სუსტად ისმოდა 60-იან წლებში. თუ ილია ჭავჭავაძე 60-იანი წლების ქმნილებებში შენატროდა იმ დროს, როცა ქართველი ხმალზე ხელს გაიკრავდა მჩაგვრელი ძალის მასასპობად, ალ. ყაზბეგმა სამოციანელთა ამ ოცნებას ხორცი შეასხა და დაგვიხატა დამპყრობელთა წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმული მთიელი ხალხი.

მთიელი მოსახლეობის იმდროინდელი მაჯისცემა და გულის წადილი მწერალმა ნიჭიერად ასახა ისეთ მხატვრულ ქმნილებებში, როგორიცაა „ელგუჯა“, „ხევისბერი გოჩა“, „მამის მკვლელი“ და სხვ.

დიდძალი მკითხველი ყავდა ალ. ყაზბეგის მხატვრულ ნაწარმოებებს იმის გამო, რომ მათში ეფექტურად, დინამიკურად იყო ასახული თავისუფლების წყურვილი და მისთვის თავგანწირვის სულის-

კვეთება. ამიტომ იყო, რომ „ელგუჯას“ პირველი გამოცემა მთავ-
რობის განკარგულებით განადგურებულ იქნა.

ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა (1861-1915) 80-იან წლებში ბურჯად შეუდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. მის გამოჩენას შემოქმედებითს ასპარეზზე დიდი სიხარულითა და იმედებით შეხვდა ამაგდარი თაობა. „მთიდან ჩამოფრენილ არწივში“ ილია ჭავჭავაძემ თავიდანვე დაინახა გენიალური ნიჭი და უშრეტი ენერგია. ქართულ ლიტერატურაში მან მოიტანა უჩვეულო მგზნებარე ტემპერამენტი და სრულიად ორიგინალური ხმა. გამომსახველობის ახალი ფორმების მოშველიებით, ვაჟა ჭეშმარიტი მემკვიდრე იყო დიდი სამოციანელების მისი შემოქმედების მთავარ ლეიტ-მოტივს შეადგენდნენ ის იდეალები, რომლებიც 60-იანელებმა თავიანთ საბრძოლო დროშას წააწერეს.

ვაჟა ფშაველა ფილოსოფიურად მოაზროვნე, ბრძენი, ამასთან უაღრესად ეროვნული შემოქმედი და საზოგადო მოღვაწეა. მის ყოველ სტრიქონში ჩანს ქართული მიწა-წყლისადმი, განუმეორებელი ბუნებისადმი ტრფიალი, საერთო-საკაცობრიო ჰუმანიზმი. იგი მთელი გატაცებითაა ჩაბმული ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში და სწამს მომავალი თავისი ხალხისა. ვაჟასთვის სამშობლო ხან დაჭრილი არწივია, რომელიც ყვავ-ყორნებს ეომება, ხან „მთანი თავჩაჩქნიანები,“ რომლებიც „ფიქრს მისცემიან მწარესა“, ხან ხმელი წიფელი, რომელიც მართალია, ტყეს ვეღარ ამშვენებს, მაგრამ მაინც უკვდავია თავისი სიდიადით, ფესვის ბოლოზე ამოსულ ყლორტს შეხარის და მზესა და წვიმას შეღაღადებს მის გასაზრდელად.

ვაჟა ფშაველა მამულისათვის თავდადებული მოღვაწის განსახიერება იყო არა მარტო შემოქმედებაში, არამედ ცხოვრებაშიც. იგი უანგაროდ ემსახურებოდა მშობლიური ერის სწავლა-განთლებას. ვერ ურიგდებოდა ვერავითარ უსამართლობას, რასაც მთავრობის მოხელენი სჩადიოდნენ და მთიელი კაცის პირდაპირობით ებრძოდა ყველა იმათ, ვინც ხალხს ატყუებდა და ძარცვავდა. ყველგან, სადაც კი ვაჟას უმოღვაწია, ნამდვილი ომი ჰქონდა გაჩაღებული ხალხის მჩაგვრელებთან, ყველგან იყო სოფლის მოთავე და ხელმძღვანელი სამართლიანობისათვის ბრძოლაში.

ი ვ ა ნ ე მ ა ჩ ა ბ ე ლ ი (1854-1898) 80-იან წლებიდან თავისი დაუღალავი ენერგიით მხარში ამოუდგა თერგდალეულთა თაობას. პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს აქტიურად მონაწილეობდა ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს საზოგადოებრივ საქმიანობაში. აქ გაეცნო იგი პეტერბურგში ბანკის გახსნის თაობა-

ზე ჩასულ ილია ჭავჭავაძეს და მასთან ერთად თარგმნა შექსპირის „მეფე ლირი“. შემდეგ სწავლა გააგრძელა უცხოეთში, — გერმანიაში ჰოპენჰაიმის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, შემდეგ პარიზში სორბონის უნივერსიტეტში. 1879 წელს დაბრუნდა საქართველოში და „მოამბის“ რედაქციაში თანამშრომლობდა. 1882-83 წლებში თვით იყო ჟურნ. „მოამბის“ რედაქტორი. სისტემატურად აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პრობლემებზე, სოფლის მეურნეობაზე. ამასთან ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. ქართველი საზოგადოებრიობა მას უმადლის შექსპირის ქართულად ამეტყველებას, რაც ახალი სიტყვა იყო ქართულ მხატვრულ მთარგმნელობით ლიტერატურაში.

ივ. მაჩაბელი 80-90-იანი წლების ყველა საზოგადოებრივ წამოწყებათა აქტიური მონაწილე იყო, თანამშრომლობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“, თეატრალურ საზოგადოებაში, ვეფხის ტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიაში. 1888 წელს მისი რედაქტორობით გამოიცა ვეფხის ტყაოსანი. კომპოზიტორ იპოლიტ-ივანოვის თხოვნით დაწერა ლიბრეტო ამ გენიალური პოემისა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. მაჩაბელის საბანკო მოღვაწეობა. საადგილმამულო ბანკის დანიშნულების გააზრებაში, იგი ოპოზიციაში აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძესთან. ბანკის საკითხზე პაექრობას 80-იან წლებში თბილისის ინტელექტუალურ ცხოვრებაში უმთავრესი ადგილი ეკავა. პრინციპული უთანხმოების გამო ილიასა და ივ. მაჩაბლის ჯგუფები გაითიშნენ. მიუხედავად შეურიგებელი დავისა, ილია ჭავჭავაძე ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდა ივანე მაჩაბლის ნიჭს, ენერგიას და პატრიოტულ შემართებას.

ზემოდმითითებულ მოღვაწეებთან ერთად საზოგადოებრივ ასპარეზზე თანდათან გამოდიოდნენ ახალი ძალები, რომელთაც ილიას იდეები ასულდგმულებდათ. 90-იანი წლების ასეთ მოღვაწეთაგან აღსანიშნავია ილია ბახტაძე, გიგა ყიფშიძე, ლუარსაბ ბოცვაძე, დავით კლდიაშვილი, თედო სახოკია, შიო არაგვისპირელი, ვასილ ბარნოვი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, იონა მეუნარგია და სხვები.

საზოგადო მოღვაწეთა ილიას ჯგუფი არა მარტო თავისი შემოქმედებით ამდიდრებდა ქართველი ხალხის სულიერ საგანძურს, არამედ შეუპოვრად იცავდა ეროვნულ ინტერესებს ცარისტული რეაქციული ძალების შემოტევისაგან. ილიამ და მისმა თანამებრძოლებმა გამანადგურებელი პასუხი გასცეს რუს უკიდურეს რეაქციონერ

კატკოვს, რომელმაც თავისი გაზეთის მეშვეობით სცადა მასსრად აეგდო ქართველთა ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ქართულ სცენაზე წარმოდგენილ იქნა პიესა „საშშობლო“ და სცენაზე ეროვნული დროშა იქნა გამოტანილი. („კატკოვის პასუხად“) ილია და მისი თანამებრძოლები ღირსეულ პასუხს აძლევდნენ კავკასიისა თუ რუსულ რეაქციულ პრესაში კოლონიზატორთა ყოველგვარ გამოხდომას მიმართულს ერის ისტორიული წარსულის გაყალბებისა და გაბიაბრუებისაკენ.

ამ ჯგუფის თაოსნობით განხორციელდა სტავროპოლში ვერაგულად მოკლული დიმიტრი ყიფიანის საქართველოში ჩამოსვენება და მისი ისეთი დატირება, რომ იგი დიდ ეროვნულ საპროტესტო დემონსტრაციაში გადაიზარდა. ეს ჯგუფი ედგა სათავეში განჯიდან თბილისში ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშთის გადმოსვენებას, რაც 1895 წელს განხორციელდა და ეროვნული კონსოლიდაციის სულისკვეთებით ხასიათდებოდა.

დიდი მოძღვარი ილია და მისი თანამებრძოლები თაოსნობდნენ ქართული გიმნაზიის დაარსებას, ეროვნული დარგობრივი სკოლების გახსნას, ხალხური შემოქმედების საგანძურის შეგროვებასა და გამოქვეყნებას, ქართული ხალხური მუსიკის აღორძინებას და სხვ. ერთი სიტყვით, ძნელია მივუთითოთ ამ პერიოდის რომელიმე მნიშვნელოვან ღონისძიებაზე, რომ მისი თაოსანი და პრაქტიკული განმახორციელებელი მოღვაწეთა ზემო აღნიშნული ჯგუფი რომ არ ყოფილიყო.

ილიას და მის თანამებრძოლებს უნდა უმადლოდეს ქართველი ხალხი მისი გონებრივი თვალსაწიერის გაფართოებას, მისი თვითშეგნების ამაღლებას და შემზადებას იმ ბრძოლებისათვის, რომელიც მას ახალი საუკუნის დამდეგიდან მოელოდა.

3. თავისუფლების ლიგა. 90-იანი წლების დამდეგიდან რევოლუციური განწყობილება თანდათან მძლავრად იდგამდა ფეხს ქართველ ახალგაზრდობაში. სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლო დარაზმულობის კერებს უპირატესად სასწავლებლები წარმოადგენდნენ. მომრავლდა ხელნაწერი გაზეთები და ჟურნალები, რომლებიც რეჟიმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის იდეებს ქადაგებდნენ. ასეთი ხელნაწერი გაზეთები გამოდიოდა თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიებში, სახელოსნო სკოლებში.

პოლიტიკური რეაქციისადმი მოსწავლე ახალგაზრდობის მტრული დამოკიდებულება ნათლად გამოვლინდა იმ აქტში, რომელიც 1886 წელს მოხდა თბილისის სასულიერო სემინარიაში: აქ მოსწავლე იოსებ ლაღიაშვილმა, რომელიც პოლიტიკური არასაიმედობის

გამო გარიცხეს, ხანჯლით მოჰკლა სემინარის რექტორი რეაქციონერი დეკანოზი ჩუდეცკი. ლაღიაშვილის პოლიტიკური შეურიგებლობა არ იყო გამონაკლისი. ნაროდნიკულ ბუნტარობას აქ თანამგრძნობთა ფართო ჯგუფი ჰყავდა. თბილისის სასულიერო სემინარია 90-იანი წლების მთელ მანძილზე რევოლუციური მოძრაობის მძლავრ კერას წარმოადგენდა.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის იდეალები თანდათან მკვიდრდებოდა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლის ქართველ სტუდენტობაში. ილიას, აკაკის, გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, ი. გოგებაშვილის მხატვრულ და პუბლიცისტურ შემოქმედებაზე აღზრდილი ახალგაზრდობა მოწოდებას სამშობლოს გათავისუფლებისათვის ბრძოლაში ხედავდა. მათზე გავლენას ახდენდა აგრეთვე ევროპისა და რუსეთში მომძლავრებული სოციალისტური შეხედულებანი: პეტერბურგის, მოსკოვის, ოდესის, კიევის, ვარშავის უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ ქართველ სათვისტომოებში ცხარე კამათი მიმდინარეობდა თეორიულ და პრაქტიკულ რევოლუციურ პრობლემებზე. ამ პრობლემათა შორის ძირითადი იყო საქართველოს როლი საერთო სარუსეთო რევოლუციურ აღმავლობაში და საქართველოს მომავალი რევოლუციის გამარჯვების ვითარებაში.

ამ პრობლემებისადმი პასუხს მიეძღვნა ქართული სტუდენტური სათვისტომოების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელიც 1892 წელს არალეგალურად მოიწვიეს.

ქართველი რევოლუციური სტუდენტობის ყრილობის მოწვევის ინიციატივა პეტერბურგელებმა გამოიჩინეს. მათ წერილობით აუწყეს ვარშავის, კიევის, ხარკოვის, ოდესის ქართულ სათვისტომოებს წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევის თაობაზე და მისი დღის წესრიგიც გააცნეს. თითოეულ სათვისტომოს ყრილობაზე ხუთი დელეგატი უნდა გამოეგზავნა.

ყრილობა 1892 წლის 26-29 მაისს ჩატარდა ქუთაისში. მას თავმჯდომარეობდა ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი მიხეილ ხელთუფლიშვილი, მდივნობდა ვახტანგ ღამბაშიძე. ყრილობას 20 დელეგატი ესწრებოდა.

ყრილობაზე განხილული საკითხებიდან მთავარი იყო სტუდენტობის დაქსასული რევოლუციური ძალების გაერთიანება. შეიქმნა „საორგანიზაციო კომიტეტი“, რომელსაც დაეკისრა „თავისუფლების ლიგის“ ჩამოყალიბება და მისი ბეჭდვითი ორგანოს შექმნა. ყრილობაზე ცხარე მსჯელობა გაიმართა ეროვნულ საკითხზე. უმრავლესობამ გაიზიარა თვალსაზრისი, რომელიც გულისხმობდა ეროვნული ზღუდეებით შემოფარგვლას. ეს ახალგაზრდობა იცავდა

იმ მართებულ პოზიციას, რომელიც შემდეგ ილია ჭავჭავაძემ გამოხატა თავის ცნობილ პასუხში პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტობისადმი საბერძნეთის გამათავსუფლებელ [illegible] ქართველ სტუდენტთა მონაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხთან დაკავშირებით. ყრილობამ „თავისუფლების ლიგის" წესდება-პროგრამის შექმნის საჭიროებაც წამოაყენა. ეს საქმე ვარშავის წრეს დაევალა.

1893 წელს თბილისში „თავისუფლების ლიგის" მეორე ყრილობა შედგა. აქ წარმოდგენილ წესდება — პროგრამის პროექტზე ცხარე კამათი გაიმართა. უმრავლესობამ მხარი დაუჭირა პროგრამის იმ პოზიციას, რომელიც ეროვნულ სეპარატიზმს მცდარად მიიჩნევდა და ქართველთა რევოლუციურ საქმიანობას საერთო სარუსეთო გამათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილად თვლიდა.

პრაქტიკულ-რევოლუციური მუშაობის გაჩაღება „თავისუფლების ლიგას" არ დასცალდა. ჟანდარმერიამ მიაგნო მის კვალს 1893 წელსავე და აქტიური მონაწილენი — 22 კაცი დააპატიმრა. ძიება თითქმის 2 წელი გრძელდებოდა, მაგრამ ვერ დადგინდა, რომ წრე ეწეოდა ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას. მიუხედავად ამისა წრის წევრები მკაცრი პოლიციური ზედამხედველობის ქვეშ აიყვანეს.

4. მესამე დასი. ნაროდნიკული იდეოლოგიის კრახის შემდეგ რუსეთის რევოლუციური ახალგაზრდობის ერთი ნაწილი მარქსიზმმა გაიტაცა. მარქსისტულ მსოფლმხედველობას რუსეთში ადრევეც იცნობდნენ, მაგრამ მისი პოპულარიზაციისათვის დიდი მუშაობა გასწია „შრომის გათავისუფლების ჯგუფმა", რომელიც 1883 წ. შეიქმნა ჟენევაში გ. პლეხანოვის მეთაურობით. რუსეთში თანდათანობით დაიწყო მარქსისტული წრეების აღმოცენება.

საქართველოში მარქსისტულ იდეოლოგიაზე წერილები პრესაში 70-80-იან წლებშიც იბეჭდებოდა. რუსეთში და საზღვარგარეთ მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი გაჰყვა ამ იდეოლოგიას, და რუსეთის მსგავსად აქაც შეუდგა ზრუნვას მარქსისტული ორგანიზაციების ჩამოყალიბებისათვის.

პირველი მარქსისტული ორგანიზაცია საქართველოში 1892 წელს აღმოცენდა. ამ წლის დეკემბერში ზესტაფონში ე. ნინოშვილის ბინაზე შეიკრიბა მარქსიზმის მიმდევართა ჯგუფი; მასში შედიოდნენ ე. ნინოშვილი, მ. ცხაკაია, ნ. ყორდანია, ს. ჯიბლაძე, ნ. ჩხეიძე, ი. რამიშვილი, ფ. მახარაძე, ი. კაკაბაძე და სხვები; შეკრებაზე გადაწყდა ახალი ორგანიზაციის დაარსება, განხილულ იქნა პროგრამაც, რომლის ავტორი იყო ე. ვაწაძე. წრის წევრები იდეურად არ იდ-

გნენ ერთ პოზიციაზე, ჭარბობდა ნაროდნიკული განწყობილება. ე. ვაწაძის პროგრამა დაწუნებულ იქნა. 1893 წელს ეს ჯგუფი კვლავ შეიკრიბა თბილისში და განიხილა ახალი პროგრამა, რომლის ავტორი იყო ნ. ჟორდანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1894 წლის 8 მაისს მწერალ ე. ნინოშვილის დაკრძალვაზე ს. ჯიბლაძემ და ლ. დარჩიაშვილმა გამოსათხოვარ სიტყვებში ეგნატე ნინოშვილი ახალი მიმართულების მეთაურად აღიარეს და ამასთან გადმოშალეს ამ მიმართულების სამოქმედო პროგრამა. გაზ. „კვალში" გ. წერეთელმა ახალ მიმართულებას უწოდა „მესამე დასი" (ეს სახელი დამკვიდრდა ისტორიულ ლიტერატურაში). იმავე წელს ჟურნალ „მოამბეში" დაიბეჭდა ნ. ჟორდანიას სტატია „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება", სადაც დახასიათებული იყო ახალი მიმდინარეობის პროგრამული დებულებანი.

„მესამე დასელები" თავიანთი შეხედულების პროპაგანდას ძირითადად გაზ. „კვალის" ფურცლებზე ეწეოდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა ნ. ჟორდანია, 1898 წლიდან გაზეთ „კვალს" თავი მიანება გიორგი წერეთელმა. მისი რედაქტორი ნ. ჟორდანია გახდა. „კვალი" ამიერიდან მეტი თანმიმდევრობით შეუდგა ბრძოლას მარქსისტული მსოფლმხედველობის გავრცელებისათვის, მან იდეური ბრძოლა გამოუცხადა გაზეთ „ივერიას", რომლის პოზიციას ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მომავლის შეფასებაში მცდარად მიიჩნევდა.

ქართველი მარქსისტების თვალსაზრისით საქართველოში, ისე როგორც ევროპაში თანდათან იკაფავდა გზას კაპიტალიზმი მისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობებით. საზოგადოებრივი ცხოვრების წინა პლანზე დგებოდა კაპიტალისტებისა და მუშათა კლასის წინააღმდეგობანი.

„დგება ეპოქა სოციალური რევოლუციისა და შესაფერი შეცვლით ნივთიერი ცხოვრებისა ძალაუნებურად იცვლება იურიდიული, პოლიტიკური და ზნეობრივი მხარე ცხოვრებისა და ფორმები ცნობიერების" — აცხადებნენ ისინი. მარქსის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის" შესავლიდან აღებული ეს აზრი მათ სავალდებულოდ მიაჩნდათ საქართველოსათვისაც. პარტიის დანიშნულებას მარქსისტები იმაში ხედავდნენ, რომ მუშათა კლასში შეეტანათ სოციალისტური შეგნება და დაერაზმათ ისინი კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მთელი ყურადღება მუშათა კლასის სოციალური ჩაგვრის ლიკვიდაციაზე გადაქონდათ, ეროვნული საკითხი მიაჩნდათ მეორეხარისხოვნად. ეროვნულ ბრძოლაზე ყურადღების გამახვილება მათი აზრით რუსეთის პროლეტარიატის ერ-

თიან ფრონტს დაასუსტებდა. გაზ. „ივერიის“ და ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე თვლიდნენ ჩამორჩენილობად. თერგდალეულები მემამულე-აზნაურთა ინტერესების გამომხატველებად მიაჩნდათ და მათ ღვაწლს ყოველმხრივ ამცირებდნენ და აბიაბრუებდნენ.

ფ. მახარაძე „კვალში“ 1895 წ. დაბეჭდილ სტატიაში „გაკვრით პასუხი“ ილაშქრებდა რა იმათ წინააღმდეგ, ვინც ეროვნულ საკითხს წინა პლანზე აყენებდა, აღნიშნავდა: „კლასთა შორის ბრძოლის თვალთახედვის წერტილიდან ვუყურებთ ჩვენ თანამედროვე ეროვნულ კითხვასაც. პროლეტარიატი ერთი წუთითაც ვერ დატოვებს კლასობრივი თვალთახედვის ისარს. იმას საერთო არაფერი აქვს ბურჟუაზიასთან, სულიერთა რომელ ერს ეკუთვნის ეს უკანასკნელიო“.

გაზ. „ივერია“ შეცდომად თვლიდა ქართველ მარქსისტთა მიერ ევროპულ ვითარების მექანიკურად გავრცელებას ქართულ სინამდვილეზე. მიაჩნდა, რომ საქართველოში კაპიტალიზმი სუსტია და იგი ვერც განვითარდება კოლონიური ჩაგვრის ვითარებაში. საქართველოს სპეციფიკას „ივერიელები“ მის სოფლურ ყოფაში ხედავდნენ, მიაჩნდათ, რომ საზოგადოებრიობის ყურადღება გლეხურ მეურნეობათა აღორძინებისაკენ უნდა წარმართულიყო. კლასთა ბრძოლისაკენ მოწოდება ერს უქადდა გათიშვას, რაც წყალს ასხამდა ქვეყნის საგარეო მტრების წისქვილზე.

ილია ჭავჭავაძე ნ. ჟორდანიასთან პოლემიკაში მიუთითებდა, რომ მარქსის მსოფლმხედველობა მოწოდებულია ევროპის დიდ სახელმწიფოთა სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნისკენ, მარქსისტული იდეები არ გამოადგება კოლონიურად დაჩაგრულ პატარა საქართველოს, რომლის ისტორიული ცხოვრება და დღევანდელობა ევროპისაგან განსხვავებულ პრინციპებზეა დამყარებულიო.

ეროვნულ-დემოკრატული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში ნოე ჟორდანიას გვერდით ამოუდგა ფილიპე მახარაძე. 1898 წელს „კვალში“ მან დაბეჭდა რეცენზია მ. ნასიძის ნარკვევის შესახებ, რომელიც ი. ჭავჭავაძის ცხოვრება-მოღვაწეობას შეეხებოდა. ამ რეცენზიაში ფ. მახარაძემ მ. ნასიძის წიგნი ილიას გაზვიადებულ ქება-დიდებად მიიჩნია. ილიას ახალი არაფერი შეუქმნია, საქართველოში ბელეტრისტიკის ახალ, რეალისტურ მიმართულებებს სათავეში ედგნენ ლავრენტი არდაზიანი და დანიელ ჭონქაძე, ხოლო ენის რეფორმა ხალხურობის მიმართულებით სათავეს გიორგი ერისთავისა და ზურაბ ანტონოვისაგან იღებსო. ეს რეცენზია ქართველ სამოციანელთა როლის გაბიაბრუებისაკენ იყო მიმართული. ასეთმა მტრულმა და-

მოკიდებულებამ ერის დიდი მოძღვარის მიმართ 900-იანი წლებიდან სისტემატური ხასიათი მიიღო და მისდამი გაბოროტებულ მტრობაში გადაიზარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

90-იანი წლების მეორე ნახევრიდან „მესამე დასი“ რიცხობრივად გაიზარდა. მან ფილიალები გაიჩინა ბათუმში, ქუთაისში. იგი დაუკავშირდა რუს სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც თბილისში ეწეოდნენ არალეგარულ საქმიანობას მარქსიზმის გასავრცელებლად. „მესამე დასს“ დაუკავშირეს თავიანთი საქმიანობა ა. წულუკიძემ, ი. სტალინმა, ლ. კეცხოველმა. ამ სამეულს ეროვნულ საკითხი უფრო ნიჰილისტური პოზიცია ეკავა. „მესამე დასში“ თანდათან გამოიკვეთა ორი მიმდინარეობა. პირველი მიმდინარეობა იცავდა იმ თვალსაზრისს, რომელიც ნ. ჟორდანიასა და ს. ჯიბლაძის საპროგრამო გამოსვლებში იყო ჩამოყალიბებული. მეორე — (ფ. მახარაძე, ი. სტალინი, ა. წულუკიძე, ლ. კეცხოველი) მთავარ მოწოდებად მიიჩნევდა კლასობრივ ბრძოლას და ამ პრინციპით ამზადებდა საქართველოს პრლეტარიატს „მჩაგვრელი კლასების“ წინააღმდეგ ამხედრებისათვის.

თბილისის რკინიგზის სახელოსნოებსა და ფაბრიკა ქარხნებში მარქსისტული წრეები თანდათან ფართოვდებოდა. 1896 წლისათვის წრეები გაერთიანდნენ ერთიან სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციად. შედგა პირველი სოციალ-დემოკრატიული „მუშათა ხელმძღვანელი კომიტეტი“, რომელშიაც შევიდნენ ზ. ჩოდრიშვილი, ვ. ცაბაძე, მ. ბოჭორიძე, ლ. კეცხოველი, ა. ოქუაშვილი, ს. ჯიბლაძე, ს. ჯუღელი, ალ. შატილოვი, რ. კალაძე და სხვ. ასე ჩაეყარა საფუძველი საქართველოში სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც „მესამე დასის“ საფუძველზე ჩამოყალიბდა.

5. მუშათა მოძრაობა 90-იანი წლების მეორე ნახევარში. 1896 წელს თბილისის მუშათა შორის გავრცელდა ჰექტოგრაფზე ნაბეჭდი პროკლამაციები, რომლებიც მუშებს „მონური მდგომარეობიდან გამოსვლას“ და ბრძოლას მოუწოდებდნენ. ამავე წლის ზაფხულში თბილისის თამბაქოს ფაბრიკაში დაიწყო გაფიცვა, რომელშიაც 500-მდე მუშა მონაწილეობდა. იგი ეკონომიკურ ხასიათს ატარებდა. გაფიცულებმა მოითხოვეს ხელფასის მომატება, სამუშაო დროის შემცირება. ღამ-ღამობით ისინი კუკიის სასაფლაოს მიდამოებში ატარებდნენ კრებებს, სადაც ქადაგებდნენ ერთსულოვნებას.

უფრო დიდი მასშტაბის გაფიცვა მოხდა 1898 წელს თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში. გაფიცულთა ნაწილმა რკინიგზის თბილისის სადგური დაიკავა და მატარებელთა მოძრაობა შეაჩერა. გაფიცულნი მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მთავრობის

ჯარებსა და პოლიციას, რომლებმაც სახელოსნოებს და ქალაქის სადგურს ალყა შემოარტყეს. რამდენჯერმე შეტაკებაც მოხდა. ხელისუფლება იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და მუშათა პრეტენზიები დაეკმაყოფილებინა. ეს გაფიცვა კარგად იყო ორგანიზებული. ჩანდა, რომ მას სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა.

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების სააგიტაციო მუშაობა თანდათან აღვივებდა მუშათა შორის პოლიტიკური ბრძოლის სულისკვეთებას. 1899 წელს საქართველოში პირველად ჩატარდა მაისობის მუშათა დღესასწაული. 19 აპრილს ქალაქგარეთ ავჭალის მოდამოებში შეიკრიბნენ თბილისის სხვადასხვა საწარმოთა მუშები; მათი საბრძოლო ლოზუნგი მშრომელ ხალხს თვითმყრობელობის დამხობისაკენ მოუწოდებდა. მუშათა კრებას სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სახელით მიესალმნენ ლ. კეცხოველი, მ. ბოჭორიძე, რ. კალაძე და სხვები. შეკრება საღამომდე გრძელდებოდა და იგი მუშათა საბრძოლო სოლიდარობის განმტკიცების ნიშნით მიმდინარეობდა.

მუშათა მოძრაობა თანდათან მეტ ორგანიზებულებას ამჟღავნებდა და პოლიტიკური ბრძოლის ფორმაზე გადადიოდა, ამის თვალსაჩინო გამოვლინება იყო 1900 წლის აგვისტოს დიდი გაფიცვა, რომელიც ისევ თბილისის რკინიგზის სახელოსნოების მუშებმა მოაწყვეს.

მუშებმა წინასწარ წარუდგინეს რკინიგზის სამმართველოს თავიანთი მოთხოვნები და მის შესასრულებლად ვადაც დაუნიშნეს. პასუხის მოლოდინში ხშირად მართავდნენ კრებებს იმ მიზნით, რომ თუ დადებით პასუხს არ მიიღებდნენ, შეკავშირებულად, ერთსულოვნად გამოსულიყვნენ.

ემზადებოდა რკინიგზის ადმინისტრაციაც, რომელმაც საქმეში ჟანდარმერია ჩარია და შეკრების მოთავე 68 მუშა დააპატიმრებინა. 1 აგვისტოს მუშებმა მიატოვეს სამუშაო. გაფიცულთა რიცხვმა ოთხი ათას კაცს გადააჭარბა.

გაფიცვა წინასწარ იყო შეთანხმებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის თბილისის კომიტეტთან. მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საგაფიცვო კომიტეტი. კომიტეტმა გამოსცა პროკლამაციები, რომლებიც არალეგარულ სტამბაში იბეჭდებოდა. ეს პროკლამაციები აღწერდნენ მეფის მთავრობის უსამართლობას, მუშებს შთააგონებდნენ, რომ მათი ერთობლივი ბრძოლა უთუოდ გამარჯვებას მოიტანდა.

გაფიცულებს სოლიდარობა გამოუცხადეს თბილისის მსხვილ

საწარმოთა მუშებმა. გაფიცვა გახმაურდა რუსეთშიც ოა იქაურ მუშათა მხარდაჭერა პოვა. თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამართველო ფეხზე დადგა. ამ გაფიცვაში მან სოციალ-დემოკრატიის მაორგანიზებელი ხელი დაინახა და რეპრესიები გააძლიერა. ქვეითი და ცხენოსანი ჯარის გამოყენებით მთავრობამ გაფიცულთა რიგები დაარბია, 300-ზე მეტი მონაწილე დააპატიმრა, აქედან 164 კაცი სამართალში იქნა მიცემული.

1900 წ. აგვისტოს გაფიცვა მარცხით დამთავრდა, მაგრამ სოციალ-დემოკრატიის თბილისის კომიტეტი მას დიდ შეფასებას აძლევდა, პოლიტიკური ბრძოლის პირველ მასობრივ აქტად თვლიდა და მასში შემდგომ გამარჯვებათა საწინდარს ხედავდა. „დამარცხდნენ რა მუშები გუშინ, ამით მათ გამარჯვება მოამზადეს დღეისათვის“ — წერდა სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ბრძოლა“ და დასძენდა „ეს დამარცხება ბევრ გამარჯვებას აღემატებაო“.

ამრიგად, XIX ს. მიწურილისათვის საქართველოს მუშათა კლასი უკვე გადავიდა პოლიტიკური ბრძოლის სტადიაში, რომლის მეთაურობა ხელში აიღო სოციალ-დემოკრატიამ. ეს თავისთავად პროგრესული ხასიათის მოვლენა იყო. მაგრამ მას დიდი საშიშროებაც ახლდა. ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლა მეორე რიგში ექცეოდა და იზრდებოდა გათიშულობა საზოგადოებრივ კლასთა შორის, რაც ასუსტებდა ერთიან სახალხო ფრონტს კოლონიური რეჟიმის დასამხობად.

§ 6 XIX ს. მეორე ნახევრის ქართული კულტურა

XIX ს. მეორე ნახევარი აღინიშნება ქართული კულტურის დიდი განვითარებით. არცერთ წინა საუკუნეში ქართული კულტურის დარგებს არ განუცდია ისეთი სწრაფი აღმავლობა, როგორც ამ ეპოქაში. მართალია, XIX ს. ქართულ კულტურას აკლდა ის დიდი მონუმენტურობა, რაც მას XI—XII საუკუნეებში ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ იგი ეხმაურებოდა ყველა პრობლემას, რაც რუსეთისა და ევროპის საზოგადოებრივმა აზრმა და ინტელექტუალურმა ცხოვრებამ იმ საუკუნეში დააყენა.

ქართული კულტურის ფარვატერში, ისე როგორც წინა პერიოდებში, მწერლობა იდგა. ეროვნულ ბრძოლას მესვეურობდნენ სიტყვა-კაზმული მწერლობის ოსტატები, რომლებიც თავიანთ მხატვრულ და პუბლიცისტურ ქმნილებებში ეხმაურებოდნენ იმ ეპოქის ყველა ცხოვრებისეულ პრობლემას, ეძიებდნენ გზებსა და საშუალე-

ბებს მათი გადაჭრისათვის. ქართულმა მწერლობამ მთელი თავისი შემოქმედება ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებს დაუქვემდებარა, მანვე გასწია ტიტანური ბრძოლა ეროვნულობის დედაბოძის — ქართული ენის გადარჩენისა და მისი დემოკრატიულობისათვის, რაც ამ დროისათვის ყველაზე მომწიფებული და საარსებო საკითხი იყო ეროვნული ვინაობის შენარჩუნებისა და ხალხის კონსოლიდაციისათვის ბრძოლაში. ქართული მწერლობის დანიშნულება, მისი ეროვნული მრწამსი და ესთეტური კრედო გამოკვეთილად ჩამოაყალიბა ქართული კულტურის დიდმა მესვეურმა ილია ჭავჭავაძემ, რომელმაც ასე განსაზღვრა პოეტის დანიშნულება: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის მიწიერი ზეციერსა; ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარუძღვე წინა ერსა. დიდის ღმერთის საკურთხევლის მისთვის ღვივის ცეცხლი გულში, რომ ერისა მოძმედ ვიყო ჭმუნვასა და სიხარულში;"... ასევე ესმოდა მწერლის დანიშნულება აკაკი წერეთელს, რომელიც თავისთავს, როგორც პოეტს „გარემოების საყვირს" უწოდებდა, ეს მრწამსი ედო საფუძვლად XIX ს. მეორე ნახევრის მთელ ქართულ ლიტერატურას.

60-იანელთა ბრწყინვალე პლეადა მაშინ გამოვიდა შემოქმედებით ასპარეზზე, როცა საქართველო გარდატეხის ზღურბლთან იდგა, როცა ერის კონსოლიდაცია და იმის გარკვევა თუ „ვინა ვართ და რანი ვართ" იყო ძირითადი პრობლემა ეროვნული კულტურისა, როცა ხალხის გამოღვიძებასა და ეროვნულ შემართებას წინ ეღობებოდა დრომოჭმული ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება. ილიამ და მისმა თანამებრძოლებმა ერთიანი ძალისხმევით შეუტიეს ამ სოციალურ სენს. ილიას დიდებულ მხატვრულ ქმნილებებში („კაცია ადამიანი?" „გლახის ნაამბობი", პოემები „აჩრდილი", „კაკო ყაჩაღი" და სხვ.) აისახა ბატონყმური ჩაგვრის ლიკვიდაციის აუცილებლობა და გარდუვალობა. იგივე პრობლემა წამყვანი იყო ყველა თერგდალეულის მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებში.

ქართველ სამოციანელთა შემოქმედებითი პრინციპები ამოდიოდა კრიტიკული რეალიზმიდან, რომელიც იმ დროს გაბატონებული ლიტერატურული მიმართულება იყო ევროპასა და რუსეთში. სიტყვაკაზმულ მწერლობას სამოციანელები აკისრებდნენ ცხოვრების „მართალი სარკის" დანიშნულებას. მიაჩნდათ, რომ ლიტერატურა მოწოდებულია ხალხის სამსახურისათვის, მან უნდა „უშველოს ცხოვრების წინ ფეხის გადადგმას გასამჯობინებლად, გასაკეთებლად".

ცხოვრებასთან ლიტერატურის დამოკიდებულების არსი და მთავარი პრინციპები შესანიშნავადაა ჩამოყალიბებული ილია ჭავჭავაძის მოწინავე წერილში, რომელიც მან მის მიერვე დაარსებული

ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერს წარუძღვარა ამ პრინციპს ერთგულად იცავდა თერგდალეულთა მთელი ლიტერატურული მიმდინარეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა მართალია, მთავარი, მაგრამ მაინც კერძო და ეპიზოდური საკითხი იყო სამოციანელთა მხატვრულ შემოქმედებაში. იგი, ისე როგორც ყველა სხვა საკითხი, თავს იყრიდა ერთ ფოკუსში, ერთ ძირითად დანიშნულებას ემსახურებოდა: ეს იყო ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაცია, მისი შემზადება ცარიზმის კოლონიური რეჟიმის დამხობისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენისათვის. ამ იდეალს ასახავდა ილიასა და აკაკის პოეზია, ნიკო ნიკოლაძისა და ს. მესხის პუბლიცისტიკა, იაკობ გოგებაშვილისა და გიორგი წერეთლის შემოქმედება და მათი მთელი საგანმანათლებლო მოღვაწეობა.

ეროვნული გათვითცნობერების, მისი საბრძოლო სულისკვეთების ამაღლების მიზნით ქართველი მწერლები ხშირად მიმართავდნენ ისტორიულ თემატიკას. წარსულიდან აღებული შთამბეჭდავი სურათებით აღვივებდნენ მამულისათვის თავდადების გრძნობას (ილიას „მეფე დიმიტრი თავდადებული“; აკაკის — „ბაში აჩუკი“, პოემები „თორნიკე ერისთავი“ „ნათელა“, „ბაგრატ მეოთხე“, „თამარ ცბიერი“, ი. გოგებაშვილის „იავნანამ რა ქმნა“ და სხვ.). დიდ სამოციანელებს არც საერთო საკაცობრიო სატკივარი დავიწყნიათ. ისინი მმართებულად იაზრებდნენ ისეთ მარადიულ ღირებულებს როგორიცაა სიყვარული, მეგობრობა, სიკეთე, აღმზრდელის დანიშნულება, ცხოვრებისაგან განდგომის მარცხი და სხვ. და ამ პრობლემებს წარმოგვიჩენდნენ ეროვნული კულტურის დანიშნულებასთან მისადაგებით.

სამოციანელთა თაობა XIX ს. მეორე ნახევარში მესვეურობდა ქართული კულტურის განვითარებას. ამიტომაცაა, რომ მათ შემოქმედებაში ასახულია ბატონყმური რეჟიმის დამხობის შემდგომი პერიოდის პრობლემატიკაც, ქართველი ერის თითოეული საზოგადოებრივი ფენის დანიშნულება და მოწოდება ეროვნულ სამსახურისკენ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“ — ქართული პროზის, ეს მარგალიტი, რომელიც ოპტიმისტური თვალთახედვით გასცქერის მომავალს და ერის აღორძინების საწინდარს ხედავს მის მთლიანობაში.

60-იანელთა შემოქმედება გულდაჯერებული ოპტიმიზმითაა გამსჭვალული. მათ სწამდათ, რომ საქართველო—მიჯაჭვული ამირანი თავს დაიხსნიდა მონობისაგან და მოიპოვებდა ეროვნულ დამოუკიდებლობას. „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!.. აწმ-

ყო თუ არა გწყალობს, — მომავალი ჩვენია“ — აიმედებდა ქართველ ერს ილია ჭავჭავაძე. ეს იმედიანი ლექსი ეროვნულ ჰიმნად ჟღერს დღევანდელ საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლონიური რეჟიმის უსამართლობის, მჩაგვრელი ძალის მიერ ხალხისათვის იძულებით თავსმოხვეული რეჟიმის მანკიერებათა მხილებაში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდა აკაკის მრავალფეროვანი შემოქმედება. მისი პოეზია, პროზა, სატირული ფელეტონები ეროვნული თვითგანწმენდის მძლავრ საშუალებას წარმოადგენდა. აკაკის ოპტიმისტური პოეზია უკუღმართ აწმყოს წარმავლად თვლიდა. სწამდა, რომ საქართველო მომავალში მტერს საკადრის პასუხს გასცემდა. „არ მომკვდარა!... მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს!... ვინც შენატრის იმის სიკვდილს, უმალ მასვე დაამიწებს“ — აიმედებდა იგი თანამემამულეთ.

განათლება და კულტურა პოეტს წარმოუდგებოდა როგორც სამშობლოსადმი უანგარო თავდადება, საზოგადოებრივი საქმის მიმართ პირადულის დავიწყება, თანამემამულეთა ჭირვარამზე მუდმივი ზრუნვა, ერის ავანგარდში დგომა და საჭირო შემთხვევაში მისთვის თავგანწირვა. აკაკი შეუბრალებლად კიცხავდა ისეთ „განათლებულ“ ქართველს, რომლებმაც, მართალი, ცოდნა შეიძინეს, მაგრამ ეროვნული სახე დაკარგეს, უგვარტომო კოსმოპოლიტებად იქცნენ და დაცინვაც კი დაუწყეს ეროვნულ ტრადიციებს. ასეთ ადამიანებს პოეტი ღამურას ადარებდა და დასძენდა „კრულია მისი ბუნება, ვინც დაგმობს დედა-ენასა“.

სამოციანელთა ბრწყინვალე პლეადამ ქართულ ეროვნულ კულტურას ისეთი მკვიდრი საძირკველი ამოუშენა, რომ მისი მთელი შემდგომი განვითარება ამ ტრადიციების გზით წარიმართა. ილიას, ნიკო ნიკოლაძის შემოქმედებაზე აღიზარდა მომდევნო თაობები ქართული ლიტერატურისა. 80-იან წლებში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსული ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა ფშაველა მძლავრად აჟდერებენ იმ ნოტებს, რომლებიც წამყვანია სამოციანელთა ნააზრევში. ახალი თაობის ღვაწლი გამომსახველობის ახლებური ფორმების ძიებაში მდგომარეობდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ვაჟა ფშაველას შემოქმედება. ვაჟა „მთის ნიაღვრის მქუხარებით მოიჭრა ქართულ ლიტერატურაში, მან მოიტანა თან არაჩვეულებრივად მგზნებარე ტემპერამენტი და ბოლომდე უცნობი, სრულიად ორიგინალური ხმა“. გამომსახველობის სრულიად ახალი ფორმების მიუხედავად, ვაჟა ჭეშმარიტი მემკვიდრე იყო სამოციანელების და მთავარ ლეიტმოტივს მის შემოქმედებაში შეადგენდა ის დიდებული იდეები, რომელიც თერგდალეულთა დროშაზე იყო

წარწერილი. სამშობლოს თავისუფლება და სიკეთე. ყველა სახის ჩაგვრისადმი შეურიგებლობა, ადამიანური ღირსება, დიდი ჰუმანიზმი წითელ ზოლად გასდევდა ვაჟას უაღრესად მდიდარ, ორიგინალურ პოეტურ და პროზაულ ქმნილებებს. ამასთან, ამ ქმნილებებში, ისე როგორც ნ. ბარათაშვილთან, ეროვნულ-პატრიოტული პრობლემები შესისხლხორცებულია საკაცობრიო იდეალებთან და მსოფლიო პოეზიის მწვერვალზეა ატანილი.

სამოციანელთა კალთებქვეშ გაიზარდნენ და შემოქმედებითად დავაჟკაცდნენ 80-90-იანი წლების თვალსაჩინო ქართველი მწერლები — ეგნატე ნინოშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური, ვასილ ბარნოვი, ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, ეკატერინე გაბაშვილი, შიო არაგვისპირელი და სხვები. სამოციანელთა იდეური საზრდო კვებავდა ძირითადად მომდევნო პერიოდის მთელ კულტურას. ამ მიმართულებაში ერთგვარი დისონანსი შეიტანეს „მესამე დასელებმა", რომლებმაც წინა პლანზე სოციალური და კლასობრივი პრობლემები დააყენეს, რითაც გათიშვა შეიტანეს მთლიან ეროვნულ მოძრაობაში.

ხალხის განათლება-გათვითცნობიერება, რასაც ესწრაფვოდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურები, ცარიზმს ხელს არ აძლევდა. მეფის რუსეთი, საერთოდ, სწავლა-განათლების მხრივ ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. მთავრობის მიერ საქართველოში გახსნილი რამდენიმე სასწავლებელი რუსიფიკაციის პოლიტიკას ახორციელებდა. ცარიზმი ცდილობდა ამ სასწავლებლებში ამოეძირკვა ეროვნული სულისკვეთება და ახალგაზრდობა საიმპერიო პოლიტიკისადმი ერთგულებით აღეზარდა.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის საპირისპიროდ, ხალხის მისწრაფება განათლებისაკენ იზრდებოდა. ამ მისწრაფებას აღვივებდნენ ეროვნული მოღვაწენი. საქართველოში ფრიად მომრავლდა კერძო პანსიონები, სამონასტრო და საოჯახო სკოლები. თერგდალეულთა მეცადინეობით გაიხსნა ქართული გიმნაზიები თბილისსა და ქუთაისში. სახალხო განათლების დარგში უდიდესი მუშაობა გასწია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ", რომელმაც რამდენიმე სკოლა გახსნა. დიდი ღონისძიება იყო წინამძღვრიანთ კარში სასოფლო სამეურნეო სკოლის დაარსება, რასაც სათავეში ჩაუდგა ილია წინამძღვრიშვილი. ეროვნულ მოღვაწეობათა დამსახურებას უნდა მივაწეროთ ისიც, რომ საქართველო XIX საუკუნის ბოლოსათვის, ცარიზმის ამკრძალავ ღონისძიებათა მიუხედავად, მთელს რუსეთში წერა-კითხვის მცოდნეობის მხრივ პირველ ადგილზე იდგა.

განათლებისადმი სწრაფვის საერთო სახალხო ენთუზიაზმმა წარმოშვა ქართველ გამოჩენილ პედაგოგთა მთელი პლეადა. იაკობ გოგებაშვილს გვერდში ამოუდგნენ ილია წინამძღვრიშვილი, ბაბანა გულისაშვილი, ანთიმოზ ჯუღელი, ლუარსაბ ბოცვაძე, პეტრე ოცხელი, ნიკო ჯანაშია, ალექსი ჭიჭინაძე, ივანე როსტომაშვილი, შიო ჩიტაძე, კონსტანტინე გვარამაძე, ივანე ნიჟარაძე და სხვები.

ქართველი ინტელიგენცია ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის გახსნასაც ესწრაფვოდა, მაგრამ ამაოდ. ცარიზმი წინ ეღობებოდა ამ ღონისძიებას იმის მომიზეზებით, რომ თითქოს, ქართული საზოგადოებრიობა უმაღლესი სკოლისათვის ინტელექტუალურად შემზადებული არ ყოფილა.

სიტყვაკაზმულმა მწერლობამ ხელი შეუწყო ქართული კულტურის სხვა დარგების განვითარებასაც. ქართულმა დრამატურგიამ ეროვნული რეპერტუარი შეუმზადა ქართულ სცენას, რომელიც 70-იანი წლების მიწურულიდან პროფესიულად ყოველმხრივ შემზადებული ჩადგა ქართული კულტურის სამსახურში.

გიორგი ერისთავის მიერ შექმნილი მუდმივი თეატრალური დასი 60-იანი წლებისათვის აღარ არსებობდა. სცენის მოყვარენი ეპიზოდურად დგამდნენ სპექტაკლებს. ინტელექტუალური ცხოვრების სწრაფი წინსვლა თეატრალურ ასპარეზსაც საჭიროებდა. ეს საჭიროება ყველაზე უკეთ იგრძნეს ი. ჭავჭავაძემ და ა. წერეთლმა. მათი თაოსნობით თბილისში აღსდგა მუდმივი ქართული თეატრი, ხოლო მისი მოვლა-პატრონობის მიზნით შეიქმნა დრამატული საზოგადოება. ქართული მუდმივი თეატრი პოტენციურად დიდი ხანია მომწიფებული იყო. ამიტომაც მისი პირველი გამოჩენა საზოგადოებრივ ასპარეზზე მაღალი მხატვრული ოსტატობით აღინიშნა. მუდმივი დრამატული თეატრი ჩამოყალიბდა ქუთაისში. ქართულ თეატრში XIX ს. მეორე ნახევარში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მსახიობები და რეჟისორები ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ვალერიან გუნია და სხვები. მათ ქართული თეატრალური ხელოვნება მაღალ დონეზე აიყვანეს.

ეროვნული თეატრი დიდი მოვლენა იყო ერის ინტელექტუალურ ცხოვრებაში. იგი იცავდა ქართულ ენას გადაგვარებისაგან, აღვივებდა მაყურებელთა პატრიოტულ გრძნობებს, ამხელდა და გმობდა ხალხის ყოფაში შემოპარულ ნეგატიურ მოვლენებს. თეატრი მუდამ იდგა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზე და აღაგზნებდა საზოგადოებრიობას ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად. „ეგ ერთი ადგილია, სადაც ჩვენი ენა საჯა-

როდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს. ესეც საკმაოა, რომ კაცმა თავი გამოიდოს, თორემ თეატრს ხომ სხვაც ბევრი სიკეთე მოსდევს“ — წერდა ილია ერთ კერძო წერილში თეატრის დანიშნულების შესახებ. ქართული თეატრი გასტროლებს მართავდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული თეატრის სტუმრობა ბათუმში, ახლად შემოერთებულ აჭარაში ქართული წარმოდგენები დიდ პატრიოტულ დემონსტრაციად იქცა.

XIX ს. 70-90-იან წლებში აღმავლობა განიცადა ქართულმა მუსიკალურმა კულტურამ. 70-იან წლებში თბილისში ჩამოყალიბდა კავკასიის სამუსიკო საზოგადოება, რომლის აქტიური წევრები იყვნენ ხ. სავანელი, ლ. აღნიაშვილი, ა. კარბელაშვილი, მ. მაჭავარიანი, ა. ბენაშვილი, კომპოზიტორი იპოლიტ-ივანოვი, ფ. ქორიძე, ელიოზ-მიზანდარი, ი. პიოთოთევი, კ. ალიხანოვი, ა. ყორღანოვი და სხვები. ამ საზოგადოებამ მძლავრი ბიძგი მისცა ქართული მუსიკის აღორძინებას. განსაკუთრებით დიდია ღვაწლი ამ მხრივ ხარლამპი სავანელისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ ვოკალურ სკოლას. იგი იყო თბილისის მუსიკალური სკოლის დაარსების ინიციატორი. მანვე ჩამოაყალიბა საგუნდო სიმღერის კლასები და 1874 წ. გამართა პირველი კონცერტი, რამაც საზოგადოებრიობა აღტაცებაში მოიყვანა. ხ. სავანელის მრავალმხრივმა სამუსიკო მოღვაწეობამ საფუძველი მოუმზადა თბილისის კონსერვატორიას.
პროფესიული მუსიკის გვერდით აღორძინებას განიცდიდა ქართული ხალხური მუსიკა. ამ საქმეს სათავეში ედგა ლადო აღნიაშვილი, რომელმაც ქართლ-კახეთში შეკრიბა ხალხური სიმღერების მცოდნე გლეხი ახალგაზრდობა და ჩამოაყალიბა გუნდი. 1886 წელს გუნდმა გამართა პირველი კონცერტი. უძველესი ქართული ხალხური სიმღერების აჟღერებამ ქართული საზოგადოებრიობის აღტაცება გამოიწვია, აგრძნობინა მას ხალხური სიმღერების სურნელება, სიდიადე და ზემოქმედებითი ძალა. გუნდი კონცერტებს მართავდა სხვადასხვა ქალაქებში. ამ ინიციატივამ წააქეზა მუსიკოსებისა და კომპოზიტორების ფართო ჯგუფი მოეხედათ ეროვნული მუსიკალური კულტურისათვის. ამ საქმით დაინტერესდნენ ფილიმონ ქორიძე, მელიტონ ბალანჩივაძე, ილია კარგარეთელი, ანდრია ყარაშვილი, ზაქარია ჩხიკვაძე, ანდრია ბენაშვილი და სხვები; ისინი აგროვებდნენ ხალხურ სიმღერებს, ეწეოდნენ მის პროპაგანდას, ზრდიდნენ მუსიკოსთა ახალგაზრდა კადრებს, ეროვნულ თემაზე თხზავდნენ ახალ ნაწარმოებებს.

ქართული საზოგადოებრიობის მუსიკალური გემოვნების ამაღლებას ერთგულად ემსახურებოდა თბილისის ოპერის თეატრი, რო-

მელიც წარმატებით დგამდა მსოფლიოს გამოჩენილ კომპოზიტორთა ქმნილებებს, კონცერტებზე იწვევდა ცნობილ ვოკალისტებს და პიანისტებს რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIX ს. მეორე ნახევარი შემოქმედებითი აღმავალობით აღინიშნა ქართულ მხატვრობაში. 80-იან წლების დამდეგიდან ასპარეზზე ზედიზედ გამოვიდნენ ფერწერის თვალსაჩინო ოსტატები გიგო გაბაშვილი, ალექსანდრე მრევლიშვილი, რომანოზ გველესიანი, ალექსანდრე ბერიძე და სხვები, რომელთაც საქართველოს ცხოვრებიდან მრავალი ბრწყინვალე ფერწერული ტილო შექმნეს.

ამ პლეადის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი იყო გიგო გაბაშვილი (1862-1936), რომელმაც საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია 1891 წელს გამართული პერსონალური გამოფენით. შესრულების ოსტატობით უმაღლეს დონეზე დგას მისი ფერწერული ტილოები „სამი მოქალაქე", „მძინარე ხევსური", „მთვრალი ხევსური" „ალავერდობა" და სხვ. გ. გაბაშვილის შემოქმედებითი პალიტრა დიდად გაამდიდრა შუა აზიაში მოგზაურობამ, რის შედეგად შექმნა ისეთი დიდებული ტილოები, როგორიცაა „ბაზარი სამარყანდში" და სხვ.

ქართული ფერწერა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამსახურში იდგა და ფუნჯის ენით გადმოსცემდა იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ტკივილებს, საქართველოს ბუნების მომხიბვლელობას, ასახავდა ქართულ ტიპებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია რ. გველესიანის „კახელი დოქით", „ქართველი მანდილოსანი", „ალავერდის ხიდი" და სხვ. ა. ბერიძის „მწყემსი", „სალამურზე დამკვრელი ბიჭი", „მოხუცი ქალი აივანზე", „პატარა გოგონა წინდას ქსოვს", ა. მრევლიშვილის „დაბალი ღობე", „სოფლელი ბიჭი და მდიდარი ქალები" და სხვ.

90-იანი წლებიდან ქართულ მხატვრობაში მოვიდა ახალი თაობა — ანტონ გოგიაშვილი, მოსე თოიძე და სხვები, რომელთაც პირველსავე ქმნილებებში გამოავლინეს მაღალი ოსტატობა.

ამავე პერიოდში იაკობ ნიკოლაძემ დიდი მუშაობა გასწია ქართული ქანდაკების აღორძინებისათვის. 1897 წელს მან გამოფენაზე გამოიტანა შოთა რუსთაველის ბიუსტი. ნიჭიერი ხელოვანი საზღვარგარეთ გაემგზავრა და მუშაობდა როდენის სახელოსნოში, აქ ჩამოყალიბდა იგი როგორც მოქანდაკე.

მოწინავე საზოგადოებრივი ძალები ბევრს ცდილობდნენ საქართველოს ჰქონოდა თავისი უმაღლესი სასწავლებელი, მაგრამ ამაოდ. ცარიზმი ეროვნული უმაღლესი განათლების კერის გახსნას წინ ეღობებოდა. ვერ მოხერხდა სპეციალური სამეცნიერო დაწესებულე-

ბის დაარსებაც. ამის გამო ქართული მეცნიერების განვითარება შეზღუდული იყო. სამეცნიერო კერები ქართველ მეცნიერთა თაოსნობით იქმნებოდა რუსეთში, უპირატესად პეტერბურგისა და მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერების მრავალ დარგთან ერთად XIX ს. მეორე ნახევარში თვალსაჩინო წინსვლას ქართველოლოგია განიცდიდა. თერგდალეულთა დაყენებულმა საკითხმა „ვინა ვართ და რანი ვართ" განსაკუთრებით დააინტერესა ქართველი მეცნიერული ძალები საქართველოს ისტორიული წარსულის, მისი უნიკალური ძველი კულტურის, ქართული ენის, ეროვნული ტრადიციებისა და ყოფის კვლევა-ძიებისათვის. პეტერბურგის უნივერსიტეტში დავით ჩუბინაშვილმა 1853 წელს ჩამოაყალიბა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა. მის მიერ შედგენილი ქართულ-რუსული, ქართულ-რუსულ-ფრანგული, რუსულ-ქართული ლექსიკონები შევიდა ქართული კულტურის საგანძურში. პეტერბურგშივე მოღვაწეობდა პროფ. ალექსანდრე ცაგარელი, რომელმაც დ. ჩუბინაშვილის საქმე გააგრძელა. ალ. ცაგარელმა მრავალი კაპიტალური ნაშრომი შექმნა საენათმეცნიერო, სალიტერატურო და საისტორიო პრობლემებზე. მანვე გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომლებიც ასახავდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობას XVIII საუკუნეში. პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართულ სამეცნიერო კერას საუკუნის ბოლო წლებში ახალი შემოქმედებითი ძალები შეემატა ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის სახით, რომელთა დიდი სამეცნიერო მოღვაწეობა მთელი ძლიერებით XX ს. დამდეგიდან გაიშალა. მოსკოვში ქართველოლოგიურ სამეცნიერო საქმიანობას სათავეში ედგნენ ალექსანდრე ხახანაშვილი (1864-1912) და ილია ოქრომჭედლიშვილი (1838-1898). პირველი მოღვაწეობდა ჯერ ლაზარევის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, შემდგომ მოსკოვის უნივერსიტეტში, სადაც ლექციებს კითხულობდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. მან შექმნა ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი სისტემატური კურსი. ა. ხახანაშვილმა დიდი ამაგი დასდო ქართველი ხალხის სიტყვიერების კვლევის საქმეს, ქართული კულტურის მონაპოვართა გატანას მსოფლიო სარბიელზე. ილია ოქრომჭედლიშვილი მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას. მან შექმნა მრავალი თვალსაჩინო ნარკვევი საქართველოს კულტურის ისტორიაზე.

თბილისში ქართველოლოგიური სამეცნიერო კვლევის ერთადერთ კერას წარმოადგენდა" ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", რომლის ხელნაწერთა ფონდში თანდა-

თან იყრიდა თავს საქართველოს წარსულის ამსახველი დოკუმენტები და მასალები. თბილისში ამ მიმართულებით კვლევას სათავეში ედგა გამოჩენილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890). იგი იყო ი. ჭავჭავაძის მეგობარი. ილიასთან ერთად ჩამოაყალიბა მან საქართველოს წარსულის კვლევის ახლებური პრინციპები, რაც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებიდან ამოდიოდა. მისი ინიციატივით 1873 წ. დაარსდა კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება, შეიქმნა ქართულ სიძველეთა თავმოყრის ერთერთი უმნიშვნელოვანესი კერა-საეკლესიო მუზეუმი.

დ. ბაქრაძე მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მათ სიძველეთა აღწერებს აწარმოებდა. სამხრეთ საქართველოში მოგზაურობა ასახულია ნაშრომებში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში", „ყარსის ოლქის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები" და სხვ. 1879 წ. იგი პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს. დიდმა მეცნიერმა მრავალმხრივი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი „ისტორია საქართველოსი". დ. ბაქრაძემ მთელი სკოლა შექმნა ახალ ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ სკოლის მომდევნო გამოჩენილი წარმომადგენლები გახდნენ თ. ჟორდანია, მ. ჯანაშვილი, ე. თაყაიშვილი, ნ. ხიზანიშვილი, ა. ფრონელი (ყიფშიძე) და სხვები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს წარსულის, მისი კულტურის ამსახველ დოკუმენტებისა და მასალებისა გამოცემაში, ცალკე პრობლემების მონოგრაფიულად შესწავლის საქმეში.

ქართულმა მეცნიერებამ თავი გამოიჩინა საბუნებისმეტყველო დარგებშიც, ამ მიმართულებით კვლევის არავითარი პირობა საქართველოში არ არსებობდა და მეცნიერები რუსეთისა და უცხოეთის ლაბორატორიებში ეწეოდნენ საქმიანობას. პროფ. ივანე თარხნიშვილს (1846-1908) ეკავა ფიზიოლოგიის კათედრა პეტერბურგის სამხედრო სამედიცინო აკადემიაში. მისმა მრავალრიცხოვანმა ნაშრომებმა დიდი წვლილი შეიტანა მეცნიერული ფიზიოლოგიის განვითარებაში. ქიმიის პროფესორმა პეტრე მელიქიშვილმა (1850-1927) თავისი ნაშრომებით სახელი გაითქვა მსოფლიოში. 1899 წელს მას მიენიჭა რუსეთის აკადემიის უმაღლესი ჯილდო — ლომონოსოვის სახ. პრემია. გამოჩენილი მეცნიერი იყო პირველი რექტორი 1918 წელს დაარსებული თბილისის უნივერსიტეტისა.

XIX ს. მეორე ნახევარში გაცხოველდა ქართული კულტურის მოღვაწეთა შემოქმედებითი კონტაქტები რუსეთის და საზღვარგარეთის ქვეყნების კულტურულ ძალებთან. საქართველოში ხშირად ჩა-

ოდიოდნენ უცხო ქვეყნების მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწენი, რომელთაც ქართული საზოგადოებრიობა ღირსეულ შეხვედრებს უწყობდა. ქართული კულტურით მოხიბლული უცხოელები თავიანთ ქვეყანაში აქვეყნებდნენ ნაშრომებს, სადაც აღწერდნენ საქართველოს წარსულს და აწმყოს, იჩენდნენ დაინტერესებას ქართული ენის, კულტურის, ტრადიების მიმართ, ქართული კულტურის მონაპოვარს აცნობდნენ თანამემამულეებს. ინგლისელმა მეცნიერმა უ. მორფილმა გამოკვლევები უძღვნა ქართულ ენასა და ლიტერატურას. ინგლისელმა ოლივერ უორდროპმა გამოაქვეყნა თავისი შთაბეჭდილება საქართველოში მოგზაურობის შესახებ. ამ წიგნით დაინტერესებულმა მისმა დამ მარჯორი უორდროპმა შეისწავლა ქართული ენა და ინგლისურად თარგმნა ილია ჭავჭავაძის „განდეგილი", ქართული ზღაპრები და „ვეფხის ტყაოსანი". ქართულ კულტურას თანდათან ეცნობოდნენ საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთში, უნგრეთში, ბულგარეთში.

უცხოეთსა და რუსეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამით თანდათანობით მტკიცდებოდა იმის რწმენა, რომ ძველი და მაღალი ცივილიზაციის მქონე ქართველ ერს ჰქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების უფლება და ხალხის ბრძოლა ამ მიმართულებით იყო სავსებით კანონზომიერი მოვლენა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი III

საქართველო 1900–1917 წლებში.

§ 1 საქართველოს ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა 1900–1917 წლებში.

1. საქართველოს მრეწველობა. XIX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთმა სწრაფი სამრეწველო აღმავლობა განიცადა. მისი ყველა დარგი ამ პერიოდში იმდენად დაწინაურდა, რომ საშინაო ბაზრის მოთხოვნილებას ძირითადად აკმაყოფილებდა. აღმავლობას ტექნიკური პროგრესიც ახლდა. თანდთან იკაფავდა გზას მსხვილი სამანქანო ინდუსტრია. სამრეწველო წარმოებაში აღმავლობის მიუხედავად, რუსეთი მაინც დიდად ჩამორჩებოდა ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს. მაგალითად, ქვანახშირის მოპოვება რუსეთში ოცჯერ მცირე იყო, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, 14-ჯერ მცირე ვიდრე ინგლისში. ასევე დიდი იყო ჩამორჩენა მეტალურგიული მრეწველობის სხვა დარგებშიც. რაც მთავარია, რუსეთი დიდად ჩამორჩებოდა ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლების მხრივ, როგორიცაა მრეწველობის პროდუქციის მოცულობა მოსახლეობის სულადობასთან შეფარდებით.

რუსეთის მრეწველობის განვითარება XX ს. დამდეგიდან შეაფერხა მძიმე სამრეწველო კრიზისმა, რამაც წარმოებათა დიდი ნაწილის მკვეთრი შემცირება გამოიწვია. კრიზისის პერიოდში მიმდინარეობდა წვრილ საწარმოთა ლიკვიდაცია და სამრეწველო კონცენტრაცია. ეს პერიოდი, ამასთან, აღინიშნა, მუშათა კლასის ექსპლუატაციის გაძლიერებით.

რუსეთის სამრეწველო ცხოვრების ახლებური პროცესები გავლენას ახდენდა საქართველოს ეკონომიკაზე, რომელიც კოლონიური ჩაგვრის ვითარებაში მთლიანად საიმპერიო ინტერესებისადმი იყო დაქვემდებარებული. 1900 წელს საქართველოში არსებობდა ქარხ-

ნული ტიპის მხოლოდ 13 საწარმო. 1913—1914 წლებში მათი რაოდენობა 22-მდე გაიზარდა. წვრილ საწარმოთა დიდი ნაწილი კონკურენციას ვერ უძლებდა და იხურებოდა. ახლად შექმნილი საწარმოებანი უპირატესად ადგილობრივ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდნენ. ტექნიკური აღჭურვილობა საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებს უცხოეთიდან და რუსეთიდან შემოქონდათ.

XX ს. დამდეგიდან საქართველოში თვალსაჩინო წინსვლა განიცადა სამთო და მეტალურგიულმა მრეწველობამ. ტყიბულის ქვანახშირის მოპოვებას განაგებდა ფირმა „ნახშირ-ტყიბულის სამთო-სამრეწველო საზოგადოება“, რომელიც რუსეთის ბაზარზე ქვანახშირის მოთხოვნილების შესაბამისად აფართოებდა მოპოვებას. 1900 წელს ტყიბულში მოპოვებულ იქნა 3.875.144 ფუთი ქვანახშირი, 1913 წელს მოპოვება 4.192.886 ფუთამდე გადიდდა. წარმოების ამ დარგში იყო დასაქმებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მიძალებული გაღატაკებული გლეხობა.

მსოფლიო მნიშვნელობის სამრეწველო დარგს წარმოადგენდა საქართველოს მანგანუმი. მართალია 900-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა მისი განვითარებაც შეაფერხა, მაგრამ 1906 წლიდან დაიწყო აღმავლობა. ამ წელს 50 მილ. ფუთი მანგანუმი იქნა მოპოვებული. 1913 წლისათვის მოპოვება 59,1 მილიონ ფუთამდე გაიზარდა. მანგანუმის მრეწველობაში უპირატესად უცხოური კაპიტალი მბრძანებლობდა. 900-იან წლებში პირველობა ამ მხრივ ფრანგულ და ინგლისურ ფირმებს ჰქონდათ, მაგრამ მალე ისინი შეავიწროვეს გერმანულმა ფირმებმა, რომლებმაც აქ დიდძალი კაპიტალი დააბანდეს. რუსული კაპიტალი ამ ფირმებთან კონკურენციას ვერ ახერხებდა, სამაგიეროდ მას უპირატესობა ჰქონდა მანგანუმის ექსპორტის საქმეში. რეპრესიული სატარიფო პოლიტიკის მეშვეობით რუსეთის ხაზინა იღებდა დიდძალ შემოსავალს, ქართველ ხალხს ამ უნიკალური სიმდიდრიდან არაფერი რჩებოდა. საქართველოს გაღატაკებული გლეხობის სასტიკი ექსპლუატაციის ხარჯზე მდიდრდებოდნენ უცხოელი კაპიტალისტები, მდიდრდებოდა რუსეთის ბურჟუაზია.

საქართველოში XX ს. დამდეგიდან სამთო წარმოების ზოგი სხვა დარგიც წინაურდებოდა. მცირე მასშტაბის წარმოებანი ეწეოდნენ რკინის მადნის, ვერცხლის, ტყვიის, ბარიტის, ცეცხლგამძლე თიხის მოპოვებას. აქ ტექნიკა არ გამოიყენებოდა და ყველა სამუშაო ხელით სრულდებოდა. შედარებით მსხვილი საწარმო იყო ალავერდის სპილენძსადნობი ქარხანა, სადაც 1900 წელს მოპოვებული იქნა 537000 ფუთი, ხოლო 1913 წელს 4.500000 ფუთი მადანი. ამ

წელს გამოდნობილი სპილენძის რაოდენობა 3793 ტონას შეადგენდა. ამ ქარხნის პროდუქციაზე მონოპოლია რუსეთის მსხვილ სინდიკატ „მედს“ ჰქონდა დაწესებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა ცალმხრივად ვითარდებოდა. ცარიზმი შეგნებულად კრძალავდა სამანქანო მრეწველობის განვითარებას, რაც მთავარია ქვეყნის დამოუკიდებელი სამრეწველო წინსვლისათვის. გასაქანი ჰქონდა ისეთ წარმოებებს, რომლებიც პირველმოთხოვნილების საგნებს და პროდუქტებს ამზადებდნენ. იქმნებოდა რკინიგზის საჭიროებასთან, ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული სახელოსნოები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ბათუმში ნავთობის გადამამუშავებელ და საექსპორტო ჭურჭლის მწარმოებელ სახელოსნოთა მომრავლება, რამაც ამ ქალაქს სამრეწველო სახე მისცა. აღმავლობას განიცდიდა ხე-ტყის დამამუშავებელი და საშენ მასალათა წარმოებანი, საფეიქრო, ტყავისა და ფეხსაცმლის, თამბაქოს, მინის, საპნის, ზეთსახდელი და სხვა ფაბრიკები, ყველ-კარაქის ქარხნული წარმოება და სხვა. შედარებით მსხვილ წარმოებებში თანდათან იკიდებდა ფეხს ტექნიკა. სამანქანო ტექნიკაზე გადასული ფაბრიკა-ქარხნები შრომის ნაყოფიერებას ზრდიდნენ და მეტოქეობაში ადვილად ამარცხებდნენ წვრილ საწარმოებს. მიმდინარეობდა დამამუშავებელ წარმოებათა თანდათანობით გამსხვილება. აქაც, ისე როგორც მეტროპოლიაში, არსდებოდა სააქციო საზოგადოებანი, რომლებიც ხელთ იგდებდნენ მრეწველობის ამა თუ იმ დარგის მონოპოლიას.

საქართველოს რევოლუციამდელ მრეწველობაში უცხო კაპიტალს მეტი ადგილი ეკავა, ვიდრე რუსეთისას. სამრეწველო ნედლეულით უაღრესად მდიდარი ჩვენი ქვეყანა არ იყო ჩართული იმ სამრეწველო აღმავლობაში, რაც საერთოდ XX ს. დამდეგის მსოფლიოს ახასიათებდა. რუსეთის სამრეწველო ცხოვრების დაბალი დონის გამო რუსეთი ვერ ახერხებდა აეთვისებინა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე. სპილენძი, რკინა, მანგანუმი, ქვანახშირი, ხე-ტყე და სხვა ნედლი მასალა რუსეთის მრეწველებს უკრაინასა და ურალშიც მოეპოვებოდათ. მათს დამუშავებაში აქ დიდ ინტერესს არ იჩენდნენ. ამიტომ საქართველო მრეწველობის განვითარების მხრივ ჩამორჩენილი იყო. მას საწარმოო ძალთა განვითარებისათვის საკუთარი კაპიტალი არ გააჩნდა. რუსეთის მთავრობას, სხვას რომ თავი დავანებოთ, საქართველოში აკრეფილი გადასახადებიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული თანხა საქართველოშივე რომ დაეტოვებინა, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის გასავითარებლად, ესეც საკმარისი იყო, მაგრამ ეს არ ხდებოდა.

საქართველოს მთელი ეკონომიკური ცხოვრება, ისე როგორც საზოგადოებრივი და პოლიტიკური, რუსეთს ეპყრა ხელთ. რუსის მოხელე და რუსული ბიუროკრატიული ადმინისტრაცია იყო ძირითადი განმკარგულებელი ძალა, რომელიც წარმართავდა საქართველოს ეკონომიკურ საქმეებს, კერძოდ — მას მთლიანად ექვემდებარებოდა ფინანსების, ტრანსპორტის, ტარიფების, გადასახადების და ბაჟების სფერო. ადმინისტრაციაში ქართველები არავითარ როლს არ ასრულებდნენ.

2. სოფლის მეურნეობა. საქართველო აგრარული ქვეყანა იყო. მისი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სოფლად ცხოვრობდა და სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული. სოფლის მეურნეობისათვის სავარგული მიწა საქართველოში მცირე იყო და გლეხობა მუდამ განიცდიდა სახნავ-სათესი მიწების სიმცირეს. ამ მხრივ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა იმით, რომ ცარიზმმა მოსავლიან ადგილებში რუსეთიდან და თურქეთიდან გადმოსახლებული არაქართული ეთნიკური ჯგუფები დაასახლა.

XX საუკუნის დასაწყისიდან სოფლის მეურნეობის დარგებში რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია. მოსახლეობა კვლავ მისდევდა მარცვლეულ მეურნეობას, მეცხოველეობას, მევენახეობა-მებაღეობას. განვითარებული იყო აგრეთვე მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოება. აქა-იქ ფეხს იკიდებდა ტექნიკური კულტურების მოყვანაც.

მეურნეობის ამ დარგებიდან მთავარი მაინც მარცვლეული იყო. 1908-10 წლებში 2-3 მილიონი მანეთის სასაქონლო მარცვლეული მოჰყავდათ. თესდნენ ხორბალს, ჭვავს, ქერს, შვრიას, სიმინდს და სხვ. XIX საუკუნეში სიმინდი ისე ჭარბად მოდიოდა, რომ შორეულ ქვეყნებშიაც გაქონდათ. XX საუკუნის დამდეგიდან იმის გამო რომ მოსახლეობა თანდათან მომრავლდა, მარცვლეულის ადგილობრივი მოსავალი აღარ კმაროდა და გარკვეული ოდენობით იგი რუსეთიდან შემოქონდათ.

სოფლის მეურნეობაში კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მევენახეობას. ვაზის მავნე სენის ფილოქსერას გაჩენის გამო XX ს. დამდეგისათვის ვენახების ფართობი შემცირდა, მაგრამ მას შემდეგ, როცა მევენახეებმა აითვისეს ვაზის ამერიკულ საძირეზე დამყნობის და მისი მოვლის ახლებური მეთოდები, ვენახის ფართობმა და მოსავალმა იმატა. 1913 წლისათვის საქართველოს ვენახების ფართობი უდრიდა 25243 დესეტინას. წლიურად გლეხები საშუალოდ აყენებდნენ 10 მილიონ ვედრომდე ღვინოს. აქედან ორი მესამე-

დი რუსეთის ბაზრებზე გადიოდა. 1913 წელს რუსეთში 4.604000 ვედრო ღვინო გაიტანეს.

სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებით მთიან რაიონებში ძნელოვანი ადგილი ეკავა მესაქონლეობას. 1909—1913 წლებში საქართველოში ყოველწლიურად საშუალოდ აღირიცხებოდა 134000 ცხენი, 12668000 ხარ-ძროხა და მათი ნამატი, 178000 კამეჩი, 210000 ღორი, 2.144900 ცხვარი, 2330400 თხა და სხვ. მესაქონლეობის პროდუქცია 12 მილიონ მანეთს აჭარბებდა. მატყლის, ტყავის, რძის პროდუქცია მრავლად გაქონდათ რუსეთის ბაზრებზე. განვითარებული იყო მეფრინველეობა, რომლის საშუალო პროდუქცია 1909-1913 წლებში 4,5 მილიონს აღწევდა.

რუსეთის საფეიქრო წარმოებებში დიდი გასავალი ჰქონდა საქართველოს აბრეშუმს. მეაბრეშუმეობას მისდევდნენ საქართველოს ყველა კუთხეში და იგი ხელსაყრელი დარგი იყო მეურნეთათვის. მოსახლეობას XX ს. ათიან წლებში 60 ათასი ფუთი ნედლი პარკი გამოყავდა. კარგ შემოსავალს იძლეოდა თამბაქო. ყველაზე მეტად მეთამბაქოებას მისდევდნენ შავიზღვისპირა რაიონებში. 1909-1913 წლებში საქართველოში დამზადდა 568641 ფუთი თამბაქო. პროდუქცია რუსეთის და უცხოეთის ბაზრებზე გაქონდათ.

მეხილეობას წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლში. საერთოდ საქართველოში ხილის ბაღებს ეკავა 15000 დესეტინა. ყოველწლიურად 5 მილიონამდე ფუთ ხილს იღებდნენ. მარტო ახალციხის მაზრიდან 1909 წელს 200 ათასი ფუთი ხილი გაიტანეს. ხილის შესყიდვას უპირატესად ეწეოდნენ ვაჭრები, რომლებიც აქედან დიდ მოგებას იძენდნენ.

საქართველოში შესაფერისი ზონების მიხედვით მისდევდნენ მეფუტკრეობას, მებამბეობას. ზღვისპირა ზოლში XX ს. დამდეგიდან გაჩნდა ჩაის პლანტაციებიც.

სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნილების ზრდის შესაბამისად იზრდებოდა მისწრაფება შრომის ნაყოფიერების ამაღლებისაკენ, რაშიც მთავარი როლი ტექნიკას ეკისრებოდა. იზრდებოდა უცხოეთიდან მანქანა-იარაღების იმპორტი, მრავლდებოდა სავაჭრო ფირმები, რომლებსაც რუსეთიდან და უცხოეთიდან შემოქონდათ გაუმჯობესებული მანქანა-იარაღები. შემოდიოდა ქარხნული წარმოების გუთნები, სათესი, სამკელი, ძნასაკონი, სალეწი, სათიბი სანიავებელი ინვენტარი. ზოგ მეურნეობაში ელექტროენგიასაც იყენებდნენ. ტექნიკურ კულტურათა დამუშავებაში ინერგებოდა აგროწესები. ქართველი აგრონომები ზრუნავდნენ ხილის ახალი ჯიშის გამოყვანაზე. 1911 წელს თბილისში გამართულ მეხილეობის

გამოფენა-ბაზრობაზე მოწოდება დაიმსახურა ი. ფურცელაძის, ს. კეცხოველის, ხეთაგურის და სხვა ცნობილ მებაღეთა ექსპონატებმა.

საქართველოს მადლიანი ბუნება, მისი ზომიერი ჰავა, ნოყიერი მინდორ-ველები და ზეგანი, მდინარეთა სიუხვე, ზღვისპირა კლიმატი სოფლის მეურნეობის მრავალდარგოვნობის შესანიშნავ პირობებს ქმნიდა და მას არამარტო საკუთარი მოსახლეობის დაკმაყოფილება შეეძლო სურსათ-სანოვაგითა და სამრეწველო ნედლეულით, არამედ უხვი შემოსავლის მიღება საგარეო ბაზრებიდან. მაგრამ საქართველოს მოსახლეობის ყველაზე დიდი სატკივარი მცირემიწიანობა იყო. მცირემიწიანობა კიდევ უფრო აუტანელი ხდებოდა მკვიდრი მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა და ცარიზმის აქტიური კოლონიზაციის ვითარებაში. მცირემიწიანი გაღატაკებული გლეხობა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდან გასული იყო გარე საშოვარზე. ისინი მოდებული იყვნენ კავკასიის სამრეწველო ცენტრებში, ხშირად შორეულ რუსეთშიც მიემგზავრებოდნენ, რომ „ორიოდ გროში ეშოვათ" და საკუთარი მეურნეობა ფეხზე დაეყენებინათ. ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლება კრძალავდა გლეხთა შინაურ მიგრაციას, რადგან ნაყოფიერი ადგილები კოლონისტებისათვის ჰქონდა განკუთვნილი, არავითარ ხარჯებს არ იღებდა ჭაობების ამოსაშრობად, ურწყავ ადგილებში არხების გასაყვანად.

ამიტომ იყო რომ ქართველ გლეხს მისი თავდაუზოგავი და ტრადიციით მიღებული შრომითი ჩვევების მიუხედავად, უჭირდა ყოველთვის და იგი ბრძოლის წინახაზზე იდგა არსებული რეჟიმის დამხობისათვის ბრძოლაში.

3. ცვლილებანი სოციალურ ურთიერთობებში. საქართველო გლეხური ქვეყანა იყო და ქვეყნის იერ-სახეს ძირითადად იგი განსაზღვრავდა. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან გლეხობაში დაწყებული დიფერენციაციის პროცესი კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების კვალდაკვალ თანდათან ღრმავდებოდა. ჩნდებოდნენ შეძლებული, ბობოლა გლეხები, რომლებიც თავიანთ მამულს და ქონებას სოფლის ღატაკი მოსახლეობის მიწა-წყლის მიტაცების ხარჯზე ზრდიდნენ და თანასოფლელებს ახალ ექსპლუატატორად ე. წ. „სოფლისჭამიებად" ევლინებოდნენ. ეს პროცესი უფრო ინტენსიური იყო აღმოსავლეთ საქართველოში. მაგალითად, ველისციხეში ზოგიერთ ყოფილ გლეხს ათეულობით ჰექტარი ვენახი ჰქონდა და დიდი რაოდენობით სასაქონლო პროდუქციას აწარმოებდა. თავიანთ კაპიტალს სოფლის ეს ბურჟუები აბანდებდნენ წარმოების სფეროშიც, სადაც დაქირავებული შრომა იყო გაბატონებული. სოფელ ყვარელში

მსოფლიო ომის წინ 40-ზე მეტ გლეხს მოჯამაგირეები ჰყავდა. სოფლის ბურჟუაზიის მომრავლება შეიმჩნეოდა კახეთის და ქართლის რიგ სხვა სოფლებშიც. ბობოლა გლეხების გაჩენა დამახასიათებელი იყო მთიანეთში, სადაც ძირითადად მოსაქმეობა მესაქონლეობა იყო. თუშეთში იყვნენ გლეხები, რომელთა ოჯახებს ათასობით სული ცხვარი, ძროხა და ცხენი ყავდათ. თრიალეთში, შირაქსა და აზერბაიჯანში დიდი საძოვრები ჰქონდათ. მათ საქონელს დიდი რაოდენობის დაქირავებული მწყემსები უვლიდნენ. მდიდარ გლეხებს ფშავში ჰქონდათ დიდი მასშტაბის კარგად აწყობილი მეურნეობა, რომელსაც სეზონურად დაქირავებული მუშები ემსახურებოდნენ.

სოფლის ბურჟუაზიის ზრდის პროცესი უფრო ნაკლებ შესამჩნევი იყო დასავლეთ საქართველოში. გამდიდრებული გლეხობა აქ უპირატესად ვაჭრობა-აღებმიცემობაში იყო ჩაბმული. მცირემიწიანი გლეხობა დასავლეთ საქართველოში მთელი გლეხური მოსახლეობის 60-70 პროცენტს შეადგენდა. ოჯახი რომ ერჩინათ, ისინი როგორც წესი, უპირატესად ზამთრობით გარე სამუშაოებზე გადიოდნენ. მათგან ბევრი ჭიათურისა და ტყიბულის მაღაროებში, ბათუმის ნავთის სარეწებში, ფოთის ნავსადგურში ეწყობოდნენ მუშებად და ამრიგად, მუშათა კლასის რიგებს ავსებდნენ. 1910 წლის მონაცემებით რაჭიდან გარესაშოვარზე 14.151 კაცი იყო გასული. ზემო სვანეთიდან — 1600 კაცი. საშოვარზე გასვლის მასობრივი ხასიათი ჰქონდა გურიაში, სამეგრელოსა და იმერეთში.

უმიწაწყლო გლეხი იძულებული ხდებოდა მიემართა მემამულისათვის, და მძიმე საიჯარო პირობებში წარემართა მეურნეობა. იჯარა უპირატესად ნატურალური იყო. გლეხი მიწის მეპატრონეს მოსავლის ნახევარს აძლევდა. მძიმე საიჯარო პირობებს ზედ ერთვოდა სახელმწიფო გადასახადები. მთავრობის მოხელენი სოფლებში თვითნებობდნენ. კანონი და სამართალი კი შეძლებულთა ინტერესებს იცავდა. ორმაგი ჩაგვრა საქართველოს გლეხობას უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის განაწყობდა. სავსებით ბუნებრივია, რომ თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი ასპარეზი საქართველოში სოფელი იყო. მოძრაობის მთავარ შინაარს სწორედ სოციალური, აგრარული საკითხი განსაზღვრავდა.

XX ს. დამდეგიდან საქართველოს სოციალურ ფენათა შორის თავის ხვედრით წილს თანდათან აფართოვებდა მუშათა კლასი. მუშათა რიცხვი იზრდებოდა თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში, ფაბრიკა-ქარხნებსა და მექანიკურ სახელოსნოებში. მათში თავს იყრიდა და ახალ პროფესიას ეუფლებოდა სოფლებიდან მოძალებული გაღატაკებული გლეხობა, რომელთა ნაწილი აქ რჩებოდა საც-

ხოვრებლად და კადრის მუშათა რაოდენობას ზრდიდა. დიდძალი მუშა ხელი იყო დასაქმებული რკინიგზის ტრანსპორტზე, ბათუმის ნავთის სარეწებში, ჭიათურის და ტყიბულის შახტებში, ქუთაისის, სოხუმის და რიგ სამაზრო ქალაქების წვრილ საწამოებში. მუშათა კლასის რიგების ზრდა სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან მოწოლილი უმიწაწყლო გლეხების ხარჯზეც მიმდინარეობდა. XX საუკუნის 10-იან წლებში თბილისის მუშათა კლასი რიცხოვრივად 20 ათასამდე აღწევდა. ეროვნული სიჭრელით ყველაზე მეტად თბილისის მუშათა კლასი ხასიათდებოდა. ჭიათურაში, ტყიბულში, ბათუმის სარეწებში აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდა ქართველობა, რომელიც სოფელთან კავშირს არ წყვეტდა. აქაურ მუშათა განწყობილება უპირატესად გლეხური იყო. ქართულ სინამდვილეში პროლეტარიატი, როგორც კლასი, ჯერ კიდევ საწყის სტადიაში იმყოფებოდა. მუშათა კლასს არ ქონდა ძვალ-რბილში გამჯდარი ის თავისებური ფსიქოლოგია, რითაც ევროპის მსხვილი ქალაქების და პეტერბურგის პროლეტარიატი ხასიათდებოდა. ქართველი სოციალ-დემოკრატების შეცდომა ისიც იყო, რომ საქართველოს მუშათა კლასს ისინი აიგივებდნენ სამრეწველო ქვეყნების კადრის პროლეტარიატთან, მექანიკურად აპირებდნენ მოერგოთ მისთვის მარქსისტული მოძღვრება.

სოციალურ ცვლილებებს განიცდიდა თავად-აზნაურული ფენაც. ძველი ქართველი მიწათმფლობელური არისტოკრატია გაქრობის გზაზე იდგა, მისი პრესტიჟი თანდათან ეცემოდა. XIX—XX საუკუნის პირველ ოცწლეულში ბევრი თავადაზნაურული მეურნეობა გაჩანაგდა, მამული ვალებში გაიყიდა. შესამჩნევი იყო რიგ მემამულურ მეურნეობათა ბურჟუაზიულ ყაიდაზე გარდაქმნის ტენდენციაც. მემამულენი ცდილობდნენ შრომის ნაყოფიერება აემაღლებინათ აგროღონისძიებათა ხარჯზე. მამულებში ისინი საწარმოებსაც ქმნიდნენ. მაგალითად, კარგად აწყობილი მეურნეობა ჰქონდა სოფ. მჭადიჯვარში გიორგი მუხრანბატონს, ქსოვრისში — ი. რატიშვილს, ძმებს სულხანიშვილებს, ბორჩალოს მაზრაში — ძმებს სუმბათაშვილებს; მევენახეობა-მეღვინეობა მაღალ დონეზე ქონდათ დაყენებული მ. ერისთავს, ნ. ერისთავს, ა. ბ. და ი. მაჩაბელებს, ნ. ციციშვილს და სხვებს. დასავლეთ საქართველოში ყველაზე დიდი მეურნეობა იყო სალხინოში, რომელსაც გრ. დადიანის მემკვიდრენი ფლობდნენ. დადიან-მიურატის მეურნეობის გასაფართოებლად 1911 წელს ლონდონში საგანგებო სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაც ჩამოყალიბდა. დადიანების სიძემ მიურატმა სენაკის მაზრაში შეიძინა 20.300 დესეტინა მიწა და დიდძალი

ხალხი დაასაქმა მეურნეობის სხვადასხვა დარგის გასავითარებლად. მისი გეგმები ომის დაწყების გამო ჩაიშალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსხვილ მემამულურ მეურნეობაში თანდათან იკიდებდნენ ფეხს უცხო ელემენტები. მაგალითად, ბორჯომის სახაზინო ძამული, რომელიც 70 ათას დესეტინას უდრიდა, რუსეთის იმპერატორმა საჩუქრად მიართვა მიხეილ რომანოვს. რომანოვთა საგვარეულო მსხვილ მამულებს ფლობდა შავიზღვისპირეთში, გაგრის რაიონში. მსხვილი მეურნეობა გამართეს ნ. იგუმნოვმა, ნ. სრეცკოვმა, პ. ჩიკოვმა; მათს მრავალდარგოვან მეურნეობაში წამყვანი ადგილი ტექნიკურ კულტურებს ეკავა. მსხვილმა კაპიტალისტმა მანთაშევმა თბილისის მაზრაში 5.200 დესეტინა იყიდა და მოაწყო მრავალდარგოვანი მეურნეობა. უცხოელი მწარმოებელნი მომრავლდნენ აგრეთვე ბორჩალოს მაზრაში და მესაქონლეობის სხვა რაიონებშიც. ისინი თანდათან იკიდებდნენ ფეხს საუფლისწულო მსხვილ მეურნეობებშიც, სადაც ყველა სამუშაოს დაქირავებული მუშა-ხელი ასრულებდა.

მემამულეებმა თავიანთი ინტერესების დასაცავად წოდებრივი ორგანიზაციები შექმნეს. თბილისში და ქუთაისში არსებობდნენ თავად-აზნაურთა საგუბერნიო საკრებულოები, რომელთაც დიდი სახსრები ჰქონდათ. თბილისის თავადაზნაურთა საკრებულოს კაპიტალი 1911 წლის მონაცემებით 1,8 მილიონ მანეთს აღემატებოდა. ამ სახსრების დიდი ნაწილი მეურნეობათა ტექნიკური აღჭურვილობისათვის იყო გამოყენებული. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის საკრებულოს თაოსნობით წამოწყებული იქნა თბილისკახეთის რკინიგზის გაყვანის საქმე, რაც 1911—1914 წლებში განხორციელდა.

წოდებრივი ორგანიზაციების დახმარებით აწყობილი მეურნეობანი უპირატესად ბურჟუაზიულ ყიადაზე იყო გამართული და ერთეულებს შეადგენდა. თავადაზნაურული წოდების რღვევის საერთო პროცესი კი გრძელდებოდა. დეგრადაციის პროცესი ინტენსიური იყო წვრილაზნაურულ წრეებშიც. აზნაურთა ქონებრივ გაჩანაგებას მასობრივი ხასიათი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში.

XX საუკუნის დამდეგიდან, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა თანდათანობითი განვითარების გამო, იზრდებოდა საქართველოს ქალაქების მოსახლეობა. სწრაფი ზრდის ტენდენცია ყველაზე მეტად თბილისს და ბათუმს ახასიათებდა. თბილისი ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. აქ განსაკუთრებით იზრდებოდა მომსახურეთა პერსონალი. თბილისი მოფენილი იყო წვრილი ხელოსნური საწარმოებით და მომსახურები

დანიშნულების კერძო დაწესებულებებით. ვაჭრები, ხელოსნები, მომსახურე პერსონალი, — („შუალედური ფენები ანუ ე. წ. „წვრილი ბურჟუაზია") ქალაქის იერ-სახეს განსაზღვრავდა. 1900 წლის მონაცემებით თბილისში არსებობდა 439 სახელოსნო, რომლებშიაც 2-8 კაცამდე იყო დასაქმებული. ასობით კერძო დუქანი და ფარდული მომსახურეობის საქმიანობით იყო დაკავებული. წვრილი სახელოსნოები მრავლად იყო საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში. 1903 წლის აღწერით საქართველოში 4626 ოსტატი, 3952 ქარგალი, 4094 შეგირდია აღრიცხული. საერთოდ ხელოსნობის სხვადასხვა დარგებში 12672 კაცი იყო დასაქმებული. თუ ამას ვაჭრობის დარგის მუშაკებს და მომსახურე პერსონალს დავუმატებთ, გამოვა, რომ საქალაქო ცხოვრებაში წვრილბურჟუაზიული მასა დიდად აღემატებოდა ე. წ. „პროლეტარიატს".

ეს წვრილბურჟუაზიული ფენა სოციალურად მყარი არ ყოფილა, რადგან საფაბრიკო პროდუქციის კონკურენციის შედეგად ქონებრივ გაჩანაგებას განიცდიდა. მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებდა კაპიტალის დაგროვებას და ბურჟუაზიულ ფენაში გადანაცვლებას. უფრო მეტი ნაწილი საერთოდ კოტრდებოდა და ქუჩაში გამოგდებული ე. წ. „ლუმპენის" უსახლკარო და უმუშევართა რიგებს ავსებდა. ამ მუდმივი ცვალებადობის მიუხედავად, წვრილბურჟუაზიული მასა მაინც წამყვანი ძალა იყო ქალაქის ცხოვრებაში და მოსახლეობის რიცხვის ზრდის პროპორციულად მუდმივ შევსება-განახლებას განიცდიდა.

სოციალურად ამ ფენას მიეკუთვნებოდა ინტელიგენციაც, რომელიც საკუთრებას არ ფლობდა და მთლიანად ხელფასზე იყო დამოკიდებული. ინტელიგენციის ძირითადი შემადგენლობა წვრილბურჟუაზიული მასიდან იყო გამოსული და პოლიტიკურად მის სულისკვეთებას ასახავდა. მართალია, ინტელიგენტთა შორის ზოგი თავადაზნაურული გვარისა იყო, მაგრამ ეს ნაწილიც სოციალურად თავის კლასთან აღარ იყო დაკავშირებული, რადგან მიწა-მამულებს აღარ ფლობდა. საქართველოს ინტელიგენცია (მასწავლებლობა, შემოქმედებითი მუშაკები, დაბალი რანგის მოხელეობა) დემოკრატიული სულისკვეთებით იყო განმსჭვალული. თერგდალეულთა იდეოლოგიაზე აღზრდილი, იგი მეტი გაბედულებით ამჟღვანებდა კოლონიური რეჟიმისადმი შეურიგებლობას და სათავეში ედგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

XX საუკუნის დამდეგიდან საქართველოს ქალაქებში თანდათან იზრდებოდა გავლენა ბურჟუაზიისა. ქონებრივი ცენზის გამო საქალაქო ცხოვრებაში იგი თანდათანობით გაბატონებულ მდგომარეო-

ბას იკავებდა. მაგრამ ბურჟუაზიულ ფენაში მეტად მცირე იყო ქართული ელემენტი. ამ წრეში დიდი უპირატესობა სომხობას ეკავა. უცხოური კაპიტალის გაბატონება ქალაქად და მისი თანდათანობითი შეჭრა სოფლებში საქართველოს ეკონომიკური დაკაბალების საფრთხეს ქმნიდა. ქართული წრეებიდან წამოზრდილი მრეწველ-კაპიტალისტები ებრძოდნენ უცხოური კაპიტალის მოძალებას და ამ ბრძოლაში დასახმარებლად მთელ ერს მოუწოდებდნენ. ქართველი მრეწველების დავით სარაჯიშვილის, ი. ს. და პ. ზუბალაშვილების, ა. ხოშტარიას და სხვათა საქმიანობა ობიექტურად ეროვნული შინაარსისა იყო და ეროვნული ეკონომიკის მომძლავრებას ემსახურებოდა. ქართველი მრეწველები ამასთან მეცენატეებიც იყვნენ. მოგების დიდ ნაწილს ეროვნული ღონისძიებების გაფართოვებას, ქართველი ინტელიგენციის კადრების აღზრდას ახმარდნენ. ქართველი ბურჟუაზიის ბრძოლა ბაზრის დაუფლებისათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას აძლიერებდა. ამ ტენდენციას თანაუგრძნობდნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, არჩილ ჯორჯაძე და სხვები. ქართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის, განსაკუთრებით მისი ბოლშევიკური ფრთის მავნე პოზიცია ისიც იყო, რომ მან ახლად ფეხადგმული ქართული ბურჟუაზია მტრულ ძალად გამოაცხადა და კლასობრივი ბრძოლის იდეოლოგიიდან გამომდინარე შეეცადა მისთვის მშრომელი მოსახლეობა დაეპირისპირებინა.

§ 2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა 1900—1904 წლებში

1. მუშათა მოძრაობა. XX საუკუნის დამდეგიდან მუშათა მოძრაობა მთელს რუსეთში აღმავლობით ხასიათდებოდა, გახშირდა გაფიცვები და პოლიტიკური დემონსტრაციები. მუშათა ორგანიზებულ გამოსვლებში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი როლი იგრძნობოდა.

მუშათა მოძრაობის პოლიტიკურმა მიდრეკილებამ თავი იჩინა საქართველოშიც. 1900 წლის აგვისტოში თბილისის რკინიგზის მუშათა რიცხვმრავალმა გაფიცვამ ბიძგი მისცა მომდევნო წლების მძლავრ საპროტესტო გამოსვლებს. თბილისელმა მუშებმა დიდი პოლიტიკური დემონსტრაციით აღნიშნეს 1901 წლის მაისი. ამ წლის 18 აპრილს (ძველი სტილით) თბილისის „სალდათის ბაზართან“ საგანგებოდ მოიყარეს თავი სხვა და სხვა ფაბრიკა-ქარხნებიდან მოსულმა მუშებმა; მათ სურდათ მიტინგის ჩატარება, მაგრამ

პოლიციამ არ დართო ნება. მაშინ დემონსტრანტთა დიდი ტალღა, 2000 კაცის რაოდენობით დაიძრა ცენტრალური ქუჩისაკენ. ალექსანდრეს ბაღთან დემონსტრანტებს ცხენოსანი ჯარი და პოლიცია გადაეღობა. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. დემონსტრანტი მუშები გარეკეს, მოთავენი დააპატიმრეს. თბილისის მაისობას მთელს რუსეთში დიდი რეზონანსი ჰქონდა. გაზეთმა „ისკრამ" ეს მოძრაობა შეაფასა როგორც ღირსშესანიშნავი მოვლენა მთელი კავკასიისათვის.

მუშათა ორგანიზებულ ბრძოლას არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ხელმძღვანელობდნენ სოციალ-დემოკრატიული წრეები. 1901 წლის ნოემბერში ამ წრეების ორგანიზაციული გაერთიანება მოხდა და ჩამოყალიბდა რსდმპ თბილისის კომიტეტი. კომიტეტის პოლიტიკური საქმიანობის გააქტიურებას ხელს უწყობდა გაზეთი „ბრძოლა", რომლის არალეგალური გამოცემა დაიწყო 1900 წლიდან. ეს გაზეთი სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე (ლენინურ-ისკრული) მიმართულებას იცავდა. იგი არ სცნობდა საქართველოს რევოლუციური მოძრაობის დამოუკიდებელ ხასიათს და მას სარუსეთო მუშათა მოძრაობის შემადგენელ ნაწილად თვლიდა.

სოციალ-დემოკრატიული წრეები ამ დროს არსებობდა ბათუმის ნავთის სარეწებშიც. 1901 წლის დეკემბერში ეს წრეებიც ორგანიზაციულად გაერთიანდნენ და შექმნეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტი. ამ კომიტეტის ხელმძღვანელობით ბათუმის მანთაშევის და როტშილდის ქარხნებში მოეწყო გაფიცვა. მთავრობამ მკაცრი ზომები მიიღო და საწარმოებიდან ასობით მუშა დაითხოვა, რასაც მოჰყვა მუშათა საპროტესტო გამოსვლები. ჟანდარმერიამ დააპატიმრა გაფიცვის მოთავენი. პროტესტის ნიშნად 1902 წლის 9 მარტს მოეწყო საპროტესტო დემონსტრაცია. მეორე დღეს დემონსტრაცია უფრო ხალხმრავალი გახდა. დემონსტრანტები შემოერტყნენ საპატიმროს და მოითხოვეს დატუსაღებულთა გათავისუფლება. მთავრობამ ჯარის ნაწილები გამოიყვანა. სისხლისმღვრელ შეტაკებაში მოკლეს 14 მუშა, დაჭრეს 50. მოკლულთა დაკრძალვის დღე პროტესტის ახალ გამოვლინებათ იქცა. ბათუმის მუშათა თებერვალ-მარტის მღელვარებებს სოციალ-დემოკრატების ბათუმის კომიტეტი ხელმძღვანელობდა.

ბათუმის ამბები გახმაურდა მთელს საქართველოში. 1903 წელს მოძრაობის ახალი ტალღა აზვირთდა ამიერკავკასიაში, პოლიტიკური გაფიცვები გაჩაღდა ბაქოს ნავთობის სარეწებში, ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოებში; ხაშურელ რკინიგზელთა მღელვარებას

მსხვერპლიც მოჰყვა, რამაც ჭიათურასა და ბათუმში ახალი მღელვარებები გამოიწვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის ხელისუფლება მკაცრ ღონისძიებებს იღებდა ამ მოელვარებათა წინააღმდეგ. ჟანდარმერიამ დააპატიმრა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

2. აგრარული მოძრაობა. საქართველოს გლეხობა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მედგრად იბრძოდა XIX საუკუნეში. XX საუკუნის დამდეგიდან ეს ბრძოლა უფრო მასობრივი და ორგანიზებული გახდა, რაც ერთის მხრივ კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებამ, მეორეს მხრივ პოლიტიკურ პარტიათა დამრაზმველმა მუშაობამ შეაპირობა. აგრარულ მოძრაობას ყველაზე ძლიერი ხასიათი ჰქონდა გურიაში. გურული გლეხების რევოლუციურ აქტივობაში დიდ როლს ასრულებდნენ ბათუმის საწარმოებიდან გაფიცვაში მონაწილეობისათვის დათხოვილი მუშები, რომლებიც თავიანთ სოფლებს დაუბრუნდნენ და იქ რევოლუციური განწყობილება შეიტანეს.

1902 წლის მაისში სოფ. ნიგოეთის გლეხობა აუჯანყდა მემამულე მაჭუტაძეებს, რომლებიც მათ ბეგრავდნენ მძიმე გადასახადებით. ნიგოეთელებს მეზობელი სოფლის გლეხებიც შეუერთდნენ. აჯანყების ტალღა მთელ გურიას მოედო. ყველგან იმართებოდა კრებები, სადაც იხილავდნენ მემამულეებისა და ხელისუფლებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. მოთხოვნათა შინაარსი ყველგან ერთგვარი იყო: მიწათსარგებლობის საიჯარო ფასის შემცირება, ტყეებზე და საძოვრებზე გადასახადების გაუქმება, საეკლესიო გადასახადების მოსპობა, სასოფლო და სათემო ხელისუფალთა თვითნებობის ალაგმვა და სხვ. ამ შეკრებებში აქტიურ როლს ასრულებდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროპაგანდისტები. ისინი ცდილობდნენ მოძრაობისათვის მიეცათ პოლიტიკური მიმართულება, ე. ი. წინა პლანზე წამოეწიათ არა ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნები, არამედ პოლიტიკური. მოეთხოვათ ცარისტული რეჟიმის დამხობა.

აჯანყებულები ბოიკოტსაც მიმართავდნენ. ისინი მემამულეებს, სამღვდელოებას გადასახადებს არ უხდიდნენ: მთავრობის მოხელეებს არ ემორჩილებოდნენ და თავიანთი წრიდან არჩეული თავკაცების განკარგულებებს ასრულებდნენ. მთელ გურიაში ხელისუფლება პარალიზებული აღმოჩნდა.

გურიის მემამულეებმა დახმარებისათვის მთავრობას მიმართეს. თავადები გურიელი და ნაკაშიძე ქუთაისის გუბერნატორს სამხედრო ძალების მოშველიებას თხოვდნენ. მოსალოდნელი რეპრესიების წინააღმდეგ აჯანყებულებმა შექმნეს შეიარაღებული რაზმები,

რომლებიც ზოგან 500 კაცამდე აღწევდა. რაზმეულთა აქტივისტები ტერორსაც მიმართავდნენ. წითელმა ტერორისტებმა გურიელი და ნაკაშიძე მოჰკლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგუბერნიო მმართველობა შეეცადა გურიის გლეხთა მასობრივი მღელვარება მოლაპარაკებით დაეშოშმინებინა. გურიას ეწვია ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი სმაგინი, რომელიც სოფლებში გამართულ კრებებზე გამოდიოდა და გლეხებს მორჩილებისაკენ მოუწოდებდა. ამ შეკრებებზე გუბერნატორს გლეხებმა აუწერეს თავიანთი აუტანელი მდგომარეობა და ერთსულოვანი უარი განუცხადეს ბრძოლის შეწყვეტაზე მანამ, ვიდრე მთავრობა მათ მოთხოვნილებებს არ დააკმაყოფილებდა.

მშვიდობიანი მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ კავკასიის მთავარმართებლობის განკარგულებით გურიაში შეიყვანეს სამხედრო ნაწილები. გამოცხადდა სამხედრო წესები. სოფლებში ეკზეკუციები ჩააყენეს. დაპატიმრებულ იქნა მღელვარების 250 მონაწილე. მკაცრი რეპრესიების გამო მღელვარება დროებით შეწყდა, მაგრამ გლეხთა საბრძოლო სულისკვეთება არ ჩამქრალა და იგი გაძლიერდა კიდეც, რაც შემდგომი უფრო ორგანიზებული გამოსვლების წინაპირობას ქმნიდა.

აგრარული მოძრაობა 1902—1903 წლებში აღმოსავლეთ საქართველოშიც გაძლიერდა. 1902 წ. აპრილში გორის მაზრის სოფელ კარალეთის გლეხებმა საძოვრების გამო შეუტიეს მემამულე ერისთავს. ერისთავმა დახმარებისათვის მაზრის უფროსს მიმართა და საძოვართა დასაცავად პოლიცია მოიშველია. კარალეთელებს მეზობელი სოფლის გლეხებიც მიეშველნენ. გლეხთა 500 კაციანი რაზმი გაემართა მაზრის უფროსთან, ხოლო იქიდან თბილისში მთავარმართებელთან მოსალაპარაკებლად. გლეხებმა ნაწილობრივ გამარჯვება მოიპოვეს.

ამავე პერიოდში გამოსვლები ზედიზედ ხდებოდა ქართლის და კახეთის რაიონებში. ქართლში განსაკუთრებით შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა გლეხთა ბრძოლას მემამულე ამილახვართა წინააღმდეგ. ამ გვარში თავისი სისასტიკით გამოირჩეოდა გიორგი ამილახვარი. მას დაქირავებული რაზმი ჰყავდა და მისი საშუალებით უსწორებდა ანგარიშს ურჩ გლეხებს. კასპელი და ბოლნისელი გლეხობა საერთოდ აღსდგა მემამულეების წინააღმდეგ. კახეთის გლეხები ებრძოდნენ არა მარტო მიწათმფლობელებს, არამედ სომეხ სოვდაგრებს, რომლებიც მათ უმოწყალოდ ყვლეფდნენ.

აგრარულ მოძრაობას ზედ დაერთო ქართველი ახალგაზრდების ბრძოლა მეფის არმიაში სამსახურის წინააღმდეგ. ისინი უარს

ამბობდნენ ემსახურათ არმიაში რუსეთის შორეულ გუბერნიებში, ბათუმში, ჩოხატაურში, ლანჩხუთში, სიღნაღში წვევამდელები მართავდნენ დემონსტრაციებს. ბათუმელმა დემონსტრანტებმა გამოიტანეს ლოზუნგები „ძირს მეფე", „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას".

1902-1904 წლების აგრარულ მოძრაობათა ხასიათი იმის მოწმობა იყო, რომ საქართველოს გლეხობა აღსდგა და იგი უფრო ღრმა, ორგანიზებული და მასობრივი ბრძოლებისათვის ემზადებოდა.

3. სოციალ-დემოკრატიული პარტია. (მენშევიზმი, ბოლშევიზმი) რუსეთის სოციალ-დემოკრატიული წრეების ერთ მუშათა პარტიად გაერთიანების პირველი ცდა იყო 1898 წელს, როცა „პეტერბურგის მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" ინიციატივით მოწვეულ იქნა რსდმპ პირველი ყრილობა. ამ ყრილობამ გამოაცხადა ერთიანი მარქსისტული პარტიის შექმნა. მას ეწოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (რსდმპ). მისი ადგილობრივი კომიტეტების იდეური და ორგანიზაციული გათიშულობის გამო რსდმპ-ს საქმიანობას წარმატება არ ჰქონია.

1903 წ. ივლის-აგვისტოში ჩატარდა რსდმპ მეორე ყრილობა. ამ ყრილობაზე რსდმპ წესდებისა და პროგრამის საკითხებზე ლენინისა და პლეხანოვის დაჯგუფებათა შორის მწვავე იდეური ბრძოლა გაჩაღდა. ვ. ლენინის მომხრეებს, რომლებმაც პარტიის ცენტრალურ ორგანოებში არჩევნებისას მიიღეს ხმების უმრავლესობა, ეწოდათ ბოლშევიკები, უმცირესობას — მენშევიკები. ასე იყო რუსეთში. საქართველოში კი „ბოლშევიკებს" მუდამ ჭარბობდნენ „მენშევიკები".

ამიერკავკასიიდან მეორე ყრილობას ესწრებოდნენ ნ. ჟორდანია, დ. თოფურიძე და ა. ზურაბოვი. ნ. ჟორდანიას საქართველოში მარქსიზმის პროპაგანდის დიდი სტაჟი ჰქონდა. იგი რუსეთის მარქსისტულ წრეებშიც ცნობილი იყო. ამიერიდან მას ხვდა წილად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის მესვეურობა.

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები გაერთიანდნენ ჯერ კიდევ რსდმპ მეორე ყრილობის მოწვევამდე და შექმნეს რსდმპ კავკასიის კავშირი, რომელიც ძირითადად ლენინურ-ისკრულ პროგრამას იზიარებდა. ერთსულოვნება არც ქართველ სოციალ-დემოკრატთა შორის იყო. კომიტეტის ძირითადი შემადგენლობა მხარს უჭერდა ლენინურ-ისკრულ ხაზს. საბოლოოდ იგი ჩამოყალიბდა ბოლშევიკურ მიმართულებად, რომელსაც სათავეში ედგნენ მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ი. სტალინი, ალ. წულუკიძე და სხვები. რუსეთის ბოლშევიზმი თავისთავს მარქსისტული მოძღვრების ერთ-

ადერთ ჭეშმარიტ მემკვიდრედ აღიარებდა. მას მიაჩნდა, რომ მსოფლიო შესული იყო კაპიტალიზმის უმაღლეს ანუ ე. წ. იმპერიალიზმის სტადიაში, რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა რუსეთი ევროპა მოინაცვლა და რუსეთის მუშათა კლასს, გლეხობასთან კავშირში, ეკისრებოდა მემამულურ-კაპიტალისტური რეჟიმის დამხობის ამოცანა. რევოულციის გამარჯვების შემდეგ უნდა დამყარებულიყო პროლეტარიატის დიქტატურა, რუსეთიდან რევოლუცია გავრცელდებოდა მთელს მსოფლიოში და მის წარმატებას მოჰყვებოდა სოციალიზმის საყოველთაო გამარჯვება.

ქართველი ბოლშევიკები მექანიკურად მიჰყვებოდნენ რუსული ბოლშევიზმის ხაზს. მათ მიაჩნდათ, რომ კაპიტალიზმი საქართველოშიც „ლპობის“ სტადიაში იმყოფებოდა და მუშათა კლასი სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში აქაც ავანგარდი უნდა ყოფილიყო.

ქართველი სოციალ-დემოკრატები დაუპირისპირდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ადრინდელ ტრადიციებს. ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა მათ მემამულური კლასის ინტერესების დამცველად და ნაციონალისტებად გამოაცხადეს. ილიასთან იდეურ ბრძოლაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ნ. ჟორდანია და ფ. მახარაძე. სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების მიხედვით ეროვნული საკითხი კლასობრივს ექვემდებარებოდა. აქედან გამომდინარე საქართველოსა და რუსეთის მშრომელ მასებს უნდა ჰქონოდათ ერთი საბრძოლო ამოცანა. კლასობრივი ბრძოლის უმაღლეს პრინციპად აღიარებით სოციალ-დემოკრატებს გათიშვა შექონდათ ეროვნულ ფრონტის მთლიანობაში. ამდენად ისინი ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში ნეგატიურ როლს ასრულებდნენ. მათი თეორია და პრაქტიკული საქმიანობა აქეზებდა და აღრმავებდა საქართველოს სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების დაპირისპირებას.

იდეური და ორგანიზაციული ბრძოლა ქართველ მენშევიკ და ბოლშევიკ ლიდერთა შორის უფრო აქტიურად 1905 წლიდან გაჩაღდა. ეს დაპირისპირება ჯერ კიდევ ნაკლებად იგრძნობოდა სოციალ-დემოკრატიულ პირველად ორგანიზაციებში. სოციალ-დემოკრატიული ორიენტაციის მასა 1900—1917 წლებში ძირითადად ერთიანი საბრძოლო დროშით გამოდიოდა. გლეხურ მოსახლეობაზე ამ პარტიის ზეგავლენა სოციალური რადიკალიზმით იყო შეპირობებული. სოციალ-დემოკრატებმა, ვიდრე სხვა პარტიებმა, უკეთ აუღეს ალღო ორმაგი ჩაგვრის ქვეშ მყოფი გლეხური მასების განწყობილებას, მაგრამ მათი სოციალური პროგრამა რუსულ კალკებზე იყო

აგებული და საქართველოს რეალურ ვითარებას, მის სპეციფიკას ნაკლებად ითვალისწინებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ჩამოყალიბება. 900-იანი წლების დამდეგიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში თავი იჩინა ახალმა თაობამ. ამ მიმდინარეობაში მესვეურის როლი არჩილ ჯორჯაძემ დაიკავა.

არჩილ ჯორჯაძე (1872–1913) სწავლობდა ჯერ პეტერბურგში, შემდეგ ვარშავის უნივერსიტეტში. სტუდენტობის წლებში იყო საქართველოს „თავისუფალი ლიგის" წევრი. ვარშავიდან ცოდნის გასაღრმავებლად ევროპაში გაემგზავრა. 900-იან წლებში საზღვარგარეთიდან საქართველოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ღრმა ფილოსოფიური, იურიდიული და ისტორიული ცოდნა ა. ჯორჯაძეს შესაძლებლობას აძლევდა კრიტიკულად შეეფასებინა საქართველოს წარსული, აწმყო და მის წინაშე მდგარი სამომავლო ამოცანები. მან გაიზიარა თერგდალეულთა მიმართულება. ა. ჯორჯაძე ქართველ ინტელიგენციას მიზნად უსახავდა ერის ეკონომიკურ და სულიერ აღორძინებას. მისი ღრმა რწმენით ყველა საზოგადოებრივ ფენას ეროვნული სუვერენიტეტის მოსაპოვებლად უნდა მოენახა „საერთო ნიადაგი", შეექმნა ერთიანი ფრონტი. „საქართველო იმ ხანაში ჩადგა, როდესაც საზოგადოების და ხალხის დაყოფა და დაქუცმაცება კი არ გვესაჭიროება, არამედ იმისი გამრთელება" — აღნიშნავდა იგი. „საერთო მოქმედების" ნიადაგი საჭირო იყო ისეთი პრობლემების გადასაწყვეტად, როგორიც იყო ქართული ენის დაცვა, ქართული ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება და ეროვნული მეურნეობის ქართველთა ხელში შენარჩუნება.

ქართველი ერის ძირითად პოლიტიკურ ამოცანად ა. ჯორჯაძე აღიარებდა სუვერენიტეტის აღდგენას 1783 წ. ტრაქტატის ფარგლებში. ეროვნული ავტონომია, რომელიც ცარიზმის დამხობის შემდეგ უნდა მისცემოდა საქართველოს, მას წარმოუდგებოდა როგორც თანასწორუფლებიანი და ნებაყოფლობითი გაერთიანება რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, ეროვნული სუვერენიტეტის შენარჩუნებით.

ა. ჯორჯაძე რწმენით სოციალისტი იყო, მაგრამ მომავალი მას სწამდა არა როგორც ერთი კლასის დიქტატურა, არამედ როგორც საყოველთაო სამართლიანობის საზოგადოება. სჯეროდა, რომ საშინაო საკითხებში დამოუკიდებელი საქართველო სოციალურ საკითხებსაც გადაწყვეტდა: მუშებს დაუწესებდა 8 საათიან სამუშაო დღეს, შეზღუდავდა ექსპლუატაციას მწარმოებელთა მხრივ, განახორციელებდა მიწის სოციალიზაციას და სხვ.

ა. ჯორჯაძე აქტიურად ეხმაურებოდა იმ დროის მწვავე სახოგადოებრივ-პოლიტიკურ პრობლემებს. ამასთან ერთად საქართველოს ისტორიულ წარსულზე ქმნიდა შესანიშნავ მეცნიერულ-გამოკვლევებს. დიდია მისი დამსახურება XIX ს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის შესწავლაში. საგანგებო ნარკვევები უძღვნა დიმიტრი ყიფიანს, ილია ჭავჭავაძეს; სწორედ ეს ორი პიროვნება იყო მისთვის მთავარი ნიშანსვეტი XIX ს. აზროვნებისა და ეროვნული მოღვაწეობისა.

ა. ჯორჯაძის გარშემო შემოიკრიბა საზოგადო მოღვაწეთა ფართო წრე, რომელშიაც შედიოდნენ კიტა აბაშიძე, გიორგი ლასხიშვილი, შალვა ბილანიშვილი, სამსონ ფირცხალავა, თედო სახოკია, გრიგოლ რცხილაძე, ვალერიან გუნია, ილია აღლაძე, ანდრია და გიორგი დეკანოზიშვილები და სხვები. მათი ბეჭდვითი ორგანო გახდა გაზ. „ცნობის ფურცელი", რომელსაც ჯერ ვ. გუნია, შემდეგ ა. ჭყონია რედაქტორობდა. ამ წრეში თანდათან მომწიფდა აზრი ცალკე პარტიის ჩამოყალიბების შესახებ. დაიწყო სახსრების შეგროვება, პარტიის პროგრამის ძირითად დებულებათა პროპაგანდა. არჩეულ იქნა პარტიის ხელმძღვანელი ბირთვი, რომელშიაც შევიდნენ ა. ჯორჯაძე, ა. დეკანოზიშვილი, გ. ლასხიშვილი. საორგანიზაციო კომიტეტმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო დაეარსებია საზღვარგარეთ და არალეგალურად გაევრცელებინა საქართველოში. 1903 წ. პარიზში დაიწყო გაზ. „საქართველოს" გამოცემა ქართულ და ფრანგულ ენებზე. გაზეთი აშუქებდა იმდროისათვის მომწიფებულ ეროვნულ და სოციალურ პრობლემებს, ეწეოდა ფართო ეროვნული ავტონომიის პროპაგანდას.

1904 წლის აპრილის დამდეგს ახალი პარტიის საორგანიზაციო კომიტეტმა ჟენევაში ჩაატარა იდეურ თანამოაზრეთა კონფერენცია, რომელსაც 21 დელეგატი ესწრებოდა. კონფერენციაზე ეროვნული საკითხის ირგვლივ ცხარე კამათი გაიმართა. ერთი ჯგუფი იცავდა საქართველოს სრული დამოუკიდებლობის თვალსაზრისს, მეორე — ავტონომიასა და ფედერაციას. უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მეორე პოზიციას. კონფერენციამ ახალი პარტიის შექმნა აღიარა ოფიციალურად. ეს პარტია ისტორიაში შევიდა სოციალისტ-ფედერალისტების სახელწოდებით. ახალმა პარტიამ ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის ფართო წრე მიიზიდა.

ჟენევის კონფერენციას ესწრებოდნენ ქართველ სოციალ-დემოკრატთა და ანარქისტთა წარმომადგენლებიც. პროგრამულ საკითხებზე უთანხმოების გამო სოციალ-დემოკრატებმა მეორე დღესვე მიატოვეს კონფერენცია. ქართულ პრესაში სოციალ-დემოკრატებმა

ჟენევის კონფერენციის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღეს. სოციალისტ-ფედერალისტებს ისინი ნაციონალისტებად, საქართველოს მშრომელი მასების მტრულ პარტიად ითვლიდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ ი. სტალინი, ფ. ძახარაძე, ნ. ჟორდანია. გაზ. „ბრძოლაში" დაიბეჭდა ი. სტალინის სტატია „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი". ამ სტატიაში ყველა მიმართულება, რომელიც სოციალ-დემოკრატიის პოზიციას არ იზიარებდა, პროლეტარიატის მტრულ ძალად იყო მონათლული და განვითარებული იყო ეროვნული ნაჰილიზმის იდეოლოგია.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ასპარეზზე გამოსვლა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა. ეს პარტია ძირითად დებულებებში თერგდალეულთა პოზიციას აგრძელებდა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობისათვის იყო მოწოდებული. ამ პარტიის რიგებშივე მოუმზადდა საფუძველი ეროვნულ-დემოკრტიულ პარტიას, რომელიც შემდგომში გაფორმდა დამოუკიდებელ მიმართულებად.

5. ანარქისტული მიმდინარეობა. XX საუკუნის დამდეგისათვის საქართველო საზოგადოებრივი აზროვნების დიდი გაცხოველებით ხასიათდებოდა. ზემოთმითითებულ პოლიტიკური პარტიების გარდა თავს იჩენდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობანი, რომელთა რიცხვი ორ ათეულს აღწევდა. ეს მიმდინარეობანი მსოფლიო საზოგადოებრივ პოლიტიკური პროცესების ფონზე საქართველოს მომავალ ბედ-იღბალსაც თავისებურად წარმოიდგენდნენ. ერთერთი ასეთი ძლიერი მიმდინარეობა იყო ანარქიზმი.

ანარქიზმი, როგორც პოლიტიკური მოძღვრება XIX ს. 40-იანი წლების ევროპაში აღმოცენდა. იგი უარყოფდა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ყველა ფორმას, ქადაგებდა პიროვნების აბსოლუტურ თავისუფლებას, ადამიანთა საზოგადოების ეკონომიკურ საფუძვლად მიიჩნევდა კერძო საკუთრებას და სხვ. ევროპული ანარქიზმის იდეოლოგები იყვნენ მ. შტირნერი, პ. პრუდონი, პ. კროპოტკინი და სხვ. ისინი მეთოდურად ებრძოდნენ მარქსიზმს. ანარქიზმის მიმდინარეობამ რუსეთში თავი იჩინა XIX ს. 60-70-იანი წლების მიჯნაზე. მისი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო მ. ბაკუნინი, რომელმაც ანარქიზმის საერთაშორისო ლიდერის აღიარება პოვა. ბაკუნინი იდეურად ებრძოდა მარქსიზმს და მის მიმდევრებს რუსეთში.

ანარქისტულ მიმდინარეობას მიმდევრები XIX-XX სს. მიჯნაზე

გამოუჩნდნენ საქართველოშიც. ქართველი ანარქისტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ვარლამ ჩერქეზიშვილის, მიხეილ წერეთლის, შალვა და კომანდო გოგელიების მოღვაწეობა.

ვ ა რ ლ ა მ ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი (1846—1925) საერთაშორისო დონის რევოლუციური მოღვაწე იყო. სტუდენტობისას ჯერ ნ. იშუტინის, შემდეგ ს. ნეჩაევის საიდუმლო ორგანიზაციებში მოღვაწეობდა, გადასახლების შემდეგ ევროპაში გაიქცა და ბაკუნინთან და პ. კროპოტკინთან ერთად ეწეოდა ანარქისტული იდეების პროპაგანდას. 1896 წ. ფრანგულ ენაზე გამოსცა წიგნი „ფურცლები სოციალიზმის ისტორიიდან". 900-იანი წლების დამდეგიდან აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ქართველ რევოლუციონერთა 1904 წ. ჟენევის კონფერენციაზე გამოვიდა მოხსენებით აგრარულ საკითხზე. ვ. ჩერქეზიშვილი მხურვალედ იცავდა საქართველოს ავტონომიის პრინციპს, იბრძოდა რუსეთის კოლონიური უღლისაგან საქართველოს განთავისუფლებისა და რუსეთს-საქართველოს 1783 წ. ხელშეკრულების აღდგენისათვის.

მ ი ხ ე ი ლ გ ი ო რ გ ი ს ძ ე წ ე რ ე თ ე ლ ი (1878—1965) თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი იყო (ორიენტალისტი, ქართველოლოგი). რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება კიევში სტუდენტობის დროიდან. შემდეგ სწავლობდა პარიზში, საიდანაც 1901 წ. გაასახლეს ანარქისტულ დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის. 1905—1907 წლებში საქართველოში მოღვაწეობდა. ხშირად გამოდიოდა პუბლიცისტური წერილებით „ალაროდიელის" და „ბატონის" (ფრანგულად ხელჯოხი) ფსევდონიმით. სტატიებში აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიციას და იცავდა ანარქისტულ შეხედულებებს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ილია ჭავჭავაძის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში დაუნდობლად ამხილა ნიჰილიზმი, რამაც შეაპირობა ეროვნული მოძღვარის ვერაგული მკვლელობა. ქართული პუბლიცისტიკისა და სამეცნიერო აზრის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მ. წერეთლის მონოგრაფიული ნარკვევი „ერი და კაცობრიობა", რომელიც 1910 წელს გამოიცა. მ. წერეთლის ანარქისტული შეხედულებანი ეროვნულ პოზიციას ეფუძნებოდა. შემდგომში იგი თანდათან გათავისუფლდა ანარქიზმის თეორიული კოსმოპოლიტური წანამძღვრებიდან და ილია ჭავჭავაძის ეროვნული პოზიციის მხურვალე დამცველი გახდა.

ვ. ჩერქეზიშვილისა და მ. წერეთლისაგან განსხვავებით ქართველ ანარქისტთა ერთი ჯგუფი კოსმოპოლიტიზმის პოზიციაზე იდგა.

შალვა და კომანდო გოგელიების რწმენით სახელმწიფოს ლიკვიდაცია თავისთავად მოხსნიდა ეროვნულ საკითხს.

ქართველი ანარქისტები, ისე როგორც მათი იდეური თანამოაზრენი ევროპასა და რუსეთში, ესწრაფვოდნენ დაემყარებინათ ანარქისტული კომუნიზმი. მათ იდეალს წარმოადგენდა „თავისუფალი ადამიანი თავისუფალ კომუნაში, თავისუფალი კომუნა თავისუფალ ფედერაციაში, ფედერაციათა ძმური კავშირი მთელს დედამიწაზე“.

ევროპელ და რუს ანარქისტებისაგან განსხვავებით ქართველ ანარქისტთა წამყვანი ჯგუფის საქმიანობაში ძირითადი მაინც ეროვნული საკითხი იყო. სახელმწიფოებრიობის აღდგენას ქართულ სინამდვილეში ისინი გადამწყვეტ როლს ანიჭებდნენ. პრაქტიკულ მოღვაწეობაში ანარქისტები ყველაზე ახლო იყვნენ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან. ქართველ ანარქისტთა შეხედულებებში შეინიშნება უტოპიურობის, წინააღმდეგობრიობის ელემენტები, მაგრამ იგი განმსჭვალულია ჰუმანიზმის პრინციპით და ქართველი ერისადმი თავდადების სულისკვეთებით.

6. ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერები (ესერები). XX ს. დამდეგს რუსეთში შეიქმნა სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტია, რომელიც უმთავრესად აერთიანებდა ნაროდნიკული მოძრაობის ადრინდელ მიმდევრებს. იგი ასახავდა რუსეთის გლეხური მოსახლეობის ინტერესებს. პარტია უარყოფდა დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ხელმძღვანელ როლს. მისი პროგრამა ითვალისწინებდა რუსეთის დემოკრატულ გადახალისებას, აგრარულ სფეროში მიწების „სოციალიზაციას“, ესე იგი გადაცემას თემებისათვის, სადაც მისი სამართლიანი გადანაწილება უნდა მომხდარიყო. ესერულ პარტიას რუსეთში სათავეში ედგნენ ვ. ჩერნოვი, ნ. აქვსენტიევი, გ. გერშუნი, ე. აზეფი, ბ. სავინკოვი და სხვ. ესერები, მათი იდეური წინაპრების მსგავსად, ბრძოლაში ხშირად ინდივიდუალურ ტერორს მიმართავდნენ.

რუსეთის ესერულ პარტიას მიმდევრები გამოუჩდნენ საქართველოშიც. ესერთა პირველი ბირთვი აქ 1901 წელს შექმნეს ნაროდნოვოლცური ორიენტაციის რევოლუციონერებმა. ესენი იყვნენ მ. ყიფიანი, ს. ჭრელაშვილი, ნ. ხუდადოვი, ი. ჯაბადარი, ა. კალუჟნი, ი. სვედენცოვი და სხვები. ესერთა ამ ჯგუფმა ფილიალები გაიჩინა ქუთაისსა და ბათუმში. თბილისში ესერთა შეკრებები მიმდინარეობდა კირიჩნის (ამჟამად მარჯანიშვილის) ქ. №12-ში მცხოვრებ ოლღა ხაიდანოვას ბინაზე, სადაც გახსნილი იყო სახალხო ბიბლიოთეკა.

ქართველი ესერები მთლიანად იზიარებდნენ რუს ესერთა პროგრამას. ეროვნულ საკითხს წინა პლანზე არ აყენებდნენ, თუმცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ერთა თვითგამორკვევას თანა-უგრძნობდნენ.

ქართველმა ესერებმა მონაწილეობა მიიღეს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ინიციატივით 1904 წელს ჟენევაში მოწვეულ კონფერენციაზე. ძირითად პროგრამულ საკითხებში მათ მხარი დაუჭირეს ამ კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციებს. ქართველ ესერთა რამდენიმე ცდა დამოუკიდებელ პარტიად ჩამოყალიბებისა წარმატებით ვერ დამთავრდა. ესერები აქტიურად მონაწილეობდნენ 1905—1907 წლების რევოლუციაში. საქართველოში ისინი უპირატესად სოციალ-ფედერალისტურ პარტიასთან ბლოკში გამოდიოდნენ. ესერული მოძრაობა საქართველოში გააქტიურდა 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ. ეს მიმდინარეობა მძლავრად იყო ფეხმოკიდებული კავკასიის არმიის ნაწილებში. 1917 წლის აპრილში თბილისში შეიკრიბა ესერთა სამხარეო კონფერენცია, რომელმაც რუსეთის დროებით მთავრობას სრული ნდობა გამოუცხადა და რუსეთის იმპერიის ხალხთა ბედ-იღბალის გადაწყვეტაში პასუხისმგებლობა მომავალ დამფუძნებელ კრებას დააკისრა. ესერები მტრულად შეხვდნენ 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებას. ამიერკავკასიის ესერთა საქმიანობაში 1917—1921 წლებში აქტიურად მონაწილეობდნენ ლეო შენგელია, გიგო ნათაძე, ივანე და იოსებ გობეჩიები, ილია ნუცუბიძე და სხვები. ესერებს თავისი ფრაქცია ყავდათ ამიერკავკასიის სეიმში, ქართულ ეროვნულ პარლამენტსა და დამფუძნებელ კრებაში.

§ 3 ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია საქართველოში (1905—1907 წლები)

1. რევოლუციის დასაწყისი. 900-იანი წლების დამდეგიდან პოლიტიკურ მოვლენათა განვითარება მოწმობდა, რომ რუსეთი სახალხო რევოლუციის ზღურბლთან იდგა. ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა რუსეთ-იაპონიის ომმა, რომელიც დაიწყო 1904 წ. იანვარში. ომში გამომჟღავნდა რუსეთის სამხედრო მოუმზადებლობა. მისი შეიარაღებული ძალები საზღვაო და სახმელეთო ბრძოლებში მძიმე მარცხს განიცდიდნენ. ომში წარუმატებლობა საზოგადოებრიობაში იწვევდა აღშფოთებას. გააქტიურდნენ ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი დემოკრატიული ძალები.

1905 წ. 9 იანვარს პეტერბურგში პუტილოვის ქარხნის გაფიცულმა მუშებმა მღვდელ გაპონის ინიციატივით მოაწყეს მშვიდობი-

ანი დემონსტრაცია. 150 ათასი მუშა ხატებითა და მეფის სურათებით გაემართა ზამთრის სასახლისაკენ. მთავრობის ჯარებმა მუშებს გზა გადაუღობეს და სროლა აუტეხეს. ათასზე მეტი მოკვლეს, ხუთი ათასამდე დასჭრეს. ეს დღე რუსეთის ისტორიაში ძევიდა „სისხლიანი კვირის“ სახელწოდებით.

ცარიზმის ვანდალურმა გალაშქრებამ უიარაღო მუშათა წინააღმდეგ აღაშფოთა მთელი რუსეთი. ქვეყანა მოიცვა პოლიტიკურმა გაფიცვებმა და მანიფესტაციებმა. ხალხი მოითხოვდა ჯალათური მთავრობის დამხობას, სამართლიანი წყობილების დამყარებას. 9 იანვარი სახალხო რევოლუციის დასაწყისი გახდა.

იანვარში რევოლუციურმა მღელვარებამ მოიცვა ამიერკავკასია. 18 იანვარს თბილისის რკინიგზის სახელოსნოების მუშებმა გამოაცხადეს პოლიტიკური გაფიცვა, რასაც ქალაქის სხვა საწარმოთა მუშებმაც დაუჭირეს მხარი. გაფიცვის დღეებში იმართებოდა პოლიტიკური დემონსტრაციები, მოხდა კაზაკებთან შეტაკება. თბილისელ მუშებს სოლიდარობა გამოუცხადეს ჭიათურელმა მემაღაროელებმა, ბათუმის ნავთის სარეწების მუშებმა. სისტემატურად ეწყობოდა მუშათა კრებები და მიტინგები, სადაც დღის წესრიგში იდგა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის საკითხები.

რუსეთში რევოლუციის დაწყებამდე გამოიკვეთა გლეხთა აგრარული მოძრაობის აქტივობა მთელს საქართველოში. 1905 წლის დამდეგიდანვე გლეხობამ მასობრივად უარი თქვა მემამულეთა ვალდებულებებზე, ცარიზმის მორჩილებაზე. შეიარაღებული გლეხები სოფლებიდან ერეკებოდნენ მამასახლისებს, აწყობდნენ სახალხო მართველობას. ანტირეჟიმულმა მოძრაობამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო გურიაში, სადაც თებერვლიდან ადგილობრივი მართველობა ძირითადად ხალხის ხელში აღმოჩნდა. რევოლუციური გლეხობა ქმნიდა თავის კომიტეტებს, რომელსაც ანდობდა ყველა საკითხის გადაწყვეტას. ქუთაისის გუბერნატორის ბრძანებით შედგა საგანგებო რაზმი გურიის „დასამშვიდებლად“. მაგრამ გლეხთა მოძრაობა იმდენად საყოველთაო იყო, რომ მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია თავი შეეკავებინა რეპრესიებისაგან და ამბოხებულებთან გამართა მშვიდობიანი მოლაპარაკება. ამ მიზნით გურიაში მივლინებულ იქნა კავკასიის მთავარმართებლობის საბჭოს წევრი სულთან კრიმ გირეი.

კრიმ გირეის მოგზაურობამ გურიაში ნათელი მოფინა გლეხთა აგრარულ მოძრაობის მიზეზებს. მეფის მოხელე 12 თებში დაესწრო ხალხმრავალ შეკრებას. გლეხობამ მას გადაუშალა მათი უმძიმესი

მდგომარეობის სურათი. ბახველმა გლეხებმა მეფის მოხელეს წარუდგინეს გამოკვეთილი მოთხოვნები, რომელიც ისტორიაში შევიდა „ბახვის მანიფესტის“ სახელწოდებით. აქ ნათქვამი იყო: „ჩვენ ვერ მოვათავებთ ჩვენი საშინელი მდგომარეობის აღწერას, ვის შეუძლია ჩვენი საჭიროებათა დაკმაყოფილება? ვინ გაიგონებს ჩვენ ხმას? არა ახლანდელი მთავრობა, რომელიც არასოდეს ყურადღებას არ გვაქცევდა, რომელიც ჩვენ გვტანჯავდა? ჩვენი მოთხოვნები — კერძო მოთხოვნები, მარტო ქართული მოთხოვნები როდია. ამას მოითხოვს მთელი რუსეთი“. ბახველი, სურებელი და ყველა სხვა სოფლის გლეხები მოითხოვდნენ სახაზინო, საუფლისწულო და სამონასტრო მიწების კონფისკაციას და ხალხის განკარგულებაში გადაცემას, მემამულეთაგან სანადელო მიწის გადაცემას საკუთრებაში, წოდებრივ პრივილეგიათა გაუქმებას, არაპირდაპირი გადასახადების მოსპობას, სიტყვის, კრების, კავშირების და გაფიცვების თავისუფლებას, პიროვნების ხელშეუხებლობას, მოსამართლეთა არჩევას, საყოველთაო სავალდებულო სწავლებას მშობლიურ ენაზე და სხვ. გლეხობის რწმენით ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილება არსებულ რეჟიმს არ შეეძლო. ამიტომ რუსეთში უნდა მოწვეულიყო დამფუძნებელი კრება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე და მას მინდობოდა საკანონმდებლო უფლებანი ცხოვრების ყველა სფეროში.

კრიმ გირეის შეხვედრები გურულებთან ფართოდ შუქდებოდა იმდროინდელ პრესაში. მართალია, მოგზაურობა დასრულდა უშედეგოდ, მაგრამ საზოგადოებრიობის გათვითცნობიერებისა და საყოველთაო საბრძოლო აქტივობის ზრდისათვის მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

აგრარული მოძრაობა მძვინვარებდა მთელს დასავლეთ საქართველოში. 1905 წ. თებერვალში სოფ. კახათში 500-ზე მეტი გლეხი თავს დაესხა პოლიციას დაპატიმრებულ თანამებრძოლთა გასათავისუფლებლად. მთავრობის ჯარებთან შეტაკებები ხდებოდა ზუგდიდის და სენაკის მაზრებში. მასობრივ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი ქუთაისში, რაჭა-ლეჩხუმში, შორაპანში.

თებერვალ-მარტიდან გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაში მასობრივად ჩაებნენ თბილისის, გორის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის მაზრები. გლეხები ბოიკოტს უცხადებდნენ მემამულეებს და მეფის ბიუროკრატიას. სოფ. კავთისხევის გლეხთა ორიათასიანმა მიტინგმა მოსთხოვა მთავრობას „ჩამონაჭრების“ დაბრუნება, საძოვრებითა და ტყეებით თავისუფალი სარგებლობა, წოდებრივი უთანასწორობის გაუქმება, ქართული სკოლების გახსნა და სხვ.

სამაზრო და საგუბერნიო ხელისუფლებამ ბევრგან დაკარგა ძალაუფლება. კავკასიის მეფისნაცვალი ადგილებიდან საგანგაშო მოხსენებების საფუძველზე შედგენილ ანგარიშში იმპერატორს აუწყებდა: „ყველგან სოფლებში ხდებოდა მიტინგები — მანიფესტაციები ყველა წოდებათა გათანასწორების, კაპიტალიზმის მოსპობისა და არსებული წყობილების შეცვლის იდეის აშკარა პროპაგანდით, რომლის მიზანია ხელისუფლების გადასვლა ხალხის ხელში“. მეფისნაცვალი ჩიოდა იმის თაობაზეც, რომ ადგილობრივი მართველობა ხალხის ხელშია გადასული და მთავრობის ორგანოები მთლიანად პარალიზებული არიანო. ვითარებას რომ უხატავდა, მეფის სატრაპი მოითხოვდა გადამჭრელ ღონისძიებებს არმიის გამოყენებით.

2. რევოლუციის ეტაპები. რევოლუცია მთელ რუსეთში აღმავლობის გზით წარიმართა. რევოლუციური აქტივობით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ამიერკავკასია და ბალტიისპირეთი, სადაც სახალხო მოძრაობას საყოველთაო ხასიათი მიეცა და მასში საზოგადოებრიობის მთელი დემოკრატიული ნაწილი აღმოჩნდა ჩაბმული. ამ ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობა ეროვნული ნიშან-თვისებით ხასიათდებოდა.

რევოლუციური მოძრაობა უფრო გაცხოველდა გაზაფხულსა და ზაფხულში. ახალ აქტივობას ბიძგი მისცა პირველი მაისის ზეიმმა. ივნისისა და ივლისის თვეებში გაფიცვები და დემონსტრაციები ეწყობოდა თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში და სამაზრო ქალაქებში. მუშებთან და გლეხებთან ერთად რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება ინტელიგენცია. სისტემატური ხასიათი მიეცა მოსწავლეთა გამოსვლებს; მთავრობას რევოლუციურ მოთხოვნებს უყენებდნენ მასწავლებლობა, შემოქმედებითი მუშაკები. 29 აგვისტოს თბილისის ქალაქის მართველობის ხმოსნები მუშებისა და ინტელიგენციის თანდასწრებით მეფის სათათბიროს მოწვევის საკითხს იხილავდნენ. ხალხით გაჭედილ დარბაზში შეცვივდნენ პოლიციელები და სროლა ატეხეს. კარები ჩაკეტილი აღმოჩნდა. პოლიცია დაერია მიტინგის მონაწილეთ და ჩეხვა დაუწყო. 29 აგვისტოს სისხლის ღვრამ აღაშფოთა მთელი ქართული საზოგადოებრიობა.

მეფის მთავრობა იკრებდა ძალებს სახალხო მოძრაობის ჩასახშობად. კავკასიაში აღსდგა სამეფისნაცვლო. მხარეს ახალ სატრაპად მოევლინა ვორონცოვ-დაშკოვი, რომელსაც თვითმპყრობელური რეჟიმის დაცვისათვის ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდა. აჯანყებულ სოფლებს მთავრობამ მიუსია კაზაკებისა და პოლიციელების რაზმები. სოფ. ნასაკირალთან შეიარაღებული გლეხები ჩაუ-

საფრდნენ ჩოხატაურიდან მომავალ კაზაკთა 120 კაციან რაზმს და მას შეუპოვარი ბრძოლა გაუმართეს. მთავრობამ გადაწყვიტა გურიის გლეხობა სამაგალითოდ დაესაჯა. დამსჯელ ოპერაციათა განხორციელება დაეკისრა ჯარს გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით. გურიას მართლაც განადგურება ელოდა. მის დასაცავად აღსდგა მთელი ქართული საზოგადოებრიობა. პროტესტი იმდენად საყოველთაო იყო, რომ მეფისნაცვალი შეშინდა და ბრძანა ჯარს ოპერაციები დროებით შეეჩერებინა.

1905—07 წლების რევოლუციის მწვავე ეტაპად აღიარებულია 1905 წლის ოქტომბერი, როცა საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვებმა და დემონსტრაციებმა მოიცვა მთელი რუსეთი. 15 ოქტომბერს თბილისში არცერთი წარმოება და სავაჭრო დაწესებულება არ მუშაობდა. გაიფიცნენ რკინიგზელები. შეწყდა მატარებლების მოძრაობა. ასეთივე მდგომარეობა იყო რუსეთის მსხვილ სამრეწველო ქალაქებში. ქვეყანა პარალიზებული აღმოჩნდა. მეფის მთავრობა იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო. 17 ოქტომბერს გამოქვეყნდა მანიფესტი, რომელიც რუსეთის ხალხს აღუთქვამდა სიტყვის, პრესის, კავშირების, კრებების თავისუფლებას და ფართო საარჩევნო უფლებებს სახელმწიფო სათათბიროში. საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი მანიფესტს მხარდაჭერით შეხვდა. მეორე ნაწილი თვლიდა, რომ ეს იყო მთავრობის ფანდი სულისმოთქმისა და შემდეგ რევოლუციურ ძალთა წინააღმდეგ შეტევის გაძლიერების მიზნით.

ოქტომბრის მანიფესტთან დაკავშირებით საქართველოში ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგები. საზოგადოებრიობა არ ენდო მთავრობას, რადგან იგი აგრძელებდა რეპრესიებს და საგანგებო მდგომარეობას არ აუქმებდა. ამასთან, ადგილობრივი ხელისუფლების წაქეზებით ამოძრავდნენ შავრაზმული ძალები, რომელთაც რუსული შოვინისტური ხასიათის დამარბეველი გამოსვლები მოაწყეს თბილისში.

22 ოქტომბერს რუსულმა შავრაზმულმა ორგანიზაციამ „პატრიოტულმა საზოგადოებამ“ გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) პროსპექტზე მოაწყო მანიფესტაცია, რომელშიაც გადაცმული პოლიციელებიც მონაწილეობდნენ. ვაჟთა პირველი გიმნაზიის ახლოს ისინი დაერივნენ მშვიდობიან მოსახლეობას, ამასთან შეიჭრნენ გიმნაზიის შენობაში, მოჰკლეს რამდენიმე მოწაფე. ამ ვერაგულმა აქციამ აღაშფოთა მთელი ქალაქის საზოგადოებრიობა, რომელმაც თავისი პროტესტი საყოველთაო სამგლოვიარო მანიფესტაციით გამოხატა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციის უმაღლეს ფაზას წარმოადგენდა 1905 წლის ნოემბრის ბოლო და დეკემბერი. მოსკოვში დეკემბერში განხორციელდა ფართო მასშტაბის შეიარაღებული აჯანყება. საბარიკადო ბრძოლები მიმდინარეობდა რუსეთის სხვა სამრეწველო ცენტრებშიც.

საქართველოში ნოემბერ-დეკემბერი პოლიტიკური დაძაბულობის ზრდით ხასიათდებოდა. მთავრობამ თბილისის გუბერნიაში სამხედრო წესები გამოაცხადა. მანვე გააძლიერა დამსჯელი ექსპედიციები დასავლეთ საქართველოში. ხელისუფლება გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდა. კიდევ უფრო ამაღლდა მუშათა რევოლუციური აქტივობა, დაიწყო საბარიკადო ბრძოლების ეტაპი. თბილისში აჯანყების ცენტრალური უბნები გახდა ნაძალადევი და დიდუბე. აქ მუშათა რაზმებს წინასწარ მოემარაგებინათ საბრძოლო იარაღი. 18 დეკემბერს მთავრობის ჯარებმა ნაძალადევს ალყა შემოარტყეს. შეტაკებაში 9 მუშა დაიღუპა. კაზაკები ამის შემდეგ მთელ უბანს შეესივნენ და იგი საშინლად დაარბიეს. 22 დეკემბერს ბრძოლები გაჩაღდა „სალდათის ბაზრის" რაიონში. კაზაკებმა არტილერიაც გამოიყენეს და დაანგრიეს ახლო-მახლო შენობები. 23 დეკემბერს მთავრობის ჯარებმა იერიში მიიტანეს დიდუბეზე. აქაც ამოქმედდა არტილერია. მუშათა რაზმებმა მომხდურთ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და პირველ დღეს უკანაც დაახევინეს, მაგრამ შემდგომ ბრძოლებში დამარცხდნენ. დიდუბე სასაკლაოდ იქცა და ხანძარში გაეხვია. აჯანყებები ერთდროულად საქართველოს სოფლებშიც მიმდინარეობდა. ქუთაისში, ყვირილაში, ჭიათურაში, ონში, ტყიბულში, ზუგდიდში და სხვა რაიონებში მთავრობის ჯარებს მამაცურად უმკვლავდებოდნენ გლეხთა შეიარაღებული რაზმები. ზესტაფონში მათ განაიარაღეს თენგინის პოლკის ასეულები, ჩაკეტეს სურამთან რკინიგზის გვირაბი, რითაც გზა გადაუღობეს მთავრობის ჯარებს. დიდი სიმტკიცით იბრძოდნენ გორელი რაზმელები, რომელთაც დაკავებული ქონდათ რკინიგზის ხაზი გორიდან სურამამდე. ფართო მოძრაობა იყო გაჩაღებული თიანეთის, დუშეთის, თელავის მაზრებში.

დეკემბრის შემდეგ, 1906 წლის დამდეგიდან მთელს რუსეთში რევოლუციის უკანდახევა დაიწყო. მთავრობა შეტევაზე გადავიდა და თანდათან სპობდა რევოლუციის კერებს. 1907 წლის ივნისისათვის რევოლუცია დასრულდა დამარცხებით.

რევოლუციის უკანდახევა საქართველოში ბრძოლით მიმდინარეობდა. გლეხთა რაზმები აგრძელებდნენ შეიარაღებულ გამოსვლებს, თუმცა მათ აკლდათ ადრინდელი მასობრივი და შეტევითი ხასიათი. ზოგი რაზმი ტერორის ტაქტიკაზე გადავიდა. 1906 წ. 17 იანვარს

რკინიგზელმა მუშა რევოლუციონერმა არსენა ჯორჯიაშვილმა მოჰკლა დამსჯელი ოპერაციების ორგანიზატორი შავრაზმელი გენერალი გრიაზნოვი. მთავრობაც ტერორს მიმართავდა. 1906 წ. ივლისში შავრაზმელებმა თავდასხმა მოუწყეს ვაჟთა პირველ გიმნაზიას და მოჰკლეს ეროვნული მოღვაწე პედაგოგი შიო ჩიტაძე. კავკასიის ხელისუფლება რევოლუციონერებს ანგარიშს უსწორებდა საქართველოს ყველა კუთხეში.

3. საქართველოს პოლიტიკური პარტიები რევოლუციაში. 1905 — 1907 წლებში ცარიზმის წინააღმდეგ მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლების მაღალი დონე საქართველოში პოლიტიკური პარტიების აქტივობითაც იყო შეპირობებული. ყველაზე დიდი გავლენა იმ დროს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ჰქონდა. ეს პარტია მრავალრიცხოვანი იყო. თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში და რიგ სამაზრო ქალაქებში სოციალ-დემოკრატებმა ჩამოაყალიბეს კომიტეტები, რომლებიც თავიანთ წარმომადგენლებს გზავნიდნენ ფაბრიკა- ქარხნებში, სოფლებში რევოლუციური აგიტაციის მიზნით. ამ აგიტაციის შინაარსი მასებისათვის მართლაც გასაგები და გულში ჩამწვდომი იყო. ხალხს ისინი აღუწერდნენ თუ როგორ ფუფუნებაში ცხოვრობენ კაპიტალისტები და მემამულეები, რომლებიც ითვისებენ მათ ნაოფლარს, როგორ უჭირთ ცხოვრება მშრომელ ხალხს, რომელიც შიმშილობს, როგორ იცავს ამ უსამართლობას მეფე და მისი მოხელეები. — ახლა ხალხმა, — ამბობდნენ ისინი, — მთელს მსოფლიოში გამოიღვიძა და გააჩაღა ბრძოლა თავისუფლებისათვის. თქვენს გვერდით არის მთელი რუსეთის მუშათა კლასი. ჩვენც მათთან ერთად დავდგებით. ერთიანი ძალით დავამხობთ საძულველი მეფის მთავრობას. რევოლუცია თუ გაიმარჯვებს, ხალხის საკუთრება გახდება ფაბრიკა- ქარხნები, მიწა-წყალი, ხელისუფლება გადაეცემა თქვენივე წრიდან არჩეულ პირებს. დამყარდება სამართლიანი წყობილება, რომელსაც ჰქვია სოციალიზმი.

სოციალიზმის ნამდვილ შინაარსზე ხალხს, რა თქმა უნდა, წარმოდგენა არ ჰქონია, მაგრამ მათთვის წარმტაცი იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლოზუნგები, — კაპიტალისტების და მემამულე თავადაზნაურების მოსპობა, მათი სიმდიდრის დაპატრონება. სოციალ-დემოკრატიული აგიტაციის მეშვეობით „სოციალიზმი", „ერთობა" მოდად იქცა. ახალგაზრდის ავტორიტეტი ქალაქად თუ სოფლად სოციალისტობით, „ერთობისადმი" მხარდაჭერით იზომებოდა. რევოლუციონერებს ჩაცმულობაც თავისებური ჰქონდათ. ჭაბუკებს გული მიუწევდათ იარაღზე, შეიარაღებული ბრძოლის რომანტიკა მასობრივ ფსიქოზში გადაიზარდა. სოციალისტობა, „ერ-

თობაში“ მონაწილეობა კაცური — კაცობის, სამართლიანობისათვის ბრძოლის ტოლ ცნებებად აღიქმებოდა. ექსტრემისტული და დემაგოგიური მისწრაფებანი უფრო ახასიათებდა სოციალ-დემოკრატიის ბოლშევიკურ მიმდინარეობას. ბოლშევიკები ამ დროისათვის ჭარბობდნენ რსდმპ იმერეთის და ბათუმის კომიტეტებში. კავკასიის კავშირის კომიტეტის შემადგენლობაც მთლიანად ბოლშევიკური იყო. მან 1904 წლის ნოემბერში საკითხი წამოჭრა რსდმპ III ყრილობის მოწვევის შესახებ. ეს ყრილობა 1905 წ. აპრილში შედგა ლონდონში. ყრილობამ მაღალი შეფასება მისცა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატ ბოლშევიკთა რევოლუციურ საქმიანობას და იგი მთელი რუსეთისათვის მისაბაძ მაგალითად გამოაცხადა. III ყრილობამ კიდევ უფრო წააქეზა რევოლუციური ექსტრემიზმი და ცარიზმის დამხობისათვის ბრძოლაში ყველაზე ეფექტურ საშუალებად შეიარაღებული აჯანყება გამოაცხადა.

სოციალ-დემოკრატთა ხელმძღვანელობით ამბოხებულ სოფლებში იქმნებოდა გლეხთა რევოლუციური კომიტეტები, რომლებიც ადგილობრივ ხელისუფლებას განასახიერებდნენ. მემამულეთა წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის მესვეურობა ეკისრებოდათ „წითელ რაზმებს“, რომლებსაც „ტყის ძმები“ შეარქვეს. დღე ტყეებში შეხიზნულნი, ისინი ღამეობით აწყობდნენ თავდასხმებს მემამულეებსა და მთავრობის მოხელეებზე.

საბრძოლო ტაქტიკაში სოციალ-დემოკრატები ხშირად ინდივიდუალურ ტერორს მიმართავდნენ. რაზმებში ცოტა როდი იყო ავანტიურისტი და ვიგინდარა; საერთო რევოლუციურ ენთუზიაზმს აყოლილნი, ისინი მდიდარ თანასოფლელთა ძარცვას და მათთვის სისხლიან ანგარიშსწორებასაც ახორციელებდნენ.

ქართველ ბოლშევიკთა ხელმძღვანელი ბირთვი თავისი იდეოლოგიის პროპაგანდას ეწეოდა ჟურნალ „მოგზაურის“ საშუალებით. ეს ჟურნალი 1901—1904 წლებში გამოდიოდა დემოკრატი მოღვაწის ივანე როსტომაშვილის რედაქტორობით და ეროვნული პოზიციიდან აშუქებდა თანამედროვეობის მტკივნეულ პრობლემებს. 1905 წლიდან ჟურნალი შეიძინა რსდმპ კავკასიის კავშირმა და მას რედაქტორობდა ფ. მახარაძე. ჟურნალში სოციალ-დემოკრატიის ორივე მიმართულების პუბლიცისტები თანამშრომლობდნენ, მაგრამ აქაც ჭარბობდა ბოლშევიკური გავლენა. ჟურნალს მტრული პოზიცია ეკავა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის მიმართ, რომელსაც ბრალს სდებდა ნაციონალიზმით გატაცებაში. ჟურნალი აქეზებდა სოფლად გაჩაღებულ აგრარულ მოძრაობას, მოუწოდებდა გლეხობას მემამულე-აზნაურთა და მეფის მოხელეთა წინააღმდეგ შე-

იარაღებული ბრძოლისკენ. ამ ჟურნალში დაიბეჭდა ცილისწამებლური სტატია ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ერის მოძღვარი ჟურნალმა მონათლა დესპოტ მემამულედ, რომელიც, თითქოს, „საგურამოელ გლეხებს ტანჯავდა და წყალსაც კი არ აძლევდა. ეს ვერაგული ცილისწამება ილიამ ძალზე მტკივნეულად განიცადა, რადგან საკითხი მის პირად ადამიანურ ღირსებებს შეეხებოდა. ცილისწამებლებს ილიამ გაზ. „ივერიის“ მეშვეობით გასცა სათანადო პასუხი. მაგრამ შხამიანმა ისარმა თავისი ავი საქმე მაინც გააკეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციაში შედარებით ზომიერი პოზიცია ეკავა ქართველი სოციალ-დემოკრატიის მენშევიკურ მიმართულებას. მენშევიკები არ თანაუგრძნობდნენ უკიდურეს ღონისძიებათა გამოყენებას. მათ რევოლუციის წარმატებად მიაჩნდათ მთავრობის მხრივ იძულებითი დათმობანი. 17 ოქტომბრის მანიფესტი გამარჯვებად ჩათვალეს და მოითხოვეს მეფის მიერ ბოძებულ სათათბიროში საარჩევნო კამპანიისათვის მხარდაჭერა.

ქართული სოციალ-დემოკრატიის ბოლშევიკური და მენშევიკური მიმართულებანი ეროვნული თვალსაზრისით ერთნაირად სცოდავდნენ. მათი უთანხმოებანი უპირატესად შეეხებოდა რევოლუციის მამოძრავებელ ძალთა განსაზღვრას. ბოლშევიკებს მიაჩნდათ, რომ მიმდინარე რევოლუციაში, მისი ბურჟუაზიული ხასიათის მიუხედავად, მამოძრავებელ ძალებს წარმოადგენდა მხოლოდ მუშათა კლასი გლეხობის მოკავშირეობით. მენშევიკების მტკიცებით რევოლუციური გარდაქმნებით მშრომელ მასებთან ერთად ბურჟუაზიაც იყო დაინტერესებული. ამიტომ რევოლუცია ლიბერალურ ბურჟუაზიასთან თანხმობით, მის მონაწილეობით უნდა წარმართულიყო. თეორიულ საკითხებზე ბოლშევიკებისა და მენშევიკების კამათი განსაკუთრებით გაცხოველდა რსდმპ III ყრილობის შემდეგ. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, განსაკუთრებით გურიაში არალეგალურად ეწყობოდა დისკუსიები, რომლებშიაც ორთავე მხრიდან მონაწილეობდნენ ხელმძღვანელი პირები. ამ დისკუსიებში სოციალისტურ პროპაგანდას აყოლილი მასა არ ერეოდა. რევოლუციურ ღონისძიებებში ორთავე მიმართულება ერთობლივად მონაწილეობდა.

რევოლუციის პერიოდში სოციალ-დემოკრატი აგიტატორების წაქეზებით საქართველოში მასობრივი ხასიათი მიიღო ტერორიზმმა. იგი განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა გურიაში. ტერორისტები ანგარიშს უსწორებდნენ ცარიზმის მსხვილ მოხელეებს, რომლებიც განსაკუთრებით აქტიურობდნენ სახალხო მღელვარებათა ჩახშობაში და მემამულე თავადებს, რომლებიც არ ცნობდნენ რე-

ვოლუციის ძალას და ძველ უფლებებს ეპოტინებოდნენ. განსაკუთ-
რებით შეუპოვარი იყო ნადირობა იმ პირებზე, რომელთაც რევო-
ლუციისადმი ღალატს შესწამებდნენ. გურიაში ცნობილი ტერო-
რისტები, რომლებიც ხალხის თქმით „ტყვიას ტყვიაში აჯეხდნენ“,
იყვნენ კ. მამულაშვილი, დ. შევარდნაძე, ს. დოლიძე, ფ. ცქვიტინიძე,
მ. მკურნალი, ი. ქილიფთარი და მრავალი სხვა. ტერორისტული
რაზმები თითქმის ყველა სოფელში არსებობდნენ. აღსანიშნავია,
რომ ამ რაზმებში, რევოლუციისადმი ფანატიკურად თავდადებულ
პირების გვერდით, თავს იყრიდნენ უქნარები, ფათერაკის მაძიებელ-
ნი, მძარცველ-ყაჩაღები, რომელთაც რევოლუციისა არაფერი სწამ-
დათ. ისინი შიშსა და ძრწოლას თესდნენ, ახალთაობის სახელით
თანასოფელთ სძალავდნენ ფულსა და სარჩო-საბადებელს, პირადუ-
ლი ანგარიშსწორების მიზნით ეწეოდნენ მეზობელთა მკვლელობა-
დაწიოკებას და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმი თითქოს საერთოდ დაგმობი-
ლი იყო სოციალ-დემოკრატიულ თეორიასა და პრაქტიკაში, ქართულ
სინამდვილეში იგი წაქეზებით სარგებლობდა და რევოლუციური
რომანტიკის სამოსელში იყო გახვეული. განუკითხავმა ტერორმა
კი საქართველოს სოფლებში პანიკური ატმოსფერო გაამეფა. ტერო-
რიზმისადმი ასეთი მიდრეკილება საქართველოს სოფლებში ცარიზ-
მის ბატონობის მთელ პერიოდში ბოგინობდა და საბჭოთა ხელის-
უფლების დამყარების ჟამს საქართველოს ადგილობრივი რევოლუ-
ციური კომიტეტების შემადგენლობაში ამ პროფესიის ხალხი, ე.წ.
„მაუზერისტები“ არცთუ ცოტა აღმოჩნდა.

რევოლუციურ მოღვაწეობაში აქტიურად მონაწილეობდა სოცი-
ალისტ-ფედერალისტთა პარტია. ამ პარტიას ქალაქისა და სოფლის
ინტელიგენციაში თანამგრძნობთა ფართო წრე ჰყავდა.

სოციალისტ-ფედერალისტებმა რევოლუციის დაწყებიდანვე შეწ-
ყვიტეს პარიზში თავიანთი გაზეთის „საქართველოს“ გამოცემა.
პარტიის თვალსაჩინო მოღვაწენი თბილისში დაბრუნდნენ და ჩაე-
ბნენ პრაქტიკულ რევოლუციურ საქმიანობაში. „ცნობის ფურცელის“
აკრძალვის შემდეგ ისინი თავიანთი შეხედულებების პროპაგან-
დას ეწეოდნენ გაზ. „შრომის“ (რედ. გრ. რცხილაძე) და „გლე-
ხის“ (რედ. მიხ. ჯავახიშვილი) ფურცლებზე.

სოციალისტ-ფედერალისტები გამოდიოდნენ ქართული საზოგა-
დოებრიობის ერთიანობის მოთხოვნით. ისინი უარყოფდნენ რევო-
ლუციაში მხოლოდ პროლეტარიატის ხელმძღვანელ როლს. მიაჩნ-
დათ, რომ თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობისათვის ბრძოლა-
ში ყველა საზოგადოებრივი კლასი და ფენა უნდა გაერთიანებულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციის გამარჯვების შემდგომი საქართველო მათ წარმოუდგებოდათ რუსეთთან ფედერაციულ პრინციპებზე დაკავშირებულ ქვეყნად, რომელსაც საშინაო საქმეების სამართავად თავისი არჩევითი საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა ჰყოლოდა. მათი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა ნაროდნიკულ სოციალიზმს ენათესავებოდა. სოციალიზმში ისინი გულისხმობდნენ ყველა საზოგადოებრივი ფენის კეთილდღეობას, რაც ურთიერთ შორის ჰარმონიული დამოკიდებულებით, ერის საერთო ძალისხმევით უნდა მიღწეულიყო.

სოციალისტ-ფედერალისტების ეროვნულ პროგრამას მეტი გასაქანი ჰქონდა შემოქმედებით ინტელიგენციაში, ქალაქისა და სოფლის მასწავლებლობაში. გათვითცნობიერებულ ქართველ საზოგადოებრიობას მოსწონდა ეროვნული ერთიანობის წინა პლანზე წამოწევა, რასაც სოციალისტ-ფედერალისტები ქადაგებდნენ.

სოციალისტ-ფედერალისტური პარტია ზოგიერთი ღონისძიების გატარებაში სოციალ-დემოკრატიასთან ერთად გამოდიოდა. მაგალითად, როცა ბაქოში გაჩაღდა სომეხ-თათართა შეტაკებანი და მოსალოდნელი გახდა რომ იგი თბილისშიაც გავრცელებულიყო, აქციის ასაცილებლად სოციალისტ-ფედერალისტებმა სოციალ-დემოკრატებთან საერთო ფრონტი შექმნეს. 1905 წ. 12 თებერვალს მათ გამოაქვეყნეს მოწოდება — „ამიერკავკასიის ყველა ხალხს“, რომელიც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთა ერთიანობას ქადაგებდა და გმობდა ძმათა მკვლელ ომს. ამ მოწოდებას ხელს აწერდნენ სოციალ-დემოკრატული, სოციალისტ-ფედერალისტური, სოციალისტ-რევოლუციური, სომხური „ჰნჩაკის“ და სხვა პარტიათა წარმომადგენლები. სოციალისტ-ფედერალისტებმა სოციალ-დემოკრატებთან ერთად სხვა რევოლუციური პროკლამაციებიც გამოსცეს.

სოციალისტ-ფედერალისტები აქტიურად მონაწილეობდნენ გლეხთა რევოლუციურ ბრძოლებში, მუშათა საგაფიცვო მოძრაობაში. მათ გადაწყვიტეს საზღვარგარეთ შეეძინათ საბრძოლო იარაღი და საქართველოში რევოლუციური რაზმებისათვის დაერიგებინათ. ამ საქმეს პარიზში მოთავეობდნენ გ. დეკანოზიშვილი, თ. სახოკია და სხვები. ჰოლანდიაში იარაღით დატვირთეს ხომალდი „სირიუსი“ და საქართველოში გამოგზავნეს. სამშობლოში არალეგალურად გამოემგზავრა თ. სახოკია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ეხელმძღვანელა შავი ზღვის სანაპიროებზე ამ იარაღის გადმოტვირთვა-განაწილებისათვის, ხომალდმა მშვიდობით მოაღწია. იარაღის გადმოტვირთვაც ოსტატურად მიმდინარეობდა. სოციალ-დე-

მოკრატულმა პარტიამ მოინდომა იარაღის დასაკუთრება. ცნობა პოლიცია-ჟანდარმერიის ყურამდეც მივიდა, რის გამოც გადმოტანილი ვირთული იარაღის ნაწილი ხელში ჩაუვარდა მთავრობის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი პუბლიცისტი და თეატრალური მოღვაწე იოსებ იმედაშვილი სოფ. ხაშმში რევოლუციურმა გლეხებმა მამასახლისად აირჩიეს. იგი განაგებდა ივრის-პირეთის სოფლების საქმიანობას. სომეხ-თათართა ჟლეტის დროს სოფ. მუღანლოდან დაიძრა თათართა დიდი რაზმი თანამემამულეთა მისაშველებლად. მუღანლოელ თათრებს გზა გადაუღობა გლეხთა რაზმმა ი. იმედაშვილის ხელმძღვანელობით და უკანვე გააბრუნა. როდესაც გურიას ცარიზმმა მიუსია ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმები, თბილისში მეფისნაცვლის რეზიდენციას მიადგა გლეხთა შეიარაღებული რაზმი ი. იმედაშვილის ხელმძღვანელობით და მოითხოვა გურიიდან მთავრობის ჯარების გამოყვანა — „თუ ეს არ გიქნიათ, მთელი კახეთი იარაღს ავისხამთ და გურულ თანამოძმეებს მივეშველებითო“ — იმუქრებოდნენ რაზმელები.

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის აქტივისტებმა სოფლად, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, უჩვენეს საბრძოლო თავგანწირვის გმირული მაგალითები.

ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა ძველი თაობიდან 1905—1907 წლების რევოლუციას მოესწრნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა ფშაველა და სხვა სამოციანელები. ხალხის მასობრივი რევოლუციური ბრძოლა თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ ამ თაობისათვის წარმოადგენდა პრაქტიკულ ხორცშესხმას იმ იდეებისა, რასაც 60—80-იან წლებში ქადაგებდნენ. „ამას ველოდი, მოვესწარ!.. ვიცინი, აღარ ვტირი მე! ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ გამოდით, თქვენი ჭირიმე.“ — აღტაცებით ღაღადებდა მოხუცი აკაკი წერეთელი. გაზეთი „ივერია“ 1905 წლის დამდეგს წერდა: „საქართველოს ყველა კუთხიდან — მოდის ახალ-ახალი ამბები, რომელნიც ცხადად გვიმტკიცებენ რომ ჩვენი მრავალტანჯული ერიც იღვიძებს, დღევანდელი პირობების შეცვლას თხოულობს, ვეღარ იტანს იმ მძიმე უღელს, რომელსაც აქამდის ატარებდა და განთავისუფლებას ლამობს. თუ აქამდის ღელავდა მცირე ნაწილი საქართველოსი, როგორც გურია, დღეს ჰღელავს აჭარა, სამეგრელო, იმერეთი, კახეთი და ქართლიც კი. ამიტომაც ეს საერთო მოძრაობა ფრიად საგულისხმიერო და დასაფიქრებელია. საჭიროა ყოველმა შეგნებულმა ქართველმა, ვისაც კი გული შესტკივა თავის სამშობლოსათვის, შეძლების გვარად მონაწილეობა მოიღოს ამ მოძრაობაში, საფუძვლიანად დაუ-

კვირდეს ხალხის დღევანდელ მოთხოვნილებას, დაიცვას ხალხის უმეტესობის ინტერესები და სამართლიანად განსაჯოს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოციანელებისათვის ამ რევოლუციის დანიშნულება უნდა ყოფილიყო ცარიზმის კოლონიური რეჟიმის დამხობა, საქართველოს ეროვნული განთავისუფლება. ამ მიზნისათვის ბრძოლაში ყველა კლასს, ყველა წოდებას უნდა მიეღო მონაწილეობა. მათი აზრით რევოლუცია აცდა ამ ჭეშმარიტ გზას. ნიჰილისტურმა ძალებმა იგი წარმართეს ერისათვის საზიანო მიმართულებით, ერთმანეთს დააჯახეს სხვადასხვა სოციალური ფენები და სამოქალაქო ომის ხანძარი გააჩაღეს. „დღევანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა, საითკენაც ჯერ არს და არა იქით, რომ ერთმანეთს მივესიოთ და ციხე-სიმაგრე ჩვენი, ჩვენვე შიგნიდამ გავტეხოთ. ამას თხოულობს არამცთუ სიკეთე და ბედნიერება ჩვენი ქვეყნისა, საერთოდ, არამედ გლეხკაცობისაც, საკუთრივ", — მიუთითებდა ი. ჭავჭავაძე. იგი ქადაგებდა წოდებათა შერიგებას და მათს დარაზმვას საერთო მტრის წინააღმდეგ. აკაკი წერეთელი იმავე „ივერიაში" სინანულით აღნიშნავდა წოდებათა შორის ჩამოვარდნილ შუღლსა და ბრძოლაზე და მოუწოდებდა ქართველ ერს ერთიანობისაკენ გარეშე მტერთან ბრძოლაში. ილია და მისი თანამებრძოლები ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ, რომ გლეხობისათვის აეცილებინათ მთავრობის რეპრესიები. ილიას თაოსნობით შემდგარმა დეპუტაციამ აიძულა მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი შეეჩერებინა გურიაში ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიციის შეყვანა. შიდაეროვნულ ბრძოლაზე ხელის აღებას ილია მოუწოდებდა არა მარტო გლეხობას, არამედ თავადაზნაურობასაც. მაგალითად, როდესაც ილიამ გაიგო, საქართველოში თავადები აბდუშელიშვილები და ციციშვილები საგანგებო რაზმს ქმნიდნენ აჯანყებულ გლეხთათვის ანგარიშგასასწორებლად, მან საკითხი თბილისის თავადაზნაურთა კრებაზე დააყენა და მკაცრად დაჭგმო ეს განხრახვა: „რათ გინდათ იარაღი რომ აგისხამთ? ვისთვის ამზადებთ თოფებსა? გლეხობისათვის? არ გაბედოთ! ახალეთ თავში ეგ იარაღი, ვინც დაგირიგათ!" — ასე მიმართავდა ილია თავადაზნაურთა შეიარაღებული რაზმის მესვეურებს. 1905 წ. 6 მარტს თავადაზნაურთა კერძო თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში ი. ჭავჭავაძემ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია მიმდინარე რევოლუციაში. რევოლუციას საქართველოსთვის უნდა მიეცა შინაგანი დამოუკიდებლობა. შინაური ცხოვრების გამგე ხალხი თვით აირჩევდა ხელისუფლების ორგანოებს, რომელიც სამართლიანობის საფუძველზე წარმართავდა ერის ცხოვრებას. ილია ამ დროს ესწრაფვოდა საქართველოში შექმნილიყო პარტია, რომელიც წინა პლანზე ერის

საერთო ინტერესებს წამოწევდა, საბრძოლო ლოზუნგად სუვერენიტეტს და ქვეყნის დემოკრატიულ გადახალისებას გაიხდიდა. ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პარტიის შექმნის [illegible] მხარში ედგნენ ი. გოგებაშვილი გ. ჟურული, გ. გვაზავა [illegible] შვილი და სხვები. შემორჩენილია ახალი პარტიის წესდებისა და პროგრამის მონახაზებიც, მაგრამ პარტიის ორგანიზაციული გაფორმება მაშინ ვეღარ მოხერხდა. ილია სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს და ახალ საქმეს მოჰკიდა ხელი იმ რწმენით, რომ ამ მაღალ ორგანოში დაიცავდა სრულიად საქართველოს ყველა წოდების ინტერესებს.

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შეხედულებას იმ დროის ეროვნული მოძრაობის დანიშნულებაზე მხარს უჭერდნენ იაკობ გოგებაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე და ქართველი ერის სხვა თვალსაჩინო შვილები.

4. რევოლუცია და დემოკრატიული ინტელიგენცია. 1905—1907 წლების რევოლუციაში აქტიურად მონაწილეობდა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია. მასწავლებლებს, სტუდენტობას და მოსწავლეებს, შემოქმედებითი დარგის მუშაკებს, სასულიერო პირებს რევოლუციის მთელ მანძილზე გლეხობასთან ერთად ავანგარდული პოზიცია ეკავათ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ რევოლუციურ შემართებას უპირატესად ეროვნული პრობლემა განსაზღვრავდა.

რევოლუციური ახალგაზრდობის გააქტიურებისათვის დიდი მუშაობა გასწია მასწავლებლობამ, რომელიც მოსწავლეებში ნერგავდა სოციალური უსამართლობისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებას. რეჟიმისადმი მკვეთრ სიძულვილთან ერთად, მასწავლებლობას საკუთარი, პროფესიული პრეტენზიები ჰქონდა: მას აწუხებდა, რომ განათლების ცარისტული სისტემა ეროვნული გადაგვარებისაკენ იყო მიმართული, რომ ბნელეთის მოციქულთა-იანოვსკების, ვოსტორგოვების, ლევიცკების ველიკოდერჟავული სისტემა ისევ ბატონობდა სკოლაში. ამასთან, მეტად მძიმე იყო მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა. მასწავლებლობა რევოლუციის პირველი დღიდანვე ჩადგა ბრძოლის ორგანიზატორთა რიგებში. ის მწყობრი, ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული პოლიტიკური მოთხოვნები, რასაც რევოლუციური ახალგაზრდობა მიტინგებზე და დემონსტრაციებზე აყენებდა, მასწავლებლობის მიერ იყო შემუშავებული. 1905 წ. მარტში შედგა ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა ყრილობა, რომელმაც მთავრობას წაუყენა მოთხოვნები დამფუძნებელი კრების მოწვევის, სიტყვის, სინდისის, ბეჭდვითი სიტყ-

ვის, კრებების, კავშირების და გაფიცვების თავისუფლების შესახებ, იმპერიაში ეროვნული და რელიგიური ჩაგვრის მოსპობის, პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიის შესახებ. ასეთივე ყრილობა 1905 წ. აპრილში ჩაატარა თბილისის გუბერნიის მასწავლებლობამ. რევოლუციაში მონაწილე მასწავლებელთაგან თავიანთი აქტიურობით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ქუთაისის ქართული გიმნაზიის დირექტორი იოსებ ოცხელი, თბილისის პირველი გიმნაზიის დირექტორი შიო ჩიტაძე, მესხეთის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი-ზედამხედველი მელიტონ კელენჯერიძე, ჭრებალოს სკოლის მასწავლებელი სამსონ ფრუიძე, სამურზაყანოს ქართული სკოლის პედაგოგი პეტრე ჭარაია, პედაგოგები მარიამ ორბელიანი, ივანე გამყრელიძე, სპირიდონ ნორაკიძე, ლადო ბზვანელი, ნიკო შიუკაშვილი, გიორგი ბოკერია და ათეულობით სხვები. ქართველი მასწავლებლობის დამსახურება იგრძნობოდა მოსწავლეთა რევოლუციურ აქტივობაშიც. ქუთაისის მოსწავლეებმა 1905 წ. იანვარში მოაწყვეს გაფიცვები და დემონსტრაციები. გუბერნატორის განკარგულებით სკოლებში მეცადინეობა შეწყდა. ამან მოსწავლეებში მეტი აღშფოთება გამოიწვია. მოსწავლე დემონსტრანტებს მოუხდათ შეტაკება პოლიციასა და მთავრობის ჯარებთან. 27 იანვარს გაფიცვა გამოაცხადა ბათუმის ვაჟთა გიმნაზიამ. მოსწავლეებმა სკოლის ეზოში ნაფლეთებად აქციეს იმპერატორ ნიკოლოზ მეორის პორტრეტი. მოსწავლე დემონსტრანტები შეეტაკნენ კაზაკთა რაზეს, რის შედეგადაც სისხლი დაიღვარა. ბათუმელ გიმნაზიელებს მხარი აუბეს თბილისის, სოხუმის, გორის, თელავის, სამტრედიის, ფოთის, ოზურგეთის, ხონის სასწავლებლებმა. მოსწავლეთა რევოლუციურმა ბრძოლამ საქართველოში საყოველთაო ხასიათი მიიღო.

რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდა ქართველი სტუდენტობა. პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, დერპტის, ხარკოვის, ოდესის, ყაზანის და სხვ. უმაღლეს სასწავლებლებში ქართველ სტუდენტობას თავისი სათვისტომოები ჰქონდა, რომლებიც აგრძელებდნენ 60-იანი წლებიდან ი. ჭავჭავაძის მიერ პეტერბურგის უნივერსიტეტში დანერგილ ტრადიციებს. ეს სათვისტომოები ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ნიშნით ჩაებნენ სარუსეთო სტუდენტურ მოძრაობაში და ბევრგან ავანგარდულ როლსაც ასრულებდნენ. მოსკოვში შეიქმნა ქართველ სტუდენტთა შეიარაღებული რაზმი, რომელიც რევოლუციის მესვეურებს იცავდა კონტრრევოლუციის ძალთა თავდასხმისაგან. ქართველი სტუდენტობა აქტიურად მონაწილეობდა ოდესის რევოლუციურ ცხოვრე-

ბაში. ამ ბრძოლას შეეწირნენ სტუდენტი ექვთიმე მუჯირი, ახალგაზრდა მეცნიერი საბა კლდიაშვილი, რომელიც მთავრობის მიერ დარბეულ ებრაელებს გამოესარჩლა. ოდესის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, რომელიც აჯანყებას მესვეურობდა, სათავეში ედგა ვ. შავდია. (გადასახლებიდან გაიქცა საზღვარგარეთ, სადაც 1912 წ. გარდაიცვალა). რევოლუციის აქტიური მონაწილენი იყვნენ ლ. ქიაჩელი, დავით პარკაძე და სხვ. ბევრმა ქართველმა სტუდენტმა რევოლუციის დაწყებიდანვე საზღვარგარეთის და რუსეთის სასწავლებლებიდან სამშობლოს მოაშურა, რათა მიეღო პრაქტიკული მონაწილეობა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. „რევოლუცია მოგვიხმობდა საგუშაგო პოსტზე გამოვცხადებულიყავით... სტუდენტები გამოვეთხოვეთ პავლოვსკის და მაკაროვის ლექსიკონებს, ვუნდტის და ბიუხერის ლექციებს და სამშობლოსაკენ გამოვეშურეთო" — იგონებს ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი გერონტი ქიქოძე, რომელიც იმ დროს სწავლობდა ლაიპციგის უნივერსიტეტში. სტუდენტები იარაღით ხელში მონაწილეობდნენ საბარიკადო ბრძოლებში.

რევოლუციაში აქტიურად მონაწილეობდა შემოქმედებითი ინტელიგენცია. ამ წრეში ავანგარდული პოზიცია მწერლებს ეკავათ. მწერლების ი. ევდოშვილის, მ. ჯავახიშვილის, ჭ. ლომთათიძის, ი. გომართელის, შ. დადიანის, ლ. ქიაჩელის, თ. სახოკიას, ი. ეკალაძის, ნ. აზიანის, ნ. კურდღელაშვილის, ნ. ჩხიკვაძის, შ. შარაშიძის, მარიამ დემურიას, ეკატერინე გაბაშვილის, ნინო ნაკაშიძის და სხვათა შემოქმედებითს ბიოგრაფიაში რევოლუციის წლებს განსაკუთრებული ადგილი უკავია და იგი განმსჭვალულია გამათავისუფლებელი მოძრაობისათვის თავდადების სულისკვეთებით.

რევოლუციური სულისკვეთების გაღვივებაში დიდ როლს ასრულებდა ქართული თეატრი, რომელიც არა მარტო სცენიდან აღაგზნებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს, არამედ საჭიროების შემთხვევაში ბარიკადებზე იდგა. მაგალითად, როდესაც ქუთაისს დარბევით ემუქრებოდა ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიცია, ქუთაისის თეატრი ლადო მესხიშვილის მეთაურობით მონაწილეობდა ბარიკადების აგებაში და შეიარაღებული იცავდა ქალაქს. თეატრის ქართველ მოღვაწეთა რევოლუციური მატიანის სახელოვანი ფურცელია ა. სუმბათაშვილ-იუჟინის შემოქმედება მოსკოვის მცირე თეატრში. მისი დრამა „ღალატი" სადაც მთავარ როლებს თვითონ სუმბათაშვილი (ოთარ ბეგი) და მ. ერმოლოვა (ზეინა-

ბი) განასახიერებდნენ, ქმნიდნენ სამშობლოსათვის თავგანწირული ბრძოლის ამაღელვებელ შთაბეჭდილებას, რაც მთელ დასსა და მაყურებელს აღაფრთოვანებდა და საბრძოლოდ განაწყობდა. ბარ-ჯანიშვილმა ამ პერიოდში რუსეთის სცენაზე დადგა რევოლუციური მგზნებარებით განმსჭვალული არაერთი სპექტაკლი. მოსკოვში იგი დაკავშირებული იყო ქართველ სტუდენტთა სათვისტომოსთან და მონაწილეობდა მიტინგებსა, დემონსტრაციებსა და პოლიციასთან შეტაკებებში: „მე გამალებით დავრბოდი მიტინგიდან მიტინგზე, გრიმს გრიმზე ვიცვლიდი და ყველგან მხურვალე სიტყვებით თვითმპყრობელობის ჩამოგდებისათვის მოვუწოდებდი ხალხს. თეატრში მოვაწყეთ მებრძოლი რაზმი, თუმცა მხოლოდ ერთადერთი რევოლვერი გვქონდა, და რამდენიმე ხმალი თეატრის რეკვიზიტიდან... ყველანი იქ გავჩნდებოდით, სადაც სროლა გაჩაღდებოდა მუშებსა და პოლიციას შორის" — იგონებს დიდი ქართველი რეჟისორი.

რევოლუციაში აქტიურად მანაწილეობდა მუსიკოსი ია კარგარეთელი, რომელიც გაზ. „ტალღას" რედაქტორობდა. რევოლუციის წლებში მისი თაოსნობით განხორციელდა ქართულად ოპერების „სეველიელი დალაქის" და „დემონის" დადგმა. ამ სპექტაკლების შემდეგ მაყურებელთა მიტინგები და დემონსტრაციები ეწყობოდა. რეაქციულმა ძალებმა ია კარგარეთელს ტერორი მოუწყეს, 1906 წ. 14 დეკემბერს ზურგიდან ესროლეს, მკვდარი ეგონათ და მიატოვეს. იგი შემთხვევით გადაარჩინა მეეზოვემ. რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილენი იყვნენ ქართველი მხატვრები გ. გაბაშვილი, ალ. მრევლიშვილი, ა. გოგიაშვილი, მ. თოიძე, გ. მესხი და სხვები.

რევოლუციაში მონაწილეობდა ქართველი სამღვდელოება. სასულიერო პირთა დაბალი ფენის რევოლუციური განწყობილება შეპირობებული იყო უპირატესად მისი მდგომარეობით, სოციალური სიდუხჭირით. სასულიერო პირთა ინტელექტუალურ ზედაფენას ეროვნული საკითხი აწუხებდა. რევოლუციაში მის მთავარ და ძირითად მოთხოვნას წარმოადგენდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, ბრძოლა იმ შოვინისტური, რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც სინოდის მსახურნი საეკლესიო უწყებაში ახორციელებდნენ. რევოლუციის წლებში არაერთგზის ჩატარდა სასულიერო მოღვაწეთა შეკრება ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის მოთხოვნით, დაიწერა მრავალი სტატია რეაქციის მოციქულ რუს სასულიერო პირთა ავაზაკურ საქმიანობაზე. სასულიერო ეროვნულ მოძრაობას მესვეურობდნენ ნ. ლომაია, კ.

ცინცაძე, გ. საძაგლიშვილი და სხვები. მათ ჰქონდათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საერო მოღვაწეთა აქტიური მხარ-დაჭერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის რევოლუციური თა-ობა აღზრდილი იყო სამოციანელთა ტრადიციებზე. ცარისტული რეჟიმის დამხობა და კოლონიური ჩაგვრისაგან საქართველოს გა-თავისუფლება მათი იდეალი იყო.

§ 4. საქართველო 1907—1917 წლებში

1. რეაქციის შეტევა. 1905 წ. დეკემბრის შეიარაღებული გა-მოსვლების მარცხის შემდეგ რევოლუცია მთელს რუსეთში შენელდა; მთავრობა თანდათან გადადიოდა შეტევაზე და რეპრესიული ღო-ნისძიებებით რევოლუციურ კერებს სპობდა. 1907 წ. 3 ივნისს ცარიზმმა გარეკა მეორე სახელმწიფო სათათბირო, რომელიც თა-ვისი ლიბერალური შეხედულებებით მთავრობის კურსს დაუპირის-პირდა. იმავე დღეს გამოქვეყნდა ახალი საარჩევნო კანონი, რომე-ლიც დემოკრატული მასის მოღვაწეობას სათათბირო ორგანოში გზას უღობავდა. 3 ივნისის გადატრიალება აღიარებულია რეაქ-ციის გაბატონების საწყისად. მთავრობის ახალი კურსის შე-მომქმედი და ორგანიზატორი იყო ადრე შინაგან საქმეთა მინისტრი, შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. სტოლიპინი. — ძლიე-რი და ენერგიული პიროვნება. ამ პერიოდს სტოლიპინის რეაქციის ხანასაც უწოდებენ.

ახალ კურსზე გადასვლის პერიოდში მთავრობამ გეზი აიღო რუ-სეთის იმპერიაში რევოლუციურ ორგანიზაციათა ამოძირკვაზე. სას-ტიკად უსწორებდნენ ანგარიშს აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეებს. მთავრობის საგანგებო სასამართლოებმა 4630 სასიკვდილო განა-ჩენი გამოიტანეს. ციხეები გაჭედილი იყო პოლიტიკური პატიმრე-ბით. ციმბირში, საკატორღო სამუშაობზე გზავნიდნენ ქვეყნის საუ-კეთესო შვილებს.

ცარიზმი ერთნაირის გააფთრებით უტევდა პოლიტიკურ მტრებს — („ნიჰილიზმს“) და ეროვნული დამოუკიდებლობის მესვეურებს — („სეპარატიზმს“). რუსეთის მთლიანობის და განუყოფლობის დაცვა ცარიზმს მუდამ მიაჩნდა პირველხარისხოვან ამოცანად. ამიტომ მის რეპრესიებს განაპირა — ნაციონალურ რაიონებში განსაკუთრებით მწვავე ხასიათი ჰქონდა. ცარიზმმა გააძლიერა დაწოლა განაპირა კოლონიურ რაიონებზე. შოვინისტურმა მისწრაფებებმა თავი იჩინე

სათათბიროს საარჩევნო დებულებაში. ბევრი განაპირა ეროვნული ზოლი არ მონაწილეობდა არჩევნებში იმის გამო, რომ თითქოს „მოქალაქეობა“ საკმაოდ განვითარებული არ ჰქონია. რეაქციის წლებში გაძლიერდა ამიერკავკასიის კოლონიზაცია. 1905—1910 წლებში რუსეთის სხვადასხვა ადგილებიდან 54 ათასი მცხოვრები ჩამოასახლეს. შავი ზღვის სანაპიროს საუკეთესო ადგილები ცარიზმმა რუს კოლონისტებს დაურიგა.

ცარიზმი მისთვის ჩვეული მეთოდებით ეწეოდა ამიერკავკასიის ეროვნებათა ურთიერთ-წაკიდებისა და წასისინების პოლიტიკას, რომელსაც საფუძვლად ედო ძველი რომაული პრინციპი „დაჰყავი და იბატონე“. მეფის ნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა გარკვეული მოსაზრებით მფარველობის ქვეშ აიყვანა სომხური ბურჟუაზია და მისი პარტია „დაშნაკცუთიუნი“. ცარიზმის სატრაპთა მხარდაჭერა ე.წ. „დიდი სომხეთის“ აღდგენისათვის ბრძოლაში სომეხ ნაციონალისტებს ამიერკავკასიაში უპირატესობის რწმენას უნერგავდა და აღუძრავდა იმის იმედებსაც, რომ დამოუკიდებელი სომხეთის ტერიტორია გაზრდილიყო თურქეთის სახელმწიფოში მოსახლე სომეხთა მიერთებით. ასეთი განწყობილების დანერგვამ წააქეზა შემდგომში თურქეთში სომეხთა ის საშინელი გენოციდი, რომელიც მსოფლიო ომში რუსეთის ჩაბმისთანავე დაიწყო და უამრავი ადამიანი იმსხვერპლა.

ვორონცოვ-დაშკოვი დემოკრატიულ ძალთა გულის მოგების მიზნით აქეზებდა ლიბერალურ მოძრაობას და კავკასიაში ერობათა შემოღების მომხრედ გამოდიოდა. საერობო რეფორმის საკითხებზე ეწყობოდა შეკრებანი. მაგრამ ამ კამპანიაში მალე იჩინა თავი შოვინისტურმა სულისკვეთებამ. მსხვილი ბურჟუაზიული პარტიები წინ აღუდგნენ საერობო დაწესებულებათა შემოღებას ამიერკავკასიაში.

ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკის საპირისპიროდ ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა ჯგუფმა სცადა გამოეყენებინა საერთაშორისო სამართლებრივი ღონისიძიებანი. 1907 წ. ჰაგაში შეიკრიბა მსოფლიოს სახელმწიფოთა მეორე კონფერენცია, რომელსაც 27 ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა. კონფერენცია მიზნად ისახავდა რიგ კონვენციათა შემუშავებას, რომელთაც საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა შეეზღუდა სახელმწიფოთა აგრესიული მისწრაფებანი. ამ კონფერენციას განსახილველად წარედგინა პეტიცია, რომელიც ვარლამ ჩერქეზიშვილის, მიხეილ წერეთლისა და გიორგი გვაზავას მიერ იყო შედგენილი და დადასტურებული მრავალრიცხოვან ქართველ მოღვაწეთა ხელმოწერით. პეტიცია მიუთითებდა, რომ რუსეთმა დაარღვია 1783 წლის ხელშეკრულება,

საქართველო ანექსირებულია, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგები. პეტიცია მოუწოდებდა კონფერენციას დახმარებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე.

პეტიციის ტექსტი ჰაგაში ჩაიტანა ვარლამ ჩერქეზიშვილმა. იგი დელეგატებს დაურიგდა 26 ივნისის სხდომაზე ბელგიელი პროფესორის იურისტ ერნსტ ნინსის დახმარებით. კონფერენციამ მოისმინა პეტიციის ტექსტი. აღძრული საკითხისადმი მრავალმა დეპუტატმა გამოთქვა სოლიდარობა, მაგრამ კონფერენციამ საბოლოოდ თავი შეიკავა ამ საკითხთან დაკავშირებით მიეღო რაიმე გადაწყვეტილება.

წარდგენილი დოკუმენტის მიმართ კონფერენციის განწყობილებას ჰქონდა სათანადო რეზონანსი, მაგრამ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკაში არავითარი ცვლილება არ მოჰყოლია. სწორედ ამ დროს მიმდინარეობდა ცარიზმის ინტენსიური ბრძოლა „ნიჰილიზმისა“ და „სეპარატიზმის“ წინააღმდეგ. ქართველი მოწინავე ინტელიგენცია მწვავე რეპრესიებს განიცდიდა, რის გამოც მან ვერ შეძლო გზა მიეცა ჰაგაში წარდგენილი დოკუმენტისათვის.

2. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველოს ცხოვრებაში ყველაზე ტრაგიკული აქტი იყო ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობა. 1907 წლის 30 აგვისტოს სოფ. საგურამოში საკუთარ მამულში თბილისიდან ეტლით მიმავალ ილიას წიწამურთან შუბლი გაუხვრიტეს, მეუღლე ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა მძიმედ დაჭრეს. ეს თავზარდამცემი ამბავი ქართველ ხალხს ამცნო გაზ. „ისარმა“. ცნობამ ელვის სისწრაფით მოიარა მთელი საქართველო, ყველგან ენით გამოუთქმელი მწუხარება და მრისხანება გამოიწვია.

ი. ჭავჭავაძის ცხედრის თბილისში გადმოსვენება დაინიშნა 7 სექტემბერს. იმ დღეს მთელი თბილისი გავიდა მცხეთა-თბილისის გზაზე. დიდძალი ხალხი საგურამოში გაემგზავრა და იქედანვე მოაცილებდა განსვენებულს. 7—8 სექტემბერს ილიას ცხედარი სიონის საკათედრო ეკლესიაში ესვენა. საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ დელეგატები. პანაშვიდები ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა თაოსნობით ეწყობოდა. სიტყვებით გამოდიოდნენ დამსახურებული საზოგადო მოღვაწენი.

დაკრძალვა კვირას, 9 სექტემბერს შედგა. დილის 8 საათიდან დაიწყო დეპუტაციათა თავმოყრა სიონთან. 11 საათზე ილიას კუბო სიონიდან გამოასვენეს ნ. ცხვედაძემ, ა. ფურცელაძემ, არტურ ლაისტმა, მეფის ნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა, გ. ბაგრატიონ-დავითაშვილმა, დ. ნიჟარაძემ და სხვებმა. პროცესიას თავში მიჰ-

ყვებოდა 30 საგურამოელი გლეხი, შემდეგ 185 დეპუტაცია სრულიად საქართველოდან, შემდეგ მგალობელნი და მათ უკან ზღვა ხალხი, იმ-ჟამინდელი გოლოვინის პროსპექტით ეს პროცესია გაემართა მთაწ-მინდისაკენ.

სიონის ტაძარში, ერევნის მოედანზე, გოლოვინის პროსპექტზე, მთაწმინდაზე წარმოითქვა მრავალი გამოსათხოვარი სიტყვა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო გამოსვლები ირ. ევდოშვილისა, ვაჟა-ფშაველასი, ვლასა მგელაძისა, ნ. ცხვედაძისა, მ. წერეთლისა, რ. ფანცხავასი და სხვათა, მაგრამ ყველაზე სხარტად ერის სატკივარი გამოთქვა ჭაღარა აკაკიმ. ილია ჭავჭავაძის დაკრძალვა მართლაც ეროვნული ერთობის გრანდიოზულ დემონსტრაციად იქცა. მთელმა ქართველმა ხალხმა არა მარტო დაიტირა მისი მამა და მოძღვარი, არამედ გულში ჩაიგუბა მრისხანება და სიძულვილი მკვლელობის ორგანიზატორთა მიმართ.

ძიებამ და სასამართლო პროცესმა მკვლელობის ოთხი აშკარა მონაწილე მაშინვე გამოავლინა და სიკვდილით დასაჯა. მართლმსაჯულებას დაემალა ამ ყაჩაღური თავდასხმის რამდენიმე სხვა მონაწილე. ერთი მათგანი — ბერბიჭაშვილი 1941 წ. იქნა გასამართლებული.

ი. ჭავჭავაძის მკვლელობა იყო ვერაგულად გამიზნული პოლიტიკური აქტი, მიმართული ქართველი ხალხის ეროვნული მთლიანობის წინააღმდეგ. „ილიას მტრებს რომ შეეძლოთ, საქართველოს მოჰკლავდნენ“ — მართებულად წერდა ვაჟა-ფშაველა. „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი“, — წერს გალაკტიონი, რითაც ხაზს უსვამს მკვლელობის ეპოქალურ ტრაგიკულ მნიშვნელობას. ქართველ საზოგადოებრიობას მუდამ აწუხებდა გაეგო, თუ ვისი ორგანიზაციული მეთაურობით განხორციელდა ეს ვერაგული აქტი. ბევრი დაიწერა მკვლელობის თაობაზე, ბევრი მოღვაწე იკვლევდა ამ საქმეს, მაგრამ დოკუმენტური მასალები მკვლელობის ორგანიზატორთა შესახებ დღემდე ვერ იქნა მიგნებული. ჩამოყალიბდა რამდენიმე ვერსია, რომლებშიც მკვლელობასთან დაკავშირებული ფაქტები და მოვლენები უპირატესად ლოგიკურ საფუძვლებზეა აგებული. პირველი ვერსიით ილიას მკვლელობის ორგანიზაცია მეფის ჟანდარმერიისა და ოხრანკის მიერ განხორციელდა. ამ ვერსიამ ყველაზე მეტი გავრცელება სოციალ-დემოკრატულ პარტიაში (მენშევიკები, ბოლშევიკები) ჰპოვა. მეორე ვერსია ი. ჭავჭავაძის მოკვლას ქართული სოციალ-დემოკრატიის მიერ ორგანიზებულ საქმედ მიიჩნევს. ამ ვერსიის უყოყმანოდ გაზიარებისათვის დოკუმენტური მასალა ჯერჯერობით არაა მიგნებული, თუმცა

დიდად ანგარიშგასაწევია ვერსიის ლოგიკური საფუძველი: სოციალ-დემოკრატები დაუნდობლად ებრძოდნენ ილიას, მათ ილიას ფენომენი მოჰკლეს მისსავე სიცოცხლეში, როცა „მოგზაურის ფურცლებზე" იგი სისხლისმსმელ მემამულედ გამოაცხადეს. „საუკუნის მკვლელობის" თაობაზე ძიებას ამჟამად ეწევა მთავრობის დონეზე შედგენილი საგანგებო კომისია.

3. პოლიტიკური პარტიები რეაქციის წლებში. რეაქციის წლებში მძიმე დარტყმა განიცადეს საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა.

რევოლუციის აქტიური მონაწილენი მთავრობამ ციხეებში გამოამწყვდია. „საშიშ ელემენტებს" ციმბირში კატორღულ სამუშაოზე ერეკებოდნენ. 1907 წ. ქუთაისის ციხე სავსე იყო პოლიტიკური პატიმრებით. ესენი იყვნენ ყვირილას, ზუგდიდის, ზესტაფონის, რაჭა-ლეჩხუმის „რესპუბლიკათა" მოთავენი, რომელთაც უმძიმესი სასჯელი ელოდათ. გადაწყდა მოეწყოთ პატიმართა გაქცევა ციხეში გარედან გვირაბის შეყვანით. ცნობილმა ნაროდნიკმა რევოლუციონერმა, შემდეგ ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის მოხელემ გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილმა შეიძინა სახლი, საიდანაც მიწისქვეშა გვირაბი უნდა მიეყვანათ ციხის იმ საკნამდე, სადაც სიკვდილმისჯილნი ისხდნენ. 1907 წ. 25 სექტემბერს ამ გვირაბით ქუთაისის ციხიდან გაიქცა 27 პატიმარი. მათ შორის იყვნენ შემდეგში ცნობილი მწერლები ლეო ქიაჩელი, დავით სულიაშვილი და სხვები. ქალაქის ჟანდარმერია და პოლიცია ფეხზე დადგა. ციხიდან გაქცეულთა ქუთაისიდან გასაპარებლად დაირაზმა მთელი ინტელიგენცია. ოპერაცია უსისხლოდ ჩატარდა.

მეფის ოხრანკამ 1906 წ. აღმოაჩინა არალეგალური სტამბა ავლაბარში, სადაც უპირატესად სოციალ-დემოკრატული (ბოლშევიკური) ლიტერატურა იბეჭდებოდა. ეს სტამბა თავისი კონსპირაციითა და მასშტაბით საგანგებო იყო მთელ რუსეთში. სტამბის ლიკვიდაციასთან ერთად მთავრობამ გააუქმა მემარცხენე მიმართულების გაზეთები. არსებობა შეწყვიტა გაზეთმა „ივერიამ", რომელიც მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ეწეოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდას.

რევოლუციის მარცხის შემდეგ ქართველი რევოლუციური ინტელიგენციის ერთი ნაწილი სასოწარკვეთილებას მიეცა და ნანობდა კიდეც, რომ იარაღს მოჰკიდა ხელი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკურ მიმართულებაში პარტიის ლიკვიდაციის განწყობილებამ დაისადგურა. მეტი თანმიმდევრობა გამოიჩინეს ბოლშე-

ვიკური მიმართულების პარტიელებმა, რომლებიც არალეგალური ბრძოლის ტაქტიკაზე გადავიდნენ.

ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია რეაქციის ძალადობ-
ბისათვის შესაბამისი მეთოდებით. რეაქციის მძლავრობის ხანაში
საქართველოში მემარცხენე მიმართულების ინტელიგენციის თაო-
სნობით 168 გაზეთი და ჟურნალი გამოიცა. მართალია, ამ გა-
მოცემათა უმრავლესობა მეტად დღემოკლე (ზოგჯერ თითო ნომერიც)
იყო, მაგრამ ეს იმის მოწმობაა, რომ ინტელიგენცია არ ჰყრიდა
ფარხმალს, — თუ ერთ გაზეთს ან ჟურნალს დაუხურავდნენ, მეორეს
სცემდა სხვა სახელწოდებითა და განახლებული შინაარსით. 1910
წელს დააპატიმრეს ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის
თვალსაჩინო წარმომადგენლები გ. ლასხიშვილი, გ. რცხილაძე,
ს. ფირცხალავა, ალ. მაღალაშვილი, ი. აღლაძე, ალ. ჯაბადარი,
მ. ჯავახიშვილი, ს. გრძელიშვილი, კ. ქავთარაძე, ე. ავალიშვილი,
მ. ხუციშვილი, ა. ჯაჯანაშვილი, გ. ქიქოძე, ს. მაჭავარიანი და
სხვები. მათ საქმეს მეტეხის ციხეში 7 თვეს იძიებდნენ. მთავ-
რობამ ხსენებულ პირთ ხუთი წლით აუკრძალა საქართველოში
ცხოვრება. მსჯავრდადებულთაგან ზოგმა შორეულ რუსეთს, ზოგმა
საზღვარგარეთს მიაშურა. დევნის გამო ემიგრაციაში 1906—10
წლებში ბევრი ქართველი მოღვაწე გადაიხვეწა. ისინი ცხოვრობდ-
ნენ ევროპის ქალაქებში, — პარიზში, ჟენევაში, ბერნში, ლაიპცი-
გში. ისმენდნენ ლექციებს უნივერსიტეტებში, თანაც აგრძელებდ-
ნენ საზოგადოებრივ საქმიანობას. ყველა ისინი განიცდიდნენ უმ-
ძიმეს მატერიალურ ხელმოკლეობას. სხვადასხვა პოლიტიკურ პარ-
ტიათა შორის იქაც მიმდინარეობდა ცხარე დისკუსიები, რაც უპი-
რატესად 1905—1907 წლების რევოლუციის გაკვეთილებს და სამო-
მავლო პროგრამას შეეხებოდა.

4. საზოგადოებრივი საქმიანობა 1907—1917 წლებში. ეროვნული
გათვითცნობიერების დიდ საქმეს ამ პერიოდში უპირატესად საქ-
ველმოქმედო ნებაყოფლობითი საზოგადოებანი ემსახურებოდნენ.
თავისი შემადგენლობით და კულტურულ ღონისძიებათა მასშტა-
ბურობით პირველი ადგილი ეკავა „ქართველთა შორის წერა-კით-
ხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომელსაც ილია ჭავჭავა-
ძის გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა გადამდგარი გენე-
რალი გიორგი ყაზბეგი.

გ ი ო რ გ ი ყ ა ზ ბ ე გ ი (1839—1921) იყო სახელოვანი
ქართველი მხედართუფროსი. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის
1877—78 წლების ომში, იყო ვარშავის, შემდეგ ვლადივოსტოკის

კომენდანტი. რუსეთ-იაპონიის ომისა და პირველი რევოლუციის წლებში თავის ლიბერალურ შეხედულებათა გამო ცარიზმის რისხვა დაიმსახურა და სამსახურიდან დაითხოვეს. ადრევე ჰქონდა მეცნიერული კვლევა-ძიებისადმი მიდრეკილება. მისი ნაშრომი ავჭალიხა და ლაზეთის ეკონომიკურ და გეოგრაფიულ აღწერილობათა შესახებ დიდი მოწონებით სარგებლობდა სპეციალისტთა წრეებში.

გიორგი სულითა და გულით შეუდგა მინდობილ საქმეს. მისი მეთაურობით „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" განათლების და სხვა ეროვნულ საქმეებში განახორციელა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი. საზოგადოებამ მის დროს განყოფილებანი შექმნა არა მარტო საქართველოს ყველა კუთხეში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც (ბაქო, განჯა, ჩრდილოეთ კავკასია და სხვ.), საზოგადოება ინახავდა 19 სკოლას, მის წიგნთსაცავში უკვე იყო 6000 მეტი ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი, დოკუმენტური წყაროები და მდიდარი ნუმიზმატური კოლექცია. იგი მოთავეობდა ქართული ეროვნული მუზეუმის სპეციალური შენობის აგებას.

1907 წ. 20 სექტემბერს შეიქმნა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. ამ ეროვნული დაწესებულების დაარსების თაოსანი და უცვლელი თავმჯდომარე ემიგრაციაში წასვლამდე იყო ექვთიმე თაყაიშვილი. საზოგადოებამ შემოიკრიბა ქართველ მოღვაწეთა ფართო წრე. დამფუძნებელ წევრთა შორის იყვნენ ა. წერეთელი, ნ. მარი, გ. პეტრიაშვილი, ა. ხახანაშვილი, ი. ჯავახიშვილი, ზ. ავალიშვილი, პ. მელიქიშვილი, ი. თარხნიშვილი, კ. აბაშიძე, დ. არაყიშვილი, ვ. ბარნოვი, ლ. ბოცვაძე, დ. კლდიაშვილი, გ. ლასხიშვილი, ნ. ლომოური, მ. დემურია, გ. გეხტმანი, გ. ზდანევიჩი, ს. მგალობლიშვილი, ი. და ნ. ნაკაშიძეები, თ. ჟორდანია, ი. ოცხელი, ლ. და თ. რაზიკაშვილები, ნ. ცხვედაძე და მრ. სხვები.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას საქართველოს ყველა კუთხეში ყავდა ენთუზიასტები, რომლებიც აგროვებდნენ მასალებს თავიანთი კუთხის ისტორიული წარსულის, ტრადიციების, თანამედროვე ყოფის შესახებ. საისტორიო საზოგადოებამ გამოსცა დიდი მეცნიერული ღირებულებათა შემცველი წიგნები, სადაც თავმოყრილია დოკუმენტური მასალა საქართველოს ისტორიაზე, მისი მდიდარი ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, მასალები ხალხურ ზნე-ჩვეულებათა შესახებ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში სისტემატურად მიმდინარეობდა მეცნიერული კამათი საქართველოს ისტორიის პრობლემებზე. „ეს იყო ჩვენი უნივერსი-

ტეტი და ჩვენი აკადემიაც“ — შენიშნავდა ამ საზოგადოების აქ ტიური წევრი, ცნობილი მეცნიერი კორნელი კეკელიძე.

1908 წელს აპრილში მოსკოვის უნივერსიტეტთან გაიხსნა „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“, რომელშიც სათავეში ჩაუდგა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი გიორგი ჟორდანია. წრემ კავშირი გააბა მოსკოვში მცხოვრებ ქართველ ინტელიგენციასთან. ამ წრეს სახსრები მოუმძლავრეს და სახელი გაუთქვეს მოსკოვში იმ დროს მოღვაწე ალ. სუმბათაშვილმა, ალ. ხახანაშვილმა, კ. მარჯანიშვილმა და სხვებმა. წრის თაოსნობით მოსკოვის საზოგადოებრიობამ 1912 წელს საგანგებო საზეიმო შეხვედრა მოუწყო აკაკი წერეთელს, წრეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მოსკოვის შემოქმედებითი ინტელიგენციის წამყვან ძალებთან. სისტემატურად ეწყობოდა ქართული კულტურის საღამოები. 1912 წ. იანვარში ამ წრის თაოსნობით მოეწყო ქართული კულტურის საღამო, რომელზედაც საგანგებოდ იყვნენ მიპატიჟებული ინგლისელი პარლამენტარები. საღამოს უძღვოდნენ ა. სუმბათაშვილ-იუჟინი, კომპოზიტორი იპოლიტოვ-ივანოვი და კოტე მარჯანიშვილი.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ“ 1912 წელს თბილისში დაიდო ბინა. გაფართოვდა წრის შემადგენლობა. მას სათავეში ჩაუდგა ახალი საბჭო გ. ჟორდანიას, დ. კასრაძის, რ. გაბაშვილის, დ. წითლანაძის და ს. გაბუნიას შემადგენლობით. თბილისში ეს საზოგადოება სისტემატურად მართავდა კრებებს, სამეცნიერო შეკრებებს, ხვდებოდა საქართველოში სტუმრად ჩამოსულ უცხო ქვეყნების მოღვაწეთ, მიზანსწრაფულად ეწეოდა ქართული კულტურის პროპაგანდას.

ნებაყოფლობით საქველმოქმედო საზოგადოებათა რაოდენობა თანდათან იზრდებოდა. ეროვნული კულტურის, ტრადიციების, სამომავლო პრობლემების ყველა დარგს უჩნდებოდა საგანგებო მზრუნველთა წრე. ისინი ცალკე საზოგადოებათა სახით ეწეოდნენ ეროვნულ მოღვაწეობას. 1916 წლისათვის ქართველ ინტელიგენციაში მომწიფდა ეროვნულ-კულტურულ ნებაყოფლობით საზოგადოებათა კავშირის შექმნის იდეა. 27-მდე ნებაყოფლობითი საზოგადოება საჭიროებდა ეროვნულ მოღვაწეობაში გაჩაღებულ საქმიანობათა კოორდინაციას. 1916 წ. 14 იანვარს შედგა კიდეც საზოგადოებათა კავშირის პირველი დამფუძნებელი კრება, რომელმაც სამოქმედო პროგრამა შეიმუშავა.

დიდმნიშვნელოვანი ეროვნულ-საგანმანათლებლო ღონისძიებას წარმოადგენდა სახალხო უნივერსიტეტების დაარსება. სახალხო უნივერსიტეტების შექმნის საკითხი ჯერ 1905 წელს აღძრა იაკობ

გოგებაშვილმა. 1907 წ. ილია ნაკაშიძის მეთაურობით საფუძველი ჩაეყარა „სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოებას“, რომლის თავმჯდომარეობა მიენდო ვასილ რცხილაძეს. თბილისის სახალხო უნივერსიტეტში იკითხებოდა ლექციები მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მაგალითად, 1907 წელსვე წაკითხულ იქნა 51 ლექცია 22 ლექტორის მიერ. 1909 წელს სახალხო უნივერსიტეტი გაიხსნა ქუთაისში. მისი დამაარსებელნი და გამგეობის პირველი წევრები იყვნენ პ. ყიფიანი, კ. აბაშიძე, ა. გარსევანიშვილი, ლ. ბაქრაძე და სხვ. ლექციებს კითხულობდნენ დ. უზნაძე, გ. ნათაძე, ალ. გარსევანიშვილი, გ. ნიორაძე, კ. შარაშენიძე, გ. ბადრიძე და სხვები. ლექციებს ასობით კაცი ესწრებოდა. ხშირად ეწყობოდა ლიტერატურული საღამოები.

სახალხო უნივერსიტეტები წარმატებით მუშაობდნენ აგრეთვე გორში, ბათუმში, სოხუმში, ჭიათურაში, ფოთში. დიდი პოპულარობით სარგებლობდა აგრეთვე „ავჭალის აუდიტორია“ და სახალხო თეატრები ნაძალადევსა და ავლაბარში, სადაც ქალაქის დემოკრატული მოსახლეობა იკრიბებოდა და ეწაფებოდა თვითგანვითარებას.

. **ეროვნული საკითხი და ეროვნული მოძრაობის ხასიათი 1907—1917 წწ.** რეაქციის წლებში სოციალ-დემოკრატები ისევ ერთობლივ ეწეოდნენ საქმიანობას, მაგრამ პრინციპული უთანხმოება ჰქონდათ პარტიის როლის, სათათბიროსთან დამოკიდებულების და სხვ. საკითხებზე, 1912 წლის იანვარში ბოლშევიკებმა პრაღაში მოიწვიეს კონფერენცია, სადაც დაადგინეს საბოლოოდ გაეწყვიტათ მენშევიკებთან იდეური და ორგანიზაციული კავშირი.

ამ პერიოდში სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაცხოველდა დისკუსიები ეროვნულ საკითხზე. პარტიის ორივე მიმდინარეობა ეროვნულ საკითხს, როგორც ცნობილია, სოციალურს უმორჩილებდა და წინა პლანზე არ აყენებდა, მაგრამ საკითხი დაისვა თვით ერის ცნების, მისი უფლებების, მომავალ რევოლუციაში მისი პერსპექტივების შესახებ.

ეროვნულმა ნიჰილიზმმა თავი იჩინა რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროშიც. ქართულ სოციალ-დემოკრატიას ამ ორგანოში ფართო გავლენა ჰქონდა. კარლო ჩხეიძე, ირაკლი (კაკი) წერეთელი, აკაკი ჩხენკელი, ევგენი გეგეჭკორი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრთის სხვა ქართველი დეპუტატები სათათბიროს ტრიბუნას ხშირად იყენებდნენ თავიანთი იდეოლოგიის საპროპაგანდოდ, მაგრამ იშვიათად დასცდებოდათ სიტყვა საქართველოს მძიმე კოლონიურ მდგომარეობაზე, ეროვნული ბრძოლის სამართლიანობასა და პოლიტიკური ავტონომიის აუცილებ-

ლობაზე. 1912 წლის დეკემბერში IV სათათბიროში საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით გამოვიდა სოციალისტ-ფედერალისტი დეპუტატი ვარლამ გელოვანი. მან გაბედულად აჩვენა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის არსი, რუს შოვინისტთა მისწრაფება იმპერიის სრული რუსიფიკაციისაკენ, მოიტანა დამპყრობთა მიერ ქართველი მოსახლეობის უმაგალითო დევნის და შევიწროების მაგალითები. ქართველმა სოციალ-დემოკრატმა დეპუტატებმა პოლიტიკური ავტონომიის ამ სამართლიან მოთხოვნას არა თუ დაუჭირეს მხარი, არამედ იგი გამოაცხადეს გაუმართლებელ სეპარატიზმად და ეჭვის ქვეშ დააყენეს თვით გელოვანის რწმუნებაც კი.

1910—14 წლებში ბოლშევიკებმა თავიანთი პროგრამა ეროვნულ საკითხში დახვეწეს და დააკონკრეტეს. პროგრამაში ხაზგასმით აღიარებულ იქნა „ერთა თვითგამორკვევა მის სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე". მაგრამ ეს დებულება თავისი შინაარსით ინტერნაციონალურ პრინციპებს უპირისპირდებოდა და პრაქტიკული განხორციელების მხრივ ფიქცია იყო. რადგან ბოლშევიზმის სხვა საპროგრამო დოკუმენტები გამოყოფის მიზანშეწონილობას ეჭვის ქვეშ აყენებდნენ და ამას კონკრეტულ-ისტორიული ვითარებით ხსნიდნენ. 1913 წ. პორონინოში შედგა რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის თათბირი, რომელმაც დაგმო ეროვნული საკითხში მენშევიკური პოზიცია, გამოაცხადა იგი „ნაციონალიზმის უკუფენად". ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ერთადერთ საშუალებად თათბირმა აღიარა ყველა ეროვნების მუშათა ინტერნაციონალური შეკავშირება და საერთო ბრძოლა ექსპლუატატორული სისტემის წინააღმდეგ. რეზოლუციაში, რომელიც ვ.ი. ლენინის მიერ იყო დაწერილი, ნათქვამია: „მუშათა კლასის ინტერესები მოითხოვს ამა თუ იმ სახელმწიფოს ყველა ეროვნების მუშათა შეერთებას ერთიან პროლეტარულ ორგანიზაციებად — პოლიტიკურ, პროფესიულ, კოოპერაციულ-საგანმანათლებლო და სხვა ორგანიზაციებად. სხვა და სხვა ეროვნების მუშათა მხოლოდ ასეთი შეერთება ერთიან ორგანიზაციებად პროლეტარიატს შესაძლებლობას აძლევს ძლევამოსილი ბრძოლა აწარმოოს საერთაშორისო კაპიტალისა და რეაქციის წინააღმდეგ, აგრეთვე ყველა ეროვნების იმ მემამულეების, ხუცებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების ქადაგებისა და მისწრაფებათა წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ ანტიპროლეტარულ მისწრაფებებს ჩვეულებრივ ატარებენ ნაციონალური კულტურის დროშით".

ეს რეზოლუცია თეორიულად ამართლებდა ყოველი ერის შიგნით სამოქალაქო ომს, ერთმანეთს უპირისპირებდა სხვადასხვა საზო-

გადოებრივ ფენებს და მათ შორის ანტაგონისტურ კლასობრივ ბრძოლას აცხადებდა რევოლუციის ძირითად დანიშნულებად. იგი არარაობად აქცევდა ერთა თვითგამორკვევის დებულებას, ადამიანთა საზოგადოებას მიიჩნევდა არა დამოუკიდებელ ეროვნულ ერთეულებად, არამედ კლასობრივად გათიშულ ჯგუფებად. ერის საერთო ინტერესები, ეროვნული კონსოლიდაცია, ეროვნული კულტურა შემტევ ნაციონალიზმად იყო გამოცხადებული.

ბოლშევიზმის ეროვნულ პროგრამას მიეძღვნა ვ. ლენინის არაერთი სტატია („კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე", „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ" და სხვ.) მარტო გაზ „პრავდაში" 1913 ეროვნული საკითხისადმი მიძღვნილი 400 სტატია გამოქვეყნდა. ლენინის დავალებით ნაციონალურ საკითხზე 1913 წ. თეორიული ნაშრომი შექმნა ი. სტალინმა („მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი"), სადაც მოცემული იყო ერის რაობის ახსნა და ეროვნულ მოძრაობათა შეფასება. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელ წრეებში ამ ნაშრომმა მოწონება ჰპოვა და იგი ათეული წლების მანძილზე თეორიულ დოგმად იქცა. სინამდვილეში ნაშრომი ერის საკითხში რაიმე მეცნიერულად ჭეშმარიტ ღირებულებებს არ შეიცავდა. იგი კლასობრივი პოზიციიდან, ცალმხრივად და დოგმატურად წყვეტდა ეროვნულ პრობლემას ყველა ქვეყნისათვის ერთი მოდელის მისადაგებით. ამიერკავკასიასა და საქართველოში ეროვნული საკითხის დაყენებაზე თეორიული წერილებით გამოდიოდნენ ფ. მახარაძე, ს. შაუმიანი და სხვები.

სოციალ-დემოკრატიის მეორე მიმართულება — მენშევიზმი ეროვნული საკითხის გაგებაში ამოდიოდა ავსტრიელი სოციალისტების ო. ბაუერის და კ. რენერის პრინციპებიდან. ერი მენშევიკებს მიაჩნდათ ადამიანთა კულტურულ ერთობად. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ეკონომიკური და ტერიტორიული ერთიანობა ძირითადად ნიშნებად არ იგულისხმებოდა. ამ თეორიული წანამძღვრების საფუძველზე ეროვნული საკითხის გადაწყვეტის მთავარ ფორმად აღიარებული იყო კულტურულ-ნაციონალური ავტონომია. თითოეულ მოქალაქეს, მისი ეროვნული წარმომავლობისა და საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, საკუთარი სურვილით შეეძლო ჩაწერილიყო რომელიმე ერის შემადგენლობაში. „ავტონომიის" საპროგრამო დებულებათა აქცენტი კულტურულ-ნაციონალურ ერთობაზე იყო გადატანილი. ეს პროგრამაც ეროვნული სუვერენიტეტის ჭეშმარიტ გაგებას უპირისპირდებოდა. ამასთან, იგი პრაქტიკულად განუხორციელებელი იყო. მაგალითად, ამიერკავკასიის სინამდვილეში, სადაც სხვადასხვა ეროვნული და ეთნიკური ერთე-

ულები შერეულად ცხოვრობდნენ და თითქმის ერთმანეთში იყვნენ ათქვეფილნი, ეროვნული საკითხი ტერიტორიული გამიჯვნის და სუვერენიტეტის აღდგენის გარეშე ვერ გადაწყდებოდა. ასევე ნავია ისიც, რომ სოციალ-დემოკრატიის მენშევიკურ მიმდინარეობაში ეროვნული საკითხის გამო აზრთა სხვადასხვაობაც შეიმჩნეოდა. ამ პარტიის ზოგი წევრი მოითხოვდა ქართულ სინამდვილეში ეროვნული საკითხის წინაპლანზე წამოწევას (ა. ჩხენკელი). ზოგი ავტონომიის საკითხსაც აყენებდა (ლ. დარჩიაშვილი და სხვ.).

ეროვნული საკითხის დაყენების ილია ჭავჭავაძისეულ ტრადიციებს აგრძელებდა და თავგამოდებით იცავდა ქართველ მოღვაწეთა ცალკე ჯგუფი, რომელიც ჟურნალების „კლდეს" „ერის", „საქართველოს" გარშემო იყო შემოკრებილი. ამ ჯგუფმა საზღვარგარეთაც საკუთარი ჟურნალ-გაზეთები გაიჩინა. ჯგუფის აქტიური მოღვაწენი იყვნენ ძმები ვ. და მ. წერეთლები, გ. გვაზავა, პ. სურგულაძე, მიხ. მაჩაბელი, რ. გაბაშვილი, გ. ვეშაპელი, სპ. კედია, ლ. და გ. კერესელიძეები და სხვები.

ეს მოღვაწენი ქართველ საზოგადოებრიობას მოუწოდებდნენ ებრძოლათ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენისათვის. მათს თეორიულ წერილებში დასაბუთებულია დამოუკიდებლობის კანონიერი უფლება, მისი სიკეთე ხალხის ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების აღორძინებისათვის. დამღუპველადაა მიჩნეული სოციალურად განსხვავებული საზოგადოებრივი ფენების ურთიერთდაპირისპირება და შინა ომი. ავტორებს მიაჩნიათ, რომ დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო კოლონიური რეჟიმის დამხობის შემდეგ თავისი საკანონმდებლო ორგანოს მეშვეობით გადაწყვეტს სოციალურ კონფლიქტებს და საზოგადოების ყველა კლასს თუ ფენას შეუქმნის განვითარების შესაძლებლობას. 1913—1914 წლებში ეს მიმართულება საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოირჩეოდა თავისი ეროვნულ — პატრიოტული სულისკვეთებით და მომწიფებული იყო დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად გაფორმებისათვის. ეს დროებით შეაფერხა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ.

6. პირველი მსოფლიო ომი და საქართველო. 1914 წლის აგვისტოში დაიწყო მსოფლიო ომი, რომელშიაც ჩაბმული აღმოჩნდა 33 ქვეყანა. ეს ქვეყნები შემოკრებილი იყვნენ ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული დაჯგუფების გარშემო: 1. გერმანია, ავსტრია, უნგრეთი, თურქეთი, ბულგარეთი; 2. ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვ.

გერმანიის იმპერიული ძალების წაქეზებით თურქეთი ომში ჩა-

ება 1914 წ. ოქტომბერში, პანთურქისტული წრეების ომში წარმატებას უნდა მოჰყოლოდა ოტომანთა „დიდი იმპერიის“ აღდგენა, მასში ამიერკავკასიის, ყირიმის, კავკასიელთა მთიელი ტომების, ალეოლოჟიეს, თვით შუა აზიის გაერთიანებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის ფრონტზე სამხედრო ოპერაციები 1914 წ. ოქტომბერში დაიწყო. თურქეთის ჯარებმა შეუტიეს არზრუმის, ოლთისისა და ერევნის მიმართულებით. დეკემბერში თურქთა ჯარებმა წამოიწყეს დიდი შეტევა ოლთისის რუსთა დაჯგუფების გასანადგურებლად. ძირითადი ბრძოლები მიმდინარეობდა სარიყამიშში 10—22 დეკემბერს. „სარიყამიშის ოპერაცია“ დასრულდა თურქთა სასტიკი დამარცხებით. თურქეთის წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში წარმატებით იბრძოდნენ ქართველი მეომრები. საქართველოს იმ დროს რჩეული ოფიცრობა ჰყავდა. (მაგალითად, სარიყამიშის ოპერაციაში თურქთა ერთი დივიზია გაანადგურა გენერალ-მაიორ გაბაშვილის რაზმმა).

სარიყამიშის შემდეგ ომმა კავკასიის ფრონტზე მიიღო პოზიციური ხასიათი. ომის წლებში ერთა შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა და ეროვნული საკითხი გააქტიურდა. რუსული შოვინისტური და პანთურქისტული ექსპანსიური წრეები ერთნაირი მონდომებით და მიზანსწრაფულად ეწეოდნენ ანტიქართულ საქმიანობას. რუსმა შოვინისტებმა განგებ ასტეხეს განგაში ამ ომში აჭარელი მოსახლეობის ვითომცდა თურქოფილური განწყობილების შესახებ. ეს იყო ბოროტი ცილისწამება. სინამდვილეში აჭარის მოსახლეობამ თავისი წვლილი შეიტანა პანთურქიზმის ლიდერთა ავანტიურისტული გეგმების ჩაშლაში. აჭარის ინტელიგენტური წრეები ჰაიდარ აბაშიძის, გულო კაიკაციშვილის, რეჯებ ნიჟარაძის, სახიფ-ეფენდი მეხეშიძის, რ. დიასამიძის, ო. გურგენიძის, ა. მიქელაძის, ყედემ-აღა ზაქარიაძის და სხვათა შემადგენლობით ენერგიულად იბრძოდნენ, რათა მოსახლეობაში გაექარწყლებინათ ხოჯებისა და მოლების ისლამისტური საქმიანობა და აჭარა მკვიდრად შემოეყვანათ ქართული ეროვნული ინტერესების სფეროში. თურქი დამპყრობლები თავის მხრივ სისტემატურად აწყობდნენ თავდასხმებს მესხეთ-ჯავახეთის და აჭარის მიწა-წყალზე, ჟლეტდნენ მოსახლოებას, ანგრევდნენ და აპარტახებდნენ სოფლებს. ქართველი ხალხი აჭარელ თანამემამულეთა დასახმარებლად ენერგიას და სახსრებს არ იშურებდა.

ომის წლებში გარე მტრული ძალები-რუსეთიც და ოსმალეთიც ხელს აფათურებდნენ აფხაზეთის საქმეებში. რუს შოვინისტებს აფხაზეთი გამიზნული ქონდათ კოლონისტთა დასასახლებლად და

ყოველმხრივ ცდილობდნენ ადგილობრივი მოსახლეობა განეწყოთ რუსული სულისკვეთებით, ამოეძირკვათ აქ აფხაზ-ქართველთა ისტორიული მეგობრობა და კულტურული ერთობა. რუსიფიკატორულ პოლიტიკაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ რუსული კლერიკალური წრეები, რომლებიც ცდილობდნენ სოხუმის ეპარქია მიეერთებინათ ყუბანისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქეთის ხელისუფლება აგენტებს გზავნიდა აფხაზეთში. შეძლებულ მემამულეებს აღუთქვამდა დიდ პრივილეგიებს, თუ ისინი დაეხმარებოდნენ აფხაზეთიდან რუსეთის გამოდევნასა და ამ მხარის თურქეთისათვის მიერთებაში. ზოგი აფხაზი ნაციონალისტი აჰყვა კიდეც პანთურქისტულ პროპაგანდას.

აფხაზეთში მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობაზე რუსული შოვინისტური და პანთურქისტული ხასიათის მცდელობანი გავლენას ვერ ახდენდა. აფხაზი და ქართველი ხალხების ისტორიული ერთობის, ძმური ურთიერთობის გაფართოვებისათვის იბრძოდნენ სახალხო მასწავლებელი ა. ლოგუა, პ. ძიგუა, ს. ქარდავა, ი. ჩამაღუა, პ. გეგელია, ა. ჩოჩუა და სხვები. 1916 წ. მიწურულში თბილისს ეწვია და კავკასიის მეფისნაცვალს წარუდგა აფხაზეთის დეპუტაცია, რომელშიც შედიოდნენ აფხაზი ინტელიგენციისა და გლეხობის წარმომადგენლები მ. შარვაშიძე, ა. შარვაშიძე, მ. ემხვარი, ა. ინალიფა, პ. ანჩაბაძე, ბ. ეზუხბაია, ა. ჩუკბარი და სხვები. მათი მოთხოვნები ითვალისწინებდა აფხაზეთის კეთილმოწყობას, სწავლების შემოღებას ქართულ და აფხაზურ ენებზე, სოხუმის ცალკე გუბერნიის შექმნას, და თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, მის შეყვანას ქუთაისის გუბურნიაში, სოხუმის ეპარქიის საქართველოს ეკლესიასთან შესისხლხორცებას და სხვ. ეს მოთხოვნები რუს შოვინისტთა ღონისძიებებს უპირისპირდებოდა. ქართველმა ინტელიგენციამ სასურველ სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყო.

ომის წლებში საქართველოს ებრაულ მოსახლეობაში რუსი და ებრაული ნაციონალისტების წაქეზებით დაიწყო სიონიზმის პროპაგანდა. სიონისტები (ქუთაისში რაბინი ელუაშვილი და სხვ.) წინა პლანზე წევდნენ სარწმუნოებრივ ფანატიზმს და ქადაგებდნენ ქართული ეროვნული სხეულისათვის ებრაული ეთნოსის უცხოურობას. მათ ღირსეული პასუხი გასცეს თვით ქართველი ებრაული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა (დავით ბააზოვი, მ. ხანანაშვილი და სხვ.), რომლებმაც დიდძალი ფაქტიური მასალით ცხადყვეს ქართველთა და საქართველოში მოსახლე ებრაელთა ხანგრძლივი ისტორიულ-კულტურული ერთობა. საქართველო მათ სამშობლოდ, ხოლო ქართველი ხალხი მეგობრად და ძმად აღიარეს.

XX ს. პირველ ოცწლეულში თანდათან ტოვებდა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა უფროსი თაობა. 1912 წ. პირველ ივნისს გარდაიცვალა იაკობ გოგებაშვილი. მისი დაკრძალვა ნამდვილ სახალხო გლოვად იქცა. ერის დიდ მოამაგეს, ქართული ენის ამაგდარ ქომაგს, დაუცხრომელ მებრძოლს საქართველოს პროგრესისათვის სამუდამო განსასვენებელი ხალხმა მიუჩინა მთაწმინდაზე.

1913 წ. გარდაიცვალა არჩილ ჯორჯაძე. საზოგადოებრიობამ დიდი გულისტკივილით დაიტირა ეს უანგარო და უნიჭიერესი პატრიოტი მოაზროვნე. ეროვნული მოღვაწისადმი ხალხის ღრმა პატივისცემა ჩაქსოვილია თბილისელ მუშათა იმ გვირგვინში, რომელიც დიდუბის პანთეონში დღესაც ამკობს განსვენებულის საფლავს.

1915 წ. 25 იანვარს სოფ. სხვიტორში სამუდამოდ დადუმდა აკაკის ქნარი. სახალხო პოეტი, რომელსაც ქვეყნის „უგვირგვინო მეფის“ ტიტული ჰქონდა მინიჭებული, დიდი პატივით დაკრძალეს მთაწმინდაზე. გამოსათხოვარ სიტყვაში აკაკის თანამებრძოლმა და თანამოაზრე ნიკო ნიკოლაძემ პოეტისა და მოღვაწისადმი ერთსულოვანი თანაგრძნობა ეროვნული მთლიანობის გამოხატულებად შეაფასა და ინტელიგენციას მიანიშნა კიდეც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბების დროულობაზე.

1915 წელსვე წმინდა ნინოს სახელობის ლაზარეთში (ახლა უნივერსიტეტის 86-აუდიტორია) გარდაიცვალა ქართული პოეზიის არწივი — ვაჟა ფშაველა „ჯერ კიდევ არ გაცივებულა დიდებული აკაკის საფლავი, რომ ჩვენი პოეზიის საკურთხეველზე ჩაქრა მეორე ბრწყინვალე ლამპარი, ის ლამპარი ფშავ-ხევსურეთის მწვერვალთაგან უხვ ნათელს ფენდა მთელ საქართველოს. გაფრინდა „მთის არწივი“. ვაჟა მოგვიკვდა ფშაველა!“ — თქვა გამოსათხოვარ სიტყვაში კორნელი კეკელიძემ.

კ. კეკელიძე ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო ინტელიგენციის იმ ახალი თაობისა, რომელიც XX საუკ. პირველ ათწლეულის მიწურულსა და მეორე ათწლეულის დამდეგს გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე. ეს ახალი ინტელიგენცია, უპირატესად დაბალი ფენებიდან გამოსული, შეეცადა აღედგინა და აეღორძინებინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ილიასეული იდეალები. ეს ინტელიგენცია დარაზმული იყო ჟურნალებისა და გაზეთების „კლდის“, „იმერეთის“, „საქართველოს“, გარშემო. სამოღვაწეო ფილიალები ჰქონდა მას საზღვარგარეთაც-ჟენევაში, ლონდონში, ბერლინში, კონსტანტინეპოლში.

მსოფლიო ომის დაწყებამ ამ თაობის წინაშე პრაქტიკულად დააყენა სამშობლოს მომავალი ბედ-იღბალის საკითხი. რუსეთის ბოლშევიკურმა პარტიამ წამოაყენა პროგრამა, რომელიც მოითხოვდა ბრძოლას საკუთარი ქვეყნის მთავრობის წინააღმდეგ, მსოფლიო ომის გადაქცევას სამოქალაქო ომად ყველა მეომარ ქვეყანაში და მონარქიული რეჟიმის მოსპობის შემდეგ დემოკრატიული წყობილების დამყარებას. ამ ლოზუნგს როგორც ანტიპატრიოტულს, რუს ხალხში გავლენა არ ჰქონია. რუსეთის ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა იდგა „ობორონცულ", ე.ი. საკუთარი მთავრობის დახმარების პოზიციაზე. ასეთივე თვალსაზრისზე იდგნენ ძირითადად მენშევიკი სოციალ-დემოკრატებიც.

ეროვნულ პოზიციაზე მდგომი მოღვაწენი ომში რუსეთის ცარიზმის მარცხის შესაძლებლობას რომ ითვალისწინებდნენ, ზრუნავდნენ საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენისთვის გარეშე ძალთა მისამხრობად. ორიენტაცია მათ გერმანიასა და თურქეთზე აიღეს. სწორედ ამ პერიოდში დაიბეჭდა კონსტანტინეპოლში პეტრე სურგულაძის წიგნები საქართველოს სუვერენიტეტზე, სადაც მოცემული იყო დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო უფლებრივი და ეკონომიკური დასაბუთება. კონსტანტინეპოლშივე შეიქმნა ე.წ. „დადიანის კომიტეტი", რომელიც ორგანიზაციულად ამზადებდა თავისუფალ საქართველოს. მისი ჩარევით ქართველ ტყვეთაგან იქმნებოდა საჯარისო ნაწილები, რომელთაც უნდა ეომათ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. „ეროვნული კომიტეტის" შექმნის ცდა, როგორც ვთქვით, იყო თბილისშიც. ამ საქმეს მოთავეობდა გ. მაჩაბელი, მაგრამ ჟანდარმერიის მკაცრი თვალთვალის ვითარებაში ეს წამოწყება ვერ განხორციელდა.

გ. მაჩაბელი არალეგარულად რუსეთშიც გაემგზავრა და იქ მოსწავლე ქართველ სტუდენტობაში ეწეოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროპაგანდას. სტუდენტობაში ჩანს, ჭარბობდა სოციალ-დემოკრატიული გავლენა, ამიტომ გ. მაჩაბელის მცდელობას მაშინ წარმატება არ მოჰყოლია.

7. 1917 წლის თებერვლის დემოკრატული რევოლუცია. 1917 წ. თებერვალში რუსეთში განხორციელდა რევოლუცია, რომელმაც დაამხო თვითმპყრობელობა და პირველად ქვეყნის ისტორიაში, ხელისუფლების სათავეში გზა გაუხსნა ხალხის წარმომადგენლობას. ეს რევოლუცია მოხდა უეცრად, პეტროგრადის სამხედრო გარნიზონის ჯარისკაცთა თაოსნობით, ისე, რომ არცერთი პარტია ასეთი გადატრიალებისათვის შემზადებული არ ყოფილა. მას არავინ ელოდა, არავინ ამზადებდა. რევოლუციის მოულოდნელი წარმატების

შემაპირობებელი იყო პირველ მსოფლიო ომში ცარისტული რეჟიმის ზედიზედ მარცხი და ომისაგან გამოწვეული სამეურნეო ნგრევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციის გამარჯვებისთანავე ახალი ხელისუფლების ორგანიზაცია არჩევით პრინციპებზე ითავეს ჯარისკაცებმა და მუშებმა. შედგა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, სადაც დეპუტატთა უმრავლესობა შედგებოდა სოციალ-დემოკრატიული და სოციალისტ-რევოლუციური პარტიების წარმომადგენელთაგან. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთერთი ლიდერი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე.

ახალი ხელისუფლების ორგანიზაცია თავის მხრივ ითავა IV სახელმწიფო სათათბიროს გავლენიანი პარტიების მესვეურთა მცირე ჯგუფმა. პეტროგრადში შეიქმნა დროებითი მთავრობა გ. ლვოვის თავმჯდომარეობით. მასში შევიდნენ კადეტური და ოქტიაბრისტული პარტიების წარმომადგენლები პ. მილიუკოვი, ა. გუჩკოვი, ა. კონოვალოვი და სხვები. დროებითმა მთავრობამ ხელში აიღო სახელმწიფოს მართვა. საბჭოებმა მთავრობაზე კონტროლის ფუნქცია იკისრეს, თუმცა რევოლუციის შემდგომ მოვლენათა მსვლელობაში წამყვან როლს სწორედ საბჭოები ასრულებდნენ.

რევოლუცია საქართველოში კიდევ უფრო მოულოდნელი იყო, ვიდრე რუსეთში. ახალმა მეფის ნაცვალმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვმა და მისმა უმაღლესმა მოხელეებმა 28 თებერვალს უკვე იცოდნენ პეტროგრადში განხორციელებული გადატრიალების შესახებ, მაგრამ ყველა ზომას იღებდნენ, რომ ეს ცნობა ხალხისათვის დაემალათ და მხარეში სიმშვიდე შეენარჩუნებინათ.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის კომიტეტს პეტროგრადიდან ამავე პარტიის წევრმა გოგიტა ფაღავამ დეპეშით აცნობა: „მთავრობაძე გარდაიცვალა, შეატყობინეთ ნათესავებს და ნაცნობებსო“. სოციალ-დემოკრატიულ წრეებში შემდეგ არცთუ უსაფუძვლოდ ხუმრობდნენ: „რევოლუცია ფოსტით მივიღეთო“.

4 მარტიდან პრესაში დაიწყო პეტროგრადის მოვლენათა ფართოდ გაშუქება. ამბავი მოედო წარმოება-დაწესებულებებს, ქუჩას. თბილისი საზეიმო მიტინგებისა და მანიფესტაციების ქალაქად იქცა.

ახალი ხელისუფლების ორგანიზაციას საქართველოში სათავეში ჩაუდგა სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტია. 4 მარტს ღამით თბილისის სახალხო სახლში შეიკრიბა მუშათა წარ-

მომადგენლობა. აქ აირჩიეს თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭო ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით. საბჭოში უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დაიკავა. მალე თავიანთი საბჭო შექმნეს თბილისის გარნიზონის ჯარისკაცებმაც. ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში, რომელსაც ვერეშჩაკი თავმჯდომარეობდა, გაბატონებული პოზიცია სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერები) პარტიამ მოიპოვა. განხორციელდა ქალაქის მმართველობის არჩევნები. ქალაქის ახალ თვითმმართველობას სათავეში მოექცნენ ნ. ჟორდანია, ხატისოვი და რუსი ოფიცერი პოპოვი.

ამიერკავკასიის მართვის რწმუნებით დროებითმა მთავრობამ შექმნა განსაკუთრებული კომიტეტი („ოზაკომი") კადეტ ვ. ხარლამოვის თავმჯდომარეობით. ქართველთაგან ამ ორგანოში შედიოდა კიტა აბაშიძე, მაგრამ პრაქტიკული მონაწილეობა არ დასცალდა, მალე გარდაიცვალა. მის ნაცვლად „ოზაკომში" წევრად შეიყვანეს IV სახელმწიფო სათათბიროს წევრი აკაკი ჩხენკელი. 18 მარტს „ოზაკომი" თბილისში შეუდგა პრაქტიკულ მოღვაწეობას. საბჭოებმა თავისთვის ფორმალურად მოიტოვეს კონტროლის ფუნქცია, თუმცა არსებითად რეალური ძალა-უფლება მათ ხელთ იყო.

§ 5. ქართული კულტურა 1900—1917 წლებში

1900—1917 წლებში, თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობამდე ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში ადგილი არ ჰქონდა არსებითი ხასიათის ცვლილებას; ქვეყანა კვლავ ცარიზმის კოლონიურ ჩაგვრას განიცდიდა. ამ ჩაგვრის წინააღმდეგ საუკუნის დამდეგიდან გააქტიურებულმა ბრძოლამ, როგორც ვნახეთ, მარცხი განიცადა; ამან ინტელექტუალურ სფეროში გამოიწვია ერთგვარი მოდუნება. ასევე მოდუნებით, შეუმჩნევლად, ეფექტების გარეშე მიმდინარეობდა სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროცესიც.

ისტორიული ცხოვრების საერთო მიმართულება განსაზღვრავდა კულტურის შინაარსს, მის ხასიათს, დანიშნულებას. ქართული კულტურა ძირითადში აგრძელებდა წინა საუკუნეში აღებულ გეზს, იგი ეროვნულ — გამანთავისუფლებელი იდეალებით სულდგმულობდა და თავის მოწოდებას ხალხის განათლებასა და გათვითცნობიერებაში, მამულიშვილური გრძნობების გაღვივებასა და მჩაგვრელი რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხებისათვის შემზადებაში ხედავდა.

კულტურის საერთო ნაკადს XX საუკუნის დამდეგიდან შეერია

ახალი მიმართულება, რომელიც ეროვნულ ფენომენს, ისე როგორც სხვა საკაცობრიო სულიერ ღირებულებებს, კლასობრივ და პარტიულ პრინციპებს უმორჩილებდა. კლასობრივი მიდგომით ეროვნერის გათიშვა ნეგატიურ როლს ასრულებდა მის განვითარებაში ქართველ გამოჩენილ მოღვაწეთა მიერ შექმნილი ღირებულებანი ეროვნული პროგრესის დანიშნულებით იყო განმსჭვალული და კლასობრივ გათიშვას არ ექვემდებარებოდა.

ცარიზმი საქართველოში, ისე როგორც სხვა განაპირა კოლონიურ რაიონებში, ზღუდავდა სახალხო განათლებას. განსაკუთრებით ებრძოდა ეროვნულ სკოლებს. 1901—1902 წლებში თბილისის გუბერნიაში არსებობდა 197 დაწყებითი სკოლა, ქუთაისის გუბერნიაში — 223. ეს მეტად მცირე რაოდენობა იყო. სასკოლო ასაკის ბავშვთა 67 პროცენტი სკოლის გარეთ იყო დარჩენილი. თითზე ჩამოსათვლელი იყო საშუალო სკოლები. მთავრობის მიერ თბილისში, ქუთაისში და ბათუმში გახსნილ გიმნაზიებში სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. 1907 წლის მონაცემებით საქართველოში წერაკითხვის მცოდნე იყო მამრობითი სქესის მოსახლეობის 37,8 პროც. ქალთა — 23,6 პროცენტი. 1912—14 წლებში სახალხო განათლების კერები შედარებით მომრავლდა, მაგრამ ხალხის მოთხოვნას მაინც ვერ აკმაყოფილებდა. მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ სახალხო განათლების საქმე, ისე როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, დაქვეითებით ხასიათდებოდა.

XX ს. პირველ ოცწლეულში წინ წავიდა მშობლიურ ენაზე წიგნის გამოცემის საქმე. 1900—1920 წლებში 3000-ზე მეტი ქართული წიგნი გამოიცა. გამრავლდა და გამრავალფეროვნდა ქართული პრესა. ყველა პოლიტიკურ პარტიას ჰქონდა თავისი ბეჭდვითი ორგანო. ცარიზმის ბატონობის ხანაში ცენზურის მკაცრი ზედამხედველობის ვითარებაში ბევრ ჟურნალსა და გაზეთს ხანგრძლივი არსებობა არ ეწერა, მაგრამ საზოგადო მოღვაწენი მაინც ახერხებდნენ შეცვლილი სახელწოდებით განეახლებიათ აკრძალული გამოცემანი და მკითხველთან მუდმივი კავშირი ქონოდათ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ავანგარდში კვლავ იდგა ქართული მხატვრული ლიტერატურა, რომელიც აგრძელებდა კრიტიკული რეალიზმის იმ იდეურ-მხატვრულ გზას, XIX ს. 60-იანი წლებიდან რომ დაიდო სათავე. ამასთან სინამდვილის რეალისტურ ასახვაში მკვიდრდებოდა გამომსახველობის ახალი ფორმები და საშუალებანი.

XX ს. პირველ ათწლეულში შემოქმედებითს ასპარეზზე კვლავ ომახიანად ისმოდა ხმა თერგდალეულთა მიმდინარეობის მხცო-

ვანი მწერლებისა, რომლებიც ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობის ახალ თაობას გვერდით ედგნენ და ამხნევებდნენ. ი. ჭავჭავაძემ XX საუკუნის დამდეგს „ივერიის“ ფურცლებზე XX საუკუნეს მიუძღვნა მეთაური წერილი, სადაც გადმოშალა ახალი ეპოქის შინაარსი და დანიშნულება. მხცოვანი მოღვაწე ამ დროიდან საზოგადოებრივი საკითხებით იყო დაკავებული და ტრაგიკულ აღსასრულამდე მოუღლელად იცავდა მშობლიური ხალხის ინტერესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში თვალსაჩინოა ა. წერეთლის შემოქმედებითი აქტივობა. ჭაღარა მგოსანი სულითა და გულით ახალგაზრდა მებრძოლი თაობის გვერდით იდგა და ქადაგებდა, რომ გარეშე მტერთან ბრძოლაში შინაგან ძალთა მთლიანობა არ დარღვეულიყო. ამავე იდეებით იყო განმსჭვალული ი. გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ნ. ნიკოლაძის და სხვა თერგდალეულთა შემოქმედება და პრაქტიკული მოღვაწეობა.

1900—1917 წლებში სიტყვაკაზმულ მწერლობას ემატებოდნენ ახალი თაობები, რომელთაც შემოქმედებითი სიახლე და მრავალფეროვნება მოქონდათ. XIX ს. 80-იანი წლების დამწყები შემოქმედნი — შ. არაგვისპირელი, ვასილ ბარნოვი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, ეროდიონ ევდოშვილი და სხვები XX ს. დამდეგისათვის უკვე ცნობილი მწერლები იყვნენ, რომელთაც არაერთი მხატვრული ქმნილებით გაამდიდრეს ახალი ეპოქის ქართული ლიტერატურა.

კრიტიკული რეალიზმის ახალ ეტაპზე გარდამავალი პერიოდის მწერლობაში ყველაზე თვალსაჩინო შემოქმედია დავით კლდიაშვილი. უბადლო სატირულ-იუმორისტული ნიჭით დაჯილდოვებული მწერალი მხატვრულ მემატიანედ მოევლინა იმდროინდელ ქართულ სინამდვილეს. მეფის ოფიცერი დავითი რევოლუციონერთა მხარეზე იდგა, შეუპოვრად ებრძოდა რუს შოვინისტებს აჭარაში, რის გამოც სამხედრო სამსახურიდან დაითხოვეს.

„მესამე დასის“ პოლიტიკურმა იდეოლოგიამ აიყოლია შემოქმედთა ფართო ჯგუფი, რომელთა ინტენსიური მოღვაწეობა 1900—1907 წლებში გაიშალა (ჭ. ლომთათიძე, გ. ქუჩიშვილი, ნ. ჩხიკვაძე, ვ. რუხაძე, ი. გომართელი, და სხვ.). მათს შემოქმედებას მართალია აკლდა მხატვრული სრულყოფილება, მაგრამ მოჭარბებული ჰქონდა რევოლუციური პათოსი, არსებული რეჟიმისადმი შეურიგებლობის სულისკვეთება.

რევოლუციის წლებში ქართული ლიტერატურა გამდიდრდა იდეურ-თემატურად, ჟანრობრივად. შემოქმედთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან შალვა დადიანი, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთ-

ქიფანიძე. შ. დადიანის მინიატურებმა და მოთხრობებმა ყურადღება მიიქციეს XIX ს. 90-იანი წლებიდან. XX ს. დამდეგიდან ფართოვდა მწერლის დიაპაზონი. მის დრამატულ ...ში აისახა ქართველი ხალხის ბრძოლა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის. მანვე შექმნა დიდი ისტორიულ-მხატვრული ტილო „უბედური რუსი". („გიორგი რუსი").

1903 წ. გაზ. „ცნობის ფურცელში" გამოქვეყნდა მიხეილ ჯავახიშვილის პირველი მოთხრობა „ჩანჩურა", რომელმაც მაშინვე მიიქცია საზოგადოებრიობის ყურადღება. მას მოჰყვა „კურკას ქორწილი", „მეჩექმე გაბო". ამ ქმნილებებში ნიჭიერად იყო ასახული არსებული წყობილების მანკიერებანი.

დემოკრატიული პოზიციიდან აღიქვამდნენ რევოლუციურ მოძრაობას 1900—1907 წლებში და ეროვნული პრიმატობით აფასებდნენ მოვლენებს თვალსაჩინო მწერლები და საზოგადო მოღვაწენი კ. აბაშიძე ი. ზურაბიშვილი, თ. სახოკია, ს. ფირცხალავა, კ. მაყაშვილი, ი. ეკალაძე, გ. რცხილაძე, გ. ლასხიშვილი, პ. სურგულაძე და სხვები. ქართველ-აფხაზთა კულტურული ურთიერთობათა განმტკიცების, საქართველოსა და აფხაზეთში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მხილების საქმეს ემსახურებოდა აფხაზი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი შარვაშიძის (1846—1918) მრავალმხრივი შემოქმედება.

XX ს. ქართული ლიტერატურა გაამდიდრა ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებამ. მის პირველ მოთხრობებს მკითხველი გაეცნო ჯერ კიდევ რევოლუციის წინ. უცხოეთში სწავლადასრულებული, 1907 წ. დაბრუნდა სამშობლოში და ეწეოდა აქტიურ ლიტერატურულ და პედაგოგიურ საქმიანობას. მისმა მრავალჟანრობრივმა, დახვეწილმა, მაღალი მხატვრული ღირებულების პროზამ გააფართოვა ქართული ლიტერატურის მიჯნები. ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედება ძირითადად ეფუძვნება რეალიზმის მეთოდს, ამასთან მასში ორგანულადაა შეხამებული იმდროინდელი ევროპულ ლიტერატურულ მიმართულებათა ზოგიერთი მოტივი. მისი მინიატურები, ნოველები, ისტორიული ხასიათის ფართო ტილოები ხასიათდებიან სიმკვრივით და აზრის ტევადობით, ენის საოცარი დახვეწილობით, სტილის ლაკონურობით. გამომსახველობითი ხერხების ორიგინალურ ფორმათა მიგნებით მან გაამდიდრა უახლესი ეპოქის ქართული პროზა.

თავისეული სტილითა და აზროვნებით შემოვიდა ქართულ ლიტერატურაში გრიგოლ რობაქიძე. ღრმა ფილოსოფიური ცოდნა, რო-

მელიც ევროპაში ჰქონდა მიღებული, გ. რობაქიძეს საშუალებას აძლევდა საერთოევროპული ცივილიზაციის დონეზე განეხილა ქართული კულტურის პრობლემები. დიდი რეზონანსი ჰქონდა [illegible] საჯარო ლექციებს ნიცშეს, ოსკარ უაილდის, ნ. ბარათაშვილის და ვაჟა-ფშაველას შესახებ. ეწეოდა ქართული ლიტერატურის პროპაგანდას მოსკოვსა და პეტერბურგში წაკითხულ ლექციებში, ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს უძღვნიდა ესეებს.

ქართულ პოეზიაში მოდერნიზმის პირველი მეკვლეები იყვნენ ი. გრიშაშვილი, ს. შანშიაშვილი, ა. აბაშელი, რომელთაც პოეტური მოღვაწეობა დაიწყეს პირველი რევოლუციის წლებში, მაგრამ შემოქმედებითი გაქანება და მკითხველთა აღიარება XX საუკუნის მეორე ათწლეულში მოიპოვეს.

ეს პერიოდი საერთოდ ახალი მიჯნაა ქართულ ლიტერატურაში. ასპარეზზე გამოდის ფართოდ განათლებული, მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებში ღრმად ჩახედული, მძიმე სინამდვილესთან რაინდულად შერკინებული ნოვატორული თაობა. ამ თაობიდან ლიტერატურაში პირველმა შემოდგა ფეხი გალაკტიონ ტაბიძემ, — შემდგომში ქართული პოეზიის მშვენებამ. 1914 წ. გამოიცა მისი პირველი წიგნი. მკითხველმა იგი აღტაცებით მიიღო და ირწმუნა, რომ პოეზიაში მოვიდა ტიტანური ძალა, უდიდესი ნოვატორი, რომელიც ეროვნულ ტკივილების განცდას აქამდე უჩვეულო პოეტური ხილვებით და ოსტატური ჟღერადობით გადმოსცემდა.

მოდერნიზმმა და სიმბოლიზმმა ქართულ ლიტერატურაში ნამდვილი აყვავება განიცადა „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებაში. ამ ლიტერატურული ჯგუფის პირველი თაოსნები იყვნენ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ივანე ყიფიანი, სანდრო ცირეკიძე და სხვ. მათი პირველი ლექსები იბეჭდებოდა 1914—1916 წლებში თბილისისა და ქუთაისის ჟურნალ-გაზეთებში. შემდეგ ისინი ცალკე ლიტერატურული სკოლად ჩამოყალიბდნენ და საკუთარი ორგანოც გაიჩინეს (გაზ. „ბარიკადი“, „ბახტრიონი“, „ცისფერი ყანწები“, „მეოცნებე ნიამორები“ და სხვ.)

ცისფერყანწელთა შემოქმედება ძირითადად დეკადენტიზმის, სიმბოლიზმის ესთეტურ ჩარჩოებით იყო შემოფარგლული, მაგრამ ეროვნული გრძნობა, რაც წინაპართაგან შეისისხლხორცეს, არასოდეს დაუკარგავთ და მუდამ ქართულ სინამდვილესთან იყვნენ დაკავშირებულნი. მთავარი ისაა, რომ ცისფერყანწელებმა მიაგნეს ქართული ლექსის მრავალ ახალ საიდუმლოებას, აიყვანეს იგი ახალ მწვერვალზე.

ქართული კულტურის პროგრესში დიდი იყო როლი თეატრისა.

პროფესიული თეატრალური კოლექტივები თბილისში და ქუთაისში სიტყვაკაზმულ მწერლობასთან ერთად ერთგულად ემსახურებოდნენ ხალხის ეროვნული გათვითცნობიერების საქმეს, მაგრამ რევოლუციური პათოსის გაღვივებას. ახალი საუკუნის დამდეგს განსაკუთრებით გაითქვა სახელი ქუთაისის თეატრმა, რომელსაც იმ დროს სათავეში ედგა უნიჭიერესი მსახიობი და რეჟისორი ლადო მესხიშვილი.

ქართული თეატრი უპირატესობას აძლევდა ეროვნულ რეპერტუარს, რითაც მუდამ ცხოვრების შუაგულში იდგა და ერის სატკივარს მკურნალობდა. ამასთან იგი წარმატებით დგამდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილ დრამატურგთა ქმნილებებს. ქართულ სცენას საუკუნის დამდეგიდან ამშვენებდა მსახიობთა უნიჭიერესი თანავარსკვლავედი (კ. მესხი, კ. ყიფიანი, ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჩხეიძე, ალ. იმედაშვილი, ტ. აბაშიძე, ვ. შალიკაშვილი, ი. ზარდალიშვილი, გ. არადელ-იშხნელი, ნ. გვარაძე, ე. ანდრონიკაშვილი, შ. დადიანი და სხვ.), რომელსაც შეეძლო ნებისმიერი დრამატული ქმნილებების წარმოდგენა უმაღლეს დონეზე.

თბილისის მოსახლეობაში დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო და რევოლუციურ-პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწეოდნენ სახალხო თეატრები. ასეთი თეატრები შექმნილი იყო ავლაბარში, ავჭალაში, ნაძალადევში. „ავჭალის აუდიტორია“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა თბილისელ მუშათა შორის, სადაც სათეატრო წარმოდგენების გარდა სისტემატურად იმართებოდა ლექციები.

თეატრალური ინტელიგენციის გვერდით უნდა დავასახელოთ ქართველი მხატვრების მცირე, მაგრამ უაღრესად ნიჭიერი ჯგუფი, რომელმაც საუკუნის დამდეგიდანვე მიიქცია ყურადღება. ესენი იყვნენ მ. თოიძე, ა. გოგიაშვილი, გ. მესხი, ალ. ციმაკურიძე და სხვ.; ახალი თაობის გვერდით კვლავ ეწეოდნენ ნაყოფიერ მუშაობას უკვე სახელმოხვეჭილი მხატვრები გ. გაბაშვილი, ალ. მრევლიშვილი, ალ. ბერიძე და სხვ. XX საუკუნის პირველ ოცწლეულში სიღარიბესა და მარტოობაში ქმნიდა ფერწერულ შედევრებს თვითნასწავლი მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილი. მისმა დიდებულმა ქმნილებებმა აღიარება მისი სიკვდილის შემდეგ ჰპოვა.

10-იან წლებში ქართულ მხატვრობაში მოვიდა ახალი თაობა (დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი). მათი მხატვრული ტალანტის გაფურჩქვნა საქართველოს დამოუკიდებლობის ხანას ეკუთვნის.

XX ს. დამდეგიდან უმდიდრეს ქართულ მუსიკას ბევრი მოჭირნახულე გამოუჩნდა. დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1905

წელს ქართული ფილარმონიული საზოგადოების დაარსება. მის ირგვლივ თავი მოიყარეს ეროვნული სამუსიკო საქმის დიდმა ენთუზიასტებმა ვ. კარბელაშვილმა, ი. ჩიჯავაძემ, ი. კარგარეთელმა, ს. ყარაშვილმა, ზ. ფალიაშვილმა, ნ. ქართველიშვილმა, ზ. ხიკვაძემ, პ. მირიანაშვილმა და სხვ. ზ. ფალიაშვილი ამზადებდა ნიადაგს ეროვნული ოპერის შესაქმნელად. 1913 წ. სახაზინო თეატრში დაიდგა კიდეც ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი". ამავე ხანებში გამოჩნდნენ სხვა ქართული ოპერებიც (დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე", რ. გოგნიაშვილის „ქრისტინე"). ქართული ეროვნული სამუსიკო სკოლა ამზადებდა მტკიცე ნიადაგს კონსერვატორიისათვის, სახაზინო ოპერის გაეროვნულებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი IV

საქართველო 1918–1921 წლებში

§ 1. დამოუკიდებლობის სათავეებთან

1. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა. ქართული ქრისტიანული ეკლესია ცარიზმის კოლონიური რეჟიმის მთელ მანძილზე იბრძოდა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. XIX საუკუნეში ამ მიმართულებით ბრძოლა ამაო გამოდგა. რუსული კლერიკალური წრეები თანდათან მეტი ინტენსივობით ეწეოდნენ ეკლესიის რუსიფიკაციას.

1905–1907 წლების რევოლუციის პერიოდში ქართველმა სასულიერო მოღვაწეებმა ეროვნულ – დემოკრატიულ ძალთა მხარდაჭერით დააყენეს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი, რამაც რუსეთის შოვინისტური კლერიკალური წრეების გააფთრება გამფიწვია. პრესაში ამ საკითხზე ცხარე პოლემიკა ვაჩაღდა. რუსეთის სასულიერო მესვეურთა რეაქციული პოლიტიკის გამოსამჟღავნებლად სამსჯავროზე გამოტანილ იქნა არა ერთი მამხილებელი დოკუმენტი. გამომზეურდა მასალა იმის თაობაზე, რომ „წმინდა სინოდის“ მსახურნი საქართველოში სისტემატურად ეწეოდნენ ქართული ეკლესია – მონასტრების ძარცვას, ქართველი ერის განძეულის გატანას, ესწრაფვოდნენ ერის სულიერ გარყვნას, მის გარუსება – გადაგვარებას. შოვინისტურმა წრეებმა თავის მხრივ განგაში ატეხეს – შეეცადნენ თავიანთი „მოღვაწეობა“ ქართველი ხალხისათვის სასიკეთოდ წარმოედგინათ და ერისათვის ცილი შეეწამებინათ უმადურობასა და მავნე სეპარატიზმში. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა ეგზარხოსი ვოსტორგოვი. 1905 წ. თბილისში შედგა სასულიერო მოღვაწეთა კრება, რომელმაც მოითხოვა გაეუქმებინათ უმაღლესი სინოდის 1811 წლის გადაწყვეტილება და ქართული ეკლესიისათვის დაებრუნებინათ ადრინდელი

დამოუკიდებლობა. ამ აქციას მთავრობის მხრივ მკაცრი რეპრესიები მოჰყვა. სასულიერო მოღვაწეთა გაბედულ გამოსვლებს მეცვეურობდნენ სულიერი მამები კირიონი, ამბროსი ხელაია, ეფრემ ... რატე ცინცაძე და სხვ. მათ ზურგს უმაგრებდნენ ეროვნული-განმანთავისუფლებელ მოძრაობის მოღვაწენი ი. ჭავჭავაძე, ალექსანდრე ცაგარელი, ალ. ხახანაშვილი, თედო ჟორდანია, ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მარი და სხვები. ავტოკეფალიისათვის ბრძოლა გაგრძელდა 1906 წელს. უმაღლესი სინოდი იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ქართველ სასულიერო პირთა დაჟინებითი მოთხოვნისათვის და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რუსეთის საეკლესიო კრებაზე დაეყენებინა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ კრებაზე საკითხი უარყოფითად გადაწყდა. ქართველ მოღვაწეებს ბრძოლა ამის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ, თუმცა რეაქციის მკაცრმა რეჟიმმა შეასუსტა წარმატების იმედი.

1917 წ. თებერვალში ცარისტული რეჟიმის დამხობა ქმნიდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის ხელსაყრელ მომენტს და გარანტიას. 1917 წ. 12 მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. 16 მარტს თბილისში შედგა სასულიერო მოღვაწეთა კრება, რომელმაც დაადგინა, რომ სიონის ტაძარში ამიერიდან ღვთისმსახურება ქართულ ენაზე შესრულებულიყო. რუსეთის დროებითი მთავრობა იძულებული გახდა დაედასტურებინა მცხეთის ეკლესიის 12 მარტის გადაწყვეტილება, მაგრამ შესწორება შეიტანა იმ მხრივ, რომ ავტოკეფალია ძალაში უნდა შესულიყო არა ტერიტორიული, არამედ ეროვნული მნიშვნელობით. ეს შოვინისტური ფანდი იმას ნიშნავდა, რომ მართლმადიდებელი რუსებისა და სხვა არა ქართველთა ეკლესიები ისევ რუსეთის ეკლესიის გამგებლობაში უნდა დარჩენილიყო. ამ გადაწყვეტილებამ ქართველი სამღვდელოება არ დააკმაყოფილა. ბრძოლამ დამოუკიდებლობისათვის მიიღო პრინციპული, შეუპოვარი ხასიათი. 8—17 სექტემბერს თბილისში შედგა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, რომელსაც 600 კაცი ესწრებოდა. სასულიერო პირებთან ერთად აქ წარმოდგენილი იყო ეროვნულ საერო მოღვაწეთა ფართო წრე. კრებამ შეიმუშავა და დაამტკიცა დამოუკიდებელი მართვა-გამგეობის დებულებანი და აირჩია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. ეს პატივი წილად ხვდა ეპისკოპოს კირიონს (საძაგლიშვილს). ქართული ეკლესიის ამ დიდ ეროვნულ ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრესიული საერო ძალები. ეს იყო პირველი გაბედული ნაბიჯი ეროვნული სუვერენიტეტისაკენ.

2. პოლიტიკური პარტიები თებერვლის რევოლუციის შემდგომ. თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობამ იმპერიის არარუს ხალხებს ეროვნული თავისუფლების იმედი და მისწრაფებანი გააძლიერა. პოლონეთში, ფინეთში, უკრაინაში ამოქმედდნენ პროგრესული ძალები და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი დააყენეს. დროებითი მთავრობაც, მენშევიკურ-ესერული საბჭოებიც ამ საკითხს განგებ აჭიანურებდნენ და გადასაწყვეტად ანდობდნენ დამფუძნებელ კრებას. ხელისუფლების ამ ორგანოებში ისევ რუსული შოვინიზმი ბოგინობდა: დროებით მთავრობას თავიდანვე არ აწყობდა ერთიანი რუსეთის დაშლისკენ მისწრაფება და მას ებრძოდა ყველა საშუალებით. სარუსეთო საბჭოებში მოკალათებული პარტიები, მართალია, სიტყვიერად ერთა თვითგამორკვევას ქადაგებდნენ, მაგრამ მიმდინარე მომენტში რევოლუციურ ძალთა მთლიანობაზე ქონდათ გეზი აღებული. ესეც თავისი შინაარსით შენიღბულ შოვინიზმს წარმოადგენდა.

საქართველოს მმართველ ორგანოებში გაბატონებულ სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) პარტიას ეროვნული თვითგამორკვევის საკითხი პრაქტიკულად არც დაუყენებია, თუმცა საამისოდ 1917 წ. მარტ-აპრილში ყველაზე ხელსაყრელი მომენტი იყო. მენშევიზმის ლიდერები რუსეთსა და საქართველოში (ნ. ჟორდანია, კ. ჩხეიძე, კ. წერეთელი, ა. ჩხენკელი, ე. გეგეჭკორი და სხვ.) იმ აზრს ადგნენ, რომ ძირითად ამოცანას იმ დროისათვის წარმოადგენდა არა ეროვნული თვითგამორკვევა, არამედ რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნება რუსეთში, რაც შესაძლებელი იყო მთელი ქვეყნის რევოლუციურ ძალთა მთლიანობით. სეპარატიზმი მათი რწმენით გზას გაუხსნიდა მონარქისტულ რეაქციას. ეროვნული პრობლემა, ისე როგორც მომავალი ცხოვრების სხვა ძირითადი საკითხები, მათი აზრით, მომავალ დამფუძნებელ კრებას უნდა გადაეწყვიტა.

ეროვნული ნიჰილიზმი რევოლუციის შემდეგ კიდევ უფრო გაუძლიერდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკურ მიმართულებას. 1917 წ. აპრილის ბოლშევიკურ კონფერენციაზე ქართველი დელეგატი ფ. მახარაძე გამოვიდა ერთა თვითგამორკვევის წინააღმდეგ. ოქტომბერში ბოლშევიკთა ამიერკავკასიის პირველმა სამხარეო ყრილობამ ეროვნულ საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში, მართალია, ერთა თვითგამორკვევა შეიტანა, მაგრამ აუცილებლად აღიარა იმპერიის რევოლუციურ ძალთა მთლიანობა რევოლუციის ინტერესებისათვის. ბოლშევიკები თავიანთ ბეჭდვით ორგანოებში („ბრძოლა", „კავკაზსკი რაბოჩი") პროპაგანდას უწევდნენ ყველა ეროვნების მუშათა საბრძოლო შეკავშირებას, ერთიან სამოქალა-

ქო ომს „ბურჟუაზიული და მემამულური კონტრრევოლუციის“ დასათრგუნავად. ბოლშევიკები არ ინდობდნენ არა თუ ეროვნული მოძრაობის ჭეშმარიტ დამცველებს, და მათ „ნაციონალიზმის“ ბრალდებით ლიყით მშრომელთა თვალში სახელს უტეხდნენ, არამედ თანამრომე სოციალ-დემოკრატ მენშევიკებსაც ებრძოდნენ ინტერნაციონალური არათანამიმდევრობის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებერვლის შემდგომი დემოკრატიული თავისუფლების ვითარებაში მასების ეიფორიულმა განწყობილებამ დააბნია ეროვნული ორიენტაციის პარტიაც სოციალისტ-ფედერალისტები, რა თქმა უნდა, ერთა თვითგამორკვევის უყოყმანო ერთგულნი იყვნენ, მაგრამ იმდენად ძლიერი აღმოჩნდა დამფუძნებელი კრების ყოვლისშემძლეობის ილუზია, რომ მათაც ეროვნული საკითხის საბოლოო გადაწყვეტა ამ დაწესებულების კომპეტენციად გამოაცხადეს: სოციალ-დემოკრატი მენშევიკებისა და სოციალ-ფედერალისტების ლიდერთა ინიციატივით 1917 წ. აპრილში შეიქმნა ე.წ. „ინტერპარტიული საბჭო“, რომელსაც ევალებოდა სამომავლო გეგმები დაესახა ეროვნულ საკითხში. ამ საბჭოს აპრილის სხდომებზე მსჯელობა მიმდინარეობდა საქართველოს ეროვნული საზღვრების გამო, მაგრამ ეს მსჯელობა არ გასცილებია დოქტრინულ ჩარჩოებს. ინტერპარტიული საბჭოს ეროვნული სუვერენიტეტის საკითხი პრაქტიკულად არ დაუყენებია. რევოლუციის შემდგომ საქართველოში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტიაც. ეს პარტია არსით რუსული იყო. თავისთავს იგი გლეხთა ინტერესების მოსარჩლედ აცხადებდა. საქართველოს ძირითად მოსახლეობაში ამ პარტიას არ ქონია შესამჩნევი გავლენა. ესერული განწყობილება მომძლავრებული იყო რუსეთის არმიის კავკასიის გარნიზონში. ამიერკავკასიის სამხარეო საბჭოებში მას ძლიერი პოზიცია ჰქონდა. ქართველ სოციალისტ-რევოლუციონერთაგან აქტივობით გამოირჩეოდნენ ი. გობეჩია, გ. ნათაძე და სხვ.

ჭეშმარიტ ეროვნულ მოღვაწეთა კონსოლიდაცია, როგორც ვნახეთ, 1910-1914 წლებში მიმდინარეობდა. ეს ჯგუფი თავისთავს ილია ჭავჭავაძის იდეურ მემკვიდრედ აღიარებდა და ესწრაფვოდა საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას. მსოფლიო ომის დაწყებამ ამ ჯგუფის ეროვნულ-პოლიტიკური მოღვაწეობა კიდევ უფრო გააქტიურა, თუმცა დამოუკიდებელ პარტიად ორგანიზაციული გაფორმება მათ მაინც ვერ მოასწრეს.

მეფის ხელისუფლების დამხობისთანავე ორგანიზაციული ჩამოყალიბების იდეამ ამ ჯგუფში რეალური ნიადაგი მოიპოვა. 1917 წ.

ივნისში მოწვეულ დამფუძნებელ ყრილობაზე ჩამოყალიბდა „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“. ახალი პარტიის მესვეურები იყვნენ: ნ. ნიკოლაძე, სპ. კედია, გ. გვაზავა, რ. გაბაშვილი, ეროვნული ... გულაძე, ვ. წერეთელი, მ. წერეთელი, ა. ასათიანი, ... ჩაბელი, გრ. ვეშაპელი და სხვები. პარტიამ საჯაროდ გამოიტანა თავისი პროგრამა, რომელიც ეფუძნებოდა სამ მთავარ დებულებას: ეროვნული სუვერენობა, სოციალური ცხოვრების კერძო საკუთრების ნიადაგზე წარმართვა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების აწყობა ერის მთლიანობისა და დემოკრატულობის პრინციპებზე.

3. 1917 წ. ოქტომბრის გადატრიალება და საქართველო. 1917 წ. თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ პოლიტიკური კრიზისი რუსეთში თანდათან მწვავდებოდა. დროებით მთავრობას მასაში არ ჰქონია ავტორიტეტი, რადგან იგი პრაქტიკულად ვერ წყვეტდა ქვეყნის დემოკრატიული გადახალისების პრაქტიკულ ამოცანებს, ამასთან კვლავ გრძელდებოდა ომი და სამეურნეო ნგრევა. საბჭოები არ იჩენდნენ აქტივობას ხელისუფლების დაპატრონებაში. ემიგრაციიდან დაბრუნებულმა ლენინმა წამოაყენა თებერვლის რევოლუციის გაგრძელების, მისი სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის დებულება. ლენინის „აპრილის თეზისები“ საფუძვლად დაედო აპრილის VII ბოლშევიკურ კონფერენციას. აპრილის თეზისებს სოციალ-დემოკრატიის მამამ და ლიდერმა გ. პლეხანოვმა „ბოდვა“ უწოდა. ამ თეზისებს მოწინააღმდეგენი ჰყავდა ხელმძღვანელ ბოლშევიკთა შორისაც.

1917 წ. 3—5 ივლისს პეტროგრადში დროებითმა მთავრობამ საბჭოების სანქციით დაარბია და დახვრიტა მუშათა დემონსტრაცია. პარტიათა შორის ურთიერთობა დაიძაბა. ბოლშევიკებმა მიიჩნიეს, როს ლოზუნგმა „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ ამოწურა თავისთავი და ამიერიდან საჭირო იყო შეიარაღებული აჯანყების გზით დროებითი მთავრობის დამხობა და ძალაუფლების დაპატრონება. ეს გეზი ბოლშევიკთა აგვისტოს (VI) ყრილობამ დაადასტურა.

სექტემბერ-ოქტომბერში ხელისუფლების დაპყრობა პრაქტიკულ საკითხად იქცა. ლენინურ ალტერნატივას ბევრი თვით პარტიის ლიდერთაგან არ იზიარებდა, მაგრამ ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობის იდეამ გაიმარჯვა.

1917 წ. 25 ოქტომბერს ბოლშევიკ ჯარისკაცთა და მუშათა რაზმებმა იერიში მიიტანეს ზამთრის სასახლეზე, სადაც დროებითი მთავრობა იყო მოთავსებული. მოერიშენი შეიჭრნენ სასახლეში, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც ფაქტიურად დაუცველი იყო. დროებითი მთავრობის წევრები დააპატიმრეს (მიმალვა და საზღვარგარეთ გაქცევა მოასწრეს მთავრობის მაშინდელმა თავმჯდომარემ კერენსკიმ). იმავე დღეებში მოწვეულმა რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობაზე გამოცხადა დროებითი მთავრობის დამხობა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება. გამოცხადდა ზავის, მიწის დეკრეტები. მიღებულ იქნა დეკლარაცია ერთა თანასწორობისა და თვითგამორკვევის თაობაზე. შეიქმნა საბჭოთა რუსეთის მთავრობა ვ.ი. ლენინის მეთაურობით.

ოქტომბრის გადატრიალება ამიერკავკასიის დემოკრატიულმა პარტიებმა (ცხადია, გარდა ბოლშევიკებისა) მონათლეს ავანტიურად, ბლანკიზმის გამოვლინებად და მას უნდობლობა გამოუცხადეს. 1917 წ. 11 ნოემბერს თბილისში ამიერკავკასიის დემოკრატიულ პარტიათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სამხარეო ცენტრების ინიციატივით შედგა თათბირი, რომელმაც მიზანშეწონილად ცნო შექმნილიყო ადგილობრივი მთავრობა მანამ, ვიდრე რუსეთში ანარქია აღიკვეთებოდა. სოციალ-დემოკრატიის, დაშნაკ-ციუტუნის, მუსავატის, სოციალისტ-ფედერალისტების და ესერთა პარტიების კოალიციის პრინციპზე 15 ნოემბერს შედგა მთავრობა — „ამიერკავკასიის კომისარიატი". მის თავმჯდომარედ აირჩიეს სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორი. ბოლშევიკების სამხარეო ცენტრმა „ამიერკავკასიის კომისარიატი" კონტრრევოლუციურ დაწესებულებად გამოაცხადა და მასებს მოუწოდა ებრძოლათ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

„ამიერკავკასიის კომისარიატს" რთულ პირობებში მოუხდა მოღვაწეობა. რუსეთი მოიცვა სრულმა ანარქიამ: საბჭოთა რესპუბლიკას მტრად აღუდგა არმია, რომელსაც მეფის ყოფილი გენერლები მეთაურობდნენ. ზავის საბჭოთა დეკრეტი არ იცნეს არც მოკავშირეებმა, არც გერმანია — თურქეთის ბლოკმა. ქვეყანაში გრძელდებოდა გერმანელთა ჯარების ინტერვენცია. რუსეთის იმპერიას გამოეყვნენ რიგი ნაციონალური ოლქები და დამოუკიდებელი რესპუბლიკა გამოაცხადეს. ბაქოში ძალაუფლება აიღო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ, რომელმაც სოლიდარობა საბჭოთა რუსეთს გამოუცხადა. საქართველოსა და სომხეთის რიგ ადგილებში ფრონტიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა წამოიწყეს აგრარული ბრძოლა, რასაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ლოზუნგით ბოლშევიკები მესვეურობდნენ. აზერბაიჯანში შეჭრილი იყო თურქეთის საოკუპაციო არმია, რომელიც ეწეოდა საბრძოლო მოქმედებას ბაქოს საბჭოს წინააღმდეგ.

1918 წ. დამდეგს გაიხსნა დამფუძნებელი კრება, რომელსაც

დიდი სასოებით მოელოდა რუსეთის დემოკრატია. დამფუძნებელმა კრებამ იმთავითვე შეურიგებელი პოზიცია დაიკავა საბჭოების ძალაუფლების მიმართ. საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტით 1918 წ. 6(19) იანვარს დამფუძნებელი კრება გარეკეს. კრებაზე დასწრებაც კი ვერ მოასწრეს ამიერკავკასიიდან არჩეულმა დეპუტატებმა. დამფუძნებელი კრების მუშაობაში მათგან მონაწილეობდა მხოლოდ ირაკლი წერეთელი, რომელიც შეუპოვრად იბრძოდა კრების უზენაესი უფლების დასაცავად, მაგრამ ამაოდ.

„ამიერკავკასიის კომისარიატსა" და სამხარეო საბჭოებში შემუშავდა მართებული აზრი დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელ დეპუტატთაგან შექმნილიყო ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანო. 1918 წლის 22 იანვარს შედგა დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელ დელეგატთა პირველი სხდომა, რომელსაც 26 კაცი ესწრებოდა. დადგინდა ამ შემადგენლობით ჩამოყალიბებულიყო „ამიერკავკასიის სეიმი". მისი პირველი მოწვევის დღედ 1918 წლის 10 თებერვალი დაინიშნა.

ბოლშევიკურმა პარტიამ „ამიერკავკასიის სეიმი" უკანონო, უზურპატორულ ხელისუფლებად გამოაცხადა და ბრძოლა გააჩაღა მის წინააღმდეგ. საბჭოთა რუსეთის მთავრობაც, თავის მხრივ, ამიერკავკასიის კომისარიატსაც და სეიმსაც კონტრრევოლუციურ, თვითნებურ წარმონაქმნებად თვლიდა და საბჭოების მხარდამჭერ ძალებს აქეზებდა შეიარაღებული გზით დაემხოთ ისინი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის ხელმძღვანელობა კრემლის ხელისუფლებამ დააკისრა ს. შაუმიანს, რომელიც „კავკასიის კომისრის" მანდატით იყო აღჭურვილი. კომისარიატის დამხობის აქცია უნდა განხორციელებულიყო ჯერ კიდევ 1917 წ. დეკემბერში. მთავარ იმედს ამყარებდნენ თურქეთთან დაზავების შემდეგ ფრონტიდან ერთბაშად დაძრულ არმიაზე, რომელშიაც ძლიერი იყო ბოლშევიკური განწყობილება. ბოლშევიკებს იმის იმედიც ქონდათ, რომ თბილისის არსენალს ბოლშევიკური გარნიზონი იცავდა. ამიერკავკასიაში მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ იგი სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომის შესაძლებლობის წინაშე აღმოჩნდა. ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცური მასა ყოველივე ადგილობრივს წალეკვით ემუქრებოდა. ამ საშიშროებამ, უნდა ითქვას, ბოლშევიკურ სამხარეო ცენტრის უმრავლესობასაც უკან დაახევინა და მან ძალაუფლების მოსაპოვებლად რუსეთის არმიის გამოყენება არ მიიჩნია მიწანშეწონილად. ფ. მახარაძე, ს. ქავთარაძე, მ. ორახელაშვილი და სხვები მხარს უჭერდნენ ხელისუფლების მოპოვე-

ბას საბჭოების გზით, ადგილობრივი ძალებით, თუმცა არსენალს, რომელსაც რუსული ბოლშევიკური გარნიზონი იცავდა, ხელიდან არ უშვებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის კომისარიატმა და თბილისის საბჭომ ეროვნული ნაწილების დახმარებით 1917 წლის 29 ნოემბერს ბოლშევიკურ გარნიზონს არსენალი ხელიდან გამოსტაცა. მათ ისიც შეძლეს, რომ ბობოქარი ჯარისკაცთა ეშელონები რუსეთში თბილისის გაუვლელად გაგზავნეს. ამრიგად, 1917 წ. დეკემბერში საქართველო გადაურჩა რუსეთის არმიის ოკუპაციას. კრემლში ეს მარცხი მძიმედ განიცადეს. ლენინი ამიერკავკასიის ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტის მაშინდელ წევრთან კ. ცინცაძესთან საუბარში ვერ მალავდა აღშფოთებას იმის გამო, რომ არსენალი „მტერს ჩააბარეს“.

4. საქართველოს ეროვნული საბჭო. 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ გააქტიურდა თვითგამორკვევისკენ მისწრაფება მრავალეროვან ამიერკავკასიაში. მუსავატური პარტიის ინიციატივით დაიწყო მუსლიმური მოსახლეობის გაერთიანება; შედგა ა. კ. მუსლიმთა საგანგებო ყრილობა, რომელმაც შექმნა მუსლიმური ეროვნული კომიტეტი თავისი ფილიალით საქართველოში. დაშნაკური პარტიის ინიციატივით შეიქმნა სომეხთა ეროვნული კომიტეტი. საკუთარი ეროვნული საბჭოები შექმნეს ამიერკავკასიაში მოსახლე რუსებმაც, აფხაზებმაც, ოსებმაც.

მომწიფებული იყო და დღის წესრიგში იდგა საქართველოს ეროვნული საბჭოს შექმნის საკითხი. იგი პრაქტიკულად დააყენა ინტერპარტიულმა საბჭომ, რომლის განწყობილება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბების შემდეგ თანდათან იზრდებოდა თვითგამორკვევის სასარგებლოდ.

1917 წ. ნოემბერში ქართველი თავადაზნაურობის საკრებულო, რომელსაც სათავეში დიდი პატრიოტი მოღვაწე კოტე აფხაზი ედგა, გამოვიდა საჯარო განცხადებით, რომ მთელ თავის უძრავ-მოძრავ ქონებას-მილიონობით მანეთად ღირებულს, უსასყიდლოდ გადასცემდა ქართველ საზოგადოებრიობას. ეს დიდი ეროვნული აქცია გახდა ყრილობის მოწვევის საბაბი.

1917 წ. 19 ნოემბერს სახაზინო თეატრში შეიკრიბა ქართველი საზოგადოებრიობის რჩეული ნაწილი. გადამწყვეტი ხმით 324 დელეგატი აერთიანებდა ყველა პარტიას (გარდა ბოლშევიკებისა) და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ყრილობაზე სტუმრებად მოწვეული იყვნენ მეზობელი და უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწენი. ინტერპარტიული საბჭოს სახელით შეკრება გახსნა აკაკი

ჩხეიკელმა. რუსეთის მაშინდელი ვითარების მიმოხილვაში ხაზი გაუსვა ეროვნულ-სახელმწიფოებრივობისაკენ მისწრაფებას. „ჯერი მიდგა ამიერკავკასიაზეც, ...ამ ყრილობას შეიძლება დამფუძნებელი კრება მოჰყვესო“ — განაცხადა ა. ჩხენკელმა. ინტერპარტიული საბჭოს წარდგენით ეროვნული ყრილობის თავმჯდომარეობა დაეკისრა ნოე ჟორდანიას, რომელმაც მოხსენებაში („დღევანდელი მომენტი და ქართველი ერი“), ჩამოაყალიბა საბჭოს ამოცანები და ამასთან ერთად სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიცია. მოხსენებაში იგრძნობოდა ქართული სოციალ-დემოკრატიის თუმცა გაუბედავი, მაგრამ არსებითი შემობრუნება ეროვნულობისაკენ. რუსეთთან ერთობას ეს პარტია მაინც ვერ თმობდა, თუმცა ერის სამომავლო ცხოვრების საფუძვლად „საერთო ნიადაგს“ აცხადებდა.

ყრილობამ მოიწონა თავადაზნაურთა საკრებულოს პატრიოტული გადაწყვეტილება. ამასთან შეიმუშავა თვალსაზრისი რიგ მომწიფებულ საკითხებზე და მათი განხორციელებისათვის შექმნა სექციები. ყრილობის რეზოლუციები შეეხებოდნენ ქართული ცხოვრების მრავალ სფეროს — განათლებას, ჯანმრთელობას, თვითმართველობას, ადმინისტრაციას და სასამართლოს, სამხედრო ორგანიზაციას და სხვ. ყრილობამ აირჩია „ეროვნული საბჭო“, ჩამოაყალიბა სექციები, შექმნა აღმასრულებელი კომიტეტი 15 წევრისაგან ნოე ჟორდანიას მეთაურობით. მასში შევიდნენ ყველა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები. ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა სამხარეო კომიტეტმა „ეროვნული საბჭო“ მონათლა სეპარატისტულ, ნაციონალისტურ დაწესებულებად და მას ბოიკოტი გამოუცხადა. კავკასიის კომისარმა ს. შაუმიანმა ეროვნული საბჭოს შექმნის გამო პრესაში ატეხა განგაში, — საქართველო რუსეთს ეთიშება და უნდა გადავარჩინოთო. ამან კიდევ უფრო გააღვივა ფრონტიდან დაძრული რუსი ჯარისკაცების გულისწყრომა და თბილისზე ლაშქრობის წყურვილი.

„ეროვნული საბჭოს“ შექმნა იყო მეორე უმნიშვნელოვანესი აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე. ამიერიდან იგი საქართველოს დამოუკიდებლობის შემზადების ფაქტიური მესვეური გახდა.

5. ბრესტის ზავი და საქართველო. 1918 წლის 3 მარტს ქ. ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთსა და კაიზერულ გერმანიას შორის ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება, რომლის პირობები უმძიმესი იყო რუსეთისათვის. საზავო მოლაპარაკება მიმდინარეობდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის უკიდურესად გართულებულ ვითარებაში. გერმანიის მხარე ამით სარგებლობდა და ზავის პირობებს თანდათან ამძიმებდა, რის გამოც მოლაპარაკება არაერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზის შეწყდა. გერმანიასთან ზავის შეკვრა იმ დროს ლენინს მიაჩნდა საბჭოთა რესპუბლიკის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად, თუმცა ბევრი საბჭოთა ლიდერი მისი წინააღმდეგი იყო.

ბრესტ-ლიტოვსკში მოლაპარაკების დროს კავკავსიის საკითხი პირველად დაისვა 1918 წლის 18 იანვარს. გერმანიის საზავო დელეგაციის სტატს სეკრეტარმა ფონ-კულოვმა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელ ლ. ტროცკს კითხვა დაუყენა — არის თუ არა ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაშიო. ტროცკიმ დაუდასტურა. ეს იმის საფუძველი გახდა, რომ ოსმალეთს რუსეთის არმიის მიერ დაკავებული ტერიტორიის დაცლა მოეთხოვა. თურქეთმა აგრეთვე პრეტენზიები წამოაყენა ყარს — არდაგან — ბათუმის ოლქებზე იმ საბაბით, რომ ეს ტერიტორია ოთხი საუკუნის განმავლობაში გვეკუთვნოდა და 1878 წლის ბერლინის ტრაქტატით იძულებით წაგვართვესო. თურქეთის დელეგაციის პრეტენზიებს მხარი დაუჭირა გერმანიის წარმომადგენელმაც. ამ ტერიტორიების თურქეთისათვის გადაცემა რომ უფლებრივად შეემაგრებინა, გერმანელმა შუამავლებმა წინადადება წამოაყენეს ამ ოლქებში ჩატარებულიყო რეფერენდუმი. ბრესტის საზავო მოლაპარაკებაზე ამიერკავკასიიდან არავინ არ მიუწვევიათ, ასე რომ ქართული და სომხური მიწა-წყლის გაცემის საკითხი რუსეთმა გადაწყვიტა ქართველი და სომეხი ხალხების დაუკითხავად, მათი ნების გარეშე. 1918 წ. მარტში ბრესტ-ლიტოვსკში ხელმოწერილი ზავით რუსეთს ჩამოსცილდა პოლონეთი, ბელორუსიისა და ლიტვის ნაწილი. საბჭოთა ჯარები ამასთან, ტოვებდნენ უკრაინას, ფინეთს, ალანდის კუნძულებს და სხვ. საბჭოთა მთავრობა გერმანიას უხდიდა დიდ კონტრიბუციას. ზავის IV მუხლის ძალით ოსმალეთის ხელში გადადიოდა არდაგანის, ყარსის ოლქები და აჭარა ბათუმითურთ.

თბილისში უკვე 2 მარტს, კარახანის დეპეშის შედეგად, შეიტყვეს რუსეთ — ოსმალეთის გარიგების შესახებ. იმავე დღეს სეიმისა და მთავრობის სახელით კ. ჩხეიძემ და ე. გეგეჭკორმა პროტესტი განაცხადეს და ყველა ქვეყანას აცნობეს, რომ არ სცნობდნენ ბრესტ-ლიტოვსკის უკანონო გადაწყვეტილებას.

1918 წ. 10 მარტს თურქეთმა მოთხოვა ამიერკავკასიის მთავრობას დაეცალა ზავით მითითებული ტერიტორია და დაიწყო მასში თავისი ჯარების შეყვანა. ტრაპიზონში დაიწყო ამიერკავკასია — თურქეთის სეპარატიული საზავო მოლაპარაკება. ამიერკავკასიის დელეგაციის საზავო გეგმა ითვალისწინებდა შეთანხმებას 1914 წლის სასაზღვრო ფარგლებში. თურქეთის მხარე კი მოლაპარაკების წინა პირობად მოითხოვდა ბრესტის ხელშეკრულებით მითითებულ

ტერიტორიის დაცლას, ამასთან ამიერკავკასიის მთავრობასთან მოლაპარაკებას შესაძლებლად თვლიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა იურიდიულად ექნებოდა აღიარებული. ტრაპიზონის კონფერენცია ჩაიშალა. 13 აპრილს ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია დაბრუნდა თბილისში. თურქეთის ჯარები წინსვლას აგრძელებდნენ. საქართველოს მცირე არმია ვერ ახერხებდა დამპყრობთა მოძალება შეეჩერებინა. 15 აპრილს თურქებმა ბათუმი დაიკავეს. ინტერვენციის საფრთხე იზრდებოდა. თურქეთი თბილისს და ერევანს უმიზნებდა.

1918 წ. 22 აპრილს სეიმმა დაადასტურა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა. იმავე დღეს გადაწყდა თურქეთთან საზავო მოლაპარაკება განახლებულიყო ბათუმში.

ტრაპიზონის მოლაპარაკების ჩაშლიდან ბათუმის კონფერენციამდე ერთი თვე გავიდა. ამ პერიოდში თურქეთი შეუჩერებლივ ახორციელებდა თავის ადრინდელ ჩანაფიქრს — სამხრეთ საქართველოს ტერიტორიის მიტაცებას. თურქი აგენტების წაქეზებით მესხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა თურქებმა წამოიწყეს მოძრაობა თურქეთთან შესაერთებლად. ამ პროვოკაციულ აქციას სათავეში ედგა სერვერ ბეგ ათაბაგი (ჯაყელი). მას აჰყვა ახალციხისა და ახალქალაქის მუსლიმური ქართველობის ნაწილიც. 40 კაცისაგან შემდგარმა დეპუტაციამ, რომელიც არავის არ აურჩევია და თურქი ემისრების კარნახით იყო შედგენილი, მოითხოვა, მესხეთი ავტონომიის უფლებით შესულიყო თურქეთის შემადგენლობაში. სერვერ ბეგის რაზმები აწიოკებდნენ მესხეთის ქრისტიანულ მოსახლეობას. თურქი ემისრები აქტიურობდნენ აფხაზეთშიც და ცდილობდნენ მრავალი დაპირებებით გადაებირებინათ აფხაზეთის წარჩინებული ოჯახები იმ მიზნით, რომ მესხეთთან ერთად თურქეთის იმპერიის შემადგენლობაში აფხაზეთიც მოქცეულიყო.

ბათუმის კონფერენცია 1918 წ. 11 მარტს შეუდგა მუშაობას. ამ დროისათვის ამიერკავკასიას იმდენად უჭირდა, რომ მთავრობა დათანხმდა ეცნო ბრესტის საზავო პირობები და მის საფუძველზე წარმართულიყო მოლაპარაკება. მაგრამ თურქეთის მხარე ამ წარმარტებას აღარ სჯერდებოდა, იგი ახალ-ახალ პრეტენზიებს აყენებდა, რომელთაც საბოლოო ჯამში თურქეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია უნდა მოჰყოლოდა.

ბათუმის მოლაპარაკებაში ჩარევა მოითხოვა საბჭოთა რუსეთმა. ჩიჩერინი წინადადებას იძლეოდა კონფერენცია მოსკოვის მახლობლად რომელიმე ქალაქში გადაეტანათ. ჩანდა, რომ მოსკოვის

ძტრული თვალი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას უმიზნებდა და თურქეთთან მოლაპარაკებას თვლიდა მხოლოდ საკუთარ კონპეტენციად. ჩიჩერინი თავის ნოტაში ამიერკავკასიის მთავრობას ანაშაულებდა იმაშიც, რომ მან თითქოს ზღვისკენ გზა მოუჭრა აფხაზეთს, რომელიც საბჭოთა რუსეთის ერთგულია და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იბრძვისო. ჩიჩერინის ნოტისათვის ამიერკავკასიის მთავრობას პასუხი არ გაუცია.

„ამიერკავკასიის სეიმში" პოლიტიკურ პარტიათა დაპირისპირება ზავის საკითხმა უკიდურესობამდე გაამწვავა. მუსავატური პარტია აქეზებდა თურქთა დამპყრობლურ ღონისძიებებს და კავკასიის მუსლიმურ მოსახლეობაში ეწეოდა თურქეთთან ამიერკავკასიის შეერთების პროპაგანდას. საკუთარი ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდათ საზავო დელეგაციაში დაშნაკური პარტიის წარმომადგენლებსაც. საქართველოს მოვლა-პატრონობის თაოსნობა ხელში აიღო ეროვნულმა საბჭომ., მისი სახელით ა. ჩხენკელმა მოლაპარაკება გამართა გერმანიის დელეგაციასთან, რომელიც ბათუმში ჩამოვიდა შუამავლობის დანიშნულებით. ამ დროისთვის გერმანია-თურქეთის კავშირს ბზარი ჰქონდა გაჩენილი და ეროვნული საბჭოს წარმომადგენლობის ორიენტაცია გერმანიაზე პერსპექტიული ჩანდა. 19 მაისს ა. ჩხენკელმა ოფიციალურად მიმართა გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელს ფონ-ლოსოვს ჩარეულიყო ამიერკავკასია-ოსმალეთის დავაში, რაზედაც დადებითი პასუხი მიიღო. ქართველ დიპლომატთა მართებული ვარაუდით გერმანიას იმ მომენტში თურქეთის ალიკაპის როლი უნდა ეთამაშა. გერმანიის საზავო მოლაპარაკებაში ჩარევა თურქეთის მხარემ პირველად უკანონოდ აღიარა, მაგრამ ვერ შესძლო ძლიერი პარტნიორისათვის წინააღმდეგობა ბოლომდე გაეწია. საქართველოს გერმანიასთან ურთიერთობას მყარი საფუძველი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებოდა. ა. ჩხენკელი ეროვნული საბჭოს სახელზე 25 მაისს გაგზავნილ დეპეშაში იუწყებოდა: „გადაეცით საქართველოს ნაციონალურ საბჭოს შემდეგი: დამოუკიდებლობის გამოცხადების შეგვიანება გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგებს. გერმანიის შუამდგომლობის ცდამ უშედეგოდ ჩაიარა. რჩება ერთი: დავუპირისპიროთ თურქების შემოსევას გერმანიისაგან ზურგგამაგრებული დამოუკიდებელი საქართველო... უკვე მომზადებულია ხელშოსაწერად გერმანიასთან დროებითი შეთანხმება".

1918 წლის 26 მაისს თურქეთმა ამიერკავკასიის ფედერაციულ მთავრობას წაუყენა ულტიმატუმი 72 საათის განმავლობაში გა-

დაეწყვიტა ახალი საზღვრების, საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის ჯარების გატარების და სამხრეთ კავკასიაში რეფერენდუმის თაობაზე თანხმობის საკითხი. მთავრობა და სეიმი [illegible] კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. მასში შემავალი პარტიების საგარეო ინტერესები ერთმანეთს მკვეთრად დაუპირისპირდნენ. გამთიშველმა ძალებმა აქ უპირატესობა მოიპოვეს. 26 მაისის დილის სხდომაზე სეიმის დაშლის გარდუვალობა ცხადი გახდა. მუსავატური პარტია თურქეთისადმი დათმობას მოითხოვდა. დაშნაკებმა მხარი დაუჭირეს ქართველი სოციალ-დემოკრატების მოთხოვნას სეიმის დაშლაზე. საბოლოო დადგენილებაში ნათქვამია: „ვინაიდან იმ ხალხებს შორის, რომლებმაც შექმნეს ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ომისა და ზავის საკითხებში გამოჩნდა აზრთა სხვაობა და ამიტომ შეუძლებელი გახდა ავტორიტეტული ხელისუფლების შენარჩუნება, რომელიც ერთიანი ამიერკავკასიის სახელით ილაპარაკებდა, სეიმი ადასტურებს დაშლის ფაქტს და უარს ამბობს თავის რწმუნებაზე“.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს ამ დროისათვის უკვე გაწეული ჰქონდა პრაქტიკული სამზადისი საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის. საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჟორდანია 20—21 მაისს ბათუმში ესწრებოდა საზავო მოლაპარაკებას და ეთათბირებოდა გერმანიის დელეგაციას. შექმნილმა სიტუაციამ იგი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების რწმენამდე მიიყვანა. დამოუკიდებლობის აქტის პროექტი ბათუმში ივე შედგა ზ. ავალიშვილის, ა. ჩხენკელის, ნ. ნიკოლაძის, პ. სურგულაძის მონაწილეობით. თბილისში დაბრუნებისთანავე ნ. ჟორდანიამ იგივე საკითხი დააყენა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში და ქალაქის თვითმართველობაში, სადაც ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა.

§ 2 საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა

1. 1918 წლის 26 მაისი. ამიერკავკავიის სეიმის დაშლის დღესვე, 5 საათზე მთავრობის სასახლის იმავე დარბაზში შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელიც ნოე ჟორდანიამ გახსნა ასეთი განცხადებით: „მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწამე იყავით ერთი ისტორიულის და იმავე დროს ტრაგიკული აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი ახლა, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს. ამ ორ სახელ-

მწიფოთა შორის, რომელთაგან ერთი მოკვდა და მეორე იბადება, შეუძლებელია ყოფილიყო ინტერესთა წინააღმდეგობა. და თუ ოდესმე პირველი აღსდგება მკვდრეთით, დარწმუნებული ...ვიყოთ, მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა თანხმობა. საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც დღეს აღსდგება არ იქნება მიმართული არც ერთი ხალხის, არც ერთის სახელმწიფოს წინააღმდეგ. მისი მიზანია დღევანდელი ისტორიული ქარტეხილიდან დაიფაროს თავისთავი, და როცა ამას მოახერხებს, იგი დაეხმარება სხვებსაც, ვინც ჩვენს ქვეყანასთან ერთად ჩავარდა დიდ განსაცდელში. ...ჩვენ გვსურს ვიქონიოთ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს გარეშე და ჩვენს შორის მყოფ ერებთან... ვაცხადებთ, რომ ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისეთივე უფლება მოსილნი, როგორიც იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა-ქართველობა. ეს ერნი, შეერთებული ერთი დროშის ქვეშ შეჰკრავენ კავშირს იმ ერებთან, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეშე იმყოფებიან და ამით წარმოიშვება ის სახელმწიფოებრივი კავშირი, რომელიც აღადგენს აქ, ჩვენს წინაშე დაღუპულ სახელმწიფოს. ეს სახელმწიფო იქნება კავკასიის კონფედერატული კავშირი"... ამ მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ დარბაზი გაეცნო დამოუკიდებლობის დეკლარაციას, რომელიც ერთხმად, ტაშის გრიალში მიიღო ეროვნულმა საბჭომ. დეკლარაცია აღიარებდა:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია.

დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს: მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობა დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრო-

ბისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა — დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3. სეართაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი, მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7. დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებულ იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია ეროვნული საბჭოს წინაშე".

სასახლესთან ზღვა ხალხი იყო შეკრებილი. საზოგადოებრიობას დეკლარაციის ტექსტი გააცნო ი. ზურაბიშვილმა. უჩვეულო ზეიმი გვიან ღამემდე გრძელდებოდა. სიონის საზეიმო ზარების გუგუნი იუწყებოდა ახალი ეპოქის დასაწყისს. ვლასა მგელაძე აიჭრა მთაწმინდაზე, მძინარე მოძღვარს — დიდ ილიას ჩასძახა მისი ოცნების აღსრულება.

საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომელსაც ხელი მოაწერა ქვეყნის ასზე მეტმა რჩეულმა შვილმა, უცვლელად დაამტკიცა დამფუძნებელმა კრებამ 1919 წ. თებერვალში.

1918 წლის 26 მაისი უმნიშვნელოვანესი და უბრწყინვალესი თარიღია საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში. ამ დღეს

ქართველმა ხალხმა აღასრულა თავისი საუკუნოებრივი საოცნებარი — აღიდგინა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, რეალობად იქცა ის იდეალები, რაც 117 წლის განმავლობაში განსაზღვრავდა საქართველოს საუკეთესო შვილთა ცხოვრება-მოღვაწეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს მთავრობა და მისი პირველი ღონისძიებანი. 26 მაისის სხდომაზე საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრთა რიცხვი გაიზარდა. ჩამოყალიბდა პირველი მთავრობის შემადგენლობა, სადაც თავმჯდომარისა და შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა ნოე რამიშვილმა. სამხედრო მინისტრისა — გ. გიორგაძემ. საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ა. ჩხენკელი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობისა — გ. ჟურული, განათლებისა — გ. ლასხიშვილი, მიწათმოქმედებისა — ნ. ხომერიკი, იუსტიციისა — შ. მესხიშვილი, გზათა — ივ. ლორთქიფანიძე.

ნ. რამიშვილმა, როგორც მთავრობის თავმჯდომარემ 26 მაისის ღამეს დეპეშით აცნობა უცხო სახელმწიფოებს, რომ შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა.

თურქეთის საზავო დელეგაციამ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებით ცვლილებებს არავითარი ანგარიში არ გაუწია. 26 მაისს სეიმის სახელზე გაგზავნილი ულტიმატუმი 27 მაისს წარედგინა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს.

ა. ჩხენკელი და ნ. ჟორდანია ეროვნული საბჭოსა და ახლადშექმნილი მთავრობის რწმუნებით მოქმედებდნენ. 28 მაისს ისინი ჩავიდნენ ფოთში გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარესთან ხელშეკრულების გასაფორმებლად. საქართველო-გერმანიის ხელშეკრულება შეიცავდა ხუთ მუხლს. იგი, რაც მთავარია, საქართველოს თურქეთის მხრივ ოკუპაციისაგან თავის დაღწევას აღუთქვამდა. ა. ჩხენკელი გერმანიის დელეგაციას ბერლინში გაჰყვა. თურქეთთან საზავო მოლაპარაკების გაგრძელება ითავა ნ. რამიშვილმა, რომელიც 31 მაისს ჩავიდა ბათუმში. ნ. რამიშვილს აღარ გასჭირვებია თურქეთის საზავო დელეგაციის ხელმძღვანელის ხალილ ბეისთვის მიეცა თანხმობა საქართველოს რკინიგზებით სარგებლობის თაობაზე, რადგან რეალურად იგი, გერმანელებთან შეთანხმების შემდეგ, ვეღარ განხორციელდებოდა.

ბათუმში საზავო მოლაპარაკება დასრულდა 1918 წ. 4 ივნისს. „ზავის და მეგობრობის“ ხელშეკრულება თურქეთს აკუთვნებდა მთელ მესხეთს აწყურისა და აბასთუმნის გამოკლებით. საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია უნდა მომხდარიყო ერთი თვის განმავლობაში. მაგრამ ამ პერიოდში საქართველოში შემოვიდა გერმა-

ნელთა სამხედრო ნაწილები. 13 ივნისს საქართველოს მთავრობამ თურქეთის მთავრობას ოფიციალურად აცნობა, რომ გერმანელთა ჯარები საქართველოში მოწვეულია თვით მთავრობის მიერ და მასთან შეთანხმებით მოწოდებულია დაიცვას საქართველოს სახელმწიფო. გერმანელთა ჯარს ეკისრებოდა აგრეთვე რკინიგზის ხაზის დაცვაც.

ბრესტის ხელშეკრულების თანახმად ყარსის, არდაგანის და ბათუმის ოლქებში რეფერენდუმის მეშვეობით უნდა გადაწყვეტილიყო მოსახლეობის თანხმობა თურქეთის ქვეშევრდომობაზე. ოკუპირებულ ტერიტორიაზე თურქები ეწეოდნენ თავხედურ ძალადობას ქრისტიანულ მოსახლეთა მიმართ. მცხოვრებთა გადასაბირებლად ისინი შანტაჟის ყველა ფორმას მიმართავდნენ. 14 ივლისს რეფერენდუმი მოეწყო ბათუმის ოლქში. საერთაშორისო წესების უხეში დარღვევითა და აშკარა ძალადობით თურქეთმა თავისი გაიტანა. საქართველოს მთავრობამ რეფერენდუმი უკანონოდ ჩათვალა და 1 აგვისტოს პროტესტით მიმართა თურქეთის მთავრობას, მაგრამ ამაოდ. თურქი დამპყრობლები საქართველოს სამხრეთ რეგიონებში თავაწყვეტილ პარპაშს განაგრძობდნენ და ეს მხარე გააპარტახეს მანამ, ვიდრე, მუდროსის ხელშეკრულება ამ რეგიონიდან მათ ფეხს ამოუკვეთავდა.

ბათუმის ზავის შემდეგ საქართველოში მშვიდობა დამყარდა. მთავრობას შესაძლებლობა მიეცა განეხორციელებინა ზოგიერთი პირველი რიგის ღონისძიება. 8 ივნისის გადაწყვეტილებით საქალაქო და სამხარეო საბჭოებმა მართველობის პრეროგატივა მთავრობას გადასცეს, ხოლო თავისთვის დაიტოვეს პროპაგანდა-აგიტაციის ფუნქცია. „ეროვნულმა საბჭომ“ მეცნიერებს მიანდო სახელმწიფო ღერბის შემუშავება. გამოცხადდა კონკურსი ქართული ფულის ნიშნების თაობაზე, დაიდო ხელშეკრულება თერგის ოლქის მთავრობის წარმომადგენლებთან რიგ ნაწარმთა ხორბალში გაცვლის შესახებ. გაფორმდა პირველი რიგის ხელშეკრულებანი აზერბაიჯანის დამოუკიდებელ რესპუბლიკასთან და სხვ.

„ეროვნულ საბჭოში“ წარმოდგენილ პარტიათა პროგრამული დებულებანი ერთმანეთს არ ემთხვეოდნენ. პრინციპულ სააკითხებზე შეუპოვარი კამათის მიუხედავად, „ეროვნული საბჭო“, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველთვის პოულობდა საერთო ენას საკითხების გადაწყვეტაში. ვინაიდან საბჭოს დეპუტატთა დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ სოციალ-დემოკრატები, მთავრობის თავმჯდომარეობა მათ წარმომადგენელს ჰქონდა დაკისრებული. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კო-

მიტეტმა მიმართა თხოვნით ნოე ჟორდანიას ეკისრა მთავრობის თავმჯდომარეობა.

1918 წ. 24 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე ნოე რამიშვილი შეცვალა ნოე ჟორდანიამ. საკანონმდებლო ორგანოდ გამოცხადდა „ეროვნული საბჭო", რომელსაც ეწოდა „საქართველოს პარლამენტი". მთავრობას, როგორც წესი, აირჩევდა პარლამენტი. მას ეკისრებოდა აღმასრულებელი ხელისუფლება. მთავრობის პირველი შემადგენლობა კოალიციური იყო. ნ. ჟორდანიამ დანიშვნის დღესვე გააკეთა განცხადება, რომ მთავრობაში ცვლილებები პროგრამულ ხასიათს არ ატარებდა (ყველა მინისტრი ადგილზე დარჩა) და ამიტომ არავითარი დეკლარაციით არ გამოვიდოდა. მან ქართულ პარლამენტს პირველი რიგის ამოცანად დაუსახა მუდმივი ჯარის შექმნის შესახებ კანონის შემუშავება.

§ 3 საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკა

1. საქართველოს მთავრობის საერთო პოლიტიკური კონცეფცია. ნ. ჟორდანიამ ქვეყნის მართველობის კონცეფცია პარლამენტში ასე ჩამოაყალიბა: „ჩვენში, საქართველოში, სოციალისტური რევოლუცია შეგვიძლია დავისახოთ როგორც მიზანი, როგორც ისტორიული პერსპექტივა და არა როგორც უახლოესი პრაქტიკული ამოცანა. ჩვენ ვუყენებთ სახელმწიფოს გარკვეულ მიზანს: საზოგადოების გარდაქმნას სოციალისტურ საფუძველზე, ხოლო მივისწრაფვით რა აქეთკენ, ჩვენ უნდა გავიაროთ აუცილებელი პოლიტიკურ-ეკონომიკური საფეხურები, რომლის არც გადახტომას, არც შემოვლას ისტორია არ დაგვანებებს. ეს საფეხურებია: ძველი რეჟიმის დაცემა და სახალხო დემოკრატიული წეს-წყობილების დამყარება, ცხოვრებაში გატარება პროგრამა მინიმუმის და მხოლოდ ამის შემდეგ თანდათან პროგრამა მაქსიმუმზე გადასვლა".

ქართველი სოციალ-დემოკრატიის ეს კონცეფცია ემყარებოდა მარქსიზმს, რომელიც კაპიტალისტური წყობილების სოციალისტურით შეცვლის მიზანშეწონილობას და გარდუვალობას ქადაგებდა. ევროპული მარქსიზმის ერთგული ქართველი სოციალ-დემოკრატები საკუთარი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაბალ დონეს რომ ითვალისწინებდნენ, არ ჩქარობდნენ სოციალიზმის დამყარებას. მათი რწმენით საქართველოს ჯერ უნდა გაევლო კაპიტალისტუ-

რი განვითარების სტადია და წარმოების საშუალებათა განსაზოგადებისათვის მომწიფებულიყო. ამ მისიას ისინი აკისრებდნენ ეროვნულ ბურჟუაზიას, მისდამი კონტროლის ვითარებაში. პროგრამა მინიმუმი, რომელსაც ისინი გარკვეული ისტორიული ეპოქისათვის სახავდნენ, გულისხმობდა სოციალური სამართლიანობის მოწესრიგებას იმდროინდელ შესაძლებლობათა მიხედვით ისე, რომ ყველა საზოგადოებრივი ფენა უზრუნველეყოთ საყოფაცხოვრებო პირობებით. ქვეყნის მართვა-გამგეობა უნდა აგებულიყო ფართო დემოკრატიზმის საფუძველზე, საქართველოში მცხოვრებ ყველა ეთნიკური ერთეულის ინტერესთა გათვალისწინებით. ეკონომიკური და სოციალური წესრიგის ნიმუშად მიჩნეული ქონდათ შვეიცარია და ფინეთი. ეს იყო ის ევროპული წარმოდგენა სოციალიზმზე, რომელსაც რუსეთში ქადაგებდა გ. პლეხანოვი, ევროპაში — მეორე ინტერნაციონალი. მეორე ინტერნაციონალს დემოკრატიული საქართველო მიაჩნდა თავისი მსოფლმხედველობის პრაქტიკული ხორცშესხმის მაგალითად. დამახასიათებელია II ინტერნაციონალის ერთერთი ლიდერის ბელგიელი გამოჩენილი მოღვაწის ვანდერველდეს შემდეგი სიტყვები: „რამდენიმე წლის წინად ომამდის, საერთაშორისო საქმეებში ჩახედულ და მარქსიზმის ძირითად იდეებში გარკვეულ მებრძოლებს კითხვა რომ დაესვათ, თუ სად, რომელ სატახტო ქალაქში, პირველად აიღებს ხელში ძალაუფლებას დემოკრატიული სოციალისტური მთავრობაო, ზოგი კომუნის გახსენებით პარიზზე იფიქრებდა, ზოგი და უფრო მეტი ბერლინზე, ლონდონზე, სტოკჰოლმზე ან ბრიუსელზე, ხოლო ნიძლავს ვდებ, რომ არ აღმოჩნდებოდა ერთიც, რომ ეფიქრა თბილისზე, საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქზე“.

ამრიგად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის იდეოლოგიური საფუძველი იყო ევროპული ტიპის დემოკრატული სოციალიზმი, რაც პრინციპულად უპირისპირდებოდა სოციალიზმის რუსულ მოდელს, ბოლშევიკურ მაქსიმალიზმს. ქართულ დემოკრატიულ სოციალიზმს ქვეყნის რეალური სინამდვილიდან გამომდინარე, გეზი აღებული ჰქონდა საზოგადოების საშუალო ფენებზე, როგორც მთავარ დასაყრდენ ძალაზე, ამ ფენებს ბოლშევიკები თვლიდნენ რევოლუციის მტრულ ძალად. მათ გეზი აღებული ქონდათ პროლეტარიატის დიქტატურაზე.

2. ეკონომიკური ვითარება. საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა იმ დროს, როცა მთელი მსოფლიო აწეწილი და აფორიაქებული იყო. მსოფლიო ომმა, რომელიც 4 წელი გრძელდებოდა, შთანთქა ყველა მეომარი ქვეყნის დოვლათი,

მოშალა ნორმალური ცხოვრება და გზა გაუხსნა სამეურნეო ნგრევის პროცესს. ეს პროცესი ყველაზე ღრმა და მტკივნეული იყო რუსეთისათვის, რომელზედაც საქართველო ეკონომიკურად-ძალიანად იყო დამოკიდებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო ფლობდა დამოუკიდებელი ეკონომიკური ცხოვრების ყველა ატრიბუტს: ტერიტორია, მოსახლეობის სამეურნეო კულტურა, მდიდარი წიაღისეული, ნოყიერი ნიადაგი, ზომიერი ჰავა, მდინარეთა ხშირი ქსელი და ზღვაში გასასვლელი. მრავალდარგოვან მეურნეობათა ძველისძველი ტრადიცია ჰქმნიდა მწარმოებლურ ძალთა ფართო გასაქანს, მაგრამ მისი ეკონომიკური ცხოვრების წინსვლას ახშობდა გარეშე ძალა, — რუსეთის ბიუროკრატიული წყობილება და ადმინისტრაციული აპარატი; საქართველოს არ ჰყავდა ეროვნული ბურჟუაზია, არ გააჩნდა ეკონომიკური სადავეების ხელში აღების და ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობათა ამოქმედების გამოცდილება, სახალხო მეურნეობის სამართავად აკლდა ეროვნული კადრები. დამფუძნებელ კრებაში ეროვნული ბურჟუაზიის წარმომადგენლობა 7 კაცს არ აღემატებოდა.

სოციალ-დემოკრატიული პარტია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავიდანვე არ იბრძოდა და არც საამისო ეკონომიკური პროგრამა ჰქონდა შემუშავებული. საგარეო სიტუაციით შეპირობებული მოულოდნელი დამოუკიდებლობის ვითარებაში მართველ პარტიას ყველაზე მეტად ქვეყნის ეკონომიკური მოწესრიგება გაუჭირდა. დამოუკიდებლობა რომ გამოცხადდა, სახელმწიფო ხაზინას არ გააჩნდა ოქროთი მანეთიც კი. ამასთან მას ტვირთად დააწვა ფრონტიდან ჩამორჩენილი ოფიცრობისა და მოხელეთა დიდი არმიის რჩენა.

სამეურნეო ნგრევის საერთო ვითარებაში, როცა საგარეო და საშინაო ვაჭრობის გზები და საშუალებანი უკიდურესობამდე დახშული და შეზღუდული იყო, მრეწველობისა და ვაჭრობის შეუფერხებელი ფუნქციონირება შეუძლებელი გახდა. არ იყო საჭირო ნედლეული, გაცვეთილი იყო ტექნიკა. თანდათან ძლიერად იჩენდა თავს პირველი მოთხოვნილების საგანთა ნაკლებობა, განსაკუთრებით მძიმე იყო სასურსათო მდგომარეობა, რესპუბლიკაში მარცვლეულის უკმარობის გამო. ამ ვითარებაში აყვავებას განიცდიდა სპეკულაცია. ეკონომიკური ცხოვრების ყველაზე მძიმე პერიოდი დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი წელი იყო, მაგრამ მთავრობა თანდათან ართმევდა თავს ამ სიძნელეებს. შეიქმნა სპეციალური ფონდი მუშებისათვის. რკინიგზის მოსამსახურეთ გაუდიდათ ხელფასი, დაარსდა სატარიფო პალატა მწარმოებელთა და

მუშათა პარიტეტული წარმომადგენლობის საფუძველზე. მოხერხდა მანგანუმის წარმოების გაერთიანება და მისი ექსპორტის ნაციონალიზაცია. 1920 წ. საქართველოდან საექსპორტოდ გატანილ იქნა 183.000 ტონა მანგანუმი. ნაციონალიზირებულ იქნა ტყიბულის ქვანახშირის წარმოებაც. აიგო რიგი ახალი წარმოებანი, გაიხსნა სავაჭრო-სამრეწველო პალატა. შეიქმნა სააქციონერო და კოოპერატიულ საზოგადოებათა კავშირები. მთავრობა იღვწოდა შრომასა და კაპიტალს შორის უფლებრივ ნიადაგზე ნორმალური ურთიერთობის დასამყარებლად, ენერგიულად ებრძოდა სპეკულაციას. ამიტომ მუშათა გაფიცვებს, მცირე გამონაკლისის გარდა, ადგილი არ ჰქონია.

აგრარული რეფორმა საქართველოში ჯერ კიდევ 1917 წელს „ამიერკავკასიის კომისარიატის" თაოსნობით განხორციელდა. რეფორმის შემდგომი სრულყოფა დამოუკიდებლობის პერიოდში ადგილებზე ხორციელდებოდა სამაზრო ერობათა მიერ. რეფორმის შედეგად მთავრობის ხელში გადავიდა 640.000 ჰექტარი მიწა, ტყე, საზამთრო და საზაფხულო საძოვრები. გამოიცა კანონი საფონდო მიწების შესყიდვის შესახებ. მიწის საფასური განვადებით უნდა დაფარულიყო. ერობებს დაეკისრა ტყეების მოვლა-პატრონობა. სოფლის მეურნეობაში კერძო ინიციატივისათვის გზის მიცემამ მართველობის მეთვალყურეობის საფუძველზე შექმნა სოფლის მეურნეობის განვითარების პირობები. მეურნეობის რიგ დარგებში (მევენახეობა-მეღვინეობა, მეთამბაქოება, მეაბრეშუმეობა, მეხილეობა) დაიწყო აღმავლობა, რაც ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერების საფუძვლებს ქმნიდა.

მთავრობამ საიმედო საფუძველზე, ახალ პრინციპებზე დაყრდნობით, ააწყო საბანკო საქმე, შექმნა საკუთარი ფული, რომლის სიმტკიცე 1921 წლისათვის დიდად აღემატებოდა მეზობელი სახელმწიფოების, მათ შორის რუსული ბონების სიმტკიცეს. მიმდინარეობდა სახელმწიფო ბიუჯეტის ნორმალიზაცია, ისე, რომ საქართველოს არცერთი სახელმწიფოს ვალი არ ჰქონია.

უმართებულოა საბჭოურ ისტორიოგრაფიაში აქამდე ფეხმოკიდებული აზრი „მენშევიკური საქართველოს ეკონომიკური კატასტროფის" შესახებ. სავსებით გასაზიარებელია იმდროინდელი ფინანსთა მინისტრის კ. კანდელაკის დებულება, რომელიც მას ემიგრაციაში დაწერილ წიგნში („საქართველოს ეროვნული მეურნეობა") აქვს გამოთქმული: „დამოუკიდებელი საქართველო ეკონომიკური გასაჭირის ნიადაგზე არ დაღუპულა და ცოტა უფრო დიდხანს რომ გაეძლო მას, ყველასათვის თვალსაჩინო იქნებოდა, თუ რა ადრე და რამდენად უსაფუძვლოდ ლაპარაკობდნენ ეკონომიკური კატასტ-

როფის შესახებ ჩვენში! რუსეთში და რუსეთიდან გამოყოფილ ბევრ სახელმწიფოში, ისე როგორც თვით ევროპის დიდად განვითარებულ ქვეყნებში, ნორმალური ეკონომიკური მდგომარეობის დასამყარებლად საჭირო გახდა არა ნაკლებ 7-8 წლისა. საქართველოს არ დასცალდა ამდენხანს არსებობა. იგი დაპყრობილი იქნა სწორედ მაშინ, როცა უკვე ჩასახული იყო მისი ეკონომიკური გამაგრების საშუალებანი და როცა იგი შევიდა საერთაშორისო ოჯახში, როგორც კანონიერი და სრულუფლებიანი წევრი."

3. მმართველობის ორგანიზაცია. საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი, საკანონმდებლო ორგანო იყო პარლამენტი. საქართველოს პარლამენტის ფუნქციას დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან ასრულებდა ეროვნული საბჭო, რომელიც 1917 წ. 20 ნოემბერს ჩამოყალიბდა და 1918 წლის 26 მაისის სხდომაზე გაფართოვდა თავისი შემადგენლობით. 1918 წ. ოქტომბრის სხდომაზე ეროვნულ საბჭოს ეწოდა "საქართველოს პარლამენტი. უზენაეს ორგანოში წარმოდგენილი იყო სრულიად საქართველო, განურჩევლად ეროვნული კუთვნილებისა. პარლამენტში საქართველოში მოსახლე სომხობას ჰყავდა 10 დეპუტატი, თათრებს (აზერბაიჯანელებს) — 4, აფხაზებს — 3, რუსებს — 2, ოსებს — 2, ქართველ ებრაელებს — 2, ებრაელებს — 1, ბერძნებს — 1, გერმანელებს — 1. ქართულ პარლამენტში წარმოდგენილი იყო სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიათა ფრაქციები (ეროვნული დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები, "სხივისტები", უპარტიონი). სახელმწიფო ენად აღიარებული იყო ქართული, მაგრამ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს ნება ჰქონდა დართული ემსჯელა თავის ენაზე. არავითარი შეზღუდვა არც კულტურულ, არც რელიგიურ სფეროში არ არსებობდა. პარლამენტი ცხოვრების ყველა სფეროში მდგომარეობის მოსაწესრიგებლად სცემდა კანონებს, რომელთა განხორციელების უზრუნველყოფა მთავრობას ეკისრებოდა.

"საქართველოს პარლამენტი" მიჩნეული იყო იმ საკანონმდებლო დროებით ორგანოდ, რომელსაც მთელი ძალაუფლება ხალხის მიერ არჩეული დამფუძნებელი კრებისათვის უნდა გადაეცა. მან შეიმუშავა საარჩევნო დებულება, რომლის საფუძველზე 1919 წ. თებერვალში ჩატარდა დამფუძნებელი კრების საყოველთაო, ფარული პირდაპირი არჩევნები. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტმა, თავიანთი პლატფორმებით გამოვიდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები. არჩევნებით სავარაუდო 130 დეპუტატიდან სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გაიყვანა 109 დეპუ-

ტატი, ეროვნულ-დემოკრატიულმა — 8, სოციალისტ-ფედერალისტებმა — 8, სოციალისტ-რევოლუციონერებმა — 5. დანარჩენ პარტიებს პარლამენტში ადგილი არ ერგოთ, რადგან მათ მიერ მიღებული ხმების რაოდენობამ დაწესებულ ნორმას ვერ მიაღწია.

დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა გაიხსნა 1919 წ. 12 მარტს. ეს უმაღლესი ორგანო ფუნქციონირებდა მანამ, ვიდრე საბჭოთა რუსეთმა არ განახორციელა საქართველოს ოკუპაცია. ბოლო სხდომა პარლამენტმა ჩაატარა ბათუმში 1921 წ. 17 მარტს. ამის შემდეგ დეპუტატების ნაწილი ემიგრირებულ მთავრობას გაჰყვა პარიზში, ნაწილი საქართველოში დარჩა, მაგრამ მსხვერპლად შეეწირა საქართველოს საბჭოთა მთავრობის რეპრესიებს.

ადგილობრივ მმართველობას საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკაში ახორციელებდნენ სამაზრო ერობები, რომლებიც საქართველოს პარლამენტის კანონით 1918 წლ. მეორე ნახევრიდან ჩამოყალიბდნენ. მმართველობის საკუთარი ორგანო გაიჩინეს ქალაქებმა. ერობები და ქალაქთა თვითმართველობანი აღიარებული იყო საფუძვლად, რომელსაც ეყრდნობოდა მთელი სახელმწიფოებრივი შენობა. ერობებსა და საქალაქო თვითმმართველობებს გადაეცათ ადგილობრივი მმართველობის ფუნქციებიც. ამრიგად, სახელმწიფოებრივი ძალაუფლება ცენტრსა და პერიფერიებს შორის განაწილდა. ერობათა მაღალმა პრეროგატივამ და სამოღვაწეო რთულმა კომპლექსმა ერობათა საერთო კავშირის შექმნის აუცილებლობა შეაპირობა. 1918 წ. მიწურულში შეიქმნა ერობათა რესპუბლიკური კავშირი, რომელსაც სამაზრო ერობებისადმი საერთო ხელმძღვანელობა და დახმარება დაეკისრა. ასევე შეიქმნა საქალაქო თვითმართველობათა რესპუბლიკური კავშირი, რომელიც დახმარებას უწევდა ცალკეულ ქალაქებს სამეურნეო — კულტურულ საკითხთა მოწესრიგებაში. ჩამოყალიბდა სათემო ერობანი, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ადგილებზე ყველა საჭირო საკითხის მოგვარებას. ახორციელებდნენ ადმინისტრაციულ და სასამართლო ფუნქციებს. როგორც ვხედავთ, ქვეყნის მართველობა მარტივი და ოპერატიული იყო. იგი პრინციპში გამორიცხავდა პარაზიტული ბიუროკრატიის შექმნას, არსებითად დაზღვეული იყო პარტიული სუბიექტურობისაგან და ასახავდა, რესპუბლიკის ყველა მოქალაქის ინტერესებს.

4. დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკა. საქართველოს მთავრობა კეთილსინდისიერად იცავდა 1918 წ. 26 მაისის დეკლარაციის მეხუთე მუხლს, სადაც ნათქვამია: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად

უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა". დემოკრატიული საქართველოს [illegible] ბობის პერიოდში საგანგებო ყურადღება ექცეოდა საქართველოში მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა ცხოვრების სოციალურ და კულტურულ სფეროებს. საკმარისია ითქვას, რომ ამ პერიოდში საქართველოში არსებობდა 81 სომხური, 60 რუსული, 31 თათრული სკოლები. საფუძველი ეყრებოდა პირველდაწყებით განათლებას აფხაზურ და ოსურ ენებზე. ყველა ეთნიკურ ჯგუფს ჰყავდა თავისი ეროვნული საბჭო, რომელთაც დიდ ანგარიშს უწევდა როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური მმართველობა.

ეროვნული უმცირესობანი საქართველოში თავს ლაღად გრძნობდნენ და არასოდეს აღძვრიათ სურვილი მისგან გამოცალკევებისა. დამახასიათებელია ასეთი მაგალითი: 1919 წ. თებერვალში დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღეს ახალციხის და ახალქალაქის მაზრებმა, რადგან ეს ტერიტორია იმ დროს თურქთა სათარეშო ასპარეზს წარმოადგენდა. თურქი ოკუპანტებისაგან გათავისუფლების შემდეგ ამ მაზრებში მოეწყო დამფუძნებელი კრების დეპუტატთა დამატებითი არჩევნები. ცნობილია, რომ ამ მაზრებში მოჭარბებული იყო სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობა და მეზობელი სახელმწიფოები დაობდნენ კიდეც იმ მიწა-წყალის გამო. არჩევნებს მიეცა რეფერენდუმის ხასიათი ლოზუნგით — საქართველო თუ სომხეთი, საქართველო თუ აზერბაიჯანი. სომეხი და აზერბაიჯანელი ნაციონალისტური წრეების წინასაარჩევნო ანტიქართული აგიტაციის მიუხედავად, შედეგები მათთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა: ახალციხის მაზრაში არჩევნებში მონაწილეობდა 30 000 კაცი. აქედან 24 000 ხმა მიიღო სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და მხოლოდ 3 ათასი სომხურმა დაშნაკციუტუნმა. ჯავახეთში არჩევნებში 21.687 კაცი მონაწილეობდა. აქედან სოციალ-დემოკრატიას ხმა მისცა 13.000-მა, დაშნაკციუტუნს — 8000-მა, დანარჩენ პარტიათა ხმების რაოდენობა უმნიშვნელო იყო.

ყველაზე მტკივნეული იყო აფხაზეთის საკითხი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე თბილისს ეწვია აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაცია რ. კაკუბას, გ. თუმანოვის, ვ. გურჯუას და გ. აჯილოვის შემადგენლობით. საქართველოს მთავრობასთან ამ დელეგაციამ გამართა მოლაპარაკება აფხაზეთ-საქართველოს შემდგომი ურთიერთობის თაობაზე. ეროვნული საბჭოს 6 ივნისის სხდომაზე რ. კაკუბა ხაზს უსვამდა ქართველ-აფხაზთა ისტორიულ ერთობას, მათს სულიერ სიახლოვეს, მოითხოვდა ეს ერთობა კვლავაც

დარჩენილიყო და აფხაზეთს არ მოკლებოდა საქართველოს მთავრობის მხრივ დახმარება. რ. კაკუბამ ისიც აღნიშნა, რომ აფხაზეთში არსებობს სხვადასხვა ორიენტაციის რამდენიმე პოლიტიკური ძალა. ნარეობა, შეძლებულთა ჯგუფი თურქული ორიენტაციისა, გარკვეული მცირე ჯგუფი განმსჭვალულია ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკისადმი სიმპათიით. სწორედ ამიტომ იგი მთავრობას თხოვდა აფხაზეთიდან არ გამოეყვანა თავისი გვარდიის ნაწილები. 1918 წ. 8 ივნისს აფხაზეთის ეროვნული საბჭოს წარმომადგენლობასა და საქართველოს მთავრობას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც აფხაზეთი ადასტურებდა საქართველოსთან განუყოფლობას, ხოლო საქართველოს მთავრობა მას აღუთქვამდა ავტონომიურ უფლებებს რესპუბლიკის შემადგენლობაში.

აფხაზეთის ტერიტორიას ხელს უპოტინებდნენ თურქი დამპყრობლები. 1918 წ. გაზაფხულზე, როცა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით აფხაზეთში მიმდინარეობდა აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად, შეძლებულთა ერთმა ჯგუფმა დახმარება თხოვა თურქეთს, რომელმაც გაგზავნა კიდეც არმია სოხუმის დასაკავებლად. თურქეთის ეს მცდელობა ჩაიშალა საქართველოს გვარდიის ნაწილების ოპერატიული მოქმედებით. 1918 წ. ოქტომბერში ამავე ჯგუფმა ოლქის კომისარ მარღანიას და პოლკოვნიკ ჩხოტუას მეთაურობით სცადა მოეხდინა გადატრიალება აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის მიზნით.

თურქეთში გადახვეწილ შარვაშიძის ხელშეწყობით თურქმა მედესანტეებმა კოდორის ხეობაში გადმოტვირთეს დიდძალი იარაღი, რათა აჯანყებულნი შეეიარაღებინათ. მაგრამ გენერალ მაზნიაშვილის ნაწილებმა აღკვეთეს ეს ოპერაცია.

დენიკინი და მისი ხელდასმით ჩამოყალიბებული ყუბანის მთავრობა პრეტენზიას აცხადებდა გაგრის მთელ ოლქზე. დენიკინელებმა რამდენიმეჯერ სცადეს აფხაზეთის ტერიტორიაზე შეჭრა და მისი მითვისება, მაგრამ საქართველოს სამხედრო ძალებმა გენ. მაზნიაშვილის მეთაურობით ჩაშალეს ეს განზრახვა.

რუსეთის სამხრეთში დენიკინის მძლავრობის პერიოდში აფხაზეთში დიდად აქტიურობდნენ რუსული კლერიკალური წრეები. ისინი ცდილობდნენ ხელი შეეშალათ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის, აფხაზეთის ეპარქია შეეყვანათ შავიზღვისპირეთ-ნოვოროსიისკის შემადგენლობაში.

1919 წ. დამდეგს აფხაზეთის სახალხო საბჭო გადახალისდა. ახალმა საბჭომ საქართველოს დამფუძნებელ კრებას წარუდგინა ავ-

ტონომიის აქტი, რომელსაც ხელს აწერდა საბჭოს თავმჯდომარე �ხუარი. აქ ნათქვამია: „აფხაზეთის პირველმა სახალხო საბჭომ, რომელიც არჩეულ იქნა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორუფლებიანი და ფარული არჩევნების საფუძველზე თავის სხდომაზე 1919 წ. 20 მარტს აფხაზეთის ხალხების სახელით დაადგინა: 1. აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული, ამის თაობაზე ეცნობოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მის დამფუძნებელ კრებას. 2. ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის შესადგენად და ცენტრალურ და ავტონომიურ ხელისუფლებას შორის ურთიერთობის განსაზღვრისათვის არჩეულ იქნა შერეული კომისია საქართველოს დამფუძნებელი კრების და აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრთა თანაბარი რაოდენობით, გამომუშავებულია დებულებები, თუ მათ მიიღებენ საქართველოს დამფუძნებელი კრება და აფხაზეთის სახალხო საბჭო, ისინი შეტანილ უნდა იქნას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში“. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ეს აქტი მოიწონა და დაამტკიცა.

აფხაზეთის სახალხო საბჭოში არ იყო ერთსულოვნება. სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლებს საქართველოსთან დამოკიდებულებაში ეკავათ ერთმანეთისაგან განსხვავებული პოზიცია. სეპარატისტები პირადი ინტერესებიდან გამოდიოდნენ და სრულებითაც არ უწევდნენ ანგარიშს აფხაზ ხალხს, რომელსაც ქართველებთან მჭიდრო ისტორიული ერთობა აკავშირებდა და რომელიც განცალკევების არავითარ მისწრაფებებს არ ამჟღავნებდა.

1920 წ. მიწურულისათვის საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ შეიმუშავა „აფხაზეთის ავტონომიური მართველობის დებულების“ პროექტი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად დაამტკიცა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს. დებულებაში ნათქვამია, რომ „აფხაზეთი მდინარე მეხადირიდან მდინარე ენგურამდე, შავი ზღვის სანაპიროდან კავკასიონამდე ითვლება საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად და ამ საზღვრებში ავტონომიურად მართავს თავის შინაგან საქმეებს“.

ეს დებულება ასახავდა ისტორიული ცხოვრების რეალობას და უპასუხებდა ორივე ხალხის ინტერესებს. ამრიგად, დემოკრატიულმა დამოუკიდებელმა მთავრობამ საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობის საკითხი გადაწყვიტა სამართლიანად, ორივე მხრივ მისაღები პირობების საფუძველზე.

1921 წ. შემდეგ გავრცელებული საბჭოური ისტორიოგრაფიის ოფიციალური შეხედულებით საქართველოს დემოკრატიული მთავრობა თითქოს ჩაგრავდა ეროვნულ უმცირესობებს თავის რესპუბლიკაში. მაგალითად მოჰქონდათ ქართულ მიწა-წყალზე მოსახლე ოსებისადმი მტრული დამოკიდებულება 1918—1920 წლებში.

დემოკრატიული საქართველოს დესტაბილიზაციის მიზნით 1918 წელს საქართველოს სოფლებში გაჩაღებულმა აგრარულმა მოძრაობამ ოსი გლეხობაც ჩაითრია. ამიერკავკასიის ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტის რეზიდენციას 1918—1919 წლებში წარმოადგენდა ჩრდილოეთ ოსეთის ცენტრი ვლადიკავკაზი. ხელმძღვანელი ბოლშევიკები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს, მათ შორის ოსებს, აქეზებდნენ საქართველოს წინააღმდეგ. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ ს. ორჯონიკიძე, პარტიის სამხარეო კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე და ა. გეგეჭკორი, სწორედ ა. გეგეჭკორი სამეგრელოში მარცხის შემდეგ 300 კაციანი რაზმით ჩრდილოეთ ოსეთს შეეხიზნა და იქაურ ძალთა გამოყენებით ცდილობდა საბჭოებისათვის ბრძოლის განახლებას საქართველოში.

შორაპნისა და გორის მაზრებში ბოლშევიკების წაქეზებით დაწყებულ აგრარულ მოძრაობას მთავრობა ახშობდა იარაღის გამოყენებით, რა თქმა უნდა იმის განურჩევლად, თუ რომელ ეთნოსს ეკუთვნოდნენ მისი მონაწილენი. ოსმა კომუნისტებმა კი ცხინვალსა და სამაჩაბლოში ანარქიის აღკვეთისათვის მთავრობის ბრძოლა მონათლეს ოსური მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ ანტიეროვნულ აქციად და ბოლშევიკური ცენტრიდან წაქეზებით დაიწყეს ოსებით დასახლებული შიდა ქართლის ტერიტორიის საქართველოდან გამოცალკევებისა და მისი საბჭოთა რუსეთთან შეერთების პროპაგანდა. 1918—1920 წლებში ოსთა შეიარაღებული რაზმები დათარეშობდნენ როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში და იქაურ ქართველ (ალაგირელ) მოსახლეობას ულეტდნენ, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე და აქაური მიწა-წყლის ქართველ მესაკუთრეებს ანგარიშს უსწორებდნენ.

რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მითითებით 1919 წ. 12 ივნისს ჯავაში შეიკრიბა არალეგალური პარტიული კონფერენცია, რომელმაც შექმნა რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი, ამ ორგანოს დავალება მიეცა „დაერაზმა ოსი მოსახლეობა" დემოკრატიული საქართველოს მთავრობის დამხობისათვის. 1920 წ. მაისში სამხრეთ ოსეთში ამ რაზმებმა დროებით წარმატებას მიაღწიეს და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. შეიქმნა სამხრეთ ოსეთის რევკომი, რომელმაც 8 ივნისს გამოსცა ასეთი ბრძანება:

„ცხადდება საბჭოთა ხელისუფლება ტერიტორიაზე ონიდან ლუმეთამდე... მთელი ძალაუფლება ეკუთვნის სამხრეთ ოსეთის რევკომს. ეცნობოს რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, რომ სამხრეთ ოსეთის მშრომელთა სურვილია რუსეთთან შეერთება“.

1920 წ. აჯანყების ჩაქრობა დემოკრატიულმა მთავრობამ სახალხო გვარდიას დააკისრა. აჯანყება ჩაქრობილ იქნა, რასაც ამ რაზმის მეთაურის ჯუღელის მხრივ მოჰყვა გადაჭარბებული სისასტიკე. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო მთავრობის პოლიტიკა ოსების, როგორც ეთნიკური წარმონაქმნის მიმართ. ეროვნული საბჭოს თუ დამფუძნებელი კრების სხდომებზე ოსური რაიონების საკითხი მუდამ სოციალურ პრობლემათა საერთო ჭრილში იხილებოდა და მთავრობა, პირიქით, იმის ცდაში იყო, რომ ზოგიერთი პრივილეგიების მიცემით ოსი მოსახლეობისათვის მოესპო წარმოქმნილი კონფლიქტების ეთნიკური შეფერადების საბაბი, რასაც ბოლშევიკთა რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი განგებ ამუქებდა და თავისი მიზნებისათვის იყენებდა.

5. გლეხთა აჯანყებანი საქართველოში. დამოუკიდებლობის გამოცხადების ჟამს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ეკონომიკურად უმძიმესი მემკვიდრეობა დახვდა. არ იყო სურსათის მარაგი, მოშლილი იყო სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, ქვეყანა შიმშილობის საფრთხის წინაშე იდგა.

მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო დამოუკიდებლობის მტრულ ძალებს გასაქანი ქონდათ გაეღიზიანებიათ მშრომელი მასები, მთავრობისა და მმართველი პარტიისათვის გადაებრალებინათ ეკონომიკური კრიზისი და დაეწყოთ ხალხის წაქეზება მის წინააღმდეგ. ქართველი ბოლშევიკების საბრძოლო ამოცანას, როგორც ვიცით, შეადგენდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის დამხობა და აქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ამ მიზნის მისაღწევად ისინი ძირითადად ეყრდნობოდნენ საქართველოს სოფლებში რუსეთის ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაც-გლეხებს, რომელთაც თან ჩამოიტანეს რუსეთში აგრარული დეკრეტის განხორციელების ამბავი. მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციისა და ფაბრიკა-ქარხნების მუშათა კლასისათვის გადაცემის საბჭოურ პრაქტიკაზე რომ მიუთითებდნენ, ბოლშევიკები გლეხებს პირდებოდნენ ყველა ამ სიკეთეს, თუ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდებოდა.

ქართველ ბოლშევიკთა ასეთ მოწოდებებს მართლაც გამოეხმაურნენ საქართველოს ზოგიერთი რაიონის გლეხები.

1918 წ. დამდეგს, ჯერ კიდევ დამოუკიდებელი რესპუბლიკის

გამოცხადებამდე, გლეხთა აგრარული გამოსვლები გაჩაღდა ლეჩხუმის, გორის, ზუგდიდის, სენაკის მაზრებში და აფხაზეთში.

1918 წ. თებერვალში ლეჩხუმში თითქმის ყოველდღიურად ბოდა გლეხთა მიტინგები, სადაც ბოლშევიკური რეზოლუციები გამოჰქონდათ. გლეხთა შეიარაღებულმა რაზმებმა დაიკავეს ცაგერი, მოკლეს დადეშქელიანი, განაიარაღეს გვარდიული რაზმები ქუთაისის საგუბერნიო ხელისუფლებას ხანგრძლივი დრო დასჭირდა. ამ მღელვარების დასაწყნარებლად. ლეჩხუმის ერთდროულად აგრარული მოძრაობა დაიწყო გორის მაზრაში და სამეგრელოში. სალხინოში გლეხთა მრავალრიცხოვანი რაზმი ჩამოაყალიბა ბოლშევიკმა ა. გეგეჭკორმა. ამ რაზმებმა ბანძაში და მარტვილში გარეკეს ერობის ხელისუფალნი, მალე ისინი წალენჯიხასაც დაეუფლნენ. სამეგრელოსთან ერთად საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა დაიწყო სოხუმში და მის ახლო რაიონებში. განსაკუთრებით აქტიური ხასიათი ჰქონდა გლეხთა მოძრაობას გუდაუთაში, სადაც მოძრაობის მთავარ ძარღვს "კიარაზის" რაზმები წარმოადგენდა. აჯანყებულებმა იერიში სოხუმზე მიიტანეს და დაეუფლნენ მას. აფხაზეთში ერთხანს გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება.

დემოკრატიული საქართველოსადმი მტრული აქციები მიმდინარეობდა სწორედ იმ პერიოდში, როცა ქვეყანა თურქეთის ინტერვენციის საშიშროების წინაშე იდგა, როცა ოკუპანტთა ჯარებმა ჯერ ბათუმი, შემდეგ ოზურგეთი დაიკავეს და თბილისსაც უმიზნებდნენ. ბუნებრივია, ამ მძიმე განსაცდელის ჟამს ყველა პატრიოტი ეროვნული მთლიანობის, ქვეყნის საერთო ძალისხმევით თავდაცვის მოწოდებით უნდა გამოსულიყო. დასავლეთ საქართველოს მაზრებსა და და აფხაზეთში ბოლშევიკებმა კი სწორედ ამ დროს გაუხსნეს შინაური ფრონტი დემოკრატიულ მთავრობას. უნდა ითქვას, რომ ეს შეუსაბამობა იგრძნო ზოგიერთმა ხელმძღვანელმა ბოლშევიკმა და დასავლეთ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების კონფერენციაზე, რომელიც ქუთაისში 20-23 თებერვალს მიმდინარეობდა, საკითხი დააყენა გლეხთა აჯანყებები აეკრძალათ და აქცენტი საქართველოს გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაზე გადაეტანათ.

მაგრამ როგორც კი თურქეთის მხრივ საქართველოს ოკუპაციის საფრთხე მინელდა, აგრარულ მოძრაობათა ხანძარი კვლავ დაინთო. ყველაზე მასობრივი აჯანყება 1918 წლის ივნისში მოხდა დუშეთის მაზრაში.

დუშეთში გლეხთა აჯანყება შეამზადეს ბოლშევიკთა სამხარეო და თბილისის კომიტეტებმა. გეგმაში ჰქონდათ გლეხთა გამოსვლის ჟამს ხელთ ეგდოთ დარიალის უღელტეხილი, რომ ამ გზით ჩრდი-

ლოეთ კავკასიიდან მიეშველებინათ იქ შეხიზნული ა. გეგეჭკორის რაზმი. აგრარული გამოსვლები სხვა მაზრებშიც უნდა მომხდარიყო და ერთობლივი შეტევით დაემხოთ დემოკრატიული საქართველოს მთავრობა, დაემყარებინათ საბჭოთა ხელისუფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუშეთის აჯანყების კერა გახდა სოფ. მისაქციელი, შემდეგ იგი წილკანსაც მოედო. შეიარაღებულმა რაზმებმა ჩაკეტეს თბილისის სამხედრო გზა, ხელთ იგდეს დარიალის უღელტეხილი, რითაც მოიშველიეს ჩრდილოეთ კავკასიის რაზმები. 1918 წლის 25 ივნისს თუშეთში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. თბილისიდან დაძრულმა გვარდიულმა ნაწილებმა ბებრის ციხესთან გაარღვიეს ხერგილი და გეზი დუშეთზე აიღეს. წარუმატებლობა განიცადა ვლადიკავკაზიდან დაძრულმა ა. გეგეჭკორის 300 კაციანმა რაზმმაც და ალყაში მოხვედრის შიშით უკანვე დაბრუნდა. დუშეთის გლეხთა აჯანყება დამარცხდა. დახვრეტილ იქნა აჯანყების სამი მესვეური.

დუშეთის აჯანყების მარცხმა ცხადჰყო, რომ ქართველი მოსახლეობის იმედით ბოლშევიკებს თავიანთი მიზანდასახულობის განხორციელება არ შეეძლოთ. აგრარული მოძრაობა 1919 წლიდან საგრძნობლად მინელდა. რაც შეეხება საქართველოს მუშათა კლასს, იგი კომუნისტური იდეების მიმართ არავითარ მისწრაფებას არ იჩენდა. ასეთ ვითარებაში რჩებოდა მხოლოდ გარედან დახმარების იმედი, მაგრამ საქართველოს გარეთ ბოლშევიკების მდგომარეობა ვერ იყო სახარბიელო: დენიკინის სამხედრო ნაწილები საბჭოთა რესპუბლიკასთან ბრძოლაში წარმატებას წარმატებაზე აღწევდნენ და თვით წითელ მოსკოვს ემუქრებოდნენ. ამ მძიმე განსაცდელის ჟამს ლენინმა ქვეყნის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს მიმართა მოწოდებით — „ყველაფერი დენიკინის წინააღმდეგ!“ ლენინის მოწოდებას ამიერკავკასიის სამხარეო ბოლშევიკური კომიტეტი 1919 წ. შემოდგომაზე გამოეხმაურა იმით, რომ წამოიწყო ყოვლად გაუმართლებელი ავანტიურა — სამზადისი საყოველთაო შეიარაღებული აჯანყებისათვის. ამ აჯანყების მიზანი, მის მესვეურთა განმარტებით, უნდა ყოფილიყო „დენიკინის ზურგის შესუსტება“, რაც მოსკოვზე მის შეტევას დააბრკოლებდა. 1919 წლის 23 ოქტომბერს დანიშნული და რაიონებში წინასწარ შემზადებული ჯანყი გამჟღავნდა და მენშევიკურმა მთავრობამ მისი მესვეურები ადრე დააპატიმრა, რის გამოც აჯანყება ფაქტობრივად ჩაიშალა. ეს ავანტიურა რომ არ გამოაშკარავებულიყო, რა თქმა უნდა, საქართველოს დიდი მსხვერპლი უნდა გაეღო, რადგან ქართველი ხალხის უმრავლესობა თავის მონაპოვარს უბრძოლველად არ დათმობდა.

6. დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუცია. 1921 წ. 21

თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა „საქართველოს კონსტიტუცია“. მასში აისახა ქვეყნის დამოუკიდებელი ცხოვრების ყველა მონაპოვარი. კონსტიტუცია ეყრდნობოდა 1918 წ. 26 მაისის დეკლარაციის პრინციპებს, ითვალისწინებდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების სამწლიან გამოცდილებას; მისი ძირითადი დებულებანი შემუშავებული იყო ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციების, განსაკუთრებით შვეიცარიის დადებითი გამოცდილების გათვალისწინებით.

კონსტიტუცია უპრეცენდენტო იყო საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში. პირველად მოხდა ისიც, რომ ნაცვლად მონარქიისა, რაც ჩვენში სახელმწიფოებრივი მართველობის ტრადიციულ ფორმას წარმოადგენდა, დაკანონდა რესპუბლიკური წესწყობილება. კონსტიტუციის პირველი თავის პირველივე მუხლში აღნიშნულია: „საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო. მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“.

საქართველოს კონსტიტუცია შედგებოდა 17 თავისა და 149 მუხლისაგან. ზოგადი დებულებების შემდეგ იგი აკანონებდა რესპუბლიკის მოქალაქეობას და მის უფლებებს, პარლამენტის პრეროგატივას, აღმასრულებელი ხელისუფლების მოვალეობას, სასამართლო ხელისუფლების შინაარსს. მასში განსაზღვრული იყო სახელმწიფო ფინანსების სისტემა, ადგილობრივი თვითმართველობა, ავტონომიური მართველობანი, სწავლა-განათლების არსი, ხალხის სოციალ-ეკონომიკური უფლებანი, ეკლესიასთან დამოკიდებულება და სხვ. კონსტიტუციის 129 მუხლით ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი განსაზღვრული იყო ასე: „არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა. ყველას უფლება აქვს სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა-ენაზე“. მომდევნო მუხლები (130, 137) ადგენდნენ ეროვნული კავშირების პრეროგატივებს, მათს მონაწილეობას საერობო თვითმართველობაში, აკანონებდნენ. ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში ბავშვის მშობლიურ სალაპარაკო ენაზე სწავლებას. პარლამენტის არაქართველ დეპუტატს შესაძლებლობა ჰქონდა სიტყვა წარმოეთქვა მშობლიურ ენაზე მისი თარგმანის პრეზიდიუმში წარდგენით.

არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კონსტიტუციის 115-ე მუხლს, სადაც ნათქვამია: „რესპუბლიკას აქვს საკუთარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სააღებ-მიცემო და სამრეწველო მეურნეობა, რომლის გაფართოება და ერთი მთლიანი საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნა მისი მთავარი მიზანია.

რესპუბლიკა ხელს უწყობს ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოთა ასეთსავე მეურნეობის გაფართოებას და გაძლიერებას.

რესპუბლიკას შეუძლია კანონმდებლობის გზით გაასაზოგადოს ის სავაჭრო-სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დარგი და წარმოება, რომელიც ამისთვის გამოსადეგია". ამ მუხლის გამო საკონსტიტუციო კომისიაში, შემდეგ დამფუძნებელ კრებაშიც პარტიათა დიდი ბრძოლა მიმდინარეობდა. ყველაზე თავგამოდებით მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ეროვნული დემოკრატები.

მმართველი პარტიის აზრით საქართველოში მეურნეობის ფართო განსაზოგადოებისათვის ხელსაყრელ ვითარებას ქმნიდა კერძო მრეწველობის სისუსტე და მისი კონკურენციის უუნარობა, მეორე მხრივ ის, რომ სახალხო მეურნეობის რიგი დარგები (რკინიგზა, საუფლისწულო მამულები, კურორტები და სხვ) ძველი წყობიდან მემკვიდრეობით იყო მიღებული. სახელმწიფო უფრო მეტად უნდა ჩარეულიყო სამეურნეო საქმეებში, მაგრამ ხაზინის სიღარიბის, საერთო ტექნიკური ჩამორჩენილობის, კადრების სიმცირის ვითარებაში ეს ვერ ხერხდებოდა. სოციალ-დემოკრატები იმედოვნებდნენ, რომ სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებისაკენ აღებული გეზი თანდათან შეცვლიდა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ სტრუქტურას და ამრიგად, თანდათან, დემოკრატიული კანონმდებლობის გზით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე შემზადდებოდა ნიადაგი სოციალიზმისათვის. ასეთი გზა — ასაბუთებდნენ ისინი, — იმ დროის ევროპის ბევრ მოწინავე ქვეყანას ჰქონდა აღებული. ოპოზიციურ პარტიებს კი მიაჩნდათ, რომ მთავრობის ეს პოლიტიკა ზღუდავდა კერძო ინიციატივას.

კონსტიტუციის 116-ე მუხლი იცავდა ქალაქის და სოფლის წვრილმწარმოებელთა ინტერესებსაც. წვრილ წარმოებაზე ზრუნვა იყო მართებული გეზი, რომელსაც ბოლშევიკური რუსეთისაგან განსხვავებით, ადგა მმართველი პარტია საქართველოში.

საქართველოს კონსტიტუცია ასახავდა დემოკრატიული დამოუკიდებელი რესპუბლიკის მონაპოვარს სახელმწიფოებრივი და სამეურნეო კულტურის ყველა სფეროში, ქმნიდა საიმედო გარანტიებს ამ მონაპოვართა შემდგომი განვითარება-სრულყოფისათვის. მაგრამ კონსტიტუციას მხოლოდ 4 დღის სიცოცხლე ჰქონდა. 1921 წ. 25 თებერვალს იგი დამპყრობელ ძალთა მიერ ფეხქვეშ იქნა გათელილი.

§ 4 დემოკრატიული საქართველოს საგარეო პოლიტიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საერთო მიმართულება. საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის მომენტში საერთაშორისო ვითარება უკიდურესად რთული და დაძაბული იყო. მსოფლიო ომი, მართალია, დამთავრდა, მაგრამ მეომარ სახელმწიფოთა მომავალი ბედ-იღბალი ჯერ არ იყო გადაწყვეტილი. ამასთან საქართველოს ჩრდილოეთით მძვინვარებდა სამოქალაქო ომი, რომლის შედეგებს საქართველოსათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

საქართველოს უზენაესმა ორგანომ — პარლამენტმა და მთავრობამ თავისი საგარეო პოლიტიკის საფუძვლად სრული ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს. ტერიტორიულად პატარა, შესაძლებლობით სუსტი ახლადშობილი სახელმწიფო ვერ იკისრებდა მეზობელი ქვეყნების ინტერესთა დაპირისპირებაში რომელიმეს მხარე დაეკავებინა. იგი თავისი ისტორიული ტრადიციით მხოლოდ თავდაცვითს პოზიციაზე იდგა და ცდილობდა გარეშე ქვეყნებთან მშვიდობიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობა დაემყარებინა.

პირველი რიგის ამოცანას შეადგენდა ურთიერთობის მოგვარება აზერბაიჯანთან და სომხეთთან, რომლებიც 1918 წლის მაისშივე, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ. დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული საზღვრების საკითხი, რადგან ისტორიული სამართლიანობა და ფაქტობრივი სინამდვილე, ცარიზმის ასწლიანი ბატონობის შედეგად, ურთიერთშესაბამისობაში არ ყოფილა. აზერბაიჯანს და განსაკუთრებით სომხეთს საქართველოს საზღვისპირა ტერიტორიების მიმართ თავიანთი პრეტენზიები ჰქონდათ. სომხეთის მმართველი პარტია დაშნაკცუთიუნი, მაგალითად ე. წ. „დიდი სომხეთის“ ფარგლებში არა მარტო ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებს, არამედ გორსაც და თბილისსაც ათავსებდა.

საქართველოს მთავრობას მიაჩნდა, რომ ტერიტორიის შესახებ სადავო საკითხები მშვიდობიანი მოლაპარაკებით უნდა გადაწყვეტილიყო. მან პირველმა წამოაყენა წინადადება სამი მეზობელი ქვეყნის კონფერენციის მოწვევის შესახებ, მაგრამ ეს წამოწყება ჩაიშალა, რადგან სომხეთის მხარემ მასში მონაწილეობა არ ისურვა.

1918 წელს, საქართველოს, როგორც აღვნიშნეთ, ორიენტაცია გერმანიაზე ჰქონდა აღებული. გერმანია მტკიცედ ირწმუნებოდა, რომ იცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას, დაეხმარებოდა მას ფინანსიურად სახელმწიფოს ორგანიზაციასა და შეიარაღებული ძალების შექმნაში. რუსეთსა და გერმანიას შორის 1918 წლის

27 აგვისტოს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დამატებითი პუნ-ქტებით გერმანელებმა მოიპოვეს საბჭოთა რუსეთისაგან საქართვ-ლოს დამოუკიდებლობის ცნობის პირობა. ამ ხელშეკრულებაში ... მუხლში ნათქვამია: „რუსეთი თანახმაა, რომ გერმანია აღიარებს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ორგანიზმად". საქართველოსათვის ეს დიდი მონაპოვარი იყო. გერმანიასთან კავშირი, მისი მფარველობა ქმნიდა აგრეთვე მეზობელი თურქეთის აგრესიულ ზრახვათა აღკვეთის გარანტიას.

გერმანიის მფარველობაზე დამყარებული იმედები გაცრუვდა. 1918 წელს ნოემბერში გერმანიაში დაიწყო რევოლუცია, რომელმაც დაამხო კაიზერული რეჟიმი. გაუქმდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაც. ომში დამარცხებულ გერმანიის ჯარებმა დატოვეს ამიერკავკასიის პლაცდარმი. 1918 წლის 30 ოქტომბერს ინგლისსა და თურქეთს შორის ხელმოწერილ მუდროსის ზავით თურქეთსაც ამიერკავკასიაში მიტაცებული ტერიტორიიდან გაჰყავდა სამხედრო ნაწილები. ამიერკავკასია ინგლისის გავლენის ზონაში აღმოჩნდა. დეკემბერში ბაქოსა და ბათუმში შევიდნენ ინგლისის არმიის ნაწილები.

ამრიგად, განთავისუფლებიდან 6 თვის შემდეგ საქართველოს საგარეო პოლიტიკა, მისი ბედ-იღბალი არსებითად ინგლის-საფრანგეთზე აღმოჩნდა დამოკიდებული. ამით ევროპასთან სიახლოვის მისწრაფება არ შეცვლილა. პირიქით, საქართველო ჩაერთო ევროპული პოლიტიკური ცხოვრების ორბიტაში როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი და ამიერიდან მისი მომავალი პარიზის საზავო კონფერენციის გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული.

2. სომხეთ-საქართველოს კონფლიქტი. 1918 წ. 7 დეკემბერს საქართველოს მთავრობისათვის შეუტყობინებლად და ყოველგვარი წინასწარი მოლაპარაკების გარეშე სომხეთის შეიარაღებულმა რაზმებმა მთავრობის მითითებით დაიკავეს სანაიანის და ალავერდის ტერიტორია. 8 დეკემბერს სროლა აუტეხეს საქართველოს ჯავშნოსან მატარებელს და მოშალეს რკინიგზის ხაზი. ამ აქციის შემდეგ სომხეთის მთავრობამ საქართველოს მთავრობას წარუდგინა ულტიმატუმი ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრების დაცლის შესახებ. მშვიდობიანი მოლაპარაკების მცდელობამ საქართველოს მთავრობის მხრივ ნაყოფი ვერ გამოიღო. სომხეთის მთავრობის უკანონო მოქმედებათა შესახებ 17 დეკემბერს მოხსენდა საქართველოს პარლამენტს, რომელმაც მიიღო დადგენილება: „მოისმინა რა მთავრობის მოხსენება შესახებ სამხედრო მოქმედებისა საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკებს შორის, — პარლამენტი აღიარებს: 2.

რომ საქართველოს მთავრობას არავითარი საბაბი მტრული განწყობილებისა არ მიუცია სომხეთის მთავრობისათვის, რომ მან მიიღო ყოველივე ზომა ორ მოძმე სახელმწიფოთა შორის საქმის მშვიდობიანად გადასაწყვეტად. 3. რომ სომხეთის მთავრობამ ჯარი ვერაგულად შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში და მოულოდნელად თავს დაესხა საქართველოს სადარაჯოებს. პარლამენტი იწონებს მთავრობის ყველა მოქმედებას და მისგან მიღებულ სამხედრო ზომებს".

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გვარდიის ნაწილებს მიეცათ წინადადება გაეთავისუფლებინათ სომხეთის ჯარების მიერ თვითნებურად დაკავებული ტერიტორია. 19 დეკემბერს სახალხო გვარდიას და არმიას შეტაკება მოუხდა მოწინააღმდეგესთან. სომხეთის ჯარი დამარცხდა და იძულებული გახდა უკან დაეხია. სომხეთის ჯარს ასეთივე წარუმატებლობა ხვდა ჯავახეთშიც. ქართული ჯარი შეტევაზე გადავიდა და დაიბრუნა შულავერი, სადახლო. სომხეთს დაუდგა კრიტიკული ვითარება. მის ტერიტორიაზე შესაჭრელი გზა გახსნილი აღმოჩნდა. სწორედ ამ დროს კონფლიქტში ჩაერია ინგლისის მხედრობის ამიერკავკასიის სარდლობა. მან პირველ რიგში მოითხოვა ის, რომ საქართველოს ჯარს დაეცალა ბორჩალოს და ახალციხის მაზრები, რომელთაც ორი სახელმწიფოს საზავო კონფერენციამდე თვით დაიკავებდა. საქართველოს მთავრობის დაჟინებითი მოთხოვნით ახალქალაქის მაზრაში შენარჩუნებულ იქნა ქართული ადმინისტრაცია, ხოლო ბორჩალოში დაწესდა ნეიტრალური ზონა ქართული არმიის მიერ დაკავებულ საზზე და მოხდა შეთანხმება, რომ ამ ზონის მართვა შერეული ადმინისტრაციით განხორციელებულიყო. 31 დეკემბერს საომარი მოქმედება მთელ ხაზზე შეწყდა. 1919 წლის თებერვლის დასასრულს შეიკრიბა საქართველო-სომხეთის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელმაც ნეიტრალური ზონის შერეული მმართველობა დაადასტურა.

3. დემოკრატიული საქართველო და დენიკინი. დიდი ბრიტანეთისა და ოსმალეთის სულთანის მთავრობის 1918 წ. მუდროსის საზავო გადაწყვეტილებით 1918 წლის ნოემბერ-დეკემბერში თურქეთმა ბათუმიდან და სამხრეთის რაიონებიდან გაიყვანა თავისი სამხედრო ნაწილები. მასთან შეთანხმებითვე ეს ტერიტორია ქართულმა არმიამ დაიკავა. სამხრეთის ოლქის გენერალ-გუბერნატორად დანიშნულ იქნა გენერალი მაყაშვილი. 1919 წლის 12 იანვარს ბათუმში შევიდა ინგლისელთა ჯარი. ამიერკავკასიის ინგლისურმა წარმომადგენლობამ ბათუმი თავის საკუთრებად გამოაცხადა. ბათუმის მმართველობა ჩააბარა კადეტ მასლოვს, რომელიც ერთგუ-

ლად ასრულებდა ინგლისელთა განკარგულებებსა და დენიკინის მითითებებს.

დენიკინის საბრძანებლოში შედიოდა ე.წ. ყუბანის რესპუბლიკა, რომელიც საქართველოს სოჭის რაიონით ემიჯნებოდა. დენიკინი აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მას „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ ნაწილად თვლიდა და ამზადებდა ძალებს ამ მხარის ოკუპაციისათვის.

საქართველოს სამხრეთს ერთდროულად დაადგა სამი დამპყრობლის თვალი: თურქეთმა, მართალია, ჯარები გაიყვანა ამ ტერიტორიიდან, მაგრამ ადგილობრივი პროთურქული ძალების მეშვეობით კვლავ ცდილობდა შეენარჩუნებინა მასზე გავლენა. საიმედო დასაყრდენს ამ მხრივ წარმოადგენდა სერვერ ბეგ ათაბაგი, რომელმაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ჯერ ე. წ. „ყარსის“, ხოლო შემდეგ სამხრეთ დასავლეთ კავკასიის „მთავრობა“ ჩამოაყალიბა, და დათარეშობდა ახალქალაქ — ახალციხის მაზრებში.

ქართულმა ჯარმა გენ. გ. კვინიტაძის მეთაურობით ახალციხიდან და ახალქალაქიდან განდევნა სერვერ ბეგის „ისლამური არმია“. ამის შემდეგ ავანტურისტი სერვერ ბეგი ბათუმს გაიქცა და თავი შეაფარა კადეტ მასლოვის მთავრობას. იგი ზედი-ზედ გზავნიდა მემორანდუმებს პარიზის საზავო კონფერენციის სახელზე და „მუსლიმური ეროვნული ყრილობის“ სახელით მოითხოვდა ბათუმის, ახალციხის და ახალქალაქის ქართული მაზრებისა და სომხეთის ტერიტორიის ნაწილის ჩათვლით (ეჩმიაძინი, სურმალის მაზრა) საქართველო-სომხეთისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულად ჩამოყალიბებას. ინგლისის მისია სერვერ ბეგს ამ მისწრაფებაში დახმარებას აღუთქვამდა.

მესხეთ-ჯავახეთის საქართველოდან ჩამოცილებისა და რუსეთთან მიერთებისათვის იბრძოდა დენიკინის სარდლობა და მისი ხელქვეითი ყუბანის რესპუბლიკის მართველობა. ამ ბრძოლაში ისინიც ინგლისის მხარდაჭერას ეყრდნობოდნენ. ინგლისის კავკასიის სარდლობა ყოველმხრივ უშლიდა ხელს საქართველოს ხელისუფლების განმტკიცებას სამცხე-საათაბაგოში. ინგლისელმა გენერალმა კორიმ კატეგორიულად მოითხოვა ქართული ჯარების გამოყვანა არდაგანიდან. დენიკინის აგენტები მესხეთში ეწეოდნენ ანტიქართულ პროპაგანდას და ამზადებდნენ პირობებს მხარის საქართველოსაგან ჩამოცილებისათვის.

თურქ და რუს დამპყრობლებს ჩანაფიქრი არ გაუმართლდათ. სამხრეთის ქართველობა მტკიცედ აღუდგა წინ დედა-სამშობლოდან მათი გათიშვის ბოროტ მცდელობას. 1919 წლის 31 აგვისტოს

ბათუმში შეკრებილი ოლქის მაჰმადიან ქართველთა ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო ასეთი გადაწყვეტილება:

„გამოვთქვამთ შეურყეველ ნებისყოფას და მტკიცე გადაწყვეტილებას: ამიერიდან სამარადისოდ ბათუმი და მისი ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს, საქართველოს რესპუბლიკას, სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომიის ფარგლებში. უმცირესობას მიენიჭოთ ჩვენთან თანასწორი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება. დადგენილება ეცნობოს პარიზის საზავო კონფერენციას და ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მიიღოს ყოველივე ზომა ჩვენი დადგენილების განსახორციელებლად“. ეს გადაწყვეტილება ოცი კაცისაგან შემდგარმა დელეგაციამ მეჰმედ-ბეგ აბაშიძის მეთაურობით თბილისში დამფუძნებელ კრებას ჩამოუტანა.

საქართველოს რესპუბლიკისათვის დიდ საფრთხეს ქმნიდა გენერალი დენიკინი, რომელიც საქართველოს საზღვრებს მოადგა ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან. დენიკინელებმა დაიპყრეს მთიელთა რესპუბლიკა და ამიერკავკასიაში შემოჭრასაც ესწრაფოდნენ. ჩრდილო დასავლეთიდან საქართველოს გაუმეზობლდა ყუბანის რესპუბლიკა, რომელიც აგრეთვე დენიკინის მიერ იყო ჩამოყალიბებული. ორივე მიმართულებით დენიკინელები ავიწროებდნენ საქართველოს მთავრობას და მის საზღვრებში შეჭრისათვის ემზადებოდნენ. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა შავიზღვისპირეთის საზღვარი გაემაგრებინა და თავისი ჯარები მდ. მეხადირის გასწვრივ ჩააყენა. ინგლისის სარდლობამ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მოთხოვა უკან დაეხია მდ. ბზიფამდე: „ნეიტრალურ ზონას“ მეხადირსა და ბზიფს შორის ინგლისი ეუფლებოდა. ინგლისის სარდლობის განკარგულება სადემარკაციო ხაზის შესახებ დენიკინის ჯარებმა დაარღვიეს. ისინი შეიჭრნენ გაგრის რაიონში. ქართულმა სამხედრო ნაწილებმა გ. მაზნიაშვილის მეთაურობით დენიკინელთა ჯარები სოჭის იქით განდევნეს. 1918 წ. სექტემბერში დენიკინის სარდლობასა და საქართველოს მთავრობას შორის საზღვრების თაობაზე დაიწყო მოლაპარაკება. დენიკინის წარმომადგენლობა იჩემებდა არა მარტო სოჭს, არამედ მთელ აფხაზეთს. შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. დენიკინის აგენტურა აფხაზეთისა და ბათუმის ოლქების ანტიქართული ძალების დახმარებით ცდილობდა საქართველოში შეჭრას. ამ მხრივ მას დიდ დახმარებას უწევდა „რუსული ეროვნული საბჭოც“, რომელიც ყოფილი მეფის ოფიცრებისა და შოვინისტ მოხელეთაგან შედგებოდა. თვით აფხაზეთში იყვნენ ადგილობრივი ძალები, რომლებიც დენიკინს

ეპატიჟებოდნენ. აფხაზებმა ჩიკაშუამ, შარვაშიძემ, თუმანოვმა და სხვ. „ხალხის სახელით“ მიმართეს დენიკინს აფხაზეთი რუსეთისათვის შეერთებინათ. ბათუმის ოლქის სამმართველოს თავმჯდომარე მასლოვი დენიკინის რწმუნებულის კარნახით მოქმედებდა და ამზადებდა პირობებს ოლქში დენიკინელთა ჯარების შეჭრისათვის.

ბოლშევიკები საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას ბრალად სდებდნენ დენიკინთან კავშირ-ურთიერთობას. ამ ბრალდებას არ ქონდა არავითარი საფუძველი. საქართველოს არ ქონდა იმის შესაძლებლობა, რომ დენიკინის დიდ არმიას გამკლავებოდა, მაგრამ იგი იყენებდა ყველა დიპლომატიურ საშუალებებს, რომ აღეკვეთა დენიკინისა და მის ზურგს უკან მდგომი ინგლისის კავკასიის მხედრობის სარდლობის დაპყრობითი მისწრაფებანი.

4. საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე. საქართველოს დემოკრატიული მთავრობის საგარეო ასპარეზზე ერთერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობა უცხო სახელმწიფოთა მიერ. ეს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე უნდა გადაწყვეტილიყო. ამიტომ ბუნებრივია, ბერლინში იმედგაცრუებულმა საქართველოს დელეგაციამ (ნ. ჩხეიძე, ი. წერეთელი, ზ. ავალიშვილი) პარიზს მიაშურა. საქართველოს დელეგაციამ კონფერენციას წარუდგინა მემორანდუმი, სადაც ასაბუთებდა მისი დამოუკიდებლობის კანონზომიერებას და მოკავშირეთა საბჭოსაგან დამოუკიდებლობის ოფიციალურ აღიარებას მოითხოვდა. საქართველოს დელეგაციის წევრებს, ამის გარდა, ცალკე შეხვედრები ჰქონდათ ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის წარმომადგენლებთან. დელეგაციას ყველგან თავაზიანად იღებდნენ, დაპირებებსაც არ იშურებდნენ, მაგრამ რეალურად საქმე წინ ვერ მიდიოდა. ევროპის დიდ ქვეყნებს პირველ რიგში „რუსეთის საკითხი“ აინტერესებდათ. მათ მიაჩნდათ, რომ რუსეთი, თეთრი იქნებოდა იგი თუ წითელი, ვეებერთელა ეკონომიკური და პოლიტიკური შესაძლებლობის ქვეყანა იყო და მასთან წაკიდება საქართველოს ან სხვა რომელიმე მცირე განაპირა ერთეულის გამო არ იყო მიზანშეწონილი. პირველ ხანებში მოკავშირეები იმედს კოლჩაკზე ამყარებდნენ, კოლჩაკის მარცხის შემდეგ — დენიკინზე. კოლჩაკიც და დენიკინიც აღიარებდნენ „მთლიანი და განუყოფელი რუსეთის“ იმპერიულ პრინციპებს, რომლითაც საქართველო რუსეთის საშინაო საკითხად წარმოიდგინებოდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა ჭიანურდებოდა და შედეგი მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე იყო დამოკიდებული. ისიც ფაქტია, რომ ამიერკავკასიის მიმართ საზავო კონფერენციის მონა-

წილე თითოეულ ქვეყანას საკუთარი ინტერესები ჰქონდა. ყველა ისინი ცდილობდნენ თავიანთი გავლენის სფეროში მოექციათ სტრატეგიულად და ეკონომიკურად მრავალმხრივ ხელსაყრელი ქვეყანა. სწორედ ამ პერიოდში წარმოიშვა აზრი ამიერკავკასიაზე „მანდატის" შესახებ, რის მოპოვებასაც აქტიურად ესწრაფოდნენ ინგლისის და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მესვეურები. საზავო კონფერენციის დღეებში ინგლისისა და ამერიკის საგანგებო მისიები სწავლობდნენ ამიერკავკასიას ყველა იმ მონაცემით, რაც „მანდატის" დაწესების საბუთიანობას გულისხმობდა. აშშ პრეზიდენტის ვილსონის მითითებით სომხეთში საგანგებო კომისრად დაინიშნა პოლკოვნიკი ჰასკელი, რომელსაც ევალებოდა მთელი ამიერკავკასიის შემზადება სამანდატო მართველობისათვის.

მოკავშირეთა საბჭოს ყოყმანს ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივ ერთეულთა ცნობაზე აპირობებდა თვით ამ ერთეულთა დავაც საზღვრის საკითხებზე. სომხეთის დელეგაცია პარიზში დაჟინებით ითხოვდა სომხეთის საკუთრებაში ეცნოთ სამხრეთ საქართველოს ტერიტორია და მიეცათ მისთვის შავ ზღვაზე გასასვლელი. სწორედ ამ დროს დაიბეჭდა პარიზში სომხეთის სახელმწიფოს რუკა, სადაც მის საზღვრებში მოქცეული იყო მტკვრის მთელი მარცხენა მხარე გორისა და თბილისის ჩათვლით.

1919 წლის მაისში ინგლისის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება თავისი ჯარები გაეყვანა საქართველოდან. ინგლისი იტოვებდა თავის განკარგულებაში ბათუმის ოლქს. პარიზშივე გადაწყდა, რომ ინგლისის ადგილს საქართველოში იტალია დაიკავებდა. იტალია მართლაც დიდად იყო დაინტერესებული საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეებით (განსაკუთრებით ქვანახშირით) და პერსპექტივაში ფართე ეკონომიკურ გეგმებს ითვალისწინებდა. თბილისს 1919 წელსვე ეწვია იტალიის მთავრობის საგანგებო მისია პოლკ. გაბბას მეთაურობით. საქართველოში გასაგზავნად იტალიაში ჩამოყალიბდა საგანგებო რაზმებიც. მაგრამ მალე იტალიის მთავრობაში ცვლილებები მოხდა და საქართველოს მიმართაც დამოკიდებულება შეიცვალა. მთავრობის ახალი თავმჯდომარე ნიტტი საქართველოსთან კავშირის გამო თავშეკავებას „წითელი მოსკოვის" შიშით ამართლებდა. „ეს იყო სახიფათო სამხედრო თვალსაზრისით და ის აუცილებლად მიგვიყვანდა მოსკოვთან ომამდე... მე უყოყმანოდ შევაჩერე ექსპედიციის სამზადისი და კმაყოფილი ვიყავი ამ ზომების მიღებით, რადგან ცოტა ხნის შემდეგ ბოლშევიკების ჯარი შევიდა თბილისში", — აღნიშნავს ნიტტი თავის მოგონებებში.

საქართველოს დელეგაციის მცდელობა პარიზში წარმატებით ვერ დასრულდა. ევროპის პოლიტიკურმა მესვეურებმა მათთვის ჩვეული თავაზიანობით უხვი დაპირებები გაიღეს, საქართველოს მიმართ დიდი სიმპათიები გამოავლინეს და მას მორალური მხარდაჭერაც აღუთქვეს, მაგრამ ამაზე შორს არ წასულან. მხოლოდ საზავო კონფერენციის ბოლოს გახდა შესაძლებელი საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტიური აღიარება. პირველად ეს ნაბიჯი გადადგა არგენტინამ (1919 წ. 15 სექტემბერი), 1920 წლის 20 იანვარს საქართველო დე ფაქტოდ იცნო ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ, იმავე წლის 7 თებერვალს — იაპონიამ. 1920 წლის 11 თებერვალს საქართველო დე ფაქტოდ იცნო დენიკინმაც, რადგან ამ დროისთვის მის ძლიერებას წყალი ჰქონდა შემდგარი.

ამიერკავკასიის საკითხი იდგა სან რემოს კონფერენციაზეც, რომელიც 1920 წლის აპრილში შეიკრიბა. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ინტერესებს ამ ქვეყნებთან შეთანხმებით კონფერენციაზე იცავდა ინგლისის წარმომადგენლობა. სან რემოში თავისი ძველი პრეტენზიებით კვლავ გამოვიდა დაშნაკური სომხეთის დელეგაცია, რომელმაც მოითხოვა ბათუმის ოლქის ნაწილი, სახელდობრ ჭოროხის მხარე, რათა რკინიგზით შავ ზღვაზე გასასვლელი ქონოდა. სომხეთის მთავრობა ბათუმში საკუთარ ნავსადგურსაც მოითხოვდა. საქართველოს დელეგაცია რა თქმა უნდა, წინ აღუდგა ამ უკანონო მოთხოვნებს, გააქარწყლა მათი საბუთიანობა. ვითარების გამწვავების გამო ინგლისის წარმომადგენლობამ უარი თქვა შუამდგომლობაზე. საკითხი ღიად დარჩა. ვერ გადაწყდა ბათუმის საქართველოსათვის მიკუთვნებაც. იგი აღიარებულ იქნა თავისუფალი ვაჭრობის ქალაქად ყველა იმ სახელმწიფოსათვის, რომლებიც შევიდნენ ახლადჩამოყალიბებული ერთა ლიგის შემადგენლობაში.

5. საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება. 1920 წ. დამდეგიდან საქართველოს საგარეო ვითარება გართულდა. წითელმა ჯარებმა დენიკინის არმიას ზედი-ზედ მარცხი მიაყენეს და იგი განდევნეს არა მარტო სამხრეთ რუსეთის ტერიტორიიდან, არამედ ჩრდილოეთ კავკასიიდანაც. 1920 წ. აპრილის ბოლოს წითელი არმია ბაქოში შევიდა. აზერბაიჯანში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

ბაქოში წითელი არმიის უბრძოლველად შესვლა, რაც მუსავატური პარტიის ლიდერებისა და ქემალისტების ფარული გარიგების შედეგად მოხდა, ცუდი ნიშანი იყო საქართველოსათვის. იგი აჭარა-ბათუმის დაპატრონების წინამორბედ აქციას წარმოადგენდა. უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთავრობა მთელი სიღრმით ვერ

იაზრებდა ამ საშიშროებას, იმედი ჰქონდა, რომ დასავლეთის ქვეყნები აღსდგებოდნენ საქართველოს დასაცავად. — „ჩვენ არა ვართ მარტო, მთელი ევროპა განურჩევლად პარტიისა და მიმართულებისა ჩვენთან არისო", — ამშვიდებდა 30 აპრილის სხდომაზე დამფუძნებელ კრებას მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, რომელიც იმის ილუზიითაც იყო შეპყრობილი, რომ საბჭოთა რუსეთი პარტიული პოზიციით ახლო მდგომ საქართველოს არ გასწირავდა დასაპყრობად.

საქართველოს მთავრობას დამოუკიდებლობის საიმედო გარანტიად მოეჩვენა რუსეთთან სამშვიდობო და სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება. ამ მისიით გაიგზავნა მოსკოვში მთავრობის რწმუნებული გრ. ურატაძე. ურატაძისა და ლ. კარახანის (კარახანი ვ.ი. ლენინის რწმუნებით იყო აღჭურვილი) ხელმოწერით 1920 წლს 7 მაისს რუსეთ-საქართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების პირველივე მუხლით საბჭოთა რუსეთმა ყოველგვარი პირობის გარეშე ცნო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ხელშეკრულების მეორე მუხლით რუსეთმა აიღო ვალდებულება არ ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში.

ამრიგად, 1920 წლის ხელშეკრულებით საქართველოს მთავრობამ მიაღწია რუსეთის მხრიდან დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღიარებას. ამ მხრივ ხელშეკრულება იყო მნიშვნელოვანი მონაპოვარი, ამასთან იგი რუსეთს გარკვეულწილად საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის უფლებასაც ანიჭებდა. ასე მაგალითად: ხელშეკრულებას ახლდა „განსაკუთრებული საიდუმლო დამატება", რომლის ძალით საქართველოს კომუნისტურ ორგანიზაციებს ეძლეოდათ ლეგალური მუშაობის უფლება. მიუხედავად ამისა, 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება იყო დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი, რაც საქართველოს სტატუსს მსოფლიოს ასპარეზზე განამტკიცებდა. ხელშეკრულებამ გაზარდა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი საერთაშორისო ნდობა. მან კიდევ უფრო გაუადვილა უცხო ქვეყნებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება.

ხელშეკრულების დადების პირველსავე თვეში გამწვავდა საქართველოს რესპუბლიკის დამოკიდებულება საბჭოთა აზერბაიჯანთან, რომელიც უკანონოდ მიიჩნევდა ზაქათალის ოლქს საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებში. ამის გამო დემოკრატიულ საქართველოსა და საბჭოთა აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალთა შეტაკებანიც მოხდა. საქმეში ჩაერია საბჭოთა რუსეთი, რომელმაც სადაო ტე-

რიტორიაზე თავისი ნაწილები შეიყვანა, ხოლო საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა მიანდო ე.წ. „შერეულ კომისიას“ რსფსრ-ის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. ხელშეკრულების სტატიებიანობას მძიმე დარტყმა მიაყენა სომხეთისა და თურქეთის რომ და წითელი არმიის ნაწილების შეყვანამ სომხეთში, რაც არსებითად საქართველოს ბედ-იღბალსაც შეეხებოდა.

ხელშეკრულება არ ყოფილა ქართული დიპლომატიის უდავო წარმატება. დადებითთან ერთად მას უარყოფითი შედეგებიც ჰქონდა. ამიტომ მისი ცალსახა, ერთმნიშვნელოვანი შეფასება არაა მართებული. ხელშეკრულებამ თუ ერთის მხრით, განამტკიცა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეულის საერთაშორისო ავტორიტეტი და გზა გაუხსნა მის დე იურედ აღიარებას მსოფლიოს რიგ სახელმწიფოთა მიერ, მეორეს მხრით, შექმნა ხელსაყრელი წინა პირობები საქართველოს დასაპყრობად, რაც ბაქოს გასაბჭოების შემდეგ საბჭოთა რუსეთის მორიგ ამოცანას წარმოადგენდა. ასეთი შედეგებით 1920 წ. ხელშეკრულება, ჩამოგავს 1783 წლის ტრაქტატს, რომელსაც საქართველოსათვის დადებითთან ერთად ჰქონდა უარყოფითი შედეგებიც, რადგან რუსეთის მფარველობაში შესვლით საქართველო ცარიზმს თვით სთავაზობდა პლაცდარმს საქართველოში და კავკასიაში გაბატონებისათვის.

6. საქართველოს საკითხი ერთა ლიგაში. „ერთა ლიგა“ შეიქმნა 1920 წელს, აშშ პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის ინიციატივით. „ერთა ლიგის“ ქვეყნებს ეკისრებოდათ კოლექტიური ძალისხმევა მათ შემადგენლობაში მყოფი სახელმწიფოს დასაცავად აგრესიისაგან. „ერთა ლიგის“ წევრობა საგარეო უშიშროების მხრივ საიმედო გარანტია იყო საქართველოსათვის, რომელსაც ყოველი მხრიდან მტაცებლები უთვალთვალებდნენ. ამიტომ იყო, რომ საქართველოს დელეგაციამ პარიზში საჭიროდ ჩათვალა მიეღწია ერთა ლიგის წევრობისათვის და ამ ორგანიზაციის პრეზიდიუმს წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიაც ასაბუთებდა მისი დამოუკიდებლობის ისტორიულ სამართლიანობას და მოითხოვდა აგრესიის შემთხვევაში ქმედით დახმარებას.

საქართველოს დელეგაციის მიერ წარდგენილი დოკუმენტი განსახილველად გადაეცა სპეციალურ კომისიას, რომელსაც ნორვეგიის წარმომადგენელი დოქტორი ნანსენი თავმჯდომარეობდა.

კომისიამ შეისწავლა დოკუმენტთან დაკავშირებული საკითხები. იგი განსახილველად გაიტანა ყრილობაზე. 1920 წ. 16 დეკემბერს „ერთა ლიგის“ ყრილობაზე თვით ნანსენი, აგრეთვე სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელი ლორდ სესილი მხარს უჭერდნენ საქართვე-

ლოს მიღებას „ერთა ლიგაში“ და მოითხოვდნენ მის დაცვას „ბოლ-შევიკური საფრთხისაგან“. ინგლისის წარმომადგენელი მ. ფიშერი ეჭვს გამოთქვამდა რომ „ერთა ლიგას“ არ ქონდა შესაძლებლობა მატერიალურად დახმარებოდა „რუსეთის საზღვარზე მყოფ ამ მამაც პატარა სახელმწიფოს“ და ყრილობას ურჩევდა თავი შეეკავებინა. ეს ის დრო იყო, როცა ინგლისის პრემიერ-მინისტრი ლორდ ჯორჯი საბჭოთა რუსეთთან ეკონომიკური კავშირების გაბმის გზებს ეძებდა და მას ახალი მოკავშირეს განაწყენება „პატარა საქართველოს“ გულისათვის არ უნდოდა.

„ერთა ლიგის“ 23 წევრიდან მხოლოდ 10-მა დაუჭირა მხარი საქართველოს მიღებას. მომავალში საკითხი კვლავ უნდა დასმულიყო. მანამ საქართველოს უფლება ეძლეოდა მიეღო მონაწილეობა „ერთა ლიგის“ საერთო ხასიათის ტექნიკურ ორგანიზაციებში.

§ 5. 1921 წლის 25 თებერვალი

1. საქართველოს კომუნისტური პარტიის საქმიანობა 7 მაისის შემდეგ. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების ძალით ლეგალური საქმიანობის შესაძლებლობა მიეცათ ქართველ კომუნისტებს, რომლებიც 3 წლის განმავლობაში წარუმატებლად იბრძოდნენ დემოკრატიული მთავრობის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

ლეგალიზაციის შემდეგ დაიწყო კომუნისტური პარტიის წევრთა ხელახალი აღრიცხვა, სამაზრო და საქალაქო პარტიული კომიტეტების ჩამოყალიბება. 1920 წ. 3 ივნისს თბილისში ქართულ ენაზე გამოვიდა გაზ. „კომუნისტი“, რომელიც ეწეოდა ლენინური იდეების პროპაგანდას და მასების მობილიზებას საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. 20 ივნისს თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა მთავრობის საელჩო ს. კიროვის მეთაურობით. ეს საელჩო 400-ზე მეტ მუშაკს აერთიანებდა, რაც ჩვეულებრივი დიპლომატური ურთიერთობისათვის უჩვეულო მოვლენა იყო. 1920 წ. 20 მაისს საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები გაფორმდა საქართველოს კომუნისტურ პარტიად, შეიქმნა დროებითი ცენტრალური კომიტეტი ფ. მახარაძის მეთაურობით. საქართველოს დემოკრატიული მთავრობის დამხობისათვის ძალთა სამობილიზაციოდ ბოლშევიკები საჯაროდ ეწეოდნენ მუშაობას, რაც, ცხადია, ხელშეკრულების პირობების დარღვევას წარმოადგენდა. მთავრობა იძულებული გახდა განეხორციელებინა რეპრესიული ღონისძიებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის მთავარ შტაბს იმ დროისათვის წარმოადგენდა ბაქო, სადაც მოთავსებული იყო რკპ (ბ) კავბიურო და მე-11 არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭო. ამ ორგანოებს ჯერ კიდევ 1920 წლის აპრილში, ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ეწადათ ლაშქრობა თბილისისაკენ. ამ მიზნით გამოიწვიეს კიდეც სასაზღვრო კონფლიქტები. მაგრამ ეს ცდა წარუმატებელი გამოდგა. სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრს ს. ორჯონიკიძეს იმდენად ეჩქარებოდა საქართველოში წითელი არმიის ლაშქრობა, რომ საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებაც არ აწყობდა. ამიტომ აბრკოლებდა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის გამგზავრებას მოსკოვში მოსალაპარაკებლად.

კრემლში საქართველოს ბედ-იღბალი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ საქართველოსთან ხელშეკრულება ემსახურებოდა ორ მთავარ დანიშნულებას: ოპერაცია საგანგებოდ უნდა მომზადებულიყო, რადგან საქართველოს ძლიერი შეიარაღებული ძალები ჰყავდა, ამასთან, საქართველოში შეჭრას უნდა მისცემოდა გამართლება საერთაშორისო ასპარეზზე იმით, რომ საქართველოს მთავრობამ თითქოს დაარღვია ხელშეკრულების პირობები. გასაბჭოების სცენარი ითვალისწინებდა საქართველოს სოციალისტურ გადატრიალებას შინაგანი ძალებით. საბჭოთა რუსეთის როლი კლასობრივ თანამოძმეთადმი „ძმური დახმარებით“ უნდა გამართლებულიყო.

რკპ (ბ) კავბიურომ საქართველოში წითელი ჯარების შეყვანა მოიწადინა 1920 წ. ნოემბერში სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, მაგრამ ლენინმა და ტროცკიმ ეს აქცია საერთაშორისო თვალსაზრისით მაშინ მიზანშეუწონლად ჩათვალეს. 1921 წ. იანვრის დამდეგს ს. ორჯონიკიძე და ს. კიროვი კავბიუროს სახელით რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს კვლავ ურდგენენ მოხსენებას საქართველოს დაუყოვნებლივი გასაბჭოების შესახებ. XI არმიის სარდლობას უკვე ჰქონდა საქართველოს დაპყრობის დაწვრილებით დამუშავებული გეგმა, რის შესახებაც მოხსენდა ლენინს 1920 წ. 18 დეკემბერს. კავბიუროს პოზიციას ერთგულად იცავდა ი. სტალინი. 1921 წ. 21 იანვარს ი. სტალინი ს. ორჯონიკიძეს უგზავნის დეპეშას: „ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება გასწიოს მოსამზადებელი მუშაობა იმ ვარაუდით, რომ შესაძლოა საჭირო შეიქმნეს სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია. გადაწყდა აგრეთვე შეკითხვა გაეგზავნოს კავკასიის ფრონტს ჩვენი სამხედრო ძალების მდგომარეობაზე, იმაზე, თუ რა ძალა დაგვჭირდება კიდევ, რომ უეჭველად დავამარცხოთ საქართველო, თორემ ტროცკი ირ-

წმუნება, თქვენს ფრონტზე ჩვენ ერთობ სუსტნი ვართო. აუცილებელია ჩემს სახელზე გამოგზავნო ცნობა, შეგვიძლია თუ არა ვიქონიოთ სრული გამარჯვების იმედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალთა არსებული რაოდენობით თუ უნდა დავიწყოთ, უნდა დავიწყოთ მაშინ, როცა ხელმოწერილი გვექნება ინგლისთან ხელშეკრულება, რაც მოხდება დაახლოებით ერთი-ორი თვის შემდეგ".

1921 წლის თებერვალში კრემლისათვის ხელსაყრელი დრო დადგა: წითელმა არმიამ დასავლეთით მოიგერია პოლონეთის შეტევა, სამხრეთში დაამარცხა ვრანგელის არმია. ამასთან მომზადდა საგაჭრო ხელშეკრულება ინგლისთან. პრემიერმა ლოიდ ჯორჯმა საქართველოს საკითხი აღიარა საბჭოთა რუსეთის საშინაო საქმედ, რითაც წააქეზა კიდევ რუსეთის აგრესია საქართველოში.

თებერვლის შუა რიცხვებისათვის რკპ (ბ) პოლიტბიურო მთლიანად იზიარებდა დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოზე თავდასხმის აზრს. 15 თებერვლის თარიღით ი. სტალინმა ს. ორჯონიკიძეს გაუგზავნა ქართულად დაშიფრული დეპეშა „ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი".

ამრიგად, საქართველოს ოკუპაციის გეგმა წინასწარ იყო გამოთვლილი და იგი აზერბაიჯანისა და სომხეთის დაპყრობის გაგრძელებას წარმოადგენდა. საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია მზადდებოდა ფარულად და დიდი სიფრთხილით, ისე რომ თვით საქართველოში კომუნისტებმაც კი ამის შესახებ არაფერი იცოდნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე მოსალოდნელი აგრესიის დროულად აღკვეთის საქმეში. ქართველ სოციალ-დემოკრატ ლიდერებს გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ ევროპა რუსეთს არ დაუთმობდა შესაჭმელად საქართველოს, და თვით საბჭოთა რუსეთიც, რომელიც მუშათა კლასის ინტერესების დამცველად გამოდიოდა, ქართველ კლასობრივ თანამოძმეებთან გამონახავდა საერთო ენას და მის დამხობას არ შეეცდებოდა.

2. წითელი არმიის შემოჭრა საქართველოში. საქართველოს ოკუპაცია ასეთი სცენარით იყო დაგეგმილი: საქართველოში უნდა მომხდარიყო არსებული მთავრობის წინააღმდეგ მშრომელთა შეიარაღებული გამოსვლა. აჯანყებულთ უნდა შეედგინათ მთავრობა რომელიც საქართველოს მშრომელთა სახელით მიმართავდა საბჭოთა რუსეთს დახმარებისათვის.

აჯანყების ინსცენირება დაიწყო 11 თებერვალს ლორეს რაიონში ე.წ. „ნეიტრალურ ზონაში". სინამდვილეში ეს იყო არა აჯან-

ყება, არამედ სომხეთში განლაგებული წითელი არმიის ნაწილების თავდასხმა საქართველოზე. მოულოდნელი თავდასხმის გამო იქ განლაგებული ქართული ნაწილები დამარცხდნენ. 15 თებერვალს რუსეთმა ახალი ფრონტი გახსნა. აზერბაიჯანიდან საზღვრები გადმოლახა მე-11 არმიამ, რომელიც კავალერიის ორი დივიზიით იყო გაძლიერებული. საქართველოს საზღვრებში შემოჭრა განხორციელდა დარიალის ხეობით, მამისონის უღელტეხილით, შავი ზღვის სანაპიროზე სოჭის მიმართულებით. ბრძოლაში საქართველოს წინააღმდეგ ჩაებნენ მე-8, მე-9 და მე-13 არმიები. 16 თებერვალს სახელდახელოდ შედგა საქართველოს დროებითი მთავრობა, — ე.წ. „რევოლუციური კომიტეტი", რომელიც კრემლში დაკომპლექტდა ასეთი შემადგენლობით: ფ. მახარაძე (რევკომის თავმჯდომარე), მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ა. გეგეჭკორი, ბ. კვირკელია, ან. ნაზარეტიანი და სხვ. ნიშანდობლივია, რომ რევკომის არცერთი წევრი არ ყოფილა აჯანყების რაიონში, ხოლო მისი თავმჯდომარე ფ. მახარაძე ლენინმა საქართველოში ოკუპაციის შემდეგ მოავლინა.

საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე 1921 წ. 21 თებერვალს მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიამ განაცხადა: „ირკვევა, რომ საბჭოთა მთავრობას დიდი ხნიდან ჰქონია განზრახვა საქართველოში გადატრიალება მოეხდინა და საბჭოთა ხელისუფლება გამოეცხადებინა. მაგრამ მათ აქამდე ვერ შესძლეს ამის განხორციელება, რადგან არ ჰქონიათ საკმარისი საბაბი. ხოლო ამ ათი დღის წინ იპოვეს საბაბი ლორეს რაიონში. იქ მათ მოაწყვეს საიდუმლო შეთქმულება და დაარქვეს მას ხალხის გამოსვლა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. იქ მათ გამოაცხადეს ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება და აი, ვითომ მის დასახმარებლად მოდის რუსის ჯარი"...

ამ განცხადებამ ერთსულოვანი აღშფოთება გამოიწვია. დამფუძნებელმა კრებამ „შულავერის მთავრობა" ქართველი ხალხის მტრად გამოაცხადა და დაადგინა: „იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებენ ქართველი ხალხის უღირსნი შვილნი, დამფუძნებელი კრება ადგენს: ყველა ქართველები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ შეიარაღებულ ბრძოლაში საქართველოს წინააღმდეგ ან დახმარებას უწევენ ამ ბრძოლას, მათ ერთმევათ ყოველივე ქონება და კანონგარეშე არიან გამოცხადებულნი. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება მთავრობას".

საქართველოს მთავრობამ, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიიღო საგანგებო ზომები ქვეყნის თავდაცვისათვის. 17 თებერვალს

სამხედრო ძალებს სათავეში ჩაუდგა ახალი მთავარსარდალი გენერალი გიორგი კვინიტაძე. 18 თებერვალს იაღლუჯის სანახებში ქართველმა მეომრებმა მოიპოვეს თვალსაჩინო საბრძოლო წარმატება, ტყვედ იგდეს 1600 რუსი ჯარისკაცი და საბრძოლო ქონება. რუსეთს დამატებითი ძალები მოუვიდა. დაიწყო შეტევა თბილისზე კოჯორ-ტაბახმელას მხრიდან. ამ რაიონში სამი დღე მიმდინარეობდა შეუპოვარი ბრძოლები, სადაც განსაკუთრებით ისახელეს თავი თბილისის სამხედრო სკოლის იუნკრებმა, რომელთაც მტერი ქოროღლის ციხის, კუმისის და ვაშლოვანის იქეთ განდევნეს.

თბილისის კარიბჭესთან გააფთრებული ბრძოლები 17—24 თებერვალს მიმდინარეობდა. მხოლოდ 24 თებერვალს, ღამით, გაიცა საბედისწერო ბრძანება მცხეთისკენ უკანდახევისა და თბილისის უბრძოლველად დატოვების შესახებ. ეს გადაწყვეტილება მთავრობამ და სარდლობამ მიიღო იმასთან დაკავშირებით, რომ მტერი დედაქალაქზე სხვა მხრიდანაც მოიწევდა და იქმნებოდა ქართული მხედრობის ალყაში მოქცევის საშიშროება.

25 თებერვალს წითელი არმიის ნაწილები თბილისში უბრძოლველად შევიდნენ. ბაქოდან ს. ორჯონიკიძემ ლენინს აცნობა დეპეშით. „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. — გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

თბილისის დატოვების შემდეგ ქართულ ჯარს წითელი არმიის შემტევ ნაწილებთან შეტაკებები ჰქონდა მცხეთასთან, გორთან, ოსიაურში, სურამის უღელტეხილზე. იგი შეუპოვრად იცავდა თავს კახეთ-ზაქათალის ხაზზე, მდინარე ბზიბთან, ათონში და სხვ. მაგრამ თბილისის მტრისათვის უბრძოლველად ჩაბარების შემდეგ მისი მორალური სულისკვეთება გატეხილი იყო, გამარჯვების რწმენა მას დაკარგული ჰქონდა.

ერთერთი მთავარი ფაქტორი, რამაც ამ ომში გადამწყვეტი როლი შეასრულა, იყო ქემალისტური თურქეთის ზურგიდან დარტყმა. სწორედ საომარი ოპერაციების პერიოდში მიმდინარეობდა საბჭოთა რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკება, რომელზედაც საქართველო არ იყო დაშვებული. თურქეთი საქართველოს მთავრობას არდაგანართვნის საფასურად დახმარებას აღუთქვამდა. თითქოს ამ მოტივით შევიდნენ თურქეთის ჯარები აჭარაში, მაგრამ ბათუმის დაკავების მეორე დღეს ანკარის მთავრობამ ბათუმის ანექსია გამოაცხადა. თურქეთს ბათუმს საბჭოთა რუსეთი არ დაუთმობდა, და ქემალი არც ცდილა შეენარჩუნებინა იგი. სწორედ 1921 წ. 16 მარტს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, რომლის მეორე მუხლით თურქეთმა საბჭოთა საქართველოს დაუმტკიცა სუვერენული უფლებები

ბათუმზე, სამაგიეროდ თვითონ არტაანისა და ართვინის ოლქები დაისაკუთრა.

3. ქუთაისის მოლაპარაკება 1921 წ. 17—18 მარტს. თურქეთის აჭარაში შეჭრამ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა იძულებული გახადა საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებაზე დათანხმებულიყო. პირველი რიგის ამოცანად დემოკრატიულ მთავრობას თურქეთის ანექსიის აღკვეთა მიაჩნდა და მიზანშეწონილად თვლიდა ამ საქმეში საბჭოთა ძალებიც გამოეყენებინა.

ქუთაისის მოლაპარაკებაზე, რომელიც 17—18 მარტს მიმდინარეობდა საბჭოთა მხრიდან მონაწილეობდნენ ა. ენუქიძე, მ. ორახელაშვილი, ა. სვანიძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან ნ. ჟორდანიას მოადგილე და სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე. საბჭოთა მხარემ მოლაპარაკების წინაპირობად წამოაყენა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ კაპიტულაციის წინასწარ აღიარება, რაზეც ლორთქიფანიძემ კატეგორიული უარი განაცხადა. დავის შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ მომხდარიყო საომარი მოქმედების დაუყოვნებლივი შეწყვეტა. დემოკრატიული მთავრობა საბჭოთა რუსეთის ჯარებს ნებას რთავდა ბათუმის ოლქში შესულიყო და განედევნა თურქეთის სამხედრო ნაწილები. ქ. ბათუმში, მის რაიონებში, რკინიგზის ხაზზე ბათუმიდან საჯავახომდე რჩებოდა დემოკრატიული მთავრობის ადმინისტრაცია და ხელისუფლება, ხოლო საბჭოთა ჯარი ბათუმში შედიოდა როგორც „მეგობრული ძალა“ დემოკრატიული მთავრობისა და მისი მხედრობისადმი. დემოკრატიული მთავრობა, რომელიც ამ დროისთვის ბათუმში იმყოფებოდა, დაპირებას იძლეოდა, რომ გაგზავნიდა ცარიელ ვაგონებს ბათუმის ოლქში წითელი არმიის ნაწილების საჩქაროდ შეყვანისათვის.

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ შესაძლებლობა მისცა წითელ არმიას უბრძოლველად ევლო წინ ბათუმის მიმართულებით. ამასთან თვითვე მიიღო ღონისძიებანი ბათუმის ოლქში თურქეთის აგრესიის აღსაკვეთად. გენ. მაზნიაშვილის ნაწილებმა ბათუმის ოლქიდან თურქეთი განდევნეს მანამ, ვიდრე ჟლობას კავალერია ბათუმს მოაღწევდა.

დემოკრატიულმა მთავრობამ იმავე დღეებში მიიღო სასწრაფო გადაწყვეტილება ემიგრაციაში წასულიყო. მას კაპიტულაცია არ გამოუცხადებია და იმედოვნებდა, რომ ევროპის ქვეყნების დახმარებით დაიბრუნებდა საქართველოს. ნ. ჟორდანიას განკარგულებით პატიმრობიდან გაათავისუფლეს ბათუმის ბოლშევიკი ლიდერები, მათ მესვეურს ს. ქავთარაძეს ჟორდანიამ გადასცა ხელისუფლე-

ბა იმ იმედით, რომ იგი ბათუმის ოლქს დაიცავდა თურქთა გან-მეორებითი შემოსევისაგან. 18 მარტს დემოკრატიულმა მთავრობამ დამფუძნებელი კრების ერთი ნაწილის თანხლებით დატოვა საქართ-ველო და პარიზს მიაშურა.

4. 1921 წ. 25 თებერვლის შეფასებისათვის. 1921 წლის 25 თებერ-ვალს საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში დადგენი-ლი სტერეოტიპის მიხედვით მიჩნეული იყო საქართველოს მშრო-მელი მასების აჯანყებით მოპოვებულ გამარჯვებად, ქართველი ხალ-ხის ინტერესების გამოხატულებად. წითელი არმიის ლაშქრობა საქართველოში და მის მიერ ქვეყნის ოკუპაცია ფასდებოდა როგორც ძმური დახმარება ქართველი ხალხისადმი, როგორც ქვეყნის გადარ-ჩენა იმ კატასტროფისაგან, რომელიც, თითქოს, საქართველოს მოე-ლოდა დემოკრატიული მთავრობის მმართველობის პირობებში.

მხოლოდ საჯაროობისა და დემოკრატიზმის აღორძინების შემ-დეგ გახდა შესაძლებელი გაბატონებული სტერეოტიპების მსხვრევა და წარსულის ობიექტური შეფასება. 1989 წელს საქართველოს უმა-ღლესი საბჭოს მიერ შექმნილმა კომისიამ საგანგებოდ შეისწავლა 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულებისა და 1921 წ. თებერვლის პოლი-ტიკურ მოვლენათა სამართლებრივი ასპექტები და სათანადო დასკვ-ნებით წარდგა უზენაესი საბჭოს სესიის წინაშე. იმ დოკუმენტში, რომელიც სესიამ ერთხმად გაიზიარა და დაამტკიცა, დასაბუთე-ბულია, რომ საბჭოთა რუსეთის ფედერაციის მთავრობამ ცალმხრი-ვად დაარღვია 1920 წ. 7 მაისს დადებული ხელშეკრულება და განახორციელა მისი ოკუპაცია, რასაც ფაქტობრივი ანექსია მოჰ-ყვა.

მართლაც, ახლა შეიძლება ითქვას სიმართლე იმის შესახებ, რომ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა არასოდეს არ შერიგებია საქართველოს დამოუკიდებლობას, იგი ჯერ კიდევ 1917 წელს ეს-წრაფვოდა რუსეთის არმიის გამოყენებით საბჭოთა ხელისუფლე-ბის დამყარებას ამიერკავკასიაში, ხოლო ამ აქციის ჩაშლის შემდეგ გამუდმებით ეძებდა ხელსაყრელ მომენტს სოციალისტური რევო-ლუციის ეგიდით საქართველოს რუსეთთან კვლავ მისაერთებლად.

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ საქართველოს ბედ-იღბალი კრემლში გადაწყვეტილი იყო საბოლო-ოდ. ბაქოს ბათუმი უნდა მოჰყოლოდა. მოვლენათა შემდგომი გან-ვითარება მომენტის ხელსაყრელობაზე იყო დამოკიდებული და 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულებაც აქციის უკეთ მომზადებისათვის იყო გამიზნული.

1921 წ. თებერვალში საქართველოში ადგილი არ ჰქონია არავითარ აჯანყებას. ქართველ კომუნისტებს საგანგებოდ უმალავდნენ ამ აქციას კრემლის და რკპ (ბ) კავბიუროს მესვეურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით საქართველომ დაკარგა ეროვნული სუვერენიტეტი. განხორციელდა მისი მეორედ დაპყრობა რუსეთის მიერ. საქართველოს ახალი ისტორიის ეს თარიღი დღეს აღიქმება არა როგორც ბედნიერება, არამედ როგორც უბედურება და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

§ 6. საქართველოს კულტურა 1918—1920 წლებში

1918—1920 წლები, ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის მთელი პერიოდი ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში კულტურის დაცემის ხანად განიხილებოდა. თვლიდნენ, რომ საბჭოთა რუსეთისაგან იზოლაციამ, ეკონომიკურმა სიძნელეებმა და „ნაციონალიზმის აღორძინებამ" ქართული კულტურის ყველა დარგს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა და საბჭოთა ხელისუფლება რომ არა, საქართველო კულტურული რეგრესისათვის იყო განწირული.

ისტორიული ფაქტები და მოვლენები საწინააღმდეგოს მეტყველებს. ახლა შეიძლება სიმართლის თქმა იმის შესახებ, რომ ქართული კულტურის ისტორიაში სწორედ ეს პერიოდი ხასიათდება დიდი აღმავლობით, სახალხო ენერგიის უჩვეულო გაქანებით, რუსიფიკატორული ტენდენციების აღმოფხვრისა და ეროვნულობის დაფუძნებისათვის დიდი წამოწყებებით. ამ ტენდენციამ შეაპირობა წარმატებანი სახალხო განათლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში.

ერთერთი ყველაზე დიდი მნიშვნელობის ღონისძიება იყო სკოლის გაეროვნულება. დამოუკიდებლობის წლებში სკოლებში დამკვიდრდა მშობლიური ენა, რითაც საფუძველი მოეშალა რუსიფიკაციას, ცარიზმი რომ მთელი საუკუნის მანძილზე დაჟინებით ახორციელებდა. გაიზარდა არა მარტო სკოლათა რაოდენობა, არამედ განხორციელდა მათი თვისობრივი გარდაქმნა. ამ პროცესს პირველ ხანებში დიდი დაბრკოლებები ახლდა: არ იყო მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოები, მცირე იყო მასწავლებელთა კადრი, მაგრამ განათლების უწყება ენერგიულ ღონისძიებებს ანხორციელებდა ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. 1914 წ. მონაცემებით საქართველოში აღრიცხული იყო 864 სკოლა 80234 მოწაფით. 1920 წლისათვის სკოლათა რიცხვი 1924-მდე, ხოლო მოსწავლეთა რაოდე-

ნობა 162.030-მდე გაიზარდა. ცნობილ მეცნიერთა და პედაგოგთა მონაწილეობით შემუშავდა ახალი სასწავლო გეგმები, დაიწყო სახელმძღვანელოთა შედგენა მშობლიურ ენაზე. საგანგებო კომისია მუშაობდა მეცნიერების სხვადასხვა დარგში ქართული ტერმინოლოგიის დასადგენად. მაზრებში გაიხსნა სამასწავლებლო სემინარები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აგრონომიულ და ტექნიკურ განათლებას. მართალია, სკოლების მშენებლობისა და ტექნიკურ აღჭურვისათვის საჭირო სახსრები არ იყო საკმარისი, მაგრამ განათლების საქმეში დაბრკოლებების კომპენსაციას წარმოადგენდა მასწავლებელთა უჩვეულო ენთუზიაზმი. მასწავლებლობა მძიმე მატერიალური პირობების მიუხედავად ახალი თაობის აღზრდის საქმეს დიდი პასუხისმგებლობითა და მონდომებით ეკიდებოდა.

ქართული კულტურის აღორძინების ყველაზე დიდი ფაქტორი იყო ეროვნული უნივერსიტეტის დაარსება, რაც 1918 წ. 26 იანვარს განხორციელდა. დიდმა მამულიშვილმა და მეცნიერმა ივ. ჯავახიშვილმა, რომელიც 900-იანი წლებიდან ამზადებდა ქართული უმაღლესი სასწავლებლის გახსნას, ცარიზმის დამხობისთანავე პრაქტიკულად მოჰკიდა ხელი ამ სამამულიშვილო საქმეს. ეროვნული უნივერსიტეტისათვის გაჩაღებულ მოძრაობაში ჩაება მთელი ქართველი ინტელიგენცია. ეროვნული საბჭოს ენერგიული მხარდაჭერით 1918 წლის დამდეგს უნივერსიტეტის გახსნა წარმატებით დაგვირგვინდა. ქართული უნივერსიტეტი დაფუძნებიდანვე აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. მის პირველსავე სამეცნიერო საბჭოში შედიოდნენ სახელმოხვეჭილი მეცნიერები. პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, შ. ნუცუბიძე, ა. რაზმაძე, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, კ. კეკელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ს. ავალიანი, ე. ორბელიანი და სხვები. მეცნიერთა ეს საკრებულო ნებისმიერ უნივერსიტეტს დაამშვენებდა. კერძო თაოსნობით გახსნილი უნივერსიტეტი 1918 წელსვე დემოკრატიული საქართველოს მთავრობამ თავის მფარველობაში აიყვანა და გარდაქმნა სახელმწიფო უნივერსიტეტად მისთვის ტრადიციული ავტონომიური უფლების შენარჩუნებით.

თბილისის უნივერსიტეტი ეროვნული კადრების აღზრდის კერად იქცა. მის წიაღში ჩაეყარა საფუძველი არა მარტო ჰუმანიტარულ, არამედ საბუნებისმეტყველო-ტექნიკურ, სამედიცინო და აგრონომიულ განათლებას. უნივერსიტეტის ფუძემდებლებს ხვდათ წილად ემესვეურათ ქართული სამეცნიერო სკოლებისათვის ისეთ დარგებში, როგორიცაა მათემატიკა, ფიზიოლოგია, გეოლოგია, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ლიტერატურა, ისტორია და სხვ. უნივერსიტეტის

პროფესურა და სტუდენტობა აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში არა მარტო ინტელექტუალურად, არამედ იარაღითაც. სტუდენტთა ნებაყოფლობითი რაზმები იცავდნენ საქართველოს სამხრეთის საზღვრებს, მონაწილეობდნენ კოჯორ-ტაბახმელასთან მე-11 არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში.

1920 წელს სახალხო განათლების სამინისტრომ შეარჩია 75 ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდა, რომლებიც გაიგზავნენ ევროპაში უმაღლესი განათლების მისაღებად. ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა ეროვნული კადრების აღზრდას მეცნიერების სხვადასხვა დარგებში ევროპული კულტურის დონეზე. ამ კონტინგენტიდან ნაწილი დემოკრატიული მთავრობის დამხობის შემდეგ ევროპაშივე დარჩა. სამშობლოში დაბრუნებულმა მცირე ნაწილმა კი იწვნია უმძიმესი რეპრესიები;

დიდმნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა იყო თბილისის კონსერვატორიის დაარსება. თბილისში უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლის შექმნისათვის ბრძოლა XX ს. დამდეგიდან წარმოებდა. ამ საქმეს სათავეში „ქართული სამუსიკო საზოგადოება“ ედგა, მაგრამ მის თაოსნობას რუსეთის სამუსიკო საზოგადოების დირექცია აბრკოლებდა. 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ თბილისის სამუსიკო სასწავლებლის სამხატვრო საბჭომ „ოზაკომის“ წინაშე აღძრა შუამდგომლობა ეს სასწავლებელი კონსერვატორიად გარდაქმნილიყო. „ოზაკომი“ იძულებული გახდა აღძრული საკითხი დადებითად გადაეწყვიტა. 1917 წ. 2 მაისს შედგა სამუსიკო სასწავლებლის სამხატვრო საბჭოს სხდომა, სადაც დადგინდა კონსერვატორიის დაარსება და მის პირველ დირექტორად არჩეულ იქნა ნ. ნიკოლაევი, მოადგილედ ზ. ფალიაშვილი. შემდგომში მას ხვდა წილად ახალი უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლის მესვეურობა.

კონსერვატორია იყო მეორე უმაღლესი სასწავლებელი, რომელმაც ფეხი აიდგა დამოუკიდებელ საქართველოში. სამეცნიერო ცხოვრების ღირსშესანიშნავ ფაქტს წარმოადგენდა აგრეთვე 1917 წელს კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის დაარსება. ამ დაწესებულებას მაშინ მეთაურობდნენ ნ. მარი და ე. თაყაიშვილი.

ეროვნული დამოუკიდებლობის ხანა შემოქმედებითი აღმავლობით აღინიშნა ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში. „გათენდა, ცეცხლის მზე აენთო, აცურდა... დროშები ჩქარა! თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა, დროშები ჩქარა!..“ ასე მიესამლებოდა თავისუფალი საქართველოს დაბადებას დიდი გალაკტიონი.

ქართველმა მწერლებმა ახალი ეპოქის დამდეგს პირველ რიგში ორგანიზაციული გაფორმებით უპასუხეს. 1917 წ. 5 ოქტომბერს შედგა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის დამფუძნებელი კრება. იგი გახსნა კოტე მაყაშვილმა. მომხსენებელი იყო შალვა დადიანი. დამფუძნებელ კრებას მიესალმა დიდი ილიას თანამებრძოლი ნიკო ნიკოლაძე და ახლად შექმნილ კავშირს გზა დაულოცა, როგორც განმანთავისუფლებელი მოძრაობის მემკვიდრეს. ჩამოყალიბდა მწერალთა კავშირი კ. მაყაშვილის თავმჯდომარეობით. კავშირმა განახორციელა ბევრი ეროვნული ღონისძიება. 1920 წ. პოეზიის ტრადიციულ დღედ დაინიშნა 7 მაისი, დაარსდა გაზეთი „პოეზიის დღე". დამოუკიდებლობის წლებში ქართული ლიტერატურა ახალი ქმნილებებით გამდიდრდა. დ. კლდიაშვილი, ვ. ბარნოვი, ე. გაბაშვილი, ს. მგალობლიშვილი, დუტუ მეგრელი, კ. მაყაშვილი, შ. დადიანი, კ. გამსახურდია, პ. ინგოროყვა, გ. ქიქოძე, ლ. ქიაჩელი, პ. იაშვილი, ა. აბაშელი, ვ. გაფრინდაშვილი, გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, ს. შანშიაშვილი და სხვები გატაცებით მონაწილეობდნენ ერის სულიერ აღორძინებაში.

მრავალფეროვანი იყო დამოუკიდებელი საქართველოს თეატრალური ცხოვრება. 1917 წ. პარიზიდან დაბრუნდა გიორგი ჯაბადარი, რომელმაც იქ მიიღო თეატრალური განათლება. იგი სათავეში ჩაუდგა ქართულ თეატრალურ სტუდიას და მასში გააერთიანა ახალგაზრდული ძალები — მ. ჭიაურელი, ე. გელოვანი, გ. არადელ — იშხნელი, ც. ამირეჯიბი, ა. ქიქოძე, ბ. გამრეკელი, კ. სუმბათაშვილი და სხვ. ამ კოლექტივს შემდეგ შეუერთდნენ ვ. ანჯაფარიძე, დ. აბაშიძე, ა. ვასაძე, დ. მჟავია, გ. ლორთქიფანიძე და სხვ. სტუდიამ მცირე ხანს იარსება, მაგრამ თავისი კვალი დატოვა ეროვნულ თეატრალურ კულტურაში. 1920—1921 წ. სეზონში შეიქმნა რუსთაველის სახელობის სტაციონალური თეატრი, რომელსაც გადაეცა საუკეთესო თეატრალური შენობა რუსთაველის პროსპექტზე. სტაბილურად მუშაობდნენ ქუთაისის და ბათუმის თეატრები, თბილისის სახალხო სახლის ქართული, სომხური და რუსული თეატრალური კოლექტივები.

1918 წ. ოპერის თეატრის ხელმძღვანელობა მიენდო ალ. წუწუნავას, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია იქ თავიდანვე დამკვიდრებული რუსული შოვინისტური სულისკვეთების აღკვეთისა და ეროვნული საოპერო ხელოვნების აღორძინებისათვის. 1919 წ. ოპერის სცენაზე ალ. წუწუნავას რეჟისორობით დაიდგა დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე", ქართული კულტურის ისტორიაში ეს იყო ღირსშესანიშნავი მოვლენა. წარმატებით აღფრთოვანე-

ბულმა რეჟისორმა იმავე წელს საზოგადოებრიობას წარუდგინა ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. „საქართველოს მუსიკის ახალი ერა ამ ოპერით დაიწყო — აბესალომი ფოკუსი, ოპერა, შიაც თავმოყრილია ქართველი ერის მუსიკალური სულის გამოხატულება ყოველი დროისა და ყოველი კუთხისა“ — წერდა მელიტონ ბალანჩივაძე, რომელიც სწორედ ამ პერიოდში ოპერის დირექტორის ალ. წუწუნავას დაკვეთით მუშაობდა ოპერა „დარეჯან ცბიერზე“.

შემოქმედებითი ძიება ახასიათებდა იმ დროის ქართულ სახვით ხელოვნებას. რევოლუციამდე შექმნილი ქართველ მხატვართა საზოგადოება თაოსნობდა ხელოვანთა შემოქმედებითს ზრდას. ამ საზოგადოებას სათავეში ედგნენ ფერმწერები დიმიტრი შევარდნაძე და დავით გურამიშვილი. დამოუკიდებლობის წინა პერიოდში მხატვართა ძველ თაობას (გ. გაბაშვილი, ა. მრევლიშვილი, მ. თოიძე, დ. გურამიშვილი, ი. ნიკოლაძე) შეემატნენ ახალგაზრდული ძალები (ლ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე, ა. ციმაკურიძე, ვ. სიდამონ-ერისთავი, ელ. ახვლედიანი, შ. ქიქოძე და სხვ.). მხატვართა 1919 წ. გამოფენაზე საზოგადოებრიობის ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია ლ. გუდიაშვილის და დ. კაკაბაძის ნამუშევრებმა. ეს იყო მიმანიშნებელი ქართულ მხატვრობაში ახალი ეტაპის დასაწყისისა, რამაც შემდეგ მსოფლიო აღიარება პოვა. გამოფენის შთაბეჭდილებამ შეაპირობა ლ. გუდიაშვილის, დ. კაკაბაძის მივლინება პარიზში. პარიზშივე სრულყოფდნენ ოსტატობას ე. ახვლედიანი, ქ. მაღალაშვილი, შ. ქიქოძე. შ. ქიქოძე მალე გარდაიცვალა. 1918 წელს დაასრულა სიცოცხლე უნიჭიერესმა ქართველმა თვითნასწავლმა მხატვარმა ნიკო ფიროსმანაშვილმა. მისმა ნამუშევრებმა საერთო ყურადღება მიიქცია 1919 წლ. გამოფენაზე. ფიროსმანის თვითმყობადი ნიჭი შემდეგში მთელ მსოფლიოში ცნობილი გახდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი V

საქართველო 1921–1990 წლებში

§ 1. საბჭოთა ხელისუფლება 1921–1924 წლებში

1. რევკომები. საქართველოს დემოკრატიული მთავრობის დამხობის შემდეგ, მთელი ძალაუფლება საბჭოურ რესპუბლიკაში „რევოლუციური კომიტეტების" ხელში გადავიდა. რევოლუციური კომიტეტები პირველად შემოღებულ იქნა რუსეთში სამოქალაქო ომის დაწყებისთანავე საფრანგეთის 1789 წ. რევოლუციის გამოცდილებით. ეს საგანგებო ორგანოები კომუნისტური პარტიის მიერ ინიშნებოდნენ. მათ ხელთ ეპყრათ სამოქალაქო და სამხედრო ძალაუფლება, მოწოდებული იყვნენ დაეთრგუნათ რეჟიმის მოწინააღმდეგე ძალები, განემტკიცებინათ „პროლეტარიატის დიქტატურა".

საქართველოს რევკომი ჩამოყალიბდა რკპ (ბ) კავბიუროს მიერ 1921 წ. 16 თებერვალს ფილიპე მახარაძის, მამია ორახელაშვილის, შალვა ელიავას, ალექსანდრე გეგეჭკორის, ა. ნაზარეთიანის, ბესარიონ კვირკველიას და სხვ. შემადგენლობით. ეს ორგანო განუხრელად ახორციელებდა კრემლის ინტერესებს. წითელი არმიის საქართველოს ტერიტორიაზე წინსვლის კვალდაკვალ იქმნებოდნენ საგუბერნიო, საქალაქო და სამაზრო რევკომები. ასეთი რევკომები პირველად ჩამოყალიბდა სიღნაღის, თელავის, თიანეთის მაზრებში. საქართველოს რევკომის რეზიდენცია 25 თებერვლის შემდეგ გახდა ქალ. თბილისი. რევკომის პირველი განკარგულებები და ბრძანებები მოსახლეობას მოუწოდებდნენ ახალი ხელისუფლებისადმი მორჩილებისაკენ, თავისუფლებას აღუთქვამდნენ ყველა პოლიტიკურ პარტიას, თუ ისინი აშკარად დაგმობდნენ ადრინდელ საქმიანობას და გადავიდოდნენ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. 1921 წლის 26 თებერვალს ჩამოყალიბდა თბილისის რევკომი ს. თოდრიას თავმჯდომარეობით. 4 მარტს შეიქმნა აფხაზეთის რევკომი

ეშბას, ლაკობას და აკირთავას შემადგენლობით, 17 მარტს აჭარის რევკომი ს. ქავთარაძის თავმჯდომარეობით, 25 თებერვალს სამხ. ოსეთის რევკომი. 26 თებერვლის ბრძანებით საქართველოს რევკომმა გამოაცხადა, რომ ამიერიდან მთელი სახელმწიფოს ძალაუფლება საქართველოში მის ხელში გადადიოდა. 1921 წ. 8 აპრილს საქართველოს რევკომმა გამოსცა დეკრეტი სამაზრო საქალაქო და სათემო რევოლუციური კომიტეტების შექმნისა და რწმუნებათა შესახებ. სათემო რევკომი, რომელიც სამაზრო რევკომის ბრძანებით ინიშნებოდა, მისდამი კუთვნილ ტერიტორიაზე ცხადდებოდა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ. საგუბერნიო, საქალაქო და სამაზრო რევკომებს ნიშნავდა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

დემოკრატიული საქართველოს არსებობის წლებში ადგილობრივ ხელისუფლებას, როგორც ცნობილია, განასახიერებდნენ არჩევითი ორგანოები (ერობები და საქალაქო თვითმართველობანი). რევკომების შექმნაში კი ხალხის მონაწილეობა მთლიანად გამოირიცხა. რევკომების მთელი შემადგენლობა, როგორც წესი, მუშურ-გლეხური იყო. ინტელიგენცია მისდამი უნდობლობის გამო ხელისუფლების ორგანოებისაგან განზე იდგა. რევკომების მაშინდელი წევრთა უმრავლესობა თანამდებობისათვის შეუფერებელი იყო. მათ აკლდათ ელემენტარული განათლება და წარმოდგენაც არ ჰქონდათ ნორმალურ მმართველ აპარატზე. რევკომებში აღმოჩნდნენ რუსეთის პირველი რევოლუციის დროის ტერორისტები, წითელ რაზმელები, ან დემოკრატიული მმართველობის მიმართ განაწყენებული პირები, რომლებიც შეუზღუდველი ძალაუფლების ვითარებაში ბევრ უკანონობას ჩადიოდნენ და წინააღმდეგობის ყოველგვარ ცდას თრგუნავდნენ იარაღით.

ამრიგად, რევკომების ძალაუფლება იყო უკანდახევა დემოკრატიიდან დიქტატურისაკენ;

ქართველი ხალხი მას ვერ შეეგუა ვერც ქალაქებში, ვერც სოფლებში. რევკომები უპირისპირდებოდნენ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოებს. რომლებიც 1917 წლიდან არსებობდნენ არჩევითს პრინციპზე. ეს საბჭოები რევკომებმა კონტრრევოლუციის ბუდეთ გამოაცხადეს და მოშალეს.

საქართველოს კომპარტიას რევკომების ძალაუფლება ნაგულისხმევი ჰქონდა როგორც საგანგებო, გარდამავალი ღონისძიება, რომელსაც უნდა შეემზადებინა პირობები საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლება უნდა ჩამოყალიბებულიყო არჩევნების

საფუძველზე. 1921 წ. ნოემბრიდან დაიწყო არჩევნებისათვის სამზადისი. პირველ რიგში ჩატარდა თბილისის საბჭოს არჩევნები. 10 დეკემბერს შედგა თბილისის საბჭოს პირველი საზეიმო სხდომა. არჩევნები ჩატარდა ყველა მაზრაში. 15 დეკემბერს საქართველოს რევკომის ბრძანებით შეიქმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია საბჭოების სრულიად საქართველოს პირველი ყრილობის მოსაწვევად. 1922 წ. 25 თებერვალს შეიკრიბა საბჭოების პირველი ყრილობა, სადაც წარმოდგენილი იყო 380 დელეგატი, მათ შორის 272 კომუნისტი. ყრილობამ მიიღო საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუცია, აირჩია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მ. ცხაკაიას, ფ. მახარაძის, ს. ორჯონიკიძის, შ. ელიავას, მ. ორახელაშვილის, ს. ქავთარაძის, მ. ტოროშელიძის, მ. ჩოდრიშვილის, მ. კახიანის, ვ. სტურუას, ს. გეგეჭკორის, ნ. ლაკობას, ა. გიორგაძის, გ. როგავას, ა. ჯატოევის, ს. ხუნდაძის და სხვა შემადგენლობით. ყრილობამ განიხილა სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხები. საქართველოს რევკომმა თავისი რწმუნება ამოწურულად ჩათვალა. ამრიგად, საბჭოების ხელისუფლება საქართველოში დამყარდა წითელი არმიის ლაშქრობიდან 1 წლის შემდეგ.

2. ძველი ხელისუფლების მსხვრევა. საქართველოს რევკომის ძირითად დანიშნულებას შეადგენდა ადრინდელი სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ნგრევა და ახალი ხელისუფლების ორგანიზაცია. საქართველოს რევკომი თანმიმდევრულად შეუდგა პროლეტარიატის დიქტატურის შექმნასა და განმტკიცებას. უკვე 24 მარტს რევკომმა დაითხოვა საქართველოს დამფუძნებელი კრება, 26 თებერვლის ბრძანებით გამოცხადდა დემოკრატიული საქართველოს არმიისა და გვარდიის საერთო დემობილიზაცია. 6 მარტს საქართველოს რევკომმა გამოსცა ბრძანება სახალხო კომისართა საბჭოს დროებითი შემადგენლობის შესახებ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ფ. მახარაძე, საგარეო საქმეთა კომისრად მ. ორახელაშვილი, შინაგან საქმეთა კომისრად ბ. კვირკველია. შეიქმნა შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, იუსტიციის, ჯანმრთელობის, განათლების, ფინანსთა და სხვ. კომისარიატები. 11 მარტს გამოიცა ბრძანება ქართული წითელი არმიის შექმნის შესახებ. 22 მარტის დეკრეტით გაუქმდა დემოკრატიული მთავრობის სენატი და სხვა სასამართლო დაწესებულებანი. 1921 წლ. 21 მაისს საქართველოს რევკომმა მიიღო დეკლარაცია აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ. 16 დეკემბერს საქართველოსა და აფხაზეთის სსრ-ს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე

აფხაზეთი შევიდა საქ. სსრ შემადგენლობაში, 1921 წ. 16 ივლისის დეკრეტით აჭარა გამოცხადდა ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად საქ. სსრ-ს შემადგენლობაში, ხოლო 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტით საქ. სსრ შემადგენლობაში შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1921 წ. აპრილის დეკრეტით გაუქმდა მიწაზე კერძო საკუთრება და საქართველოს ტერიტორიის მიწა-წყალი მთლიანად სახელმწიფოს კუთვნილება გახდა. მთავრობა კისრულობდა მიწები უსასყიდლოდ გადაეცა გლეხობისათვის მისი სარგებლობის უფლებით. 15 ივნისის დეკრეტით განხორციელდა მრეწველობის ნაციონალიზაცია. მუშათა კლასს დაუწესდა 8 საათიანი სამუშაო დღე, შეიქმნა შრომის ინსპექცია და სხვ.

1921 წლ. ივლის-აგვისტოდან საქართველო გადავიდა ლენინურ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რაც მთელ საბჭოთა ქვეყანაში შემოღებული იქნა კომუნისტური პარტიის X ყრილობის გადაწყვეტილებით. ამან ნაწილობრივ შეუწყო ხელი სოფლის მეურნეობის წინსვლას, ხალხის მატერიალური საყოფაცხოვრებო დონის ამაღლებას. კერძო ინიციატივის წახალისებამ სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში და ვაჭრობაში სული მოათქმევინა ხალხს, რომელსაც მუდმივი ომით გამოწვეული ნგრევის ვითარებაში უჭირდა.

საქართველოში 1921 წლის თებერვალ-მარტში მომხდარი ამბები მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მკვეთრ რეაქციას იწვევდა. უცხოეთის პრესა საბჭოთა მთავრობას სამართლიანად ბრალად დებდა საქართველოს იძულებით დაპყრობას და მისი კანონიერი მთავრობის დამხობას. ევროპის საზოგადოებრივი აზრის საპირისპიროდ ლენინის მითითებით გაჩაღდა პროპაგანდა საქართველოში განხორციელებული აქციის სამართლიანობის შესახებ. საქ. რევკომის, წითელი არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოს მოწოდებებში, ს. ორჯონიკიძის და სხვათა საგანგებო გამოსვლებში გატარებული იყო ის აზრი, რომ წითელი არმია საქართველოში შევიდა თვით საქართველოს მშრომელთა მიწვევით, თითქოს ადგილი არ ჰქონია არავითარ ოკუპაციას, „მენშევიკური კონტრრევოლუციური მთავრობის“ დამხობაში გადამწყვეტი როლი თვით ქართველმა ხალხმა შეასრულა, რომ რევკომის ყველა ღონისძიება თითქოს ქართველი ხალხის ინტერესებს უპასუხებდა და მის საკეთილდღეოდ იყო გამიზნული.

ასეთი ცალმხრივი პროპაგანდის მიღმა ხალხის დაუკითხავად, მისი ინტერესების საპირისპიროდ ხორციელდებოდა ღონისძიებანი, რომელთაც საბოლოო ჯამში ქვეყანა ფაქტობრივ ანექსიამდე მიჰყავ-

და. რკპ (ბ) კავბიურო, კავკასიის არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭო და საქართველოს რევკომი მხოლოდ კრემლის კარნახით მოქმედებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ამიერკავკასიის ფედერაცია. საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ დღის წესრიგში დადგა საკითხი მისი ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებთან და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკასთან დამოკიდებულების შესახებ. საბჭოთა რუსეთის მართველობას ხელს აძლევდა ამიერკავკასიის მთლიან სახელმწიფოებრივ ერთეულად შეკვრა, რაც გაადვილებდა მის ჩაბმას ერთიანი რუსეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემაში. გაერთიანებასთან დაკავშირებით ი. სტალინმა, რომელიც მაშინ ეროვნებათა სახალხო კომისარიატს ხელმძღვანელობდა, ლენინურ პრინციპით შეიმუშავა ე. წ. „ავტონომიზაციის" პროექტი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკები რუსეთის საბჭოთა ფედერაციაში ავტონომიის უფლებით უნდა გაერთიანებულიყვნენ.

„ავტონომიზაციის" სისტემა ხელყოფდა ერთა სუვერენულ უფლებებს და უპირისპირდებოდა ბოლშევიკური პარტიის საპროგრამო დებულებას ერთა თვითგამორკვევის შესახებ რაც ხალხთა თანასწორუფლებიანობის დეკლარაციითაც იყო აღიარებული. 1921 წ. 9 აპრილს ვ. ი. ლენინმა ამიერკავკასიელ კომუნისტებს დაავალა შეექმნათ „საოლქო სამეურნეო ორგანო". სამეურნეო გაერთიანებას უნდა შეემზადებინა პირობები პოლიტიკური ერთიანობისათვის, რასაც რკპ(ბ) კავბიუროს აზრით კარნახობდა ადრინდელ მთავრობათა „მძიმე მემკვიდრეობა". 1921 წლის აპრილში მოხდა ამიერკავკასიის რკინიგზის გაერთიანება. 2 ივნისს გაერთიანდა სამი რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობა. იმავე წლის 3 ნოემბერს ბაქოში შემდგარმა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს პლენუმმა დაადგინა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანება.

დადგენილებაში ნათქვამია:

1. „გადაუდებლად და აუცილებლად იქნეს ცნობილი რესპუბლიკებს შორის ფედერაციული კავშირის შეკვრა, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო სამეურნეო საფინანსო მუშაობისა და საგარეო პოლიტიკის დარგში.

2. აუცილებლად ჩაითვალოს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ-ცენტრის (სამოკავშირეო საბჭოს) შექმნა."

რესპუბლიკების პარტიულ ლიდერთა ნაწილი მხარს უჭერდა

ამიერკავკასიის ფედერაციულ კავშირს თითოეული რესპუბლიკის სუვერენიტეტის შენარჩუნებით. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო კიდეც. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საბჭოების სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციამ. მაგრამ ი. სტალინს, ორჯონიკიძეს და კავბიუროს შემადგენლობის უმრავლესობას ამაზე შეჩერება არ აკმაყოფილებდა. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ ერთიანი ფედერაციული რესპუბლიკის შექმნას. ამ ჯგუფმა თავისი გაიტანა კიდეც. 1922 წლის 10 დეკემბერს ამიერკავკასიის საბჭოების პირველმა ყრილობამ ამიერკავკასიის რესპუბლიკები გააერთიანა ერთ ფედერაციულ რესპუბლიკად. აქვე მიიღეს ამ რესპუბლიკის კონსტიტუცია და აირჩიეს ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — ამიერკავკასიის რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. ამიერკავკასიის ფედერაცია ერთ ერთეულად შევიდა 1922 წ. 30 დეკემბერს შექმნილ სსრ კავშირის შემადგენლობაში.

4. „ნაციონალ უკლონიზმი“ საქართველოს კომპარტიაში. ქართველი ხალხი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას წითელი არმიის ძალებით რესპუბლიკის სუვერენიტეტის ხელყოფად თვლიდა. რევკომი, რკპ (ბ) კავბიუროს მესვეურები თავს არ ზოგავდნენ იმის დასასაბუთებლად, რომ ახალი ხელისუფლება არა თუ ხელყოფს საქართველოს დამოუკიდებლობას, არამედ, პირიქით, მოწოდებულია ნამდვილ სუვერენიტეტის ასაღორძინებლადო. ამ დეკლარაციებისა ხალხს არ სჯეროდა, რადგან სინამდვილე პროპაგანდას უპირისპირდებოდა.

საქართველოს რესპუბლიკის სუვერენულ უფლებათა ხელყოფის, მისი დამამცირებლად შეზღუდვის თვალსაჩინო ფაქტი იყო ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა. კონფედერაციულ პრინციპებზე ამიერკავკასიის რესპუბლიკათა გაერთიანებას არავინ არ გაუწევდა წინააღმდეგობას, მაგრამ ის შინაარსი, რომელიც ფედერაციულ რესპუბლიკაში სტალინმა და ორჯონიკიძემ ჩადეს, ნამდვილად ლახავდა სამივე რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს ინტერესებს. საქართველო აღარ წარმოადგენდა დამოუკიდებელ იურიდიულ სუბიექტს. 1922 წ. დეკემბერში საბჭოთა ქვეყნის რესპუბლიკათა გაერთიანებაში საქართველო შევიდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მეშვეობით. მისი სუვერენული უფლებები შეილახა უკრაინის, ბელორუსიის, შუა აზიის რესპუბლიკებთან შედარებით.

ფედერაციის არსებობის პრაქტიკამ ცხადჰყო, რომ ეს გაერთიანება ხელოვნური იყო, არ გამომდინარეობდა მასში შემავალ რესპუბლიკათა სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ინტერესე-

ბიდან; საქართველოს კომპარტიის მაშინდელ ხელმძღვანელობაში ბევრი გრძნობდა, რომ რკპ (ბ) კავბიუროს მიერ ნაკარნახევი ხოვი ღონისძიება არ იყო მართებული, არ შეეფერებოდა რესპუბლიკის სპეციფიკას, მოსახლეობის განწყობილებას. ასევე მიზანშეუწონელი იყო კურსი ფედერაციულ რესპუბლიკაში გაერთიანებისაკენ, რადგან ეს მისწრაფება ხელყოფდა სამეურნეო, პოლიტიკური ცხოვრების იმ მონაპოვარს, რაც საქართველოს ჰქონდა სამწლიანი დამოუკიდებელი ცხოვრების პერიოდში. ამ თვალსაზრისს იცავდნენ ფ. მახარაძე, ბ. მდივანი, მ. ოკუჯავა, კ. ცინცაძე, ლ. დუმბაძე და სხვ. ი. სტალინმა და რკპ (ბ) კავბიუროს ხელმძღვანელობამ ამ ჯგუფის საქმიანობა პარტიის გენერალური ხაზიდან გადახვევად მიიჩნია და მონათლა იგი „ნაციონალ-უკლონიზმის" სახელწოდებით.

„ნაციონალ-უკლონისტებმა" არ გაიზიარეს ი. სტალინის მიერ შემოთავაზებული „ავტონომიზაციის" თეზისი, რადგან იგი დიდმპყრობელურ-შოვინისტური იყო თავისი არსით და არ უპასუხებდა ერის ინტერესებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1922 წლის 15 სექტემბერს ნაციონალ-უკლონისტთა თაოსნობით მიიღო დადგენილება, სადაც ნათქვამია: „ამხ. სტალინის თეზისების საფუძველზე წამოყენებული დამოუკიდებელი რესპუბლიკების ავტონომიზაციის ფორმით გაერთიანება ნაადრევად ჩაითვალოს, სამეურნეო ძალისხმევის გაერთიანება და საერთოპოლიტიკა აუცილებლად მიგვაჩნია, მაგრამ დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებით". უკლონიზმი ხელისუფლებისათვის ბრძოლის ფორმა იყო მხოლოდ და არა შინაარსი. აქვე უნდა ითქვას, რომ უკლონისტთა ჯგუფი, რა თქმა უნდა, არ უპირისპირდებოდა იმ საოკუპაციო რეჟიმს, რომელიც საქართველოში კომუნისტური პარტიის სრული მხარდაჭერით განხორციელდა, ოღონდ ცდილობდა, რომ ეს რეჟიმი ნაკლებად მტკივნეული ყოფილიყო. იგი ებრძოდა იმ მოუქნელ, უხეშ კურსს, რომელიც სტალინ-ორჯონიკიძის მიერ ხორციელდებოდა რესპუბლიკის იმდროინდელი სიტუაციისა და სპეციფიკის ანგარიშგაუწევლად და აპირობებდა ხალხის მასობრივ დაუმორჩილებლობას. ნაციონალ-უკლონისტები ამ ბრძოლაში დამარცხდნენ. მოვლენათა განვითარება სტალინ-ორჯონიკიძის კურსით წარიმართა.

5. ქვეყნის ფაქტიური ანექსია. 1921 წლის 25 თებერვალს წითელი ჯარის დახმარებით საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ქვეყნის ოკუპაციას წარმოადგენდა. ეს ოკუპაცია დროებით, საომარი

ვითარებით გამოწვეული აქტი იყო. თუ საქართველოს ტერიტორიის წითელი არმია დატოვებდა და ახალ ხელისუფლებას მიეცემოდა ქვეყნის დამოუკიდებელი მართვის შესაძლებლობა, საოკუპაციო ოკუპაციო ოკუპაციო მოიშლებოდა. თუ ისევ გაგრძელდებოდა ქვეყნის საქმეებში გარედან ჩარევა და ადგილობრივი ხელისუფლება მარიონეტის როლში დარჩებოდა, ოკუპაცია თანდათან ანექსიაში უნდა გადაზრდილიყო. გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ ანექსიონისტური ღონისძიებანი როგორი შენიღბული ფორმით განხორციელდებოდა. სამწუხაროდ, სინამდვილეში ასე მოხდა.

ახალმა ხელისუფლებამ არსებითად ვერ შეძლო ქართული წითელი არმიის შექმნის დაპირების განხორციელება, რასაც ნაციონალ—უკლონისტებიც მხარს უჭერდნენ. მართალია, 1922 წ. ჩამოყალიბდა ერთი ქართული დივიზია, მაგრამ იგი საოკუპაციო არმიის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა და სრულიადაც ვერ უზრუნველყოფდა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის შეიარაღებული დაცვის ფუნქციას.

1922 წლის 17 ივნისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს წითელი არმია ოპერატიული ინსპექციის მხრივ დაექვემდებარებოდა კავკასიის ცალკე არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. ქართული დამოუკიდებელი წითელი არმიის შექმნას ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს კავბიუროს ხელმძღვანელი ს. ორჯონიკიძე და კავკასიის არმიის სარდალი ა. ეგოროვი. საქმეში ჩაერია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი. დავა კავბიუროს პოზიციის სასარგებლოდ გადაწყდა. „ნაცვლად საქართველოს წითელი არმიისა გამოგვივიდა საქართველოს ნომრიანი ბრიგადა კავკასიის არმიის შემადგენლობაშიო“ — აღნიშნავდა შემდეგ საქართველოს კპ ცკ-ს მდივანი ლ. აღნიაშვილი.

ახალმა ხელმძღვანელობამ კრემლის კარნახით ხალხის ინტერესების საპირისპიროდ ოსმალეთს დაუთმო ქართული ტერიტორიის ნაწილი. ამასთან, თვითნებურად, ისტორიული სამართლიანობის დაცვის გარეშე განხორციელდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შიდა საზღვრების დაკანონება. თურქეთს გადაეცა ყოფ. ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი (მაჭახელა, ბორჩხა, მაკრიალი) ართვინის და არდაგანის ოლქები, რომელთა ტერიტორიული მოცულობა შეადგენდა 9639.71 კვ. კილომეტრს, ხოლო მოსახლეობის რიცხვი — 158.749 სულს. სომხეთის საკუთრებაში გადავიდა ვორონცოვ-ლორეს რაიონი (ბოჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილი), აზერბაიჯანს დარჩა ზაქათალის ოლქი (ისტორიული საინგილო), გარეჯის ვე-

ლი და ქვემო ყარაიაზის სექტორი, ელდარი. რსფსრ-ს მიეკუთვნა აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილი (პილენკოვო). სულ საქართველოს გასხვისებული ტერიტორიის ოდენობა 15.853 კვ. კილომეტრს აღწევდა, მატებოდა, ხოლო მასზე მცხოვრებთა რიცხვი 294.257 სულს შეადგენდა.

საქართველოს კომპარტია, რომელიც რესპუბლიკის მმართველ ძალად ითვლებოდა, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპზე აგებული რუსეთის კომუნისტური პარტიის განუყოფელი ნაწილი იყო და მისი საოლქო პარტიული ორგანიზაციის უფლებებით სარგებლობდა. საქართველოს მთავრობა და კომპარტია ვერც მაშინ და ვერც შემდგომში დამოუკიდებლად ვერ წყვეტდა შინარესპუბლიკურ საკითხებს და მთლიანად მოსკოვზე იყო დამოკიდებული. გარედან იყო ნაკარნახევი საქართველოს დანაწილება ავტონომიურ ერთეულებად. აფხაზეთის გამოცხადება დამოუკიდებელ რესპუბლიკად უპირისპირდებოდა ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიულ ერთობას, მათს საერთო ინტერესებს. აჭარის ავტონომია მოსკოვ-ანკარის გარიგებით იყო ნაკარნახევი და ასევე ქმნიდა დაბრკოლებას საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების გზაზე. სრულიად ხელოვნურად შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომია საქართველოს ტერიტორიაზე მაშინ, როცა ოსთა ისტორიულ სამკვიდროს—ჩრდილოეთ ოსეთს იმ დროს არავითარი ავტონომია არ ქონია. ყველა ეს ღონისძიება შორსგამიზნული აქცია იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მოსალოდნელი აღდგენის საპირისპიროდ და ეროვნული დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მას ხანგრძლივი მოქმედების ნაღმის დანიშნულება ჰქონდა.

ახალმა ხელისუფლებამ ვერც საკუთარი ფული შეინარჩუნა, თუმცა ამას მოითხოვდნენ ნაციონალ-უკლონისტები. რაც დრო გადიოდა, მეტის ინტენსივობით ხორციელდებოდა პოლიტიკური ცენტრალიზაცია და ფორმალურად აღიარებული სუვერენიტეტი ფიქცია ხდებოდა. ოციანი წლების შემდეგ მოიშალა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ყველა ფუნქცია, გაბატონდა სრული უნიტარიზმი. ეს ვითარება საქართველოს ფაქტობრივ ანექსიას წარმოადგენდა.

§ 2 ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის განახლება

1. საქართველოს ემიგრანტული მთავრობა და ევროპა. 1921 წლის

აპრილში კონსტანტინოპოლის გავლით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ჩავიდა პარიზში. ევროპის საზოგადოებრივი აზრი დაპყრობილი საქართველოსადმი სიმპატიით იყო განმსჭვალული. ეს ჰგმობდა მის ოკუპაციას საბჭოთა რუსეთის მიერ. საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერით გამხნევებული საქართველოს მთავრობა პარიზში ჩასვლისთანავე შეუდგა საქმიანობას, რათა მის დასახმარებლად განეწყო ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და ევროპის სხვა სახელმწიფოთა მესვეურები. აპრილშივე ევროპის სახლმწიფოთა მთავრობებს დაეგზავნა მემორანდუმი, სადაც აღწერილი იყო საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოსთან დადებული ხელშეკრულების უხეში დარღვევისა და საქართველოს ოკუპაციის ფაქტები. მემორანდუმი ამტკიცებდა: რომ საქართველოს კანონიერი მთავრობა დაამარცხა არა შინაგანმა, არამედ გარეგანმა ძალამ, რომელმაც გააუქმა რესპუბლიკის კონსტიტუცია და თავს მოახვია მას მისთვის უცხო რუსული დაწესებულებანი, აღნიშნული იყო, რომ ქართველმა ერმა მოსულ მტერს გაუწია ენერგიული წინააღმდეგობა და მხოლოდ მაშინ დათმო ტერიტორია, როცა ამოიწურა მისი დაცვის ყველა შესაძლებლობა, რომ საქართველო ოკუპირებულია რუსეთის მიერ. საქართველოს მთავრობა აგრძელებს იმ მინდობილობის აღსრულებას, რაც მას დამფუძნებელმა კრებამ მიანიჭა და იბრძვის თავსმოხვეული რეჟიმის წინააღმდეგ — ნათქვამი იყო მემორანდუმში. საქართველოს მთავრობამ ასეთივე შინაარსის საგანგებო წერილით 12 მაისს მიმართა ერთა ლიგას. საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელები — ნ. ჟორდანია, ე. გეგეჭკორი, კ. ჩხეიძე, ა. ჩხენკელი, ი. წერეთელი და სხვები ევროპის დიდ სახელმწიფოთა მთავრობების წევრებთან ოფიციალურ შეხვედრებში მოითხოვდნენ, რომ ეს მთავრობები ჩარეულიყვნენ საქართველოს საქმეებში და იძულებული გაეხადათ საბჭოთა რუსეთი გაეყვანა ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან.

საქართველოს მთავრობის წევრთა ოფიციალურ გამოსვლებში, სოციალისტური ინტერნაციონალის რეზოლუციებში საქართველოში საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული აქცია მკაცრად იყო დაგმობილი. ევროპული პარლამენტების ტრიბუნებიდან ხშირად გაისმოდა ოკუპირებული საქართველოსადმი თანაგრძნობის სიტყვები. მაგალითად, 1922 წ. 22 აპრილს საფრანგეთის რესპუბლიკის პარლამენტის სხდომაზე სოციალისტი ე. ერიო აცხადებდა: „საქართველოს სუვერენიტეტი თვით რუსეთმა სცნო ხელშეკრულებით, რომელიც არავითარ ეჭვს არ იწვევს. ვთხოვ ბ-ნ მთავრობის თავჯდომარეს კეთილ ინებოს და განაცხადოს, რომ მისი მთავრობა

კვლავინდებურად კეთილგანწყობილია ამ დამოუკიდებლობისადმი. საფრანგეთის სახელით ამის თქმა, იმ საფრანგეთისა, რომელსაც ღვაწლი მიუძღვის პოლონეთისა და ჩეხეთის დამოუკიდებლობის დამკვიდრებაში, ჩვენ ნებას მოგვცემს ნუგეში ვცეთ ამ უბედურ ჩაგრულ ერს". მთავრობის თავჯდომარე პუანკარემ იქვე განაცხადა, რომ ერიოს აზრი მთავრობის აზრია, იგი სცნობს საქართველოს მთავრობას, რომელსაც პარიზში მისცა თავშესაფარი. 1922 წლის 22 სექტემბერს ერთა ლიგის საზოგადო კრებამ, გაითვალისწინა რა საქართველოს მდგომარეობა, მოუწოდა საბჭოს „ყურადღებით ადევნოს თვალი ქვეყნიერების ამ კუთხის ამბებს, რათა ისარგებლოს ყოველივე შემთხვევა, რომელიც კი მიეცემა, და დაეხმაროს მშვიდობიან და საერთაშორისო სიმართლის შესაფერ საშუალებით ამ ქვეყნისათვის ნორმალური მდგომარეობის დაბრუნებას".

ძალიან ჰგავდნენ ერთიმეორეს პარლამენტთა ტრიბუნებიდან გაკეთებული ეს განცხადებები და სოციალისტურ პარტიათა თუ ცალკეულ ქვეყნებში ერთა ლიგის სექციათა რეზოლუციების ტექსტები. მხოლოდ თანაგრძნობა და დახმარების ზოგადი სურვილი! არავითარი კონკრეტული ნაბიჯი, არავითარი ღონისძიება! სამოქალაქო ომში გამარჯვებულ საბჭოთა რუსეთთან ეკონომიკური კავშირები ევროპის დიდ სახელმწიფოებისათვის პერსპექტივებს ქმნიდა. საქართველოს გამო არავინ გაირთულებდა მდგომარეობას. სწორედ 1921 წელს დასდო ინგლისმა საბჭოთა რუსეთთან კომერციული ხელშეკრულება, მომდევნო თვეებში საბჭოთა რუსეთთან ეკონომიკური ხელშეკრულებები დასდეს გერმანიამ, ავსტრიამ, დანიამ, იტალიამ, ჩეხოსლოვაკიამ და ა. შ.

საქართველოსადმი ევროპის სახელმწიფოების მესვეურთა ინდეფერენტიზმი ნათლად გამომჟღავნდა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც 1922 წლის აპრილში შეიკრიბა გენუაში. კონფერენციამ, მართალია, უკანონოდ ჩათვალა რუსეთის რწმუნებანი საბჭოთა რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს მიმართ, მაგრამ ოფიციალურად არ დაუშვა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის დელეგაცია, რომელიც პარიზიდან იყო გაგზავნილი. ანგარიში არ გაეწია არც კონფერენციისადმი საქართველოს კათოლიკოსის ამბროსის მემორანდუმს, არც იმას, რომ კონფერენციის მუშაობის პერიოდში საქართველოში მიმდინარეობდა აჯანყება (სვანეთისა, ხევსურეთისა) საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ. იგი საქართველოს დრამის სიტყვიერი აღიარებით დაკმაყოფილდა და არავითარი პოლიტიკური ნაბიჯი არ გადაუდგამს დასახმარებლად. ამრიგად, საქართველოს ემიგრაციის იმედები ევროპაზე ამაო გამოდგა.

2. საქართველოს პოლიტიკური პარტიები ოკუპაციის შემდგომ პერიოდში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ყველაზე მრავალრიცხოვან და ძლიერ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა სოციალ-დემოკრატიული პარტია. იგი თავის რიგებში 80 ათასამდე კაცს ითვლიდა. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ სხვა პარტიებთან შეთანხმებით საბჭოთა ხელისუფლებას 1922 წლის 10 აპრილის დეკლარაციით პოლიტიკური ზავი გამოუცხადა იმ პირობით, თუ ბოლშევიკური პარტია და ხელისუფლება აღიარებდა საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. საქართველოს მაშინდელმა ბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ ეს პირობა არ მიიღო და რეპრესიები ამჯობინა. რეპრესიების ვითარებაში დაიწყო არაპროლეტარულ პარტიათა ე. წ. „თვითლიკვიდაციის" პროცესი. პრესაში ქვეყნდებოდა არაპროლეტარულ პარტიათა (სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნული დემოკრატების და სხვ.) ინდივიდუალური თუ კოლექტიური განცხადებანი იმის თაობაზე, რომ ისინი გამოდიან ამ პარტიის რიგებიდან და დგებიან საბჭოურ პოზიციაზე. ამასთან დაკავშირებით იმართებოდა პარტიათა რაიონული, სამაზრო კონფერენციები, სადაც იღებდნენ გადაწყვეტილებას ორგანიზაციული დაშლის თაობაზე. 1923 წლის აგვისტოში შეიკრიბა სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) რესპუბლიკური ყრილობა, რომელმაც მიიღო დაშლის გადაწყვეტილება და აღიარა, რომ დგას III ინტერნაციონალის პოზიციაზე. ყრილობამ წერილობით მიმართა ნ. ჟორდანიას დაბრუნებულიყო საქართველოში და მიეღო მონაწილეობა მის საბჭოურ მშენებლობაში; თვითლიკვიდაცია გამოაცხადა ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამაც მისი ცენტრალური კომიტეტის 1923 წ. 8 აგვისტოს დეკლარაციით. 28 ოქტომბერს შედგა ეროვნულ-დემოკრატთა ყრილობა, სადაც მიღებულ იქნა დადგენილება პარტიის დაშლის შესახებ იმ მოტივით, რომ „საბჭოთა ხელისუფლება თვით ახორციელებდა ამ პარტიის საპროგრამო მოთხოვნებს და მისი არსებობა ზედმეტი ჩანდა". რაც შეეხება სოციალისტ-ფედერალისტებს, მათი გათიშვა ორ ფრთად ადრევე მოხდა. „მემარცხენე" ფრთა ლოიალობას იჩენდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ამ ფრთამაც 1923 წ. მიიღო კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანების გადაწყვეტილება. თვითლიკვიდაციის პროცესი შეეხო „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციასაც, რომელიც საქართველოს კომპარტიას ოპოზიციაში ედგა.

არაპროლეტარულ პარტიათა „თვითლიკვიდაციის" ეს პროცესი ნაძალადევი ღონისძიება იყო და არ ასახავდა ამ პარტიათა ნამდვილ

განწყობილებას. დიდი უმრავლესობა ამ გადაწყვეტილებას იღებდა რეპრესიების შიშით. ფრიად აქტიურობდნენ ამ პროცესის მასობრიობისათვის კომპარტიის და საგანგებო ორგანოთა ადგილობრივი კომიტეტები.

„თვითლიკვიდაციის" მასობრიობამ გარეგნულად შექმნა თვითდამშვიდების განწყობილება, მაგრამ ამ პროცესის პარალელურად არალეგალურად მიმდინარეობდა ანტისაბჭოურ ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია, არაპროლეტარული პარტიების ორგანიზაციული გაერთიანება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. 1922 წელს დაარსდა „დამოუკიდებლობის კომიტეტი", რომელშიაც გაერთიანდნენ სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური, ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალისტ რევოლუციური და „სხივისტთა" პარტიების წარმომადგენლები. კომიტეტის თავჯდომარედ არჩეულ იქნა სოციალ-დემოკრატი კ. ქარცივაძე, ხოლო მისი დაპატიმრების შემდეგ კ. ანდრონიკაშვილი. იმავე წელს ჩამოყალიბდა სამხედრო ცენტრი გენ. კ. აფხაზის, ა. ანდრონიკაშვილის, ვ. წულუკიძის გ. ხიმშიაშვილის და რ. მუსხელიშვილის შემადგენლობით. „სამხედრო ცენტრი" ხელმძღვანელობდა 1922 წლის ეროვნულ-განმანთავისუფლებლურ გამოსვლებს კახეთსა და ფშავ-ხევსურეთში.

3. ბრძოლა საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ 1921—1923 წლებში. 1921—1923 წლები საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების გაუარესებით ხასიათდებოდა. მოშლილი იყო სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგი — მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ფინანსები, ტრანსპორტი. ბაზარზე გლეხური პროდუქციისა და საფაბრიკო ნაწარმის ფასები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ. მუშათა კლასისა და ინტელიგენციის შრომითი ანაზღაურება ძალზე დაბალი იყო. ბაზარზე ზღაპრული სიძვირისა და სპეკულაციის ვითარებაში საოცნებო იყო ცხოვრების ნორმალური პირობები. აგრარული დეკრეტები განუხორციელებელი დარჩა. რევკომები თვითნებობდნენ და თანდათან ამკაცრებდნენ რეპრესიებს. მთავრობის მიერ დაწესებულ გადასახადებს ადგილებზე მრავალი თვითნებური გადასახდელი ემატებოდა. ჩვეულებრივი მოვლენა იყო ე. წ. „თვითდაბეგვრა", რაც მძიმედ აწვა მოსახლეობას და ზრდიდა მის უკმაყოფილებას.

ახალმა ხელისუფლებამ მოსახლეობის ვერცერთი ფენის გული ვერ მოიგო. გლეხობა თავს მოტყუებულად მიიჩნევდა და გულში ბოღმას იგუბებდა. მუშათა კლასი დრტვინავდა მატერიალური-საყოფაცხოვრებო მძიმე პირობების გამო. მოსახლეობის შეძლებული ნაწილი თვლიდა, რომ ახალი ხელისუფლება მისდამი მტრულად

იყო განწყობილი და სრულ ექსპროპრიაციას უმზადებდა. ყველა ზემოჩამოთვლილი სოციალური ფენის უკმაყოფილებას ამძაფრებდა და ერთი მიმართულებით წარმართავდა ეროვნული საკითხ[illegible]ნული დამოუკიდებლობის დაკარგვით აღძრულ გულისტკივილს ყველაზე მკვეთრად ინტელიგენცია ამჟღავნებდა და იგი სათავეში ექცეოდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას.

1921 წლის აპრილში რევკომმა, როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკური პარტიების ამინისტია გამოაცხადა. იმდროინდელ ხელმძღვანელობას ეს დეკრეტი პოლიტიკური დაძაბულობის შესუსტებისთვის ჰქონდა გამიზნული. მან იცოდა, რომ არაპროლეტარული პარტიები საოკუპაციო რეჟიმს ვერ შეეგუებოდნენ და მათთან ბრძოლა გარდუვალი გახდებოდა.

საქართველოს კომპარტიამ ეს ბრძოლა თვითონ წამოიწყო იმით, რომ ა. გეგეჭკორზე ქუთაისში მოწყობილი თავდასხმის ინსცენირების შემდეგ ხელი მიჰყო მასობრივ დაპატიმრებებს. ყველა ქალაქის ციხეები აივსო პოლიტიკური პატიმრებით. პატიმართა ერთი დიდი ჯგუფი გადასახლებულ იქნა რუსეთში, მეორე — საზღვარგარეთ (გერმანიაში). განუკითხავად იქცეოდნენ შინაგან საქმეთა კომისარიატის და საგანგებო კომისიათა ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც პატიმრებს უმრავლეს შემთხვევაში ძიება-სასამართლოს გარეშე სპობდნენ ფიზიკურად.

საქართველოს რევკომმა „კონტრრევოლუციასთან" საბრძოლველად 1921 წლის 7 ოქტომბრის დადგენილებით შექმნა განსაკუთრებული დანიშნულების რაზმები („ჩონი") საქართველოს ყველა კუთხეში. განსაკუთრებული რაზმის რესპუბლიკური შტაბის უფროსად დაინიშნა მ. ხუტულაშვილი. რაზმები ყალიბდებოდნენ სამხედრო საქმეში გავარჯიშებული კომუნისტებისაგან. მათ დაურიგდათ იარაღი და მიეცათ დავალება მთავრობის ორგანოების პირველივე დაძახებისთანავე ჩაეხშოთ ყველა ანტისაბჭოური აქცია მათთვის განკუთვნილ რეგიონში.

1921 წლის მაისში უკვე იჩინეს თავი გლეხთა ანტირეჟიმული მოძრაობის პირველმა ნიშნებმა სვანეთსა და ხევსურეთში. სვანეთის აჯანყებას სათავეში ედგნენ მოსესტრო დადეშქელიანი, ნესტორ გარდაფხაძე, ბიძინა პირველი. აჯანყებულმა სვანებმა მისასვლელი გზები გადაუკეტეს წითელი არმიის ნაწილებს. მიმდინარეობდა მოსახლეობის შეიარაღება და მზადება ქუთაისზე გალაშქრებისათვის. სვანეთიდან აჯანყება რაჭა-ლეჩხუმსაც გადაედო. მოსალოდნელი იყო დასავლეთ საქართველოს ერთიანი ამბოხი. მანამ, ვიდრე დაიწყებოდა საერთო სახალხო გამოსვლა, მოქმედობდნენ

ცალკეული პარტიზანული რაზმები, რომლებიც თავს ეხმოდნენ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, ანგარიშს უსწორებდნენ რევკომისა და საგანგებო რაზმების წარმომადგენლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სექტემბერში სვანთა შეიარაღებულმა რაზმებმა დაამარცხეს და განაიარაღეს იქ მდგარი რუსული სამხედრო ნაწილები და 6 თვე უმკლავდებოდნენ განიარაღებულთა დასახმარებლად ქუთაისიდან დაძრულ ახალ სამხედრო ნაწილებს. სვანების გამოსვლა შინა გამცემლობის გამო დამარცხებული და ჩახშობილი იქნა.

სვანეთის გამოსვლასთან ერთად ნავარაუდევი იყო აჯანყება ხევსურეთსა და კახეთში. კახეთ-ხევსურეთის აჯანყებას უკვე „დამოუკიდებლობის კომიტეტი" და „სამხედრო კომისია" ხელმძღვანელობდა. აჯანყების უშუალო მესვეური იყო ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილი, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის ოფიცერი, რომელიც ემიგრაციაში არ წასულა. 1921 წლის გაზაფხულიდანვე მან ძლიერი პარტიზანული რაზმი ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა გამოსვლებს კახეთსა და ხევსურეთში, ამ რაზმმა გადაკეტა მისასვლელი გზები თუშეთ-ფშავ-ხევსურეთისაკენ. მისივე წაქეზებით პარტიზანული რაზმები შეიქმნა კახეთში, ქართლში. ამ რაზმებს ხელმძღვანელობდნენ მ. ლაშქარაშვილი, სვ. ბაგრატიონ-მუხრანელი, ლ. ლეკვინაძე, ს. ანდრონიკაშვილი, ა. სუმბათაშვილი, შ. ვაჩნაძე, პ. და შ. ფავლენიშვილები და სხვები. აჯანყებულებს კავშირი ჰქონდათ საქართველოს კათალიკოს ამბროსისთან. ქ. ჩოლოყაშვილის რაზმმა დუშეთის რაიონში განახორციელა წარმატებული ოპერაციები. „შეფიცულებმა" ჟინვალთან მოიგეს დიდი ბრძოლა რუსეთის ჯართან, შემდეგ გამაგრდნენ ხევსურეთში. ქ. ჩოლოყაშვილის რაზმების საბრძოლო მოქმედებაში გათიშვა პარტიათა უთანხმოებამ შეიტანა. სოციალ-დემოკრატები თვლიდნენ, რომ ქ. ჩოლოყაშვილის მოქმედება კერძო, თავადური ხასიათისა იყო და მას ბრძოლის მესვეურობა არ შეეფერებოდა. ქაქუცას რაზმების წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ გაგზავნა დიდი რაოდენობის შეიარაღებული რაზმები. დააპატიმრეს და დახვრიტეს პარტიზანული რაზმების მესვეურები ქართლსა და კახეთში. შინა პარტიული კინკლაობის გამო დაიშალა ფავლენიშვილის პარტიზანული რაზმი ზემო დუშეთში. ამის შემდეგ მოძრაობა შენელდა და ქ. ჩოლოყაშვილის რაზმიც იძულებული გახდა თავი დროებით ხევსურეთისთვის შეეფარებინა. ამასთან ქ. გროზნოდან დაიძრა წითელი არმიის ახალი ძალები ქ. ჩოლოყაშვილის რაზმებისათვის ჩრდილო-კავკასიელებთან კავშირის აღსაკვეთად. სწორედ ამ დროს ჩამოვიდა ფარულად პარიზიდან საქართველოში რესპუბლიკური მთავრობის წევრი ნ. ხომერიკი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის გამოჩენამ პარტიათა გათიშულობა უფრო გაამწვავა, ავჯა-ყების წარუმატებლობას მოჰყვა სამხედრო ცენტრის ჩავარდნა.

1923 წლის 19 მაისს სამხედრო ცენტრის წევრები და ეროვნულ-მოძრაობის სხვა მესვეურები — 15 კაცი დახვრიტეს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი და საგანგებო კომისია შეუბრალებლად უსწორებდნენ ანგარიშს ყველა ეჭვმიტანილს. პარტიზანული რაზმების წინააღმდეგ ცალკეულ მაზრებში ჩაყენებულ იქნა დამსჯელი ექსპედიციები, რომლებიც მშვიდობიან მოსახლეობას აწიოკებდნენ იმის მომიზეზებით, რომ „ბანდიტებს ინახავდნენ". მაგალითად, გურიის პარტიზანული რაზმების წინააღმდეგ შინაგან საქმეთა კომისარიატმა გაგზავნა საგანგებო ექსპედიცია თავზეხელაღებულ ტერორისტის ა. ობოლაძის მეთაურობით. ობოლაძემ ვერ მოახერხა პარტიზანთა ხელში ჩაგდება, სამაგიეროდ შური იძია მშვიდობიან მოსახლეობაზე. იგი აწიოკებდა და ცეცხლს აძლევდა მათ სახლკარს, მასობრივად ხვრეტდა უდანაშაულო ხალხს. ჯალათი ობოლაძე ოზურგეთის მისასვლელთან მოჰკლეს. ამის შემდეგ გურიას დამსჯელად მოუვლინეს ი. ტალახაძე, რომელიც მისთვის საეჭვო პირებს მატარებლის ვაგონებში მაუზერით ხვრეტდა.

საქართველოს მოსახლეობის მკაცრ გულისწყრომას იწვევდა მთავრობის ღონისძიებანი ქრისტიანული ეკლესიის წინააღმდეგ. მარტო 1922—1923 წლებში ხალხის სურვილის საპირისპიროდ დანგრეულ იქნა 1500 ეკლესია და განადგურდა საეკლესიო ქონება, რომელთაგან ბევრი ეროვნულ განძს წარმოადგენდა. კომუნისტები და კომკავშირელები ხელისუფლების წაქეზებით ანგრევდნენ არა მარტო ეკლესია-მონასტრებს, არამედ ხოცავდნენ კულტის მსახურთ, ხურავდნენ სასაფლაოებსაც კი. ეს იყო ნამდვილი ათეისტური დიქტატურა, რომელიც შეურაცხყოფდა ხალხის რწმენას, ტრადიციებს, ემუქრებოდა მის ზნეობას, კულტურას.

ქართველმა ინტელიგენციამ მტკივნეულად აღიქვა დიდი საეკლესიო მოღვაწის, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის სულიერი მოძღვარის ამბროსი ხელაიას დაპატიმრება და უმართებულო სასამართლო პროცესი მის წინააღმდეგ.

რეპრესიებმა უფრო მკაცრი და მასობრივი ხასიათი მიიღო 1923 წლის დამდეგიდან, როცა ს. ორჯონიკიძემ პარტიის სამაზრო კომიტეტებს მითითება მისცა წაექეზებინათ ღარიბი გლეხობა მემამულეთა მიწების ჩამორთმევასა და საგლეხო კომიტეტებისათვის გადასაცემად. სოფლად პოგრომულ ღონისძიებებს და ქართველი ინტელიგენციის წინააღმდეგ მკაცრ რეპრესიებს დასაბუთებას

აძლევდა ს. ორჯონიკიძის საინსტრუქციო წერილი, რომელიც 1923 წ. 25 იანვარს გამოქვეყნდა გაზ. "ზარია ვოსტოკაში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანგებო ცირკულარისა და საინსტრუქციო წერილის მიხედვით საქართველოს მაზრებში მართლაც ჯოჯოხეთი დატრიალდა. ხელისუფლების მიერ წაქეზებული გლეხობა დაერია ადგილობრივ თავად-აზნაურთა და მემამულეთა ოჯახებს. მათ ერეკებოდნენ სახლებიდან, იტაცებდნენ ქონებას, მცირეოდენი წინააღმდეგობის შემთხვევაში კლავდნენ. ანგარიშსწორებამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო კახეთისა და ქართლის სოფლებში. გაძლიერდა რეპრესიები ინტელიგენციის მიმართ. მეტეხის და სამაზრო ციხეები გაივსო პატიმრებით, რომელთაც ხშირ შემთხვევაში ადგილზევე ხვრეტდნენ. ს. ორჯონიკიძე ამ ღონისძიებას "თავადაზნაურობის გამოშიგნვას" უწოდებდა. მთავრობის დაკვრითი ღონისძიებით თავადაზნაურობას ჩამოერთვა 67.570 დესეტინა, ე. ი. დაახლოებით ორჯერ მეტი, ვიდრე 1921 წლის დეკრეტით. "საქართველოში მიწის რეფორმა დასრულებულიაო" — აღნიშნულია სახკომსაბჭოს 1923 წ. ანგარიშში.

4. 1924 წ. აგვისტოს აჯანყება. 1921-22 წლების აჯანყებანი სვანეთსა და კახეთ-ხევსურეთში სტიქიურობით ხასიათდებოდა. იგი საყოველთაო ორგანიზებულ მოძრაობაში ვერ გადაიზარდა. "დამოუკიდებლობის კომიტეტი" და "სამხედრო ცენტრი" ითვალისწინებდნენ რა წარსულის შეცდომებს, ამზადებდნენ საყოველთაო შეიარაღებულ გამოსვლას. 1923 წელს პარიზიდან საქართველოში არალეგარულად ჩამოვიდნენ ვ. ჯულელი და ბ. ჩხიკვიშვილი; აჯანყების მოთავეთ ისინი ამხნევებდნენ იმით, რომ საერთაშორისო ვითარება ხელსაყრელია და დამარცხების შემთხვევაშიც კი ემიგრაციის პარიზის გაერთიანებულმა ცენტრმა შეიძლება საქმეში ჩართოს ევროპა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენადო.

აჯანყების უშუალო სამზადისს ადგილებზე მოთავეობდა ე. წ. "პარიტეტული კომიტეტი", რომელიც სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლებს აერთიანებდა. 1924 წ. ივნისში ეროვნულ-დემოკრატული პარტიის ყრილობამ აჯაბნყების თაობაზე მოისმინა "დამოუკიდებლობის კომიტეტის" თავჯდომარის მოადგილის ი. ჯავახიშვილის მოხსენება. გადაწყდა საყოველთაო გამოსვლა დაწყებულიყო აგვისტოს შუა რიცხვებში. აჯანყების მთავარსარდლად დანიშნეს გენერალი ს. ჭავჭავაძე.

საქართველოს "ჩეკამ", მიაგნო აჯანყების მესვეურთა კვალს დააპატიმრეს გ. წინამძღვრიშვილი, ნ. ხომერიკი, გ. ფაღავა, გ. ჯინორია და სხვა მოთავეები. აჯანყების მზადებასა და გეგმებზე დამსჯელ

ორგანოებს უკვე დაუგროვდათ დაწვრილებითი ინფორმაცია. 6 აგვისტოს დააპატიმრეს ვ. ჯუღელი და ბ. ჩხიკვიშვილი. აჯანყების წარმატება საეჭვო გახდა. ვ. ჯუღელმა ციხიდან „დამოუკიდებლობის კომიტეტს“ მიწერა კიდეც ხელი აეღოთ აჯანყებაზე. მაგრამ „დამკომის“ ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ წინამძღვრიშვილის და ჯუღელის რჩევა თვით ჩეკას მიერ იყო ინსპირირებული. 24 აგვისტოს „დამკომის“ სხდომა კვლავ შეიკრიბა. გადაწყდა აჯანყება 29 აგვისტოს განთიადზე დაწყებულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჯანყების გეგმით გამოსვლის ცენტრს წარმოადგენდა თბილისი, სადაც აჯანყებულთა ადგილობრივ ძალებს ქ. ჩოლოყაშვილის და მ. ლაშქარაშვილის რაზმები უნდა დახმარებოდა. განზრახული იყო თავდასხმა ვაზიანის საარტილერიო პოლკზე, რომელიც 120 ზარბაზანს მოითვლიდა. ამ ოპერაციის მეთაურობა პოლკოვნიკ ა. ცაგურიას ჰქონდა დავალებული. ასევე დაგეგმილი იყო აჯანყება ყველა მაზრაში. განსაკუთრებულ მნიშვნელობას აჯანყების მეთაურნი აკისრებდნენ ბათუმის პლაცდარმს. მაგრამ სწორედ აჯანყების წინა დღეებში დაპატიმრებულ იქნა ბათუმის სააჯანყებო შტაბი გენ. ფურცელაძის მეთაურობით. მთავრობამ თბილისში და ბათუმში საგანგებო დაცვა აამოქმედა. ამ ვითარებაში აჯანყების წარმატებაში დაეჭვდა „დამკომი“ და მთავარსარდალი ს. ჭავჭავაძეც. პარტიათა შორის გაჩაღდა დავა გამოსვლის გადადების თაობაზე, მაგრამ 28 აგვისტოს ჭიათურაში უკვე დაიწყო აჯანყება, რამაც საბედისწერო როლი შეასრულა: მთავრობის საგანგებო ორგანოებს მიეცათ შესაძლებლობა დროულად წამოეწყოთ აჯანყების სალიკვიდაციო ღონისძიებანი.

აჯანყებას მაინც მასობრივი ხასიათი ჰქონდა. განსაკუთრებით ხალხმრავალი იყო გამოსვლები შორაპნის, გურიის, სამეგრელოს, გარეკახეთის რიგ რაიონებში, სვანეთში. ამოქმედდა წითელი ჯარი. ჭიათურა-შორაპანში აჯანყების სალიკვიდაციო ღონისძიებებს ახორციელებდნენ სამხედრო ნაწილები ი. ტალახაძის მეთაურობით. შორაპანში დახვრეტილ იქნა რკინიგზის ვაგონებში გამომწყვდეული ასობით უდანაშაულო ადამიანი. უმკაცრესი რეპრესიები განხორციელდა სენაკის, ზუგდიდის მაზრებში. ტიპიურია სენაკის მაზრის კომუნისტური რაზმის მეთაურ დავითაიას მოხსენება: „თვითეულ კომუნისტს გვწყუროდა ღვინოსავით გვესვა აჯანყებულთა სისხლიო“. სენაკში ა. გეგეჭკორის მითითებით 500 კაცი დახვრიტეს. შორაპანში და ჭიათურაში სისხლისმღვრელი ოპერაციების შემდეგ ი. ტალახაძის სამხედრო რაზმი რკინიგზის ხაზით დასავლეთის მიმართულებით გაემგზავრა და აჯანყების კერებს სპობდა ქუთაისიდან ფოთამდე.

აჯანყებულნი დიდ იმედებს ამყარებდნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმზე, მაგრამ ხელისუფლების საგანგებო რეპრესიულ ღონისძიებათა ვითარებაში ამ რაზმის შევსება-გაძლიერება ვერ მოხერხდა. ქაქუცას რაზმელებმა 4 სექტემბერს დაიკავეს დუშეთი, მაგრამ თბილისზე შეტევა ვერ განახორციელეს. აჯანყების საერთო მარცხის შემდეგ „შეფიცულთა" რაზმი იძულებული გახდა საზღვარგარეთ გახიზნულიყო.

5. 1921—1924 წლების ეროვნული მოძრაობის გაკვეთილები. 1921—1924 წლებში საქართველოს ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოური ორგანოების პოლიტიკა და პრაქტიკული საქმიანობა არ შეესაბამებოდა ხალხის ინტერესებს. საქართველო დემოკრატიული თვითმართველობიდან ერთბაშად აღმოჩნდა დიქტატურის ვითარებაში, სადაც ხელისუფლების განკარგულებანი ხორციელდებოდა სამოქალაქო ომის კანონებით. კომუნისტურმა რეჟიმმა საზოგადოების განათლებული ფენა მიიჩნია მტრულ ძალად, მიზნად დაისახა მისი დათრგუნვა. საოკუპაციო რეჟიმი ანგარიშს არ უწევდა ხალხის ტრადიციებს, მონაპოვარს საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში. ხელმძღვანელ კომუნისტთა მხოლოდ მცირე ჯგუფმა რამდენადმე იგრძნო, რომ მართველობის კურსი ხალხს აღიზიანებდა და საწინააღმდეგოდ განაწყობდა. ესენი იყვნენ ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტები", მაგრამ მათს ბრძოლას არ ქონია მედგარი და პრინციპული ხასიათი. იგი შინაპარტიული ოპოზიციის ფარგლებს არ გასცილებია. არცერთი ქართველი კომუნისტი არ გამიჯვნია საჯაროდ თავისი პარტიის ანტიხალხურ პრაქტიკულ საქმიანობას და არ გადასულა ხალხის ინტერესების დამცველთა რიგებში.

ამრიგად, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას მოჰყვა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი გაქანება, რაც გამოვლინდა 1921—1924 წლების მასობრივ აჯანყებებში.

მაგრამ ეს აჯანყებანი მარცხისათვის აღმოჩნდნენ განწირულნი. ეს მარცხი მრავალ კონკრეტულ მიზეზთან ერთად ძირითადათ შეპირობებული იყო რეჟიმისადმი მტრულად განწყობილ პარტიათა არა ერთსულოვნებით. ურთიერთ უნდობლობა და კინკლაობა, რაც სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიების საქმიანობას და ურთიერთდამოკიდებულებას იმთავითვე ახასიათებდა, ამ დროს კიდევ უფრო გამწვავდა. ქართველი სოციალ-დემოკრატია წინა პლანზე კვლავ აყენებდა კლასობრივ პრინციპს, ეჭვის თვალით უცქეროდა თავადაზნაურულ ინტელიგენციის ჩაბმას ეროვნულ მოძრაობაში. ამით

იგი ასუსტებდა საერთო ფრონტს და იწვევდა ძალთა გათიშულობას. ამასთან, გადამწყვეტ მომენტში სოციალ-დემოკრატიული პარტია მოიცვა წარუმატებლობის განწყობილებამ.

ილუზიური იყო არაპროლეტარული პარტიების იმედი ევროპის სახელმწიფოთა დახმარებაზე. გარეშე ძალის მხარდაჭერის ყველაზე დიდი მოიმედე იყო სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც სისტემატური ურთიერთობა ჰქონდა ემიგრანტულ მთავრობასთან პარიზში. ეს მთავრობა აგვისტოს აჯანყებას თანაუგრძნობდა და ეხმარებოდა კიდეც. მაგრამ თვით ემიგრაციაშიც აჯანყებისადმი ერთსულოვანი მხარდაჭერა არ ყოფილა. აჯანყების თავგამოდებული წინააღმდეგი იყო, მაგალითად, ი. წერეთელი, რომლის პოზიციას ბევრი მხარდამჭერი ყავდა ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალისტ-ფედერალისტური პარტიებიდან. აჯანყების მომხრეთა ჯგუფს მეთაურობდა ნ. რამიშვილი.

აჯანყების რომანტიკამ შეაპირობა დამპყრობი ძალის შეუფასებლობა. საბჭოთა რუსეთი, რომელმაც სამოქალაქო ომში გამარჯვებით სული მოითქვა, საქართველოს უკანასკნელ შესაძლებლობამდე არ დათმობდა. საქართველო ჩართული იყო ერთიანი საბჭოთა რუსეთის სამეურნეო ცხოვრების სისტემაში. კრემლს იგი მიაჩნდა სოციალისტური რევოლუციის ფორპოსტად აღმოსავლეთში. ამ ვითარებაში საქართველოს დამოუკიდებელი გამოსვლა, მისი ძალების სრული კონსოლიდაციის ვითარებაშიც კი განწირული იყო. იგი საბჭოთა რუსეთს იარაღით ვერ გაუმკლავდებოდა. დამარცხების შემაპირობებელი ეს ფაქტორები უფრო ნათელი გახდა 1924 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ. ამიტომაც იყო, რომ ქართველმა ინტელიგენციამ, რომელიც 1921—1924 წლების ეროვნულ მოძრაობაში წამყვან როლს ასრულებდა, კრიტიკულად შეხედდა მის ტაქტიკას და დროებით უკუაგდო იგი. 1924 წ. აჯანყების შემდეგ რესპუბლიკის შემოქმედებით დაწესებულებათა მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციებში (თბილისის უნივერსიტეტი, საქართველოს მწერალთა კავშირი, საქართველოს მასწავლებელთა კავშირი და მრ. სხვ.) მითითებული იყო, რომ ყოველგვარი აჯანყება არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ დამღუპველია ხალხისათვის, რომ აჯანყებათა ორგანიზატორებმა „ხალხის ფიზიკური არსებობა არ დაინდეს და ერი სახიფათო მდგომარეობაში ჩააყენეს“. მეცნიერთა, მწერალთა, პედაგოგთა დეკლარაციები ხალხს მოუწოდებდნენ „მშვიდობიანი მოქალაქეობრიობის აღდგენის გზით“ განეგრძოთ საქმიანობა ერის ინტერესების დასაცავად.

§ 3 საქართველო 1925—1936 წლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საქართველოს ეკონომიკა 1921—25 წლებში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში დაემთხვა პერიოდს, როდესაც საბჭოთა რუსეთი გადავიდა ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ეს პოლიტიკა შეპირობებული იყო საბჭოთა ქვეყნის საარსებო აუცილებლობით, ამოდიოდა მისი რეალური შესაძლებლობებიდან და წარმოადგენდა რამდენადმე გონივრულ არჩევანს არსებული ვითარების გაუმჯობესებისა და სამომავლო გეგმებისათვის. ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ სამოქალაქო ომში გაპარტახებულ და დამშეულ რუსეთს მართლაც სული მოათქმევინა.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ვითარებაში გზა იხსნებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის წინსვლისათვისაც. გლეხურ მეურნეობებს შესაძლებლობა ეძლეოდათ დაინტერესებით მოეკიდათ ხელი ჭარბი პროდუქციის წარმოებისათვის, იჯარული ფორმების დანერგვისა და მის პარალელურად კოოპერაციული მოძრაობის აღორძინებისათვის. ე. წ. „ნაციონალ უკლონისტების" ჯგუფმა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობაში სწორად აუღო ალღო ამ შესაძლებლობებს და აგრარული რეფორმის „ევოლუციურ" განხორციელებაზე აიღო გეზი. მაგრამ „ნაციონალ-უკლონისტთა" ეს პოზიცია ს. ორჯონიკიძის ბლოკმა პარტიის აგრარული პოლიტიკის დამახინჯებად გამოაცხადა, არ გაიზიარა იგი. ამ ბლოკმა ღარიბი გლეხობა წააქეზა არა მარტო მემამულე აზნაურების, არამედ გამრჯე საშუალო გლეხობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, რამაც საქართველოს სოფლებში უმძიმესი ვითარება შექმნა და შეაფერხა მისი წინსვლა-განვითარება. მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობას „ნაციონალ-უკლონისტთა" ჯგუფი ჩამოაცილეს, საქართველოს სოფლებში დაიწყო აგრარულ რევოლუციად მონათლული ანარქია, რაც არსებითად კარგად მოვლილ და პერსპექტიულ მეურნეობათა რბევა-გაჩანაგებაში გამოიხატა. შედარებითი აღმავლობა საქართველოს სოფლის მეურნეობას დაეტყო 1925 წლისათვის. მარცვლეული კულტურების ნათესთა ფართობმა ამ დროისათვის ომამდელი დონის 90 პროცენტს გადააჭარბა. უფრო ინტენსიური ხასიათი ქონდა ტექნიკური კულტურების განვითარებას. სოფელში თანდათან იკიდებდა ფეხს მექანიზაცია. მეტი ყურადღება ექცეოდა მელიორაციას, სოფლისათვის აგრონომიული დახმარების აღმოჩენას.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკა ახალისებდა კერძო ინიციატივას, რაც ერთგვარად უწყობდა ხელს ვაჭრობა-მრეწველობის გამო-

ცოცხლებას და ხალხის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. მაგრამ მთავრობას კურსი აღებული ჰქონდა კერძო სექტორის შემცირებისაკენ. სახელმწიფო-სოციალისტურ სექტორს 1924—26 წლებში ეკუთვნოდა სამრეწველო საწარმოთა 73,8 პროცენტი, კოოპერატიულს — 16,7 პროცენტი, კერძოს — 16,7 პროცენტი. მუშათა საერთო რაოდენობიდან 66,5 პროცენტი სახელმწიფო-სოციალისტურ სექტორზე მოდიოდა, 3,8 პროც. კოოპერატიულზე, ხოლო 29,7 პროც. კერძო სექტორზე. წვრილი სამრეწველო და სავაჭრო კერძო დაწესებულებანი უკეთ ართმევდნენ თავს მოსახლეობის საჭიროებას, მის ტრადიციულ მოთხოვნილებებს. ფართოვდებოდა ახალი სოციალური ფენა — ნეპმანი, რომელიც ფართო გასაქანის პირობებში ქმნიდა სავაჭრო და სამრეწველო ცხოვრების აღორძინების პერსპექტივას. მაგრამ ხელისუფლება ნეპმანს კლასობრივ მტრად თვლიდა და თანდათანობით ზღუდავდა მის სამოქმედო ასპარეზს, ამზადებდა პირობებს მისი სრული ლიკვიდაციისათვის.

სამეურნეო სიძნელეებმა მკვეთრად იჩინეს თავი 1922—24 წლებში იმის გამო, რომ სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებს შორის გაიზარდა დისპროპორცია და იმატა განსხვავებამ სამრეწველო საქონლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასთა შორის. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასები მეტისმეტად დაბალი იყო იმ სამრეწველო პროდუქციის ფასებთან შედარებით, რომელიც რუსეთიდან შემოდიოდა. ამან შეაპირობა სამრეწველო პროდუქციის ჩაწოლა და ნორმალურ საბაზრო ურთიერთობათა მოშლა, წარმოიქმნა ე. წ. „მაკრატელი", რაც ხელს უშლიდა ქვეყნის ნორმალურ სამეურნეო ცხოვრებას. მთავრობა იძულებული შეიქმნა გაეტარებინა რიგი ღონისძიებებისა, რომ „მაკრატლის" პირები ერთმანეთისათვის მიეახლოვებინა, ე. ი. ფასებში განსხვავება მინიმუმამდე დაეყვანა.

1924—26 წლებში მრეწველობას ერთგვარი წინსვლა დაეტყო. გაიზარდა მსხვილ საწარმოო-დაწესებულებათა რიცხვი; გადიდდა მუშათა კლასის რაოდენობაც. 1926 წლისათვის მუშათა რიცხვმა 14 ათასს გადააჭარბა. 1925—1926 წლისათვის მრეწველობის ძირითადი დარგები გაუტოლდნენ ომამდელ დონეს.

ოციანი წლების მეორე ნახევრიდან აღმავლობით წარიმართა ვაჭრობაც. 1924—1925 წლებში რესპუბლიკის მთელი ვაჭრობის 73.6 პროცენტი მოდიოდა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაზე, 26.4 პროცენტი კერძო ვაჭრობაზე. კერძო ვაჭრობა უკეთ ითვალისწინებდა მომხმარებლის მოთხოვნილებასა და გემოვნებას, მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობის პერსპექტივებსაც ქმნიდა.

მაგრამ ხელისუფლებას კურსი სწორედ კერძო ვაჭრობის შეზღუდვასა და საბოლოოდ მის ლიკვიდაციაზე ქონდა აღებული, რაც ქვეყანას მძიმე ეკონომიკურ სიძნელეებს უმზადებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. კურსი ინდუსტრიალიზაციისაკენ. რუსეთის ეკონომიკური ჩამორჩენილობის ვითარებაში ახალი რეჟიმის შენარჩუნება ილუზიური ჩანდა. საჭირო იყო მრეწველობის სწრაფი განვითარება, სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვა. ინდუსტრიულ მაღალ დონეს საჭიროებდა საბჭოური რეჟიმის თავდაცვის ინტერესები. ამიტომ იყო, რომ ოდნავ მოითქვა თუ არა სული ქვეყანამ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ვითარებაში, მაშინვე დაისვა მისი სწრაფი ინდუსტრიალიზაციის საკითხი.

ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა, როგორც საკავშირო კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზი, შეიმუშავა XIV ყრილობამ 1925 წლის დეკემბერში. ეს კურსი უფრო დაკონკრეტდა კომუნისტური პარტიის XIV კონფერენციაზე. ინდუსტრიალიზაციის განხორციელების გეგმებში ერთმანეთს დაუპირისპირდა რამდენიმე ალტერნატივა. ტროცკი მოითხოვდა ქვეყნის სამრეწველო განვითარებაში უსწრაფეს ტემპს, ე. წ. ზეინდუსტრიალიზაციას, რომელსაც რუსეთი სულ რამდენიმე წელში უნდა გამოეყვანა მსოფლიოში ერთერთ პირველ ადგილზე. ბუხარინი პირიქით, — ამ საქმეში ნაჩქარეობასა და იერიშებს დაუშვებლად თვლიდა. მას მიაჩნდა, რომ ქვეყნის ინდუსტრიული წინსვლა უნდა წარმართულიყო თანდათან, მისი ეკონომიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით, თანაც მსუბუქი მრეწველობის უპირატესობით. განსხვავებული ალტერნატივების უკან იმალებოდა ხელისუფლებაში პირველობისათვის ბრძოლა. ამ ბრძოლაში უპირატესობას თანდათან მიაღწიეს სტალინმა და მისმა თანამებრძოლეებმა, რომლებმაც ბუხარინის ჯგუფზე დაყრდნობით ჯერ ტროცკი და მისი მიმდევრები ჩამოიცილეს, ხოლო შემდეგ ზინოვიევ-კამენევისა და ბუხარინ-რიკოვტომსკის ჯგუფებსაც გამანადგურებელი დარტყმა აგემეს.

სტალინური ალტერნატივით ინდუსტრიალიზაცია მთელს ქვეყანაში მიჩნეული იქნა სოციალიზმის მშენებლობის მთავარ ბერკეტად. სახალხო მეურნეობის ყველა სფეროსთვის. ინდუსტრიულ განვითარებაში უფრო მაღალი ტემპი ნაგულისხმევი იყო მანქანათმშენებლობაში (ა ჯგუფი). აქ გამოიყენებოდა მრეწველობაში მთელი კაპიტალდაბანდების 78 პროცენტი.

ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიული განვითარების უზრუნველსაყოფად დაიგეგმა უმსხვილესი სამრეწველო წარმოებები. მწყობრში ზედიზედ შედიოდა ახალი მეტალურგიული გიგანტები, ელექტრო-

სადგურები, მანქანათმშენებელი ქარხნები. ქვეყანა მოიცვა უწველო-შრომითმა ენთუზიაზმმა. მშენებლობის დიდ პათოსზე, ხალხის საოცარ შემართებასა და გამარჯვებებზე წერდნენ წიგნებს, ბიუჯეტს, ნარკვევებს მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატები. ქვეყანა გარეგნულად ცხოვრობდა უდიდესი გამარჯვებების, იმედების, ენთუზიაზმის ვითარებაში.

მაგრამ ინდუსტრიალიზაციისათვის საჭირო ფულადი სახსრების ამოქაჩვა მიმდინარეობდა უპირატესად სოფლის მეურნეობიდან, რაც მას გამოუსწორებელ ზიანს აყენებდა. საერთო-სახალხო ენთუზიაზმის უკან თანდათან იზრდებოდა ცხოვრების მატერიალური დონის დაქვეითება. მუშათა კლასს ძალა აღარ შესწევდა განეხორციელებინა პირველი და მეორე ხუთწლედით გათვალისწინებული გეგმები. უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობა, სახალხო ენთუზიაზმი რომ არ შეენელებინა, რიგ დარგებში გეგმების შეუსრულებლობას მალავდა და სასურველს სინამდვილედ ასაღებდა. თანდათან ეცემოდა მუშათა და მოსამსახურეთა შრომითი განწყობილება. ინდუსტრიალიზაციამ ნავარაუდევ წარმატებას მაინც ვერ მიაღწია. მეორე მსოფლიო ომის წინ ეროვნულ შემოსავალში სოფლის მეურნეობის წვლილი კვლავ სჭარბობდა მრეწველობის წილს. საბჭოთა ქვეყანა ინდუსტრიულ განვითარებაში ვერ დაეწია დაწინაურებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. არა მარტო სოფლის მეურნეობაში, არამედ მრეწველობაშიც უპირატესობა კვლავ ხელით შრომას ენიჭებოდა.

ინდუსტრიალიზაციის კურსს, ხუთწლიანი გეგმების მასშტაბებს საქართველოში ბევრი ფხიზელი სამეურნეო და პარტიული მუშაკი ნაჩქარევად და გადამეტებულად თვლიდა. საქართველოს იმდროინდელი ეკონომიკური დონე მათი აზრით არ ქმნიდა რეალურ საფუძველს შემოთავაზებული ტემპებისათვის. ინდუსტრიალიზაციის ნაჩქარევი კურსის წინააღმდეგ ინტელიგენციის ძველი და ახალი თაობიდან გაბედული ბრძოლა წამოიწყეს. ს. დევდარიანი, მაგალითად საქართველოსათვის საჭიროდ თვლიდა გეგმის პროპორციების შეცვლას მსუბუქი მრეწველობის სასარგებლოდ. მისი აზრით საქართველო ვერ გახდებოდა და არც უნდა გამხდარიყო ინდუსტრიული ქვეყანა. ქართველი ტექნიკური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ზაჰესის მშენებელი ბესარიონ ჭიჭინაძე ასაბუთებდა, რომ საქართველოსათვის უაზრობა იყო კურსის აღება მეტალურგიისა და ქვანახშირის მრეწველობის განვითარებაზე. „მძიმე ინდუსტრიაზე უახლოეს პერიოდისათვის იმედის დამყარება შეუძლებელია. ეს წაგვიყვანდა განვითარების არაბუნებრივი გზით და მეტად მძი-

მე ეკონომიკურ შედეგს მოგვცემდა... საქართველოს სახალხო მეურნეობის პირველი სამრეწველო ნაბიჯები უნდა შეეხოს ტყეს, აბრეშუმს, მეტალს, სამთო ქიმიურსა და ელექტრო — ქიმიურ დარგებს და განსაკუთრებით, თეთრ ნახშირს". — წერდა იგი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელობა ოდნავადაც არ უწევდა ანგარიშს ქართველი ტექნიკური ინტელიგენციის თვალსაზრისს. მას რუსული კალკის მიხედვით გეზი აღებული ჰქონდა იმაზე, რომ საქართველო აგრარული რესპუბლიკიდან სწრაფად გარდაექმნა ინდუსტრიულ — აგრარულ რესპუბლიკად. საქ. კომპარტიის ცეკას მდივანი მ. კახიანი საწინააღმდეგო მოსაზრებებს ნათლავდა „მემარჯვენე ოპორტუნისტული იდეოლოგიის" გამოვლინებად და მის ავტორებს მკაცრად აფრთხილებდა, რომ პარტია მათგან აღარ მოითმენდა სოციალიზმის ინტერესებისადმი მტრულ განწყობილებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობაში თანდათან ძლიერდებოდა დოგმატიზმი, კრემლის გადაწყვეტილებებისადმი უსიტყვო მორჩილება და მაამებლობა, რაც 30-იანი წლების დამდეგიდან ლ. ბერიამ აპოგეამდე აიყვანა. მოსკოვის კურსის მიმართ ყოველგვარი კრიტიკული აზრი საკავშირო პარტიულ ყრილობათა თარგების მიხედვით ინათლებოდა ხან „ტროცკიზმად", ხან „ახალ ოპოზიციად", ხან „მუშათა ოპოზიციად", ხან „დემოკრატიულ ცენტრალიზმად" ისე, როგორც ეს ხდებოდა საკავშირო პარტიულ ყრილობებზე. დავიწყებას არ მისცემია „ნაციონალ-უკლონისტთა" ადრინდელი შეცოდებანიც და ეროვნული თვალსაზრისის მკრთალ გაელვებასაც კი ეძლეოდა ნაციონალიზმის რეციდივების აღორძინების კვალიფიკაცია.

საქართველოს მაინცდამაინც არ შეხებია ინდუსტრიალიზაციის გიგანტომანია 20—30-იან წლებში, თუმცა განუწყვეტლად იზრდებოდა კაპიტალური დაბანდებანი ქვეყნის ინდუსტრიული განვითარებისათვის. მაგალითად, 1926—30 წლებში მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა ექვსჯერ გაიზარდა. 1927 წ. ამუშავდა „ზაჰესის" ჰიდროელექტროსადგური, 1934 წელს რიონჰესი. მცირემოცულობის ელექტროსადგურები აიგო აბასთუმანში, ონში, აჭარაში, შოვში, ჩათახში და სხვაგან. 1929 წელს დაიწყო ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოთა ექსპლუატაცია. 1930 წ. აშენდა ბარიტის ქარხანა ქუთაისში, დაიწყო გუმბრინის თიხის საბადოების, ანდეზიტის, ლითოგრაფიული ქვის და სხვა წიაღისეულის დამუშავება. განხორციელდა თბილისის მანქანათმშენებელი ქარხნის რეკონსტრუქცია, ამუშავდა თბილისის ლითონის კონსტრუქციების ქარ-

ხანა, მაუდ-კამვოლის ფაბრიკა. ოზურგეთში, ხონში, სამტრედიაში, ქუთაისში აიგო აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკები, განხორციელდა თბილისის და ბათუმის ტყავის ქარხნების რეკონსტრუქცია. საქართველოს მაზრებში ამუშავდა სამკერვალო, თამბაქოს, ჩაის ფაბრიკები. 1928 წელს გაუქმდა ჭიათურის მანგანუმზე საკონცესიო ხელშეკრულება. მანგანუმის წარმოება ხელში აიღო ცენტრალურმა ხელისუფლებამ, რომელიც ამ უძვირფასესი წიაღისეულის მონოპოლიით დიდძალ მოგებას ნახულობდა, თუმცა რესპუბლიკას ამ მოგებიდან თითქმის არაფერი რჩებოდა.

საქართველოს ინდუსტრიული განვითარება, რა თქმა უნდა, საჭირო ღონისძიება იყო, მაგრამ ამ მხრივაც, პირველყოვლისა, გასათვალისწინებელი იყო ეროვნული სპეციფიკა, მისი ტრადიციები. პარტიულ პროპაგანდას აყოლილი, კონიუქტურული შემოქმედებითი ინტელიგენციის ლოზუნგი „ძირს სიმინდის რესპუბლიკა" ქვეყნისათვის დამღუპველი ჩანდა. ტრადიციით, ბუნების მიერ მომადლებული მრავალფეროვნებით საქართველოს გაცილებით მეტი პერსპექტივები ჰქონდა სოფლის მეურნეობაში და ინდუსტრიის პროფილიც ამ დანიშნულებით უნდა მოხაზულიყო.

ინდუსტრიალიზაციის სწრაფმა ტემპმა კი სოფელს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა. დაიწყო სოფლიდან მუშა ხელის მასობრივი ლტოლვა ფაბრიკა-ქარხნებში. მთავრობა თვითონ მიმართავდა სოფლებში მუშა — ხელის მობილიზაციას. ამის გამო სოფლები თანდათან ცარიელდებოდა. სისტემატურ ხელოვნურ მიგრაციებს მოსახლეობის მხრივ თან ახლდა დემოგრაფიული ბალანსის რღვევა, სოფლების შემეჩხერება. ეს ეკონომიკური ჩამორჩენის, სოფლის მეურნეობის დეგრადაციის საშიშროებას ქმნიდა.

ინდუსტრიალიზაციის სწრაფმა კურსმა შეაპირობა კვალიფიციური კადრებისადმი დიდი მოთხოვნილება. ამის გამო იზრდებოდა ყოველწლიურად უმაღლესი ტექნიკური და საბუნებისმეტყველო სასწავლებლების სტუდენტთა კონტიგენტი. სოფელზე გულაცრუებული ახალგაზრდობა დახარბდა დიპლომს, რათა ცხოვრების მომავალი გაეკვალა ქალაქად, მრეწველობაში. კურსდამთავრებულთა განაწილება მიმდინარეობდა საკავშირო გეგმით. ქართველ სპეციალისტთა საკმაო ნაწილი რუსეთის გიგანტურ წარმოებებში იგზავნებოდა და საერთოდ წყდებოდა მშობლიურ ქვეყანას. კადრების საქმეში რაოდენობის გამოდევნებამ შეაპირობა აგრეთვე სწავლების ხარისხის დევალვაცია.

ამრიგად, იმ დეფორმაციებს, რომელთაც ქვეყნის ეკონომიკა საბოლოოდ ჩიხამდე მიიყვანეს, მისი პროგრესის პრინციპები შერ-

ყვნეს და გაამრუდეს, სათავე დაედო ინდუსტრიალიზაციის დრო-
იდან. ეს დეფორმაცია კიდევ უფრო გაღრმავდა საყოველთაო კოლე-
ქტივიზაციის ვითარებაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3. საყოველთაო კოლექტივიზაცია. 30—70-იანი წლების საბჭოურ ლიტერატურაში კოლექტივიზაცია შეფასებულია „თეთრ რევოლუციად", ე. ი. უსისხლო გადატრიალებად ზემოდან, რომელმაც ქვეყანას თითქოს სიკეთე და ბედნიერება მოუტანა. სინამდვილეში ეს „თეთრი რევოლუცია" აგრარულ რუსეთში წარმოადგენდა უმძიმეს დრამას, რამაც წელში გასტეხა იგი და მძიმე, ჯერ კიდევ გამოუვალი კრიზისის წინაშე დააყენა.

გლეხურ რუსეთში მართლაც იყო იმის აუცილებლობა, რომ ჩამორჩენილ სოფლის მეურნეობაში განხორციელებულიყო ტექნიკური რეკონსტრუქცია. მისი საერთო კულტურა ამაღლებულიყო ისე, რომ გლეხს თავისი შრომისნაყოფიერებითა და ცხოვრების დონით კაპიტალისტური ფერმერის დონემდე მიეღწია. ამ მიმართულებით გზებს სახავდა კოოპერაციული მოძრაობის გაშლა. სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია კი, ისე როგორც მრეწველობის ინდუსტრიალიზაცია, რაც კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზი გახდა, ამ მიზანდასახულობას ვერავითარ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა.

კოლექტივიზაციის კურსი აიღო კომუნისტური პარტიის XV ყრილობამ (1927 წლის 2—19 დეკემბერი), რომელმაც წვრილგლეხურ მეურნეობებს მოუწოდა მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად გაერთიანებისაკენ. მთავრობა კოლმეურნეობებს აღუთქვამდა ფართო დახმარებას ტექნიკის მხრივ, ამასთან ზღუდავდა კულაკურ მეურნეობათა განვითარებას. ნებაყოფლობითობა მალე ადმინისტრირებაში გადაიზარდა. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე კურსი აღებულ იქნა მთლიან კოლექტივიზაციაზე და იგი იქცა ზემოდან თავსმოხვეულ დირექტიულ მოძრაობად. დაიწყო გლეხურ მეურნეობათა იძულებით შერეკვა კოლმეურნეობებში. თუ 1930 წლის იანვარში კოლექტიურ მეურნეობებში გლეხურ მეურნეობათა 20 პროცენტი იყო, მარტში მან 50 პროცენტს გადააჭარბა. მთავრობის დირექტივებს ადგილობრივი ენთუზიასტებიც შემხვედრი გეგმებით პასუხობდნენ. ადგილზე იშვა ლოზუნგი: „ვინც არ შევა კოლმეურნეობაში, იგი საბჭოთა ხელისუფლების მტერია". საკოლმეურნეო მოძრაობა გადაიქცა აშკარა ძალადობად, რასაც გლეხობა პროტესტით, ზოგჯერ მასობრივი გამოსვლებით უპასუხებდა. მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების ვითარებაში დაუნდობელი იერიშები მიჰქონდათ გლეხების შეძლებულ და საშუალო მეურნე-

ობებზე, სამოქალაქო ომისა და „სამხედრო კომუნიზმის“ შეთოდებით მიმდინარეობდა პურის დამზადება, მოწესრიგებულ მეურნეობათა გაჩანაგება, კულაკთა სიაში შეტანილ პირთა შორეულ გადასახლება. ე. წ. განკულაკების პერიოდში მილიონ ნახევარზე მეტი გლეხური მეურნეობა გაჩანაგდა. სოფლად დატრიალებულ დრამას ზედ დაერთო 1932 წლის მოუსავლიანობა და შიმშილობა, რასაც ხორბლეულით ქვეყნის ყველაზე მდიდარ რაიონებშიც კი მილიონობით მსხვერპლი მოჰყვა. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პირადად სტალინის სახელზე ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მიდიოდა უთვალავი საჩივრები. ხალხი მოითხოვდა სოფლად საშინელ უკანონობათა აღკვეთას. პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მხოლოდ 1933 წლის მაისში დაეგზავნათ დირექტივა შეეზღუდათ რეპრესიები, მაგრამ გვიანღა იყო.

კოლექტივიზაციის დამამთავრებელ ეტაპზე რუსეთის სოფლის მეურნეობა წელში იყო გაწყვეტილი და განწირული მრავალი წლის სავალალო მდგომარეობისათვის. ზარალი აუნაზღაურებელი აღმოჩნდა არა მარტო იმიტომ, რომ გაწყდა მილიონობით მშრომელი, არამედ იმითაც, რომ დაეცა ცოცხლად გადარჩენილთა შრომითი აქტივობა და ენთუზიაზმი. არავითარი ობიექტური მიზეზებით არ შეიძლება გამართლდეს ის ძალადობა, რაც მთლიანი კოლექტივიზაციის ორი — სამი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა. ეს იყო ტრაგიკული გადატრიალება ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი მასის ცხოვრებაში.

სტალინურმა ანტიგლეხურმა პოლიტიკამ არ იცოდა ეროვნული საზღვრები. იგი ერთნაირი სისასტიკით ხორციელდებოდა რუსეთში, უკრაინასა და ბელორუსიაში, შუა აზიასა და ამიერკავკასიაში.

საკოლმეურნეო მოძრაობა საქართველოში ინტენსიურად გაჩაღდა 1929 წლიდან, როცა ახალდაწყებული იყო ბრძოლა პირველი ხუთწლიანი გეგმის განსახორციელებლად. ამ საკითხზე მიღებული დადგენილებანი ყურადღებას ამახვილებდნენ იმაზე, რომ ფართო გზა მისცემოდა ინტენსიურ მეურნეობათა განვითარებას, გლეხთა ფართო მასების გაერთიანებას კოლექტიურ მეურნეობებში, სასოფლო სამეურნეო ტექნიკით სოფლის უზრუნველყოფას, მელიორაციას და სხვ. 1930 წლისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხური ოჯახების დაახლოებით 38 პროცენტი. საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ ზემოდან აღებული კურსის ვითარებაში საკმარისად არ ჩათვალა საკოლმეურნეო მშენებლობის ტემპები და გეზი აიღო მის დაჩქარებაზე. ამ დროიდან გაბატონდა ადმინისტრირების მეთოდი და საკოლმეურნეო მოძრაობის ქვემოდან და-

წყებული ინიციატივა ჩაახშო საყოველთაო კოლექტივიზაციაზე. ბრძანებებმა და განკარგულებებმა. სოფლად მივლინებულ პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს, ადგილობრივი ვითარების ხელ-რიშგაუწევლად, ყველა ერთბაშად შეჰყავდათ კოლექტიურ მეურნეობებში, იძულებით აერთიანებდნენ მათ უძრავ-მოძრავ ქონებას, საქათმეებსაც კი. თვითნებურად ადგენდნენ კლასობრივ მტერთა-კულაკთა სიებს, რომლებშიც უმრავლეს შემთხვევაში გამრჯე, ოდნავ წელგამართული გლეხური ოჯახები შეჰყავდათ და მათ მშობლიური სოფლებიდან ერეკებოდნენ. დასავლეთ საქართველოს მცირემიწიანობის პირობებში არც თუ ადვილი იყო ჭეშმარიტი კულაკის მიგნება, მაგრამ უსაქმური, სხვისი ნაშრომის დასაკუთრებას მიჩვეული სოფლის ნაძირალები სწორედ მშრომელ ხალხს უსწორებდნენ ანგარიშს იმ მიზნით, რომ მათ ნაოფლარს დაპატრონებოდნენ. ამის გამო საქართველოს სოფლებში მართლაც გაჩაღდა გამრჯე გლეხთა თავდაცვითი ბრძოლა, რაც მთავრობის ორგანოებმა კულაკურ გამოსვლებად მონათლეს და მათ სასტიკად გაუსწორდნენ. სამაზრო და სარაიონო პარტიული ხელმძღვანელები, თავიანთი პოლიტიკური სიფხიზლის ხაზგასმის მიზნით, განგებ ამუქებდნენ სოფლებში შექმნილ ვითარებას და გაბერილად წარმოადგენდნენ კოლექტივიზაციის წინააღმდეგ კულაკთა „ორგანიზაციულ საბოტაჟს“, როგორც გააქტიურებული კლასობრივი ბრძოლის გამოვლინებას. ამიერკავკასიის ფედერაციის ზოგი ხელმძღვანელი საქართველოში კულაკურ მეურნეობათა ხვედრით წილს ისე ბერავდა, რომ იგი 5—6 პროცენტამდე აყავდა და საკავშირო საშუალო დონეზე მაღლა აყენებდა. გაჩნდა ნაშრომები, სადაც კულაკები გლეხურ მეურნეობათა 12 პროცენტამდე იყო აყვანილი, ხოლო მებაღეობა — მეხილეობის ზოგ რაიონში 19—20 პროცენდამდეც აღწევდა. ეს იყო საბედისწერო ხასიათის შეცდომა. ამ უკიდურესობებმა შეაპირობეს მრავალ გლეხურ მეურნეობათა სრული გაჩანაგება. 1929 წელს შედგენილ საგანგებო სიებში შეტანილი იყო 10 050 კულაკური მეურნეობა, რომლებიც მკაცრი რეპრესიებისათვის იყო განწირული. ე. წ. კულაკურ მეურნეობათა რეპრესიების წინააღმდეგ გამოთქმული ყველა საყვედური აღიქმებოდა მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრად. საქართველოს კომპარტიის VI ყრილობაზე ზოგი დელეგატი სამართლიანად აყენებდა საკითხს ანგარიში გაეწიათ რესპუბლიკის სპეციფიკაციისათვის, თავი შეეკავებინათ კარგად ორგანიზებულ მეურნეობათა რბევისაგან და სხვ. მაგრამ ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებში მკაცრად დაგმო პარტიის „გენერალური ხაზის“ მიმართ ყოველგვარი მერყეობა. „მემარჯვენე ოპორტუნისტული ბლოკის“ დანაშაულობანი

საქართველოში კიდევ უფრო გამუქდა მისთვის ნაციონალიზმის იარლიყის მიწებებით. „ნაციონალიზმი არის მემარჯვენე გადახრის ერთ-ერთი გამოხატულება, მისი ერთ-ერთი შტო" — აღნიშნავდა ყრილობაზე საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. კახიანი. საქ. კომპარტიის მაშინდელი „ფხიზელი" ხელმძღვანელები რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში ხედავდნენ „შინაგანი ემიგრაციის" აღორძინებას და გააფთრებით ებრძოდნენ მათ მიერვე გამოგონილ მავნე გადახრებს — კონდრატევშჩინას, ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ტროცკიზმს, მემარჯვენე მიმდინარეობებს.

საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა 1929 წელს ყველა ღონისძიებას მიმართავდა მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელებისათვის, თუმცა 1930 წელს, ცეკა თვითონვე აღიარებდა, რომ ამ მხრივ დაშვებული იყო უხეში შეცდომები. ზემოდან მითითებით ქანჩები რომ ერთგვარად მოშვებულ იქნა, მარტო კახეთის ოლქიდან კოლმეურნეობები მიატოვა 50 პროცენტმა. ხოლო საერთოდ საქართველოში კოლმეურნეობიდან გავიდა საშუალოდ 30 პროცენტი.

სოფლის კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით მოისპო მსხვილ-ფეხა საქონელი. ახლა სოფლად ძალით, ჩეკისტთა მუქარით ათესვინებენ გლეხებს ბამბას, თამბაქოს, ჩაის, პურს, სიმინდს და სხვას... გურიაში დატუსაღებით და მოქალაქეობის უფლებების აყრით დაემუქრნენ მეაბრეშუმე გლეხ ქალებს, თუ ისინი აბრეშუმს არ „დაისვამდნენ" — ნათქვამია იმ დროის ერთერთ კორესპონდენციაში. გლეხი ქალები უარს ამბობდნენ მეაბრეშუმეობაზე, იმიტომ, რომ მთავრობა ფუთ პარკს იბარებდა 25 მანეთად, მაშინ როცა ერთი წყვილი გლეხური წაღა 40—50 მანეთს ფასობდა.

სწორედ ამ წლებში მოხდა ფულის არნახული გაუფასურება. სასურსათო მაღაზიები ყველგან დაცარიელდა. „არც ფეხსაცმელი, არც ტანსაცმელი, არც საცვალი, საპონიც კი მოისპო აგერ 6 თვეზე მეტია" — წერს იგივე ავტორი. 1928 წელს დაწყებულმა სასურსათო კრიზისმა 1930—31 წლებში უკიდურეს ზომას მიაღწია. „გლეხს არ შეუძლია თავისუფლად გაიტანოს ბაზარზე თავისი ნაწარმოები. ყოველმხრივ შეუკრეს გზა ბაზრისაკენ; არა თუ პირველი მოთხოვნილების საგნები, არამედ ნიგოზი, თხილი და სხვა მან უნდა დაუთმოს კოოპერატივს 25 პროცენტად. ამჟამად სოფლად ჯერ კიდევ არ დამთავრებულა „პურის დაშზადების კამპანია". ართმევენ გლეხებს უკანასკნელ ლუკმა-პურს და ამით უნდათ სახელმწიფო მარაგის შექმნა" — ნათქვამია 1930 წელს ნოემბერში დაწერილ კორესპონდენციში.

ზემოთაღწერილმა კონკრეტულმა სიტუაციამ შეაპირობა 1928

წელს ფართო გამოსვლები აჭარაში, კახეთში, მთიანეთში. საერთო გაჭირვებას და მისგან აღძრულ უკმაყოფილებას აჭარაში ზედ დაერთო ადგილობრივ კომუნისტთა უხეში უტაქტობა. ისინი სრულიადაც არ უწევდნენ ანგარიშს რელიგიის ძალას აჭარის მუსლიმურ მოსახლეობაში და შეურაცხმყოფელად ეკიდებოდნენ მას, — ძალად კეტავდნენ ჯამეებს, ჩადრს ხდიდნენ ქალებს, ურჩთ თვითნებურად ერეკებოდნენ ციმბირში. 1928 წ. გამოსვლები ხულოს რაიონში დაიწყო იმით, რომ ჯამეს სალოცავში კომუნისტებმა შეიყვანეს თხა, რომელსაც ჩხვლეტდნენ და აყვირებდნენ. შეურაცხყოფილმა მოხუცებმა იარაღს წამოავლეს ხელი და დაერივნენ კომუნისტებს. აჯანყება გაფართოვდა და აჭარის მოსახლეთა მასობრივ გამოსვლად იქცა. საქმეში ჩაერია ხელისუფლება, რომელმაც აჭარაში ჯარი შეიყვანა. აჭარლები არ დანებდნენ. ისინი მოითხოვდნენ ადგილობრივ ხელისუფალთა თვითნებობის ალაგმვას, ციმბირში გადასახლებულთა უკან დაბრუნებას, გადასახადების გაუქმებას და თავისუფალი ვაჭრობის დაშვებას. აჯანყებულთაგან 500 კაცი იძულებული გახდა ოსმალეთში გადასულიყო. მთავრობამ აჯანყება ჩააქრო და სოფლებში ეკზეკუცია ჩააყენა.

მშრომელი გლეხობის პარალელურად შეტევა ქართველ ინტელიგენციაზეც მიმდინარეობდა. ინტელიგენციაზე ახალი შეტევის საბაბი გახდა ე. წ. კონდრატიევშჩინა. 1930 წელს მოსკოვში გაასამართლეს გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტები ნ. კონდრატიევი, ა. ჩაიანოვი და სხვები, რომლებიც სამართლიანად ილაშქრებდნენ ეკონომიკაში მთავრობის უმართებულო კურსის წინააღმდეგ. „კონდრატიევშჩინა“ საბაბი გახდა მთელ ქვეყანაში „მავნე ელემენტებისაგან“ ინტელიგენციის გასაწმენდად. კონდრატიევის და ჩაიანოვის მომხრეთა ძებნა დაიწყო საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მიუთითებდა აქაც „მავნე პლატფორმის“ არსებობაზე. მითითებულნი იყვნენ კიდეც პიროვნებანი (ჭუმბურიძე, გონჩაროვი, სავიცკი, ავერბახი და სხვები), რომლებიც, თითქოს, იმედს ამყარებდნენ ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის ჩაშლაზე. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხილვა დაიწყო სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში. იერიში განსაკუთრებით მიიტანეს ძველი თაობის ქართველ ინტელიგენციაზე, რომლის „შეცდომას“ ამუქებდნენ მათი ნაციონალისტური მისწრაფებების მხილებით. კონდრატიევშჩინის კამპანიის სავალალო შედეგი აღმოჩნდა ის, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს და სამეცნიერო დაწესებულებებს ჩამოაშორეს მრავალი თვალსაჩინო მეცნიერი. მაგალი-

თად, განსახკომის 1931 წლის 28 მაისის ბრძანებით თბილისის უნივერსიტეტს ჩამოაცილეს ივანე ჯავახიშვილი, ანდრია ბენაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, გრიგოლ წერეთელი, მიხეილ ჯოლოგვაქტოვი, გიორგი გეხტმანი, გიორგი გამყრელიძე და სხვა გამოჩენილი მეცნიერები.

ნაციონალისტური რეციდივების აღმოფხვრისათვის ბრძოლაში საპროგრამო შეხედულებებს ასახავდა უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის ივ. ვაშაყმაძის სტატია ჟურნ. „მნათობში", სადაც საბჭოთა ეპოქის ჰუმანიტარული მეცნიერებანი საქართველოში ერთნაირად მონათლული იყო როგორც ანტისაბჭოური და ნაციონალისტური.

ეს წერილი იმ დროს დაიწერა, როცა ხელისუფლების სათავეში საქართველოში მოვიდა ლ. ბერია.

4. ქართული ემიგრანტული მთავრობის ლეგაციის გაუქმება. 1924 წ. აჯანყების დამარცხების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მიერ საბჭოთა რუსეთის ცნობის შემდეგ, საქართველოს ემიგრირებულ მთავრობას გაუქარწყლდა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში ევროპის სახელმწიფოთა რეალური დახმარების იმედები. ამიერიდან აქცენტი გადატანილ იქნა ერთა ლიგის დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სოციალისტურ ინტერნაციონალზე. ევროპის საზოგადოებრივი აზრი მართლაც სიმპატიურად იყო განწყობილი დემოკრატიული საქართველოს მთავრობის მოთხოვნათა მიმართ. საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1926 წ. დაისვა ამერიკის შეერთებული შტატების სენატშიც, მაგრამ უშედეგოდ. 1933 წელს საბჭოთა რუსეთსა და საფრანგეთს შორის ხელმოწერილ იქნა თავდაუსხმელობის პაქტი. საფრანგეთის დეპუტატთა საკრებულოში ამ პაქტის რატიფიკაციასთან დაკავშირებით საქართველოს საკითხი წამოაყენეს დეპუტატებმა რენოდელმა, მუტიემ და სხვებმა. მაგრამ პარლამენტმა არ დაუჭირა მხარი საბჭოთა რუსეთისადმი საქართველოს პრეტენზიებს და ჩათვალა იგი „ნაკლები მნიშვნელობის" საკითხად, რომელსაც არ შეეძლო დაებრკოლებინა ორი დიდი სახელმწიფოს შეთანხმება. ამ ფაქტის ობიექტური შედეგი იყო 1933 წელს პარიზში საქართველოს ემიგრანტული მთავრობის ლეგაციის გაუქმება.

1933 წელსვე დაისვა ერთა ლიგაში საბჭოთა რუსეთის მიღების საკითხი. ამასთან დაკავშირებით ქართველმა ემიგრანტულმა წრეებმა გააქტიურეს ბრძოლა რუსეთის მხრივ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისათვის. 1934 წლის მაისში ფოლკსტონში (ინგლისი) შეიკრიბა ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა საერთა-

შორისო კონგრესი. ქართულმა ასოციაციამ კონგრესს წარუდგინა მოხსენება საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შესახებ. კონგრესში მონაწილეობდა ქართველთა დელეგაცია ვ. ჯაფარიძის, გ. გვაზავას და ა. გუგუშვილის შემადგენლობით. დელეგაციამ კონგრესს დაუსაბუთა, რომ რუსეთის შესვლა ერთა ლიგაში წარმოადგენდა საუკეთესო შემთხვევას საქართველოს საკითხის გადაწყვეტისათვის.

კონგრესმა თავის რეზოლუციაში დაადასტურა საქართველოს უფლება დამოუკიდებლობის აღსადგენად და ერთა ლიგას მოაგონა ის რეზოლუციები, რომლებიც 1922 და 1924 წლებში იქნა მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის სასარგებლოდ, საქართველოს მომავლის მოსაწესრიგებლად „მშვიდობიან და საერთაშორისო სამართლის შესაფერი საშუალებებით".

„ერთა ლიგაში" რუსეთის მიღების საკითხთან დაკავშირებით 1934 წ. 1 სექტემბრის საზოგადო კრების გახსნის წინ შვეიცარიის ქალაქ ლოკარნოში მოწვეულ იქნა მშვიდობიანობის საზოგადოებათა საერთაშორისო კონგრესი. ამ შემთხვევით ისარგებლა ქართველმა ემიგრანტულმა ასოციაციამ და კონგრესს წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიაც კვლავ იყო აღძრული საკითხი, რათა ერთა ლიგას რუსეთისათვის დაეკისრებინა საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა. კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ერთა ლიგას მოაგონებდა თავის ადრინდელ გადაწყვეტილებებს საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. ფრიად საგულისხმოა ადრესი, რომლითაც კონგრესმა მიმართა ერთა ლიგას. აქ ნათქვამია:

„ვიღებთ რა მხედველობაში: 1. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა და ეს აქტი ერთხმად იყო დადასტურებული საყოველთაო ხმის მიცემით არჩეული დამფუძნებული კრების მიერ;

2. 1920 წ. 7 მაისს კანონიერად დადებული ხელშეკრულების თანახმად საბჭოთა რუსეთმა ყოველ პირობის გარეშე იცნო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა და თავისნებით უარი სთქვა ყველა იმ უფლებაზე, რომელიც რუსეთს ადრე ჰქონდა ქართველ ერზე და ტერიტორიაზე.

3. საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიულად იცნო 1921 წლის 27 იანვარს ერთა ლიგაში შემავალმა ყველა სახელმწიფომ და აგრეთვე მრავალმა სხვა მთავრობამ.

4. ერთა ლიგის საზოგადო კრებამ ორჯერ, — 1922 წ. 22 სექტემბერს და 1924 წ. 24 სექტემბერს, — გამოიტანა რეზოლუციები

საქართველოში საოკუპაციო რეჟიმის დაგმობის და მისი სუვერენიტეტის აღდგენის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობის 30-ე მსოფლიო კონგრესის წევრნი, ქვემოთ ხელის მომწერნი თავიანთ თანაგრძნობას უცხადებენ ქართველ ხალხს და იმედს გამოსთქვამენ, რომ საბჭოთა კავშირის ლიგაში შესვლას, მოკლე ხანაში მოჰყვება ქართველი ერისათვის დამოუკიდებლობის დაბრუნება".

ერთა ლიგის VI კომისიის 17 სექტემბრის სხდომაზე ბევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი გამოვიდა საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წ. თებერვალში საქართველოს ოკუპაციის გაკიცხვით. ერთა ლიგის ზოგი წევრი წინ აღუდგა საბჭოთა რუსეთის მიღებას ერთა ლიგაში იმ მოტივით, რომ რუსული კომუნიზმი საერთაშორისო სამართლიანობას უპირისპირდებოდა. ამ მხრივ შთამბეჭდავი იყო შვეიცარიის წარმომადგენლის მოტას, ჰოლანდიის წარმომადგენლის დე-გრეკის გამოსვლები. მაგრამ უმრავლესობამ მხარი დაუჭირა. ერთა ლიგაში რუსეთის მიღებას იმ მოტივით, რომ „160 მილიონი ხალხი გამოთიშული არ დარჩენილიყო".

გადაწყდა რუსეთის ერთა ლიგაში მიღება, მაგრამ მთელი საკრებულო ტაშის ცემითა და ფეხზე დგომით შეხვდა მოტას საბოლოო განცხადებას იმის შესახებ, რომ „ერთა ლიგაში რუსეთის მიღებით საქართველოს საკითხი არ მოხსნილა საერთაშორისო ასპარეზიდან. ის მხოლოდ გადადებულიაო".

ამრიგად, ევროპამ და ამერიკამ თავაზიანი მობოდიშებით საქართველოს საკითხზე ხელი დაიბანეს და იგი ბედის ანაბარა დატოვეს, რაც მათთვისაც საზიანო იყო.

5. პირველი და მეორე ხუთწლედები. პირველი ხუთწლიანი გეგმა საქართველოში მაშინდელი სტატისტიკური მონაცემებით 4 წელსა და სამ თვეში შესრულდა. ეს მონაცემები შელამაზებული და გადაჭარბებული იყო. სინამდვილეში საქართველოში, ისე როგორც საბჭოთა ქვეყანაში საერთოდ, მთელ რიგ დარგებში გეგმა ჩავარდა, რასაც ოფიციალური სტატისტიკური დაწესებულებანი ხალხს უმალავდნენ.

რიგ დარგებში ჩავარდნების მიუხედავათ რესპუბლიკაში მოპოვებული წარმატებანი რაოდენობის მხრივ მაინც თვალსაჩინო იყო. აშენდა რიგი მსხვილი სამრეწველო საწარმო, რეკონსტრუირებული იქნა ძველი, ჩამორჩენილ ტექნიკაზე დაფუძნებული წარმოებანი, განსაკუთრებული ზრდა განიცადა მანქანათმშენებლობამ, ენერგეტიკამ. ხუთწლედის მეოთხე წელს ელექტროენერგიის გამომუშავება რესპუბლიკაში 119,7 მილიონ კილოვატს აღემატებოდა.

ინდუსტრიულმა წინსვლამ შეაპირობა სოფლის მეურნეობის აღჭურვა მანქანებითა და იარაღებით. გაიზარდა სათესი ფართები, განვითარების გზა გაეხსნა ტექნიკურ კულტურებს, განსაკუთრებით ჩაისა და ციტრუსების მეურნეობას. 1933 წლისათვის ჩაის კულტურას 31 ათასი ჰექტარი ეკავა. მაგრამ რესპუბლიკის ინდუსტრიულად სწრაფი გარდაქმნის ამ ტენდენციას თავიდანვე დაჰყვა მანკიერებანი, რაც შემდგომ პერიოდში უფრო და უფრო ძლიერად იჩენდა თავს. ჰაიჰარად აგებული საწარმოები უშვებდნენ დაბალი ხარისხის პროდუქციას. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დონეც დაბალი იყო. ტრაქტორები და კომბაინები ცუდი ხარისხისა და სათადარიგო ნაწილების უკმარობის ვითარებაში მწყობრიდან მალე გამოდიოდა და ჯართი ხდებოდა. სახნავ-სათესი ფართობების ზრდა მიმდინარეობდა ტყეების უღვთო გაჩეხვის ხარჯზე, ჩაის კულტურისადმი შეუზღუდავად გამოდევნებამ რესპუბლიკას საბოლოო ჯამში მიაყენა გამოუსწორებელი ზიანი არა მარტო ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ მოსახლეობის ჯანმრთელობის მხრივაც.

1933 წლიდან ქვეყანა შეუდგა მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებას. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მეორე ხუთწლედის ღონისძიებანი უფრო ტევადი და მასშტაბური იყო, გაყალბებული ოფიციალური მონაცემებით ისიც თითქოს შესრულდა „ვადაზე ადრე და გადაჭარბებით“.

ხუთწლედის მანძილზე ამუშავდა ათობით ახალი ქანხანა და ფაბრიკა თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში. ერთერთი მსხვილი წარმოება, რომელიც შეემატა თბილისს, იყო დაზგათმშენებელი ქარხანა. აიგო დიდი და მცირე მასშტაბის ახალი ელექტროსადგურები, გაიზარდა მანგანუმის, ქვანახშირის ამოღება. რესპუბლიკას მიეცა ინდუსტრიული იერი, რითაც განსაკუთრებით იწონებდნენ თავს იმდროინდელი ხელმძღვანელები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატებანი შელამაზებულ ციფრებში მართლაც თვალსაჩინოდ გამოიყურებოდა. სოფელს ემატებოდა ტექნიკა. 1936 წელი მრეწველობის დარგებშიც წარმატებით აღინიშნება. ამუშავდა ჩაის მოწყობილობათა ქარხანა ბათუმში, ენგურის ქაღალდის კომბინატი, თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა, ქუთაისის შუშის ქარხანა, 7 ახალი ჩაის ფაბრიკა და სხვ.

პირველი და მეორე ხუთწლიანი გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლის მთელი პერიოდი უჩვეულო ენთუზიაზმით ხასიათდებოდა. ხალხი იტანდა მატერიალურ ხელმოკლეობას და შთაგონებული იმით, რომ ხვალინდელი დღე უკეთეს ცხოვრებას მოიტანდა, შრომობდა თავდადებით, ენერგიის დაძაბვით; ხალხს სჯეროდა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაბიჯებდა წინ, სოციალიზმისაკენ. ამ ცრუ რწმენის განმტკიცებისაკენ იყო მიმართული აგიტაციისა და პროპაგანდის ყველა საშუალება. ბრმა ენთუზიაზმის ვითარებაში უმრავლესობამ იწამა, რომ სოციალისტური წინსვლის საერთო-სახალხო საქმეს ჰყავდა დაუძინებელი მტრები, რომლებიც კაპიტალისტურ სამყაროსთან კავშირში ძირს უთხრიდნენ ქვეყნის ძლიერებას. ასეთი მტრების წინააღმდეგ პარტიის ანგარიშსწორება კანონზომიერად იქნა მიჩნეული. პირველი და მეორე ხუთწლედების განმავლობაში კომუნისტთა თაოსნობით იბადებოდა შრომითი წარმატებების ახალ-ახალი სახეობანი, ყალიბდებოდნენ დამკვრელი ბრიგადები. ნოვატორები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში იმდროინდელი მოდური ტერმინი რომ ვიხმაროთ, ახდენდნენ „შრომით სასწაულებს". 1935 წლიდან მთელს ქვეყანაში გაჩაღდა სტახანოვური მოძრაობა, რაც ძველი ტექნიკური ნორმების მსხვრევისაკენ იყო მიმართული. სტახანოველები მომრავლდნენ მთელს საბჭოთა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში.

ერთი სიტყვით, ქვეყანა განმსჭვალული იყო უჩვეულო ბრმა ენთუზიაზმით, იმის ღრმა რწმენით, რომ თვითვე იცხოვრებდა იმ ბედნიერ სოციალისტურ საზოგადოებაში, რომელსაც ასეთი გაჭირვებით აშენებდა.

მთელი ძალისხმევით მიმდინარეობდა ახალგაზრდობის პოლიტიზაცია. ოფიციალური იდეოლოგიისადმი ფანატიკური ერთგულების დანერგვა იწყებოდა სასკოლო ასაკიდან. ამ საქმეს ემსახურებოდნენ პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები. ახალგაზრდობის ამოუწურავი ენერგია მართლაც სასწაულებს ახდენდა შრომითს ფრონტზე, მაგრამ მისი სულიერი სამყარო თანდათან ღარიბდებოდა და დოგმატიზმის პრინციპებით იმსჭვალებოდა.

ყველა დაეჭვებული ადამიანი „ხალხის მტრად" იყო შერაცხული. ეგზალტირებული მასა მაშინ ვერ გრძნობდა როგორი გამრუდებით წარიმართა ცხოვრება, როგორ ცვლიდა დემოკრატიზმს პარტიის და პიროვნების დიქტატურა, როგორ განხორციელდა პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის ხალხისაგან გაუცხოება, დაეცა პოლიტიკური კულტურა, როგორ განიცდიდნენ გაუფასურებას მარადიული ღირებულებანი და, საერთოდ, როგორ მახინჯდებოდა მორალურად მთელი საზოგადოებრიობა.

პირველმა და მეორე ხუთწლედებმა მართლაც შეაპირობეს საქართველოს ეკონომიკური წინსვლა. ქვეყანამ 30-იან წლებში ჭეშმარიტად იცვალა სახე. გაიზარდა თბილისის მოსახლეობა; აღმოცენდნენ ახალი ქალაქები. სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრ-

თელობის, სპორტის დარგებში მოპოვებულ იქნა წარმატებანი. მაგრამ წარმატებათა გვერდით თანდათან ღრმად იკიდებდა ფეხს სისტემისათვის თანდაყოლილი ნეგატიური ნიშან-თვისებები, რომელთაც სამომავლო ცხოვრების გაუარესებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჯერ ერთი, საქართველოს ინდუსტრიული წინსვლის იმდროინდელი პროფილი, ტემპები, განლაგება იმგვარად იყო დაგეგმილი, რომ საბოლოოდ უთხრიდა ძირს საქართველოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და მას საბჭოთა ქვეყნის ერთიან ინდუსტრიულ ქვაბში ითრევდა. ინდუსტრიული გარდაქმნის შედეგად გაზრდილი ეროვნული შემოსავალი სარულიადაც არ ყოფილა გამიზნული ადგილობრივ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის და ისიც მკაცრ ცენტრალიზაციას ექვემდებარებოდა. საბჭოური ინტერნაციონალიზმის აბრით ფარულად მიმდინარეობდა რესპუბლიკის ეკონომიკური ექსპლუატაცია. ხალხის დაუკითხავად, ხშირად მისი ინტერესების საპირისპიროდ ხორციელდებოდა სამეურნეო დაგეგმვა და წამყვანი პროფილების არჩევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში.

ინდუსტრიულ განვითარების კვალდაკვალ უარესდებოდა ეკოლოგიური სიტუაცია. ნადგურდებოდა ტყეები, იზრდებოდა ზღვის, ტბებისა და მდინარეების დაბინძურება, საქართველოს უნიკალურ ბუნებას ექმნებოდა სერიოზული საშიშროება, ცარიელდებოდნენ სოფლები, ფერხდებოდა ქართული მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა.

6. კულტურული რევოლუცია. კომუნისტური იდეოლოგია სოციალიზმის აშენების მთავარ პირობად ინდუსტრიალიზაციასა და კოლექტივიზაციასთან ერთად თვლიდა კულტურულ რევოლუციას. კულტურული რევოლუცია გულისხმობდა ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხთა გამოყვანას საუკუნეებრივი ჩამორჩენილობიდან, მის გადაქცევას წერა-კითხვის საყოველთაომცოდნეობის ქვეყნად, საბჭოთა ინტელიგენციის ჩამოყალიბებას. ისეთი დაბალგანვითარებული ქვეყნისათვის, როგორც მეფის რუსეთი იყო, ეს ღონისძიებები მოასწავებდნენ ძირფესვიან გარდაქმნებს და მათ რევოლუციური მნიშვნელობა ენიჭებოდათ.

მაგრამ კულტურულ რევოლუციას თავიდანვე დაჰყვა სისტემისათვის საერთოდ დამახასიათებელი მანკიერებანი. პარტიამ კულტურული რევოლუციის მთავარი დანიშნულება დაიყვანა მისი იდეოლოგიისადმი ყველა საბჭოთა ადამიანის მონურ ერთგულებამდე, წარმართა იგი პიროვნებაში ინდივიდუალობის გაქრობის, ჰუმანიზმის საერთო პრინციპებისადმი გულგრილობის, ეროვნული ცნობი-

ერების ჩახშობის, კლასობრივი და პარტიული შეურიგებლობის გაღვივების სულისკვეთებით. ამ ამოცანას ემსახურებოდნენ საშუალო და უმაღლესი სასაწავლებლების, კულტურულ-საგანმანათლებლო კერების, ბეჭდვითი სიტყვის საშუალებანი. კულტურის ძაფებულებათა ქსელის რაოდენობრივი ზრდა მართლაც შთამბეჭდავი იყო, მაგრამ მისი თვისობრივი მხარე ჭეშმარიტ კულტურულ ღირებულებათა დევალვაციას ემსახურებოდა.

საქართველოში, ისე როგორც ყველა რესპუბლიკაში, კულტურის ფრონტზე განხორციელდა დაკვრითი ღონისძიებანი. სწრაფად იზრდებოდა საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა. 1940—1941 წლისათვის საქართველოს ჰქონდა 4933 სკოლა და 19 უმაღლესი სასაწავლებელი. ეს ფართო სასწავლო ქსელი არ იყო უზრუნველყოფილი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, მაღალკვალიფიციური აღმზრდელებით. საშუალო და უმაღლესი განათლების სფეროში მთელი აქცენტი გადატანილი იყო რაოდენობრივ მაჩვენებლებზე. გამოშვებულ სპეციალისტთა დიდი უმრავლესობა კი არ შეეფერებოდა მინიჭებულ კვალიფიკაციას და საერთოდ დიდად ჩამორჩებოდა იმდროინდელ მსოფლიო დონეს. ე. წ. „კულტურული რევოლუციის“ ხანაში დადებითი ღონისძიებანი განხორციელდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიმართულებით. მაგრამ უდროვო და შეუმზადებელი იყო საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლებისადმი გამოდევნება. დადებითი ღონისძიებანი ხორციელდებოდა შემოქმედებითს ფრონტზე. მაგრამ სწორედ ამ დროიდან შემოქმედებით ინტელიგენციას, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთ, უკიდურესობამდე შეეზღუდათ ინდივიდუალური აზროვნების შესაძლებლობანი და კულტურის ყველა დარგი დაუმორჩილდა ე. წ. „სოციალისტური რეალიზმის“ კატეხიზმოს, რომელიც კულტურის ღირებულებად აღიარებდა მხოლოდ იმას, რაც კომუნისტური პარტიის დიქტატორულ პრინციპებს ემორჩილებოდა.

7. „გამარჯვებული სოციალიზმის“ კონსტიტუცია. მეორე ხუთწლედის ბოლო ეტაპი კომუნისტურმა პარტიამ აღიარა სოციალიზმის გამარჯვებად მთელ საბჭოთა ქვეყანაში. იგი თვლიდა, რომ განხორციელდა მტრული ბურჟუაზიული კლასების ლიკვიდაცია და საზოგადოების სოციალური სტრუქტურა წარმოდგა ახალ პლანში: მუშათა და გლეხთა კლასები და მათი წრიდან გამოსული სოციალისტური ინტელიგენცია. აღიარებულ იქნა, რომ სსრ კავშირი მუშებისა და გლეხების სახელმწიფოა, რომლის პოლიტიკურ საფუძველს წარმოადგენს საბჭოები, ეკონომიკურ საფუძველს—წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრება. ქვეყნის სოციალურ-

ეკონომიკურ ცხოვრებაში განხორციელებული ძირფესვიანი და დახალისება პარტიის აზრით უნდა ასახულიყო ძირითად კანონში. საჭირო გახდა საბჭოთა ქვეყანაში ახალი კონსტიტუციის შექმნა. 1935 წ. ივნისში გამოქვეყნდა ახალი კონსტიტუციის პროექტი „საყოველთაო სახალხო განხილვისათვის". 1936 წ. ნოემბერში მოსკოვში შეიკრიბა სსრკ საბჭოების VIII საგანგებო ყრილობა, რომელმაც მოისმინა ი. სტალინის მოხსენება ახალი კონსტიტუციის შესახებ. 5 დეკემბერს ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია. იგი გარეგნულად მართლაც ტოვებდა დემოკრატიული კონსტიტუციის შთაბეჭდილებას, მაგრამ ამ კონსტიტუციის მიღმა მთელ საბჭოთა ქვეყანაში კომუნისტური პარტიის უმკაცრესი დიქტატურა ხორციელდებოდა.

სსრ კავშირის VIII საგანგებო ყრილობამ გააუქმა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა. საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, რომლებიც 1922 წლიდან ერთ ფედერაციულ რესპუბლიკად იყვნენ გაერთიანებულნი, ახალი კონსტიტუციით სსრ კავშირის შემადგენლობაში შევიდნენ უშუალოდ, როგორც მოკავშირე რესპუბლიკები.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შესაბამისად მასში შემავალ ყველა მოკავშირე რესპუბლიკას უნდა შეემუშავებინა ახალი კონსტიტუცია. სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1936 წ. 25 ივნისს შექმნა საკონსტიტუციო კომისია. გამოქვეყნდა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც განიხილა და დაამტკიცა საქართველოს საბჭოების VIII საგანგებო ყრილობამ 1937 წლის 13 მარტს. 1937 წლის 1 აგვისტოს აფხაზეთის საბჭოების VIII ყრილობამ დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ ახალი კონსტიტუცია, იმავე წლის ოქტომბერში დამტკიცდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია. საქართველოს რესპუბლიკის და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებს საფუძვლად დაედო სსრ კავშირის კონსტიტუციის მთავარი პრინციპები და დებულებანი.

1937 წლის 12 დეკემბერს ახალი კონსტიტუციით დადგენილი საარჩევნო კანონის მიხედვით განხორციელდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. 1938 წლის 12 ივნისს ჩატარდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პირველი არჩევნები. არჩევნების შედეგები კომუნისტურმა პარტიამ აღიარა საბჭოთა ხალხის „მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, კომუნისტური პარტიებისადმი მისი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების" გამოხატულებად

სინამდვილეში იგი დემოკრატიზმის გაუგონარ ფალსიფიკაციას წარმოადგენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. 1936—1937 წლების რეპრესიები. საბჭოთა ქვეყნისათვის ადრე ვიდანვე დამახასიათებელი რეპრესიები 30-იან წლებში კიდევ უფრო გამწვავდა. მას ფართო გასაქანი მიეცა ჯერ კიდევ 1935 წლიდან. 1934 წლის 1 დეკემბერს მოხდა პარტიის ცეტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნისა და ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივნის ს. კიროვის მკვლელობა. საიდუმლოებით მოცული ეს მკვლელობა, როგორც ბოლო დროის მასალებით ირკვევა, განგებ იყო მოწყობილი იმ მიზნით, რომ მიეცათ დასაბუთება რეპრესიების გაძლიერებისა და მასობრივი ხასიათისათვის. მართლაც, 1935 წლიდან რეპრესიები მკვეთრად გაძლიერდა. 1935 წ იანვარში ჩატარდა ე. წ. „მოსკოვის ცენტრის" და მისი მეთაურების გ. ზინოვიევისა და ლ. კამენევის პროცესი, 1936 წლის აგვისტოში — ე. წ. „ტროცკისტ-ზინოვიევის ტერორისტული ცენტრის" პროცესი, იმავე წლის ივლისში 8 სამხედრო ხელმძღვანელის (ნ. ტუხაჩევსკი და სხვ) პროცესი, 1938 წ მარტში ანტისაბჭოთა „მემარჯვენე ტროცკისტული ბლოკის" სასამართლო პროცესი. ამ ფალსიფიცირებულმა პროცესებმა შეიწირეს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის მთელი ლენინური ბირთვი — გ. ზინოვიევი, ლ. კამენევი, ნ. ბუხარინი, ა. რიკოვი, გ. პიატაკოვი, კ. რადეკი, გ. სოკოლნიკოვი და სხვები. თავი მოიკლეს მ. ტომსკიმ, გ. ორჯონიკიძემ, ი. გამარნიკმა, დახვრეტილ იქნენ პარტიისა და მთავრობის ათასობით ხელმძღვანელები, შორეულ გადასახლებასა და საკონცენტრაციო ბანაკებში აღმოჩნდნენ პარტიული და საბჭოთა ინტელიგენციის გამოჩენილი ადამიანები.

ფალსიფიცირებული პროცესები მოსკოვის პარალელურად მიმდინარეობდა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში. ჯერ კიდევ დაზუსტებული არაა 1935—1937 წლების რეპრესიების მსხვერპლთა რაოდენობა, მაგრამ მიახლოვებითი გამოანგარიშებით იგი ორ მილიონს აღემატება. რეპრესიების განხორციელებაში განსაკუთრებით აქტიურ როლს ასრულებდნენ ი. სტალინის ერთგული თანამებრძოლები ლ. კაგანოვიჩი, ვ. მოლოტოვი, ა. მიქოიანი, კ. ვოროშილოვი, გ. იაგოდა, ნ. ეჟოვი, ნ. ხრუშჩოვი, ლ. ბერია, ა. ვიშინსკი და სხვ.

რეპრესიებს მასობრივი ხასიათი ჰქონდა საქართველოში. ამ რეპრესიებმა ათასობით ადამიანთა სიცოცხლე შეიწირეს. რეპრესიებზე რომ ვლაპარაკობთ, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ადამიანთა ორი კატეგორია. 1. პარტიული და საბჭოთა ფუნქციონირები, რომ-

ლებიც ვიდრე თანამდებობა ეკავათ, თვით იყვნენ რეპრესიების მოთავენი. ამ კატეგორიას ეკუთვნოდნენ 1934—1938 წლებში რეპრესირებულნი მამია და მარიამ ორახელაშვილები, ლ. ქართველიშვილი, მ. კახიანი, ლ. ღოღობერიძე, ს. მამულია, კ. ცინცაძე, ე. ემბა, ნ. ლაკობა და ათასობით სხვა, რომელნიც ვიდრე პარტიულ და საბჭოთა აპარატებში მუშაობდნენ, რეპრესიის კურსის აქტიური გამტარებლები იყვნენ; 2. ინტელიგენცია (მასწავლებლობა, მუშამოსამსახურენი, შემოქმედებითი მუშაკები და სხვ.), რომელთაც საბჭოური სისტემა საქართველოში მუდამ იჭვით უყურებდა და მათდამი მტრულად იყო განწყობილი. ამ კატეგორიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ს. ახმეტელი, გრ. წერეთელი, შ. ცინცაძე, ზ. ელიავა, ბ. რამიშვილი, ზ. ნანეიშვილი და ათეული ათასობით სხვები. ინტელიგენციისთვის გენოციდური ხასიათის ანგარიშსწორებამ რესპუბლიკის ინტელექტუალური პოტენციალის დიდად გაღარიბება შეაპირობა. უმრავლესობას ხვრეტდნენ სასამართლოს გარეშე ე. წ. „ტროიკის“ გადაწყვეტილებით, დანარჩენთ გზავნიდნენ ხანგრძლივ გადასახლებაში ვორკუტაზე, კოლიმაში, შორეული ციმბირისა და სხვა საკონცენტრაციო ბანაკებში. „ხალხის მტრებად“ მონათლულ ამ ადამიანებს უწიოკებდნენ ოჯახებს, ართმევდნენ საცხოვრებელ ბინებს, ცოლ-შვილს კვეთდნენ საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. დიდი გალაკტიონის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იყო „კაენის სულის აღზევება“, რამაც საქართველო წელში გატეხა და მძიმე დაღი დაასვა მის სულიერ ცხოვრებას ათეული წლების განმავლობაში. ამიერკავკასიისა და საქართველოს პარტიული მესვეური ამ უმძიმეს პერიოდში იყო ლ. ბერია, რომელმაც პირველ რიგში ყველა მეტოქე ჩამოიცილა და შემდგომ ბელადისადმი ერთგულების გამოჩენით ნამდვილი გენოციდი მოუწყო საქართველოს. ბოლოდროის ოფიციალური მონაცემებით „გულაგის“ ბანაკებში გადასახლებული იყო 830 000 რუსი, 181405 უკრაინელი, 44 485 ბელორუსი, 24 499 უზბეკი, 19758 ებრაელი, 11 723 ქართველი, 11064 სომეხი, 4347 ტაჯიკი და სხვ. თუ ამ მონაცემებს ეროვნებათა მიხედვით მოსახლეობის საერთო რაოდენობას შევუფარდებთ, და მათ დავუმატებთ ადგილობრივ საპატიმროებში დახვრეტილთა რაოდენობას, ცხადი გახდება, რომ საქართველო რეპრესირებულთა საერთო რაოდენობით წინა რიგებში იდგა.

9. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ოცი წელი. 1939 წლის მარტში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობამ დაამტკიცა სახალხო მეურნეობის განვითარე-

ბის მესამე ხუთწლიანი გეგმა. მისი მთავარი ამოცანა ეკონომიკური განვითარებაში მიჩნეული იყო მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნებისადმი დაწევა და გასწრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი გეგმით საქართველოს წინაშე ისახებოდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი ღონისძიებანი. ნავარაუდევი იყო ნახშირის ამოღების გადიდება 1,5 მილიონი ტონით, მანგანუმის მოპოვების ზრდა 2 500 ათას ტონამდე, ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ხრამზე, სოხუმში და სხვ. მრავალი ღონისძიებანი.

1939—1941 წლებში ამ დავალებათა განსახორციელებლად რესპუბლიკის მშრომელთა დაძაბული მუშაობა მიმდინარეობდა. ისე როგორც წინა ხუთწლედებში, წარმატებათა ამსახველი ციფრები გაბერილი იყო.

საქართველოს საბჭოური რეჟიმის მესვეურებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს 1941 წელს თებერვალში დიდი ზარ-ზეიმით აღენიშნათ საბჭოთა საქართველოს ოცი წელი. ორი ათეული წლის „ნამოღვაწარის“ შეჯამებისას საქართველოს კომუნისტური პარტია სიამაყით აცხადებდა, რომ საქართველო, საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან ერთად, კომუნისტური პარტიის მესვეურობით გახდა მძლავრი ინდუსტრიულ-აგრარული სოციალისტური ქვეყანა და მისი ჩამორჩენილობა საუკუნოდ ჩაბარდა წარსულს. ფალსიფიცირებული ციფრობრივი მონაცემები მართლაც ქმნიდნენ რესპუბლიკის უჩვეულო წარმატებათა შთაბეჭდილებას: მწყობრში იდგა ორი ხუთწლედის მანძილზე შექმნილი 315 ახალი სამრეწველო საწარმო, შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები, ფეროშენადნობთა, ცემენტის, ლაქსაღებავების, ეთერზეთების, საკონსერვო, ჩაის, შამპანური ღვინოების, ქაღალდის, შაქრის, ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების და სხვ. წარმოებანი, მსუბუქი და კვების მრეწველობის მრავალრიცხოვანი ფაბრიკები და ქარხნები. 1940 წელს გამოშვებული პროდუქცია 1928 წლისას 18-ჯერ აღემატებოდა. გაიზარდა საქართველოს მოსახლეობა, გადიდდა მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი. 1940 წელს საქართველოს წარმოება-დაწესებულებებში 454 ათასი კაცი იყო დასაქმებული.

ყველა ამ გამარჯვებას კომუნისტური პარტია მიაწერდა სოციალისტური წყობილების უპირატესობას. თვლიდა, რომ განხორციელდა თვისობრივი ხასიათის ნახტომები ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ, გამარჯვებით დაგვირგვინდა კულტურული რევოლუცია, შეიქმნა ახალი, სოციალისტური ერი, სოციალისტური საზოგადოება. გამარჯვებათა მასულდგმულებელ წყაროებად აღიარებუ-

ლი იყო კომუნისტური პარტიის წარმართველი როლი, საბჭოთა ხალხების ურღვევი თანამეგობრობა, რესპუბლიკებისადმი „უფროსი ძმის“ — რუსი ხალხის დახმარება. მაშინ ვერავინ ამჩნევდა (დაჩაგრულთ ხალხის მტრად ნათლავდნენ, მისთვის განკუთვნილი ყველა შედეგით), რომ რუსული ე. წ. სოციალიზმის სიღრმეში მწიფდებოდნენ მისი დამანგრეველი ფაქტორები.

საბჭოური სისტემისათვის დამახასიათებელი საერთო მოვლენებისაგან საქართველო გამოთიშული ვერ იქნებოდა. ზეცენტრალიზმის და უნიტარიზმის პირობებში რესპუბლიკა თანდათან ითქვიფებოდა საერთო საკავშირო სისტემაში და მის შინაცხოვრებას ღრღნიდა საერთო სნეულებანი. კომუნისტური პარტიის მიერ დამყარებულმა რეჟიმმა ორი ათეული წლის განმავლობაში საქართველოში შეიწირა მრავალი ათასი ადამიანის სიცოცხლე, ჩაჰკლა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის გამოვლინებანი, შერყვნა სარწმუნოება, ზნეკეთილობა შეცვალა უზნეობით. გაბატონდა სკამის კულტი, შეიქმნა პრივილიგირებული პარტიული და საბჭოთა ბიუროკრატია. ფეხი მოიკიდა დოგმატიზმის, გაუპიროვნების, მორჩილების, გულგრილობის სულისკვეთებამ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ოცი წლისთავზე ქართველ ხალხს არაფერი ჰქონდა საზეიმო. ამ ღონისძიებას, ისე როგორც სხვა სამთავრობო ღონისძიებებს, იძულებითი და მოჩვენებითი ხასიათი ჰქონდათ. მათ უკან ასეულ ათასობით ადამიანთა ცრემლი იმალებოდა.

§ 4 საქართველო მეორე მსოფლიო ომში

1. მეორე მსოფლიო ომის დაწყება. 1939 წლის 1 სექტემბერს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა პოლონეთს. 3 სექტემბერს გერმანიას ომი გამოუცხადეს ინგლისმა და საფრანგეთმა. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელშიაც თანდათან ჩაებნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები. ომის პირველ პერიოდში (1939—1941 წ. 21 ივნისამდე) გერმანიამ შეძლო აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა და საფრანგეთის ოკუპირება. 1940 წ. 10 აპრილს გერმანიის მხარეზე ომში ფაშისტური იტალიაც ჩაება. ომმა მოიცვა ატლანტის ოკეანე, აფრიკა. გერმანელთა ჯარებმა დაიკავეს ბალკანეთიც და საბჭოთა კავშირის საზღვრებს მიადგნენ.

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანიის ჯარები ომის გამოუცხადებლად შეიჭრნენ საბჭოთა ქვეყანაში. სსრ კავშირს ომი

გამოუცხადეს აგრეთვე უნგრეთმა, რუმინეთმა, იტალიამ და ფინეთმა. მტრები ლამობდნენ „ელვისებური ომით“ დაემარცხებინათ საბჭოთა ქვეყანა და მის ტერიტორიაზე გაბატონებულიყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მთავრობამ მტრების უკუსაგდებად მთელი ძალების მობილიზაცია მოახდინა. ი. სტალინის თავჯდომარეობით შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომელმაც მთელი ძალაუფლება ომის ინტერესებს დაუმორჩილა. სტალინსვე დაეკისრა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობა. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, რომელიც 3 ათას კილომეტრს აღწევდა, წითელ არმიას უტევდა გერმანიისა და მისი სატელიტების 170 დივიზია. მათ მოახერხეს შემოჭრილიყვნენ ქვეყნის სიღრმეში, მაგრამ ჩაეშალათ „ელვისებური ომის“ სტრატეგია, საბჭოთა ჯარები მტერს უწევდნენ მედგარ წინააღმდეგობას. საბჭოთა ქვეყანა თანდათან იკრებდა ძალებს. ქვეყანა ერთ საბრძოლო ბანაკად გაერთიანდა.

ომის დაწყებიდანვე განხორციელდა საქართველოს სახალხო მეურნეობის გადაყვანა სამხედრო ყაიდაზე. საქართველოს მანქანათმშენებლებმა, დაზგათმშენებლებმა და ლითონდამამუშავებელმა ქარხნებმა დაიწყეს იარაღისა და საბრძოლო მასალის გამოშვება. მსუბუქი და კვების მრეწველობა ემსახურებოდა ფრონტის ტანსაცმლით და სურსათით მომარაგებას. სამხედრო მდგომარეობაში გადავიდა რკინიგზის, წყლის, საჰაერო ტრანსპორტი. შავი ზღვის ფლოტი მთლიანად ჩაება ფრონტის და ზურგის საქმიანობაში. ომის წლებში საქართველოს სამოქალაქო ავიაციამ 20 ათასამდე რეისი გააკეთა ომის საგანგებო დავალებათა შესასრულებლად. სოფლის მეურნეობაში ჯანსაღი მუშახელის არმიის რიგებში მობილიზაციის გამო, დაუღალავად შრომობდნენ მოხუცები, ქალები და ბავშვები, რათა სურსათით უზრუნველეყოთ რესპუბლიკა და დახმარება გაეწიათ ფრონტისათვის. თავდაცვის ინტერესებს დაუქვემდებარდა ქართული სამეცნიერო აზრი, ხელოვნების, ლიტერატურის მოღვაწეთა მთელი საქმიანობა.

ომის წლებში საქართველოს მრეწველობას დააკლდა დიდძალი მუშახელი. 1941—1944 წლებში ომში გაწვეულ მუშათა რაოდენობა 40 ათასს აღემატებოდა. ამან შეანელა კვლავწარმოების პროცესი, შემცირდა მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა, მანგანუმის, ლითონმჭრელი ჩარხების, ცემენტის, სამშენებლო მასალის, ქსოვილების, ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის და სხვა წარმოება. სანაცვლოდ გაიზარდა მანქანათმშენებელი და ლითონდამამუშავებელი საწარმოთა პროდუქცია. საქართველო ფრონტს განუწყვეტლივ აწვდიდა დიდძალ იარაღსა და საბრძოლო მასალას. 1941—1943

წლებში მეომრებს გაეგზავნათ ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის 6 მილიონზე მეტი კომპლექტი. ფრონტის დაკვეთით მუშაობდა 200-ზე მეტი ახლადშექმნილი საწარმო. სტრატეგიული დანიშნულებისა გავანილ იქნა შავი ზღვის რკინიგზის მაგისტრალი, ბორეოელდებოდა რკინიგზის ელექტრიფიკაცია, დამთავრდა ბორჯომ-ახალციხის რკინიგზა.

ომის წლებში საგრძნობი ზიანი განიცადა სოფლის მეურნეობამ. შემცირდა ტექნიკური, ბოსტნეულ-ბახჩეული და სათესი კულტურების ფართობი. დაზარალდა მეცხოველეობა. მიუხედავად ამისა საქართველოს სოფლის მშრომელებმა შეძლეს თავი გაერთმიათ ომის სიძნელეთათვის. ისინი ფრონტს მთელი შესაძლებლობით ეხმარებოდნენ. ომის საჭიროებისათვის საქართველოს მშრომელთა შენატანმა 3.173 მილიონი მანეთი შეადგინა.

2. ქართველები საბრძოლო ფრონტებზე. საქართველომ ფრონტზე 750 ათასამდე მეომარი გაგზავნა. ქართველი მეომრები მამაცურად ებრძოდნენ მტერს ბრესტის ციხე-სიმაგრესთან, ბელორუსიასა და ბალტიისპირეთში, მოსკოვის და ლენინგრადის მისადგომებთან. ომის პირველივე დღეებში საქართველოში შეიქმნა გამანადგურებელი ბატალიონები, ჩამოყალიბდა სახალხო ლაშქარი. საბჭოთა-კავშირ-გერმანიის ომის სამი ათასი კილომეტრის სიგრძის ფრონტზე ქართველები ყველგან და ყველა სახეობის ჯარების საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდნენ. მარტო ქერჩის ნახევარკუნძულზე და ყირიმში არმიის გენერალ კოზლოვისა და განსაკუთრებით სამხედრო საბჭოს წევრ მეხლისის დანაშაულებრივი უთავობის შედეგად 70 ათასზე მეტი ქართველი მეომარი დაიღუპა.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის კომიტეტის 1941 წლის 13 ნოემბრის დადგენილებით შეიქმნა ეროვნული საჯარისო შენაერთები, რომლებმაც მთლიანად გაამართლეს თავიანთი არსებობის უფლება და თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს მტერზე გამარჯვებაში. ჩამოყალიბდა ექვსი ქართული დივიზია, რომელთა საბრძოლო მატიანე დამშვენებულია გმირობისა და მამაცობის მასობრივი მაგალითებით.

მოსკოვთან წარუმატებლობის შემდეგ გერმანიის სარდლობამ მიზნად დაისახა გაენადგურებინა საბჭოთა არმიის სამხრეთ დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტის დაჯგუფებანი, გაჭრილიყო ვოლგაზე, დაეპყრო კავკასია და ხელთ ეგდო მოსკოვი ზურგიდან შემოვლით. ქართველი მეომრები მონაწილეობდნენ ამ მიმართულების ყველა თავდაცვით ბრძოლაში. ათასობით ქართველმა დადო თავი როსტოვთან და სევასტოპოლთან, ხარკოვთან და სტალინგრადთან. მაგრამ ბუნებრივია განსაკუთრებით დიდია ქართულ სამხედრო შენაერთთა როლი კავკასიის დაცვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო კავკასიიდან ჩეხოსლოვაკიამდე 276-ე ტემრიუკის სახელობის წითელდროშოვანმა ქართულმა დივიზიამ. 1942 წ. 1 აგვისტოს ჩაება ბრძოლაში ქ. გორში ფორმირებული 392-ე ქართული დივიზია, რომელმაც კავკასიის მისადგომებთან პირველი შეტევითი ოპერაციები განახორციელა და სასახელო გამარჯვებაც მოიპოვა მტერთან ბრძოლაში. დივიზია, მტრის მიერ მეზობელი შენაერთების თავდაცვითი ხაზის გარღვევის შემდეგ, იძულებული გახდა ზამთარში გადმოელახა კავკასიის უღელტეხილი და სამშობლოში თავისი რიგების შესავსებად დაბრუნებულიყო. ამ დივიზიის პირადი შემადგენლობის 95 პროცენტს ქართველობა წარმოადგენდა. სახალხო სიმღერად იქცა ამ დივიზიის ერთერთი ქვეგანყოფილების მეთაურის კაპიტან ბუხაიძის საარაკო გმირობის ამბავი ბაქსანის ნაპირებთან შეტევითს ბრძოლებში. საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ ვლადიმერ კანკავას, ალექსი პირმისაშვილს, ვლადიმერ ლურსმანიშვილს. ანაპის 414-ე ქართულმა დივიზიამ კავკასიისათვის გმირული ბრძოლების შემდეგ სდია უკანდახეულ მტერს და სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო ომის დასასრულამდე. თავი გამოიჩინეს 242-ე, 351-ე და 394-ე ქართულმა შენაერთებმა. კავკასიის გმირულ დაცვაში საერთოდ 200 ათასი ქართველი ჯარისკაცი, მეთაური და პოლიტმუშაკი მონაწილეობდა. კავკასიის დაცვაში ასევე დიდი როლი შეასრულა 46-ე არმიამ, რომელსაც სარდლობდა კონსტანტინე ლესელიძე. ამ არმიამ გადაუღობა გზა მტერს ქლუხორთან, სანჭაროსთან, კავკასიის უღელტეხილებზე და დაამარცხა იგი.

სტალინგრადთან გერმანელ-ფაშისტთა ჯარების გარემოცვისა და განადგურების შემდეგ ომის მსვლელობაში მოხდა ძირეული გარდატეხა. საბჭოთა არმია გადავიდა გადამწყვეტ შეტევაზე მტრისაგან სამშობლო მიწა-წყალის გასათავისუფლებლად. 1944 წელს დასრულდა საბჭოთა ტერიტორიიდან დამპყრობთა განდევნა და საომარი ოპერაციები გადატანილ იქნა აღმოსავლეთ ევროპაში. საბჭოთა ჯარებმა დიდი დახმარება გაუწიეს პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, ალბანეთის ქვეყნებს ფაშიზმის უღლისაგან გათავისუფლებისათვის ბრძოლებში. გერმანიის ტერიტორიაზე ფაშისტთა ჯარები ზედიზედ მარცხს განიცდიდნენ. 1945 წლის 9 მაისს ფაშისტურმა გერმანიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. ომი დამთავრდა.

კურსკთან და ბელგოროდთან შეტევით ოპერაციებში, უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლებში, აღმოსავლეთ ევროპის ხალხთათვის დამხმარე სამხედრო ოპე-

რაციებში, ბერლინისათვის ბრძოლაში მონაწილეობდა მრავალი ათასი ქართველი მეომარი, რომელთაგან ბევრი გმირულად დაეღუპა. რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის აღმართვა ეგოროვთან ერთად წილად ხვდა ქართველ მეომარს მელიტონ ქანთარიას. დიდ სამხედრო ოპერაციებს ხელმძღვანელობდნენ ქართველი მხედართუფროსები — გენერლები: კ. ლესელიძე, პ. ჩანჩიბაძე, ვ. ჯანჯღავა, ა. ინაური, ი. ბაბალაშვილი, მ. მიქელაძე, ნ. კილაძე, ე. კობერიძე, გ. ყუფარაძე, მ. ღლონტი, გ. ყურაშვილი, კ. ჯახუა, ი. სილაგაძე, დ. შანშაშვილი, გ. აბაიშვილი, მ. კიკნაძე, გ. ნანეიშვილი, ე. ტატანაშვილი, შ.ჭანკოტაძე და სხვები. ხალხი მოწიწებით ინახავს ომში თავგანწირულთა ხსოვნას.

3. პარტიზანულ ომში. გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა დამარცხებაში თვალსაჩინო როლი შეასრულა პარტიზანულმა მოძრაობამ, რომელიც ომის დაწყებიდანვე გაჩაღდა მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. პარტიზანული ომის გამოჩენილი ორგანიზატორები იყვნენ ს. კოვპაკი, ა. ფედოროვი, ს. რუდნევი, კ. ზასლონოვი, ა. საბუროვი და მრავალი სხვა.

პარტიზანულ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი მეომრები. ს. კოვპაკის ლეგენდარულ დივიზიაში ცალკე პოლკს მეთაურობდა დავით ბაქრაძე. მისმა პოლკმა გაანადგურა მტრის 67 ტანკი, 19 ქვემეხი, 300-ზე მეტი ავტომანქანა, ხელთ იგდო სარკინიგზო ეშელონები.

ყირიმისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს პ. გვალიას, ს. ჩაჩხიანის პარტიზანულმა რაზმებმა. უკრაინაში უმამაცესი პარტიზანი მეომრის სახელი მოიხვეჭა ივანე რეხვიაშვილმა. გმირობის შარავანდედითაა მოსილი ქართველი პარტიზანი ქალიშვილის ზოია რუხაძის საბრძოლო გზა ყირიმში, ფაშისტებმა იგი სასტიკად აწამეს.

ასობით ქართველი მონაწილეობდა პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის პარტიზანულ რაზმებში. იტალიელ პარტიზანთა შორის ქართველ მეომრებს თავიანთი საბრძოლო ჯგუფები ყავდათ. იტალიელი ხალხის მეხსიერებაში უკვდავია პარტიზან ფორე მოსულიშვილის ლეგენდარული გმირობა. ქართველი პარტიზანები თავდადებით ებრძოდნენ გერმანელ ფაშისტებს ოკუპირებული საფრანგეთის მიწა-წყალზე.

ქართველ ტყვეთა სიცოცხლის გადასარჩენად ენერგიული მუშაობა გასწია ქართულმა ემიგრაციამ საფრანგეთსა და გერმანიაში. ამ საქმეს მოთავეობდნენ მიხეილ კედია, ექიმი გიორგი მაღალაშვილი, ა. ცომაია, პროფ. ს. ნიკურაძე და სხვები. ბერლინში 1943 წ. შეიქმნა „კავკასიური შტაბი“. იგი ითვალისწინებდა ომში რუსეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამარცხების ვითარებაში მოევლო კავკასიის ერებისათვის და დაეხსნა იგი კოლონიური მდგომარეობიდან. „კავკასიის შტაბი“ ვერ შეურიგდა კავკასიის მიმართ ფაშიზმის ოფიციალურ იდეოლოგიას და მასთან მუდმივი კონფლიქტის გამო პრაქტიკული საქმიანობა ვერ გაშალა დასახული გეგმის მიხედვით. ომის პერიოდში ქართველმა ემიგრანტებმა დაიხსნეს ათასობით ტყვე, ფაშისტურ რისხვას გადაარჩინეს არა მარტო ტყვე ქართველი ებრაელები, არამედ რუსეთის ებრაელებიც. ამ პატრიოტულ საქმიანობაში მიხ. კედიასა და გ. მაღალაშვილის გვერდით იდგნენ კ. სალია, ზ. ავალიშვილი, ვ. ნოზაძე, მ. წერეთელი, ა. ასათიანი, დ. სინჯიკაშვილი, ის. მანწკავა, შ. მაღლაკელიძე, მ. ტუღუში, მ. ალშიბაია და სხვები. მათი მესვეურობით შედგა კიდეც ქართველ ტყვეთა საჯარისო ნაწილები. მათს ამოცანას საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა შეადგენდა.

მეორე მსოფლიო ომში თავი ისახელა დიმიტრი (ბაზორკა) გიორგის ძე ამილახვარმა. პარიზის სენ-სირის სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებული, იგი ომის დაწყებიდანვე ჩაება ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მონაწილეობდა აფრიკის, იტალიის, ინგლისის ტერიტორიაზე გაჩაღებულ ბრძოლებში. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გენ. ე. რომელის არმიის წინააღმდეგ ოპერაციებში, ე. წ. „უდაბნოს ვერდენის“ ბრძოლებში. დ. ამილახვარი დაიღუპა გმირულად ელ-ალამეინის ბრძოლაში 1942 წელს. იგი საფრანგეთის გამოჩენილ მხედართუფროსთა შორის მოიხსენიება. სერ-სირის სამხედრო სასწავლებლის 143-ე გამოშვებას მისი სახელი აქვს მინიჭებული.

1945 წ. ქართველმა ტყვე მეომრებმა კუნძულ ტექსელზე (ჰოლანდია) მოაწყვეს აჯანყება გერმანელ ფაშისტთა საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ. მოსახლეობის მხარდაჭერით ისინი დაეუფლნენ კუნძულს. დახმარებისათვის ინგლისის მთავრობასაც მიმართეს, მაგრამ ამაოდ. გერმანელ-ფაშისტთა გაძლიერებულმა სამხედრო ნაწილებმა აჯანყებულებს შეუტიეს. გადამწყვეტ ბრძოლაში დაიღუპა 500 ქართველი, მათ შორის რაზმის მეთაური შალვა ლოლაძე, კომისარი ს. გუჯაბიძე, იტალიაში, საფრანგეთში, კუნძულ ტექსელზე ქართველ მეომართა საბრძოლო გმირობანი შთამბეჭდავადაა ასახული გამოჩენილი ქართველი მწერლის რევაზ თაბუკაშვილის მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმებში.

გერმანელ-ფაშისტთა დამარცხებით მეორე მსოფლიო ომი არ დასრულებულა. საბჭოთა მთავრობამ შეასრულა აშშ და ინგლისის მთავრობებთან დადებული შეთანხმება ყირიმის კონფერენციაზე

და იაპონიას ომი გამოუცხადა. საბჭოთა ჯარებმა დაამარცხეს კვანტუნის არმია და დაიკავეს მანჯურია, სამხრეთ სახალინი, კურილიის კუნძულები, ჩრდილოეთ კორეა. იაპონია იძულებული გახდა 1945 წლის 2 სექტემბერს უსიტყვო კაპიტულაცია გამოეცხადებინა. იაპონიის არმიის წინააღმდეგ მებრძოლი საბჭოთა ჯარების შემადგენლობაში იბრძოდა მრავალი ქართველი მეომარი. მათ ჩვეული მამაცობა და გმირობა გამოიჩინეს.

მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა. ათიათასობით ქართველმა მეომარმა დაიმსახურა საომარი მაღალი ჯილდო, 164-ს საბჭოთა კავშირის გმირის უმაღლესი წოდება მიენიჭა. ქართველმა ხალხმა ნათლად უჩვენა თავისი გმირული საბრძოლო სულისკვეთება, ეროვნული მხედრული მაღალი ტრადიციები და დიდი პოტენციალი. 20-ზე მეტი ქართველი გენერალი, ათასობით ოფიცერი მონაწილეობდა სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო, პარტიზანულ ბრძოლებში. ომს 300 ათასზე მეტი ქართველი მეომარი შეეწირა, ათასობით ადამიანი დასახიჩრდა, მრავალმა ოჯახმა დაჰკარგა მარჩენალი.

დღევანდელ თაობას არა ერთხელ აღუძრავს კითხვა, აუცილებელი იყო თუ არა ამდენი მსხვერპლი, როცა ომი საქართველოს ტერიტორიაზე არ წარმოებდა, ან კანონზომიერი იყო თუ არა ქართველ მეომართა ესოდენ გმირული თავგანწირვა იმ იმპერიის დასაცავად, რომელმაც 1921 წელს თვით განახორციელა საქართველოს ოკუპაცია და წაართვა მას ეროვნული სუვერენიტეტი. არის ამ კითხვაში შინაგანი ლოგიკა. მაგრამ ყოველი ფაქტი და მოვლენა უნდა შეფასდეს ისტორიული მიდგომით. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ოცწლიანი მიზანსწრაფული ღონისძიებებით ომის წინ ქვეყანა მთლიან ერთეულად იყო შეკრული. უნიტარიზმის პრინციპები უკიდურესობამდე იყო მიღწეული და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი ყველა ერი ნებით თუ უნებლიეთ თავისთავს „ერთიანი საბჭოთა ოჯახის" განუყოფელ ნაწილად თვლიდა. გერმანელ ფაშისტთა თავდასხმა საბჭოთა ქვეყანაზე ყველა ეროვნების საბჭოთა მოქალაქემ მაშინ გაიცნობიერა როგორც საკუთარი უბედურება. ამ მხრივ დიდი მიზანსწრაფულობით ხასიათდებოდა საბჭოთა პროპაგანდა. ფაშისტური გერმანია და მისი მეთაური ჰიტლერი წარმოსახული იყო საბჭოთა ქვეყნის უბოროტეს მტრად, რომელიც შემოგვესია იმ მიზნით, რომ დაეპყრო ჩვენი მიწა-წყალი და მთელი ხალხი დაემონებინა. ომის პირველი დღეებიდანვე ცხადი გახდა, რომ ფაშისტური ოკუპანტები მართლაც ერთნაირი დაუნდობლობით ჟლეტდნენ საბჭოთა ქვეყნის ადამიანებს განურჩევლად მათი ეროვნებისა. ამიტომაც ქართველი მეომარი საბჭოთა ქვეყანას

ერთნაირი შემართებით იცავდა ბრესტთანაც, მოსკოვისა და ლენინ-
გრადის მისადგომებთან, სტალინგრადთან იმის მოტივითა და შეგ-
ნებით, რომ იგი იცავდა „სოციალიზმის მონაპოვარს“, რომელიც
მაშინ უმაღლესი ღირებულების რანგში იყო აყვანილი, ამასთან
იცავდა თავის რესპუბლიკასაც, რომელიც ჰიტლერის გეგმებში და-
საპყრობად იყო გამიზნული. ამ რწმენის ადამიანებს, — მეომრებსაც
და ზურგის მშრომელებსაც, ამოძრავებდა მტერზე გამარჯვების
საერთო რწმენა და მან გაიღო კიდეც თავისი წვლილი. ამიტომ არა
საყვედურის, არამედ მოწიწებით მოხსენიებისა და სათანადო და-
ფასების ღირსია ყველა, — მეომარიც და ზურგის მშრომელიც, —
რომლებიც ომის წლებში მთელი ენერგიით და შესაძლებლობით
მონაწილეობდნენ გამარჯვების მოპოვებაში.

§ 5 საქართველო 1946—1955 წლებში.

1. სახალხო მეურნეობის აღდგენითი ღონისძიებანი. გერმანელ-ფაშისტთა წინააღმდეგ ომში საბჭოთა ქვეყნის გამარჯვება კოლოსალური მსხვერპლის ფასად იქნა მიღწეული. ჯერ კიდევ დაუზუსტებელი ცნობებით ომს შეეწირა 27 მილიონი საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე. ომით გამოწვეული ზარალი 2.569 მილიარდ მანეთს აღემატებოდა. 1946 წ. მარტში მიღებულ იქნა კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ომის შემდგომი პირველი (რიგით მეოთხე) ხუთწლედი მიზნად ისახავდა ომის ჭრილობების მოშუშებას, აღდგენით სამუშაოებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების შემდგომ განვითარებას.

საქართველოს ფაშისტთა ჯარების მხრივ ოკუპაცია, მართალია, არ განუცდია, მაგრამ ომის მძიმე შედეგები აქაც დიდად საგრძნობი იყო. ომის პერიოდის საქართველოს მრეწველობა და ნაწილობრივ სოფლის მეურნეობა ვითარდებოდა ცალმხრივად, ომის ინტერესებისადმი დაქვემდებარებით. მაგალითად, ომის ინტერესები კარნახობდნენ ლითონდამამუშავებელ და მეტალურგიული მრეწველობის დაწინაურებას. ამიტომაც 1946 წლისათვის სახალხო მეურნეობის ზოგი დარგი ომამდელ დონესაც საგრძნობლად ჩამორჩებოდა. საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, რომელიც 1946 წლის აგვისტოდან მოქმედებაში შევიდა, ითვალისწინებდა მეტალურგიული, ქვანახშირის, საავტომობილო, მანგანუმის, ენერგეტიკის და მრეწველობის სხვა დარგების გან-

ვითარებას, სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის ამაღლებას, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოთა ზრდას, კულტურის წინსვლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე ხუთწლედის მანძილზე საქართველოში მწყობრში ჩადგა რამდენიმე ახალი მსხვილი საწარმო. მათ შორის ყველაზე დიდი მოცულობისა იყო ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, რომლის პირველი საამქრო უკვე 1946 წელს შევიდა ექსპლუატაციაში. სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა. ამოქმედდა გორის საფეიქრო კომბინატი, ჭიათურის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა, ქვანახშირის ახალი შახტები ტყიბულში, ტყვარჩელსა და ახალციხეში, თბილისის ელმავალშემკეთებელი ქარხანა, თბილისის პლასტმასის ქარხანა, რიგი მსხვილი საწარმოები ქუთაისში, აფხაზეთსა და აჭარაში.

მძიმე მრეწველობის ისეთ მსხვილ საწარმოთა მშენებლობა, როგორიცაა, მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული კომბინატი და ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, არ შეესაბამებოდა რესპუბლიკის ეკონომიკის ინტერესებს. ისინი ისე როგორც სხვა მრავალი წარმოებანი, წარმოადგენდნენ საბჭოთა უნიტარული სახელმწიფოს ერთიანი სამრეწველო კომპლექსის ადრევე ჩაფიქრებული გეგმის ნაყოფს და იმის მისწრაფებას, რომ ნულოვან დონეზე დაყვანილიყო რესპუბლიკის სამეურნეო დამოუკიდებლობა. ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში ძირითადად მიმდინარეობდა სატვირთო მანქანების აწყობითი სამუშაოები, ისე, რომ საჭირო ნაწილებს ქარხანა იღებდა საბჭოთა ქვეყნის რიგი შორეული ქარხნებიდან. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ნედლეული სხვა რესპუბლიკებიდან შემოქონდა და მისი პროდუქციაც საკავშირო მოხმარებისათვის იყო გამიზნული. ნედლეულით მომარაგების, ტექნიკური აღჭურვილობის, პროდუქციის მოხმარების მხრივ თითქმის ყველა საწარმო ჩართული იყო ერთიან საბჭოურ სისტემაში და განწირული იყო დახურვისათვის, თუ დაირღვეოდა უნიტარული სამრეწველო მიმოქცევა ან ინფრასტრუქტურა. ერთი სიტყვით, საქართველოს ეკონომიკა ხასიათდებოდა კოლონიური ეკონომიკის ყველა ნიშნით.

დიდ საწარმოთა მშენებლობამ შეაპირობა უცხო ეთნიკური ელემენტების მომრავლება რესპუბლიკაში, ამასთან გააძლიერა სოფლის მოსახლეობის მიგრაცია ქალაქებში, გამოიწვია განსაკუთრებით მთიანი ზოლის დაცარიელება და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა სოფლის მეურნეობას, განსაკუთრებით მარცვლეულ კულტურას და მესაქონლეობას.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ზემოდან მითითების საფუძ-

ველზე ზედიზედ იღებდა ახალ და ახალ დადგენილებებს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ახალ წამოწყებათა ეგიდით, მაგრამ ამ დადგენილებათა დიდი ნაწილი უპირისპირდებოდა საქართველოს სამეურნეო ტრადიციებს, ან ვერ ხორციელდებოდა პრაქტიკაში. შეცდომა იყო მეტისმეტი გატაცება საქართველოში ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების ფართობთა ზრდით, რაც მარცვლეული კულტურის ნათესთა შემცირების ხარჯზე ხორციელდებოდა. 1949—1950 წლების დიდმა ყინვებმა გაახმო ციტრუსოვანთა პლანტაციები, რითაც რესპუბლიკამ მძიმე ზარალი განიცადა. ნავარაუდევი ეფექტი ვერ გამოიღო კოლხიდაში ჭაობების ამოსაშრობად გაწეულმა დიდმა სამუშაოებმა, რადგან ისინი დაბალ ტექნიკურ დონეზე ხორციელდებოდა. გამოქვეყნებული სტატისტიკური ციფრები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში თითქოს წარმატებას მოწმობდნენ, მაგრამ ამ ფიქტიური მონაცემების მიღმა მრეწველობაშიც, სოფლის მეურნეობაშიც, ტრანსპორტზეც იმალებოდა ჩამორჩენა. დატვირთვით ვერ მუშაობდნენ და გეგმებს ვერ ასრულებდნენ ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა. ჩამორჩებოდნენ სამშენებლო ორგანიზაციები, რესპუბლიკის ენერგოსისტემა. მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების მხრივაც წინსვლა არ იგრძნობოდა. სოფლის მეურნეობა წინსვლის ნაცვლად, თანდათან დაღმავლობის გზით მიდიოდა. იგი ვერც მრეწველობას ამარაგებდა საჭირო ნედლეულით, ვერც ქალაქების გაზრდილ მოსახლეობას სასურსათო პროდუქციით. შემპარავად იკაფავდა გზას მიწერებისაკენ დამღუპველი მისწრაფებანი, და ე. წ. „ჩრდილოვანი ეკონომიკა“.

2. რეპრესიები იდეოლოგიურ სფეროში. უმძიმეს ომში გამარჯვებული ხალხი, რომელმაც ადრე საშინელი რეპრესიების ხანა გამოიარა, იმსახურებდა მეტ ნდობას, ამასთან ღირსეულ და სათუთ მოპყრობას მთავრობის მხრივ. სახალხო მეურნეობის აღდგენის ინტერესები მოითხოვდა ევროპის ასპარეზზე ფართოდ გასული ქვეყნის ინტელიგენციის თვალსაწიერის გაფართოებას, მეცნიერებასა და ტექნიკის დარგებში მსოფლიო მიღწევათა გაცნობასა და დანერგვას, მეტ შემოქმედებით თავისუფლებას. მაგრამ ომის შემდგომ პერიოდში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა კვლავ შეუპოვრობით შეუდგა სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის გატარებას. შემოქმედების ყველა სფეროში უმკაცრესი ბრძოლა გამოეცხადა თავისუფალ აზროვნებას. ისევ გრძელდებოდა პარტიული დოგმებისადმი მონური მორჩილება. აზრის დიქტატურა გამოვლინებას

პოულობდა შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობასთან დაკავშირებით ახალ და ახალ დადგენილებებში. 1946 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილებანი ჟურნალების „ზვეზდას“ და „ლენინგრადის“ შესახებ, „დრამატიული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების შესახებ“, კინოფილმ „დიდი ცხოვრების“ შესახებ. ამ დადგენილებათა თეორიული „დასაბუთება“ გადმოცემული იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. ჟდანოვის 1946 წლის სექტემბრის მოხსენებაში, რომელიც საბჭოთა კულტურას მთლიანად უმორჩილებდა პარტიულ დოგმატიზმს და მისგან მცირეოდენ გადახვევას ნათლავდა მონურ ქედმოხრად დასავლეთის მტრული ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინაშე. 1948 წელს ასეთივე შინაარსის დადგენილება გამოიცა მუსიკის სფეროშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეოლოგიურ დიქტატურის გაძლიერებაზე კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიერ აღებული კურსი უნიტარული სახელმწიფოს ყველა რეგიონში და ორგანოში უსიტყვოდ ხორციელდებოდა. საქართველოს კომპარტიამ 1946—1947 წლებში განიხილა საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი შემოქმედებითს ორგანიზაციებზე და აქაც მიაგნო სოციალიზმისათვის შეუფერებელ და მტრულ გამოვლინებებს. ქართველ მწერალთა, არქიტექტორთა და მხატვართა ყრილობებზე რიგი ჭეშმარიტად მაღალმხატვრული ქმნილებები „გამარჯვებული სოციალიზმის“ ქვეყნისათვის შეუფერებლად და მავნედ გამოაცხადეს. რეპრესიები იწვნიეს რესპუბლიკის ყველაზე თვალსაჩინო და ნიჭიერმა შემოქმედმა მუშაკებმა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 13 მარტის დადგენილებაში („ქართველ საბჭოთა კომპოზიტორების მუშაობის შესახებ“) რიგი მაღალმხატვრული მუსიკალური ნაწარმოები საბჭოთა სინამდვილისათვის უცხოდ და მავნედ იქნა მიჩნეული. იმავე წლის 22 მაისის დადგენილება თავს დაატყდა ქართველ მხატვრებს, რომელთაც ბრალად ედებოდა ფორმალიზმი და პრიმიტივიზმისადმი გამოდევნება. (დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი და სხვ.). კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური თვალი უნდობლად უყურებდა ქართულ მეცნიერებასაც. გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს პარტია ბრალდებად უყენებდა ბურჟუაზიულ შეხედულებათა შემოპარების მცდელობას, კოსმოპოლიტიზმს, ნაციონალისტურ მიდრეკილებას. მძიმე იდეური თავდასხმა განიცადეს ქართულმა ფილოსოფიურმა და ფსიქოლოგიურმა სკოლებმა, აგრეთვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

დარგებმა, რადგან ზოგი მათი წარმომადგენელი ლისენკოსა და პავლოვის მეცნიერულ დოგმატიზმს არ იზიარებდა.

3. ქართველთა მასობრივი გადასახლება შუა აზიაში. „მეგრელთა საქმე“. ქართველი ინტელიგენცია, როგორც ცნობილია, საბჭოთა რეჟიმის პირველი დღიდანვე „ბურჟუაზიული ნაციონალიზმის“ ბუდედ იყო გამოცხადებული და მისი, როგორც „მტრული ძალის“ წინააღმდეგ უმკაცრესი ღონისძიებანი ხორციელდებოდა. საბჭოთა რეჟიმის პირველ ოცწლეულში უკვე განხორციელდა ქართველი ინტელიგენციის „წმენდა“, რასაც ათეული ათასობით სიცოცხლე შეეწირა. ქართველმა ინტელიგენციამ ომის წლებშიც მძიმე დანაკლისი განიცადა.

პარტიული დიქტატურის ვითარებაში 1946 წლიდან ეჭვი ქართველი ინტელიგენციის მიმართ კვლავ წინაპლანზე დადგა. ამ ეჭვს თავის მხრივ აღვივებდა ლ. ბერია, რომელიც, მართალია, უშუალოდ აღარ მესვეურობდა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას, მაგრამ საკავშირო მაღალი პოსტიდანაც ურევდა ხელს „საქართველოს საქმეში“. მისი ერთგული თანაშემწე საქართველოში იყო ნ. რუხაძე, რომელიც თავისი მასწავლებლის მეთოდებით უსწორებდა ანგარიშს ქართველ ინტელიგენციას.

1951 წ. ბოლოსათვის ფარულად მომზადდა საქართველოდან შუა აზიაში ინტელიგენციის მასობრივი გადასახლება. ამ აქციისათვის რუსეთიდან საგანგებოდ იქნა გამოწვეული შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ქვეგანაყოფები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ოპერაციის მეთვალყურეობა ქართველ კომუნისტთა ჯგუფსაც მიანდო. გადასახლებას დაექვემდებარა ყველა ოჯახი, რომლის წევრი ან ტყვედ იყო ნამყოფი 1941—1945 წლების ომში, ან ნათესაურად დაკავშირებული უცხოეთის ქართულ ემიგრაციასთან. თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში ჩააყენეს სარკინიგზო ეშელონები. ოპერაცია 1951 წლის 25 დეკემბერს — კათოლიკურ შობა-დღეს განხორციელდა. 20 ათასამდე ქართველი სახელდახელოდ, წინასწარ შეუტყობინებლად და მოუმზადებლად ჩაჰყარეს ვაგონებში. ცნობილი ქართველი ეროვნული მოღვაწის რევაზ გაბაშვილის შვილი არქიტექტორი გურამ გაბაშვილი ოჯახითურთ გასახლებულ იქნა იმის გამო, რომ მამა ემიგრაციაში ცხოვრობდა, თუმცა შვილი მან ორი წლისა დატოვა. გასახლებულ იქნა თვალსაჩინო ეროვნული მოღვაწე სამსონ ფირცხალავა, რომელიც პარიზიდან დაბრუნდა საშშობლოში, რათა სამუდამო განსასვენებელი მოხუცს მშობლიურ მიწაში ეპოვა. გასახლებულთა შორის იყვნენ მწერალი ნ. ინასარიძე, მეცნიერები ნ. ჩხატარაშვილი, ჯ. გი-

უნაშვილი, გ. ასათიანი, ხელოვნების დარგში მოღვაწენი და-ძმა თ. და გ. მასხარაშვილები, თ. ციციშვილი, ბაბო დადიანი, ფეხბურთელი ზ. ქვარიანი და სხვები იმ მოტივით, რომ მათი ოჯახის წევრი ომში წილად ხვდათ ტყვეობა, ან რომელიღაც ნათესავი ყავდათ საზღვარგარეთ. ბევრი გადასახლებული პირველსავე დღეებში შეეწირა ჯოჯოხეთურ მგზავრობას. ს. ფირცხალავა გზაშივე გარდაიცვალა და გამყოლმა გულშემატკივრებმა იგი ტრამალში დაკრძალეს. ქართველობა ჩაასახლეს ყაზახეთის „მშიერ უდაბნოს" ყიზილ ყუმებში საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მუშებად. უნდა ითქვას, რომ რეპრესირებულმა ქართველობამ გაუძლო ამ ხვედრს, თუმცა მას ასობით ბავშვისა და მოხუცის სიცოცხლე შეეწირა. გადასახლებულთ სამშობლოში დაბრუნების უფლება მხოლოდ 1954 წელს დართეს.

ქართველი ხალხისათვის ავბედით 1951 წელსვე დაიწყო ე. წ. „მეგრელთა საქმე", რომლის ფაბრიკაცია კრემლში საიდუმლოდ განხორციელდა. ეს ოპერაცია შემზადდა ბერიას წინააღმდეგ, რომელსაც ძალაუფლებისკენ შეუზღუდველი მისწრაფების გამო ბოლო ჟამს სტალინიც ეჭვით უცქეროდა. მეგრული წარმომავლობის ხელმძღვანელ მუშაკებს ბრალი დასდეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოყოფისა და თურქეთთან შეერთების მცდელობაში და ამასთან დაკავშირებით უცხოეთის სახელმწიფოებთან ჯაშუშურ ურთიერთობებში. მეგრელთა ჯგუფის ლიკვიდაციის ოპერაციასაც ნ. რუხაძე ხელმძღვანელობდა. ზემოდან მითითების საფუძველზე თავი გამოიდეს კომუნისტმა ფუნქციონერებმაც, რომლებიც მოგონილი ბრალდებებით საზოგადოებრიობაში სახელს უტეხდნენ მეგრელ ფუნქციონერებს. დააპატიმრეს მეგრელი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები კ. ბეჭვაია, ნ. ჟვანია, ა. მირცხულავა, მ. ზოდელავა, მ. ბარამია, და სხვები. ათეულობით მეგრელი გარიცხეს პარტიის რიგებიდან. ქართული საზოგადოებრიობა გრძნობდა, რომ ე. წ. „მეგრელთა საქმე" პროვოკაციული მონაჭორი იყო, მაგრამ ტოტალური დიქტატურის ვითარებაში მის წინააღმდეგ გალაშქრება არავის გაუბედია. ეს სამარცხვინო კამპანია მხოლოდ სტალინის გარდაცვალების შემდეგ შეწყდა. პატიმარი მეგრელები გაათავისუფლეს. საქართველოს კომპარტიას კი ეს კამპანიაც ერთ-ერთ შავ ლაქად შერჩა თავის საქმიანობაში.

4. სტალინის გარდაცვალება. XX ყრილობის კურსი. 1953 წლის 5 მარტს გარდაიცვალა ი. სტალინი. ხალხმა გულწრფელად გამოიგლოვა თავისი ბელადი, რომლის კულტი ამ დროისათვის ჰიპეტროფიამდე იყო მისული. საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის სათავეში წამყვანი პოზიცია ბერია-მალენკოვის ჯგუფმა

დაიკავა, მაგრამ არ გაუვლია დიდ დროს და მომზადდა შეთქმულება. ბერია სახელმწიფოებრივ საჭეს ჩამოაცილეს, როგორც პოლიტიკური ავანტურისტი, პარტიისა და ხალხის მტერი, გაასამართლეს და დახვრიტეს. 1953 წ. ივლისის პლენუმმა მოიწონა საკავშირო კომუნისტური პარტიის ცეკას პრეზიდიუმის გადაწყვეტილებანი ამ მიმართულებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მალე ნ. ხრუშჩოვი გახდა.

1952—1956 წლებში საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობაშიც არსებითი ცვლილებები განხორციელდა, რაც უმთავრესად კრემლში შექმნილი ცვალებადი სიტუაციებით იყო შეპირობებული.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ თანდათან დაიწყო პიროვნების კულტის წლებში რეპრესირებულთა გათავისუფლება და სამშობლოში დაბრუნება. ლ. ბერიას დახვრეტის შემდეგ წყალი შეუდგა საქართველოში მის უერთგულეს მოწაფეს ნ. რუხაძეს, რომელიც მის თანამონაწილეებთან ერთად დაპატიმრებულ იქნა.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1955 წ. სექტემბერში განიხილა ა. რაფავას, ნ. რუხაძის, შ. წერეთლის, კ. სავიცკის, ნ. კრიმიანის, ა. ხაზანის, მ. პარამონოვის და სხვ. სისხლის სამართლის საქმე. სასამართლო პროცესზე გაირკვა, რომ რუხაძე, რაფავა, წერეთელი, რომელთაც სხვადასხვა დროს ეკავათ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის, საქ. სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის, ან მისი მოადგილის თანამდებობანი, კრიმიანი, სავიცკი, ხაზანი, პარამონოვი, და სხვ., რომლებიც იყვნენ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა გამომძიებლები, აქტიურად მონაწილეობდნენ ბერიას თაოსნობით წამოწყებულ დამსჯელ ღონისძიებებში, ისინი სპობდნენ პატიოსან, ქვეყნის ერთგულ ადამიანებს, ყალბად თითხნიდნენ საგამომძიებლო საქმეებს, პატიმრებისადმი მიმართავდნენ ჯალათურ მეთოდებს, ყალბად აბრალებდნენ რა მათ კონტრრევოლუციურ დანაშაულებათა ჩადენას. ბრალდებულთა დანაშაულებრივ საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ტერორისტულ ძალადობას იმ ადამიანთა წინააღმდეგ, რომელთაც ბერია პირად მტრებად მიიჩნევდა.

უმაღლესი სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულთ მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა.

1956 წ. თებერვალში შედგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა, რომელმაც შეაჯამა XIX ყრილობის შემდეგ განვლილი გზა პარტიულ ხელმძღვანელობაში და „კომუნისტური მშენებლობის პერსპექტივები“ განსაზღვრა. ყრილობამ დაჰგმო პიროვნების კულტი, რომლის მავნე შედეგები ნაჩვენები იყო ნ. ხრუ-

შჩოვის საგანგებო მოხსენებაში. პირ ვნების კულტის დაგმობა დროის მომწიფებული ამოცანა იყო. ...ამ შეცდომა იყო ის, რომ მთელი ყურადღება ერთ პიროვნებაზე — ი. სტალინზე იქნა გადატანილი და მხოლოდ მას დაეკისრა 30—40-იანი წლების ყველა ცოდვა, ყველა ბოროტმოქმედება. ყრილობაზე არაფერი თქმულა თვით პარტიის მცდარ კურსზე, რომელმაც ე. წ. საბჭოური სისტემა თავიდანვე დეფორმაციის გზით წაიყვანა, შეაპირობა კულტის წარმოშობა და მისგან გამომდინარე საბედისწერო შედეგები. ყრილობის შემდეგაც ძალაში დარჩა პარტიული ხელმძღვანელობის ტოტალიტარული სისტემა, პარტიული ბიუროკრატიის ყოვლისშემძლეობა. პიროვნების კულტის მხილება არსებითად სტალინის წინააღმდეგ პირად ანგარიშსწორებაში გადაიზარდა, ხოლო თვით კულტის შემაპირობებელი საფუძვლები ხელუხლებელი დარჩა.

ამან განსაზღვრა პიროვნების კულტის კვლავ აღორძინება, რაც ხრუშჩოვის ვოლუნტარიზმში გამოიხატა.

§ 6. საქართველო 1955—1985 წლებში

1. საერთო ვითარება. 1959 წელს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობამ საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შეჯამების საფუძველზე ის დასკვნა გამოიტანა, რომ სოციალიზმმა მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა საბჭოთა ქვეყანაში. სკკპ ახალ პროგრამაში ჩაიწერა: „სოციალიზმი, რომლის გარდუვალობა იწინასწარმეტყველეს მარქსმა და ენგელსმა, სოციალიზმი, რომლის აშენების გეგმა დასახა ლენინმა, საბჭოთა კავშირში რეალური სინამდვილე გახდა". კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის გენერალური მდივანი ნ. ხრუშჩოვი ე. წ. „განვითარებული სოციალიზმის" ფონზე კომუნიზმის კონტურებსაც ხედავდა და საბჭოთა ხალხს აიმედებდა, რომ იგი მალე, 80-იანი წლებისთვის მიაღწევდა აღთქმულ მიზანს. ოფიციალური იდეოლოგიის მიერ დანერგილ პარადულ განწყობილებას ზურგს უმაგრებდა ფალსიფიცირებული სტატისტიკა. ომისშემდგომი ხუთწლედების შესრულების მაჩვენებლები მოწმობდნენ ქვეყნის პროგრესს, განუხრელ წინსვლას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

მაგრამ გაბატონებული იდეოლოგიის მიერ დანერგილი ოფიციალური სიცრუის მიღმა იმალებოდა პირქუში სინამდვილე: საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობა დეგრადაციის გზით მიემართებოდა,

ეცემოდა შრომის ნაყოფიერება. საბჭოთა ქვეყანა მხარს ვეღარ უსწორებდა მსოფლიო პროგრესს, ისადგურებდა უძრაობის ჭაობისებური ატმოსფერო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1964 წ. კრემლში მომხდარი შეთქმულების საფუძველზე შეიცვალა საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელობა. დაგმეს ნ. ხრუშჩოვის ვოლუნტარიზმი და ქვეყნის საჭე ლ. ბრეჟნევს ჩააბარეს. ამ ცვლილებას არც საშინაო, არც საგარეო პოლიტიკაში არსებითი ცვლილებები არ გამოუწვევია. საშინაო პოლიტიკაში კვლავ გრძელდებოდა ექსპერიმენტები ეკონომიკის გამოსაჯანსაღებლად, მაგრამ ამაოდ. ბიუროკრატიული პარტიული და საბჭოთა აპარატი ისევ ძველი მეთოდებით აგრძელებდა ხელმძღვანელობას, უფრო და უფრო იმტკიცებდა საზოგადოებაში ელიტურ მდგომარეობას, ამასთან მის ზედა და ქვედა ეშელონებში მზარდი ძლიერებით იკიდებდა ფეხს კორუპცია, პროტექციონიზმი და საბჭოური სისტემის აუცილებლად თანმხლები სხვა მოვლენები. საგარეო პოლიტიკაში მშვიდობის ლოზუნგით ხორციელდებოდა უსამართლო ჩარევები აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნების და აზიის სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, უხეში საინტერვენციო ხასიათის აქციები უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ავღანეთის მიმართ.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში გაერთიანებული არარუსი ხალხების ინტერესთა საპირისპიროდ ინტენსიურად ძლიერდებოდა უნიტარიზმი. ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა ურღვევი მეგობრობის პროპაგანდისტულ ხმაურში მინიმუმამდე იკვეცებოდა მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენული უფლებები, ერთიანი საბჭოთა ხალხის ეგიდით ძლიერდებოდა რუსიფიკაცია, ეროვნულ ენებს ხელიდან ეცლებოდა სახელმწიფოებრივი გამოყენების სტატუსი და არეალი.

2. 1956 წ. 9 მარტის ტრაგედია საქართველოში. XX ყრილობაზე პიროვნების კულტის მავნე შედეგების თაობაზე ნ. ხრუშჩოვის მოხსენება პრესაში არ გამოქვეყნებულა.

პიროვნების კულტის კრიტიკა საქართველოში განსაკუთრებულად განიცადეს. ამას რეალური მიზეზი ჰქონდა: სტალინის და ბერიას დანაშაულს საბჭოთა ქვეყნის წინაშე საზოგადოებრიობას პრესა აწვდიდა ისეთი შეფერადებით, რომ მათს რეპრესიულ აქციებში გარკვეულ წილს თითქოს ქართული ფენომენი ასრულებდა. რუსი (და არა მარტო რუსი) ობივატელის წარმოდგენაში სტალინის და ბერიას ქართული წარმომავლობა აპირობებდა ამ ხალხისადმი ზიზღის და სიძულვილის გრძნობას, რასაც ბევრი დაუფარავად ავლენდა კიდეც.

სახაზინო პატრიოტიზმით დაბანგულმა ქართველმა ახალგაზრდობამ, რომლის ცნობიერებაში სტალინი და სამშობლო თაყვანისცემის ერთ დონეზე იყო აყვანილი, ეს უეცარი გარდატეხა [illegible] გულისტკივილით განიცადა. სტალინის კრიტიკას იგი [illegible] ეროვნული სიამაყის შეურაცხყოფად აღიქვამდა. ინიციატივიანი, გაბედული, ღრმად ემოციური, მაგრამ ეროვნულად დათრგუნვილი ქართველი ახალგაზრდობა ერთბაშად მოიცვა ფსიქოლოგიურმა სინდრომმა. 1956 წ. სამ მარტს დაიწყო ცალკეული მანიფესტაციები თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში. მოთავე როლს სტუდენტთა ქალაქი ასრულებდა. მანიფესტაციებმა თანდათან მიიღეს საყოველთაო ხასიათი. 5 მარტიდან დედაქალაქი უმართავი გახდა. დემონსტრანტთა ათასეულები თავს იყრიდნენ მთავარ მოედანზე, სადაც მაშინ საპარადო ტრიბუნა იყო მოწყობილი და მტკვრისპირა სკვერში, სადაც აღმართული იყო სტალინის ვეებერთელა მონუმენტი. ახალგაზრდობას შეუერთდნენ უფროსი ასაკის მოქალაქენიც. ემოციურობის მხრივ ყველას გადააჭარბა საშუალო სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობამ. თბილისი მღელვარე ზღვას დაემსგავსა. საყოველთაო პროტესტის ხმა გადაწვდა მთელ საქართველოს და დედაქალაქთან ერთად აღსდგა ქუთაისი, ბათუმი, გორი და ყველა რაიონული ქალაქი.

მანიფესტაციების ძირითადი ლოზუნგი იყო „გაუმარჯოს ლენილ-სტალინის პარტიას!" „გაუმარჯოს საქართველოს!.." ამაში არაფერი იყო ანტისაბჭოური. კულმინაციურ ეტაპზე ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა დამოუკიდებლობის ლოზუნგი წამოაყენა. ეს მოთხოვნაც კონსტიტუციურ უფლებას არ სცილდებოდა, მაგრამ 9 მარტს დემონსტრაციის მონაწილეებს რუსთაველის პროსპექტზე და სტალინის ძეგლთან ტყვიებით გაუმასპინძლდნენ. 150-ზე მეტი მოუმწიფებელი ახალგაზრდა შეეწირა ამ ტრაგედიას, თუმცა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მუდამ საიდუმლოდ ინახავდა მსხვერპლთა ნამდვილ რაოდენობას.

ამრიგად, 9 მარტი იყო ე. წ. ოფიციალური იდეოლოგიით ეგზალტირებული ახალგაზრდობის პროტესტი, მიმართული უნიტარიზმის კურსის წინააღმდეგ, იგი ტრაგედიით დასრულდა მთავრობის მხრივ ყოვლად გაუმართლებელი რეპრესიების შედეგად. ახალგაზრდული სტრესის დასაოკებლად რა თქმა უნდა, მრავალი საშუალება მოიძებნებოდა, მაგრამ რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა უუნარო აღმოჩნდა. იგი უყოყმანოდ ასრულებდა საკავშირო ორგანოებიდან მოვლინებული შოვინისტი ინსტრუქტორების მითითებებს. საქართველოს კომპარტიის ცეკამ ვერ შეძლო თვითონ

ჩადგომოდა სათავეში მოვლენებს და მოეთოკა ზომიერების ფარგლებში, ან გამოეყენებინა მრავალი სხვა მშვიდობიანი საშუალება, რასაც, ჩვეულებრივ, იყენებენ მანიფესტაციების დასაშლელად. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა გამოთიშეს მოვლენათა მსვლელობიდან. მას მთლიანად დაეპატრონა სამხედრო უწყება, რომელიც მოსკოვის კარნახით მოქმედებდა და რომელსაც ჩაფიქრებული ქონდა სისხლის გამოშვება ახალგაზრდობის სრული მორჩილების მიღწევის მიზნით. მსგავს ანგარიშსწორებას ხალხისადმი, როგორც ცნობილია, ადგილი ქონდა უკრაინაშიც.

9 მარტის ტრაგედიის მიზეზთა გამოსაკვლელად თბილისში მოავლინეს მთავრობის კომისია, რომელიც ცდილობდა სისხლისღვრის მიზეზი მთლიანად ქართველი ახალგაზრდობისათვის გადაებრალებინა. მოსკოველი ექსპერტები შეეცადნენ, დახოცილი ახალგაზრდები დაედანაშაულებინათ აგრესიულობაში იმ ფაქტით, რომ მათ, თითქოს, ტყვია არა ზურგიდან, არამედ პირდაპირ ქონდათ ნასროლი. ეს ფალსიფიკაცია მხილებულ იქნა. დადასტურდა, რომ მანიფესტაციის მონაწილე ახალგაზრდებს არმიასთან შეტაკება არ ქონიათ და ისინი ზურგიდან ნასროლი ტყვიების მსხვერპლი გახდნენ. მაგრამ მოსკოვის კომისიამ მაინც თავისი გაიტანა. დახოცილები ახლობლებს მალულად დაამარხინეს, ხალხს პირში ბურთი ჩასჩრეს, ბოროტმოქმედება მიაფუჩეჩეს.

ნ. ხრუშჩოვმა ქართველ ხალხს ესეც არ აკმარა. პოლიტბიურომ მისი მეთაურობით ქართველთ ბრალი დასდო ნაციონალიზმსა, ეროვნულ განსაკურნებლობისადმი ავადმყოფურ მიდრეკილებასა და ყოყოჩობაში. ამ ბრალდების მუქად წარმოდგენაში კრემლის მესვეურებთან ერთად აქტიურობდნენ კარიერისტი ხელმძღვანელები თვით საქართველოდან.

3. რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრების ხასიათი. 60—70-იანი წლების საქართველო, როგორც ერთიანი საბჭოთა სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი, ხასიათდებოდა ისეთივე სამეურნეო და საზოგადოებრივ-კულტურული მოვლენებით, როგორც ყველა სხვა რეგიონი.

ეს პერიოდი შესამჩნევი იყო ინდუსტრიული პოტენციალის რაოდენობრივი ზრდით. საქართველოში 1960—1970 წლებში მწყობრში ჩადგა რამდენიმე ათეული მსხვილი ახალი საწარმო, მათ შორის ისეთი დიდი ობიექტები, როგორიცაა თბილისის ელექტროიზოლიატორის ქარხანა, ბეტონის ქარხანა და ბეტონის ნაკეთობათა კომბინატი. რუსთავის სინთეტური ბოჭკოს ქარხნის პირველი რიგი და აზოტოვანი სასუქების ქარხანა, ავჭალის სილიკატური აგურის

ქარხანა, სოხუმის საკონსერვო ქარხანა, მცირეგაბარიტიანი ტრა-ქტორების ქარხანა ქუთაისში, ჭიათურა-მანგანუმის ცენტრალური დამხარისხებელ-გამამდიდრებელი ფაბრიკა. გაიზარდა ინდუსტრიული ბაზა. ახალი საწარმოები შეიქმნა ქუთაისში, სოხუმში, ცხინ-ვალში, გორში, ფოთში, ზესტაფონში, ზუგდიდში და სხვა რაიო-ნებში, განხორციელდა რიგ საწარმოთა გაზიფიკაცია. ამუშავდა თბილისის მეტროპოლიტენი. ინდუსტრიული პოტენციალის ზრდა სტატისტიკური მონაცემების მიხედვით გრძელდებოდა მერვე (1966 1970), მეცხრე (1970—1975) და მეათე (1975—1980) ხუთწლედე-ბში. რაოდენობრივად იზრდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქ-ცია. სუბტროპიკული კულტურების წარმოებაში რესპუბლიკის ხვედ-რითი წონა საკავშირო მასშტაბის 90—100 პროც. შეადგენდა. საქართველოზე მოდიოდა ღვინის საკავშირო წარმოების 50 პრო-ცენტზე მეტი. ქართული ჩაი საკავშირო წარმოების 95 პროცენ-ტამდე ავიდა. საქართველო უშვებდა ელმავლებს, თვითმფრინავებს, სატვირთო ავტომობილებს, წყალქვეშაფრთიან საზღვაო კატარღებს აწარმოებდა ფოლადს, თუჯს, ფეროშენადნობს, ზუსტ ხელსაწყოებს, ავტომატიზაციის აპარატებს, ჩარხებს, სასოფლო სამეურნეო მან-ქანებს და სხვ. ყველა ეს ნაწარმი გადიოდა საბჭოთა ქვეყანაში და საზღვარგარეთ. მაგრამ შემოსავალი ექვემდებარებოდა საერთო სა-კავშირო მოხმარებას, რომლის წილი საქართველოსთვის უმნიშ-ვნელო იყო.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებში ახალმშენე-ბლობები მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის დაძაბული შრომით ხორციელდებოდა. საზოგადოებრიობაში ინერციის ძალით კვლავ დომინანტობდა შრომითი ენთუზიაზმი, რასაც კომუნისტური პარტია „სოციალისტური შეჯიბრების“ ფართოდ გაშლით, მოწინა-ვეთა მეთოდების დანერგვით და წახალისებით ინარჩუნებდა. დაძა-ბული შრომის მიუხედავად, ხალხის მატერიალურ კეთილდღეობას არსებითი გაუმჯობესება არ დასტყობია. ამიტომ უფრო მძლავრად იკიდებდა ფეხს საზოგადოებრიობაში საყოველთაო გულგრილობა და ურწმუნოება, მომხვეჭელობა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მის-წრაფებანი. კომუნისტური პარტია ხალხს უმალავდა სიმართლეს სა-ხალხო მეურნეობაში შექმნილი ნამდვილი ვითარების შესახებ. სა-ზოგადოებრიობას თანდათან უძლიერდებოდა უნდობლობა კომუნის-ტური პარტიის მიმართ. პარტიული ფუნქციონერი მერკანტელისტ მომხვეჭელისა და პროტექციონისტის ცნებებთან იყო გათანა-ბრებული. გაძლიერდა ახალგაზრდობიდან კომკავშირის, როგორც პარტიულ ფუნქციონერთა სკოლის გაუცხოება. რესპუბლიკის პარ-

ტიული ხელმძღვანელები ნაკლოვანებებს მხოლოდ მაშინ გაიხსენებდნენ, როცა „ძველი ხელმძღვანელობა“ ტოვებდა ასპარეზს. საქართველოს კომპარტიის 1972 წ. სექტემბრის პლენუმზე ბრეჟნევ-ბობიდან გაათავისუფლეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მჟავანაძე. მხოლოდ მაშინ აღინიშნა, რომ რესპუბლიკა საგრძნობლად ჩამორჩა სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა დარგში, რომ საზოგადოებრიობაში ფართოდაა ფეხმოკიდებული ამორალური გამოვლინებანი. ყველა ნაკლოვანება, როგორც წესი, მიეწერა „პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპებისაგან გადახვევას“ და არა თვით საბჭოური რეჟიმის უვარგისობას; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად დანიშნულ იქნა ედუარდ შევარდნაძე.

1972 წ. სექტემბრის პლენუმს, სადაც ფორმალურად გადაწყდა რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის შეცვლის საკითხი, წინ უსწრებდა ამავე წლის 27 თებერვლის დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. ეს იყო ტიპიური კაზიონური დოკუმენტი, რომელსაც კრემლის ხელმძღვანელობა იმარჯვებდა დროდადრო როგორც ხელკეტს იმ რესპუბლიკებისა თუ ოლქების წინააღმდეგ, სადაც შეამჩნევდა ოფიციალური იდეოლოგიისადმი ერთგულებისა და რწმენის მოდუნებას. ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელობას ბრალდებოდა, რომ იგი ვერ იყენებდა განვითარებული ინდუსტრიული ბაზისა და კულტურის დაწესებულებათა ქსელის ფართო შესაძლებლობებს, ვერ ამჩნევდა საერთო ხარვეზებს წარმოების, კაპიტალური მშენებლობისა და მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციაში. დადგენილების აქცენტი გადატანილი იყო იდეოლოგიური მუშაობის ნაკლოვანებებზე, განსაკუთრებულ ჩამორჩენაზე ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდის საქმეში. ამ დადგენილების ხერხემალს წარმოადგენდა უნიტარიზმის კურსი, რომელსაც საბჭოთა სისტემა ეროვნული რესპუბლიკების მიმართ შეუპოვრობით და თანამიმდევრულად ახორციელებდა. დადგენილება იდეოლოგიური მუშაობის ძირითად პრინციპად მიიჩნევდა პარტიულობას, კლასობრიობას, მაღალიდეურობას. იგულისხმებოდა, რომ საქართველოს კომპარტიას ამიერიდან განსაკუთრებით უნდა გაეძლიერებინა მუშაობა საზოგადოებრიობაში ფეხმოკიდებული ეროვნული ტენდენციების აღმოფხვრისათვის, ხალხის „ინტერნაციონალური აღზრდის“ მიმართულებით.

რესპუბლიკის ახალმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ თავისი კურსი შეუფარდა თბილისის პარტორგანიზაციის შესახებ ზემოთ მითითებულ დადგენილებას. სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ჩამორჩენის აღმოფხვრის პრობლემები იხილებოდა პარტიულ და სამეურნეო თათბირზე. მიღებულ იქნა დადგენილებანი პროტექციონიზმის, მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. მთლიანად გადახალისდა პარტიის საქალაქო და სარაიონო ხელმძღვანელობის ძველი შემადგენლობა.

თანმიმდევრულმა საქმიანობამ რესპუბლიკის სამეურნეო ჩამორჩენების დაძლევის მიმართულებით შექმნა წარმატების გარეგნული შთაბეჭდილება. მეცხრე და მეათე ხუთწლედების შესრულების ფალსიფიცირებული ციფრობრივი მაჩვენებლები ქმნიდნენ რესპუბლიკის ჩამორჩენილობიდან გამოყვანის, მისი ეფექტური წარმატებების საერთო სურათს, მაგრამ ეს მაჩვენებლები სინამდვილეს არ ასახავდნენ. გეგმების გადაჭარბებით შესრულება უმრავლეს შემთხვევაში ე. წ. „მიწერებით“ ხორციელდებოდა. მაგალითად, ამ მაჩვენებლების მიხედვით რესპუბლიკამ სახელმწიფოს მეათე ხუთწლედში მიჰყიდა 2,6 მილიონ ტონაზე მეტი ყურძენი, ანუ ორჯერ მეტი ვიდრე მეცხრე ხუთწლედში, 674,4 ათასი ტონით მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი და დიდი რაოდენობით სხვა სასოფლო სამეურნეო პროდუქტი. 1984 წელს ყურძნის ჩაბარების გეგმამ რესპუბლიკაში ფანტასტიურ რიცხვს მიაღწია. სინამდვილეში ყურძნის მოსავლის სარეკორდო ზრდა ხორციელდებოდა მიწერებით და სხვ. მაქინაციების გზით. ამან დიდად დაამდაბლა ქართული ღვინის ხარისხი და დასცა მისი ავტორიტეტი საკავშირო და საერთაშორისო ბაზარზე. ჩაის სარეკორდო მოსავლის მიღებაში გამოყენებული იყო იგივე მეთოდები. რაოდენობისადმი გამოდევნებამ ჩაის პლანტაციები განადგურების წინაშე დააყენა, ამასთან მკვეთრად დასცა პროდუქციის ხარისხი.

მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე ხუთწლედების დავალებათა შესრულებისათვის რესპუბლიკა თითქმის ყოველწლიურად იღებდა ჯილდოდ საკავშირო გარდამავალ დროშებს, ორდენებითა და მედლებით აჯილდოვებდნენ რესპუბლიკის პარტიულ და სამეურნეო ფუნქციონერებს, სინამდვილეში კი უფრო და უფრო ძლიერად იკიდებდა ფეხს თვალთმაქცობა და სიყალბე, მექრთამეობა და პროტექციონიზმი. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის მიზანდასახულობას საზოგადოებრიობის მორალური გაჯანსაღების მიმართულებით იმ კონკრეტულ ვითარებაში არ ეწერა წარმატება. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის

ქვეყანაში ეკონომიკის ობიექტური კანონები უგულვებელყოფილი იყო. მკაცრად რეგლამენტირებული, ზემოდან თავს მოხვეული საწარმოო გეგმები და პროფილი რესპუბლიკის ინტერესებს არ უპასუხებდა. საკავშირო მასშტაბით გაბატონებული უძრაობის სულისკვეთება, ჭაობის ატმოსფერო, ისე როგორც ყველა რესპუბლიკაში, აქაც პოვებდა გამოვლინებას. უნიტარიზმის აპოგეის ვითარებაში საქართველოს სამეურნეო და იდეოლოგიური ცხოვრება ყველა ძაფით იყო დაკავშირებული ცენტრთან, — მოსკოვთან, სადაც უმაღლეს პარტიულ ელიტაში დამკვიდრებული იყო სიყალბე და ამორალიზმი. ლ. ბრეჟნევის უახლოესი წრე, რიგ საკავშირო სამინისტროთა ხელმძღვანელობა ეწეოდა დანაშაულებრივ საქმიანობას. ცენტრში მოდებული სენის მეტასტაზები წვდებოდა ყველა რესპუბლიკას, უბიძგებდა მათ დანაშაულისაკენ. ყველა უწყებაში ფეხმოკიდებული იყო მაფიოზური ჯგუფები, რომლებიც ითვისებდნენ სახელმწიფო დოვლათს და ხდებოდნენ ფარული მილიონერები. ხალხის მატერიალური კეთილდღეობა კი დაღმავალი გზით მიემართებოდა. დანაშაულებრივი სისტემა თავად მოითხოვდა მსხვერპლს და მას ათეულობით და ასეულობით ადამიანები ეწირებოდნენ.

4. ეროვნული მისწრაფებათა გაძლიერება. 1978 წ. 14 აპრილი. კომუნისტური პარტიის ოფიციალურმა იდეოლოგიამ ვერ შეძლო მთლიანად ჩაეხშო კრიტიკული აზრი. ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები გაბედულად იმაღლებდნენ ხმას სულიერ სფეროში შექმნილი შემხუთველობის წინააღმდეგ, ამზეურებდნენ ცხოვრების საბჭოური წესის მანკიერებას, იბრძოდნენ ადამიანების თავისუფლებისათვის. ქვეყნის რევოლუციური გარდაქმნის, დემოკრატიზმისა და საჯაროობის ეს პირველი მაცნენი ოფიციალურმა იდეოლოგიამ „დისიდენტებად“ მონათლა და სოციალიზმის მტრებად გამოაცხადა. საბჭოური სისტემის წინააღმდეგ მებრძოლთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა გამოჩენილი ფიზიკოსი აკად. ა. სახაროვი, რომელსაც შემდეგ მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა. ა. სახაროვისა და მის მიმდევართა წინააღმდეგ ხელისუფლება უმკაცრეს რეპრესიებს მიმართავდა. ისინი ციხეებში, ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ყავდათ გამომწყვდეული. ზოგი მათგანი ახერხებდა საზღვარგარეთ გახიზვნას იმ მიზნით, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი აემხედრებინა სსრ კავშირის დიქტატორული წყობილების წინააღმდეგ.

1956 წლის 9 მარტის შემდეგ რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა კრემლის კარნახით ყველა საშუალებით ცდილობდა ჩაეკლა ახალგაზრდობაში ეროვნული დამოუკიდებლობის მისწრაფე-

ბანი, მაგრამ ეს ბოროტი მიზანდასახულობა ვერ განხორციელდა. მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობის მცირე ჯგუფები კონსპირატიულად ეწეოდნენ ეროვნული იდეალებით ახალგაზრდობის იდეური და ორგანიზაციული დარაზმვის საქმეს. 1956 წელს უშიშროების ორგანოებმა მიაგნეს სტუდენტთა კონსპირაციულ წრეს (მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ვიქტორ რცხილაძე, ლ. სიხარულიძე და სხვები), რომელიც ანტირეჟიმულ მოწოდებებს ავრცელებდა და ახალგაზრდობას დარაზმულობისაკენ მოუწოდებდა. უშიშროების ორგანოებმა საზოგადოებრიობას დაუმალეს ამ წრის საქმიანობა. მისი მონაწილენი სათანადოდ დასაჯეს.

60-იანი წლებიდან ქართველ ინტელიგენციაში სათავე დაედო ეროვნული პრობლემატიკისადმი შემოქმედებითი ინტელიგენციის ყურადღების გამახვილებას. მეტი გაბედულებით გაისმა სისტემის კრიტიკა, წინა პლანზე წამოიწია ჰუმანიზმი, ზოგადკაცობრიული ღირებულებანი. ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში ახალი ეტაპის მეკვლედ გამოვიდა სტუდენტი ახალგაზრდობა, რომლის მოთავე და წინამძღოლნი იყვნენ მ. კოსტავა და ზ. გამსახურდია. მათი თაოსნობით შეიქმნა თვითგამოცემანი. მათს არალეგარულ ჟურნალებში („ოქროს საწმისი", „საქართველოს მოამბე", „საქართველო", „მატიანე") წარმოდგენილი იყო ეროვნული სუვერენიტეტის იდეალები, დაგმობილი იყო კომუნისტური იდეოლოგია, მისი ფუნქციონერები. ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა ცხადდებოდა ერის მოძღვარ ილია ჭავჭავაძის მიერ XIX ს. 60-იან წლებში წამოწყებული მოძრაობის უშუალო გაგრძელებად. რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა, მისი უშიშროების ორგანოები დაუნდობლად ებრძოდნენ ამ ახალგაზრდებს. განსაკუთრებით მწვავე რეპრესიები იწვნიეს მ. კოსტავამ და ზ. გამსახურდიამ, რომლებიც 70-იან წლებში არაერთხელ იყვნენ დაპატიმრებულნი და სასჯელს იხდიდნენ შორეულ საპატიმროებსა და გადასახლებაში. მ. კოსტავა და ზ. გამსახურდია საქართველოში ჰელსინკის კავშირის შექმნის მოთავედ გამოვიდნენ.

ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ მძლავრად იჩინა თავი 1978 წელს, როცა რესპუბლიკაში ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა მიმდინარეობდა. საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1922 წლიდან იყო შეტანილი საგანგებო მუხლი, რომელთაც ქართულ ენას სახელმწიფოებრივი სტატუსი ენიჭებოდა. სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, ეს უპირატესობა იმ დროის ქართული საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით იყო მოპოვებული და ფორმალურად

მაინც აღიარებდა ქართული ენის პრიორიტეტს რესპუბლიკაში. 1977 წლის საკონსტიტუციო კომპანია კი მთელ საბჭოთა ქვეყანაში მიმდინარეობდა ზეცენტრალიზაციის სულისკვეთებით. გამოჩნდნენ „თეორეტიკოსები", რომლებიც საბჭოთა ხალხის ერთიანობის ერთ-ერთ კონცეფციის მოშველიებით ცდილობდნენ დაესაბუთებინათ ერების ენობრივი ბარიერების დრომოჭმულობა და კონსტიტუციურად დაედასტურებინათ რუსული ენის შემოღების მიზანშეწონილობა მთელ საბჭოთა ქვეყანაში. რესპუბლიკის კონსტიტუციიდან ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის მუხლის ამოღება ფაქტიურად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში რუსული ენის გაბატონებას მოასწავებდა.

მთელი ქართველი ხალხი ერთსულოვნად აღუდგა წინ ამ მისწრაფების განხორციელების საქმეს. დიდი იყო ამ საქმეში ისტორიკოსისა და ლიტერატურათმცოდნე აკაკი ბაქრაძის დამსახურება. იგი ყველა ინსტანციაში იცავდა ქართული ენის პრიორიტეტს და ილაშქრებდა ამ მიმართულებით რაიმე ცვლილების წინააღმდეგ.

მშობლიური ენის მაღალი უფლების დასაცავად პირველ რიგში აღსდგა სტუდენტობა. თბილისის უნივერსიტეტს მხარში ამოუდგა ყველა უმაღლესი სასწავლებელი. 1978 წ. 12 აპრილიდან დაიწყო გრანდიოზული დემონსტრაციები თბილისში. სტუდენტებს საშუალო სკოლის მოსწავლეებიც ამოუდგნენ მხარში. დედაქალაქი აბობოქრებულ ზღვას დაემსგავსა. რუსთაველის პროსპექტზე ახალგაზრდებმა „დამჯდარი გაფიცვა" გამოაცხადეს. მანიფესტანტთა დიდი ჯგუფი გარს შემოერტყა მთავრობის სასახლეს და გადაჭრით გამოაცხადა, რომ სისხლით დაიცავდა მშობლიური ენის სახელმწიფოებრივ უფლებას.

საქართველოს კომპარტიის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ფხიზლად შეაფასა ვითარება. ცეკას პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ იღონა ყველაფერი იმისათვის, რომ თბილისში 1956 წ. 9 მარტის ტრაგედია არ დატრიალებულიყო. იგი დაუყოვნებლივ მოელაპარაკა ბრეჟნევს და გამოსძალა მას ახალ კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის თანხმობა.

ეს აქცია მთელი ქართველი ხალხის, პირველ რიგში მისი ახალგაზრდა თაობის გამარჯვებას მოასწავებდა. ეს იყო იმის ნათელი დემონსტრაციაც, რომ ქართველ ერს არ ეძინა, არ ჩაქრობია ეროვნული გრძნობა და ძალებს იკრებდა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლის უფრო ფართო მასშტაბებით გასაჩაღებლად.

5. საქართველოს კულტურა 1921—1980 წლებში. მარქსისტულ-ლენინური პროპაგანდით სოციალიზმი წარმოიდგინებოდა საზო-

გადოებად, რომელიც უკეთ და სწრაფად, ვინემ რომელიმე სხვა წყობილება, უზრუნველყოფდა მწარმოებლურ ძალთა წინსვლას, ადამიანთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის განვითარებას უმაღლეს დონეზე. მაგრამ რუსეთი, სადაც ე. წ. „სოციალისტური რევოლუცია" განხორციელდა, ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, მისი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ჩაფლული იყო უმეცრების წყვდიადში. ამიტომ იყო, რომ კომუნისტურმა პარტიამ სწრაფი ინდუსტრიალიზაციისა და მთლიანი კოლექტივიზაციის კურსის მხარდამხარ წამოიწყო ფართო ღონისძიებები ქვეყნის კულტურული გარდაქმნისათვის, რაც „კულტურულ რევოლუციად" იწოდებოდა. ე. წ. კულტურულ რევოლუციას ეკისრებოდა არა მარტო ქვეყნის გამოყვანა ჩამორჩენილობიდან და მისი კულტურული დონის ამაღლება, არამედ ახალი საზოგადოების მშენებელი ხალხის გამსჭვალვა კომუნისტური პარტიის იდეებისადმი ფანატიკური ერთგულების სულისკვეთებით. ე. წ. „კულტურული რევოლუცია" საბჭოთა ქვეყანაში ხორციელდებოდა დეკრეტული წესებით, ფორსირებულად. შეიქმნა წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები, ამოქმედდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი, სწრაფად გაიზარდა საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა, შეიქმნა მუშფაკები, ტექნიკუმები. მაგრამ ზრდის ტემპები ოდნავადაც არ შეესაბამებოდნენ შესაძლებლობას. სასწავლო ქსელს, უმაღლეს სასწავლებლებს არ ყავდათ კვალიფიციურ მასწავლებელთა საკმაო კადრი, არ გააჩნდათ სახელმძღვანელოები, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური დონის სასწავლო კაბინეტები და ლაბორატორიები. თანდათან იზრდებოდა სწავლების დონის დევალვაცია. 30-იანი წლების საბჭოთა სპეციალისტი ნებისმიერ დარგში საერთაშორისო სტანდარტებს დიდად ჩამორჩებოდა, რაც თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებდა სახალხო მეურნეობაზე.

ე. წ. „კულტურულმა რევოლუციამ" მეტი წარმატებით გაართვა თავი მოზარდი თაობის იდეოლოგიზაციის ამოცანას. წესად იქცა, სასკოლო ასაკის ბავშვს გაევლო იდეური აღზრდის საფეხურები (ოქტომბრელი-პიონერი-კომკავშირელი), რომ იგი „სრულყოფილ მოქალაქედ" — კომუნისტად ჩამოყალიბებულიყო. კომუნისტური სულისკვეთებით გამსჭვალული თაობა თავისი მორალით დიამეტრალურად დაუპირისპირდა ტრადიციულ საკაცობრიო ღირებულებებს. ეს თაობა შემზადებული აღმოჩნდა, რომ უდრტვინველად აეტანა ისტორიაში უპრეცენდენტო რეპრესიები, ნორმალური ადამიანური პირობების გარეშე ეშრომა მორჩილად და ენთუზიაზმით, მუდმივი

შიშით დაკომპლექსებულს უსიტყვოდ ეკეთებინა ყველაფერი, რასაც კომუნისტური პარტია და მისი მესვეურები აკისრებდნენ.

ე. წ. „კულტურული რევოლუციის“ ზემოთ მითითებული ნიშან-თვისებანი და მიმართულება საერთო იყო საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში. ამ ნიშან-თვისებებით ხასიათდებოდა 20—70-იანი წლების საქართველოც.

მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული კულტურა, რომლის აღორძინების შინაგანი იმპულსები დამოუკიდებლობის პერიოდში მომძლავრდა, რა თქმა უნდა, ვერ შეეგუა იმ პრინციპებს, რასაც ე. წ. „კულტურული რევოლუცია“ ეყრდნობოდა. ქართული მწერლობა, ისე როგორც ყოველთვის, ახლაც სათავეში ჩაუდგა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ. 20-იანი წლების ქართული ლიტერატურის ისეთმა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა, როგორიც იყვნენ მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, პ. ინგოროყვა, გ. ქიქოძე, გ. რობაქიძე, გ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი და სხვ. თავიანთ ქმნილებებში ასახეს ახალი რეჟიმით გამოწვეული ხალხის სატკივარი და მისი მისწრაფებანი. სიტყვა-კაზმული მწერლობის გამოკვეთილ ეროვნულ პოზიციას ოფიციალური იდეოლოგია თვლიდა სოციალიზმის მტრულ გამოვლინებად, ნაციონალიზმის აღორძინებად და ცდილობდა აღეკვეთა იგი მკაცრი რეპრესიებით. ამ რეპრესიებს შეეწირა 20—30-იანი წლების ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალი გამოჩენილი მოღვაწე. რეჟიმმა შესძლო ქართული მწერლობის ერთი ნაწილის აყოლიება. ფეხი მოიდგა ე. წ. „სოციალისტურმა რეალიზმმა“. თანდათან მომძლავრდა კონიუნქტურული ლიტერატურა, რომლის მოწოდებად იქცა ყველა იმ აქციის ქება-დიდება და წახალისება, რასაც უნიტარული რეჟიმი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის კულტურის სფეროებში ახორციელებდა. მაგრამ ეროვნული სულისკვეთება ქართულ მწერლობაში არ ჩამქრალა სოციალიზმის პარადული ზეიმის მკაცრ წლებშიც. 50-იანი წლების მიწურულიდან ქართულ მწერლობაში მოვიდა შემოქმედთა ახალი თაობა, რომელსაც ახასიათებდა ოფიციალური მსოფლმხედველობის მონური ხუნდებიდან გათავისუფლების გაბედული მისწრაფება, მაღალი ჰუმანიზმი, ეროვნული სატკივარის წინა პლანზე წამოწევა, შეურიგებლობა იმ მანკიერ ჩვევათა წინააღმდეგ, რაც 1921 წლიდან, საბჭოური ოკუპაციის გამო შემოიჭრა ხალხის სულიერ ყოფაში. ისინი იყვნენ პირველი მერცხლები იმ რევოლუციური გარდაქმნებისა, რამაც 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოიცვა საბჭოთა ქვეყანა. ქართველი მწერლების

მაღალმხატვრულ ქმნილებებში აისახა კაცობრიობის საერთო სატკივარიც, მისი სანუკვარი იდეალები. საბჭოური არტახების მიუხედავად ქართული ლიტერატურა გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს, გავიდა საერთაშორისო ასპარეზზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული მეცნიერების ყურადღების ცენტრში მუდამ იდგა ხალხის ისტორიული წარსულის, მისი კულტურის წყაროების კვლევა-ძიება. ქართველოლოგიურ მეცნიერებათა წარმატებები სათავეს იღებს 1918 წლიდან, თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისთანავე. დიდმა მამულიშვილმა და მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა ეროვნული უნივერსიტეტის მშენებლობის კვალდაკვალ მის კოლეგებთან და მოწაფეებთან ერთად — (ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, დ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე, ე. თაყაიშვილი, ი. ყიფშიძე, გრ. წერეთელი, კ. კეკელიძე, გ. ჩუბინაშვილი და სხვ.) საფუძველი დაუდო ქართველოლოგიურ სამეცნიერო სკოლებს საქართველოს ისტორიის, ქართული ენის, ლიტერატურის, ხელოვნების, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის დარგებში კვლევა-ძიებისათვის. მეცნიერების ამ დარგებს არაერთხელ ხვდათ წილად განეცადათ უმკაცრესი რეპრესიები, მათს მსოფლმხედველობაში ხშირად იჩენდა თავს ოფიციალური სტერეოტიპებიც, მაგრამ იმ მძიმე ვითარებაშიც მოხერხდა განხორციელებულიყო დიდი მასშტაბის კვლევა-ძიებანი. შესაძლებელი გახდა საქართველო გადაქცეულიყო იმ ეპიცენტრად, რომელიც დღეისათვის ტონს აძლევს არა მარტო ქართულ, არამედ ახლოაღმოსავლური ცივილიზაციის პრობლემათა კვლევას მსოფლიო მასშტაბით.

დასავლურ სამყაროსაგან გამთიშველი რკინის ფარდის ვითარებაში შეზღუდული იყო ქართველ მეცნიერთა კონტაქტები გარე სამყაროსთან. საქართველოსაგან იზოლირებულად ქართული კულტურის სამსახურში იდგნენ ოკუპაციის შემდგომ ევროპაში გახიზნული მოღვაწენი. ქართველ ემიგრანტთა სათვისტომოებში პარიზში, მიუნხენში, რომში, ოსლოში, ბრიუსელში, ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში შეიქმნა ღირსშესანიშნავი გამოკვლევანი საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე. ისიც აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთ მოღვაწეთა ნაშრომებში გაცილებით ადრე პოვეს დასაბუთება და პოპულარიზაცია იმ იდეალებმა, რომლებიც სულიერად კვებავდა ისტორიულ საქართველოს მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

საბჭოური რეჟიმის შემზღუდველი პირობების მიუხედავად თვალსაჩინო წარმატებებია მიღწეული ქართულ ხელოვნებაში. ქართველ მხატვართა ტილოები ცნობილია მთელ მსოფლიოში. დედაქალაქს და რესპუბლიკის სხვა ქალაქებს ამშვენებენ ცალკეულ ქართველ ხუროთმოძღვართა ნაგებობანი, მოქანდაკეთა მიერ შექ-

მნილი ცალკეული მონუმენტები. საყოველთაოდ აღიარებულია მაღალმხატვრული დონე ქართული კინოსი. ქართულმა ფილმებმა არაერთგზის მოიპოვეს უმაღლესი ჯილდოები მსოფლიო ფესტივალებზე.

ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში მრავალგზის გასტროლებზე უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს ქართულმა თეატრალურმა კოლექტივებმა.

ასევე სახელგანთქმულია ქართული ხალხური და პროფესიული მუსიკა, ქორეოგრაფია. ქართული ხელოვნების ყველა დარგის ქმნილებებში შესისხლხორცებულია ეროვნული ტრადიციები და სულისკვეთება, ამასთან საერთო საკაცობრიო მარადიული ღირებულებანი. ამით გადაურჩა იგი საბჭოურ სისტემაში დამკვიდრებულ ცალმხრიობას.

კულტურის ყველა დარგში თვალსაჩინო მიღწევები აქვთ საქართველოს ავტონომიურ ერთეულებს — —აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებს, საქართველოში მოსახლე ეთნიკური ჯგუფებისათვის (რუსები, ოსები, აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები, ებრაელები, ქურთები და სხვ.) გადაშლილია ფართო ასპარეზი შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

ციფრობრივი მაჩვენებლებით საქართველო დღეისათვის მსოფლიოს ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის დონეზე დგას. მას აქვს 19 უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის ხუთი უნივერსიტეტი, საკუთარი სამეცნიერო აკადემია მრავალი დარგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებით. რესპუბლიკაში 23 თეატრია, მათ შორის ოპერისა და ბალეტის თბილისსა და ქუთაისში, რუსული და სომხური თეატრები თბილისში, აფხაზური თეატრი სოხუმში, ოსური-ცხინვალში.

მაგრამ კულტურის დარგში ეს ეფექტური ციფრობრივი მაჩვენებლები ვერ ასახავს რეალურ სინამდვილეს. სწორედ რაოდენობისადმი გამოდევნებამ კულტურის მრავალ დარგს დიდი ზიანი მიაყენა. მანკიერებით ხასიათდება დაწყებითი და საშუალო განათლების მთელი სისტემა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მოზარდთა ნიჭისა და შესაძლებლობის სრულ გამოვლინებას. უმაღლეს სასწავლებლის მიერ სახალხო მეურნეობისათვის მიწოდებულ სპეციალისტთა დიდი უმრავლესობის კვალიფიკაცია დაბალია და არ შეესაბამება სამეცნიერო ტუქნიკური განვითარების დღევანდელ მსოფლიო დონეს, სამეცნიერო აკადემიისა და სამინისტროთა უწყებების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში დასაქმებული მრავალრიცხოვა-

ნი სამეცნიერო კადრის შემოქმედებითი უკუგება მცირეა მასზე გაწეულ ხარჯებთან შეფარდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურის დარგებში ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდების ბატონობამ, ეროვნულ-კულტურული ტრადიციებისადმი ანგარიშგაუწევლობამ, საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა სახელმწიფოში შემავალ ყველა რესპუბლიკაში, შეაპირობა საერთო დაბალი დონე. გზადახშული აღმოჩნდა კრიტიკული აზრი, პარტიულ და საბჭოთა ბიუროკრატიაში გამეფებული იყო და არის მერკანტილისტური განწყობილება, მომრავლდა კონიუქტურული ინტელიგენცია, გაუფასურდა საკაცობრიო მორალური ღირებულებანი, თავი იჩინი ჭეშმარიტი კულტურისათვის ისეთმა უცხო გამოვლინებებმა, როგორიცაა შრომისადმი აგდებული დამოკიდებულება, გულგრილობა. ქართული კულტურისათვის მავნე აღმოჩნდა სახალხო მეურნეობის ინტეგრაციის ის კურსი, რასაც საბჭოთა კავშირის მთავრობა მისი შექმნიდანვე ახორციელებდა. მკაცრი უნიტარიზმის პირობებში თანდათან იზღუდებოდა საუკუნოებრივი სამეურნეო და კულტურული ტრადიციები. საქართველოს გადაქცევამ ინდუსტრიულ რესპუბლიკად მოშალა წონასწორობა ქალაქსა და სოფელს შორის, შეაპირობა ქალაქების ხელოვნური ზრდა სოფლის მოსახლეობის ხარჯზე. საყოველთაო კოლექტივიზაციამ დაარღვია საქართველოს მრავალდარგოვან მეურნეობათა განვითარების პროპორციები, ყოველივე ამის შედეგად შეფერხდა დემოგრაფიული პროცესები, გართულდა ეკოლოგიური სიტუაცია, გაძლიერდა ეთნიკური სიჭრელე და მასთან დაკავშირებული კომპლიქტური მოვლენები. ზემოთაღნიშნული მანკიერებანი უფრო თვალნათლივია ახლა, როცა ქართველი ხალხის ერთიანი ძალისხმევა ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენისაკენაა მიმართული. კულტურის აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირობებში.

§ 7 ეროვნული სუვერენიტეტისკენ

1. 1989 წ. 9 აპრილი. 80-იანი წლების დამდეგისათვის საბჭოური საზოგადოებრიობის უმრავლესობა გრძნობდა, რომ ქვეყანა დეგრადაციის გზაზე იდგა და უფსკრულისაკენ მიექანებოდა, მაგრამ დიქტატურის ვითარებაში ამის საჯაროდ თქმას ვერავინ გაბედავდა. მხოლოდ თითო-ოროლა კაცი თუ გამოიჩენდა გაბედულებას და ხალხს მოუწოდებდა ძირმომპალი რეჟიმის დამხობისაკენ.

კრიზისი მოედო ზედა ფენებს. ქვეყნის მესაჭის პოსტზე ხშირმა ცვლილებებმა იგი ვერ შეანელა, ჩანდა რომ კომუნისტური პარტია, როგორც პოლიტიკური ძალა, ამოიწურა და მას საზოგადოების ხელმძღვანელისა და წარმმართველის როლი ხელიდან ეცლებოდა.

1985 წლის აპრილიდან, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მისი ახალი გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მეთაურობით, თვითვე აიღო კურსი გარდაქმნისაკენ, მისი ძირითადი მიზანი იყო კრიზისის დაძლევა და სოციალიზმის გადარჩენა დაღუპვისაგან. გარდაქმნის ინიციატორთა კონცეფციით სოციალიზმი იყო და რჩება საბჭოთა ქვეყნის საუკეთესო არჩევანი, მაგრამ ლენინის გრადაცვალების შემდეგ, განსაკუთრებით სტალინის ხელმძღვანელობის პერიოდში, თითქოს მოხდა მისი დეფორმაცია. კომუნისტურ პარტიას ეკისრებოდა დემოკრატიზმისა და საჯაროობის გზით აღდგენა მართველობის ლენინური პრინციპებისა და ჭეშმარიტ სოციალისტურ ღირებულებათა დამკვიდრება. სისტემა, მისი მახინჯი არსი ხელუხლებელი დარჩა.

დემოკრატიზმისა და საჯაროობის ახალ ვითარებაში საბჭოთა საზოგადოებრიობას შესაძლებლობა მიეცა ღრმად ჩაეხედა წარსულსა და აწმყოში, გაეანალიზებინა გამოვლილი გზის ავ-კარგი. მოვლენათა ობიექტური შეფასების ლოგიკამ თანდათან განამტკიცა აზრი, რომ რუსული, ე. წ. „ყაზარმული სოციალიზმი“ იმთავითვე შეუფერებელი და თავსმოხვეული იყო ხალხისათვის, ხოლო ყველა ის მანკიერებანი, რამაც შემდეგ საზოგადოებრივი დაცემულობა და კრიზისი შეაპირობა, თავიდანვე წარმოადგენდა სისტემის თანდაყოლილ სენს, რომელიც მეტ-ნაკლები სიმწვავით ვლინდებოდა მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ 1985 წელს აღებულ კურსს, — ე. წ. პერესტროიკას გამოუჩდნენ ძლიერი ოპოზიციური ძალები როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან. მემარჯვენე ძალები იყვნენ ის კონსერვატორები, რომლებიც მისტიროდნენ წარსულში კომპარტიის ყოვლისშემძლეობას და სოციალიზმის პრესტიჟის გადარჩენის სახელით მოითხოვდნენ ძველისკენ დაბრუნებას; მემარცხენე ძალები კი კომუნისტურ პარტიას საერთოდ, და მის ახალ ხელმძღვანელობასაც თვლიდნენ უნარმოკლებულად საქვეყნო საქმეების მართვაში და წინა პლანზე ე. წ. სოციალისტური სისტემის სრული დემონტაჟის ამოცანას აყენებდნენ. მართლაც, ე. წ. „პერესტროიკას“ წარმატება ეწერა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ სისტემის სრული ნგრევა და დემოკრატიული სახელმწიფოს ახალ სამართლებრივ საფუძველზე აშენება დაიწყებოდა.

„პერესტროიკის“ პირველივე წლიდანვე პოლიტიკური ძალაუფლების მწვავე პრობლემის პარალელურად წინაპლანზე დადგა ეროვნული პრობლემები. უნიტარული სისტემისაგან ათეული წლობით სულშეხუთულ საზოგადოებრიობაში თავი იჩინა ანტიიმპერიულმა განწყობილებამ. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ ყველა რესპუბლიკაში ამოძრავდნენ ეროვნული თვითგამორკვევის ძალები. გახშირდა ეთნიკური კონფლიქტები. საბჭოთა საზოგადოებრიობის სხვადასხვა ჯგუფების მკვეთრი დაპირისპირება სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკურ საკითხებში და გამწვავებული ეროვნული პრობლემები ქმნიდნენ სამოქალაქო ომის საშიშროებას.

„პერესტროიკის“ პირველ პერიოდში საქართველოს რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებას არსებითი ცვლილებები არ შეხებია. პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები ისევ ძველებური მეთოდით აგრძელებდნენ მუშაობას და „ავანგარდული როლი“ რომ გაემართლებინათ, მხოლოდ სიტყვიერი თანაგრძნობით ხვდებოდნენ დემოკრატიზმისა და საჯაროობის ახალ-ახალ ღონისძიებებს.

ქართული საზოგადოებრიობა, აზრის შებოჭილობის მიუხედავად, ბურუსიდან თანდათანობით გამოდიოდა. გარდაქმნისათვის ბრძოლის ავანგარდში აღმოჩნდა ახალგაზრდობა. ახლებურად მოაზროვნე საზოგადოებასა და ძველი ყაიდის ხელმძღვანელობას შორის პირველმა დაპირისპირებამ თავი იჩინა ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით. სტუდენტობა და შემოქმედებითი ინტელიგენცია წინ აღუდგა კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობას. მანვე დაჟინებით მოითხოვა რესპუბლიკის კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობა, პირველ რიგში, დავით გარეჯის უნიკალური კომპლექსის გადარჩენა, რაც შესაძლებელი იყო იმ რაიონიდან სამხედრო პოლიგონის გადატანით.

1988 წლის დამდეგიდან ქართველი ახალგაზრდობის ბრძოლა საზოგადოებრივი და პოლიტიკური რუტინის წინააღმდეგ შორს გასცდა ეკოლოგიურ ჩარჩოებს. მასში თანდათან მომწიფდა ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის იდეა. ახალ ეტაპზე ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მესვეურობა ითავეს მერაბ კოსტავამ, ზვიად გამსახურდიამ, თამარ ჩხეიძემ, გია ჭანტურიამ, ირაკლი წერეთელმა, ირაკლი შენგელაიამ და სხვებმა. მომრავლდა არაფორმალური გაერთიანებანი, სხვადასხვა პარტიათა სახელწოდებებით. დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსთაველის საზოგადოების ჩამოყალიბება. შეიქმნა სახალხო ფრონტი. ყველა პარტიის თუ გაერთიანების პროგრამა წინა პლანზე აყენებდა ეროვ-

ნულ სუვერენიტეტს, მათ შორის განსხვავება ამ სუვერენიტეტის მიღწევის გზებისა და საშუალებების სხვადასხვაგვარ გაგებაზე იყო აღმოცენებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს იმდროინდელმა პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელობამ, რომლის საზროვნო სტერეოტიპები ისევ უნიტარიზმის დოგმატებს ეფუძნებოდა, ვერ გამონახა ვერავითარი საერთო ენა ყოველდღიურად მზარდ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობასთან. პარტიულ ბიუროკრატიასა და საზოგადოებრიობას შორის აღიმართა „გაუცხოების ყრუ კედელი". ბიუროკრატია დაემსგავსა შეუღწევად ბასტიონს. ამიტომ ინტელიგენცია, უპირატესად ახალგაზრდობა წავიდა თავისი გზით, შეუპოვარი ბრძოლა გამოუცხადა სულისშემხუთველ დიქტატურას. დედაქალაქში ყოველდღიური ხასიათი მიეცა მიტინგებს და დემონსტრაციებს. 1988 წ. ივლისში რესპუბლიკის მთავრობამ გამოსცა კანონი უსანქციო მიტინგებისა და დემონსტრაციების აკრძალვის შესახებ. ყველა უსანქციო შეკრებას ამ კანონით „წესრიგდამცველი ორგანოებიდან" მოელოდა მკაცრი ანგარიშსწორება. ასეთ ანგარიშსწორებას იმავე წელს ჰქონდა კიდეც ადგილი თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და სხვ.

მთავრობისა და საზოგადოებრიობის კონფრონტაციის ვითარებაში პოლიტიკური პროცესები რესპუბლიკაში თითქმის უმართავი გახდა. ეროვნულ-განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ წინა პლანზე წამოსწია 1921 წ. 25 თებერვლის უსამართლო აქცია და 1921—1924 წლების გენოციდი, რაც ქართველ ხალხს მოუწყო საბჭოურმა რეჟიმმა. ანექსიის დაგმობის ლოზუნგმა დღის წესრიგში დააყენა საბჭოთა რუსეთთან დემოკრატიული საქართველოს 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულების აღდგენის მიზანშეწონილობა. 1988 წ. ნოემბერში მთავრობის სასახლესთან არაფორმალურ გაერთიანებათა ინიციატივით განხორციელებული აქციები (შიმშილობა, მიტინგები) თავისი მასობრიობით ერთ-ერთი უდიდესი იყო გარდაქმნის წინაპერიოდის მოძრაობებთან შედარებით. ნოემბრის აქციაში საკონსტიტუციო შესწორებებისადმი ახალგაზრდობის დამოკიდებულებაში ტენდენცია ეროვნული სუვერენიტეტისაკენ იყო აღებული.

ამ პერიოდში წინა პლანზე კვლავ წამოიწია ე. წ. აფხაზური და ოსური პრობლემები. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში და ყოფილ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არაფორმალი ექსტრემისტები დაუპირისპირდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას. ეთნიკურ კონფლიქტებს განგებ აღვივებდა მესამე — (იმპერიული) ძალა, რომელსაც ხელს არ აძლევდა ქართველი ახალგაზრდობის სეპარატისტული განწყობილება და ცდილობდა იგი ეთ-

ნიკური ვითარების დაძაბვით უვნებელი გაეხადა. ეთნიკური კრიზისის გასამწვავებლად გამიზნული იმპერიის რეაქციული ძალების ფარული რეჟისურა მთელს ამიერკავკასიაში ხორციელდებოდა ერთი ხელწერით — ამიერკავკასიის ერებისა და ეთნიკური ჯგუფების ურთიერთდაპირისპირებით, რაც ახალი ვარიანტებით იმეორებდა ცარიზმის ოდითგანვე ნაცად პოლიტიკას („დაჰყავი და იბატონე").

ასეთი ძალების კარნახით შეიქმნა ე. წ. „ლიხნის დოკუმენტი". 1989 წ. 18 მარტს სოფ. ლიხნში ჩატარდა აფხაზი ეროვნების რამდენიმე ათასი კაცის თავყრილობა, სადაც ექსტრემისტების მხარეზე აღმოჩნდნენ პარტიის საოლქო კომიტეტის, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, აფხაზი მწერლების, მეცნიერების, მუშათა კლასის, გლეხობის, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები. აქ შემუშავდა წერილი-მიმართვა საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელი ორგანოებისადმი, სადაც ტენდენციურად იყო გაშუქებული საქართველო — აფხაზეთის ისტორიული ურთიერთობა და წარმოდგენილი იყო დამოუკიდებლობის მოთხოვნა.

იმავე მესამე ძალის ფარული რეჟისურით მწიფდებოდა ანტიქართული მოძრაობა ოსებში. ოსთა ექსტრემისტულმა ძალებმა მხარი აუბეს აფხაზ ექსტრემისტთა სეპარატიზმს. ეთნიკური დაძაბულობა განსაკუთრებით გამძაფრდა 1989 წლის აპრილში. ეს დაძაბულობა გარკვეულწილად 9 აპრილის სისხლიანი აქციის შემაპირობებელი გახდა.

1989 წ. 4 აპრილიდან თბილისში დაიწყო უსანქციო მიტინგები. ახალგაზრდობის ერთმა ჯგუფმა მთავრობის სასახლის წინ შიმშილობის აქცია წამოიწყო. მიტინგ — მანიფესტაციებისა და მოშიმშილეთა მოთხოვნები არ გასცილებია რესპუბლიკის სუვერენიტეტის მოთხოვნის ფარგლებს. მოძრაობა ყოველდღიურად ფართოვდებოდა. ახალგაზრდობის გვერდით დადგნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები — ცნობილი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, რეჟისორები. საზოგადოებრივ აქციებს მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა. იგი არ შეიცავდა არავითარ საშიშროებას რესპუბლიკის ოფიციალური ხელისუფლებისათვის.

მოძრაობის უჩვეულო მასობრიობამ დიდად დააფრთხო პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა. 7 აპრილს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ გამოიტანა დასკვნა, რომ მიტინგი იძულებითი ღონისძიებებით აღეკვეთათ. საკავშირო ხელმძღვანელობის წინაშე აღიძრა საკითხი სამხედრო ძალის გამოყენებით დედაქალაქში „წესრიგის აღდგენის" შესახებ. სკკპ ცენტრალური

კომიტეტის პოლიტბიუროს გაფართოებულ თათბირზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „აღმოეჩინათ დახმარება“ რესპუბლიკისათვის და გაეგზავნათ იქ შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ხაწილები ობიექტების დასაცავად და შესაძლო არეულობის თავიდან ასაცილებლად.

სსრკ შინაგანი ჯარების, საბჭოთა არმიის ქვეგანაყოფები 7 აპრილსავე ჩამოვიდნენ თბილისში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რომელსაც დავალებული ქონდა ემოქმედა შექმნილი ვითარების შესაბამისად, მიიღო გადაწყვეტილება სამხედრო ძალის გამოყენებით მიტინგის აღკვეთისა. ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა კომუნისტურმა პარტიულმა აქტივმაც. რაც შეეხება სამხედრო ოპერაციის კონკრეტულ გეგმას და მისი განხორციელების დროს, იგი მიღებულ იქნა იმ ვიწრო წრეში, რომელშიც შედიოდნენ საქართველოს კომპარტიის პირველი და მეორე მდივნები, (ჯ. პატიაშვილი, ნიკოლსკი), ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი გენერალი როდიონოვი და თავდაცვის საკავშირო მინისტრის მოადგილე კოჩეტოვი. მათი სამოქმედო გეგმა კრემლის ხელმძღვანელობასთან იყო შეთანხმებული და მისი ფარული კარნახით ხორციელდებოდა.

ასე მომზადდა სისხლიანი აქცია, რომელიც 1989 წ. 9 აპრილს დილის 4 საათზე რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სასახლის წინ განხორციელდა. მშვიდობიანი მიტინგის მონაწილე ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს, ახალგაზრდებს დაერია თავითფეხებამდე შეიარაღებული არმია და მოაწყო ხალხის ჩეხვა და ჟლეტა ხელნიჩბებითა და მომწამვლელ ნივთიერებათა გამოყენებით. ხალხისადმი იარაღით ანგარიშსწორება ხორციელდებოდა მიტინგის დაშლის შემდეგაც, საკომენდანტო საათის მთელ პერიოდში. 9 აპრილს ველური აქციის შედეგად დაიღუპა 20, დაიჭრა და მოიწამლა ათასობით ადამიანი.

9 აპრილის ვანდალიზმმა აღაშფოთა არა მარტო მთელი ქართველი ხალხი, არამედ რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობა, რომელმაც ამ აქციაში დაინახა უსამართლო სახელმწიფოს მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი მიუტევებელი დანაშაული. ეს პროტესტი გამოითქვა მოსკოვში არბატზე „მზიურში“ მოწყობილ შეკრებაზე, დაიწერა რუსულ პრესაში.

9 აპრილის ტრაგედია გახმაურდა საერთაშორისო არენაზე. მსოფლიოს ყველა ქვეყნის საინფორმაციო საშუალებებმა ამცნეს თავიანთ ხალხებს თბილისში მომხდარი სისხლისღვრის ამბავი მისი არასამართლებრივი ხასიათის შეფასებით. თანამემამულეთა უბე-

დურებამ შეაძრწუნა საზღვარგარეთის ქართველობა. საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იტალიაში, ბელგიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქართველთა სათვისტომოებმა ერთიანთი გულისწყრომა გამოხატეს სხვადასხვა საპროტესტო აქციებით.

9 აპრილის ამბები მთელი წლის მანძილზე იდგა არა მხოლოდ ქართული, არამედ მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში. ფრიად დაძაბულ ვითარებაში წარსდგა ეს საკითხი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე 1989 წ. ივნისის დამდეგს. აპრილის მოვლენები შეისწავლა საქართველოს უმაღლესი საბჭოს კომისიამ, რომელიც თავისი ნაკვლევით წარუდგა საქართველოს უზენაესი საბჭოს ყრილობას 1989 წლის ნოემბერში. იმავე წლის დეკემბერს, სსრკ უზენაესი საბჭოს მეორე ყრილობამ მოისმინა პირველ ყრილობაზე შექმნილი კომისიის თავჯდომარის დეპუტატ ა. სობჩაკის მოხსენება. რეაქციის ბანაკი კვლავ შეეცადა 9 აპრილის დანაშაული გადაებრალებინა დემონსტრანტებისათვის, მაგრამ ამაოდ. ყრილობამ საგანგებო დადგენილებით დაგმო ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილის დემონსტრაციის მონაწილეთა წინააღმდეგ ძალადობის გამოყენება და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს დაავალა შესაბამის ორგანოებს განსახილველად და გადასაწყვეტად გაუგზავნოს 1989 წლის 9 აპრილის ქალაქ თბილისში მომხდარი ამბების გამომძიებელი კომისიის წინადადებანი და უზრუნველყოს მათი შესრულების კონტროლი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:
თბილისის 9 აპრილის ამბები არ ყოფილა ლოკალური მნიშვნელობის მოვლენა. იგი ეკუთვნის მე-20 ს. მიწურულის მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ტრაგიკულ მოვლენათა რიგს.

9 აპრილმა ერთხელ კიდევ თვალნათლივ უჩვენა მსოფლიოს საბჭოური სისტემის უსამართლობა, მისი დიქტატორული, დესპოტური ხასიათი. გამოამჟღავნა, რომ კონსტიტუცია აქ ჯერ კიდევ ფარატინა ქაღალდია და ცალკე ადამიანებისა თუ ერის ბედიღბალი კვლავ პიროვნებაზეა დამოკიდებული.

9 აპრილმა ნათლად აჩვენა ქვეყნის რევოლუციური გარდაქმნის, საჯაროობისა და დემოკრატიის წინააღმდეგ კონსერვატულ ძალთა გაბოროტება. 9 აპრილის აქცია იყო საბჭოური სისტემისათვის დამახასიათებელი ტერორიზმის მორიგი გამოვლინება.

9 აპრილმა ნათელჰყო ისიც, რომ ე. წ. „პერესტროიკას" ჰქონდა მოჩვენებითი ხასიათი და მ. გორბაჩოვი აგრძელებდა სტალინურ დიქტატურას უსტალინოდ.

9 აპრილმა ნიღაბი ჩამოხადა საბჭოთა ქვეყნის მართველ აპარატში, მის შეიარაღებულ ძალებში ჩაბუდებულ დიდმპყრობელურ შოვინისტურ, იმპერიულ სულისკვეთებას, მის შეურიგებლობას ეროვნული ... რუსი ხალხების ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისადმი; მის ფარულ ტრფიალს „მთლიანი და განუყოფელი რუსეთისადმი", მისწრაფებას არ დაუშვან არავითარი სისტემური ხასიათის ცვლილება ეროვნულ ურთიერთობათა მოგვარებაში. 9 აპრილი იმპერიულმა ხელისუფლებამ განახორციელა სხვა არა რუსი ერებისადმი გაფრთხილების მიზნით, მიანიშნა მათ, რომ იგივე ღონისძიება განმეორდებოდა ბალტიისპირეთში და სხვა ეროვნულად დაუმორჩილებელ რეგიონებში.

9 აპრილმა ქართველი ხალხი უფრო მტკიცედ შეამჭიდროვა ეროვნული სუვერენიტეტისათვის ბრძოლაში. მთავრობის სასახლესთან დაღვრილმა წმინდა სისხლმა აკუმულირებული ეროვნული ენერგია აამოქმედა მთელი სიმძლავრით. 9 აპრილი გახდა ახალი ეტაპი, ახალი მოსაბრუნი, საიდანაც ეროვნულ-განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ მიიღო უწყვეტი, გეგმაზომიერი, შეუქცევადი ხასიათი.

2. ახალი ეტაპი ეროვნულ მოძრაობაში. გარდამავალი პერიოდი

9 აპრილის შემდეგ ეროვნულ-განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ საქართველოში საყოველთაო სახალხო ხასიათი მიიღო, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისაკენ საზოგადოებრიობის ერთსულოვან მისწრაფებას ბიძგი მისცეს საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მოვლენებმაც. მძაფრ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს მთელს საბჭოთა კავშირში შედეგად მოჰყვა იმპერიული სისტემის თანდათანობითი რღვევა. ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა განახორციელეს ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის რესპუბლიკებმა. საკუთარი საკანონმდებლო ორგანოები შექმნეს რუსეთის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, მოლდავეთმა. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ ინტენსიური ხასიათი მიიღო უკრაინასა და ბელორუსიაში, შუა აზიის რესპუბლიკებში. ავტონომიური სტატუსიდან თავის დაღწევისა და მოკავშირე რესპუბლიკებად ჩამოყალიბების ტენდენციები მოჭარბდა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მყოფ ავტონომიურ ერთეულებშიც. ძირფესვიანად შეიცვალა საბჭოთა იმპერიის საგარეო ვითარებაც. აღმოსავლეთ ევროპაში ელვისებური სისწრაფით განხორციელდა სოციალისტური რეჟიმის ლიკვიდაცია. ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, რუმინეთის ხალხებმა დაამხეს დიქტატორული რეჟიმები და დაიმკვიდრეს დამოუკიდებელი, დემოკრატიული წყობილება. განხორციელდა აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება.

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის საყოველთაობის ნათელი დემონსტრაცია იყო 1989 წლის 26 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები იძულებულნი შეიქმნენ ანგარიში გაეწიათ საზოგადოებრიობის ერთსულოვანი სურვილისათვის-ჩატარებული დამოუკიდებლობის აღდგენის დღესასწაული. 26 მაისს ფეხზე დადგა მთელი რესპუბლიკა. ზეიმის მთავარ ლოზუნგს საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენა წარმოადგენდა.

1989 წ. ოქტომბერში ეროვნულ-განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ მძიმე დანაკლისი განიცადა. ტრაგიკულად დაიღუპა ამ მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერი მერაბ კოსტავა. ქართველმა ხალხმა გმირი მამულიშვილი დაიტირა ღირსეულად და სამუდამო განსასვენებელი მიუჩინა მთაწმინდის პანთეონში. მ. კოსტავას გლოვის დღეები თავისუფლებისათვის ეროვნულ ძალთა მზადყოფნის დემონსტრაციად იქცა.

მოძრაობის აღმავლობის კვალდაკვალ იზრდებოდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიათა რიცხვი. ყველა ეს პარტია სტრატეგიული მიზანდასახულობით ერთ ფოკუსში იყრიდა თავს, — ე. ი. ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენისკენ მიისწრაფვოდა. მათი პროგრამული სხვაობა ძირითადად დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ტაქტიკურ ხერხებს და მეთოდებს შეეხებოდა. ყველა პარტია ერთსულოვნად აღიარებდა, რომ საქართველოს უზენაესი საბჭო არ გამოხატავს ქართველი ხალხის ინტერესებს, რადგან იგი ერთპარტიული სისტემითაა არჩეული, რომ საჭიროა ჩატარდეს ხელახალი არჩევნები მრავალპარტიული სისტემით. უზენაესი საბჭო იძულებული გახდა დაენიშნა ახალი არჩევნები 1990 წლის აპრილისათვის. პოლიტიკური პარტიების ერთმა ჯგუფმა არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა იმ მოტივით, რომ იგი კომუნისტური მეთოდებით მზადდებოდა და ხალხის ინტერესების გამომხატველი ვერ იქნებოდა.

1990 წლის 13—15 მარტს თბილისში შედგა პოლიტიკური პარტიების საგანგებო კონფერენცია, რომელმაც პარიტეტულ საწყისებზე შექმნა ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის დროებითი ხელმძღვანელი ინტერპარტიული ორგანო ეროვნული ფორუმის სახელწოდებით. მას დაეკისრა საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების ორგანიზაცია. მაგრამ ეროვნულ ფორუმში მალე განხეთქილება მოხდა. ტაქტიკურ საკითხებში მწვავე უთანხმოების გამო ეროვნული ფორუმი დატოვეს ჰელსინკის კავშირმა, ილია მართლის

საზოგადოებამ, მონარქისტული პარტიის ნაწილმა, რომლებშაც შემდეგ ჩამოაყალიბეს ტრადიციონალისტთა კავშირი. ამ ძალებმა შექმნეს პოლიტიკური გაერთიანება „მრგვალი მაგიდის“ სახელწოდებით. ამ გაერთიანებას სათავეში ჩაუდგა საქართველოს ჰელსინკის კავშირის საზოგადოების თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

ეროვნული ფორუმის შემადგენლობაში დარჩენილმა პარტიებმა გ. ჭანტურიას და ი. წერეთლის მეთაურობით 1990 წ. 23 მაისს მოიწვიეს საქართველოს ეროვნული ყრილობა. ამ ყრილობაზე გადაწყდა შექმნილიყო ეროვნული კონგრესი. მისი არჩევნები ჩატარდა 1990 წ. სექტემბერში. იგი არ იყო საყოველთაო. ახლად არჩეულმა კონგრესმა მოითხოვა: „1. საქართველოს ტერიტორიიდან საბჭოთა საოკუპაციო ჯარების გაყვანა; 2. 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ საბჭოთა რუსეთის აგრესიის, ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად შექმნილი სახელმწიფო, საზოგადოებრივი, საკანონმდებლო და სამართლებრივი სტრუქტურების სრული დემონტაჟი; 3. საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე დამოუკიდებლობის აღდგენა და ერის ნებაზე დაყრდნობით საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის განსაზღვრა“. ეს მოთხოვნები არ შეესაბამებოდა რეალურ ვითარებას.

საზოგადოებრივი აზრის დაწოლით ზოგი არსებითი ნაბიჯი გადადგა ოფიციალურმა ხელისუფლებამაც. მოქმედი უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე 1921 წლის 25 თებერვლის გასაბჭოების აქტი გამოცხადებულ იქნა საბჭოთა რუსეთის მხრივ საქართველოს ოკუპაციად, რასაც შემდეგ მისი ფაქტიური ანექსია მოჰყვა. ამასთან ბათილად გამოცხადდა ყველა კანონები და დეკრეტები, რომლებიც მიღებული იყო 1921 წლის შემდეგ ოკუპაციის პირობებში, მათ შორის 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ.

ქართველი ხალხი მოუთმენლად მოელოდა ახალ არჩევნებს; ლოდინის ვითარებაში რესპუბლიკის სამეურნეო ეკონომიკური ცხოვრება თანდათან უარესდებოდა. ოფიციალურმა ხელისუფლებამ დაჰკარგა ავტორიტეტი და საზოგადოებრიობაზე ზეგავლენა; ამას შედეგად მოჰყვა უწესრიგობის ზრდა, სისხლის სამართლის დანაშაულებათა მომრავლება. მწვავდებოდა ეთნიკური კონფლიქტები. ოფიციალური ხელისუფლება კი არჩევნებს განგებ აჭიანურებდა.

1990 წ. 31 მაისს თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა შიმშილობა გამოაცხადა. ძირითადი მოთხოვნა იყო უზე-

ნაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის მოწვევა, რომელსაც დაუყოვნებლივ უნდა განესაზღვრა ახალი საკანონმდებლო ორგანოს მრავალპარტიული არჩევნების ვადა და პრინციპები. ამ აქციას მხარდაჭერა ხვდა მრავალ წარმოება-დაწესებულებაში. ოფიციალური ხელისუფლება იძულებული გახდა მოშიმშილეთა მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა. უზენაესი საბჭოს აგვისტოს რიგგარეშე სხდომაზე დადგინდა მრავალპარტიული არჩევნების კანონი. არჩევნების დღედ დაინიშნა 28 ოქტომბერი.

ახალი საარჩევნო კანონებისა და პრინციპების საფუძველზე საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება მიენიჭათ პარტიათა და ორგანიზაციათა 14 ბლოკს და გაერთიანებას. მაჟორიტალური და პროპორციული წესით ასარჩევ დეპუტატთა რაოდენობა და პარტიულ ბლოკთა თანაფარდობა რეგლამენტირებული იყო.

გაჩაღდა გაცხოველებული წინასაარჩევნო კამპანია. თითოეული პოლიტიკური პარტია, ბლოკი საზოგადოებრიობის წინაშე წარმოსდგა საკუთარი პროგრამით. არჩევნებში მონაწილე ბლოკებმა და პარტიებმა პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით წამოაყენეს დეპუტატობის თავიანთი კანდიდატები. წინასაარჩევნო კამპანიას ემსახურებოდა საინფორმაციო საშუალებანი. პირველ რიგში ტელევიზია, გარდა ამისა დეპუტატობის კანდიდატებს, საარჩევნო ბლოკებსა და პარტიებს ამომრჩევლებთან პირადი შეხვედრები ჰქონდათ საქართველოს ყველა კუთხეში.

არჩევნების დღე — 1990 წლის 28 ოქტომბერი შევიდა დიდმნიშვნელოვან თარიღად საქართველოს უახლოეს ისტორიაში. პირველად საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჩატარდა მრავალპარტიული, არასაბჭოური, ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნები. არჩევნების მსვლელობას მეთვალყურეობდნენ უცხო ქვეყნების წარმომადგენლები. ამ დღეს 3444 002 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 2.406.742 კაცმა. არჩევნებში გამარჯვება წილად ხვდა „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკურ ბლოკს. იმ ოლქებში, სადაც წარმოდგენილი იყო ორზე მეტი კანდიდატი, მაგრამ ვერცერთმა ვერ დააგროვა ხმების ნახევარზე მეტი, და იქ, სადაც არჩევნები არ ჩაითვალა, არჩევნები ჩატარდა 11 ნოემბერს. არჩევნების ამ ორი ტურის შემდეგ ჩამოყალიბდა საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატთა კორპუსი 246 კაცის შემადგენლობით. ამათგან 155 დეპუტატი — „მრგვალი მაგიდა" — თავისუფალი საქართველო", 64 — საქართველოს კომპარტია, 12 — საქართველოს სახალხო ფრონტი, 4 დეპუტატი — „დემოკრატიული

საქართველოს ბლოკი", თითო-თითო დეპუტატი ბლოკებიდან „გან-
თავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება" და სრულიად საქარ-
თველოს რუსთაველის საზოგადოება, 9 — დამოუკიდებელი დეპუ-
ტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზენაესი საბჭოს არჩევნებმა, რომელიც სრული წესრიგით და დიდი პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა, ცხადჰყო ქართველი ხალხის მაღალი პოლიტიკური კულტურა და მისი ერთსულოვანი მისწრაფება ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენისაკენ. არჩევნებში „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველოს" თვალსაჩინო გამარჯვება კანონზომიერი მოვლენა იყო. სწორედ ამ ბლოკში იგრძნო საქართველოს მოსახლეობამ ის ძალა, რომელიც მას გეგმაზომიერად, გონივრული, აწონილი ნაბიჯებით წაიყვანდა წინ, საქართველოს სრული დამოუკიდებლობისკენ.

1990 წლის 14 ნოემბერს გაიხსნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესია. ტელევიზიის მეშვეობით სესიის მუშაობის კურსში იყო მთელი რესპუბლიკა. სესია გაიხსნა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის ლოცვა-კურთხევით. სესიას უძღვებოდა ცენტრალური რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის თავჯდომარე ი. ჟორდანია. საქართველოს უზენაესი საბჭოს თავჯდომარედ სესიაზე ერთხმად აირჩიეს ეროვნული მოძრაობის ლიდერი ზვიად გამსახურდია. მის პირველ მოადგილედ ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე აკაკი ასათიანი, მოადგილედ — ნემო ბურჭულაძე.

სესიამ მოისმინა ზ. გამსახურდიას გამოსვლა, რომელშიაც დასახულია საქართველოს პარლამენტის სამოქმედო პროგრამა გარდამავალ პერიოდში. უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების კანონი, შეიტანა შესაბამისი ცვლილებები რესპუბლიკის კონსტიტუციაში.

სესიაზე თავისი რწმუნება მოიხსნა მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე ნ. ჭითანავამ. სესიამ ერთსულოვანი მხარდაჭერით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე დანიშნა თენგიზ სიგუა, — პარტიათა და ორგანიზაციათა ბლოკის „მრგვალი მაგიდის" ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე.

დეპუტატებმა ამავე სესიაზე ერთხმად მიიღეს რესპუბლიკის სახელწოდების შეცვლის კანონი. ამიერიდან ჩვენს სახელმწიფოს ეწოდება საქართველოს რესპუბლიკა. სესიამ დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის ახალი ატრიბუტიკა (სახელმწიფო დროშა, ეროვ-

ნული ჰიმნი), ამასთან, მიიღო მიმართვები: მსოფლიო ხალხებისადმი, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პარიზის კონფერენციისადმი, სრულიად საქართველოსადმი.

საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში ახალი ეპოქა დაიწყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1783 წლის ხელშეკრულებისა აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ

არტიკული პირველი

უგანათლებულესობაჲ მისი, მეფე ქართლისა და კახეთისა სახელითა თჳსითა, მემკჳდრეთა და მენაცჳლეთა თჳსთა დღესასწაულობით უკუნსთქჳამს ყოველსა ვალობასა, ანუ ვითარსამე ტიტლოსა ყოვლისაგან მოკიდულებისა სპარსთასა, ანუ სხჳათა მპყრობელთასა და ამით ცხად-ჰყოფს წინაშე პირსა ყოვლისა სოფლისასა, ვითარმედ არა შერაცხს იგი თჳს ზედა მენაცჳლეთა თჳსთა ზედა სხჳასა თჳთმპყრობელსა, თჳნიერ უზენაესისა ჴელმწიფებისა და მფმარჳჭ-ლობისა მ ი ს ი ს ა ი მ პ ე რ ა ტ ო რ ე ბ ი ს დ ი დ ებ ულ ებ ი ს ა და მაღალთა მისთა მემკვდრეთა და მენაცჳლეთა საიმპერატოროჲსა ტახტისა ყოვლისა რუსეთისათა, აღმთქმელი ტახტისა მის ერთგულებისა და მზა-ყოფისა შეწევნისათჳს სარგებელისა საჴელმწიფოჲსა (რუსეთისა) ყოველსა შინა შემთხჳჭვასა და დროსა, სადაცა ესე ითხოვებოდეს მისდამი.

არტიკული მეორე

დ ი დ ებ ულ ებ ა ი მ პ ე რ ა ტ ო რ ე ბ ი ს ა მ ი ს ი ს ა მიმღებელი უგანათლებულესობისაგან მისისა ესოდენისა უზაკჳჭლისა აღთქმისა, აღჰსთქჳამს თანაჰსწორადჳჭ და იმედეულ ჰყოფს იმპერატორებრითა სიტყჳთა თჳსითა თავისა თჳსი სათჳს და მოსაყდრეთა თჳსთათჳს, ვითარმედ მოწყალება და მფარჳჭლობა თჳსი უგანათლებულესთა მეფეთა ქართლისა და კახეთისათა არაოდეს მიეღების, რომლისაცა დასამტკიცებლად დ ი დ ებ ულ ებ ა მ ი ს ი აძლევს იმპერატორებრსა თავს-მდებობასა თჳსსა მრთლად (და დაუკლებელად) დაცჳასა ზედა აწინდელთა სამფლობელოთა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისათა, და წინადასდებს განვრცელებასა ესევითარისა თავს-მდებობისასა ესე გჳარსა ზედა სამფლობელოსა, რათა რომელნიცა წარმდინარეობასა შინა დროთასა გარემოებითა და განრჩევითითა ხატითა შესაბამად სამფლობელოჲსა მისისა იპოვებიან, პოვნილნი იგი სამფლობელოჲსა მისისა მიმართ დაიმტკიცებიან.

არტიკული მესამე

განცხადებასა შინა ამის უზაკუჩლობისასა, ვითარითაცა ხატითა უგანათლებულესობა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა ადგარებს უზენაესსა ჴელმწიფებასა და მფარუჩლობასა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა განიწესების, ვითარმედ: ჴსენებულნი იგი მეფენი ოდეს — იგი მიიწევიან მემკჳდრეობით სამეფოსა ზედა მათსა, მსწრაფლ აუწყებდენ ამისთჳს კარსა საიმპერატოროსა რუსეთისასა და ითხოვდენ დესპანთა თჳსთა მიერ სამეფოსა ზედა თჳსსა იმპერატორებრსა დამტკიცებასა ინვესტიტურისა წერილითა, (ესე იგი არს) ბოვრაყი ანუ დროშა ყოვლისა რუსეთისა ღერბითა, მქონებელი საშუალ თჳსსა ჰჴსენებულთა სამეფოსა ღერბისა, ჴრმალი, კუჩრთხი, საბრძანებელი, მანტია. ანუ წარმოსასხმელი ყარყუმისა. ნიშანნი ესე ანუ დესპანთა ერწმუნების, ანუ მესამზღურეთა მთავართა ძლით მიიწევის მეფისადმი, რომელიცა მიღებასა ზედა მუნ დასწრებითა რუსეთისა მინისტრისათა, თანა-მდებ არს, რათა იფიცოს დღესასწაულობით ერთგულებისათჳს და გულს-მოდგინებისა იმპერიისა რუსეთისა და უზენაეს შერაცხჳსათჳს ჴელმწიფებისა და მფარუჩლობისა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა ესევითარითა ხატითა, ვითარცა დადებულ არს ფიცი იგი არტიკულთა ამათ თანა, წესი ესე თანა-აძს აღსრულებად ყოვლად უგანათლებულესსა მეფესა ქართლისა და კახეთისასა ირაკლის თეიმურაზოვიჩსა.

არტიკული მეოთხე

დამტკიცებისათჳს ვითარმედ ჰაზრი მისისა უგანათლებულესობისა განსჯითა ესოდენ მჭირსისა შეერთებისა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა და აღსარებისათჳს უზენაესისა ჴელმწიფებისა ყოვლად უუბრწყინუალესისა ამის იმპერიისა მფლობელთასა, ვითარმედ არიან უზაკუჩლ, აღსთქუამს უგანათლებულესობაჲ მისი, რათა უწინარეს თანჴმობისა უპირუჩლესისას მესამზღურისა მთავრისა და მინისტრისა მისი იმპერატორების დიდებულებისა ჰრწმუნებულისა, არა აქუნდეს მიწერმოწერაჲ გარემოთა მფლობელთა მიმართ, ხოლო ოდეს-იგი მოვალნ მათ მიერ დესპანნი ანუ წერილნი, ჰყოფს განზრახუასა უპირუჩლესისა მიმართ მესამზღუისა მთავრისა და მინისტრისა მისისა იმპეროტორების დიდებულებისასა უკუნქცევისათჳს დესპანთასა და შესაფერისათჳს სიტყჳს-გებისა მფლობელთა მათ მიერ.

არტიკული მეხუთე

რათა ადჳლად აქუნდესმცა ყოველივე იგი საჭიროჲ მიწერ-მოწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჲ და თანჰმობაჲ რუსეთისა საიმპერატოროჲსა კარისა თანა, ჰსურს ამისთჳს უგანათლებულესობასა მისსა მეფესა ირაკლის, რათა ჰყუჩსმცა წინაშე კარისა მის მინისტრი ანუ რეზიდენტი, ხოლო დ ი დ ებ ულ ებ ა ი მ პ ე რ ა ტ ო რ ე ბ ი ს ა მ ი ს ი ს ა მოწყალებით მიმღებელი მისი აღჰსთქუამს, ვითარმედ იგი კარსა ზედა მისსა მიღებულ იქმნების რიცხჳსა შინა სხჳათა მფლობელთა მინისტრთა თანა, თანა-ჰსორითა ნიშნითა თჳსითა, და გარდა ამისსა ჰნებავს, რათა კერძოჲთცა თჳსით ჰყუჩსმცა მინისტრი რუსეთისა წინაშე მისისა უგანათლებულესობისა.

არტიკული მეექჳსე

დ ი დ ებ ულ ებ ა ი მ პ ე რ ა ტ ო რ ე ბ ი ს ა მ ი ს ი ს ა, მიმღებელი კეთილ-ნებებით აღსარებისა უზენაესისა ჴელმწიფებისა და მფარჳჩლობისა სამეფოთა ზედა ქართლისა, კახეთისა და საქართჳჩლოჲსათა, აღსჰთქუამს სახელითა თჳსითა და მოსაყდრეთა თჳსთათა: პირველად, ერთა მის სამეფოჲსათა შერაცხს ყოფად მჭირსითა კავშირითა სრულებით თანაჴმად იმპერიისა თანა თჳსისა. მაშასადამე, მტერთაცა მათთა შეჰრაცხს მტრად თჳსსა, რომლისათჳსცა პორტის ათამანისა თანა (ესე იგი ხონთქრისა), ანუ სპარსეთისა, ანუ სხჳათა მპყრობელთა და სამფლობელოთა თანა მშვდობაჲ დამტკიცებული სათანადო არს, რათა განგრძელდეს დ ი დ ე ბ ულ ებ ი ს ა მ ი ს ი ს ა და საფარჳჩლთა ერთაცა ამათ ზედა; მეორედ, უგანათლებულესსა მეფესა ირაკლის თეიმურაზოვიჩსა და სახლისა მისისა მემკვიდრეთა და მენაცჳლეთა და ტომთა დაიცავს უცჳალებელად სამეფოთა ზედა ქართლისა და კახეთისათა; მესამედ, შინაგანსა ჴელმწიფებისა მმართველობასა თანა შეუღლვილსა მსჯავრსა და სამართალსა და შეკრებასა მისაცემელისა ხირკისასა დაანებებს მისსა უგანათლებულესობასა მეფესა სრულსა შინა ნებასა და სარგებლობასა მისსა და დააყენებს მთავართა სამჴედროსა და სამოქალაქოსათა აღრევად, ვითარიცაღა იყო განწესებაჲ ერთა მათ ჰჴსენებულთა.

არტიკული მეშვიდე

მისი იგი უგანათლებულესობა მეფე, ღირს-თანამდებობითითა კრძალულებითა მიმღებელი ესოდენ მოწყალებითისა იმედოვნებისა მ ი ს ი ს ა გ ან ი მ პ ე რ ა ტ ო რ ე ბ ი ს დ ი დ ებ ულ ებ ი ს ა, აღსთქუამს თაჳსა თჳსისა და ტომთა თჳსთათჳს: პირჳჩლად, რათა იყოს ნიადაგ მზაჲ სამსახურსა ზედა მ ი ს ი ს ა დ ი დ ებ ულ ებ ი-

სასა მჴედრობითა თჳსითა; მეორედ, მთავართადმი რუსეთისათა, რათა იქცეოდესმცა სამარადისოჲთა მიწერ-მოწერითა, რაჲცაჲ თჳს-ეყჳს მისისა იმპერატორების დიდებულებისა სამსახურსა და კმა ჰყოფდეს თხოვათა მათთა და ყმათა მისის დიდებულებისათა სცჳდეს ყოველთაგან განსაცდელთა და შეიწრებათა; მესამედ, განწესებასა შინაკაცთასა (თჳსისა სამეფოჲსათა) ადგილთა ზედაჰ აღყჳანებასა ზედა მათსა ხარისხთა შინაჴ ანუ აღსავალთა, რომელთამე, რათა უსაკუთრესად აჩჳჴნოსმცა უდიდესობაჲ მსახურებისათჳს რუსეთის იმპერიისა, ესე-ვითარსა პატივის-ცემასა ზედა მოკიდულ არს განსაჴჳნება და ბედნიერობა ქართლისა და კახეთისა სამეფოჲსაჲ.

არტიკული მერჳჴ.

დასამტკიცებელად უსაკუთრესისა მონარხისა კეთილ-ნებობისა მისის უგანთლებულესობისა მეფისადმი და ერთა მიმართ მისთა, და უმეტესისა შეერთებისა რუსეთისა თანა ამათ ერთმორწმუნეთა ერთა თანა, ინებებს მისი იგი დიდებულებაჲ, ვითარმედ კათოლიკოზსა ანუ უმთავრესსა არხიეპისკოპოსსა მათსა, რათა აქჳნდეს ადგილი რიცხჳთა შორის რუსეთისა მღჳდელთ-მთავართასა მერჳჴსა შინა ხარისხსა, ესე იგი არს შემდგომად ტობოლსკისა, და ყოვლად უმოწყალესობით მიუბოძებს მას ნიადაგ ტიტლოსა უწმინდესისა სინოდის ჩლენობისასა. ხოლო მართებისათჳს საქართჳელოჲსა ეკკლესიათასა და მიწერ-მოწერათასა, თუ ვითარ სათანადო არს რუსეთისა სინოდისადმი, ამისთჳს უკჳჴ დაიწერების სხჳაი არტიკული.

არტიკული მეცხრე.

განვრცელებისათჳს მოწყალებისა თჳისისა ყმათადმი მისისა უგანათლებულესობისა მეფისათა, თავადთა და აზნაურთათჳს, განაწესებს დიდებულება იმპერატორებისა მისისა, ვითარმედ ყოველნი იგი ყოველსა შინა ყოვლისა რუსეთისა იმპერიასა იქმნებიან ესრეთ მსარგებლებელ ყოვლითა მით უპირჳჴლესობითა და სარგებელითა, რომელნიცა შეეფერებიან რუსეთისა კეთილშობილთა, ხოლო უგანათლებულესობა მისი მიიღებს მადლობით ესოდენ მოწყალებითსა ყმათადმი მისთა სიმდაბლით შთამოსლჳასა და შეიკრჳს წარგზავნად კარისადმი მისისა დიდებულებისა ნუსხასა კეთილ-შობილთა-გჳართასა, რათამცა მით შესაძლებელ იყოს ცნობად ნამდჳლი ზედმიწევნილებაჲ, თუ რომელსა ვითარიმე ეშესაბამების სამართალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არტიკული მეათე.

განიწესების, ვითარმედ ყოველნი საზოგადოდ შობილნი ქართლისა და კახეთისანი შემძლებელ არიან რუსეთსა შინა დასახლებად და კუალად უკან-ქცევადვე დაუყოვნებელად; ხოლო ტყუჩნი, უკეთუ საჭურუჩლითაჰ ანუ გამოჯსნითა რომელითამე თურქთაგან და სპარსთა, ანუ სხუათა ერთაგან განთავისუფლდნენ, რათა განტევებულ იქმნენ ქუჩყანასა თჳსსა წადილისაებრ თჳსისა. მაგრამ რაჲცაღა-იგი წარგებულ არს გამოჯსნასა და მოყვანებასა ზედა მათსა, გარდაიჯადონ იგი; თჳთ უკუჩ ამასვე უგანათლებულესობაჲცა მისი მეფე აღსთქუამს წმიდად აღსრულებად განჰსჯითა რუსთა ტყუჩთათჳს, რომელნიცა დატყვევებულ იქმნენ მეზობელთაგან.

არტიკული მეთერთმეტე

ვაჭრობასა ქართლისა და კახეთისასა აქუს თავისუფლებაჲ, რათა განავაჭროს სავაჭროჲ თჳსი რუსეთსა შინა და ისარგებლონ მითუჩ სამართლითა და პატივის-ცემითა, რომლითაცა მკჳდრნი რუსეთისანი სარგებლობენ; ნაცულადუჩ მისსა აღსთქუამს მეფეჲცა განწესებად თავთა მთავართა მესამზღურეთა ანუ მინისტრთა მ ი ს ი ს ა დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა თ ა ყოვლითა ძალითა აღსუბუქებად ვაჭრობისა რუსთასა სავაჭროთა შინა სამფლობელოთა შინათჳსთა, ანუ მგზავრ განმვლელთა რუსთა ვაჭრობისთჳს სხუათა შინა ადგილთა. ამისთჳს რომელ გარდა ესე-გუარისა ნამდჳლისა განწესებისა და ზავისა სარგებელთათჳს ვაჭრობისათა ადგილი ქონებად შეუძლებელ არს (ესე იგი არს, სხუაგუარ ვაჭრობად შეუძლებელ არს).

არტიკული მეათორმეტე

ზავი უკუჩ ესე ანუ პირობა იქმნების საუკუნოდ, მაგრა, უკეთუ განხილულ იქმნეს რაჲმე საჭიროდ შეცუალებად, ანუ დართუად ურთიერთისათჳს სარგებელისა, აქუს მას ადგილი ორთავე კერძოთა თანჯმობისა.

არტიკული მეათსამეტე

კმა ყოფისათჳს აწინდელისა ტრაქტატისა სათანადო არს ურთიერთარს შეცუალებულ ყოფაჲ ექუსთა თთუჩთა შინა ჯელის-მოწერითა, ანუ უკეთუ უმსწრაფლეს შესაძლებელ იყოს.

რომლისა დასარწმუნებელად ქუჩმო მომწერელთა, სრულისა ძა-

ლისა მქონებელთა, მებრ ძალისა სრულ-ძალ-მქონებლობისა მათისა მოაწერეს არტიკულთა ამათ ზედა და ამას თანა თჳსნიცა დასხნეს ბეჭედნი. თუჳსა იულისსა, დღესა 24, წელსა 1783. წმიდის გიორგის კრეპოსტი.

პავლე პოტემკინი. თავადი, იოანე ბაბრატიონი. თავადი, გარსევან ჭავჭავაძე.

1801 წლის 12 სექტემბრის უმაღლესი მანიფესტი

წყალობითა ღვთისათა ჩვენ ალექსანდრე პირველი იმპერატორი და თვითმპყრობელი ყოვლისა რუსეთისა და სხვათა და სხვათა და სხვათა...

განუცხადებთ ყოველთა საქართველოჲსა სამეფოსა შინა მყოფთა ვისდამიცა სათანადო არს ცნობად მისთვის.

მფარველობა და უზენაესი ხელმწიფება რუსეთისა იმპერიისა სამეფოსა ზედა ქართველთასა, სდებენ მარადის ერთ მთავართა ზედა როსიელთასა, ვალსაცა ხელის აპყრობისასა. ჩღჟვ წელსა პირისპირ ძლიერად დაცემისა თქვენზედა აღა-მაჰმად-ხანისა ღვთისადმი განსვენებულმან დიდმან ხელმწიფა იმპერატრიცა ეკატირინა ალექსიევნამ წარგზავნა ნაწილი მხედრობათა თვისთა. ესე ოდენი წარმართებაჲ, მაშინ არა თუ ოდენ განარინებდა საქართველოჲსა სამეფოსა, არამედ ბედნიერებითი დაპყრობა ყოველთა სამფლობელოთა და ერთა კიღურსა ზედა კასპიის ზღვისასა მდებარეთა ვიდრე მტკვრად და არეზადმდე, შეგზღუდვიდენ თქვენ ყოველთა საშიშოთა გამო; დაშთებოდა ოდენ შინაგანითა კეთილ დაწესებითა დამყარება კეთილდღეობისა თქვენისა საუკუნოდ. გარნა მეყვსეულად მსწრაფლ მოწევნითმან გამოსვლამან რუსეთისა მხედრობისამან სპარსეთით, სომხითით და საზღვრით გამო თქვენთ აღმოფხვრეს სამართლიანი ლოდინი თქვენი. შემდგომად ყოველმან თქვენ მიერ მოთმენილმან განსაცდელმან მოსვლამან სხვათა სარწმუნოებისა ერთამან, დაქცევამან ქალაქთა და შენობათა, და მონებამან და წარზიდვამან მამათა, დედათა, ცოლთა და შვილთა თქვენთა; უკანასკნელ უთანხმოებამან მეფისთა სქესთამან და განყოფამან ერთა სხვათა და სხვათა მეფობისა ღირსებისა მეძიებელთა შორის მიგზიდნეს თქვენ ურთიერთისა საბრძოლველად. გარემოსნი თქვენნი წარმტაცნი ერნი იყვნენ მზა დაცემად სამეფოსა ზედა თქვენსა და დაუსჯელად განგლეჯად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაშთომილთა მისთა. შეერთებითა ყოვლისა მის ბოროტებისათა არა თუ ოდენ ერი, არამედ თითქმის სახელითა ქართლოსანთა პირველვე გულოვნობითა დიდებული ყოველსა აზიასა შინა, აღიფხვრებოდაცა პირისაგან ქვეყანისა, მდომელნი უფსკრულსა ამას შინა არა ერთგზის უწოდდით თქვენ მფარველობასა როსსიისასა. შესვლამან სპათა ჩვენთა და დაწყლვამან ომარ-ხან ავარიისა დააყენეს წარწყმენდა თქვენნი. შეაძრწუნნა ყოველნი წარმტაცნი კავკასიის მთათა აღმავსებელნი, დაიგინიცა რომელნიცა, კრეხენ სამფლობელოსა სპარსეთისა და დიდისა სომხითისასა; დამყუდრდა შორის თქვენსა მიმგვრიობა და თქვენ ყოველთაცა ერთსულობითა და დღესასწაულებითა ღაღადჰყავით, რათა ხელმწიფება რუსეთისა გმართებდესთ თქვენ უსაშვალოდ. ჩვენ აღსრულთა ყოვლისა რუსეთისა საყდარსა ზედა ვჰპოეთ სამეფო საქართველოჲსა, შეერთებული რუსეთისადმი, რომლისთვისცა გამოცხადება იყო უკვე იანვრის იჱ დღესა წელსა ჩყა, საყოველთაოდ ცნობისა; მიმწთომან მდგომარეობისა თქვენისა, და მხილველმან ვითარმედ ღონიერება და ყოფნა რუსეთისა მხედრობათა საქართველოსა შინა იპყრობს მხოლოდ იგი დათხევასა ჩვენთა ერთსარწმუნოთასა სისხლსა და ნამდვილსა წაწყმედასა განმზადებულსა თქვენთვის სხვათა ნათესავთა მესაზღვრეთა თქვენთა ერთაგან, — და ვისურვეთ ჩვენ გამოცდა. ვალად არს შეძლება აღდგინებად პირველისა მმართებელობისა მფარველობასა ქვეშე ჩვენსა და მით დაცვად თქვენდა უშიშრებასა და განსვენებასა შინა. — გარნა უახლოესმან გამოძიებამან ამისმან მიგვიზიდნეს ჩვენ ვითარმედ პირად პირადი ნაწილი საქართველოს ერისა, თანასწორ უძვირფასესი ჩვენთვის კაცობრიობისა ძლით, იშიშვის სამართლად დევნულებისა და ნაცვალგებისა მის, რომელიცა მეძიებელი მეფობისა ღირსებისა შეიძლებდაცა მიწდომასა ხელმწიფებისა მისისასა; ვინაიდგან პირისპირ ყოველთა მათ უფროსმან ნაწილმან ერთაგან ესოდენ ცხად ჰყო თავი თვისი; მხოლო მან ეჭვმან და შიშმან შესადგომელთა ამათ ჰშვა განუსვენებელობა, და უცილებელად იქმნებოდაცა წყაროდ ურთიერთისა შორის სისხლთ მთხეველობისა; გარდა ამისა მმართებლობამანცა მეფობასა შინა მეფის ირაკლისასა, რომელმანცა სულითა და ღირსებითა თვისითა შეაერთა ყოველი ხელმწიფებასა ქვეშე თვისსა, ვერ ხელიეწიფა (sic) დამტკიცება ვერცა გარეგანისა და ვერცა შინაგანისა უშიშროებისა. პირისპირ ესოდენ გზის მიგზიდნათ თქვენ ფსკერსა შინა ბოროტებისასა, რომლისა კიდურსა ზედაცა დღეს სდგეხართ თქვენ, და რომელსა შინაცა ყოველთა გამო ხატვათამებრ გშვენისთ თქვენ, და შთაცვივნა, უკეთუ ძლიერი ხელი მართლისა ხელმწიფებისა არა შეგიპყრობსთ

თქვენ დაცემისა ამისაგან. ძალმან გარემოებათა ამათ, ზოგად ამის-ძლით გრძნობამან თქვენმან და ხმამან საქართველოჲსა ერისამან, მოგვზიდნეს ჩვენ, არად დაუტეოთ და არა მივსცეთ მსწავლობად განსაცდელისა ენა ერთმორწმუნეთა, მომცემელთა ხვედრისა თვისისა დიდ სულისა რუსეთსა საფარველისადმი. განღვიძებული იმედი თქვენი არა იქმნების მოტყუებული ამ არა აღორძინებისათვის ძალთა, არა ნივთათავის, არა განვრცელებისათვის საზღვართა, და ესრეთცა უკვე ვრცელისა ქვეყანასა ზედა იმპერიასა შინა, მივიღებთ ჩვენთვის ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოსა მართებელობისასა. მხოლოდ პატივი და კაცობრიობა სდებენ ჩვენზედა საღმართოსა ვალსა. მსმენმან ვნებულთა ვედრებისა განსადევნელად შეჭირვებათა მათთა დავაწესო საქართველოსა შინა მმართებლობა, რომელსაც ეძლოსცა დამყარება მართალმსაჯულებისა, ნივთისა და საქონლისა უშიშროებისა, და მიცემად თვითოეულისა დაცვა სჯულისა. ხოლო ამისათვის გამომრჩეველმან ჩვენისა ღენერალ-ლეიტენანტისა კნორრინღისა, რათა იყოს უპირატეს მმართებელად თქვენ შორის, მივეცით ჩვენ მას სრული მოძღვრება გამოაცხადოს მმართებლობა ესე საკუთრად სახელითა ჩვენითა და მოიყვანოს ძალსა და მოქმედებასა შინა ჩვენ მიერ დათხზული განწესებაჲ, რომლისა სრული საყოფელადცა უზიარებთ თქვენ მიერ ღირსებათა და საზოგადოდ ნდობათამებრ გამორჩეულთა ვსასოებთ, ვითარმედ თქვენ მორწმუნენი მმართებლობისა ამის უეჭველად სიგრილისა ქვეშე მის დასაბამსავე მოიპოვებთ განსვენებასა და უშიშროებასა და შემდგომად, კეთილდღეობასა და უხვებასა.

ქართველი ხალხის პეტიცია საერთაშორისო საზავო კონფერენციისადმი, ჰაააგაში, 1907 წ.

სამართლისა და საერთაშორისო კანონის სახელით ჩვენ, უუძველესი დამოუკიდებელი ქრისტიანული სამეფოის, საქართველოს მოქალაქენი, მივმართავთ განათლებულ ევროპის ერებს, მათი დელეგატების სახით საერთაშორისო საზავო კონფერენციაზე ჰაააგაში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ხმა გამოიწვევს თქვენს ყურადღებასა და თანაგრძნობას. თუ ჩვენ გადმოგცემთ ჩვენს სამართლიან და ლეგალურ მოთხოვნილებებს რუსეთის იმპერიულ მთავრობის მიმართ იმ საერთაშორისო ხელშეკრულების ლოიალური დაცვის შესახებ, რომელიც დაიდო დამოუკიდებელ საქართველოსა და რუსეთის იმპერიულ მთავრობის შორის და დამტკიცებულ იქმნა ორივე

მხრივ. ხოლო სისტემატიურად დარღვეული უკანასკნელის მიერ.

1783 წელში, აგვისტოს 20-ს საქართველოს მეფე ირაკლი მეორემ ხელშეკრულება დასდო რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორესთან, რომლითაც საქართველომ დააყენა თავისი თავი, ნებით, რუსეთის იმპერიის მფარველობაში. თავის მხრივ, იმპერატრიცა ეკატერინე მეორემ, მისი საკუთარი და მისივე მემკვიდრეთა სახელით, ზეიმით აღგვითქვა დაცვა საქართველოს ავტონომიური მთავრობისა, ეროვნული კანონმდებლობისა, საქართველოს დამოუკიდებელი ეკლესიისა, სამართლისა ქართულ ენაზე, ეროვნული სამხედრო სისტემისა და ქართული ფულის მოჭრისა.

ხელშეკრულება დამტკიცებულ იქმნა სექტემბრის 30-ს იმავე წელს 1783 და მისი სრული ტექსტი ჩართულია რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულში, ტომი 21.

ამ საერთაშორისო, დამტკიცებულ ხელშეკრულების მეთორმეტე მუხლი ამბობს შემდეგს:

„ეს ხელშეკრულება დადებულია სამუდამოდ: მაგრამ თუ აუცილებელი საჭირო გახდა ორივე მხარის სასარგებლოდ ხელშეკრულებაში რაიმე შესწორების შეტანა, ეს შესწორებანი უნდა შესრულდენ მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით.

15 წლის შემდეგ ამ მეთორმეტე მუხლის მიხედვით დაიწყო მოლაპარკება რუსეთის იმპერატორ პავლე პირველის და ერეკლეს მემკვიდრე, მეფე გიორგის შორის, ხელშეკრულების გადასინჯის შესახებ. მოხდა შეთანხმება იმაზე, რომ საქართველოს სამეფო შეიქმნებოდა რუსეთის იმპერიის ნაწილი, მაგრამ შეინარჩუნებდა ყველა ავტონომიურ და ეროვნულ უფლებებს, რომელნიც ჩამოთვლილი არიან მფარველობის ხელშეკრულებაში 1783 წ.

იანვრის 18-ს, 1801 წ. იმპერატორ პავლეს მანიფესტი საქართველოს ანექსიის შესახებ გაკრულ იქმნა სანკტ-პეტერბურგის ქუჩებში და მასში იყო ნათქვამი:

„ამით, ჩვენ ვაცხადებთ, ჩვენი იმპერატორული სიტყვით, რომ საქართველოს კავშირის გულისათვის... ყველა უფლება და უპირატესობა... დაცული იქმნება სრული სიმთელით“ და სხვა (იმპერატორ პავლეს მანიფესტი).

მაგრამ ამ ახალ ხელშეკრულებაზე ხელი არასოდეს არ ყოფილა მოწერილი, ვინაიდან მეფე გიორგი და იმპერატორი პავლე სწორედ მისი დამტკიცების წინ გარდაიცვალენ.

ამის მიუხედავად, იმპერატორ პავლეს მემკვიდრე, ალექსანდრე პირველმა 1801 წლის 12 სექტემბრით დათარიღებულ მანიფესტში გამოაცხადა:

„ავბრძანდით რა ტახტზე, ვიხილეთ საქართველოს საშეფო შეერთებული რუსეთის იმპერიასთან, როგორც ეს ზეიმით იყო გამოცხადებული იანვრის 18-ს, 1801 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ელჩებმა რუსეთის სასახლეში, პროტესტი განაცხადეს ამ მანიფესტის წინააღმდეგ და დასტოვეს სანკტ-პეტერბურგი.

ალექსანდრე პირველის მანიფესტმა 1801 წ. სექტემბრის 12-სა კიდევ დაადასტურა საქართველოს ავტონომია მისი არჩეული შინაური მთავრობით; და საქართველოს შინაური მთავრობის სტატუსი, რომელზეც ხელი მოწერილ იქმნა იმავე დღეს, აცხადებდა:

„საქართველოს უმაღლეს მთავრობის (შემდგარ ოთხი დეპარტამენტისაგან) საერთო კრება ხმის უმრავლესობით სწყვეტს მთავრობის საქმეებს საბოლოოდ“.

თუმცა საქართველოს ავტონომია დადასტურებულ იქმნა, ქართველები მუდამ უყურებდენ იმპერატორ ალექსანდრეს მანიფესტს, როგორც არაკანონიერს და როგორც დარღვევას იმ ხელშეკრულებისა, რომელიც დადებულ იქმნა ეკატერინე მეორესთან და რომელიც იმის გარანტიას იძლეოდა, რომ რაიმე ცვლილების შეტანა ხელშეკრულებაში შესაძლებელი იქმნებოდა მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით.

ამ წუთიდან რუსეთის მთავრობა სისტემატურად არღვევდა ხელშეკრულების მუხლებს.

არჩეული (დანიშნული) უმაღლესი საქართველოს მთავრობა მოსპობილ იქმნა ნელნელა, და მაგივრად დამყარებულ იქმნა სამხედრო წესწყობილება, და ახლა უმაღლეს ადმინისტრაციაში და მეფის მოადგილის საბჭოში არის მხოლოდ ერთადერთი ქართველი მოხელე თარჯიმანი.

უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში ქართული ენა გაძევებული იქმნა სასამართლოდან. სამართალი ხდება გლეხებისა და მუშებისათვის გაუგებარ რუსულ ენაზე. რომელნიც ამგვარად მოქალაქეობის ყველაზე უფრო ელემენტარულ უფლებებს არიან მოკლებული.

ჩვენი ეროვნული სამხედრო სისტემა, ხელშეკრულებით დაცული, შეცვლილი იქმნა რუსული სავალდებულო ბეგარით; და ჩვენი ახალგაზრდები სამსახურში იგზავნებიან ჩვენი თბილი ჰავიდან ჩრდილოეთ რუსეთს და ციმბირს. რომლის შედეგად სამხედრო ექიმების თქმით, ქართველ ჯარისკაცში ასზე ორმოცდაშვიდი კვდება ან ავადმყოფდება ჰავის სისატიკის გამო.

ძალდატანებითი რუსიფიკაციის პოლიტიკამ ჩვენი ერის ეკონომიური დაღუპვა გამოიწვია. ჩვენს ეკლესიას ერთ უუძველეს, დამოუ-

კიდებელ ქრისტიანულ ეკლესიას წაერთვა დამოუკიდებლობა და ქონება, უბრალოდ, ადმინისტრატიული განკარგულებით. ჩვენი ისტორიული შენობანი და ტაძრები, მრავალი მათგანი საშუალო საუკუნეთა ხუროთ მოძღვრების ბრწყინვალე ნიმუში და ჩვენი ქართული ხელოვნების ნაყოფი მიტოვებულ იქმნენ უპატრონოდ, დასანგრევად; და ჩვენ არა გვაქვს არავითარი საღსარი აღვადგინოთ ისინი. ვინაიდან ჩვენ ეკლესიათა ქონების შემოსავალი 2, 400, 000 მანეთი წელიწადში, მითვისებულ იქმნა რუსეთის საიმპერიო ხაზინის მიერ. კიდევ მეტი, ყველა ქართული ეროვნული მიწაწყალი მითვისებულ იქმნა რუსეთის მთავრობის მიერ, გამოცხადებული რუსეთის სახელმწიფო ქონებად. ამ ადგილებზე რუსების მთელი სოფლები და უცხოელ კოლონისტებისა მთავრობის მიერ დასახლებულ იქმნა. თვითეულ დასახლებულ რუსს მთავრობა აძლევს 30, 40 და ხან 100 აკრს მიწას; მაშინ როცა საშუალოდ ქართველ გლეხს აქვს მხოლოდ სამიდან ხუთ აკრამდე მიწა. საქართველოს მრავალ მხარეში მთავრობამ აუკრძალა კიდეც ქართველ გლეხებს მიწის შეძენა ეგრედ წოდებულ საიმპერიო მამულებში. ამ ზომის წყალობით ქართველი გლეხობა იტანჯება ნამდვილი „მიწის შიმშილით" განსაკუთრებით დასავლეთ პროვინციებში. სადაც, ზოგიერთ ადგილში, დესიატინის (2,7 აკრი) ფასია ასიდან ორას გირვანქა სტერლინგამდე და ჩვენი გლეხები იძულებული არიან მიწა არშინობით იყიდონ.

ბატონყმობის გადაგდების გარდა არც ერთი რეფორმა, რომელიც რუსეთმა შემოიღო მეცხრამეტე საუკუნეში, საქართველოს არ ღირსებია; დღემდე ჩვენ არა გვაქვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, არც ერობა; არ გვყვანან არც არჩეული მსაჯულნი. უნივერსიტეტზე და უმაღლეს სკოლებზე მუდმივ უარს გვეუბნებიან, თუმცა მთავრობას მრავალჯერ სთხოვდენ.

თვით ახლახან შემოღებული კონსტიტუციური წესწყობილება არის ჩვენი ერისათვის სავალალო დაცინვა. ვინაიდან მთელ საქართველოს, მის ორმილიონნახევრიან მცხოვრებით, ჰყავს მხოლოდ შვიდი წარმომადგენელი სახელმწიფო დუმაში1).

მაგრამ იმას გარდა, რომ ჩვენ მოკლებული ვართ ჩვენს უფლებებს, სხვა უდიდესი საშინელება დაატყდა ჩვენს ერს.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მძვინვარებდა საალყო წესები საქართველოში და ერი მიუგდეს ჯარისა და ყაზახთა სიმხეცის საშინელებას. ჩვენი გაფურჩქვნილი პროვინციები: გურია, სა-

---

1) მეფის ბრძანებით, რუსეთის საარჩევნო უფლება შეცვლილ იქნა, და მთელ რუსეთზე დეპუტატთა რიცხვი შემცირებული, და ქართველი ერი ახლა რუსეთის დუმაში მხოლოდ ოთხ წარმომადგენელს აგზავნის.

მეგრელო, იმერეთი და შუა საქართველო დასწვეს და დაანგრიეს. ბაღები და ვენახები სავსებით გაანადგურეს, საკუთრება (განსაკუთრებით გლეხების) დააზიანეს და გასცარცვეს. ქალაქები: ქუთაისი, ოზურგეთი, ყვირილა, ხონი, ჭიათურა და 104 სოფელი მთლიანად ან ნაწილობრივ გადასწვეს, გადაბუგეს და ნანგრევებად აქციეს. ქართველები ასობით დაღუპეს; ქალები და ბავშვები ვერ გადაურჩნენ გაუპატიურებას, როგორც ეს მოხსენებული იყო ქართველ ქალთა მოწოდებაში განათლებულ ქვეყნების ქალთა მიმართ. გაპარტახებული და შიშით თავზარდაცემული მცხოვრებნი გაიხიზნენ მთებში და ტყეებში, სადაც მრავალი, განსაკუთრებით ბავშვები, დაიღუპნენ.

თვით ტფილისშიაც, ჩვენს დედაქალაქში, მეფის მოადგილისა და უმაღლეს მოხელეთა თვალ-წინ და მათივე თანხმობით მოწყობილ „პოგრომებს" ჰქონდა ადგილი.

აგვისტოს 29-ს (ახალი სტილით სექტემბრის 11-ს), ოქტომბრის 22-ს, (ახალი სტილით იანვრის 3-ს, 1906 წ.) ქალები და ბავშვები გაჟლეტილ იქმნენ პირდაპირ მეფის მოადგილის სასახლის წინ.

ჩვენი ერის სისტემატური დევნა-წამება გაიზარდა ისეთ დონემდე, რომ ჩვენ აკრძალული გვქონდა დახმარება გაგვეწია მიტოვებულ ხალხისათვის დანგრეულ დასავლეთ პროვინციებში.

როდესაც ქართველ ქალთა საზოგადოებამ შეაგროვა თანხა გურიის მშიერ გლეხებისათვის დასახმარებლად, მეფის მოადგილემ, ვორონცოვ-დაშკოვმა აკრძალა იგი, თქმით: „მთავრობას არ შეუძლია ნება მოგცეთ თქვენ, შეუმსუბუქოთ გაჭირვება მათ, ვინც მან დასაჯაო.

როდესაც ამ წლის გაზაფხულზე გავრცელდა მინინგიტი კახეთში, საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციაში, ქართველ ქალთა საზოგადოებას კვლავ აღუკრძალეს გაეგზავნა მედიკური დახმარება. ხოლო რამოდენიმე კვირის წინად ამავე საზოგადოებას სურდა გაეგზავნა ამცრელები შუა საქართველოში, რათა ხელი შეეშალათ ყვავილის გავრცელებისათვის; არც იმის ნება დართეს.

ასობით, თუ ათასობით არა, ქართველები გამომწყვდეული არიან საპყრობილეებში გაუსამართლებლად, და უცდიან ადმინისტრატიული წესით გადასახლებას ციმბირს ან ჩრდილო რუსეთს. უკანასკნელი წლის განმავლობაში 300-ზე მეტი კაცი, უმთავრესად ქართველები, სიკვდილით დასჯილ იქმნენ სამხედრო სასამართლოთა მიერ კავკასიაში. ათასობით გლეხები და მუშები გადაყრილ იქმნენ ციმბირს და ჩრდილო პროვინციებში. ევროპის პრესამ საერთოდ

გაიგო უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში მომხდარ მხეცურ დასჯათა შესახებ რუსეთში. რუსეთის დამოუკიდებელი პრესსა გადმოგვცემდა, რომ 40,000 მსხვერპლი დაეცა და ცნობილია, რომ გალიტიის პროვინციების შემდეგ საქართველო ყველაზე მეტად დაისაჯა.

ასეთი დამცირება და ჩაგვრა უცნობია ჩვენს ისტორიაში თემურლენგის შემოსევის შემდეგ.

და თუ ჩვენ ვბედავთ აღვიმაღლოთ ხმა ჩვენ ეროვნულ უფლებათა დაცვის გულისათვის, თუ ჩვენ ვბედავთ აღვნიშნოთ საერთაშორისო ხელშეკრულება, ჩვენ გვატუსაღებენ, გვსჯიან და ხშირად გვემუქრებიან გადასახლებით და გაჟლეტით.

ასეთ აუტანელ პირობებში, დუმისა და მეფისადმი საერთო თხოვნის უფლებას მოკლებული, ქართველი ერი სწყვეტს წარადგინოს განათლებული მსოფლიოს წინაშე თავისი საჩივარი რუსეთის საიმპერიო მთავრობის არაკანონიერ მოქმედებათა შესახებ, შეუსრულებლობაზე საერთაშორისო ხელშეკრულებისა, რომელიც დადებულ იქმნა ყველა ლეგალურ ფორმალობათა მიხედვით. რაც მიღებულია განათლებულ სახელმწიფოთა მიერ, — ხელშეკრულება, რომელიც ჩვენის მხრივ არასოდეს ყოფილა დარღვეული.

ევროპის მოქმედებით, ნახევრად ბარბაროსული და დაჩაგრული ოსმალეთის ბალკანური პროვინციები გადაიქცნენ კონსტიტუციურ, აყვავებულ სერბეთის, რუმენეთისა და ბულგარეთის სახელმწიფოებად.

ჩვენი ქვეყანა კი, მრავალ საუკუნეთა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებისა და ქრისტიანული ცივილიზაციის შემდეგ, რაც იგი შეუერთდა ნებით რუსეთის იმპერიას იმ იმედით, რომ განათლებულ ევროპას დაახლოებოდა, იმის მაგივრად, რომ მოეპოვებინა წინსვლა და მშვიდობიანი განვითარება, არის ახლა დანგრეული; ჩვენი ეროვნული, პოლიტიკური და გონებრივი ცხოვრება სისტემატიურად გაჭყლეტილი და ჩვენი მისწრაფებანი უწყალოდ მოსპობილი.

ასეთი არის მდგომარეობა შექმნილი საიმპერიო მთავრობის მიერ წინააღმდეგ ყველა წმიდა ხელშეკრულებისა, რომელთაც ჩვენ ვარდგენთ განათლებულ მსოფლიოს სახელმწიფოთა წინაშე, შეკრებილთ ბრწყინვალე კონფერენციაზე, რათა მოიპოვონ კანონი და სამართალი, იმ იმედით, რომ ჩვენ საკითხში თქვენი თანაგრძნობის გამოწვევა დაგვეხმარება, რომ ჩვენი უფლებები აღდგენილ იქმნენ 1783 წლის ხელშეკრულების თანახმად, რომელიც გარანტიას იძლევა ჩვენი ტერიტორიის მთლიანობისათვის და ეროვნულ ავტონომიისათვის რუსეთის იმპერიის მფარველობაში.

ამ თხოვნის დედანი ქართულ ენაზე, ხელის-მოწერით, დაცულია ინგლისურ „საქართველოს დამხმარე კომიტეტ“-ში... 1907 წ. 18 ივნისის თარიღით ქ. ლონდონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წ. შემუშავებული კანონი მოქალაქეობისა.

1. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოქალაქედ ჩაითვლება ყოველი მკვიდრი, რომელიც მიწერილი იყო რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსამე ადმინისტრატიულ ერთეულზე 1914 წლის ივლისის 19-მდე (ძვ-სტ.)

2. ყოფილ რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი, რომელიც პირველ მუხლში აღნიშნულ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, მაგრამ 1914 წლის აინვრის 1-დან განუწყვეტლივ სცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე და სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის გამოქვეყნებისა განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა, მიღებულ იქნება საქართველოს მოქალაქედ მე-4 მუხლში აღნიშნულ წესით.

3. მე-4 მუხლში აღნიშნულ წესითვე მიღებულ იქნება საქართველოს მოქალაქედ ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ სამ პირობას: ა) აქვს რაიმე უძრავი ქონება საქართველოს რესპუბლიკაში, ან თავის საქირაო შრომით ირჩენს თავს; ბ) არა ნაკლებ სამი წლისა ცხოვრობს განუწყვეტლივ საქართველოს ტერიტორიაზე, და გ) სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის მიღებისა განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა.

4. მე-2 და მე-3 მუხლში აღნიშნული განცხადება წარედგინება ადგილობრივ მომრიგებელ-მოსამართლეს, რომელიც მისცემს მთხოვნელებს მოქალაქეობის მოწმობას, უკეთუ იგი სათანადო პირობებს აკმაყოფილებს.

ამ მუხლის ძალით მიღებული დადგენილება მომრიგებელმა მოსამართლემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სათანადო პროკურორს. უკანასკნელს უფლება აქვს ასლის მიღების დღიდან ორი კვირის ვადაში გაასაჩივროს ასეთი დადგენილება.

5. ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი ქართველი ჩარიცხული იქნება საქართველოს მოქალაქედ ზემოაღნიშნულ (1,2,3 მუხ.) პირობის გარეშეც, უკეთუ ის სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის გამოქვეყნებისა განუცხადებს ამის სურვილს:

საქართველოში მცხოვრები — ადგილობრივ მომრიგებელ-მოსამართლეს, ხოლო უცხო სახელმწიფო მცხოვრები — მახლობელ კონსულს. ეს უკანასკნელი ვალდებულნი არიან მისცენ მთხოვნელს ცნობა საქართველოს მოქალაქეობის მოწმობა.

6. საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება აგრეთვე:

ა) შვილი საქართველოს მოქალაქისა, დაბადებული საქართველოს ტერიტორიაზე, ან მის გარედ;

ბ) ქორწინების გარეშე შობილი საქართველოს მოქალაქე დედისაგან;

გ) ცოლი ან ქვრივი საქართველოს მოქალაქისა;

დ) კანონიერის წესით შვილად აყვანილი საქართველოს მოქალაქისაგან;

ე) უცხოეთში გათხოვილი საქართველოს მოქალაქე ქალი, რომელიც დაქვრივების ან განქორწინების შემდეგ განაცხადებს საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილს; ხოლო უწლოვანო შვილი ასეთი ქვრივისა ან განქორწინებულისა, უკეთუ ერთი წლის განმავლობაში დასრულწლოვანების შემდეგ არ განაცხადებს მამის მოქალაქეობაში დარჩენის სურვილს;

ვ) უცხოელთა უწლოვანო შვილი, ქორწინებაში თუ მის გარეშე შობილი, იმ დღიდან, როცა მისი მშობლები მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობას;

ზ) შვილი საქართველოს იმ მოქალაქე ქალისა, რომელიც უცხოელს მისთხოვდება, მაგრამ მუდმივად სცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, უკეთუ ერთი წლის განმავლობაში დასრულწლოვანების შემდეგ არ განაცხადებს, რომ სურს მამის მოქალაქეობა შეინარჩუნოს, და

ც) ვინც ნატურალიზაციით მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას.

7. ნატურალიზაციით მოქალაქეობის მოპოვებისათვის შუამდგომლობის აღძვრა შეუძლიან უცხო ქვეშევრდომს ან უქვეშევრდომოს, რომელიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ სცხოვრობს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. შუამდგომლობა უნდა წარედგინოს ადგილობრივ თვითმართველობის საბჭოს, რომელიც ერთი წლის შემდეგ დღიდან შუამდგომლობის აღძვრისა განიხილავს მის თხოვნას და მიანიჭებს მთხოვნელს მოქალაქეობას, უკეთუ მას სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მავნე პირად არ მიიჩნევს. თხოვნის შეტანიდან განხილვამდე მთხოვნელი აუცილებლად საქართველოში უნდა ბინადრობდეს.

შენიშვნა 1. ყოველი უცხო ქვეშევრდომი, რომელსაც რაიმე

ოვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის რესპუბლიკის წინაშე თავისი სამეცნიერო შრომით, სამხედრო დახმარებით, საზოგადოებრივი მოღვაწეობით, თუ სხვა მხრივ, შეიძლება ამ ვადის მოუთხოვნელადაც იქნეს მიღებული საქართველოს მოქალაქედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 2. ვადის მოუთხოვნელად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ აგრეთვე ყოველი უცხო ქვეშევრდომი ქართველი.

8. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლიან იყოს იმავე დროს უცხო სახელმწიფოს მოქალაქედ.

9. საქართველოს რესპუბლიკაში მხოლოდ მისი მოქალაქე არის აღჭურვილი პოლიტიკური უფლებით.

10. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობას ჰკარგავს:

ა) ვინც უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომობას მიიღებს ნატურალიზაციის წესით;

ბ) ვინც უცხო სახელმწიფოს სამხედრო ან სამოქალაქო თანამდებობას მიიღებს საქართველოს მთავრობის ნებადაურთველად;

გ) ვინც უცხო ქვეშევრდომს მისთხოვდება და არ განაცხადებს საქართველოს მოქალაქედ დარჩენის სურვილს.

III

11. 1918 წლის ივლისის 16-ს დებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა („კან. და მთავრ. განკ. კრებული“ 1918 წ., კან. მე-20) გაუქმებულია.

1919 წ. მაისი 27.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია

რუსეთ – საქართველოს 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება

რწმუნებულება

რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობისა და საქართველოს დემოკრატიული მთავრობის შეთანხმების შესაბამისად, რომ დაიდოს მეგობრობის ხელშეკრულება,

რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ აღნიშნული ხელშეკრულების დადების თაობაზე მოლაპარაკების წარმოების რწმუნებულებანი მიანიჭა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს ლევ მიხეილის ძე კარახანს, რომელიც უფლებამოსილია იმათთან, ვისაც საამისო რწმუნებებს მიანიჭებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ხელი მოაწეროს ამ მოლაპარაკების შედეგად შემუშავებულ ხელშეკრულებას, რომელიც რუსეთისათვის სავალდებულო იქნება უკვე ხელმოწერის ძალით, საგანგებო რატიფიკაციის გარეშე.

ამის დასადასტურებლად რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ხელი მოაწერა ამ რწმუნებულებას და ბრძანა დამტკიცდეს იგი შესაბამისი ბეჭდით.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)
საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი
გიორგი ჩიჩერინი

ხელშეკრულებას წინ უძღვის ოქმი, რომელშიც ნათქვამია:

ო ქ მ ი

ქვემორე ხელისმომწერებმა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძემ და რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ლევ მიხეილის ძე კარახანმა, ხელი მოაწერეს რა აღნიშნულ დღეს თავიანთი მთავრობების რწმუნებულებათა საფუძველზე ამა წლის 28 აპრილიდან 6 მაისამდე მათ შორის მიმდინარე მოლაპარაკების შედეგად შემუშავებულ საქართველოს და რუსეთის ხელშეკრულებას, თავიანთი მთავრობებისაგან მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, თითოეულმა მიიღო აღნიშნული ხელშეკრულების თითო დედანი ოქმი თავისი მთავრობისათვის გადასაცემად.

ამასთან, ორივე ხელშემკვრელი მხარე შეთანხმდა, რომ დღეს ხელმოწერილ ხელშეკრულებას ორივე ხელშემკვრელი მხარე დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებს მთლიანად, გარდა V მუხლის მე-10 პუნქტისა, რომელიც ხელმოწერის დღიდან ორი კვირის გასვლის შემდეგ გამოქვეყნდება.

ამის დასადასტურებლად ქვემორე ხელისმომწერებმა შეადგინეს ეს ოქმი და დაამტკიცეს თავიანთი ბეჭდებით.

შედგენილია მოსკოვში, ორ ეგზემპლარად, ათას ცხრაას ოცი წლის 7 მაისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ურატაძე.

ს. ბერახანი

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ერთის მხრით, და რუსეთის სოციალისტურმა ფედერატიულმა საბჭოთა რესპუბლიკამ მეორე მხრით, ხელმძღვანელობდნენ რა საერთო სურვილით დაამყარონ ორივე ქვეყანას შორის მტკიცე და მშვიდობიანი ურთიერთობა ხსენებულ ქვეყნების მცხოვრებთა საკეთილდღეოდ, გადასწყვიტეს შეკრან ამ მიზნით განსაკუთრებული ხელშეკრულება და დანიშნეს თავის რწმუნებულად: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძე და რუსეთის სოციალისტურმა ფედერატიულმა საბჭოთა მთავრობამ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ლევ მიხეილის ძე კარახანი. ხსენებულმა რწმუნებულებმა აცნობეს რა ერთმანეთს თავის რწმუნებულების შესახებ, რომელიც აძლევდა მათ აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის უფლებას, შეთანხმებულ ქვემომოყვანილ მუხლებში:

მ უ ხ ლ ი 1.

გამოდის რა რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მიერ ყველა ერთა თავისუფალ თვითგამორკვევის უფლების აღიარებიდან სრულ გამოყოფის უფლებამდე იმ სახელმწიფოებიდან, რომლის შემადგენლობაშიც ეს ერები შედიან, რუსეთი ყოველ პირობის გარეშე სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, თავის ნებით იღებს ხელს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთნოდა რუსეთს საქართველოს ხალხისა და ქვეყნის მიმართ.

მ უ ხ ლ ი II.

გამოდის რა ხსენებულ ხელშეკრულების მუხლში აღიარებულ პრინციპებიდან, რუსეთი ვალდებულად ხდის თავს ხელი აიღოს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე.

მ უ ხ ლ ი III

1 სახელმწიფო საზღვარი საქართველოს და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე პსოუს გასწვრივ ასახჩის მთამდე; გადადის ხსენებულ ასახჩისა და აგაპეტის მთაზე და მიდის ყოფილ შავი ზღვის, ქუთასის და თფილისის გუბერნიების ჩრდილოეთის საზღვრით ზაქათალის ოლქამდე და ხსენებულ ოლქის აღმოსავლეთ საზღვრით მიდის სომხეთის საზღვრებამდე.

2 ყველა უღელტეხილი, ძდებარე აღნიშნულ მოსაზღვრე ხაზზე 1922 წ. პირველ იანვრამდე ნეიტრალურად არის აღიარებული. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება დაიკავოს ეს უღელტეხილები თავის ჯარებით ან-და გაამაგროს ისინი.

3 დარიალის უღელტეხილზე, ამ მუხლის მეორე პუნქტში აღნიშნული ნეიტრალიზაცია გავრცელდება ბალთიდან კობამდე, მამისონის უღელტეხილზე ზარამაგიდან ონამდე, და ყველა სხვა უღელტეხილებზე ხუთი ვერსის მანძილზე ორივე მხრით აღებული იმ პუნქტიდან, სადაც საზღვარი გადის.

4 სახელმწიფო საზღვარის სწორ გაყვანას ორ ხელშემკვრელ მხარის შორის, მოახდენს განსაკუთრებული მოსაზღვრე შერეული კომისია, რომელშიაც შევა ერთნაირი რიცხვი ორივე მხრიდან. ხსენებული კომისიის მუშაობის შედეგი დამტკიცებული იქნება ორივე ხელშემკვრელ მხარის შორის დადებულ განსაკუთრებული ხელშეკრულებით.

მ უ ხ ლ ი IV

1 რუსეთი ვალდებულია აღიაროს საქართველოს რესპუბლიკის უდავო შემადგენელ ნაწილებათ გარდა შავი ზღვის გუბერნიის ნაწილებისა, რომელნიც გადადის საქართველოს საზღვრებში ხსენებულ ხელშეკრულების პირველ და მესამე მუხლების ძალით, აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი გუბერნიები და რუსეთის სახელიწიფოს ყოფილი ოლქები: თფილისის, ქუთასის და ბათომის ყველა მაზრებით და ოლქებით, რომლებიც შეადგენენ ხსენებულ გუბერნიებს და აგრეთვე ზაქათალის და სოხუმის ოლქები.

2 შემდეგში, ურთიერთობის თანდათანობითი გამორკვევის მიხედვით საქართველოს და რუსეთს გარდა სხვა სახელმწიფო ერთეულებს შორის, რომელნიც არსებობენ ან შესაძლებელია შეიქმნენ საქართველოს სხვა საზღვრებთან, გარდა იმისა, რომელიც აწერილია ხსენებულ ხელშეკრულების მესამე მუხლში, რუსეთი მზათ იქნება იცნოს საქართველოს შემადგენელ ნაწილად ყოფილ კავკასიის სანამესტნიკოს ესა თუ ის ნაწილი, რომელიც გადავა მის ხელში ამ სახელმწიფო ერთეულებთან დადებულ ხელშეკრულების ძალით.

მ უ ხ ლ ი V

აღიარებს რა სამართლიანად რუსეთის მოთხოვნილებას, რომ არ იქნეს დაშვებული შემდეგში საქართველოს ტერიტორიაზე რაიმე

სამხედრო ოპერაცია, არსებობა სამხედრო ძალათა და სხვ. მოქმედებათა, რომელთაც შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიაზე შექნან პირობანი დამუქრებისა რუსეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ანდა საქართველოს ტერიტორიას გახდის სამხედრო ოპერაციების ბაზად, რომელიც მიმართული იქნება რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ან მასთან კავშირში მყოფ სახელმწიფო და მასში არსებულ სახელმწიფოებრივ წესწყობილების წინააღმდეგ, საქართველო ვალდებულად ხდის თავს მოახდინოს:

1. დაუყოვნებლივ განიარაღება და კონცენტრაციულ ბანაკებში მოთავსება ამა საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერის დროს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფთა, თუ კი ასეთები აღმოჩნდებიან, ან სამხედრო და საზღვაო-სამხედრო ნაწილების, კომანდებისა და ჯგუფების, რომელნიც მომავალში შესაძლოა მის საზღვრებში გადავიდნენ და რომელნიც რუსეთის მთავრობის პრეტენდენტის როლში გამოვლენ, აგრეთვე წარმომადგენლობისა და თანამდებობის პირთა, ორგანიზაციებისა და ჯგუფებისა, რომელთაც მიზნათ ექნებათ რუსეთის, ან მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობის ძირს ჩამოგდება.

2. დაუყოვნებლივ განიარაღება და დაკავება საქართველოს ნავსადგურებში მყოფ გემებისა, რომელიც შედის ამა მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციებისა და ჯგუფების საზღვაო-სამხედრო ძალთა შემადგენლობაში და აგრეთვე, რომელიც ამა თუ იმ მოსაზრებით ამ ორგანიზაციების და ჯგუფების განკარგულებაშია და საქართველოს ნავსადგურებში იმყოფება. ამ გემების ეკიპაჟის მიმართ სავსებით უნდა განხორციელდეს ამა მუხლის პირველი პუნქტის დადგენილება.

3. ყოველგვარი ჯილდოს მოუთხოვნელად და სრულებით უფასოდ გადაეცეს რუსეთს ყველა სამხედრო და საზღვაო-სამხედრო ქონება, ღირებულებანი და ფულის თანხები, რომელნიც ამა მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციათა და ჯგუფების მფლობელობასა, სარგებლობასა და განკარგულებაში იმყოფება. ამ მუხლის თანახმად სამხედრო და საზღვაო-სამხედრო ქონებით იგულისხმება: გემები და სხვა სანაოსნო საშუალებანი და არტილერიის, საინტენდანტოს (მათ შორის სასურსათო და ნივთიერი დაკმაყოფილების) საინჟინერო და საავიაციო მოწყობილებანი.

4. განიარაღების შემდეგ გადაეცეს რუსეთს ამა მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ნაწილები, ორგანიზაციები, ჯგუფები და გემების ეკიპაჟი.

შენიშვნა: რუსეთი პირობას იძლევა, რომ იგი ამ მუხლის ძალით გადაცემულ ყველა პირს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს.

5. მიიღოს ზომები და განდევნოს საქართველოს ტერიტორიის საზღვრებიდან, რომელიც ამ ხელშეკრულების მეთოხე მუხლით არის განსაზღვრული, ყოველგვარი ჯარი და სამხედრო რაზმები, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ჯარების შემადგენლობაში არ შედის.

6. მიღებულ იქნას ზომები, რომ მომავალში არ დაუშვან საქართველოს ტერიტორიაზე იმ ჯარებისა და სამხედრო რაზმების არსებობა, რომელნიც ამა მუხლში მეხუთე პუნქტშია აღნიშნული.

7. იმ პირებს, რომელნიც ამა მუხლის პირველსა და მეხუთე პუნქტში ჩათვლილ ორგანიზაციებს, ჯგუფებსა და ნაწილებს ეკუთვნიან, რამდენადაც ეს პირები თავისი ეროვნებით არ არიან ქართველები, აღეკრძალოს რა სახითაც არ უნდა იყოს, მათ შორის, მოხალისეთ, საქართველოს სახელმწიფო ჯარში შესვლა.

8. ტერიტორიის იმ საზღვრებში, რომელიც დადგენილია ამა ხელშეკრულების მეოთხე მუხლით, მომავალში არ მისცენ შედგენისა და არსებობის საშუალება რაიმე ორგანიზაციებს და ჯგუფებს, რომელნიც თავის თავს აცხადებენ რუსეთის ან მისი ნაწილის მთავრობის, ანდა რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოს როლში. აგრეთვე არ მისცენ შედგენისა და არსებობის საშუალება წარმომადგენლობებს და თანამდებობის პირთ, ორგანიზაციებს და ჯგუფებს, რომელთაც მიზნათ ექნებათ რუსეთის ან მასთან კავშირში მყოფ სახელმწიფოთა მთავრობის ჩამოგდება. ამასთანავე, საქართველო ვალად იღებს არ დაუშვას ზემოაღნიშნულ ორგანიზაციების, ჯგუფების, წარმომადგენლობათა და თანამდებობის პირთა მიერ საქართველოს ტერიტორიით გატანა ყველაფერი იმისა, რითაც შეიძლება ისარგებლონ რუსეთზე და მის მოკავშირე სახელმწიფოებზე თავდასასხმელად. აგრეთვე აეკრძალოს თავის ნავსადგურებსა და წყლებში ამგვარ ორგანიზაციათა გემებისა და სხვა სანაოსნო საშუალებათა არსებობა, გარდა საერთაშორისო სამართლით დადგენილი შემთხვევებისა იმ გემების მიმართ, რომლებიც იღუპებიან და სხვა.

9. იმ შემთხვევაში, თუ ამა მუხლის მერვე პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციების ჯგუფებისა, წარმომადგენლობისა და თანამდებობის პირთა მიერ მოხდება მერვე პუნქტში აღნიშნულ აკრძალვათა დარღვევის ცდა, იმ პირებსა და ქონებას, რომელიც საქართველოს მთავრობისაგან მის მიერ ამა მუხლის მერვე პუნქტით თავის თავზე მიღებულ ვალდებულების ძალით იქნება დაკავებული, ამა მუხლის

მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირობის თანახმად მოპყრობიან.

10. ამ მუხლის მე-5 პუნქტით დათქმული ღონისძიებების შესრულება უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ ხელშეკრულების ხელისმოწერისთანავე. საქართველო ვალდებულებას კისრულობს უმოკლეს ვადაში დაამთავროს ისინი თუნდაც შეიარაღებული ძალის გამოყენებით.

მ უ ხ ლ ი VI.

რუსეთი ვალდებულია არ მისცეს უფლება მის ტერიტორიაზე ყოფნისა და მოქმედების არავითარ ჯგუფსა და ორგანიზაციას, რომელიც საქართველოს მთავრობის, ანუ მის ნაწილის მთავრობის როლს მიითვისებენ, და აგრეთვე იმ ჯგუფებს და ორგანიზაციებს, რომელთაც თავის მიზნით საქართველოს მთავრობის დამხობა ექნება დასახული. რუსეთი ვალდებულია იქონიოს სავსებით თავისი გავლენა მის მოკავშირე სახელმწიფოებზე, რათა მათს ტერიტორიაზე არ დაუშვან არსებობა ამ მუხლში აღნიშნულ ჯგუფებისა და ორგანიზაციების.

მ უ ხ ლ ი VII.

შესაძლო გაუგებრობის ასაცილებლად ორივე ხელშემკვრელი მხარე შეთანხმდა, რომ ამ ხელშეკრულების მეხუთე მუხლის მეხუთე და მეექვსე პუნქტების განხორციელების დროს საქართველოს ნაწილებში, რომლებიც მას უნდა შეურთდნენ ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, როდესაც მეზობელ სახელმწიფოებთან, რუსეთს გარდა, საზღვრები საბოლოოდ დაიდება, საქართველოს მხრივ ამ შემთხვევაში საჭირო ზომების მიღება უნდა გათავდეს უახლოეს დროში, მის მიერ ამა თუ იმ ტერიტორიაზე თავისი სახელმწიფოებრივი მეპატრონეობის ფორმალური განხორციელების შემდეგ.

მ უ ხ ლ ი VIII.

ამა ხელშეკრულების მუხლების მეხუთე და მეექვსეს სისწორით ასრულებისა და მეხუთე მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირთა და ქონების გადასაცემად არსდება შერეული კომისია ორი მხრიდან თანაბარ წევრთა რიცხვით. კომისიის მუშაობის წესი თვით კომისიის მიერ გამომუშავდება. ამ ხელშეკრულების მეხუთე მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირთა და ქონების გადაცემა უნდა გათავდეს ამ ხელშეკრულების დადების დღიდან ორი თვის განმავლობაში.

მ უ ხ ლ ი IX.

1. საქართველოს ჩამომავლობის პირთ, რომელნიც რუსეთის ტერიტორიაზე სცხოვრობენ და დაბადებიდან 18 წლის ასრულებულ-ყოფილ-ნი ლიათ საქართველოს ქვეშევრდომობა მოითხოვონ. აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველთ, რომელნიც ზემოაღნიშნულ წლოვანებას მიაღწევენ, უფლება აქვთ რუსეთის ქვეშევრდომობა მოითხოვონ.

2. დაწვრილებითი მხარე ამ მუხლის აღსრულების შესახებ დამტკიცებული იქნება განსაკუთრებულ შეთანხმებით ორივე ხელშემკვრელ მხარეს შორის.

3. ორივე ხელშემკვრელ მხარის მოქალაქენი, რომელთაც სურთ ისარგებლონ ამ მუხლით მინიჭებულ უფლებით, ვალდებულნი იქნებიან აღასრულონ სავალდებულო ფორმალობა ერთი წლის განმავლობაში ამა მუხლის მეორე პუნქტის თანახმად მომხდარ შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან.

მ უ ხ ლ ი X.

საქართველო ვალდებულია გაანთავისუფლოს სასჯელისაგან და აგრეთვე შემდეგში სასამართლო ან ადმინისტრაციული წესით დევნისაგან ყველა პირები, რომლებიც იდევნებოდენ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტურ პარტიის სასარგებლო მოქმედებისათვის.

შენიშვნა: საქართველო ვალდებულია დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს საპყრობილეთაგან ყველა პირები, რომლებსაც ბრალდებათ ზემო აღნიშნული ხასიათის მოქმედებანი.

მ უ ხ ლ ი XI.

'ყოველი შემკვრელი მხარე ვალდებულია, იცნოს და პატივით მოეპყრას მხარეთა დროშას და ღერძს, როგორც მეგობარ სახელმწიფოთა ემბლემებს. დროშის და ღერბის ნიშნები ან ცვლილებანი, რომლებიც შესაძლებელია შეტანილი იქნეს შიგ, უნდა აცნობონ ერთმანეთს დიპლომატიური გზით.

მ უ ხ ლ ი XII.

ეკონომიური დამოკიდებულებანი საქართველოს და რუსეთს შორის განისაზღვრება დროებით, ორ ხელშემკვრელ მხარეთა შორის განსაკუთრებულ ხელშეკრულების დადებამდე, რისთვისაც უახლოეს დროში უნდა იქნეს მიღებული აუცილებელი ზომები და რომელსაც უნდა დაედვას საფუძვლად ქვემო მოყვანილი საერთო დებულებანი:

1 ორივე ხელშემკვრელი მხარე ურთიერთ შორის სავაჭრო დამოკიდებულებას საფუძვლად უდებს უდიდეს ხელის შეწყობის პრინციპს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. იმ საქონელს, რომელიც მიაქვთ ერთ-ერთ ხელშეკრულ მხარეებიდან დანიშნულებისამებრ მეორე მხარემ არავითარი სატრანსიტო ბაჟი და გადასახადი არ უნდა დაადვას.

მ უ ხ ლ ი XIII.

ხსენებულ ხელშეკრულების მე-12-ე მუხლში აღნიშნული 1 და 2 პუნქტები უნდა დაედვას საფუძვლად სავაჭრო ხელშეკრულებას, რომელიც იმავე მე-12-ე მუხლის ძალით უნდა დადებულ იქნას ორ ხელშემკვრელ მხარეს შორის.

მ უ ხ ლ ი XIV.

დიპლომატიური და საკონსულო დამოკიდებულებანი საქართველოს და რუსეთს შორის უნდა ადღგენილ იქნეს უახლოეს დროში, ორ ხელშემკრელ მხარეთა ურთიერთ შორის კონსულების დამოკიდებულების შესახებ განსაკუთრებულ შეთანხმების დადებამდე, რისთვისაც მიღებული უნდა იქნეს ყოველგვარი ზომა, მათი უფლებანი და ვალდებულებანი განისაზღვრებიან ამავე საგანზე ორ ხელშემკვრელ მხარეს შორის არსებულ კანონმდებლობით.

მ უ ხ ლ ი XV.

საჯარო უფლებრივი და კერძო უფლებრივი ხასიათის იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც აღიძრება ორ ხელშემკვრელ მხარის მოქალაქეთა შორის, და აგრეთვე ზოგიერთ ცალკე საკითხების მოწესრიგება ორ სახელმწიფოს შორის, დაევალება განსაკუთრებულ შერეულ ქართულ-რუსულ კომისიას, რომელიც დაარსდება უახლოეს დროში ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ.

შემადგენლობა, უფლება და ვალდებულებანი ამ კომისიისა განისაზღვრება განსაკუთრებულ ინსტრუქციით, რომელიც დამტკიცდება ცალკე კომისიისათვის ორ ხელშემკვრელ მხარის შეთანხმებით.

ხსენებულ კომისიებს დაევალება სხვათა შორის:

1 სავაჭრო და სხვა ეკონომიური ხასიათის შეთანხმების შედგენა.

2 მოწესრიგება საკითხებისა, რომელიც შეეხება ყოფილ ცენტრალურ არქივების საქმის საწარმოებელ დაწესებულებათაგან სასამართლო და ადმინისტრატიულ დეპოზიტების და აგრეთვე სამოქალაქო მდგომარეობის აქტების გამოყოფას.

3 გამორკვევა საკითხისა ბათომ-ბაქოს ნავთსადენის იმ ნაწილის

მფლობელობის, განკარგულების და მოხმარების წესის შესახებ, რომელიც თანახმად ხსენებულ ხელშეკრულების 4 მუხლისა გარკვ-ებებს საქართველოს ტერიტორიაზე. ეს საკითხი დამტკიცებულ იქნება შემდეგ საბოლოოდ განსაკუთრებულ შეთანხმებით ორ ხელშემკვრელ მხარის შორის.

მ უ ხ ლ ი XVI.

ხსენებული ხელშეკრულება შევა ძალაში თვით ფაქტის ძალით და ხელის მოწერის მომენტიდან, და საჭირო არ იქნება განსაკუთრებული რატიფიკაცია.

რის დასამტკიცებლად ორივე მხარის რწმუნებულებმა მოაწერეს ხელი და თავის ბეჭდები დაასვეს.

შედგენილია მოსკოვში 1920 წელს, 5 მაისს, ორ ეკზემპლიარად.

გ. ურატაძე, ლ. კარახანი.

გაზ. „ერთობა", 19.VII. 1920

საქართველოს კონსტიტუცია
მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ზ ო გ ა დ ი დ ებ უ ლ ებ ა ნ ი

მ უ ხ ლ ი I.

საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო.

მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

მ უ ხ ლ ი 2.

საქართველოს დედა ქალაქი არის ტფილისი

მ უ ხ ლ ი 3.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.

მ უ ხ ლ ი 4.

საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის — შვინდის ფერი ალამი შავი და თეთრი ზოლითა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით.

მუხლი 5.

ყოველ კანონსა და სავალდებულო დადგენილებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, უკეთუ გამოცხადებულია სათანადო წესით.

მუხლი 6.

სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელია.

სახელმწიფო ტერიტორიის გაფართოება ან სადავო საზღვრების შესწორება შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

მუხლი 7.

ადმინისტრატიული დაყოფა და თვითმართველი ერთეულთა საზღვრების დაწესება და შეცვლა სწარმოებს მხოლოდ კანონმდებლობითის წესით.

მუხლი 8.

კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედა აზრის წინააღმდეგია.

კონსტიტუციის შესრულება და მისი პრინციპების განხორციელება კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების მოვალეობას შეადგენს.

მუხლი 9.

კონსტიტუციის მიღებამდე გამოცემული და გამოქვეყნებული კანონი და დეკრეტი ძალაში რჩება, უკეთუ კონსტიტუციასა და მის პრინციპებს არ ეწინააღმდეგება.

მუხლი 10.

ეს კონსტიტუცია ძალაშია მუდმივ და შეუწყვეტლივ. იმ შემთხვევის გარდა რომელიც ამავე კონსტიტუციას აქვს გათვალისწინებული.

მუხლი 11.

დამტკიცებისა და მიღების შემდეგ კონსტიტუციას აქვეყნებს დამფუძნებელი კრება თავის წევრთა ხელმოწერით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეორე

მოქალაქეობა

მუხლი 12.

საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება წარმოშობით, ქორწინებით და ნატურალიზაციით.

მუხლი 13.

საქართველოს მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს სხვა სახელმწიფოს მოქალაქედ.

მუხლი 14.

საქართველოს მოქალაქეს შეუძლია უარი განაცხადოს საქართველოს მოქალაქეობაზე მხოლოდ თავის სახელმწიფოებრივ მოვალეობის შესრულების შემდეგ.

მუხლი 15.

მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის პირობებს დაწვრილებით კანონი განსაზღვრავს.

თავი მესამე

მოქალაქის უფლებანი

მუხლი 16.

მოქალაქენი კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან.

მუხლი 17.

წოდებრივი განსხვავება არ არსებობს.

მუხლი 18.

ხარისხის მინიჭება გარდა აკადემიურისა აკრძალულია.

ორდენი გაუქმებულია.

საომარი მოქმედების დროს თავის გამოჩენისათვის შეიძლება მიეცეს წარჩინების ნიშანი.

მუხლი 19.

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

მუხლი 20.

არ შეიძლება დასჯილ იქნეს ვინმე სხვაფრივ, თუ არ სასამართ-

ლოს წესით; გამონაკლისია კანონით განსაზღვრული დისციპლინარული წესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 21.

ყოველი მოქალაქე გასამართლებულ უნდა იქნეს საერთო წესით.

მ უ ხ ლ ი 22.

პიროვნება ხელშეუხებელია: არ შეიძლება შეპყრობილ ან სხვაფრივ თავისუფლებას მოკლებულ და პირადად გაჩხრეკილ იქნეს ვინმე, თუ არ სასამართლოს ან საგამომძიებლო ორგანოს დასაბუთებული ბრძანების ძალით.

მ უ ხ ლ ი 23.

ადმინისტრაციას შეუძლია თვისი უფლებით შეიპყროს ვინმე შემდეგ შემთხვევაში:

ა) როცა ბოროტმოქმედს ზედ დანაშაულის ადგილას წაასწრებს:

ბ) როცა დანაშაულის ადგილას დაზარალებული, ან წრე ვინმე ბოროტმოქმედს ხელს დაადებს.

გ) როცა მას, ვიზედაც ეჭვია მიტანილი, რაიმე გასამტყუნებელი ნივთი აღმოაჩნდება. ან როცა მის ტანზე, ან ბინაზე დანაშაულის აშკარა ნიშანი და კვალი აღმოჩნდა.

მ უ ხ ლ ი 24.

დამნაშავის დაკავება შეუძლია კერძო პირსაც, თუ დანაშაულის ადგილას მიასწრებს და ამასთანავე ადმინისტრაციის მოსვლამდის მისი მიმალვა მოსალოდნელია.

მ უ ხ ლ ი 25.

როგორც სასამართლოს ორგანოთა, ისე ადმინისტრაციის ბრძანებით შეპყრობილი, 24 საათის განმავლობაში უახლოეს სასამართლოში უნდა იქნეს წარდგენილი; თუ სასამართლო ისეა დაშორებული, რომ 24 საათში დამნაშავის წარდგენა შეუძლებელია, ეს ვადა განგრძობილ უნდა იქნეს ადგილობრივ გარემოების მიხედვით. მხოლოდ არა უმეტეს 48 საათისა.

მ უ ხ ლ ი 26.

სასამართლო ვალდებულია წარდგენილ პირს დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 24 საათისა, დაჰკითხოს; ხოლო შემდეგ წერილობითი ბრძანება გასცეს ან მისი შეპყრობის განგრძობისა, ან დაუყოვნებლივ განთავისუფლებისათვის.

მ უ ხ ლ ი 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოს სათანადო ორგანოები ვალდებულნი არიან, ეროვნული
რაიმე გზითა და საშუალებით ემცნოთ, რომ ვინმე ზემოაღნიშნულ
წესთა დარღვევითაა შეპყრობილი, დაუყოვნებლივ გამოიძიონ საქ-
მე და წერილობითი ბრძანება გასცენ ან მისი განთავისუფლებისა,
ან შეპყრობის განგრძობისა.

მ უ ხ ლ ი 28.

ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია: მხოლოდ სასამართლოს
დადგენილებით შეიძლება მისი გაჩხრეკა კანონით გათვალისწინე-
ბულ შემთხვევაში.

მუხლი 29.

კერძო მიწერ-მოწერა ხელშეუხებელია: მისი ამოხმობა და გადა-
სინჯვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.

მ უ ხ ლ ი 30.

ყოველი მოქალაქე მიმოსვლასა და ბინადრობის არჩევაში სრუ-
ლიად თავისუფალია; ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართ-
ლოს გადაწყვეტილებით შეიძლება

მ უ ხ ლ ი 31.

ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებ-
ლობს. მოქალაქის დევნა და მის პოლიტიკურ თუ სამოქალაქო
უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება.
ყველას შეუძლია აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც სურს. ან
სარწმუნოება გამოიცვალოს, ან და არც ერთ კულტს არ ეკუთვნო-
დეს.

სარწმუნოებისა და რწმენის მომიზეზებით მოქალაქეობრივი და
პოლიტიკური მოვალეობის ასრულებაზე უარის თქმა არავის შეუძ-
ლია, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც ცალკე კანონით იქნება გან-
საზღვრული.

სარწმუნოებრივი ხასიათის აქტებს არავითარი გავლენა არა აქვს
მოქალაქეობრივ უფლებასა და მდგომარეობაზე.

მ უ ხ ლ ი 32.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდით ან სხვა რამ
ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავ-
რობის წინასწარ ნებადაურთველად, ყოველი დანაშაულისათვის,
რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ
სასამართლოს წინაშე.

მ უ ხ ლ ი 33.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ უფლება აქვთ მთავრობის ნებადაურთველად შეიკრიბნენ საჯაროთ და უიარაღოთ, თანგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 34.

თუ კრებამ დანაშაულის ხასიათი მიიღო, ადმინისტრაციას შეუძლია დახუროს იგი.

მ უ ხ ლ ი 35.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად დაარსონ პროფესიული და სხვა ყოველგვარი კავშირი, თუ მისი მიზანი კანონით არ არის აკრძალული; კავშირის გაუქმება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება.

მ უ ხ ლ ი 36.

ქონებრივი, სავაჭრო და სამეურნეო-სამრეწველო პროფესიის თავისუფალი განვითარება უზრუნველყოფილია რესპუბლიკის კანონებით.

მ უ ხ ლ ი 37.

პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება უზრუნველყოფილია.

მ უ ხ ლ ი 38.

მუშათა გაფიცვა თავისუფალია.

მ უ ხ ლ ი 39.

ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკურ ისე სამოქალაქო ეკონომიურ და საოჯახო უფლებით.

მ უ ხ ლ ი 40

ქორწინება ემყარება უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას: ქორწინების ფორმასა და წესებს კანონი განსაზღვრავს.

ქორწინების გარეშე და ქორწინებაში შობილი უფლებითა და მოვალეობით თანასწორნი არიან. დედას უფლება აქვს იძიოს და დაამტკიცოს, ვინ არის მამა მის მიერ ქორწინების გარეშე შობილისა: აგრეთვე ქორწინების გარეშე შობილს უფლება აქვს იძიოს თავისი მამა.

მ უ ხ ლ ი 41.

პოლიტიკური დევნილი რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოხიზნული, სხვა სახელმწიფოს არ გადაეცემა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 42.

მოქალაქის უფლებათა დარღვევისათვის როგორც თანამდებობის, ისე კრძო პირი მიეცემა პასუხისგებაში, სისხლის სამართლის კანონების თანახმად.

მ უ ხ ლ ი 43.

ამბოხებისა ან ომის დროს, პარლამენტს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს მთელს რესპუბლიკაში, ან რომელსამე მის ნაწილში იმ უფლებათა გარანტია, რომელიც აღნიშნულია შემდეგ მუხლებში: 19, 22, 25, 26, 27, 28, 29, 30, 32, 33 და 38, ომის დროს კი 21 მუხლში აღნიშნული გარანტიაც იმ პირობით, რომ სამხედრო სამართალში მიცემა შესაძლებელია მხოლოდ მომქმედი ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე.

თუ პარლამენტი შეკრებილი არ არის, მთავრობას შეუძლია თავისი პასუხისმგებლობით შეაჩეროს ზემოაღნიშნულ გარანტიათა მოქმედება. მხოლოდ დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს პარლამენტი და თავის დადგენილება წარუდგინოს.

მ უ ხ ლ ი 44.

დიდი ეპიდემიის დროს მთავრობას უფლება აქვს შეაჩეროს დროებით მე-22-25, 26 და 30 მუხლში აღნიშნულ უფლებათა გარანტია, რამდენადაც ამას ეპიდემიასთან ბრძოლა მოითხოვს.

მ უ ხ ლ ი 45.

კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გარანტია და უფლება არ უარყოფს სხვა გარანტიასა და უფლებას, რომელიც იქ არ არის მოხსენებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის მიერ აღიარებული პრინციპებისაგან.

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი

მ უ ხ ლ ი 46.

საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის „საქართველოს პარლამენტი", რომელიც შესდგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისაებრ არჩეულ დეპუტატებისაგან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს სქესის განურჩევლად ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს, რომელსაც ოცი წელი შესრულებია.

პარლამენტი აირჩევა სამი წლის ვადით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 47

პარლამენტის არჩევნების წესს განსაზღვრავს ცალკე კანონი.

მ უ ხ ლ ი 48.

პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა იმ აზრისა და შეხედულებისათვის, რომელსაც გამოთქვამს თავის მოვალეობის ასრულების დროს.

პარლამენტის წევრის პიროვნება ხელშეუხებელია. არ შეიძლება შეპყრობილ ან სამართალში მიცემულ იქნეს იგი ვიდრე პარლამენტის წევრად ითვლება, თუ თვით პარლამენტმა ამის ნება არ დართო. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა დანაშაულის ჩადენაზე მიასწრებენ.

ეს შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს;

შეპყრობილი ან სამართალში მიცემული პარლამენტის წევრი განთავისუფლებულ უნდა იქნეს, თუ პარლამენტი ამას მოითხოვს.

მ უ ხ ლ ი 49.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტების გამო, რომელიც მას გაანდვეს, როგორც დეპუტატს. ეს უფლება არ ეკარგება მაშინაც, როცა დეპუტატად აღარ ითვლება.

მ უ ხ ლ ი 50.

პარლამენტის წევრებს მიეცემათ კანონით განსაზღვრული გასამრჯლო

მ უ ხ ლ ი 51.

პარლამენტის წევრობისა, მოხელეობისა და პროფესიის შეუთავსებლობის საკითხს განსაზღვრავს კანონი.

მ უ ხ ლ ი 52.

ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს. პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას.

მ უ ხ ლ ი 53.

პარლამენტი გამოსცემს კანონსა, დეკრეტსა და დადგენილებას; მათი გამოქვეყნების წესი ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

მ უ ხ ლ ი 54.

პარლამენტის უფლება:

ა) კანონმდებლობა;

ბ) უმაღლესი გამგეობლობა რესპუბლიკის ჯარისა და საზოგადოდ ყოველი შეიარაღებული ძალისა;

გ) ომის გამოცხადება:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ) დამტკიცება საზავო, სავაჭრო და ამგვარ ხელშეკრულებისა უცხო სახელმწიფოებთან:

ე) ამნისტია:

ვ) ბიუჯეტის დამტკიცება:

ზ) საშინაო და საგარეო სესხის აღება;

თ) თანამდებობის პირთა არჩევა. კონსტიტუციით ან კანონით მისდა მიკუთვნებული და

ი) საერთო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლებისა.

მ უ ხ ლ ი 55.

პარლამენტის სხდომა საჯაროა; მაგრამ პარლამენტს შეუძლია განსაკუთრებული დადგენილებით თავისი სხდომა, ან ნაწილი სხდომისა ფარულად გამოაცხადოს.

მ უ ხ ლ ი 56.

პარლამენტი თვითონ გაარჩევს თავის წევრთა არჩევნების კანონიერებას და გადასწყვეტს ყოველსავე დავას ამ საგანზე.

მ უ ხ ლ ი 57.

პარლამენტი ყოველ საკითხს სწყვეტს ხმის მარტივი უმრავლესობით, თუ რეგლამენტით ან კანონით სხვა წესი არ არის მიღებული.

მ უ ხ ლ ი 58.

პარლამენტის გახსნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ დეპუტატთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი გამოცხადდა.

მ უ ხ ლ ი 59.

პარლამენტის წევრთ უფლება აქვთ მთავრობის მიმართ შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა. წესი შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემისა განისაზღვრება კანონით ან რეგლამენტით.

პარლამენტს უფლება აქვს დანიშნოს საგამომძიებლო საანკეტო კომისია.

მ უ ხ ლ ი 60.

პარლამენტი თვითონ განსაზღვრავს რეგლამენტით თავის მოქმედების წესს.

მ უ ხ ლ ი 61.

პარლამენტი იკრიბება ყოველწლივ ნოემბრის პირველ კვირა დღეს. ახალი პარლამენტის არჩევნები ინიშნება შემოდგომაზე. ერთსა და იმავე დროს მთელს რესპუბლიკაში იმ ვარაუდით, რომ ახლად არჩეული დეპუტატები დაესწრნენ პარლამენტის გახსნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 62.

პარლამენტის მუშაობის დროებით შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით.

როცა პარლამენტის მუშაობა შეწყვეტილია, მისი მოწვევის უფლება განსაკუთრებული შემთხვევისათვის აქვს მთავრობას, ან პარლამენტის პრეზიდიუმს.

პარლამენტის შეკრება სავალდებულოა, თუ ამას დეპუტატთა ერთი მეოთხედი მოითხოვს.

მ უ ხ ლ ი 63.

ინიციატივის უფლება ეკუთვნის:

ა) პარლამენტის ყოველ წევრს, და

ბ) 5,000 ამომრჩეველს.

მ უ ხ ლ ი 64.

თუ ოცდაათი ათასმა ამომრჩეველმა წერილობით მოითხოვა, პარლამენტი ვალდებულია ახლად მიღებული კანონი სარეფერენდუმოთ ხალხს წარუდგინოს.

რეფერენდუმის წესს განსაზღვრავს კანონი.

მ უ ხ ლ ი 65.

პარლამენტი ყოველწლივ ირჩევს პრეზიდიუმს.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

აღმასრულებელი ხელისუფლება

მ უ ხ ლ ი 66.

უმაღლესი მართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას.

მ უ ხ ლ ი 67.

მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს პარლამენტი ერთი წლის ვადით. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედი ზედ მხოლოდ ორჯერ.

მ უ ხ ლ ი 68.

მთავრობის დანარჩენ წევრებს — მინისტრებს იწვევს მთავრობის თავმჯდომარე რესპუბლიკის იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ.

მ უ ხ ლ ი 69.

მთავრობის წევრს არ შეუძლია იმავე დროს რაიმე სხვა თანამდებობა ეჭიროს, ან რომელსამე პროფესიას მისდევდეს; შეუძლია იყოს მხოლოდ პარლამენტის წევრი და ადგილობრივი თვითმართველობის ხმოსანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 70.

მთავრობის თავმჯდომარეს ენიჭება რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა; იგი ნიშნავს ელჩებს სხვა სახელმწიფოებში და უცხოეთის ელჩები წარმოიგზავნებიან მასთან.

განსაკუთრებულ გარემოებაში, უკეთუ მთავრობის დადგენილების გამოტანა დაბრკოლებულია, თავმჯდომარეს შეუძლია გამოიწვიოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა, რაც დაუყოვნებლივ უნდა მოხსენდეს პარლამენტს.

თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებასა და განკარგულებას კანონის აღსრულებისათვის, მაგრამ უფლება არა აქვს კანონის მოქმედება შეაჩიროს, ან მისი შესრულება დააბრკოლოს;

მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს თავის განკარგულებით დანიშნოს რევიზია მართველობის ამა თუ იმ დარგისა, ადგილის ან მოვლენისა კანონში აღნიშნულ წესისაებრ.

თავმჯდომარეს არა აქვს არავითარი განსაკუთრებული უფლება, იმის გარდა, რაც ამ კონსტიტუციით არის მისდა მიკუთვნებული.

მ უ ხ ლ ი 71.

მთავრობის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, რომელიც ასრულებს მის მოვალეობას მთავრობაში.

მ უ ხ ლ ი 72.

მთავრობის საერთო უფლება და მოვალეობაა:

ა) რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა, თანახმად კანონისა;

ბ) თვალ-ყურის დევნა და აღსრულება კონსტიტუციისა და კანონებისა;

გ) წარდგენა პარლამენტის წინაშე თავის კანონპროექტისა, აგრეთვე დასკვნისა იმ კანონპროექტის შესახებ, რომელიც პარლამენტისა ან ხალხის ინიციატივით არის შემოსული.

დ) დაცვა რესპუბლიკის საგარეო ინტერესებისა;

ე) უზრუნველყოფა რესპუბლიკისა გარეშე განსაცდელისაგან და დაცვა მისი დამოუკიდებლობისა:

ვ) ზრუნვა შინაური წესიერებისა და უშიშროების დაცვისათვის.

მოულოდნელ შემთხვევაში, თუ საჭიროებამ მოითხოვა, მთავრობას უფლება აქვს თავის დადგენილებით გამოიყვანოს შეიარაღებული ძალა, ვადით არა უმეტეს 21 დღისა. უკეთუ მეტის ვადით დასჭირდა, პარლამენტისაგან უნდა მიიღოს ნებართვა.

ზ) განაგოს ფინანსები. სჭრას ფული თანახმად კანონისა, და ყოველ წლივ წარუდგინოს პარლამენტს შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა ბიუჯეტი.

Თ) ანგარიში აძლიოს პარლამენტს თავის მოქმედებისა და წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგინოს მოხსენება საქართველოს შინაგან და საგარეო მდგომარეობის შესახებ: წარუდგინოს აგრეთვე განსაკუთრებული მოხსენება, უკეთუ პარლამენტმა მოითხოვა, და

თ) შეასრულოს ყოველივე, რაც კანონს ან პარლამენტს მისთვის დაუვალებია.

მ უ ხ ლ ი 73.

რესპუბლიკის დანარჩენ საქმეთა მართვა-გამგეობა განაწილებულია მთავრობის წევრთა შორის. თვითეული მათგანი დამოუკიდებლად და პარლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით განაგებს მისთვის მინდობილ უწყებას და უნდა გადადგეს. როცა პარლამენტის პირდაპირი დადგენილებით დაჰკარგავს მის ნდობას.

მინისტრს უფლება აქვს პარლამენტში ხმის მიცემისა მხოლოდ მაშინ, როცა დეპუტატად ირიცხება.

მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათვის. ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებას და აასრულოს იგი და ამის მიხედვით, თუ საჭიროა, გამოსცვალოს ცალკე მინისტრი ან გარდაქმნას მთელი კაბინეტი.

მ უ ხ ლ ი 74.

მთავრობის ყოველ წევრს უფლება აქვს პარლამენტისა და მისი კომისიის სხდომას დაესწროს. თუ მინისტრმა მოითხოვა, პარლამენტი და მისი კომისია ვალდებულია მოუსმინოს. თავის მხრით პარლამენტისა და კომისიის მოთხოვნით მინისტრიც ვალდებულია სხდომაზე გამოცხადდეს და ახსნა-განმარტება მისცეს.

მ უ ხ ლ ი 75.

კონსტიტუციის დარღვევისათვის მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები პასუხისმგებელი არიან სასამართლოს წინაშე. მათი პასუხისგებაში მიცემა შეუძლია მხოლოდ პარლამენტს. მათი გასამართლება საერთო წესით სწარმოებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასამართლო

მ უ ხ ლ ი 76.

საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო-სენატი. რომელსაც ირჩევს პარლამენტი. სენატი მოვალეა:

ა) თვალყური ადევნოს კანონის დაცვასა და

ბ) განაგოს სასამართლო ნაწილი. როგორც საკასაციო სასამართლომ.

მ უ ხ ლ ი 77.

სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა საწარმოებლად არსებობს მუდმივი სასამართლოები.

სასამართლოს ორგანიზაცია, იურისდიქცია და კომპეტენცია განისაზღვრება კანონით.

მ უ ხ ლ ი 78.

სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება.

მართლმსაჯულება სწარმოებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით.

მ უ ხ ლ ი 79.

სასამართლოს არც ერთი განაჩენი არ შეიძლება გაუქმებულ, შეცვლილ, ან შეჩერებულ იქნეს კანონმდებელი, აღმასრულებელი ან ადმინისტრატიული ორგანოს მიერ.

მ უ ხ ლ ი 80.

სასამართლოს სხდომა საჯაროა; მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს ზნეობისა და საზოგადო მშვიდობიანობის დაცვის ინტერესი, სხდომა შეიძლება კარდახურული იქნეს თვით სასამართლოს დადგენილებით.

მ უ ხ ლ ი 81.

მძიმე სისხლის სამართლის, და აგრეთვე პოლიტიკური და ბეჭდვითი დანაშაულისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

მ უ ხ ლ ი 82.

მოსამართლე აირჩევა ვადით. არჩევის წესი და პირობა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მსაჯული, კანონით განისაზღვრება.

მ უ ხ ლ ი 83.

არ შეიძლება სასამართლოს წევრის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა მისი სურვილის წინააღმდეგ, გარეშე სასამართლოს დადგენილებისა.

თანამდებობიდან მისი დროებით გადაყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა სამართალში ან გამოძიებაში არის მიცემული.

სრულიად დათხოვნა კი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებ ით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეშვიდე

სახელმწიფო ფინანსები

მ უ ხ ლ ი 84.

არცერთი სახელმწიფო გადასახადი არ შეიძლება დაწესებულ ან აკრეფილ იქნეს, თუ წინასწარ პარლამენტის მიერ არ იქნება დადასტურებული.

შენიშვნა: ადგილობრივი თვითმართველობის გადასახადთა დაწესების უფლებას ცალკე კანონი განსაზღვრავს.

მ უ ხ ლ ი 85.

სახელმწიფო გადასახადისაგან ვერავინ განთავისუფლდება, თუ არ კანონის ძალით.

მ უ ხ ლ ი 86.

თუ არ კანონის ძალით, არავითარი პენსია, ჯილდო და საზოგადოთ ხარჯი არ შეიძლება გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან.

მ უ ხ ლ ი 87.

პარლამენტის ნებადაურთველად არ შეიძლება აღებულ იქნეს სახელმწიფო სესხი და ან რაიმე ფინანსიური ვალდებულება.

მ უ ხ ლ ი 88.

სახელმწიფოს ყოველი შემოსავალ-გასავალი ბიუჯეტში უნდა იქნეს აღნიშნული. ბიუჯეტი ყოველწლივ უნდა წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

მ უ ხ ლ ი 89.

თუ ბიუჯეტის დამტკიცება პარლამენტმა ვერ მოასწრო საანგარიშო წლის დამდეგამდე, მთავრობას უფლება ეძლევა სახელმწიფო ხარჯები ახალი ბიუჯეტის დამტკიცებამდე წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით დაჰფაროს პარლამენტის ნებართვით.

მ უ ხ ლ ი 90.

ხარჯის გადატანა ბიუჯეტის ერთი პარაგრაფიდან მეორეში არ შეიძლება პარლამენტის ნებადაურთველად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მერვე

სახელმწიფო კონტროლი

მ უ ხ ლ ი 91.

სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის სისწორით ასრულება:

ბ) სახელმწიფოს ყოველნაირი შემოსავალი და გასავალი:

გ) მთავრობის და სხვა და სხვა უწყების ხარჯთაღრიცხვა და ანგარიში, და

დ) ადგილობრივი თვითმართველობის ფინანსები კანონის თანახმად.

მ უ ხ ლ ი 92.

სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევს პარლამენტი. იგი არ ითვლება მინისტრთა კაბინეტის წევრად, მაგრამ აღჭურვილია მინისტრის უფლებით და პასუხისმგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე. იგი ყოველწლიურად ანგარიშს უდგენს პარლამენტს.

მ უ ხ ლ ი 93.

კონტროლის ორგანიზაცია და მოქმედების წესი განსაზღვრულია კანონით.

თავი მეცხრე

სახელმწიფო თავდაცვა

მ უ ხ ლ ი 94.

ყოველი მოქალაქე რესპუბლიკისა ვალდებულია პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა კანონის თანახმად.

მ უ ხ ლ ი 95.

სამხედრო ძალთა დანიშნულება არის დაცვა რესპუბლიკისა და მისი ტერიტორიისა.

მ უ ხ ლ ი 96.

სამხედრო ბეგარის ვადა და სამხედრო ძალთა ყოველი მოწყობის წესი განისაზღვრება კანონით.

მ უ ხ ლ ი 97.

სამხედრო ბეგრის მოსახდელად გასაწვევ ახალგაზრდათა რაოდენობას ყოველწლივ პარლამენტი ამტკიცებს.

ადგილობრივი თვითმართველობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 98.

ადგილობრივი თვითმართველობა არის იმავე დროს ორგანო ადგილობრივი მართველობისა და განაგებს ადგილობრივ გამგეობის კულტურულ განმანათლებელ და სამეურნეო საქმეებს თავის ტერიტორიის ფარგლებში.

მ უ ხ ლ ი 99.

ადგილობრივი თვითმარველობის ორგანიზაცია, უფლება-მოვალეობა და მართვა-გამგეობის წესი განისაზღვრება კანონით.

მ უ ხ ლ ი 100.

ადგილობრივი თვითმართველობას უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილება თანახმად კანონისა.

მ უ ხ ლ ი 101.

ადგილობრივი თვითმართველობა ირჩევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო წესით.

მ უ ხ ლ ი 102.

ადგილობრივ თვითმარველობის დადგენილება და განკარგულება შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს წესით.

მ უ ხ ლ ი 103.

მთავრობის ცენტრალ ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ ადგილობრივი თვითმართველობის დადგენილება და განკარგულება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ხოლო ვალდებულნი არიან საქმე დაუყოვნებლივ სასამართლოს გადასცენ. წესი და პირობა შეჩერებისა განისაზღვრება კანონით.

მ უ ხ ლ ი 104.

ადგილობრივი თვითმართველობა მართვა-გამგეობის საქმეში ემორჩილება მთავრობის ცენტრალ ორგანოებს.

მ უ ხ ლ ი 105.

იმ საგნებს, რომლის შესახებაც ადგილობრივი თვითმართველობის დადგენილება დამტკიცებულ უნდა იქნეს ცენტრალ ხელისუფლების მიერ, განსაზღვრავს კანონი.

მ უ ხ ლ ი 106.

ადგილობრივ თვითმართველობას ენიჭება საბიუჯეტო უფლება, ცალკე კანონით განსაზღვრული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე

ავტონომიური მართველობა

მ უ ხ ლ ი 107.

საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს — აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქი), ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა.

მ უ ხ ლ ი 108.

წინა მუხლში მოხსენებულ ავტონომიურ მმართველობათა დებულებანი შემუშავებულ იქნება ცალკე კანონით.

თ ა ვ ი მ ე თ ო რ მ ე ტ ე

სწავლა-განათლება და სკოლა

მ უ ხ ლ ი 109

ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალია. სახელმწიფოს მოვალეობაა მფარველობა გაუწიოს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.

მ უ ხ ლ ი 110

პირველდაწყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა. საზოგადო სკოლების სისტემა ერთს ორგანიულ მთლიანობას წარმოადგენს, სადაც პირველდაწყებითი სკოლა საფუძველია საშუალო და უმაღლესი სკოლისა.

სწავლა-განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საერთოა.

მ უ ხ ლ ი 111.

სახელმწიფო მიზნათ ისახავს: პირველდაწყებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებს საზრდო, ჩასაცმელ-დასახური და სასწავლო ნივთები უფასოდ მისცეს. ამ მიზნის განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობანი თავის შემოსავლის ერთ ნაწილს გადასდებენ ყოველწლიურად.

მ უ ხ ლ ი 112.

კერძო თაოსნობით დაარსებული სკოლა ემორჩილება საერთო სასკოლო კანონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი მ ე ც ა მ ე ტ ე

სოციალ-ეკონომიური უფლებანი

მ უ ხ ლ ი 113.

რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის.

მ უ ხ ლ ი 114.

საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესით. ჩამორთმეულ ქონებაში მიეცემა სათანადო საფასური თუ კანონში სხვა გვარად არ არის განსაზღვრული.

მ უ ხ ლ ი 115.

რესპუბლიკას აქვს საკუთარი სააღებ-მიმცემო და სამრეწველო მეურნეობა, რომლის გაფართოვება და ერთი მთლიანი საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნა მისი მთავარი მიზანია.

რესპუბლიკა ხელს უწყობს ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოთა ასეთსავე მეურნეობის გაფართოვებას და გაძლიერებას.

რესპუბლიკას შეუძლია კანონმდებლობის გზით გაასაზოგადოოს ის სავაჭრო-სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო დარგი და წარმოება, რომელიც ამისთვის გამოსადეგია.

მ უ ხ ლ ი 116.

წვრილი მწარმოებლის — სოფლის მეურნის, ხელოსანის, შინამრეწველის — შრომის ნაყოფის დაცვა კერძო პირთა ექსპლოატაციისაგან სახელმწიფოს განსაკუთრებული საზრუნავი საგანია.

რესპუბლიკის განსაკუთრებული საზრუნავია აგრეთვე სოფლის მეურნეობის აყვავება; მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 117.

შრომა საფუძველია რესპუბლიკის არსებობისა და მისი უზრუნველყოფა რესპუბლიკის განსაკუთრებული მოვალეობაა.

მ უ ხ ლ ი 118.

რესპუბლიკის კანონმდებლობით ადგილობრივ თვითმართველობას ევალება დაარსოს შრომის ბირჟა. საშუამავლო კანტორა და სხვა ამგვარი დაწესებულება, რომელიც აღნუსხავს უმუშევართ და შუამავლობას გაუწევს სამუშაოს შოვნაში.

ასეთ დაწესებულების ხელმძღვანელ ორგანოში მუშათა კავშირის წარმომადგენელთა რიცხვი ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მ უ ხ ლ ი 119.

უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს მიეცემა დახმარება სამუშაოს აღმოჩენით ან დაზღვევის სახით.

მ უ ხ ლ ი 120.

მოხუცებულობით, დაავადებით თუ სხვა მიზეზით შრომის უნარს მოკლებული მოქალაქე, რომლისთვისაც ზრუნვა კანონით ან ჩვეულებით დავალებული არა აქვს მემკვიდრეს, მზრუნველს, მწარმოებელს ან სხვა კერძოსა თუ საზოგადოებრივ დაწესებულებას, და რომელსაც არსებობის სახსარი არ მოეპოვება, მიიღებს დახმარებას სახელმწიფო ხაზინიდან დაზღვევით ან სხვა სახით, ასევე დაეხმარება ხაზინა, უკეთუ მემკვიდრეს ან მზრუნველს შრომის უნარდაკარგულის რჩენა რა შეუძლია.

მ უ ხ ლ ი 121.

დაქირავებული მუშა, რომელიც მოხუცებულობით, დაშავებით ან სხვა მიზეზით დაჰკარგავს სავსებით ან ნაწილობრივ შრომის უნარს, მიიღებს დახმარებას დაზღვევის სახით თავის ხელფასის კვალობაზე. დასაზღვევი თანხა უნდა შესდგეს დამქირავებელზე შეწერილ საგანგებო გადასახადისაგან.

მ უ ხ ლ ი 122.

გარდა საგანგებო, ან ამ მიზნით შეწერილი გადასახადისა, ზემოაღნიშნულ მოვალეობათა ასასრულებლათ რესპუბლიკის შემოსავლიდან უნდა გადაიხადოს ყოველ წლიურად განსაზღვრული ნაწილი.

მ უ ხ ლ ი 123.

ნორმალი სამუშაო დრო დაქირავებულთათვის არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს. ამასთანავე კვირაში ერთხელ მუშა უნდა ისვენებდეს განუწყვეტლივ 42 საათს. გამონაკლისს სამუშაო დროის შესახებ განსაზღვრავს კანონი.

სასოფლო მეურნეობასა და სხვა სასეზონო წარმოებაში სამუშაო დროის შეფარდება განსაკუთრებულ პირობებთან განისაზღვრება კანონით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 124.

წარმოებაში 16 წლამდის ყმაწვილის შრომა აკრძალულია; 16—18 წლის მოზარდთათვის სამუშაო დრო განისაზღვრება 6 საათით დღეში; მოზარდთა და საზოგადოთ, ქალთათვის ღამით მუშაობა აკრძალულია.

მ უ ხ ლ ი 125.

რესპუბლიკის საზრუნავი საგანია განსაზღვრის მინიმუმი ხელფასი და შრომის ნორმალი პირობანი წარმოებაში.

არსდება შრომის ინსპექცია და სანიტარული ზედამხედველობა, რომელიც დამოუკიდებელი უნდა იყოს დამქირავებელთაგან.

მ უ ხ ლ ი 126.

განსაკუთრებული კანონი დაიცავს ქალთა შრომას წარმოებაში. აკრძალულია ქალის მუშაობა დედობისათვის მავნე წარმოებაში; მუშა ქალი მშობიარობის დროს არა ნაკლები ორი თვისა თავისუფალია მუშაობისაგან ჯამაგირის მოუსპობლად; დამქირავებელს ევალება ძუძუმწოვარ ბავშვთა მოსავლელად შესაფერ გარემოებაში ამყოფოს მუშა ქალები.

მ უ ხ ლ ი 127.

შრომის დამცველ კანონების დარღვევისათვის დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

მ უ ხ ლ ი 128.

რესპუბლიკას და ადგილობრივ მმართველობას ევალება დედობის და ბავშვების დაცვისათვის მზრუნველობა.

თ ა ვ ი მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ე

ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი

მ უ ხ ლ ი 129.

არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით

სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს ოფიციალურ ენაზე.

მ უ ხ ლ ი 130.

ეროვნულ უმცირესობისაგან შემდგარი ადგილობრივ თვითმართველობის ერთეულებს (თემი, ერობა, ქალაქი) უფლება აქვთ შეერთდნენ და დაარსონ ეროვნული კავშირი თავის კულტურულ-განმანათლებელი საქმეების უკეთ მოსაწყობად და გასაძღოლად კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში.

ეროვნულ უმცირესობას, რომელსაც ასეთი თვითმართველობის ორგანოები არ მოეპოვება, შეუძლია ამის გარეშეც შეადგინოს ეროვნული კავშირი ამ მუხლში აღნიშნული უფლებითა და კომპეტენციით.

ეროვნულ კავშირში შესვლა ხდება სალაპარაკო ენის მიხედვით.

ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-განმანათლებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო და თვითმართველობათა ბიუჯეტიდან გადაიდება ფინანსური საშუალებები პროპორციულად მცხოვრებთა რაოდენობისა.

მ უ ხ ლ ი 131.

არ შეიძლება შეიზღუდოს ვისიმე პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლება ეროვნულ კავშირში მონაწილეობისათვის.

მ უ ხ ლ ი 132.

ყოველ ეროვნულ კავშირს შეუძლია აღძრას და დაიცვას სასამართლოს წინაშე ის საქმე, რომელიც ეხება კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებულ ეროვნულ უმცირესობის უფლების დარღვევას.

მ უ ხ ლ ი 133.

საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო, სამოქალაქო, სამხედრო და საქალაქო თუ საერობო სამსახური.

მ უ ხ ლ ი 134.

ეროვნულად ნარევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის გადადებული თანხით დააარსოს საკმაო რიცხვი სკოლების და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებისა მოქალაქეთა ეროვნულ შედგენილობის პროპორციის მიხედვით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 135.

ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბავშვის სალაპარაკო ენაზე.

მ უ ხ ლ ი 136.

ადგილობრივი მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20%-ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედა-ენაზედაც.

მ უ ხ ლ ი 137.

არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედაენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პარლამენტის პრეზიდიუმს.

დაწვრილებით წესს განსაზღვრავს კანონი.

თ ა ვ ი მ ე თ ხ უ თ მ ე ტ ე

სახელმწიფო მოხელენი

მ უ ხ ლ ი 138.

საქართველოს მოქალაქე შეიძლება მიღებულ იქნეს ყოველ თანამდებობაზე, თუ კანონის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

მ უ ხ ლ ი 139.

მოხელე ან თანამდებობის პირი შეიძლება გადაყენებულ ან დისციპლინარულ წესით დასჯილ იქნეს იმ დაწესებულების ან უფროსის განკარგულებით, ვისგანაც იყო მიღებული; ხოლო სამსახურიდან სრულიად დათხოვნის წესს განსაზღვრავს კანონი.

მ უ ხ ლ ი 140.

თვითეული მოხელეს აქვს უფლება პენსიის მიღებისა. მოხელისა და მისი ოჯახის წევრთა მიერ პენსიის მიღების პირობას განსაზღვრავს კანონი.

მ უ ხ ლ ი 141.

თვითეული მოხელე პასუხისმგებელია სასამართლოს წინაშე საერთო წესისაებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეს უფლება აქვს პასუხისგებაში მისცეს ყოველი მოხელე საზოგადო წესით მისი დანაშაულისათვის.

მოქალაქეს უფლება აქვს მოსთხოვოს მოხელის უკანონო ქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება სახელმწიფოს.

ანაზღაურების წესი და პირობა განისაზღვრება კანონით.

თავი მეთექვსმეტე

სახელმწიფო და ეკლესია

მუხლი 142.

სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოუკიდებელნი არიან.

მუხლი 143.

არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა.

მუხლი 144.

ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია.

თავი მეჩვიდმეტე

კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 145.

კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვის ინიციატივის უფლება აქვს:

ა) პარლამენტის წევრთა ნახევრის არა ნაკლებსა და

ბ) 50.000 ამომრჩეველსა.

მუხლი 146.

წინადადება კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვისა პარლამენტის დღიურ წესრიგში დაისმის განსახილველად არა უადრეს ექვსი თვისა შეტანის დღიდან.

მუხლი 147.

კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვის პროე-

ქტი მიღებულ უნდა იქნეს პარლამენტის ყველა წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით. იგი ძალაში შედის მხოლოდ ხალხის უმრავლესობის მიერ დადასტურების შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 148.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმება არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგნად.

მ უ ხ ლ ი 149.

პირველ პარლამენტის შეკრებამდე მის მაგიერობას გასწევს დამფუძნებელი კრება.

სტატისტიკური მონაცემები საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში (1918—1920) მოსახლეობის რაოდენობის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის საწარმოთა ოდენობის, ეროვნული ფულის, ვაჭრობის და საგარეო ურთიერთობათა შესახებ

მოსახლეობა. საქართველოში 1917 წლისათვის ცხოვრობდა 2426281 კაცი, რომელთა შორის სოფლის მოსახლეობა იყო 2002737, ხოლო ქალაქისა — 423544. ამავე პერიოდისათვის საქართველოს მთლიანი მოსახლეობიდან 1260880 მამაკაცი იყო, ხოლო 1165401 ქალი. 1921 წელს 1917 წელთან შედარებით მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა თითქმის 8 პროცენტით და შეადგინა 2602930 კაცი. სოფლის მოსახლეობა გახდა — 2103508, ხოლო ქალაქისა — 499422.

1917 წელს აჭარისა და აფხაზეთის მოსახლეობა შესაბამისად შეადგენდა 81939 და 145612 კაცს. 1921 წლის ბოლოსათვის, 1917 წელთან შედარებით, აჭარის მოსახლეობა გაიზარდა 19 პროცენტით ხოლო აფხაზეთისა — 7 პროცენტით.

გორის მაზრის მოსახლეობა, რომელშიც შედიოდა სამხრეთ-ოსეთიც, შეადგენდა 222693 კაცს.

მრეწველობა. 1915 წელს (1918—1821 წლის მონაცემები არ არის) საქართველოს მრეწველობაში ძირითადად განვითარებული იყო ქვის, თიხისა და მიწის, ლითონის დამუშავება; მანქანების, იარაღებისა და ინსტრუმენტების წარმოება; ხის დამუშავება, ქიმიური მრეწველობა; სანოვაგის, სასმელების და ნარკოტიკების (ალბათ,

იგულისხმებოდა ალკოჰოლიანი სასმელები) წარმოება; ცხოველებისაგან წარმომდგარ ნივთიერებათა, ბეწვეულის, ქალალდის დამუშავება; პოლიგრაფიული და ელექტროენერგიის წარმოება და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს შავი ქვისა და ქვანახშირის მოპოვება. კერძოდ, 1918-1920 წლებში მოპოვებული და გარეცხილი იქნა 4819 ათასი ფუთი შავი ქვის მადანი, ხოლო 1919-1921 წლებში მოიპოვეს 11626 ათასი ფუთი ქვანახშირი.

სოფლის მეურნეობა. 1918-1921 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვნად იყო განვითარებული მეცხოველეობა და მემცენარეობა. მეცხოველეობაში ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა მესაქონლეობა, მეცხენეობა, მეცხვარეობა, მეაქლემეობა და მეღორეობა. ამასთან დიდ სამუშაო ძალას წარმოადგენდა ისეთი ცხოველები, როგორიცაა ვირი და ჯორი, 1917 წლისათვის მათი რაოდენობა შეადგენდა 32049.

მემცენარეობაში განსაკუთრებით განვითარებული იყო მარცვლეული კულტურების წარმოება, კერძოდ, მოჰყავდათ ხორბალი, ჭვავი, ქერი, შვრია, ასლი, წიწიბურა, ფეტვი, ღომი, ლობიო, ოსპი, ბრინჯი, კარტოფილი, ბამბა, თამბაქო, მზეუჭვრიტა, კანაფი, კუნჟუტი, აბუსალათინი და საკვები ჭარხალი.

1917 წელს ვენახს ეკავა 37522 დესეტინა ფართობი (ერთი დესეტინა — 1,003 ჰექტარი). ყურძნის საერთო მოსავალი შეადგენდა 5884119 ფუთს (ერთი ფუთი — 16,36 კილოგრამი). ხოლო ღვინის მოსავალი 4734932 ვედროს (ერთი ვედრო — 12,3 ლიტრი).

ჩაის კულტურას აწარმოებდნენ მხოლოდ ოზურგეთის მაზრასა და აჭარაში, 1918-1921 წლებში ჩაის პლანტაციები გაშენებული იყო 837 დესეტინა ფართობზე. ამავე პერიოდში მოყვანილ იქნა 3740258 გირვანქა ჩაი (ერთი გირვანქა — 409,5 გრამი).

ყურადღებას იპყრობს მეთამბაქოეობის, მეაბრეშუმეობისა და მებამბეობის განვითარება. კერძოდ, 1920 წელს თამბაქოს პლანტაციებს ეკავა 2257 დესეტინა ფართობი, საერთო მოსავალი შეადგენდა 131634 ფუთს. 1917 წელს ბამბის მოსავალი შეადგენდა 15800 ფუთს, ხოლო ბამბის პლანტაციები გაშენებული იყო 1200 დესეტინა ფართობზე. მათ შორის ბორჩალოს მაზრაში — 70 დესეტინაზე, სიღნაღის — 67, ხოლო ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში — 109 და 44 დესეტინაზე შესაბამისად.

წარმოება-დაწესებულებები. საქართველოში 1920 წელს ირიცხებოდა სულ 822 წარმოება 31943 მუშა-მოსამსახურით და 1397 დაწესებულება 18740 მუშა-მოსამსახურით. მათ შორის სახელმწიფო

სექტორში იყო 242 წარმოება, სადაც დაკავებული იყო 22278 მუშა-მოსამსახურე, და 391 დაწესებულება, სადაც დაკავებული იყო 8563 მუშა-მოსამსახურე; საზოგადოებრივ სექტორში — 147 წარმოება 4265 მუშა-მოსამსახურით და 980 დაწესებულება 9780 მუშა-მოსამსახურით; კერძო სექტორში — 433 წარმოება 5400 მუშა-მოსამსახურით და 26 დაწესებულება 397 მუშა-მოსამსახურით.

ყველაზე მეტი — 15825 მუშა-მოსამსახურე შრომობდა რკინიგზაზე.

თბილისში იყო 71 სახელმწიფო, 82 საზოგადოებრივი და 323 კერძო წარმოება, რომლებშიც შესაბამისად შრომობდა 3007, 3552 და 4241 მუშა-მოსამსახურე. 173 სახელმწიფო, 182 საზოგადოებრივ და 18 კერძო დაწესებულებაში შესაბამისად შრომობდა 5221, 3638 და 259 მუშა-მოსამსახურე.

ქუთაისში იყო 7 სახელმწიფო, 14 საზოგადოებრივი და 29 კერძო წარმოება, რომლებშიც შესაბამისად შრომობდა 216, 285, 246 მუშა-მოსამსახურე, 48 სახელმწიფო, 41 საზოგადოებრივ და 4 კერძო დაწესებულებაში შრომობდა 1016, 894 და 56 მუშა-მოსამსახურე.

სოხუმში იყო 7 სახელმწიფო, 5 საზოგადოებრივი და 19 კერძო წარმოება, რომლებშიც შრომობდა — 172, 40 და 163 მუშა-მოსამსახურე. 18 სახელმწიფო, 26 საზოგადოებრივ, 2 კერძო დაწესებულებაში შრომობდა შესაბამისად — 289, 790 და 17 მუშა-მოსამსახურე.

ფოთში 4 სახელმწიფო, 3 საზოგადოებრივ და 13 კერძო წარმოებაში დასაქმებული იყო შესაბამისად — 203, 35 და 150 მუშა-მოსამსახურე. 18 სახელმწიფო და 14 საზოგადოებრივ დაწესებულებაში მუშაობდა 310 და 598 კაცი. ქალაქში კერძო დაწესებულებანი არ არსებობდა.

სხვა პატარა ქალაქებსა და მაზრებში 152 სახელმწიფო, 43 საზოგადოებრივ და 49 კერძო წარმოებაში დასაქმებული იყო შესაბამისად — 2855, 355 და 600 მუშა-მოსამსახურე; 134 სახელმწიფო, 717 საზოგადოებრივ და 2 კერძო დაწესებულებაში კი მუშაობდა — 1733, 3860 და 65 მუშა-მოსამსახურე.

ეროვნული ფული. 1918-1921 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკაში ბრუნვაში იყო ისეთი ვალუტა, როგორიცაა ოქროს თუმნიანი, გირვანქა სტერლინგი, ოქროს ლირა, ოსმალური ქაღალდის ლირა, ფრანგული ფრანკი, ამერიკული დოლარი, გერმანული მარკა, იტალიური ლირა.

ერთი ოქროს მანეთის ღირებულება 1919 წლის ივლისში იყო 39,24 ქართული ბონი, რომელიც იმავე წლის დეკემბერში გახდა —

102,96, 1920 წლის დასაწყისში 136,98, ხოლო წლის ბოლოსათვის კერძოდ, დეკემბერში — 1300 ბონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ 1919 წლის დასაწყისში ამიერკავკასიის სეიმის და კომისარიატის მიერ გამოშვებული ბონებიდან საქართველოზე 540 000 000 მანეთი ირიცხებოდა, 1921 წლის ბოლოსათვის ამ თანხამ 173 404 345 000 მანეთს მიაღწია. ამასთან, 1919 წლის ივლისიდან საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაიწყო ცალკე ემისია.

ვაჭრობა და საგარეო ურთიერთობა. 1919-1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას პროდუქციის გატანისა და შემოტანის მიზნით სავაჭრო კავშირურთიერთობები დამყარებული ჰქონდა საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანასთან. კერძოდ, ეს ქვეყნები იყო: აშშ, ინგლისი, იტალია, საფრანგეთი, გერმანია, ოსმალეთი, სპარსეთი, რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, პოლონეთი, ბელგია, დაღესტანი, ეგვიპტე, ესპანეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, ჰოლანდია, ფინეთი, შვეიცარია, შვეცია, ჩინეთი და სხვ.

პროდუქციის გატანა და შემოტანა ძირითადად ხდებოდა ბათუმის, ბოგდანოვკის, გუდაუთის, ვორონცოვკის, თბილისის, ლაგოდეხის, ნატანების, ონის, ოჩამჩირის, სადახლოს, სალოღლის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისისა და ყაზბეგის საბაჟოების მეშვეობით.

1918-1921 წლებში რესპუბლიკიდან გაჰქონდათ: სიმინდი, ბრინჯი, მარილი, ბოსტნეული, ნედლი და გამხმარი ხილი, თხილი და კაკალი, შაქარი, თაფლი, თევზი, ხიზილალა, კონსერვები, თამბაქო, ჩაი, ღვინო, სპირტიანი სასმელები, ბორჯომის წყალი და სხვ. გაჰქონდათ აგრეთვე ქვანახშირი, შავი ქვა, მატყლი, ბამბა, თიხის ჭურჭელი, მინის ნაკეთობები, საოჯახო ნივთები, სადურგლო ნაწარმი, ქაღალდი და კარტონი, ასევე მათი ნაწარმი, პაპიროსის ქაღალდი, სარეცხი საპონი, წუმწუმა, საკანცელარიო ნივთები, მუსიკალური ინსტრუმენტები, ხალიჩები და სხვა.

საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ძირითადად შემოჰქონდათ: ხორბალი, ხორბლის ფქვილი, ბრინჯი, მარილი, ბოსტნეული, ხილი, შაქარი, თევზი, ხიზილალა, ღვინო, მცენარეული ზეთი, კაკაო, ყავა, დამუშავებული ტყავი, ცემენტი, რკინა, ნავთი, მინის ნკეთობანი, მავთული, ქაღალდი, ფეხსაცმელი, ბამბის ქსოვილები, ტანსაცმელი, სანთელი, საინჟინრო იარაღები და ელექტრომოწყობილობები, აგური და კრამიტი.

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მოხსენება პარიზის საზავო კონფერენციის სახელზე და საქართველოს მთავრობის 1918 წ. 21 ნოემბრის სხდომის ოქმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

წარდგენილი მშვიდობიანი კონფერენციისადმი
(პოლიტიკური მოთხოვნები. საზღვრები)
აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ რუკითურთ
პარიზი, 1919 წლის ივლისი

1. ისტორიული ცნობა. საქართველოს საკითხი, რომელიც ფაქტიურად მხოლოდ საქართველოსთვის დაისმის, იმაში მდგომარეობს, რომ აღიარებენ თუ არა საქართველოს რესპუბლიკას დიდი სახელმწიფოები და მიიღებს თუ არა იგი საერთაშორისო მხარდაჭერას ხალხის მიერ უკვე გამოცხადებულ და ორგანიზებულ დამოუკიდებლობაში.

საკითხის ამგვარად დასმა რუსეთის იმპერიის დაცემისა და ქართველი ხალხის ეროვნული, დემოკრატიული იდეების განვითარების გარდაუვალ შედეგს წარმოადგენს.

თავისუფლებას საქართველოში ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილს მხოლოდ ხანმოკლე პერიოდში (1801-1917 წ.წ.) წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, საქართველოს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა საბერძნეთსა და წინა აზიის უდიდეს ცივილიზაციებთან. მისმა პირველმა ყლორტებმა აქ ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში იხარეს.

თანდათან ჩამოყალიბდა ბიზანტიის ცივილიზაციასთან, აღმოსავლეთ არაბეთისა და ირანის კულტურებთან შერწყმული უნიკალური კულტურის საზოგადოება. ძლიერი ეროვნული სული თანდათან გამოვლინდა სახელმწიფოს ეკლესიისაგან დამოუკიდებლად განვითარებისას, აგრეთვე ხელოვნებასა და ლიტერატურაში, რომელიც სწრაფად თავისუფლდებოდა ეკლესიის გავლენისაგან და წმინდა საერო იდეალებით იმსჭვალებოდა.

საქართველოს სახელმწიფომ ამავე ეპოქაში მიაღწია მთლიან პოლიტიკურ ერთიანობას და X—XIII საუკუნეებისათვის კულტურის სრულ აყვავებას, რომლის მრავალრიცხოვანი კვალი შემორჩა ლიტერატურულ ძეგლებს, სადაც ხალხის ცოცხალი ტრადიციებია შემონახული.

ერის ძლიერი და ჰარმონიული განვითარება, რომელმაც შუა საუკუნეებში ესოდენ ძლიერი სახელმწიფო შექმნა, XIII—XIV საუ-

კუნეებში მონღოლების კატასტროფული შემოსევისას შეწყდა. ერთიანი საქართველო ცალკეულ ნაწილებად დაიშალა და მისი ცივილიზაციის თანაზომიერი განვითარება დიდი ხნით შეფერხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთ რომის იმპერიის დაცემამ, საქართველოს ძრავალი საუკუნით დააკარგვინა კავშირი დასავლეთ ევროპასთან; მას ბედმა ორ მძლავრ მუსულმანურ იმპერიებთან — თურქეთთან და ირანთან მეზობლობა არგუნა. ისინი ყოველთვის ცნობილნი იყვნენ რელიგიური შეუწყნარებლობით და თავისი პოლიტიკური ძალაუფლების გაფართოების წყურვილით. თითქოს დაფლეთილი, პოლიტიკურად განცალკევებული და ქრისტიანული სახელმწიფოებისაგან გეოგრაფიულად იზოლირებული საქართველო პირისაგან მიწისა უნდა აღგვილიყო და თურქთა და სპარსთა გაუთავებელი თარეშის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო, რომლებიც ერთი-მეორის მიყოლებით იპყრობდნენ მის ოლქებს. მაგრამ მიუხედავად დიდი და უთანასწორო იძულებითი ბრძოლებისა, ქართველი ხალხი უდიდესი მსხვერპლის ფასად გადარჩა, და არა მარტო ფიზიკურად გადარჩა, არამედ XIX საუკუნემდე შეინარჩუნა პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ასეთი უჩვეულო გამძლეობა საუკუნეებით გამოწრთობილი ხალხის სასიცოცხლო ძალით და ქართველი ხალხის დაუმორჩილებელი, გაუტეხელი ეროვნული სულით შეიძლება აიხსნას, არც ერთი წამით არ ჩამქრალა მასში სურვილი, თავი გამოეხსნა ისლამური სამყაროსაგან და დასავლეთ ევროპის კულტურისაკენ გაეკვალა გზა.

მაგრამ თურქეთის გამგებლობა ამ გზას გაუმტარი კედლით ღობავდა. საქართველო იძულებული იყო ჩრდილოეთისთვის მიემართა, რომელიც მისთვის შედარებით მისაწვდომი იყო და, გარდა ამისა, რუსეთის სახელმწიფო მომძლავრებული და გაზრდილი, სწრაფი ნაბიჯით უახლოვდებოდა შავ ზღვას. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურები, თაობების მანძილზე მთელ თავის საქმიანობას იქითკენ წარმართავდნენ, რომ რუსეთის მხარდაჭერით საქართველო არა მარტო თავისუფლებით, არამედ შიდა განვითარების შესაძლებლობითაც უზრუნველეყოთ. პირველი შეთანხმება საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წ. დაიდო. თავდაპირველად რუსეთის უბრალო პროტექტორატის ფორმით აღმოსავლეთ საქართველოზე; იგი ერეკლე II-სა და ეკატერინე II-ს შორის დადებულ ხელშეკრულებას ემყარებოდა. მოგვიანებით რუსეთმა ასეთივე ხელშეკრულებები საქართველოს სხვა სამთავროებთანაც დადო, მაგრამ მალე ეს პროტექტორატი მთლიან მიერთებად გადაიქცა და ამას სახელმწიფოს ყოველგვარი ავტონომიის სრული განადგურება მოჰყვა.

II. საქართველო რუსეთის იმპერიის ძალაუფლების ქვეშ. ალექსანდრე I-მა გააუქმა პროტექტორატი და 1801 წელს ოფიციალურად გამოაქვეყნა მანიფესტი აღმოსავლეთ საქართველოს შემოერთებაზე, რომელსაც მოჰყვა სრულიად თვითნებური და ცალმხრივი ანალოგიური აქტების სერია საქართველოს სხვა დარჩენილი ოლქების მიმართ.

რუსეთის გამგებლობის პირველი 10 წლის მანძილზე ხალხი, დაღლილი თავისი მრავალსაუკუნოვანი განცდებით, გაოგნებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ერთდროულად ორი ამოცანა ხორციელდებოდა: თანდათანობითი ასიმილაცია, ცხოვრების ახალი ფორმების შემოღება და უძველესი სტრუქტურის განადგურება.

გაქრა ფეოდალური და მონარქიული საქართველოს უკანასკნელი კვალი და ამ ფერფლიდან დაიბადა ახალი საქართველო იმ კულტურული და დემოკრატიული იდეებით მოცული, რომლებიც მთელ ევროპას აღაფრთოვანებდნენ. მიუხედავად იმ მძიმე მარწუხებისა, რომელიც იმპერიის რეჟიმმა დაადო მის განაპირა მცხოვრებ ყველა არა რუსი ხალხის თავისუფლებასა და განვითარებას, საქართველომ XIX-ს ბოლოს შეძლო არა მარტო მნიშვნელოვანი პროგრესის განხორციელება ეკონომიკაში, არამედ მთელი კავკასიის მთავარი პოლიტიკური ბირთვი გახდა.

რუსეთის 1905-07 წლების პირველი რევოლუციის დროს, საქართველოს დემოკრატიის ძალა, მისი მოწიფულობა და დისციპლინა, სრულად და აშკარად გამოვლინდა.

ქართველი ხალხი იბრძოდა რა რუსული დემოკრატიის მხარდამხარ, ეხმარებოდა რუს ხალხს ცარიზმის დამხობაში და დემოკრატიის დამყარებაში, რომელიც ხელს შეუწყობდა რუსეთში მცხოვრები ყველა ხალხების ეკონომიკურ განვითარებას და ეროვნულ უფლებებს.

III. საქართველო და მსოფლიო ომი. 1914-1918 წ.წ. მსოფლიო კატასტროფამ ძირეულად შეძრა საქართველო, რომელიც გმირულად მონაწილეობდა ომში. 200 000 ქართველმა, რომელიც რუსი ჯარისკაცებისა და ოფიცრების მხარდამხარ იბრძოდა ბალტიისპირეთიდან მესოპოტამიამდე, მოიხადა თავისი მხედრული ვალი და სიცოცხლე გაწირა ამ ომში. აზიის ფრონტზე ქართველ მოხალისეთა სპეციალური ქვედანაყოფები იბრძოდნენ.

როდესაც რუსეთის რევოლუციის საათმა დაჰკრა, ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების უდიდესი ნაწილი კავკასიისა და რუსეთის მმართველობაში ჩააბეს.

ყოველთვის და ყველა გარემოებაში ეს ადამიანები და ის მასები, რომლებიც მათ მიჰყვებოდნენ, ძალღონეს არ იშურებდნენ რუსეთის რევოლუციის სამხედრო ფრონტის გაძლიერებისათვის, ერთანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც რუსეთში საყოველთაოდ ცნობილი მდგომარეობის გამო, მაქსიმალიზმმა გაიმარჯვა, არმიამ, სახელმწიფო მექანიზმმა და ეკონომიკამ თანდათანობით დაიწყო რღვევა. ქართულმა დემოკრატიამ უარი თქვა ეცნო პეტროგრადული უზურპატორები. მან ხელში აიღო ინიციატივა, დაეცვა მთელი ამიერკავკასიის როგორც ეროვნული, ისე სამხედრო ინტერესები და რუსეთისაგან გამოყოფილი აღმოჩნდა.

ამგვარად, გახდა რა მთავარი მომოძრავებელი ძალა ამიერკავკასიის ცხოვრებაში, ქართულმა დემოკრატიამ სომხების მხარდაჭერით მთელი ძალები მოახმარა თურქეთისაგან კავკასიის დაცვას.

საუბედუროდ, ამიერკავკასიის სამხედრო ძალები დეზორგანიზებული აღმოჩნდა.

როდესაც 1918 წლის მარტში ბოლშევიკებმა, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის თანახმად, ბათუმი, ყარსი და არდაგანი თურქეთს დაუთმეს, ამიერკავკასიის მთავრობამ მრისხანე პროტესტი გამოთქვა ამ მართლაც შემზარავი აქტის გამო და მიიღო გადაწყვეტილება იარაღით ხელში დაეცვა ამიერკავკასიის ტერიტორია თურქეთისაგან.

ეს ამოცანა არ განხორციელდა ფრონტის მთლიანად დაშლის, რუსეთის არმიის უწესრიგო უკანდახევისა და ეროვნული არმიის სწრაფად ფორმირების გამო, რომელსაც უნდა შეეცვალა ძალაგამოლეული რუსები და ახალი მტკიცე ფრონტი შეექმნა.

1918 წლის გაზაფხულზე თურქეთის იერიში, რომელმაც აიძულა რუსები უწესრიგოდ დაეხიათ უკან, ამიერკავკასიის ხალხების პოლიტიკური სოლიდარობის სერიოზულ გამოცდას წარმოადგენდა.

IV. **ამიერკავკასიის რესპუბლიკა და დამოუკიდებელი საქართველო.** ამიერკავკასიის რესპუბლიკა, რომლის დამოუკიდებლობა 1918 წ. 22 აპრილს ამიერკავკასიის დამფუძნებელი კრების მიერ ოფიციალურად გამოცხადდა, ეფემერული აღმოჩნდა და ძალიან მალე საქართველო, არა მარტო ბათუმისა და არდაგანის, არამედ ახალციხისა და ახალქალაქის დაკარგვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. იგი იძულებული იყო შეექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეს გამოყოფა მეზობელი თურქეთის აშკარა მტრული დამოკიდებულების გამო გარდაუვალი გახდა და როგორც მოსალოდნელი იყო, ამან მთელი ამიერკავკასიის მუსულმანური პარტიების მტრული დამოკიდებულება გამოიწვია.

1918 წ. 26 მაისს, თბილისის ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და საქართველოს მთავრობა დაუყოვნებლივ შეუდგა თურქების იერიშის მოგერიებას.

ჯარისაგან განადგურებული და მოკავშირე სახელმწიფოებისაგან მთლიანად მოწყვეტილი საქართველო პირის-პირ აღმოჩნდა გამარჯვებულ თურქეთთან, რომელსაც მისი ტერიტორიის დასავლეთი ნაწილი (ოზურგეთი) უკვე დაპყრობილი ჰქონდა, და გადმოცემული ულტიმატუმით მთელ საქართველოს თურქეთის ჯარებით ოკუპაციას უქადდა.

საქართველო ამ მძიმე მდგომარეობაში იძულებული გახდა, გერმანიის დახმარება მიეღო, რომელმაც შესთავაზა, რომ შეაჩერებდა თურქეთის შეტევას და აიძულებდა მას ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მიერ განსაზღვრული საზღვრიდან დაეხიათ.

საქართველოს მთავრობამ შეძლო თავი დაეღწია თურქების გარდაუვალი შემოჭრის საშიშროებისაგან და ხალხის მხარდაჭერით აღკვეთა ბოლშევიკური ბუნტის ცდები, რომელიც ნაწილობრივ რუსეთის ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების, ნაწილობრივ კი თურქეთის აგენტების მიერ იყო პროვოცირებული, მაგრამ საბედნიეროდ, მათ მოსახლეობას შორის სათანადო ნიადაგი ვერ ჰპოვეს.

ყოველივე ამის გამო, საქართველოს მთავრობა სწრაფად გაუსწორდა ბოლშევიკურ რაზმებს, რომლებიც ჩრდილოეთის საზღვრებიდან საქართველოში დამკვიდრებას ცდილობდნენ.

წესრიგი მალე აღდგა და ამ დროიდან ქვეყნის არც ერთ კუთხეში არავითარი უწესრიგობა არ მომხდარა.

V. **საქართველოს რესპუბლიკა.** საქართველოში სახელმწიფო ძალაუფლებას თავიდანვე ძალიან უბრალო, ძალიან მკაფიო სტრუქტურა ჰქონდა.

სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოს, რომელიც ხალხის ნებას გამოხატავს, პარლამენტი წარმოადგენს.

მისი შემადგენლობა დაფუძნებულია საყოველთაო არჩევნების შედეგზე, რომელიც საქართველოში 1917 წ. ჩატარდა, ამ დროს კი, რუსეთში დამფუძნებელ კრებას ირჩევდნენ. შემსრულებელ ორგანოს პარლამენტის ანგარიშვალდებული მინისტრთა საბჭო წარმოადგენს.

პარლამენტსა და მთავრობაში უმრავლესობას სოციალ-დემოკრატების პარტია წარმოადგენს, რომელსაც მხარს უჭერენ ქვეყნის არა მარტო მუშები, არამედ გლეხებიც.

ამგვარი მტკიცე საძირკველის გამო, რომელიც სტაბილურობის გარანტიას იძლევა, საქართველოს მთავრობას, რომლის ზოგიერთი

წევრი ჯერ კიდევ ამიერკავკასიის მთავრობის სათავეში იდგა, მისი დაარსებიდან ხელში ჰქონდა ძალაუფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარლამენტის მიერ მიღებული კანონისამებრ ახლახან ჩატარდა საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელიც საყოველთაო არჩევნებზე იყო დამყარებული. ეს ახალი საკრებულო წარმოადგენს ხალხის ძალაუფლების ორგანოს, რომელიც თავისი დანიშნულებით მთავრობაზე წინ დგას და პარლამენტს ექვემდებარება. (საქართველოს დამფუძნებელი კრება შეიკრიბა თბილისში 1919 წ. 12 მარტს და გააგრძელა საორგანიზაციო მუშაობა).

საქართველომ ასეთი პოლიტიკური დისციპლინის წყალობით, თავი დააღწია სამოქალაქო ომის საშინელებას და ყოფილ რუსეთის იმპერიაში მშვიდი, ნორმალური ცხოვრების ოაზისი შეიქმნა.

რევოლუციამ სახელმწიფო არ დაანგრია. პირიქით, მან შექმნა სუფთა დემოკრატიულ საფუძველზე აღმოცენებული სახელმწიფო — ახალი წესებისა და რევოლუციური პრინციპების განსახიერება.

ქართულმა დემოკრატიამ ასეთ მძიმე, ტრაგიკულ მდგომარეობაში შეძლო პარლამენტისათვის და მთავრობისთვის მყარი ორგანიზაციის შექმნა და მთელი ადმინისტრაციულ სტრუქტურის განახლება. საყოველთაო არჩევნების შედეგად შეიქმნა თვითმმართველობის საქალაქო ორგანოები, იმ კანონების შესაბამისად, რომლებიც პარლამენტმა მიიღო და დაიცვა იდეალური სიზუსტით, ხელმოკლე უმიწო გლეხებს ურიგდებოდათ მიწები, ჩატარდა მართლმსაჯულების წარმოქმნისა და ორგანიზაციის რეფორმა, ბიუროკრატიული უწყებები ჩახშობის მანქანიდან დაწესებულებებად გადაიქცნენ. ისინი ემსახურებოდნენ ხალხს, რომლებსაც სჯეროდათ მათი. ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით, სოფლებში აღდგენილი იყო საფოსტო, სატელეგრაფო, და სატელეფონო ქსელები, თავის პოსტებზე იმყოფებოდა სახალხო არმიის ბაზები, რომლებსაც გამოცდილი, საკადრო ოფიცრები განაგებდნენ.

საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაციაში, რომელიც ასე ძლიერად და ღრმად იყო შეძრწუნებული ომითა და რევოლუციით, ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები იყო. სავსებით იზოლირებული ეკონომიკურ ავადმყოფობას განიცდიდა, რომელიც სახელმწიფოს ფინანსურ მდგომარეობასა და ფულის მიმოქცევაში გამოიხატა.

და მაინც, საერთო შთაბეჭდილება ნათელია: ეს იყო ახალგაზრდა დემოკრატია, წარმოქმნილი ხალხის უძველესი ცივილიზაციის სიღრმიდან, რომელმაც თავისი პოლიტიკურ წყობაში გვიჩვენა დე-

მოკრატიის წრფელი ერთგულება და საღი აზროვნების შესაძლებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI. **საქართველოს პოლიტიკური მოთხოვნები.** 1918 წლის 26 მაისს მთელ მსოფლიოს გამოუცხადა რა თავისი დამოუკიდებლობა, საქართველომ ყველა სახელმწიფოს მიმართა თხოვნით

— ეცნოთ იგი და დაედოთ მასთან საერთაშორისო შეთანხმება.

საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციას პატივი აქვს ამ დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ იშუამდგომლოს საზავო კონფერენციაზე შეკრებილი დიდი სახელმწიფოების წინაშე.

დელეგაცია სახელმწიფოების ყურადღებას მიაქცევს სწორედ ამ მოთხოვნების ღრმა სახალხო ხასიათს, რომლებიც მათ დასარწმუნებლადაა წარმოდგენილი.

ქართველი ხალხის ნება ამ საკითხში ნათლად და სრულად იყო წარმოდგენილი. საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე რეალობაა, რომელიც სახელმწიფოების მიერ მის ფორმალურ მოწონებას ელის.

საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიული დასაბუთება ნათელია. საქართველოს თავისუფალი დემოკრატია XX საუკუნეში კვლავ დაადგა ეროვნული განვითარების გზას, რომლის დასაწყისიც შორეულ წარსულში იკარგება და თვით XIX საუკუნის დასაწყისამდე არ შეწყვეტილა, მაშინაც კი, როდესაც აყვავებისა და სიძლიერის ხანგრძლივი ეპოქის შემდეგ, დაცემისა და დაშლის გზას დაადგა.

ეს გზა XIX საუკუნეში შეწყდა რუსეთის ძალაუფლების ქვეშ, მაგრამ დღეს საქართველოს დემოკრატიულმა სახელმწიფომ აღადგინა.

ქართველი ხალხის ეროვნული და ეთნიკური ინდივიდუალობა კარგადაა ცნობილი. ამიტომ, ჩვენ მხოლოდ მოკლედ შეგვიძლია აღვნიშნოთ მისი უძველესი ლიტერატურული ტრადიციების, მაღალი კულტურის, ენის, განათლებული ადამიანების შესახებ, რომლებიც კომპეტენტური არიან სახელმწიფოს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

მიუხედავად მცირე ტერიტორიისა, საქართველო საკმაოდ მდიდარ ეკონომიკურ რესურსებს ფლობს.

მმართველობის ძველი სისტემა ხელს უშლიდა მის განვითარებას, ამუხრუჭებდა ხალხის ენერგიას, ვერ იყენებდა წიაღისეულ სიმდიდრეებს.

ამჟამად, საქართველოში ვითარდება სოფლის მეურნეობა, მუშავდება მაღაროები, ყალიბდება კრედიტი, კომერცია და კოოპერატივე-

ბი: ქალაქების გაზრდა-განვითარება ყოველდღიურად ზრდის ბაზარს.

მისი ტყეების სიმდიდრე, მინერალური ნედლეულის სიუხვე, მდინარეები, მრავალმხრივი ჰავა, ფოთისა და ბათუმის ზღვისადგურების მნიშვნელობა, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება დასავლეთის კავშირი სპარსეთთან და ცენტრალურ აზიასთან, წარმოადგენენ დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიური მომავლის საუკეთესო გარანტიას.

საქართველოს დელეგაცია, რომელიც ჩამოვიდა საზავო კონფერენციაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შუამდგომლობისათვის, ვალდებულებად მიიჩნევს განსაზღვროს სახელმწიფოების წინაშე თავისი სახელმწიფოს ტერიტორიალური შემადგენლობა.

განსაზღვრავს რა თავის საზღვრებს, საქართველოს მთავრობა მოითხოვს მხოლოდ იმ ტერიტორიებს, რომლებიც ყოველთვის ეკუთვნოდა ქართველ ხალხს და, რომლებსაც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ამავე დროს, სხვა ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს არ ეხება.

საქართველო არ მოითხოვს იმ საზღვრების აღდგენას, რომელიც მას აყვავების ეპოქაში ჰქონდა. უარს ამბობს იმ ტერიტორიებზეც, რომლებიც მას 1801 წელს რუსეთთან შეერთების დროს ეკუთვნოდა და, რომლებიც მეზობელი ხალხების ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

მეორეს მხრივ რუსეთმა ივალდებულა 1783 წლის ხელშეკრულებით საქართველოსათვის თურქეთის მიერ უკანასკნელ მეფეთა მეფობის ხანაში დაპყრობილი ზოგიერთი ტერიტორია დაებრუნებინა. თურქეთმა ეს ტერიტორიები დაუბრუნა რუსეთს ადრიანოპოლში (1829) და ბერლინში (1878) დადებული ხელშეკრულებების თანახმად და დღეს საქართველოს თავისი სამშობლოს ამ ნაწილზე უფლება აქვს.

გარდა ამისა, როდესაც სასომხეთის საზღვარი თურქეთის ძველ ტერიტორიაზე გაივლება, საქართველო დაჟინებით მოითხოვს დაუბრუნდეს მას ამჟამად თურქეთის კუთვნილი ლაზეთის ტერიტორია. ასევე მოითხოვს იგი, საზღვრის რეგულირებას ზემო ჭოროხის რაიონში, რადგან არავის არა აქვს უფლება ოდითგანვე ქართულ მიწებს ფლობდეს.

გამოდის რა ამ საერთო მოსაზრებიდან და გარკვეული ადმინისტრაციული შესაძლებლობებიდან, საქართველოს დელეგაცია ამტკიცებს, რომ საქართველოს ტერიტორიამ უნდა მოიცვას: თბილისი-

სა და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმის, ზაქათალის და ბათუმის ოლქები, ორი ოლქი ყარსის დასავლეთით (ოლთი და არდაგანი) და შავიზღვისპირეთის ოლქის რამდენიმე ნაწილი, აგრეთვე ტრაპეზუნის ვილაიათი (ტრებიზონი). რუკას განმარტებებით ვთავაზობთ კონფერენციას.

ამ ტერიტორიაზე, რომელიც მხოლოდ ქართულ მიწებს მოიცავს, მოსახლეობის დაახლოებით 75 პროცენტს ქართველები წარმოადგენენ. ეთნიკური და ისტორიული თვალსაზრისით, აგრეთვე ეკონომიკურადაც იგი არის მთლიანი, გამორჩეული მაღალი ერთგვაროვნებითა და შეურევლობით ყველა აღმოსავლეთ ქრისტიანულ სახელმწიფოებს შორის.

მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური წყობის გათვალისწინებით, საქართველოს დამოუკიდებლობა, ბუნებრივი საზღვრით კავკასიის მთავარი ქედით დაცული და შესაბამისი საერთაშორისო აქტით განმტკიცებული იქნება არა მარტო გარანტია საქართველოს ბუნებრივი ცფლებებისა და სამართლიანობისა, არამედ, სხვადასხვა პოლიტიკურ სფეროებს შორის, რომლებიც მუდმივად მზად არიან კონფლიქტებისათვის აღმოსავლეთში.

ამიერკავკასიის უდიდესი მისია, მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამო, გზას გაუხსნის ევროპის ცენტრალურ და წინა აზიის ქვეყნებთან ეკონომიკურ და სულიერ კავშირს.

ქართული დემოკრატია მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ოფიციალური აღიარება და მისი ქვეყნის დამოუკიდებლობის საერთაშორისო გარანტია გადაჭრით განამტკიცებს თავისუფლების ახალი კერის სოციალურ სამართლიანობას. დამოუკიდებელი საქართველო გახდება დიდი სახელმწიფოების მიერ შექმნილი საერთაშორისო ერთიანობის მაღალორგანიზებული წევრი ხმელეთაშუა ზღვით დაწყებული და კავკასიონის მწვერვალებით დამთავრებული მთელი ცივილიზებული ხალხების, კაცობრიობის ინტერესების გათვალისწინებით.

იმედებით და რწმენით სავსე ქართული დემოკრატია, თავის თავისუფლებასა და მომავალს ანდობს მათ, ვინც მოწოდებულია გადაწყვიტოს ევროპისა და მთელი მსოფლიოს ბედი.

პარიზი, 1919 წ. 14 მარტი

დანართი

საქართველოს საზღვრები

ა. აღწერა. საქართველოს სახმელეთო საზღვარი იწყება შავი

ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, პატარა მდინარე მაკოპსეს შესართავთან, რომელიც მდებარეობს ქალაქ ტუაფსეს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან 14 კილომეტრის დაშორებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყვება რა მდინარე მაკოპსეს ზემო დინებას, საზღვარი გადის პსეუშკოს მთაზე, რომლიდანაც ეს მდინარე ჩამოედინება და იქიდან გრძელდება ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ მთის თხემის გასწვრივ, რომელიც ცილდება დიდი კავკასიონის მთავარ ქედს და ქმნის წყალგასაყარს შავ ზღვაში ჩამავალი მდინარეების ტუაფსესა და აშეს აუზებს შორის.

ჩრდილოეთით საქართველოს საზღვარი კავკასიონის ქედის გასწვრივ გადის, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთით თითქმის ადაიკოხის მასივამდე არ წყდება.

ადაი-კოხის უკან საზღვარი კვეთს მდინარე არდონს კასარის ხეობასთან. (ტაზანტის სახელით ცნობილ წყაროსთან ახლოს) და გრძელდება აღმოსავლეთით (არხონის მასივი) და ყაზბეგის მთების მწვერვალებზე.

ამ სიმაღლეზე საზღვარი მიემართება ჩრდილოეთით, გადის ჩასკოხისა და კაიდჯანის მთებზე და კვეთს მდინარე თერგს სადგურ ლარსიდან ჩრდილოეთით 5 კილომეტრში, პატარა სოფელ ოზმის გასწვრივ, რომელიც მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს.

მდინარე თერგის მარჯვენა ნაპირზე საზღვარი გადის მდინარე არკმეხის — თერგის პატარა შენაკადის გასწვრივ, სოფელ ლიადჟამდე. აქ საზღვარი მიდის სამხრეთით, გაივლის მდინარე არხმის (არკმეხის შენაკადი) მარჯვენა ნაპირის მაღლობს მალჩოჩე კორტის მთამდე.

აქედან საზღვარი გრძელდება აღმოსავლეთისაკენ დიდი კავკასიონის ქედზე კარა-კაიას მთამდე, გადის ერთი მხრივ, უძველეს საზღვარზე თბილისის რაიონში, მეორე მხრივ, თერგისა და დაღესტნის ტერიტორიებზე.

შემდგომ, საქართველოს საზღვარი მიემართება ზაქათალის ოლქსა და ქალაქ ნუხის რაიონის უძველეს საზღვრებზე, უხვევს სამხრეთით და მიჰყვება მდინარე კახა-ჩაის დინებას მდინარე ალაზანთან შეერთებამდე.

შემდგომ, საქართველოს საზღვარი მიემართება სამხრეთით მდინარე ალაზანზე მდინარე მტკვრამდე, საიდანაც ის ისევ მაღლდება და იღებს მიმართულებას ჩრდილო დასავლეთისაკენ მდინარე ხრამთან შეერთებამდე. შემდეგ საქართველოს საზღვარი გადის ბორჩალოს (თბილისის გუბერნია) და ყაზახის (ელიზავეტოპოლის გუბერნია) რაიონების ძველი საზღვრების გასწვრივ. გადის მოწინავე

კავკასიონის მთების ჯაჭვზე, რომელიც წარმოადგენს წყალგამყოფ ხაზს მდინარეების დებედა-ჩაისა და აღსტაფას (ზაქათალის მთა, ჩატინდაგის მთა, სოუკ-ბულაგის მთა) აუზებს შორის და შემდეგ უფრო შორს ჩრდილო-სამხრეთის შეშკეჩემას მთამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან საზღვარი გადის თბილისისა და ერევნის გუბერნიების ძველი საზღვრების გასწვრივ ჩრდილო-დასავლეთით და გადაკვეთს მდინარე ბამბაკს ჩაგალისა და კარალის სადგურებს შორის; შემდეგ გრძელდება ბესობდალის ქედზე კარგაჩისა და დეგლიდაგის მთებზე ჩრდილო-დასავლეთით სველი მთების თხემამდე.

დეგლიდაგიდან საზღვარი მიემართება დასავლეთისაკენ მადატაპანის მთებზე, მადატაპანის ტბიდან დასავლეთით, შემდეგ გრძელდება უჩ-ტარაპანამდე, საიდანაც უხვევს სამხრეთის ჩალდილის ტბის შემოვლით, გადის აჩკ-ბაბისა და კისირდაგის მწვერვალებზე, და შემდეგ არდაგანისა და ყარსის ტერიტორიების საზღვრებს შორის.

კისირ-დაგადან საქართველოს საზღვარი მიემართება სამხრეთ დასავლეთისაკენ მდინარეების მტკვრისა (საქართველოს ტერიტორია) და არაქსის (სომხეთის ტერიტორია) აუზების წყალგამყოფ ხაზზე. იგი გადის ბუგატაპას, კაბახტაპას და კოპის მთებზე, შემდეგ გაივლის რა სოღნანლუღის ქედს, რომელიც ყოფს მდინარეების ჭოროხისა და არაქსის აუზებს, გადის ძველ რუსეთ-თურქეთის საზღვარზე.

თურქეთის ტერიტორიაზე საქართველოს საზღვარი გადის სამხრეთ-დასავლეთით, გაივლის ჩახირ-ბაბას ქედს, რომელიც წყალგამყოფია მდინარეების არაქსისა და ოლთიჩაის (მდ. ჭოროხის შენაკადი) ზემო წელის აუზებს შორის.

ოსკანის მთიდან საზღვარი მიემართება დასავლეთით, დუმლუდაგის, კაზანბაჩის და კორტიკდაგის ქედებზე, შემოუვლის ჩრდილოეთიდან ჭოროხის ზემო წელს, რომელიც მის საზღვრებს გარეთ რჩება, მაღლა აუყვება ისპირს. კილისაკალუს მონასტრის ცოტა დასავლეთით სოფელ მადნამდე.

ჭოროხის მარცხენა ნაპირზე საზღვარი კვლავ მიდის ჩრდილოეთით, მთების თხემებზე, რომლებიც ლაზისტანის პონტის ქედის განშტოებას (კეშიშკაის მთა) წარმოადგენენ. იგი გადის პონტის ქედთან. რამდენიმე ხანს მიიწევს დასავლეთისაკენ, კირკლიარის მთების რაიონში და სანდჟან ლაზისტანის (თურქეთის ტერიტორია) ლაზისტანის (თურქეთის ტერიტორია) საზღვრის ხაზით. მიემართება ჩრდილოეთით მდინარე კალაპოტამოსის სათავისაკენ, რიზესა და ოფომს შორის შავ-ზღვაზე, რომელიც გარს ერტყმის საქართველოს დასავლეთით მაკოპსეს სათავემდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. განმარტებანი. მიწები, რომლებიც უნდა შევიდნენ საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის შემადგენლობაში, შეიძლება სამ კატეგორიად დაიყოს:

1 მიწები, რომლებიც 1801 წელს საქართველოს რუსეთის იმპერიასთან მიერთების შემდეგ პროვინციებად (ოლქებად) იქცა.

2 ქართული მიწები, რომლებიც თურქეთმა მისცა რუსეთს ადრიანოპოლის (1829 წ.) და ბერლინის (1878 წ.) შეთანხმებების საფუძველზე;

3 ზოგიერთი მიწები, რომლებიც ოსმანური იმპერიის მფლობელობაშია.

როგორც ისტორიული, აგრეთვე ეთნიკური თვალსაზრისით, სრულიად უდავოა, რომ მე-2 და მე-3 პუნქტებში აღნიშნული მიწები ქართველ ხალხს ეკუთვნის. ისინი მთლიანად და განუყოფელი საქართველოს ნაწილს წარმოადგენენ. შემდეგში კი თურქეთმა დაიპყრო და დაიმონა. ისლამზე მოქცეულმა ქართველებმა შეინარჩუნეს ეთნიკური იერი და წმინდა ქართველებად დარჩნენ.

ამ ტერიტორიების ერთიანობა ბუნებრივად განაპირობებს საქართველოს საზღვრების საერთო ხაზს. მხოლოდ რამდენიმე პუნქტში საზღვრების ამორჩევა პრაქტიკული მიზნებითაა ნაკარნახევი.

საქართველოს ოლქები, რომლებმაც შეინარჩუნა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა რუსეთთან შეერთებამდე არიან: ქართლ-კახეთის სამეფო, იმერეთის სამეფო, სამეგრელოს სამთავრო, გურიააფხაზეთის სამთავრო, და ასევე რამდენიმე მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ოლქი.

ქართლ-კახეთის სამეფო (ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების გარეშე) მოგვიანებით, თბილისის გუბერნიად გადაიქცა. დანარჩენი ტერიტორიები კი ქუთაისის გუბერნიაში გაერთიანდა.

რაც შეეხება საქართველოს იმ მიწებს, რომლებმაც 1801 წლამდე უკვე დაკარგეს დამოუკიდებლობა, 1783 წლის საქართველოს და რუსეთს შორის დადებული ტრაქტატით ოსმანური იმპერიის ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდნენ. რუსეთი პირობას დებდა, დაებრუნებინა საქართველოსათვის მიწები, თუ კი შესძლებდა მათ მიღებას თურქეთისაგან. ამ მიწების ნაწილი, კერძოდ კი ახალქალაქის და ახალციხის მაზრები, რომლებიც თურქეთს 1829 წელს მისცეს, შემდეგ შეუერთეს თბილისის გუბერნიას. მეორე ნაწილი ბათუმი-ყარსის გუბერნიის, არდაგანისა და ოლთის ოლქებით 1878 წელს რუსეთის მფლობელობაში გადავიდა.

თბილისის გუბერნიას მიუერთეს ზაქათალის მაზრა, რომელიც ყოველთვის იყო კახეთის სამეფოს ნაწილი, მაგრამ მას XVII საუ-

კუნეში სპარსეთთან ომის შედეგად, მოწყდა და მასზე ხხვადასხვა ეროვნებისა და ტერიტორიების წარმომადგენლები დასახლდნენ.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ საქართველოსთან მიერთებულია მიწები, რომლებიც მეფის რეჟიმის დროს ელიზავეტოპოლისა და ერევანის გუბერნიებს ყოფდა, ყაზახის მაზრას და ალექსანდროპოლის მაზრის ნაწილს წარმოადგენდა. ახლა კი სომხეთსა და თურქეთს შორის გამყოფ საზღვარს წარმოადგენს.

ზემონათქვამიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს ემატება სოხუმის ოლქის, ქუთაისის გუბერნიის, თბილისის გუბერნიის, ზაქათალის ოლქის, არდაგანისა და ოლთის (ყარსის რ-ნი), ოლქების ადმინისტრაციული საზღვრები. ამ შემადგენელი ნაწილების მიღებისათვის, საკმარისია ჩრდილოეთით, დიდი კავკასიის რაიონში, სოხუმის ოლქის, ჩრდილო საზღვრების ხაზები გავაგრძელოთ აგრეთვე თბილისის და ქუთაისის გუბერნიების, ზაქათალის ოლქის აღმოსავლეთი საზღვარი და ხაზი, რომელიც სამხრეთში ყოფს ძველი თბილისის გუბერნიას, ელიზავეტოპოლისა და ერევანის ძველი გუბერნიებიდან სადემარკაციო ხაზის გასწვრივ, დასავლეთის ორ მაზრას შორის (არდაგანი და ოლთი) და ორ აღმოსავლეთ ოლქს (ყარსი და კაგიზმანი) ყარსის რაიონს შორის ამ ხაზის თურქეთის საზღვართან გადაკვეთამდე.

საქართველოს მთავრობის აზრით, ეს დასახული სქემა მთელ თავის მანძილზე პრაქტიკული ხასიათის უმნიშვნელო შესწორებებს მოითხოვს მამისონის უღელტეხილის რაიონში, სადაც საზღვრების დაზუსტება, მხოლოდ ოროგრაფიული წესის გათვალისწინებას მოითხოვს. ანდა სამხრეთით, თურქეთის საზღვართან, სადაც მტკვარი ქმნის ბუნებრივ საზღვარს სახელმწიფოებს შორის, საზღვარმა უნდა გაიაროს იმ მხარეს, სადაც მდინარე მტკვარი მდინარე ალაზანში ჩაედინება იმიტომ, რომ ძველი საზღვარი თბილისისა და ელიზავეტოპოლის გუბერნიებს შორის ამ მდინარის (ალაზანი) პარალელურად გადიოდა.

საქართველოს საზღვრების ზოგიერთი მონაკვეთები საჭიროებს სპეციალურ განმარტებებს. ეს ერთის მხრივ, საზღვარი გადის დიდი კავკასიონის ქედსა და შავი ზღვის სანაპიროს შორის, (ყოფილი შავიზღვისპირეთის გუბერნიის საზღვრებში) და მეორეს მხრივ, საზღვარის ნაწილია რუსეთ-თურქეთის (1878 წლის შემდეგ), ყოფილ ხაზსა და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს გადაკვეთის წერტილში, ტრაპეზონდის ვილაიეთის ფარგლებში.

რაც შეეხება საზღვრის პირველ უბანს, რომელიც მდინარე მაკოპესმა ჩამოაყალიბა და ხაზი მისივე სათავიდან იწყება, ადმინისტ-

რაციის თვალსაზრისით, ამ საზღვრის მოხერხებულობითაა ნაკარნახევი. ეთნოგრაფიული თვალთახედვით, მდინარეების მაკოპსესა და მზიმთას შორის არსებული ტერიტორიის საქართველოსთან მიერთებამ, რომელიც წარსულში მას ეკუთვნოდა, არ შეიძლება წინააღმდეგობა გამოიწვიოს, XIX საუკუნეში ადგილობრივი კავკასიური ტომების აქედან იძულებითი გასახლების შემდეგ, ამ მხარეს განსაზღვრული ეთნოგრაფრიული ხასიათი უკვე არ გააჩნია.

თურქეთში გაყვანილი მთიელების სამშობლოში დაბრუნების ან ჩრდილო კავკასიის სახელმწიფოსათვის შავიზღვისპირეთის სანაპიროს მიერთების საკითხი რომ დამდგარიყო, ბუნებრივია საქართველო წინააღმდეგი არ იქნებოდა, რომ შემოთავაზებული ხაზი შეცვლილიყო სხვა ხაზით, რომელიც მდინარეების მაკოპსესა და მზიმთას შორის გაივლის.

რაც შეეხება საქართველოს საზღვრის იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში სანდჟაკისა და ლაზისტანის შეყვანას და აგრეთვე ერზერუმის ვალაიეთის ნაწილის მიერთებას (მდ. ჭოროხის რაიონი) ითვალისწინებს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერიტორიას ჩვენ ვიხილავთ, როგორც თურქების მიერ საქართველოსათვის წართმეულ უძველეს ქართულ მიწებს, რომლებმაც, მიუხედავად მოსახლეობის გამუსულმანებისა, თავისი ეთნიკური ხასიათი შეინარჩუნეს.

21 ნოემბრის სხდომა

თავმჯდომარე: ნ. ჟორდანია

მინისტრები: გ. ჟურული, ნ. რამიშვილი, ე. გეგეჭკორი, ი. ლორთქიფანიძე, შ. მესხიშვილი, ზ. გიორგაძე.

მინისტრების ამხანაგები: კ. საბახტარაშვილი, პ. გელეიშვილი, შ. ერაძე, კ. კანდელაკი.

სახელმწიფო კონტროლერი: ფ. გოგიჩაიშვილი.

გასაგზავნი დელეგაციის წევრები: კ. ჩხეიძე, ნ. ნიკოლაძე, გ. რცხილაძე, მთავრობის საქმეთა მმართველის თანამდებობის აღმასრულებელი: ა. ჯაფარიძე.

მდივანი: გ. რობაქიძე.

საქართველოს დელეგაციის გაგზავნის შესახებ: გაცვლა-გამოცვლა

1. გერმანელებთან ეკონომიური ხელშეკრულებების შესახებ დელეგაციას შეუძლია აუწყოს ვისაც ჯერ არს, რომ საქართველოს

რესპუბლიკა ყოველთვის მზადაა მიიღოს ეს ხელშეკრულებანი მცირე შესწორებებით; – ხოლო ახლა, როცა საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია მეტად გართულდა, საქართველოს რესპუბლიკა არც ამტკიცებს მიღებით ამ ხელშეკრულებას და არც უარყოფს მას.

2. დაევალოს სხვა და სხვა უწყებათ, საჩქაროთ მიაწოდონ დელეგაციას საჭირო ცნობები.

3. დელეგაციისათვის საჭირო თანხა განსაზღვრული სმეტით მიღებულ იქნას, – და საჭირო მოულოდნელი ხარჯებისათვის დელეგაციის თავმჯდომარეს გაეხსნას კრედიტი იმ ფულიდან, რომელიც დევს „დოიტშე ბანკში“ საქართველოს რესპუბლიკის სახელზე.

4. დელეგაცია წაიყვანს სპეციალისტებს სხვადასხვა საკითხებისათვის და აგრეთვე მოაწყობს საინფორმაციო ნაწილს.

5. პოლიტიკური საკითხის შესახებ დელეგაციამ უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი მოსაზრებებით:

ა) დელეგაცია წინააღმდეგ უნდა გამოვიდეს, თუ ვინიცობაა მოკავშირეებმა მიზნად დაისახეს რუსეთის აღდგენა ძველს ფარგლებში; თვითონ რომ აღდგენილიყო რუსეთი თავისი ძალით, მაშინ შესაძლოა კიდევ – ეს საკითხი სხვა სახეს მიიღებდა; დღეს კი ხელოვნური აღდგენა რუსეთისა და მერე მისი მიტოვება (?) ისევ ანარქიას გვიქადის; რესპუბლიკის დამყარება არც ისე ადვილი და საჩქაროდ მორიგებული საქმეა (გავიხსენოთ თუ გინდ საფრანგეთი!). ასეთს პირობებში ჩვენი ხელოვნურად შეყვანა, ხელოვნურად აღდგენილ რუსეთში ჩვენს გასრესას მოასწავებდა: ერთი მხრივ ბოლშევიკებისა და მეორეს მხრივ რეაქციონერების მიერ.

ბ) ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი ამიერ-კავკასიის კონფედერაციისა, – ხოლო ჯერ თვითონ ამიერ-კავკასიის ერები უნდა განმტკიცდენ როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომ შემდგომ მათი შეკავშირება უფრო ადვილი და თავისუფალი იქნეს; კერძოდ: თუ მოკავშირეებს დასჭირდათ ეკონომიური მიზნით ბათუმ-ბაქოს რკინის* გზა ისე რომ იგი საბაჟოებით არ იყოს დაყოფილი, ამის წინააღმდეგ საქართველოს არაფერი ექნება.

გ) სომხებთან დაახლოება ჩვენთვის საჭიროა მეტად; თუ ჩვენ, ორი საქრისტიანო ერი, ვერ შევთანხმდით, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ საქართველო ვერ შესძლებს საკუთარ არსებობას; და ეს გარემოება გარდა ამისა, ევროპაშიაც ცუდს შთაბეჭდილებას მოახდენს; ჩვენი მიზანი უნდა იყოს: ორი სომხეთის – ოსმალეთისა და რუსეთისა – შეერთება: უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება საოსმალო სომხეთისაკენ გადაიხაროს სომხეთის პოლიტიკურმა ცენტრმა, ჩვენ

ამ მიზნით იმაშიაც უნდა დავეხმაროთ სომხებს, რომ მათ გასავალი იპოვონ შავი ზღვის პირით, თუ ასე წავიდა საქმე, მაშინ სომხეთი აღარ მოაწვება საქართველოს, და ადვილად გადაწყდება სომხეთ-საქართველოთა გამწვავებული ურთიერთობა: შესაძლოა მათ ფარული დიპლომატიური გზებით ისარგებლონ, მაგრამ თუ მათის მხრით გვექნება ხელში ოფიციალური დოკუმენტები შეთანხმებისა ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ექნება სამშვიდობო კონგრესზე.

დ) სულ სხვაა აზერბაიჯანის საკითხი: იგი ჩვენთვის საშიშროებაა; აზერბაიჯანელები ცნობენ თავის თავს თურქებათ და ოსმალეთში შესვლას ჰლამობენ; მეორე მხრით: ოსმალეთიც მოიწევს აზერბაიჯანისაკენ: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ევროპიდან იდევნება და მეორეც – დაჰკარგავს სამუდამოდ სირიას, პალესტინას, მესოპოტამიას, კონგრესზე კი ჩვენ ოსმალეთის წინააღმდეგ მოგვიხდება მოქმედება, – და ამისათვის ვერც აზერბაიჯანთან ვიქნებით დაკავშირებული საერთო ინტერესით.

ე) სამშვიდობო კონგრესზე დელეგაცია უნდა ეცადოს სამაჰმადიანო საქართველოს საკითხის დაყენებას და მის ჩვენდა სასურველად გადაჭრას.

ვ) დელეგაცია უნდა შევიდეს პატარა ერთა კავშირის ორგანიზაციაში და მათთან ერთად უნდა გამოვიდეს სამოქმედოთ სამშვიდობო კონგრესზე.

ზ) ვალის გადახდამ, რაც უნდა დაგვატყდეს თავს, ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს: რაც დაგვედება, უნდა გადავიხადოთ, რომ დამოუკიდებლად იქნეს განმტკიცებული საქართველოს რესპუბლიკა.

თ) თუ დამოუკიდებლობის საკითხი ძალიან გამწვავდა და არას გზით არ იცნეს ჩვენი დამოუკიდებლობა, იმ შემთხვევაში, დელეგაციას ნება ეძლევა დაუთმოს, მხოლოდ ერთი განსაზღვრით: თუ იქნება პროტექტორატი, – მხოლოდ რომელიმე ევროპულ სახელმწიფოთა.

მთავრობის თავმჯდომარე: ნ. ჟორდანია,
საქმეთა მართველის თანამ. აღმ: ა. ჯაფარიძე
მდივანი: გ. რობაქიძე
დედანთან სწორეა: გ. რობაქიძე

საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის შემადგენლობა:

1. ნ. ჩხეიძე — თავმჯდომარე
2. ი. წერეთელი
3. გ. რცხილაძე — დელეგატები
4. ნ. ჯაყელი
5. პროფ. ი. ჯავახიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6. გენერ. ი. ოდიშელიძე	
7. ვლ. მგელაძე	მოთათბირეები
8. ვახ. ღამბაშიძე	
9. ბ. ბაბე	
10. ივ. ზურაბიშვილი	
11. ი. გოგოლაშვილი	სეკრეტარიატი
12. ა. დეკანოზიშვილი	
13. ე. წერეთელი	
14. დ. შარაშიძე	თავმჯდომარის პირველი მდივანი
15. ი. ნაკაშიძე	საინფორმაციო ნაწილი
16. გ. რობაქიძე	
17. ა. გვათუა	სამეურნეო ნაწილის გამგის თანაშემწე
18. ნაზარაშვილი	საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელე
19. პორ. წვერავა	რადიოს სპეციალისტი

გაზ. „სახალხო განათლება“, 24.1.1990

ა. მენთეშაშვილის პუბლიკაცია

გენერალ ჰეკერის საიდუმლო მოხსენება

(საბჭოთა რუსეთის წითელი მეთერთმეტე არმიის სარდლის, გენერალ ჰეკერის მოხსენება „კავკასიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ორჯონიკიძისადმი)

„1920 წლის 18 დეკემბერი. საიდუმლო.

თქვენი წერილის, №1753, საპასუხოდ ქვემოდ მოგახსენებთ მოსაზრებებს თუ რა პირობებში უნდა მოხდეს საქათველოში შეჭრა და რა უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ამისათვის:

1. საერთაშორისო მდგომარეობა, ჩვენი დამოკდებულება თურქეთთან.
2. ჩვენი ძალების მდგომარეობა, რომელთა გადაჯგუფება განსაზღვრულ ვადაში შეიძლება თავდასხმის პუნქტებზე.
3. ქართული ჯარის მდგომარეობა და რიცხობრივი ძალა.
4. მდგომარეობა ჩვენს ზურგში.

როგორც უკვე მოგახსენეთ „მე-11 არმიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს“ კრებაზე ამა წლის (1920) 3 დეკებერს, საქართველოს წინააღმდეგ ოპერაციები შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ კიაზიმ კარაბეკირის (ქემალისტური თურქები) ჯარები დაიცავენ გარკვეულ მეგობრულ ნეიტრალიტეტს, რადგან იმ შემთხვევაშიც, თუ ამ ოპერაციისთვის დაინიშნებიან მეთერთმეტე არ-

მიის გარდა, მთლიანად მეცხრე არმია და მეორე არმიის კავალერია, ჩვენს კომანდობას არ ეყოლება საკმარისი ძალები თურქების წინააღმდეგ ჯებირი რომ შევქმნათ. ჩვენი უწყების ცნობების მიხედვით, კიაზიმ კარაბეკირის ძალები, სარაკამიშ-ალექსანდრეპოლის ხაზზე აღწევს 22-24000 რეგულიარულ ჯარისკაცს და 14-16000 ქურთ და თათარ კავალერისტს. ვიღებთ რა მხედველობაში სომხურ ჯარის სისუსტეს, რომელიც სრულ დაშლის კრიზისს განიცდის და, რომელიც საფუძვლიან რეორგანიზაციას მოითხოვს, ჩვენ თურქების შესაკავებლად უნდა დავაყენოთ ძალები, რომლებიც ერთ ქვეით დივიზიაზე და ერთ კავალერიის ბრიგადაზე მცირე არ იქნება.

ამ შემთხვევაშიაც კი ჩვენი ოპერაცია ყაზახ-წითელი ხიდის მიმართულებით და შორსაც, თბილისისაკენ, შეფერხებული იქნება. ქართული ჯარის ნაწილების მიერ სერიოზული წინააღმდეგობის შემთხვევაში, ჩვენი ჯარები შეიძლება კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩავარდნენ.

ამგვარად, მე არ ვხედავ შესაძლებლობას ასეთი ჯებირის მოსაწყობად, მითუმეტეს სამხედრო ოპერაციების დასაწყისში ვერ გავბედავ, გამოვიყვანოთ ჯარები, რომლებიც დაკავებული არიან ლენქორანში, დაღესტანში, ჯავუშირში და ყარაბახში.

ასეთ პირობებში, ჩემი ღრმა რწმენა არის, რაც წერილობით უნდა მოგახსენო, რომ ჩვენი ურთიერთობის თურქებთან წინასწარი მოგვარების გარეშე საშიში იქნება საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების დაწყება.

თუ მეთერთმეტე არმიის რევოლუციური-სამხედრო საბჭო მიიღებს რეალურ გარანტიებს იმისას, რომ კიაზიმ კარაბეკირის ჯარები ჩვენს მიმართ მეგობრულ განწყობილებას დაიჭერენ, საქართველოს ოკუპაციის პრობლემა, და, უპირველესად ყოვლისა თბილისის, უფრო რეალური გახდება. საქართველოს წინააღმდეგ სრულიად უსაშიშრო ოპერაციის ჩასატარებლად მე მიმაჩნია საჭიროდ შემდეგი ძალების თავმოყრა: ყაზახ-წითელი ხიდის ხაზზე ორი ქვეითი დივიზია და ორი კავალერიის დივიზია, ფოილოსაკენ – ქვეითი ჯარის ერთი დივიზია და კავალერიის ორი დივიზია, აღსტაფა-ელიზავეტოპოლის ხაზზე ქვეითი ჯარის ორი დივიზია. სულ ექვსი დივიზია ქვეითი ჯარისა და ხუთი დივიზია კავალერიისა. სრული ნამდვილი რიცხვით: 25 000 ხიშტი და 4 000 ხმალი. ფოილოს მიმართულებით ამის გარდა კიდევ უნდა გვყავდეს სამი ჯავშნოსანი მატარებელი. სოჭის მიმართულებით ქართული ჯარების შესაკავებლად იქ უნდა დავტოვოთ ქვეითი ჯარის ერთი დივიზია, ხოლო ვლადიკავკაზის დასაფარავად – ამხანაგ იქსის მოძრავი ჯარი. ეს ძალები უნდა გამოვყოთ მეცხრე და მეთერთმეტე არმიებიდან. ამ გამოყოფისათვის,

თუ შესაძლებელია მათი სამხრეთის ფრონტზე გამოყვანა, უნდა მოვიხმაროთ პირველი არმიის ერთეულები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი გეგმით, საქართველოში შესასვლელად, ოპერაციებისათვის თბილისის წინააღმდეგ უნდოდათ დაენიშნათ სპეციალური ერთეულები მეოცე, მეთვრამეტე, მეოცდათორმეტე და მეოცდარვე დივიზიებისა, ამხანაგ შერშენევის, კავალერიის დივიზიების: მერვესა და მეთვრამეტეს ერთეულები, რომლებიც უნდა გამოიყვანონ მეცხრე და მეთერთმეტე სხვა ერთეულებიდან. დამხმარე ძალები დასახელებულ ნაწილებიდან უნდა გამოიყონ იმ ფრონტის ნაწილებიდან, რომლებსაც ეხებათ მთავარსარდლის დეპეშა, რათა ჩემი არმია გაძლიერებულიყო, ამ პირობებში, დეკემბრის დამდეგისათვის, მე მეყოლებოდა საკმაო ძალები საქართველოს წინააღმდეგ გასალაშქრებლად, მაგრამ პოლიტიკურმა ამბებმა, რომლებსაც თქვენ კარგად იცნობთ, შეუძლებელი გახადა ამ გეგმის შესრულება. დამხმარე ძალები ჩემი არმიისთვის მოდიოდნენ უფრო დაგვიანებით, ვიდრე ეს ნაგულისხმები იყო. სამხრეთის ფრონტის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს №5376 დეპეშის მიხედვით, მეორე არმიის კავალერიის ტრანსპორტი შეჩერებული იქნა, ეშელონები №№134-628-661-312-454 დაკავებული იქნენ გუდურუ-პეტროვსკის ხაზზე, მეოცდარვე ქვეითი დივიზიის ნაწილები ვერ გამოიყვანეს და ვერ გაგზავნეს ფრონტზე, და განიცადეს რა დიდი დანაკლისი თვითონ მათ სჭირდებათ შევსება. მთელი მე-32 ქვეითი დივიზიიდან მხოლოდ მე-96 ბრიგადის გაყვანა შეიძლება ყაზახის მიმართულებით, მე-18 დივიზიის ერთეულებსაც სჭირდებათ დამხმარე ძალები და მათი თავმოყრა ძალიან ჭიანურდება. პეტროვსკში მოსვლისას ეშელონები გადავიყვანეთ ჩემი ბრძანებით ლენკორანის რაიონში. ამგვარად, აქსტაფა-ყაზახის რაიონში, უკეთეს შემთხვევაში შესაძლებელია ამჟამად ლაშქრობაში შევიყვანოთ განზრახულის მხოლოდ მეოთხედი ძალები. დეკემბრის ოთხს (1920 წ.), ყველა ვითარების აწონდაწონის შემდეგ, მე მოვახსენე საქართველოს რესპუბლიკის შესახებ • რევოლიუციურ-სამხედრო საბჭოს, რომ ყოვლად შეუძლებელია შესრულდნენ რევკომის ბრძანებები და დასრულდეს ჯარების თავმოყრა საქართველოს წინააღმდეგ თვით დეკემბრის თვის დასასრულისათვის. თუ დამხმარე ძალების მოსვლა დაგვიანებით გაგრძელდება, წინა მოხსენებულის დამატებით და შესავსებათ გაცნობებთ, რომ საჭიროა ჩქარი გადმოყვანა ჯარებისა ჩრდილო კავკასიიდან და მეორე არმიის კავალერიისა, თუგინდ ამით დროებით დაბრკოლდეს საქონლის გადაზიდვა, რათა სულ მოკლე ხანში ჯარის ნაწილები ისეთ ვითარებაში მოხვდნენ, რომ შეეძლოთ ყოველ წუთში რევოლიუციის მიმართ თავისი მოვალეობა აღასრულონ.

ასევე უნდა შესრულდეს ჯარის მომარაგების საქმეც. გიღებ რა მხედველობაში მომარაგების მდგომარეობას, წინადადებას გაძლევთ მოუცადოთ ხორბლის მოტანას და დამხმარე ძალების მოსვლას, რაც დაგვიანებით გაგრძელდება, მის დაწყობას ელიზავეტოპოლში, მანამ სანამ საქართველოზე თავდასხმას დავიწყებდეთ. მითუმეტეს, რომ თბილისზე ლაშქრობის დროს ჯარის მომარაგების გზაზე შეუძლია გამოიწვიოს პროტესტები მოსახლეობისა, რომელიც მტრულადაა განწყობილი წითელი არმიის მიმართ.

ზურგის მდგომარეობაზე: კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ზურგი არ შემიძლია უშიშრად ჩავთვალო თუ შემდეგი ერთეულები არ იქნებიან ჩემს განკარგულებაში: ლენკორანის რაიონში ერთი ნაწილი ქვეითი ჯარისა და ერთი კავალერიისა ტერტერა-შუშაჯებრაილის რაიონში, ორი ნაწილი ქვეითის და ერთი კავალერიისა აუცილებელია ვანქა-შუშა-შერუსის რაიონში, ნუხის რაიონში ერთი ნაწილი ქვეითისა, ბაქოს და რკინიგზის დაცვა მოითხოვს არა ნაკლები ერთი დივიზიისა. ამის დამოუკიდებლად, საიდუმლო დაწესებულებების ცნობით, აპრილში უნდა მოველოდეთ მასიურად თურქების შემოსვლას ჯებრაილის რაიონში. აუცილებელია ახლავე დავიკავოთ არაქსზე გადმოსასვლელი ყველა პუნქტი და ამ მიზნით იქ საკმაო ძალები უნდა მივიყვანოთ.

რაც შეეხება ქართული ჯარისა და გვარდიის მდგომარეობას, ამის გამო აქ აღარ ვლაპარაკობ, რადგანაც ამაზე უკვე მოვახსენე დაწვრილებით რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს 1920 წლის 24 ნოემბერს. აქ მხოლოდ უნდა გავიმეორო, რომ მიუხედავად სისუსტისა და რევოლუციური სულისკვეთებისა, ქართულ ჯარებს შეუძლიათ წინააღმდეგობა, განსაკუთრებით თუ თავიდანვე ჩვენ ინიციატივა წაგვერთვა.

ყველა ეს მოსაზრება სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ შეუძლებელი იქნება საქართველოზე შეტევა, არამედ მგონია, რომ ეს უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ კარგი მომზადების შემდეგ, რათა სასწრაფოდ მოვუთავოთ ხელი თბილისის ხალხს. თუ მაინც პოლიტიკური მოვლენები გვაიძულებენ დავიწყოთ შეტევა, მაშინ უნდა მოველოდეთ იმას, რომ ომი საქართველოს წინააღმდეგ მიიღებს ხანგრძლივ ხასიათს.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ შეგვიძლია დაუბრკოლებლად ოკუპაცია მოვუხდინოთ მთელ საქართველოს ტერიტორიას სურამის ქედამდე, მაგრამ შემდეგ ჩემი ჯარები შეფერხდებიან. ამის გამო, ნებას ვაძლევ თავს გაგაფრთხილოთ, რომ უნდა დავაგვიანოთ შეტევა საქართველოს წინააღმდეგ, სანამ შემდეგი პირობები არ განხორციელდებიან:

1. კონსათენტრაცია ბაქო-ბულახ-ნუხა-ელიზავეტპოლ-ყაზახში მეშვიდე ქვეითი დივიზიის და მეორე არმიის კავალერიისა.
2. ბაქო-ელიზავეტოპოლის ხაზზე სანოვაგით დატვირთული მატარებლების მოსვლა, რომელი სურსათიც საკმარისი იქნება დეკემბერ-იანვრის თვეთა განმავლობაში.
3. შეთანხმება თურქეთის სარდლობასთან.

ამ პირობების და ჯარის ერთეულთა სიმტკიცის შემთხვევაში, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კამპანია საქართველოს წინააღმდეგ შეიძლება მოთავდეს ექვსი კვირის განმავლობაში.

მე თქვენ გთხოვთ ანგარიში გაუწიოთ ზემოდ აღნიშნულ მოსაზრებებს თქვენს მოხსენებაში „რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს" თავმჯდომარის მიმართ."

საქართველოს დაპრყობის 60 წლისთავი, პარიზი, 1981.

ნოე ჟორდანიას განცხადება დამფუძნებელ კრებაში 1921 წლის 21 თებერვალს

(„მთავრობის თავმჯდომარეს ტრიბუნაზე ასვლისას კრება ესალმება ხანგრძლივი ტაშით). **მთავრობის თავმჯდომარე**: მოქალაქენო! ახლა თანდათან ირკვევა ომის გამომწვევი მიზეზი და აგრეთვე ის მიმართულება, რომელსაც ომი ახლო მომავალში მიიღებს.

ირკვევა, რომ საბჭოთა მთავრობას დიდი ხნიდან ჰქონია განზრახვა საქართველოში გადატრიალება მოეხდინა და საბჭოთა ხელისუფლება გამოეცხადებია, მაგრამ მათ აქამდე ვერ შეძლეს ამის განხორციელება, რადგან არ ჰქონდათ საკმარისი საბაბი. ხოლო ამ ათი დღის წინ იპოვეს ეს საბაბი ლორის რაიონში. იქ მათ მოაწყვეს საიდუმლო შეთქმულება და დაარქვეს მას ხალხის გამოსვლა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. იქ მათ გამოაცხადეს ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება და აი, ვითომ მის დასახმარებლად მოდის რუსის ჯარი.

სწორედ ამ თვის თხუთმეტს გაიცა ბრძანება აზერბაიჯანში და სომხეთში მყოფ ჯარებისადმი და ეს ბრძანება ჩაგვივარდა ჩვენ ხელში ტყვეების საშუალებით. ამ ბრძანებაში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილია თბილისის აღება და საქართველოს საბჭოთა სისტემაზე გადაყვანა. იქ ჩამოთვლილია თუ რომელ ჯარის ნაწილმა რა უნდა გააკეთოს, როდის უნდა იქნას აღებული ესა თუ ის დაბა, ქალაქი თუ სოფელი. ბოლოს ნათქვამია, რომ 19 თებერვალს უნდა იქნას აღებული თბილისი.

ამ ჯარის პირველი შემოტევა, როგორც იცით, იყო უეცარი, მოულოდნელი, სრულიად მუხანათური და, აი, ამ უეცარმა და მოულოდნელმა შემოტევამ შეარყია ჩვენი ჯარის მდგომარეობა იქ, სადაც ეს ჯარი იდგა. და შეარყია იმ ზომამდე, რომ იყო მომენტი, როცა ბორჩალოს მაზრაში საზღვარზე მდგარმა ჯარებმა სრულიად ვერ შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა. მაგრამ, საბედნიეროდ უნდა ითქვას, რომ ჯარმა და აგრეთვე ჩვენმა ხალხმა სწრაფად შეიგნეს მდგომარეობა, გამოსწორდნენ და დროზე შეუდგნენ საორგანიზაციო სამხედრო მუშაობას.

ეს სწრაფი აღდგენა მდგომარეობისა, წინათ დასუსტებულ ჯარების ეს ახალი შეჯგუფება, ეს სწრაფი თავის მოყრა ჯარების და მათი სწრაფი შეკავშირება, არის იმის მიზეზი, რომ ჩვენ დღეს აქ (თბილისში) ვიმყოფებით. ეს ჩვენ ლორიდან დავიწყეთ, როცა შევამჩნიეთ, რომ ერთი მხრით, ამ მუხანთურმა თავდასხმამ შეარყია ჩვენი ჯარი, ხოლო, მეორე მხრით, მოსალოდნელი იყო აზერბაიჯანიდანაც დაგვსხმოდნენ თავს. ჩვენი მიზანი შეიქნა გამოგვეყვანა ეს დასუსტებული ჯარი ბორჩალოს მაზრიდან და უკეთესი პოზიციები დაგვეკავებია. უკან დახევა ალაგ-ალაგ წარმოებდა წესიერათ, ალაგ-ალაგ არ ხდებოდა წესრიგით, როგორც ეს უკანდამხევ ჯარს შეეფერება. საერთოდ კი, იქ მდგომ ჯარის დიდმა ნაწილმა დაიხია წესიერად, ან გამოვიდა ნაწილ-ნაწილად. გამოსულები დაღლილი იყვნენ, მაგრამ არა საბოლოოდ გატეხილი. მათ მხოლოდ ერთი-ორი დღის დასვენება ესაჭიროებოდათ, რომ ისეთივე ჯარისკაცები გამხდარიყვნენ, როგორც ახალგამოყვანილი მეომრები. აქ არ მომხდარა ის, რაც ჩვენ ვნახეთ ბათომში 1918 წელს. საკვირველი ისაა, რომ, მიუხედავად უეცარი თავდასხმისა, მიუხედავად მოულოდნელი გამოსვლისა, დეზერტირობას ადგილი არ ჰქონია.

ამგვარად, ამ დროის განმავლობაში ჩვენ შევძელით გამოგვეყვანა მტრის წინააღმდეგ კარგად გაწვრთნილი, შეიარაღებული და ერთსულოვნებით გამსჭვალული ჯარი.

პირველი დიდი ბრძოლა, რომელიც ჩვენ მტერს მივეცით, ეს იყო 19 თებერვალს ღამით. ბრძოლა ხდებოდა დიდ ფრონტზე, დაახლოებით ასი ვერსის მანძილზე. 18 და 19 თებერვალს ადგილი ჰქონდა მტრის შემოტევას მთელი ამ ფრონტის სივრცეზე და თქვენ გახსოვთ ეს დიდი ბრძოლა, 19-ს დილით გამოირკვა, რომ ჩვენ შევძელით მტრის ცენტრის გარღვევა და ის სავსებით დამარცხდა. შემდეგ, 19 თებერვალს დილით მოხდა ბრძოლა ჩვენს მარცხენა ფლანგზე. იქ ყარაიაზის მიდამოებში, მტერმა ნამეტანი წამოიწია წინ, მოვიდა მარტყოფში, ლილოში და აქ, 19 თებერვალს, მოხდა ჩვენი

მასთან შეტაკება: ჩვენ ვაიძულეთ ის უკან დაეხია, გავრეკეთ ყარაია-ზში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ დღეს, 21-ს და წინა ღამით, მოხდა დიდი ბრძოლა ბარ-ჯვენა ფლანგზე. აქ ბრძოლა თითქმის ისეთივე მწვავე იყო, როგორც ცენტრში. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ჯარი შეტევას აწარმოებს დიდი გააფთრებით, მტკიცედ და დისციპლინასაც იჩენს. გასულ ღამით, კოჯორის მიდამოებში მდგარ ჩვენს ჯარებს თავს დაესხნენ და მოინდომეს გაერღვიათ ერთი ადგილი, რომელიც არ იყო საკმარისად დაცული. აქ მათ დახვდნენ იუნკრები და თქვენ იცით, რომ გაიმართა დიდი ბრძოლა, ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა, გრანატებით და ხიშტებით, მაგრამ აქაც მათ სასტიკი დამარცხება განიცადეს. (მხურვალე ტაში) მტრის ჯარს რამდენიმე ისეთი მაღლობი ეჭირა, რომ ზედ ზარბაზნები დაედგათ, შეიძლებოდა მთელი თბილისის განადგურება. გუშინ მივიღეთ ჩვენ ზომები ამ მაღლობების წასართმევად. ეს იყო ჩვენი გამარჯვების პირველი ნაბიჯი და უნდა ითქვას, რომ ასეთი მიუდგომელი ადგილები, ასეთი მაღლობები, სადაც მტერი იყო გამაგრებული, ჩვენი გვარდიის ნაწილებმა იერიშით აიღეს ისე, რომ ერთი კაციც არ დაუკარგავთ (ხმები: გაუმარჯოს და მხურვალე ტაში). ამ ომში გამოირკვა, რომ საბჭოთა ჯარი ვერ უძლებს შეტევას. თვით ის მხნედ უტევს, მაგრამ მის წინააღმდეგ წარმოებულ შეტევას ის ვერ უმკლავდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას, რომ შეტევის მოგერიების უნარი ჰქონდეს, ასეთ სიმაღლეებს ის არ დასტოვებდა.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ჯარი და გვარდია სამაგალითო მხნეობას იჩენენ (კრება ფეხზე ადგომით, ტაშით, ვაშას და გაუმარჯოს ძახილით ესალმება ჯარსა და გვარდიას), მე მგონია, რომ ჩვენს ხალხში გაიღვიძა, აჩქეფდა ჩვენი წინაპრების სისხლი, იმ წინაპრების, რომელნიც შემოჭრილ მტრის ურდოებს პატარა რაზმებით ამარცხებდნენ.

ახლა მინდა მოგახსენოთ თუ ვისი თაოსნობით წარმოებს თავდასხმა და ვინ წინამძღოლობს ამ საბჭოთა ჯარებს საქართველოს წინააღმდეგ. იცით ალბათ, რომ აქ გამოგზავნეს და დაარიგეს ფურცლები, სადაც სწერია, რომ შულავერში შედგა „საქართველოს მთავრობა“, და ეს შულავერში შეყენებული მთავრობა ყოფილა თურმე ჩვენი ხალხის ნამდვილი ხელისუფლება, რომელიც მოუწოდებს ჩვენ ხალხს, დამფუძნებელ კრებას, გადააყენონ თავიანთი ხელისუფლება. გადააგდონ იგი და იცნონ „შულავერის მთავრობა“. ეს ის ხალხია, რომელიც ესწრაფვის უცხო ქვეყნის ხიშტების საშუალებით დააწესოს თავისი ხელისუფლება, თავისი მმართველობა. ესენი არიან:

მახარაძე ფილიპე, ორახელაშვილი მამია, მდივანი ბუდუ, ელიავა შალვა, ოკუჯავა მიშა, დუმბაძე ლადო, ნაზარეტიანი ომარი, ბეგენკორი ალექსანდრე და კვირკველია. და, აი, ბატონებო, ამ ქართველი ამ ჩვენ ქვეშევრდომთა სურვილს, რომელნიც მტერს მოუძღვიან და ცდილობენ ცეცხლითა და მახვილით მოსპონ ქართველი ხალხი და ჯარი და გახდნენ საქართველოს ტირანები. მათ ამ სურვილს ქართველი ხალხი არასოდეს არ მიიღებს. ამ სირცხვილს ქართველი ხალხი არასოდეს, არავითარ ˙გზით თავის თავზე არ აიღებს. იმისთვის ხომ არ უშრომია, იმისთვის ხომ არ გადმოუგდია მას პეტერბურგის მთავრობა, რომ „შულავერის მთავრობა“ მიეღო. მე ვამბობ, როცა ქართველი ხალხი გაიგებს, რა ვაჟბატონები აპირებენ მის გათელვას, ქართველი ხალხის სულიერი განწყობილება კიდევ უფრო განმტკიცდება და ის იტყვის: „ან სიკვდილი, ან გამარჯვება!“ (ტაში, მხურვალე ოვაციები, წულაია: გაუმარჯოს ჩვენი ხალხის ბელადს, ნოე ჟორდანიას).

საქართველოს რესპ. დამფუძნებელი კრება.

1921 წ. 21 თებ. სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რწმუნებულის განცხადება.

ქართველ ხალხთან ერთად მისი ერთსულოვანი ნებით დაყენებული მთავრობა მთელი თავისი ძალ-ღონით წინ აღუდგა საქართველოში შემოჭრილ უცხო ძალებს და ეს ხუთი კვირაა რაც ის, ქართველ ჯარსა და ქართველ სახალხო გვარდიას დაყრდნობილი, აწარმოებს ქვეყნის დაცვას. ხუთი კვირის მძიმე ბრძოლამ გაცილებით უფრო მრავალ რიცხოვან მოწინააღმდეგებთან ნათელჰყო ქართველი მხედრობის მხნეობა და თავდადება და ქართველი ხალხის ერთსულოვნება და სიმტკიცე დემოკრატიული რესპუბლიკის დაცვის საქმეში. ეს ომი, რომელსაც ერთი წუთითაც კი არ მიულია სამოქალაქო ომის ხასიათი, გრძელდება დღემდის. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს კიდევ უფრო ძლიერ გართულდა და გამწვავდა საქართველოს სამხედრო მდგომარეობა. ანგორის მთავრობამ, ისარგებლა რა ჩვენი მდგომარეობით, უკვე დაიპყრო არტაანისა და ართვინის ოლქები. ახლა როდესაც საქართველოს მთავრობის პოლიტიკურსა და სამხედრო ბაზას წარმოადგენს ბათუმი, ანგორის ჯარები თავს გვესხმის ზურგიდან და აპირებს ბათუმის და მისი ოლქის დაპყრობას. ასეთ პირობებში საქართველოს მთავრობას მდგომარეობა აიძულებს მთელი თავისი ყურადღება მიაპყროს ტერიტორიის მთლიანობის დაცვას და არავითარ შემთხვევაში ნებით თუ უნებლიეთ არ შეუწყოს ხელი ბათუმის და მისი ოლქის ოსმალეთის მიერ დაპყრობას. ამ მიზნისათვის ის თავის მოვალეობათ სთვლის მიიღოს საქართველოს რევკომის წინადადება მოლაპარაკების შესახებ და შესაძლებლად სცნობს ამ მდგომარეობაში განსაზღვრულ პირობებით ფაქტიური შეთანხმება მოახდინოს ხსნებულ რევკომთან იმ ომის ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც სწარმოებს საქართველოს მხედრობასა და რევკომის განკარგულებაში მყოფ საბჭოთა ჯარებს შორის. საქართველოს მთავრობა მოლაპარაკებაში ხელმძღვანელობს იმ აზრით და მისწრაფებით, რომ ყოველგვარი ღონე და ზომა იხმაროს საქართველოს მთლიანობის დასაცავად, მიუხედავად იმისა, თუ როგორი შინაგანი წყობილება იქნება დღეს ან ახლო მომავალში საქართველოში.

ამავე დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს, რომ ეს შეთანხმება სრულიად არ სჭრის ამა თუ იმ ხელისუფლების ცნობის საკითხს. საქართველოს კანონიერ მთავრობათ ის სთვლის თავისთავს, სადაც და რა პირობებშიაც უნდა დარჩეს, ვიდრე ქართველი ხალხის უმრავლესობის თავისუფლად გამოთქმული ნება – სურვილი არ იტყვის ამის წინააღმდეგს.

ვხელმძღვანელობთ – რა ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებით, მაქვს პატივი ამასთანავე წარმოგიდგინოთ თქვენდა განსახილველად პრაქტიკული შეთანხმების შემდეგი პირობები.

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი: გრ. ლორთქიფანიძე

17 მარტი 1921 წელი.

ტექსტის სიდიდისა გამო, მთლიანად გამოქვეყნება მოლაპარაკების ოქმისა ვერ მოხერხდა, ამიტომ მოგვყავს ზოგიერთი საინტერესო განცხადებები კონფერენციის წევრებისა.

გ. ლორთქიფანიძე: ქემალმა უკვე დაიპყრო ართვინისა და არდაგანის ოლქები, მას ეხლა იერიში მოაქვს ბათუმის ოლქზედ, ამიტომ ჩვენ ვდგავართ იმ პრინციპიალურ ნიადაგზედ, რომ როგორიც არ უნდა იყოს საქართველო, იქნება მისი ხელისუფლება დემოკრატიული რესპუბლიკა თუ საბჭოთა წყობილება, ჩვენი მოვალეობა არის, მოვალეობა სახელმწიფოებრივი და ეროვნული, რომ ბათუმის ოლქი ყოველ შემთხვევაში დარჩეს საქართველოს, ვიმეორებ, როგორიც არ უნდა იყოს ის. ეს არის ჩვენი სახელმძღვანელო გეზი, რადგან ქემალი გათავხედდა და იერიშები დაიწყო ბათუმის ხელში ჩასაგდებად. საქართველოს რესპუბლიკას დღეს უძნელდება ორ ფრონტზე ბრძოლა, საჯავახოსა და ბათუმისა, ამიტომ საჭიროა, რომ მოინახოს საერთო საშუალება, რომელიც აგვაცილებს საფრთხეს, რომელიც მოელის საქართველოს მთლიანობას.

მ. ორახელაშვილი: ჩვენ არა ვართ წინააღმდეგნი, რომ ბათუმის საკითხი იქნეს განხილული კონფერენციის მიერ, მაგრამ ეს საკითხი მეორე ხარისხოვანია. ჩვენი პირველი მოთხოვნილება არის, რომ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის მთავრობამ იცნოს საქართველოში მომხდარი გადატრიალება და აღიაროს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა და თუ ეს არ იქნება მიღებული, სხვა დეტალების მიღება შეუძლებელია.

გ. ლორთქიფანიძე: დღეს ყველაზე დიდი საშური საკითხი და

პირველ რიგში განსახილველი არის საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნება ყველა ქართველ პატრიოტისათვის და რაც შეეხება რეჟიმის საკითხს, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ერთმა სოციალ-ტიკურმა ჯგუფმა უცხოელი ძალებით გადაიარა საქართველოს დიდი ნაწილი და არავითარ შინაურ გადატრიალებას ადგილი არ ჰქონია. ზოგი ფიქრობს, რომ საქართველოში დამყარდა თავისუფლება, ჩვენთვის კი უდიდესი ტრაღედიაა, ამ ტრაღედიას მოჰყვა კიდევ მეორე ტრაღედია, ტერიტორიის მთლიანობის საკითხისა ბათუმის ოლქის სახით და რადგან დღეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არ აქვს საშუალება იბრძოლოს ორ ფრონტზე, მან აირჩია, რომ როგორც არ უნდა იყოს და რა წყობილებაც, ბათუმის ოლქი დარჩეს საქართველოს ფარგლებში. ბატონი ორახელაშვილის მიერ დასმული საკითხი, რომ ცნობილი იქნეს საქართველოში შიგნიდან გადატრიალების საკითხი, დიდი შეცდომაა, რადგან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრაობას არ შეუძლია თავის ხელისუფლება გადასცეს სხვა ვინმეს. თვით ის არ არის წყარო უფლების. წყარო უფლებისა არის **დამფუძნებელი კრება და სხვა არავინ.**

17 მარტი 1921 წელი.

ჟურნ. „კავკასიონი“. XX, 1986. პარიზი გვ. 13-14.

საქართველოს მთავრობის მემორანდუმი უცხო სახელმწიფოების მთავრობებისადმი საბჭოთა რუსეთის ჯარების საქართველოზე თავდასხმის შესახებ

1921 წლის 19 მარტს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, რომელმაც ხელისუფლება მიიღო ხალხის ნება-სურვილით, რამაც გამოხატულება ჰპოვა საყოველთაო არჩევნებში, იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა.

ამგვარი ვითარება გამოიწვია საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციამ და ქართველი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ფეხქვეშ გათელვამ, რამაც კანონიერ მთავრობას მოუსპო მშობლიურ მიწა-წყალზე თავისი ფუნქციების შესრულების საშუალება.

ქვემოთ მოცემულია მოკლე აღწერა იმ ამბებისა, რომლებიც წინ უსწრებდნენ მტრის მიერ საქართველოს ოკუპაციას, თავისი არსებობის პირველი დღიდანვე საქართველოს რესპუბლიკა ყოველ ღონეს

ხმარობდა, რათა შეენარჩუნებინა მშვიდობიანი ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან.

საკუთარი სახელმწიფოს ორგანიზაციის საქმე ხალხმა ძალიან ადრე იმ პირებს, რომლებიც მეოთხედი საუკუნის მანძილზე სათაყვანო ეგნენ საქართველოს პოლიტიკურ მოძრაობას და წარმოადგენდნენ მას რუსეთის იმპერიის ოთხ სათათბიროში.

ხალხის ნდობა, რომლითაც საქართველოს მთავრობა სარგებლობდა (დამფუძნებელ კრებაში მას ადგილების უმრავლესობა, 80%-ზე მეტი, ეკავა), იცავდა საქართველოს რესპუბლიკას ქვეყნის შიდა კრიზისებისაგან, რომლებიც პარტიებს შორის ბრძოლას შეეძლო გამოეწვია.

ქვეყნის ამგვარი უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იყო ფართო რეფორმების წყალობით, რომლებიც გატარებულ იქნა ხალხის ერთსულოვანი ნების შესაბამისად.

შექმნილ ვითარებაში რესპუბლიკის არსებობას შეიძლებოდა დამუქრებოდა მხოლოდ გარეშე ძალები, რაც საქართველოს მთავრობას ავალებდა გამოეჩინა განსაკუთრებული სიფრთხილე საგარეო პოლიტიკაში.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების დაახლოება მეზობელ ქვეყნებთან, ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის განმტკიცება – ასეთი იყო მისი საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი.

მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც ერთგული იყო მასზე დაკისრებული მოვალეობისა – დაეცვა ქვეყნის დამოუკიდებლობა, ვერ დაუშვებდა იმას, რომ რომელიმე მეზობელ სახელმწიფოს საქართველოსთვის მოეხვია თავს საკუთარი ნება, კანონები და ეკარნახა მისთვის, თუ როგორი პოლიტიკა უნდა განეხორციელებინა მას ევროპის ქვეყნის მიმართ.

ამგვარი ვითარების შედეგმა, ცხადია, არ დააყოვნა. მოსკოვის მთავრობა სიძულვილით განიმსჭვალა საქართველოს მიმართ. მას სურდა გაბატონებულიყო მთელს ამიერკავკასიაში და იგი საკუთარი სარგებლობისათვის პოლიტიკურ იარაღად ექცია. როდესაც ბოლშევიკებმა საქართველოს მთავრობისაგან კატეგორიული უარი მიიღეს იმის თაობაზე, რომ საქართველო მოსკოვის აგენტი გამხდარიყო და ჩამდგარიყო საბჭოთა რუსეთის ავანტურისტული იმპერიალისტური პოლიტიკის ფარვარტერში, მათ საქართველოს მთავრობა ანტანტის აგენტად გამოაცხადეს.

საქართველოს „გასაბჭოება“ ბოლშევიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქცა წინა აზიაში.

მოსკოვის ემისრების მიერ მოწყობილი აჯანყების, შეთქმულე-

ბებისა თუ მოსყიდვის არაერთი ამაო მცდელობის შემდეგ საბჭოთა მთავრობამ, მიუხედავად 1920 წლის 7 მაისს საქართველოსთან დადებული საზავო ხელშეკრულებისა, გადაწყვიტა დაეპყრო ეს ქვეყანა იარაღით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1920 წლის დეკემბერში საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის სარდალს ჰეკერს დაევალა მოხსენება წარედგინა რუსეთის მთავრობისათვის, თუ რა ოდენობის შეიარაღებული ძალები იყო საჭირო საქართველოს დასაპყრობად.

თავის დაწვრილებით მოხსენებაში სარდალი ამტკიცებდა, რომ მისი არმია, მხოლოდ იმ შემთხვევაში მოახერხებდა საქართველოს დაპყრობაში წარმატების მიღწევას, თუ ანგორას მთავრობა კეთილგანწყობას გამოიჩენდა ამ წამოწყების მიმართ, ამის გამო ბოლშევიკები იძულებული გახდნენ დროებით გადაედოთ საქართველოზე თავდასხმა, მაგრამ იმ დღიდანვე დაიწყეს ჯარების თავმოყრა საქართველოს საზღვრებთან.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ყველა პროტესტი უგულებელყოფილ იქნა.

კარზე მომდგარი ომის თავიდან ასაცილებად საქართველოს მთავრობა შეეცადა გაერკვია, თუ რა მიზნები ამოძრავებდა რუსეთის მთავრობას ამიერკავკასიაში. ამისათვის მას მონაწილეობა უნდა მიეღო რუსეთ-თურქეთის კონფერენციაში, რომელიც მოსკოვში უნდა გამართულიყო გასული წლის (იგულისხმება 1921 წელი, რედ.) თებერვლის თვეში, მაგრამ საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ეს წინადადებაც უპასუხოდ დატოვა.

საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები – როგორმე თავიდან აეცილებინა იმ დროისათვის უკვე გასაბჭოებული სომხეთის მხრიდან მოსალოდნელი გართულებები, უშედეგო აღმოჩნდა. ერევნის მთავრობამ თანხმობა განაცხადა მშვიდობიანი გზით მოეგვარებინათ ამ ორ რესპუბლიკას შორის არსებული სადავო საკითხები, და მოეწვიათ სომხეთ-საქართველოს კონფერნცია. იგი უნდა შემდგარიყო თბილისში 15 თებერვალს. მაგრამ ამასობაში, 11 თებერვალს, რუსეთის მე-11 არმიის სამხედრო ნაწილები შემოესივნენ საქართველოს სომხეთის მხრიდან.

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა საქართველოში ბატონმა შეინმანმა – საქართველოს მთავრობას განუცხადა, რომ რუსეთმა არაფერი იცოდა ამ თავდასხმის შესახებ, რომ თავდასხმელი იყო სომხეთის მთავრობა. იმავდროულად საქართველოს მთავრობამ საბჭოთა სომხეთის წარმომადგენლის – ბატონ შავერდოვისაგან მიიღო არანაკლები კატეგორიული განცხადება, რომ სომხეთის მთავრობას

არაფერი კავშირი არ ჰქონდა საქართველოზე ამ თავდასხმასთან.

ფაქტები კი იმაზე მეტყველებენ, რომ ამ ორი განცხადებიდან ბატონი შავერდობის მტკიცება იყო მართალი: თბილისის მოსადგომებთან გაჩაღებული ბრძოლის დროს ქართველმა სამხედრო ხაფინლებმა ხელთ იგდეს მრავალი ტყვე. როგორც დაკითხვებმა ცხადყო, უკლებლივ ყველა ტყვე ჯარისკაცი რუსეთის ცენტრალური პროვინციებიდან იყო. სწორედ ისინი ქმნიდნენ მოსკოვის ჯარების რეგულარულ შენაერთებს. ამდენად სომხეთი კი არა, არამედ საბჭოთა რუსეთის ჯარები შეესია საქართველო 11 თებერვალს სომხეთიდან.

15 თებერვალს აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოს თავს დაესხა 11-არმიის ახალი ქვეგანყოფები, რომლებსაც ზურგს უმაგრებდა ცხენოსანთა შენაერთები.

საქართველოს მთავრობამ მოიკრიბა მთელი ძალ-ღონე დამპყრობლის უკუსაგდებად, შეეცადა დიპლომატიური გზებით შეეჩერებინა ომი.

16 თებერვალს საქართველოს მთავრობის მეთაურმა სცადა დაკავშირებოდა მოსკოვს ტელეგრაფის პირდაპირი ხაზით, მაგრამ საგარეო საქმეთა კომისრის თანაშემწემ ბატონმა კარახანმა – უარი თქვა საქართველოს პრეზიდენტთან დალაპარაკებაზე, თუმცა აპარატის წინ იდგა.

მეორე დღეს თბილისის ტელეგრაფის სადგურმა მიიღო შეტყობინება, რომელშიც ჩიჩერინი ფარისევლურად ირწმუნებოდა, თითქოს არაფერი იცოდა რუსეთის ჯარის საქართველოზე თავდასხმის შესახებ და საქართველოს მთავრობას უზიარებდა თავის მოსაზრებებს ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებისა და საქართველოს ურთიერთობის თაობაზე.

თუმცა საქართველოს მთავრობა არ იქმნიდა არავითარ ილუზიას ჩიჩერინის გულწრფელობისას, მაინც განუცხადა, რომ იმ პირობით მიიღებდა მის წინადადებას, თუ რუსეთის მთავრობა გაიყვანდა თავის ჯარებს საქართველოს ტერიტორიიდან.

ამასობაში მოვლენები შემდეგნაირად ვითარდებოდა: ქართველი ხალხი გმირულად იგერიებდა მტრის დარტყმებს, რომლებიც ორი მხრიდან იყო თბილისზე მიმართული. ქართულმა ჯარმა და სახალხო ლაშქარმა მოიგერია მტრის ყველა შეტევა, თუმც კი მტერს ჩამორჩებოდა როგორც რიცხობრივად, ასევე შეიარაღებითაც.

21 თებერვალს საქართველოს მთავრობის მეთაურმა რადიოგრამა გაუგზავნა ჩიჩერინს, რომელშიც ითხოვდა განემარტათ მისთვის ის მიზეზები, რომელთაც განაპირობეს რუსეთის ომი საქართველოს წინააღმდეგ. რადგან არავის უპასუხია, 22 თებერვალს, ნ. ჟორდა-

ნიამ მიმართა ლენინსა და ტროცკის და მოსთხოვა მათ შეეწყვიტათ-ომი, რომლის იმპერიალისტური და აგრესიული ხასიათი არავითარ ეჭვს არ იწვევდა.

ამის პასუხად საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გააძლიერა შეტევა საქართველოს წინააღმდეგ სამი ახალი მიმართულებით: საქართველოს სამხედრო გზაზე, ვლადიკავკაზის მხრიდან, მამისონის უღელტეხილიდან ქუთაისის მიმართულებით და შავიზღვის სანაპიროზე სოჭის მხრიდან.

საქართველოს ყოველი მხრიდან ესხმოდნენ თავს რუსეთის მე-11 არმია, აგრეთვე მე-8, მე-9 და მე-13 არმიების შენაერთები, რომ არაფერი ვთქვათ ბუდიონისა და ჟლობას ცხენოსანთა რაზმებზე. ქართველი ხალხის აღტყინებამ და მოხალისეთა მოძალებამ საქართველოს მთავრობას საშუალება მისცა გაეძლიერებინა წინააღმდეგობა, მაგრამ თოფების უკმარისობა ხელს უშლიდა იმ ადამიანთა შეიარაღებას, რომელნიც მზად იყვნენ თავი გაეწირათ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის: ორი წლის მანძილზე საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლები ევროპაში ამაოდ ცდილობდნენ მიეღოთ ევროპის ძლევამოსილი სახელმწიფოებისაგან შეიარაღება და ტექნიკური საშუალება, რათა უზრუნველყოთ სამშობლოს დაცვა, – ბოლოს მხოლოდ ერთმა სახელმწიფომ გამოთქვა თანხმობა, რომ გაეცა საქართველოსათვის იარაღის გარკვეული რაოდენობა, მაგრამ ამ გადაწყვეტილების მიღება დიდი დაგვიანებით მოხდა.

სამაგიეროდ, ბოლშევიკებმა, ისარგებლეს რა ყირიმის ამოუწურავი საბრძოლო იარაღით, საქართველოს შეუსიეს ყველა სახის თანამედროვე იარაღით აღჭურვილი ახალ-ახალი ჯარის ნაწილები.

22 თებერვალს ბოლშევიკებს გამოუჩნდათ ახალი მაშველი ჯარები. ანგორას მთავრობამ საქართველოს მთავრობას წარუდგინა ულტიმატუმი, რომლითაც ითხოვდა ქართული ჯარების გაყვანას ქალაქ არდაგანიდან და ართვინიდან.

საქართველოს მთავრობას არ შეეძლო საკმარისი სამხედრო ძალით წინ აღდგომოდა თურქეთის აგრესიას ახალ ფრონტზე, რის გამოც იძულებული გახდა ამ ქალაქებიდან გაეყვანა თავისი ჯარის ნაწილები, თუმცა კი განაცხადა, რომ ეს სადავო საკითხი ჯარების იძულებითი გაყვანის ფაქტის გამო, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო მოგვარებულად და რომ მისი მოგვარება შეიძლებოდა მხოლოდ შეთანხმების ან საერთაშორისო არბიტრაჟის გზით. ამასობაში საქართველოს სამხედრო მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. რესპუბლიკას, რომელსაც თავს ესხმოდნენ ხუთი

მხრიდან, იძულებულს ხდიდნენ საომარი ძალები გაეფანტა სხვადასხვა ფრონტზე, ბრძოლის წარმართვა უხდებოდა არათანასწორ პირობებში. ქართულ ჯარს ალყაში მოქცევა და გარდუვალი სრული განადგურება ემუქრებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ საქართველოს უმაღლესმა მთავარსარდლობამ გადაწყვიტა თბილისიდან გაეყვანა ჯარები. უკანდახევითა და გამაგრებულ პოზიციებზე მათი თავმოყრით აპირებდა იგი თავდაცვას რუსეთის ჯარებისაგან.

საჯარისო შენაერთებმა ყველა ფრონტზე მიიღეს ბრძანება ბრძოლით დაეხიათ უკან რიონის მარცხენა ნაპირისაკენ. გადაწყვეტილი იყო, ბათუმი გადაექციათ სამხედრო ბაზად.

25 თებერვალს ქართულმა ჯარებმა დატოვეს თბილისი და იწყეს უკანდახევა მთავარსარდლობის მიერ მითითებული მიმართულებით.

ბრძოლები გაგრძელდა კიდევ სამ კვირას.

ამ ტრაგიკულ დღეებში ქართველმა ხალხმა, როგორც ყოველთვის, გამოიჩინა დარაზმულობა და სიმტკიცე თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

ბოლშევიკების აგენტთა მიერ ქართულ ჯარში ამბოხების პროვოცირების ყოველი ცდა მარცხით დამთავრდა.

მაგრამ საომარ საშუალებათა ნაკლებობის ვითარებაში იზოლაციაში მყოფ, მარტოდ დარჩენილ პატარა საქართველოს, რომელსაც არც მოკავშირეები ჰყავდა და არც არსაიდან ელოდა შველას, არ შესწევდა ძალა ხანგრძლივი წინააღმდეგობა გაეწია უზარმაზარი რუსეთისათვის.

ანგორას მთავრობის პოლიტიკამ კი წელში გატეხა ქართველების სიმტკიცე. საქმე ისაა, რომ მას შემდეგ, რაც ქემალის მთავრობამ ხელთ იგდო არდაგანი და ართვინი, საქართვველოს მთავრობას განუცხადა: ჩვენ სადავო არაფერი გვაქვს, ახლა საჭიროა ერთად შევუშალოთ ხელი ბოლშევიკების საჯარისო შენაერთთა ბათუმის რაიონში შეჭრასო. მან თხოვნით მიმართა საქართველოს მთავრობას, რათა მას წინააღმდეგობა არ გაეწია ბათუმის რაიონში თურქეთის ჯარების შესვლისათვის, რომლებსაც, როგორც აღნიშნავდა თურქეთის მთავრობა, მონაწილეობა უნდა მიეღოთ ბოლშევიკების არმიისაგან ამ რეგიონის დასაცავად.

16 მარტს, როგორც კი თურქები შევიდნენ ბათუმში, საქართველოს მთავრობას განუცხადეს, რომ ანგორას დიდ ეროვნულ სათათბიროს ქალაქ ბათუმის და მისი რაიონის თურქეთთან შეერთება ჰქონდა გადაწყვეტილი და სცადეს ძალით დაეკავებინათ ქალაქის საზოგადოებრივი დაწესებულებები და გამაგრებული ადგილები.

იმავდროულად მათ საქართველოს მთავრობას წარუდგინეს ულტიმატუმი, რომელშიც მოითხოვდნენ განეიარაღებინათ ბათუმში მყოფი ქართული ჯარები. იქვე გაჩაღდა ბრძოლა ქართველებსა და თურქებს შორის. თურქები განდევნილ იქნენ ბათუმიდან, ამიერიდან საქართველოს გაეხსნა ახალი ფრონტი ზუსტად იქ, სადაც იგი იმედოვნებდა ჰქონოდა საიმედო სამხედრო ბაზა. ორი ძლევამოსილი მილიტარისტული სახელმწიფოს – საბჭოთა რუსეთის და თურქეთის არმიებით ორი მხრიდან ალყაში მომწყვდეული საქართველოს ჯარები განწირული იყვნენ დასაღუპავად. წარმატების იმედის ნიშან-წყალიც კი არსად ჩანდა.

17 მარტს საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა შეეწყვიტა ბრძოლა რიონის ნაპირებზე და დაეთხოვა თავისი ჯარები.

არმიის დათხოვნამ ბოლშევიკების ჯარების ნაწილებს გზა გაუხსნა ბათუმისაკენ, მთელი რესპუბლიკის ტერიტორიის ბატონ-პატრონად აქცია ისინი, რასაც გარდაუვალ შედეგად მოჰყვა საქართველოს მთავრობის მიერ მტრისაგან ოკუპირებული ტერიტორიის დატოვება. საქართველოს კანონიერი მთავრობისათვის ეს იყო ერთადერთი გზა თავიდან აეცილებინა რაიმე პოლიტიკური ურთიერთობა დამპყრობლებთან.

წითელი არმიის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე ბოლშევიკებმა დაამყარეს სამხედრო ხელისუფლება, რომელსაც უწოდეს „რევოლუციური კომიტეტი“. საქართველოს კანონიერმა მთავრობამ მშობელი ხალხისადმი მოწოდებაში ზუსტად განსაზღვრა თავის დამოკიდებულება ამ ხელისუფლებისადმი. საქართველოს კანონიერმა მთავრობამ განაცხადა, რომ უზურპატორთა კომიტეტმა ხელთ იგდო ხელისუფლება არა ქართველი ხალხის ნებით, არამედ რუსული ხიშტებით. და რომ ეს კომიტეტი, მტრის ჯართან ერთად საქართველოში მოსულ პირთაგან შემდგარი, „მთავრობად“ არ შეიძლებოდა ყოფილიყო მიჩნეული.

საქართველოს კანონიერი მთავრობა აცხადებდა რა პროტესტს იმ ძალმომრეობის წინააღმდეგ, რომელიც საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გამოიჩინა ქართველი ხალხის მიმართ, გამოთქვამდა რწმენას, რომ იგი ყველგან და ყველა ვითარებაში ერთგული იქნებოდა თავისი მოვალეობისა, დაიცავდა თავისი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, მის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ამგვარად, ზემოთ მოტანილი ფაქტები ადასტურებენ, რომ:

1. ქართველი ხალხის ნება-სურვილით დამყარებული დემოკრატიული რესპუბლიკური წყობილება გაანადგურა არა ქვეყნის შიგნით არსებულმა ხალხის უმცირესობამ, არამედ უხეშმა გარეშე ძა-

ლამ და დემოკრატიული რესპუბლიკა შეცვალა საბჭოთა რუსეთის წეს-წყობილების თარგზე გამოჭრილმა მმართველობამ.

2. რომ ქართველი ხალხი თავის კანონიერ მთავრობასთან შეკავშირებულ-დარაზმული გმირულად ებრძოდა მტერს და დანებდა მას მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოწურა წინააღმდეგობის გაწევის ყველა შესაძლებლობა.

3. რომ ბოლშევიკების მიერ საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ საქართველოს კანონიერი მთავრობა, რომელიც იძულებულია დატოვოს მშობლიური მიწა, ინარჩუნებს დამფუძნებელი კრების მიერ მინიჭებულ უფლებამოსილებას, განაგრძობს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას და იცავს თავისი ხალხის ინტერესებს ძლევამოსილ სახელმწიფოთა წინაშე, რომლებმაც ცნეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“ 3.X.1989.

ა. მენთეშაშვილის პუბლიკაცია.

საქართველოში მუშაობის შესახებ

(ფ. მახარაძის წერილი ვ. ლენინისადმი)

უკვე ცხრა თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. ვადა სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ერთგვარად შევაჯამოთ ამ ხნის განმავლობაში გაწეული მუშაობა. სამწუხაროდ, ამის გაკეთება აქ შეუძლებელია. ამ მოხსენებაში მე ორ მიზანს ვისახავ: ჯერ ერთი, დავხატო ის პირობები, რომელშიაც ჩვენ მოგვიხდა მუშაობა საქართვევლოში დღიდან მისი გასაბჭოებისა და, მეორე, კონკრეტულად მივუთითო იმ ღონისძიებებზე, რომლებიც მომავალში გაგვიადვილებენ წარმატებულ პარტიულ და საბჭოთა მშენებლობას საქართველოში.

უწინარეს ყოვლისა, უნდა მივუთითოთ იმ გარემოებაზე, რომ 1921 წლის დასაწყისში, ესე იგი საქართველოს გასაბჭოების მომენტში, ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მდგომარეობა საქართველოში მეტისმეტად უნუგეშო იყო. ეს შედეგად მოჰყვა ჩვენი პარტიის იმ „ლეგალიზაციას“, რომელიც გამოცხადდა ერთი მხრივ საბჭოთა რუსეთსა და მეორე მხრივ საქართველოს მენშვიკურ მთავრობას შორის 1920 წ. 7 მაისს მოსკოვში დადებული ხელშეკრულების ძალით. სინამდვილეში ეს „ლეგალიზაცია“ პირდაპირ პროვოკაცია აღმოჩნდა მენშევიკურ საქართველოში, სადაც კომუნისტური პარტიის ლეგალური არსებობა შეუძლებელი იყო.

თავისთავად ცხადია, რომ ეს უმცირესი ლეგალური შესაძლე-

ბლობაც კი მაქსიმალურად უნდა გამოგვეყენებინა, რასაც ჩვენ შეძლებისდაგვარად ვაკეთებდით კიდეც, მაგრამ ამავე დროს საჭირო იყო არალეგალური აპარატის შენარჩუნებაც. ამაზე მე. ძირითადი ჯერ კიდევ „ლეგალიზაციის" დასაწყისში (დაახლოებით 1920 წლის მაისის დამლევს), ყველა მსხვილი ორგანიზაციის წარმომადგენელთა პირველსავე პარტიულ თათბირზე, რომლიც მაშინ მოწვეული იყო ჩვენი მომავალი ტაქტიკის გასარკვევად საქართველოში. მე მაშინვე ვაფრთხილებდი ამხანაგებს, მეტისმეტად არ გატაცებულიყვნენ ლეგალური მუშაობით. სამწუხროდ, ჩემი რჩევა მაშინ არ გაიგონეს. ზოგიერთი ამხანაგი მართლაც გაიტაცა ჩვენი პარტიის ცრუ ლეგალიზაციამ და, მიუხედავად კომინტერნის მეორე კონგრესის დადგენილებისა და რკპ ცკ-ის სპეციალური დირექტივებისა კომუნისტური პარტიის მუშაობის შესახებ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, მათ არასგზით არ უნდოდათ არალეგალური აპარატის ორგანიზაცია და დაჟინებით მოითხოვდნენ მხოლოდ და მხოლოდ ლეგალურ მუშაობას. სამწუხაროდ, ჩემი წინასწარმეტყველება ახდა გაცილებით ადრე, ვიდრე მე თვითონ შემეძლო მეფიქრა და ცნობილი „ლეგალიზაციიდან" 6-7 თვის შემდეგ ჩვენი პარტიიდან მხოლოდ ნამსხვრევები დარჩა.

ამრიგად, 1921 წლის დასაწყისისათვის საქართველოს კომპარტია თავმოკვეთილი შეიქმნა, ამასთან, ამ თავის მოკვეთაში გარკვეული ბრალი ჩვენც გვედება, განსაკუთრებით იმ ამხანაგებს, რომლებიც მაშინ უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ პარტიულ მუშაობას საქართველოში. მე კი კავბიუროს დადგენილებით 1920 წლის სექტემბრიდან გაწვეული ვიყავი მოსკოვში. საკვირველია, რომ ჩვენი ორგანიზაციების ამგვარი განადგურების შემდეგ კავბიურომ ვერ მოიფიქრა გაეგზავნა საქართველოში თუნდაც რამდენიმე მუშაკი, რომლებიც მონახავდნენ ადგილობრივ გადარჩენილ უჯრედებს, შეაკავშირებდნენ მათ და მიცემდნენ აუცილებელ დირექტივებს. სამწუხაროდ, ამაზე არავინ ფიქრობდა და მოხდა ის, რომ როდესაც დაიწყო წითელი ჯარების შეტევა, ამ შეტევის მიზანსა და განზრახვაზე არც ერთმა უჯრედმა, პარტიის არც ერთმა წევრმა საქართველოში არაფერი იცოდა და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. ამიტომ, ჩვენი ორგანიზაციების მხრივ, რამდენადაც ისინი ჯერ კიდევ მიათრევდნენ თავის წუთისოფელს, რაიმე გამაფრთხილებელი ზომის მიღება შეუძლებელი იყო. ცხადია, ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაუადვილა მენშევიკებს, წითელი ჯარების შემოტევისას, საბოლოოდ გაესწორებინათ ანგარიში აქა-იქ კიდევ გადარჩენილი ჩვენი ორგანიზაციებისათვის და დაეპატიმრებინათ

არა მარტო კომუნისტები, არამედ მათი უბრალო თანამგრძნობნიც.

ამრიგად, მოხდა შემდეგი: ჯერ ერთი; საქართველოში წითელი ჯარის შესვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ ფა-ილო დაპყრობის ხასიათი, ვინაიდან შიგნით ამ დროს არავინ არც კი ფიქრობდა აჯანყების მოწყობას; მეორე; საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების მომენტში საქართველოში არ აღმოჩნდა არც პარტიული უჯრედი, არც უბრალოდ პარტიის ცალკეული წევრები, რომელთაც შეეძლებოდათ ხელისუფლების ორგანიზაცია. ნათელია, რომ ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს უმეტეს შემთხვევაში საეჭვო ან პირდაპირ დამნაშავე ელემენტებმა. აი, სადაა ჩვენი პირველი შეცოდება, სადაა ბოროტების ფესვი. აქედან იწყება ჩვენი წარუმატებლობა და ნახევრადწარუმატებლობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობის საქმეში. შეიძლებოდა თუ არა ერთბაშად გამოგვესწორებინა ყველა შეცდომა და დეფექტი და აგვეღო სწორი კურსი? უთუოდ შეიძლებოდა, იმთავითვე რომ მოგვეხერხებინა საქართველოს ცენტრში მტკიცე და ერთიანი ძალაუფლების დამყარება.

მიუხედავად მრავალი სიძნელისა, მდგომარეობის მთელი სირთულისა, ამის მიღწევა შესაძლებელი იყო. მაგრამ ეს შეუძლებელი შეიქმნა, რადგან იმთავითვე ძალაუფლების რამდენიმე ორგანო აღმოჩნდა: ერთის მხრივ, საქართველოს ცენტრალური კომიტეტი და რევკომი, რომლებიც მხოლოდ ნომინალურად წარმოადგენენ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს ქვეყანაში, მეორე მხრივ, რკპ ცკ კავბიურო, სრულიად რუსეთის პროფკავშირების ცენტრალური საბჭო და მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო, რომლებიც ფაქტობრივად არიან ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები. ეს უკანასკნელნი უმეტეს შემთხვევაში სრულიად უაპელაციოდ, საქართველოს ცკ და რევკომის დაუკითხავად წყვეტენ ყველა პოლიტიკურ საკითხს, რომლებიც უშუალოდ საქართველოს შეეხება.

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ მოვიხსენიო ერთი გარემოება, რომლის შესახებაც ხშირად ლაპარაკობენ, მაგრამ რომელსაც ორივე კავბიუროს წევრები არ, ან ვერ უწევენ ანგარიშს. მე ვლაპარაკობ ქართველი ხალხის ზოგიერთი ფენის ნაციონალისტურ მიდრეკილებებზე. უნდა ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში მასები საქართველოში როგორღაც შეეჩვივნენ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის იდეას, თუმც თვით ეს დამოუკიდებლობა ეფემერული და ფიქტიური იყო. უნდა გამოვტყდე, რომ ეს მოვლენა ჩემთვისაც კი სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა და მისი ანგარიშგაუწევლობა ყოვ-

ლად შეუძლებელი გახლდათ. აღსანიშნავია, რომ ლენინმა მოსკოვში გაითვალისწინა ეს, ერთგვარი ლოგიკური დასკვნები გააკეთა და ჩვენ სათანადო დირექტივები მოგვცა. მართალი უნდა იფიქვას: პირველ ხანებში ჩვენ ყველანი თითქოს სწორ პოზიციაზე ვიდექით, ყოველ შემთხვევაში სიტყვით მაინც. ჩვენ ყველანი ყველგან ვაცხადებთ, რომ საბჭოთა რუსეთი სრულიადაც არ ხელყოფს საქართველოში საბჭოთა სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, რომ წითელი არმია მოვიდა მხოლოდ მშრომელთა მასების გასათავისუფლებლად ანტანტის იმპერიალისტთა ბრჭყალებისაგან და ა. შ.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: შევძლებდით თუ არა ჩვენ ასეთი პოზიციის შენარჩუნებას თუნდაც სულ მცირე ხნით მაინც? ამაზე კი ბევრი რამ იყო დამოკიდებული. მასების მოტყუება პოლიტიკით ხომ შეუძლებელია, მით უმეტეს, მასებისა საქართველოში, სადაც ხალხი ესოდენ გამოიწრთო და გამოიბრძმედა პოლიტიკაში ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში. საჭირო იყო ამ მასებისათვის საქმით გვეჩვენებინა, რომ მართლაც დამოუკიდებლობის ნიადაგზე ვდგავართ, რომ შეუძლებელი იყო სიტყვით დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი და საქმით მისი უარყოფა. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ ყველა ჩვენი მტრები და პირველ რიგში მენშევიკები მთავარ ბრალდებად იმას გვიყენებენ, რომ ბოლშევიკებს სურთ საქართველოს სახელმწიფოს მოსპობა, სურთ საქართველო გადააქციონ რუსეთის უბრალო გუბერნიად, როგორც ეს იყო ცარიზმის დროს (სამწუხაროდ, ბევრი კომუნისტი ფიქრობდა და დღესაც ფიქრობს, რომ ეს ასეც უნდა გაკეთდეს დაუყოვნებლივ). საჭირო იყო მტრისათვის წაგვერთმია ეს ჩვენი საწინააღმდეგო კოზირი. ამას მოითხოვდა საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებიც. მართალია, ეს იქნებოდა ჩვენი მხრით დათმობა მასების ნაციონალისტური გრძნობებისადმი, მაგრამ დათმობა არაარსებითი. ამასთანავე ჩვენ ვემყარებოდით, ერთი მხრივ კომინტერნის მეორე კონგრესის დირექტივებს და. მეორე მხრივ, ლენინის მითითებებს, მოცემულს კავკასიის კომუნისტებისადმი. ამ დათმობით ჩვენ ორ კურდღელს ვკლავდით; ჯერ ერთი, მთავარ კოზირს ვართმევდით მენშევიკებს და მეორე, მივიზიდავდით ჩვენს მხარეზე ქართველი ინტელიგენციის ნაწილს უმთავრესად მემარცხენე სოციალის-ფედერალისტებს და ქართველ ესერებს. რომლებიც მენშევიკების დროს მათს მემარცხენე ოპოზიციას წარმოადგენდნენ, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების დროს საჯაროდ აცხადებდნენ, რომ მთლიანად იდგნენ საბჭოთა პლატფორმაზე და დიდი სიამოვნებით იმუშავებდნენ საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, მხოლოდ ერთი პირო-

ბით: თუ საქართველოს მთავრობა არ მოისპობოდა. ამ ჯგუფებთან თანამშრომლობას კი ჰქონდა და დღესაც აქვს ჩვენთვის არა მარტო მორალური მნიშვნელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ამგვარი დაპირება, მოსკოვის ნებართვით, ჩვენ საზოგადოდ რამდენჯერმე მივეცით სიტყვით, მაგრამ საქმით ვერ შევძელით მისი გამართლება. ჩვენ ვამბობდით, რომ ვაშენებთ არა მთლიანად, მაგრამ მაინც გარკვეულწილად დამოუკიდებელ საბჭოთა სახელმწიფოს, რომ ვქმნით ქართულ წითელ არმიას და ა. შ. მაგრამ ვტოვებდით რა უყურადღებოდ ცენტრის დირექტივებს, ჩვენ სისტემატურად ვდგამდით პრაქტიკაში იმგვარ ნაბიჯებს, რომლებიც აქარწყლებდნენ ჩვენს ყველა დანაპირებს. რკინიგზების და საგარეო ვაჭრობის გაერთიანება, რკინიგზათა პროფკავშირების ორგანიზაციული შერწყმა და სხვა ღონიძიებანი გატარდა ნაუცბათევად, მოუფიქრებლად ყოველგვარი მომზადების გარეშე, ზევიდან, სამხედრო ბრძანებათა წესით. ყველა ამ ღონისძიებათა განხორციელება კი შეიძლებოდა სხვაგვარად, უხმაუროდ, შეთანხმების გზით და ა. შ. მაგრამ შემდგომში ჩვენ ჩავატარეთ კამპანია ყველა ამ გაერთიანების აუცილებლობის დასასაბუთებლად ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შენარჩუნებით და, ჩემი აზრით, ნაწილობრივ გავფანტეთ ის უნდობლობა, რომელიც ჩვენს მიმართ გაუჩნდათ მასებს ამ ღონისძიებათა შედეგად. მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ მოგვიხდა ჩამოვშორებოდით ჩვენს პირდაპირ საქმეს, უშუალო მუშაობას პარტიული და საბჭოთა მშენებლობის გაღრმავების ხაზით, რათა მოგვეპოვებინა და შეგვენარჩუნებინა მუშურ-გლეხური მასები, რათა დაგვეჩქარებინა საბჭოების არჩევნები და საბჭოების ყრილობის მოწვევა.

ვერც კი მოვასწარით მთლიანად გაგვექარწყლებინა შთაბეჭდილება, რომელიც მასებზე მოახდინა ზემოთ მოხსენებულმა გაერთიანებებმა, რომ კავბიურომ სრულიად მოულოდნელად ახალი სიურპრიზების წინაშე დაგვაყენა. საქმე ეხება ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციას და საქართველოს წითელი არმიის მოსპობას. კავბიუროს ეს დადგენილებანი კვლავ სამხედრო ბრძანებათა სახით ტარდება ცხოვრებაში, პარტიულ ორგანიზაციებში ყოველგვარი წინასწარი განხილვის გარეშე.

ავიღოთ ჯერ, ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხი. დამახასიათებელია, რომ კავბიუროს დადგენილება ამ საკითხზე, რომელიც დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ ორგანოში („პრავდა გრუზიი"), სრულიად მოულოდნელი იყო თვით ცენტრალური კომიტეტისათვის. აქედან ცხადია, რომ კავბიურო სრუ-

ლიად არ თვლის საჭიროდ ანგარიში გაუწიოს ცალკეულ რესპუ-
ლიკების ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოთა აზრს ისეთ მნიშ-
ვნელოვან საკითხში, როგორიცაა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა
ფედერაციის შექმნა. ეს კი, არც მეტი და არც ნაკლები, მასების
თვალში ამ ორგანოების ავტორიტეტის ძირის გამოთხრაა. ახლა
საკითხის არსის შესახებ. გადაჭრით არაფერი გვაქვს საწინააღ-
მდეგო არა მარტო რესპუბლიკების ერთმანეთთან ფედერაციული
გაერთიანებისა, არამედ რსფსრ-თან მათი სრული ორგანიზაცი-
ული შერწყმაც, მაგრამ საკითხავია: საჭირო და სასარგებლოა
კი ახლა ეს ფორმალური გაერთიანება, ისიც ზევიდან თავს მოხვე-
ული, მაშინ, როცა ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოვასწარით მასებთან და-
ახლოება, როგორც საჭიროა, როდესაც ჯერ კიდევ ვერ მოვასწა-
რით პარტიის ყრილობის მოწვევა და, რაც მთავარია, ვერ მოვას-
წარით საბჭოების შექმნა? მე ვაცხადებ, რომ ამგვარი ზევიდან ნა-
კარნახევი „გაერთიანება" არამცთუ რამეს მოგცემს, არამედ ის კი-
დევ უფრო მოგვწყვეტს მასებისაგან, კიდევ უფრო გააძნელებს
მთელს ჩვენს მუშაობას საბჭოების მოსაწვევად, შექმნის კიდევ ახ-
ალ პროვოკაციას ბოლშევიკებისა და საზოგადოდ საბჭოთა ხელი-
სუფლების წინააღმდეგ. ფედერაცია ამგვარ პირობებში ნიშნავს
ზემოთ კიდევ ერთი ახალი, ზედმეტი ბიუროკრატიული აპარატის
წარმოქმნას, რომელიც უაღრესად არაპოპულარული იქნება მასე-
ბში და მათგან სავსებით მოწყვეტილი.

რასაკვირველია, სულ სხვა სურათი იქნებოდა, საქართველოსა
და სომხეთში უკვე შექმნილი რომ იყოს საბჭოები და ეს ფედერა-
ციული გაერთიანება განხორციელებულიყო საქართველოს, სომ-
ხეთისა და აზერბაიჯანის აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეო-
ბით. დიახ, მაშინ სულ სხვა იქნებოდა: მაშინ ჩვენ გვექნებოდა საბ-
ჭოთა რესპუბლიკების ნამდვილი და მტკიცე გაერთიანება, რომე-
ლიც მასებს დაეყრდნობოდა. ეს არ იქნებოდა წინ გაჭრა, მოვლენა-
თა გასწრება, რომელიც სრულიად უადგილო იქნებოდა დღევან-
დელ პირობებში, მაგრამ ამ რესპუბლიკათა ნამდვილი გაერთიანე-
ბა როგორც ერთმანეთთან, აგრეთვე რსფსრ-თან სხვა გზითაც შე-
იძლება, იქნებ გაცილებით უფრო პირდაპირი და მიზანშეწონილი
გზითაც. მე ვლაპარაკობ ხელშეკრულებით შეთანხმებაზე სამეურ-
ნეო ღონისძიებათა გაერთიანების დროს, ხელშეკრულების საფუ-
ძველზე, კონვენციურ საფუძველზე, რაზეც ჯერ კიდევ ამხ. სტალი-
ნი მიუთითებდა თავის მოხსენებაში, რომელიც მან პარტიულ კრე-
ბაზე გააკეთა ამ ზაფხულს თბილისში ყოფნის დროს. ამ დირექტი-
ვების შესაბამისად, რომელიც რკპ X ყრილობის დადგენილებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომდინარეობს, ჩემი ინიციატივით უკვე ხელმოწერილია რამდენიმე ხელშეკრულება რუსეთისა და საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატებს შორის მათი სამეურნეო საქმიანობის, ტიბეტის სრული გაერთიანების შესახებ ფორმალური ორგანიზაციული ძერწყმისა და ერთის მეორისადმი ფორმალური დაქვემდებარების გარეშე. ეს არის არა მყვირალა, არამედ საქმიანი გაერთიანება, რომელიც ხმას აკმენდინებს ყველა ჩვენს მოწინააღმდეგეს და არ აძლევს მათ ჩვენი პროვოცირების საშუალებას.

მეორე მხრივ, სიმართლე რომ ვთქვათ, განა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები არსებითად გაერთიანებული არ არიან, განა ისინი ერთმანეთისაგან იზოლირებულად არსებობენ, განა ისინი სინამდვილეში დამოუკიდებელი არიან და თანაც იმდენად დამოუკიდებელი, რომ საჭიროა მათი სასწრაფოდ გაერთიანება, თორემ ყველაფერი დაიღუპება? თავისთავად ცხადია, რომ არაფერი მსგავსი არ არის და მხოლოდ გამოუსწორებელ დონ-კიხოტებს ეჩვენებათ ეს. აიღეთ თუნდაც კავბიურო, მისი წვრილმანი მზრუნველობა, აიღეთ კავკასიის ცალკე არმია, – რა დამოუკიდებელ და იზოლირებულ არსებობაზე შეიძლება ლაპარაკი! ნუთუ ეს სასაცილო არ არის? ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ გარკვეული ტაქტის დაცვაზე, სიფრთხილეზე, ვინაიდან ჩვენ ალყაშემორტყმული ვართ, ყოველ მხრიდან ბლოკირებულნი ვართ მტრებით და ყოველ გაუფრთხილებელ ნაბიჯს, ყოველ მოუფიქრებელ გამოსვლას შეუძლია ჩვენი დისკრედიტირება მასების თვალში. კავბიუროს დადგენილება კი ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის სასწრაფოდ ცხოვრებაში გატარების შესახებ ეწინააღმდეგება მთელ ჩვენს ტაქტიკას, რომელიც უაღრესად ფრთხილი უნდა იყოს და არ აძლევდეს პროვოკაციის საფუძველს ჩვენს მტრებს. ამასთან, ეს ღონისძიება არამცთუ ასუსტებს ნაციონალისტურ მისწრაფებებს, არამედ ზრდის და აძლიერებს მათ.

ამგვარი და შეიძლება კიდევ უფრო უარყოფითი მნიშვნელობა აქვს კავბიუროს მეორე დადგენილებას ქართული წითელი არმიის გაუქმების შესახებ. ამ საკითხში კავბიურომ ნათლად დაამტკიცა, რომ იგი არა მარტო არ უწევს ანგარიშს ადგილობრივ პირობებს და საქართველოში შექმნილ მდგომარეობას, არამედ საერთოდ ნაკლებად აქცევს ყურადღებას რკპ ცკ დირექტივებს და ამხ. ლენინის სპეციალურ მითითებებსა და რჩევებს, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ რჩევას აძლევდა საქართველოს კომუნისტებს, რაც შეიძლება სწრაფად შექმნათ წითელი არმია.

კავბიუროს აღნიშნული დადგენილება, შექმნილი საქართვე-

ლოს ცკ-სა და რევკომის დაუკითხავად, ამ ორგანოებში ყოველგვარი წინასწარი განხილვის გარეშე, ანგრევს მთელს ჩვენს გეგმას, გვირევს კარტებს, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ იგი პირდაპირ ეწინააღმდეგება ცენტრის ყველა დირექტივებს. საკითხავია, ვის და რით უშლიდა ხელს ქართული წითელი არმიის ფორმალურად ცალკე არსებობა, რომელიც ოპერატიული თვალსაზრისით ისედაც სავსებით ემორჩილებოდა კავკასიის ცალკე არმიას? აბსოლიტურად არავის და არაფრით. ორგანიზაციულად მისი არსებობა მხოლოდ მის შექმნას გაგვიადვილებდა. ეს იყო და ეს. მართალია, ელიავამ, რომელიც იმთავითვე დაყენებულ იქნა სამხედრო კომისარიატის სათავეში, უაღრესად პასუხსაგებ საქმეში სრული გაკოტრება გამოამჟღავნა. როგორც ახლა დოკუმენტური მონაცემებით ირკვევა, რომელიც შეკრებილია მისი მოადგილის ამხ. აღნიევის და აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცკ მიერ დანიშნული სარევიზიო კომისიის მიერ, ელიავამ ყოველი საშუალებით თავის ხელში თავი მოუყარა ყველაფერს, რაც კი ღირსეული იყო საქართველოში, დახარჯა ათეული და ასეული მილიარდები, ნაცვლად წითელი არმიისა, შეკრიბა მენშევიკური კონტრრევოლუციონერი ოფიცრები ყოფილ თავადთა და აზნაურთაგან, შექმნა ბანდიტებისა და სპეკულანტების ნამდვილი ბანდა, რომელთაც ახლა ამხ. აღნიევი ათეულობით და ასეულობით იჭერს და ხვრეტს. ბოლოს, როდესაც ელიავა მიხვდა, რომ მისი გაკოტრება, უკეთ, მისი ბოროტმოქმედება ქართული წითელი არმიის შექმნაში უკვე გამოაშკარავებულია, სასამართლოსა და პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად მეტად მოხერხებული საჭადრაკო სვლა გააკეთა: თავის ბოროტმოქმედების დასაფარავად მან შესთავაზა კავბიუროს, უბრალოდ გაეუქმებინა ქართული წითელი არმია, როგორც ასეთი, ორგანიზაციულად შეერთებინა იგი კავკასიის არმიასთან. კავბიურომ, იმის მაგიერ, რომ ელიავა პასუხისგებაში მიეცა, კეთილგანწყობით მიიღო მისი წინადადება.

ამავე დროს კი ქართული წითელი არმიის შექმნა ამ დროის მანძილზე უეჭველად შეიძლებოდა. კატეგორიულად ვამტკიცებ, – ელიავას ნაცვლად რომელიმე სხვა ამხანაგი რომ ყოფილიყო, უბრალო, რიგითი, მაგრამ პატიოსანი, რომელსაც კარგად ესმოდა წითელი არმიის მნიშვნელობა, მუშა, წითელი არმია აქამდე შექმნილი იქნებოდა, რადგან ამისათვის ყველა პირობა გვქონდა: საკმარისი, სავსებით გამოსადეგი ცოცხალი მასალა და პატარა არმიისათვის საკმარისი მატერიალური რესურსები, რომლებიც დანაშაულებრივად გაფლანგა ელიავამ. მე ჯერ კიდევ საქართველოში ჩა-

მოსვლისას დავინახე და ვიგრძენი, რომ ელიავა საქართველოს წინ-თელ ჯარს ვერ შექმნიდა, რომ ის ჩვენ დაგვღუპავდა და ეს აზრი მას რამდენჯერმე ამხანაგურად გავუზიარე, მეგობრულ რჩევებს ვაძლევდი, რომ შეცდომები აეცილებინა, მაგრამ ყველაფერი ფუჭი გამოდგა. მე უძლური ვიყავი რაიმე რადიკალური ზომა მიმეღო, მაგალითად, გადამეყენებინა ელიავა, რადგან იგი ჩვენს დაუკითხავად იყო დანიშნული. ეს კიდევ ცოტაა; ელიავამ გაბედა და ამას გარდა საგარეო ვაჭრობის კომისრობაც იკისრა და ამ ადგილზე ითვლებოდა ამხ. მდივნის ჩამოსვლამდე. ამ დარგში მისი მუშაობის შესახებ აქ ზედმეტია ვილაპარაკოთ.

მე აუცილებლად მიმაჩნია აგრეთვე ხაზი გავუსვა შემდეგ გარემოებას; მოსკოვის პოლიტიკა ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის, კერძოდ საქართველოს მიმართ მე მესმოდა და მესმის ასე: მეტისმეტად ფრთხილი ტაქტით უნდა მიღწეული იქნეს მათი სრული სულიერი და ეკონომიკური გაერთიანება, ისე, რომ ამ რესპუბლიკებს შერჩეთ ფორმალური, გარეგნული დამოუკიდებლობა, ამისათვის პირველ ყოვლისა უნდა ვეცადოთ, რომ ამ რესპუბლიკების მუშები და გლეხები ვაზიაროთ საბჭოთა ხელისუფლების პრინციპებს, ჩავაბათ ხალხის ფართო მასები მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მშენებლობაში და ა. შ.

ვიცით რა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მთავრობების არსებობის დროს ხალხის მასები საკმაოდ მოიწამლენ ნაციონალიზმისა და შოვინიზმის შხამით, ძალიან ფრთხილად უნდა მივუდგეთ ამ მასებს, ერთხელ და სამუდამოდ ხელი უნდა ავიღოთ ბრძოლის ისეთ წესებსა და საშუალებებზე, რომელსაც ცარიზმი ხმარობდა, რათა მასები კი არ ჩამოვიცილოთ, არამედ პირიქით, გონიერი და ფრთხილი პოლიტიკით მოვიზიდოთ ჩვენკენ, არ მივცეთ ნაციონალისტური გრძნობების გამწვავების არავითარი საბაბი. ასეთი პოლიტიკა გვავალებს ყველგან და ყოველთვის ანგარიში გავუწიოთ ადგილობრივ პირობებს, ხანდახან ზოგი რამ დავუთმოთ ნაციონალისტურ ინტელიგენციას, რათა გამოვიყენოთ ეს უკანასკნელი საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებისათვის.

ვფიქრობ, ზოგადად ასეთია დღევანდელ ისტორიულ მომენტში რსფსრ პოლიტიკა, აგრეთვე კომინტერნის და კომუნისტური პარტიის პოლიტიკა მცირე ეროვნებათა მიმართ, რომლებიც წინათ იჩაგრებოდნენ ან ახლა იჩაგრებიან დიდი სახელმწიფოების მიერ. ჩემი შესაძლებლობებისა და ძალ-ღონის ფარგლებში მე ვცდილობდი პრაქტიკულად გამეტარებინა საქართველოში სწორედ ასეთი პოლიტიკა და მე ამას ვაკეთებდი არა შიშით, არამედ სინდისის კარნახით. აღვნიშნავ რა იმ უეჭველ ფაქტს, რომ ამიერკავკასიის

რესპუბლიკათა კომუნისტურ პარტიებში არის ამხანაგების ჯგუფები ნაციონალისტური გადახრით, ამასთანავე უნდა განვაცხადო, რომ კავბიუროს არც წინანდელი და არც ახლანდელი შემადგენლობა არ დგას ამ მხრივ თავისი მდგომარეობის სიმაღლეზე. სიტყვით კავბიურო არის რუსეთის კპ ცკ პოლიტიკის გამტარებელი კავკასიაში, საქმით კი მუდამ იჩენდა მერყეობას ერთი უკიდურესობიდან მეორისაკენ.

კავბიუროს დადგენილებაში უმნიშვნელოვანეს საკითხებზე არ ჩანს ის ფრთხილი ტაქტიკა და სწორი მიდგომა ადგილობრივ ხასიათის მეტად მწვავე და საჭოჭმანო საკითხებისადმი, რის შესახებაც მე ზემოდ ვლაპარაკობდი. ამ დებულების საილუსტრაციოდ შეიძლება მივუთითოთ კავბიუროს ორ უკანასკნელ გადაწყვეტილებაზე ფედერაციასთან დაკავშირებით, რომლებიც არც ახლა ცნობენ რესპუბლიკების ფორმალურად დამოუკიდებელ არსებობას და უყურებენ მათ როგორც რსფსრ გუბერნიებს. არ შემიძლია გვერდი ავუარო აგრეთვე ერთ განცხადებას, რომელიც ცოტა ხნის წინ გააკეთა რკპ ცკ და კავბიუროს წევრმა ამხ. ორჯონიკიძემ საქართველოს კპ ცკ სხდომაზე. 1921 წლის 15 ნოემბერს, ბათუმის პორტის საკითხის განხილვის დროს მან ასეთი კატეგორიული განცხადება გააკეთა საქართველოს ცეკას წევრებისა და სხვა ადგილობრივ ამხანაგების მისამართით: „ბოლოს და ბოლოს გაიგეთ, რომ მოსკოვი თქვენ არ გენდობათ“. რას ნიშნავს ეს? თუ კომუნისტი კომუნისტს არ ენდობა, მაშინ ორიდან ერთია: ან ერთი მათგანი არ არის კომუნისტი, ანდა არიან კომუნისტები უმაღლესი ხარისხისა და კომუნისტები დაბალი ხარისხისა, და ამ დაბალი ხარისხის კომუნისტებს ეკუთვნიან, ალბათ, ადგილობრივი ქართველი, სომეხი და სხვა კომუნისტები, რომლების ნდობა არ შეიძლება. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მოსკოვი ამას ასე არ უყურებს, მაგრამ ადგილობრივი ამხანაგები ამას ვერ ხედავენ, ამაშია ჩვენი უბედურება. ჩვენთან ხშირად ისეთი ამხანაგი, რომელიც გამოიჩენს ინიციატივას, საქმისადმი ინტერესს, მოიქცევა არა შაბლონურად, არამედ ადგილობრივ პირობებს ანგარიშს გაუწევს, უნდა ელოდეს, რომ მას ჩარიცხავენ ნაციონალისტთა რიგებში და უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ორივე კავბიუროს წევრები ძალიან ხშირად მიმართავენ ასეთ ხერხს ქართველი ამხანაგების დასაშინებლად, იმ დროს, როცა კოლონიზატორულ მიდრეკილებებს ახალისებენ კიდეც.

ამრიგად, ჩვენს წინაშე დგას მეტად სერიოზული და მნიშვნელოვანი საკითხი: ჩვენში ატმოსფერო მეტისმეტად შეკუმშულია, საჭიროა მისი განმუხტვა და გაჯანსაღება, საჭიროა ნორმალური

დამოკიდებულების დამყარება ცენტრსა და პერიფერიას შორის, საჭიროა მტკიცე და ნათელი დირექტივები ურთიერთობაში და მათი უმკაცრესი დაცვა, რომ ადგილებზე პასუხისმგებელმა პირებმა იცოდნენ არა მარტო ცენტრის უახლესი მიზნები და ამოცანები, არამედ ისიც, თუ როგორია ტაქტიკა, და რაც მთავარია, ცენტრი სავსებით უნდა ენდობოდეს ადგილობრივ კომუნისტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონკრეტულად, ჩემის აზრით, ახლა აუცილებელია შემდეგი ზომების მიღება: 1) ცენტრმა უნდა შეიმუშაოს ზუსტი და გარკვეული ტაქტიკური ხაზი ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ, რომ შემთხვევით, ცალკე ამხანაგების სურვილით, არ იყოს შესაძლებელი მისი შეცვლა. საჭიროა დადგინდეს: საჭირო და მიზანშეწონილია თუ არა ამ უახლოეს ხანში მათი შენარჩუნება თუ აუცილებელია დაუყოვნებლივ მათი ლიკვიდაცია. ჩემი აზრით, და ეს არის საქართველოს კომპარტიის წევრთა დიდი უმრავლესობის აზრი, ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების შენარჩუნება ჯერჯერობით აუცილებელია როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით.

2) უნდა შეჩერდეს კავბიუროს მეტისმეტად ბუნდოვანი დადგენილება ამიერკავკასიის რესპუბლიკების დაუყოვნებლივი ფედერაციის შესახებ, სანამ არ შეიქმნება საქართველოს და სომხეთის საბჭოთა და ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის ფედერაციული გაერთიანება არ მოხდება მათი ცენტრალური აღმასკომების მეშვეობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვექნება ერთი ბიუროკრატიული აპარატით მეტი, და არავითარი ნდობა მასებში.

3) უნდა შეჩერდეს კავბიუროს დადგენილება საქართველოს წითელი არმიის მოსპობის შესახებ, მოიხსნას ელიავა სამხედრო კომისრობიდან და მიეცეს სამართალში.

4) უნდა მიეცეს სპეციალური დირექტივები საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ცკ-ს რუსეთის კომპარტიის მეათე ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების შესახებ, როგორიცაა: ა) დანიშვნის სისტემის უარყოფა და საარჩევნო საწყისზე გადასვლა, ბ) სამხედრო კომუნიზმის დროის მეთოდებისა და ჩვეულებათა უარყოფა, ე. ი. წმინდა პარტიულ და საბჭოთა საქმეებში სამხედრო ბრძანებების სისტემის მოსპობა და გ) დადგინდეს ყველა მნიშვნელოვანი საკითხის აუცილებელი წინასწარი განხილვა პასუხისმგებელ პარტიულ მუშაკთა კრებებზე, დისკუსიები მათ ირგვლივ სრულიად თავისუფალი შინაპარტიული კრიტიკით, სანამ ამ საკითხების შესახებ ყველასათვის სავალდებულო პარტიული გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული.

5) იმის გამო რომ კავკასიაში, და განსაკუთრებით ამიერკავკასიაში ჩვენ გვაქვს უაღრესად თავისებური და მეტისმეტად რთული ვითარება, აუცილებელია, რომ რკპ ცკ კავბიურო იყოს შუამავალი და მარეგულირებელი ორგანო კავკასიაში, ამჟღავნებდეს უდიდეს სიფრთხილეს ყველა მნიშვნელოვანი ადგილობრივი საკითხის გადაწყვეტის დროს. ამასთანავე, ადგილობრივ ცენტრალურ კომიტეტებს უნდა ჰქონდეთ უფლება აპელაციით მიმართონ როგორც რკპ ცკ-ს, ისე ყრილობასაც. სასურველია, რომ კავბიუროს, რომელიც ამიერიდან აუცილებლად არჩევითი უნდა იყოს, უფლება-მოვალეობანი ზუსტად განისაზღვროს.

6) ადგილობრივ ცენტრალურ კომიტეტებს, საქართველოს რევკომს და სომხეთისა და აზერბაიჯანის სახკომსაბჭოებს მიეცეს სრული დამოუკიდებლობა წმინდა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებში.

7) ამიერკავკასიის რესპუბლიკების ურთიერთშორის და რსფსრ-თან ეკონომიკური გაერთიანება შესაძლებელია დაუყოვნებლივ და უმტკივნეულოდ გატარდეს ცალკეული რესპუბლიკების ეკონომიკური სახალხო კომისარიატების ეკონომიკურ ღონისძიებათა გაერთიანებით, ხელშეკრულებით ურთიერთობათა ან კონვეციების საფუძველზე, რაზეც, სხვათა შორის მიუთითებდა ამხანაგი სტალინიც. ასეთი წმინდა საქმიანი ხელშეკრულებები უფრო სწრაფად მოამზადებენ ნიადაგს ამ რესპუბლიკების ყველა მტკიცე გაერთიანებისათვის. ასეთი ხელშეკრულების ნიმუშად გამოდგება ცოტა ხნის წინ დადებული ხელშეკრულება რუსეთის და საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატებს შორის. ასეთი ხელშეკრულებანი წარმატებით შეიძლება დაიდოს სხვა ეკონომიკურ ორგანოებს შორისაც. რაც შეეხება სამხედრო ძალების გაერთიანებას, იგი ფაქტიურად უკვე არსებობს ამ რესპუბლიკების სოვეტიზაციის დღიდან, სხვანაირად არც შეიძლებოდა. სხვა ზომებს მე აქ არ ვასახელებ. მე ვგრძნობ და მესმის, რომ ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოების – კავბიუროს სახით – ახლანდელი ტაქტიკა აუცილებლად ძირეულად უნდა შევცვალოთ, რათა დავიმსახუროთ მასების ნდობა, მივიზიდოთ ისინი საბჭოთ ხელისუფლებისაკენ. ახლა კი ჩვენ, პირიქით, ჩვენს გარშემო ყველას ხელს ვკრავთ, ძალიან დიდი წარმოდგენა გვაქვს ჩვენს ძალებზე და სათანადოდ ვერ ვაფასებთ ჩვენს მოწინააღმდეგეთა ძალებს.

მოსკოვი. 6 დეკემბერი, 1921 წ. ფ. მახარაძე.

კონსტანტინე გამსახურდიას „ღია წერილი ლენინისადმი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპირველესი ჩემი სურვილია ამ წერილმა თქვენამდე მოაღწიოს.

ამ წერილის დაწერის წინა დღით ერთ ქართველ მუშას ვ. მს-ძეს ვესაუბრებოდი: ჩვენ ვიგონებდით იმ დროს, როცა რუსეთიდან და საქართველოდან გადახვეწილი ემიგრანტები თავს ვიყრიდით ჟენევაში რუ კარუჟზე პატარა სასადილოში, სადაც თქვენც არა ერთხელ მინახავხართ. ვ. მ-სძეს თავის უბის წიგნაკში აღმოაჩნდა თქვენი ძველი ადრესი. მე ამ გარემოებამ გამახსენა, რომ თქვენ თუმცა დღეს თქვენი პოლიტიკური სიტუაციით მთელი დედამიწის ზურგზე სახელგანთქმული კაცი ხართ, მაგრამ მაინც ძველი რევოლუციონერი. მე მინდოდა ეს წერილი თქვენ ძველ ჟენეველ ადრესზე გამომეგზავნა. შვეიცარიაში ახლაც კარგი ფოსტაა და ვიფიქრე ადრესატს მოძებნიან. მე მინდა გელაპარაკოთ და ეს ამოქმედებთ ხოლმე უსახელო ადამიანებს დიდ სახელებთან ლაპარაკის დროს. დღეს 7 მაისია, – დღე ქართული პოეზიისა და საქართველოს რუსეთის ხელშეკრულების წლისთავი.

ჩემში ლაპარაკობს ქართველი მწერალი. ჩემში ლაპარაკობენ ტკივილები ქართველი ხალხისა.

იდეოლოგიურად თქვენთან საერთო ენის მოძებნაც არ იქნება ძნელი. ადამიანობის მოდგმის თანასწორობის პრინციპამდის თქვენ თუ ჰეგელით, პრუდონით და მარქსით მიხვედით, ჩემი გზა იყო, გზა ნეტარ ავგუსტინისა, წმ. ფრანჩესკო ასიზელისა. ჩემთვის წმ. ფრანჩესკოს მისტერიული ქორწილი ქალბატონ სიღარიბესთან ისეთივე ძვირფასი დოკუმენტია ზოგად ადამიანურ ეთიკისა, როგორც თქვენთვის კარლ მარქსის კომუნისტური მანიფესტი. პოლიტიკურად არ იქნება ჩვენ შორის დიდი მანძილი, თუ ის მართალია, რომ თქვენ აძაგებთ ზოგიერთ კომუნისტს „რუსოფილებს“, რომლებიც კომუნიზმის სახელით დიდი რუსეთის შემკრებით პოლიტიკას აწარმოებენ.

უნდა ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულება არასოდეს ისე გამწვავებული არ ყოფილა, როგორც დღეს, თუმცა თქვენი წითელი არმია განმანთავისუფლებლის ლოზუნგებით მოვიდა ამ წელს საქართველოში.

ასი წლის წინადაც, ალექსანდრე პირველის ჯარებიც განმანთავისუფლებლის როლში დაინახა საქართველომ. მაშინ რუსები ქართველობას მოეშველნენ იმ საუკუნობრივ ბრძოლაში, რომელსაც იგი აწარმოებდა მუსულმანურ აღმოსავლეთის წინააღმდეგ.

ამ დროს რუსეთს დიდი კულტურულ-ისტორიული მისია ჰქონდა აღმოსავლეთში ასასრულებელი.

ნახევრად ევროპული, მონარქიული რუსეთი ებრძოდა ტირანულ სპარს-ოსმალეთს.

რუსეთი აწარმოებდა იმ შეტევას მუსულმანურ ქვეყნების წინააღმდეგ, რომელიც დასავლეთის ცივილიზაციის სახელით უანდერძა ბიზანტიამ ჰაბსბურგების ავსტრიას და რომანოვების რუსეთს.

ქართული და რუსული პოლიტიკა ამ პუნქტში ერთიმეორეს შეხვდნენ. დღეს ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ირაკლი მეორისა და გარსევან ჭავჭავაძის პოლიტიკა ერთადერთი შესაძლებელი პოლიტიკა ყოფილა იმ დროს. მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის რუსოფილებს თვალი მოსჭრა რუსული დიდი პოლიტიკის, ქრისტიანულ პატარა ერების ოსმალეთ-სპარსეთის ტირანიიდან განთავისუფლების იდეამ.

1783 წლის ტრაქტატი გულისხმობდა, რომ საქართველო რუსეთის დიდი პოლიტიკის ორბიტაში მოექცეოდა... მაგრამ საქმე ორბიტაში შესვლით არ გათავებულა... ასი წელიწადი დიდი რუსეთის პოლიტიკამ იმდენი ბოროტება დათესა საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობით, რომ თვით ისეთს დიდ ქართველ კოსმოპოლიტს, რომელიც თავის მოღვაწეობის ოცდაათი წლის განმავლობაში ეროვნულ ფაქტორს უარყოფდა, თავისი მოხუცობის სიდინჯე დაარღვევია და ამ მოხუცმა ნებსით თუ უნებლიედ მთელი ქვეყნის წინაშე აღიარა, რომ საქართველოს ერთად ერთი და შესაძლებელი ორგანიზაცია ეს ევროპის ორიენტაციაა.

ეს იყო ნოე ჟორდანია, რომელიც როგორც პოლიტიკური ფიგურა სრული ანტიპოდია მეორე დიდი ქართველი პოლიტიკოსისა, ირაკლი მეორის.

ფეოდალურ საქართველომ ირაკლი II-ის პირით აღიარა რუსული ორიენტაციის საჭიროება და აუცილებლობა. ასი წლის შემდეგ თქვენმა ყოფილმა პარტიულმა კოლეგამ და ჭაღარა რევოლუციონერმა ნოე ჟორდანიამ საქვეყნოდ აღიარა დემოკრატიის სახელით, რომ რუსული ორიენტაცია ჩვენთვის მიუღებელიაო. ნოე ჟორდანია როგორც ისტორიული პიროვნება, რუსული ყალიბის საზოგადო მოღვაწე იყო, რამდენადაც როგორც მენშევიზმი, ისე ბოლშევიზმი რუსული იდეოლოგიის პირმშოებია. ჟორდანიას ინტელექტუალური ჰაბიტუსიც რუსული იდეოლოგია იყო პარექსელან. მაგრამ ასი წლის განმავლობაში რუსეთის მიერ საქართველოში დათესილმა ბოროტებამ, ქართული სახელმწიფო აპარატის განადგურე-

ბამ, ქართული ენის სისტემატურმა დევნამ აიძულა საქართველო რუსული პოლიტიკის ორბიტიდან გამოერიცხა თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი რუსეთი არ იზიარებდა რუსეთის მცირე ერებთან თანაწორუფლებიანობისა და თანაზიარობის პრინციპს. ამ კაცი-ჭაძიური პოლიტიკის მთავარ ღერძს შეიცავდა: რუსეთის მცირე ერების როგორც ეთნიკური და კულტურული ფერადები უნდა გამქრალიყო გრაფ ბობრინსკების და პურიშკევიჩების — „სრულიად სლავიანთა მომავალ მსოფლიო სახელმწიფოს“ ბრწყინვალების წინაშე. ეს პოლიტიკა უტიფრად და მოურიდებლად აგებდა რუსული სტილის ტაძრებს, აშენებდა რუსულ შკოლებს, აგზავნიდა ასიათას მოშხამულ რუსიფიკატორებს „განაპირებში“, რათა არასლავიანური შტრიხებიც წაეშალა გეოგრაფიულ კარტიდან. ერთის შეხედვით ეს მესამე რომის იმპერია უძლიერესი იმპერია იყო ყველა იმპერიათა შორის, რომელიც ქვეყანას ახსოვს, მაგრამ იგი დაილეწა როგორც თიხის კერპი და შემდეგ ის იყო, რომ რუსული პოლიტიკის ორბიტიდან გამოითიშნენ პოლონეთი, უკრაინა, ფილანდია, საქართველო და ყველა არა სლავიანური ერთეულები.

რადგანაც თავის ნებით არავის სურდა უმადურ რუსეთთან თანამშრომლობა, თუ ასი წლის წინათ რუსეთმა ოსმალეთისა და სპარსეთის ძალადობისაგან გაგვათავისუფლა, დღეს ამავე რუსეთის ფერად შეცვლილმა მხედრობამ კონტრრევოლუციონურობისაგან გაათავისუფლა ქართველი ხალხი.

ამ ლოზუნგით ისარგებლეს ტფილისში შემოხიზნულმა რუსის კონტრრევოლუციონერებმა და დაშნაკებმა და ქართველი კონტრრევოლუციონერად გამოაცხადეს. თქვენ უკეთ იცით, რომ ქართველი ხალხის კონტრრევოლუციონერად გამოცხადება ეს შეუძლებელი კონტრადიქციო ან ადიექტო იქნება.

საქართველოს ახალგაზრდობამ თავისი საუკეთესო სისხლი გაიღო რუსის მონარქიის დასაძლევად. ამავე ახალგაზრდობამ შეიტანა რევოლუციონური ცეცხლი სპარსეთში.

ბოლოს ვინ უარყოფს იმ ბრძოლის შედეგსა და მნიშვნელობას, რომელიც აწარმოვა ქართველმა სახელმწიფომ — თქვენი გუშინდელი მტრების, რუსეთის შავი გენერლების წინააღმდეგ. ძველმა რუსეთმა 1783 წლის კონტრაქტის დარღვევიდან კიდევ რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში ხელუხლებლად დასტოვა ზოგიერთი ატრიბუტები ქართული სახელმწიფოებისა.

დღეს სულ ორიოდე თვეც არ გასულა და წითელმა რუსეთმა მოსპო ჩვენში ისეთი მთავარი ატრიბუტი სახელმწიფოებრიობისა, როგორიცაა საზღვრები, რკინის გზა და ვინ არ იცის, რომ ქართუ-

ლი ენა საქართველოში პრაქტიკულად სახელმწიფო ენა აღარ არ-
ის...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღეს ჩვენი კავკასიელი მტერმოყვარენი კომუნისტურ ნიღაბ-
ქვეშ საქვეყნოდ ღაღადებენ ტფილისში, ჩვენი დედა-ქალაქის ამი-
ერ კავკასიის რეზიდენციად და ტფილისის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტის ამიერკავკასიის უნივერსიტეტად გამოცხადების საჭი-
როებას. ასი წლის წინათ რუსეთის დიდმა პოლიტიკამ ქართველი
ერი გამოიყვანა მოკავშირედ თავის აღმოსავლეთის პოლიტიკის
ურთულესი მიზნების მისაღწევად, მაგრამ იმდენი პოლიტიკური
ტაქტი ვერ გამოიჩინა, რომ თავისი ბუნებრივი მოკავშირე მტრად
არ გადაეკიდებია.

დღევანდელი რუსეთი უფრო დიდ მასშტაბით აწარმოებს მსოფ-
ლიო პოლიტიკას. ამ პოლიტიკის მიზანთა რკალში საქართველოს
აკისრებენ საკმაოდ რთულ მოვალეობას. საქართველო და ტფილი-
სი უნდათ იმ ოპერაციების ბაზად გაჰხადონ, რომელსაც აღმოსავ-
ლეთის გაკომუნისტების პოლიტიკა მოითხოვს.

ვინ არ იცის, რომ საქართველოში უფრო მეტი კომუნისტია,
ვიდრე ტფილისური კომპარტიის რეგისტრაციაში ირიცხებიან, მა-
გრამ ისინი, როგორც ქართველი პატრიოტები ვერ თანამშრომლო-
ბენ წითელ რუსეთთან, ვიდრე საქართველოს სუვერენობა მხოლოდ
დეკლარაციებში იქნება აღნუსხული.

შარშან „ბერლინერ ცაიტენ ბლატში" ერთმა გერმანელმა მწერა-
ლმა პატარა ისტორიული ანალოგია გამოაქვეყნა: „ლენინი და პე-
ტრე დიდი", მე წინააღმდეგი ვარ ასეთი დაპირისპირებისა.

მე მგონია, როცა თქვენ თქვენზე დაკისრებული ისტორიული
მისიას დაასრულებთ, ისტორიის ლოღიკა მოითხოვს თქვენს დაპი-
რისპირებას ნაპოლეონ ბონაპარტესთან.

თქვენ ამბობთ, კომუნიზმს საზღვრები არ უნდა ექნას.

ნაპოლეონი: საფრანგეთის იმპერიას იქ უნდა ექნას საზღვრები,
სადაც მზე ამოდის და ჩადისო.

ორივე აბსოლუტური გენიები ხართ ორი დიდი რევოლუციისა.

ნაპოლეონის მსოფლიო ისტორიული ამოცანა ორი მთავარი
მუხლით ამოიწურება:

ინგლისის მსოფლიო ბატონობის დახშობა და ევროპის ერთი
დიდი კონფედერაციის შექმნა. უკანასკნელ შემთხვევაში ნაპოლე-
ონი უარყოფდა ეთნურ შტრიხებს და ნიუანსებს, გენერალ ბონა-
პარტს ეწადა ევროპის რადიკალიზაცია, ხოლო თქვენ — როგორც
აზიისა, ისე ევროპის.

თქვენ გაცილებით რადიკალური ხართ, თქმა არ უნდა, ამ მიზ-

ნებში უახლოვდებით თქვეს კორსიკელ ბონაპარტეს, მაგრამ მიზნების პარალელიზმი სრულიადაც არ გავალებთ, ორივე ერთად და ამავე დროს ფატალური შეცდომის მსხვერპლი გახდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუთუ დღეს ყველასათვის ცხადი არ გახდა, რომ ნაციონალური „ნიუანსების და შტრიხების“ წაშლა აწი აღარ შეიძლება?

მე მესმის, რომ ეს ვერ შეიგნეს კლემანსომ, ვუილსონ ლოიდ ჯორჯმა, მიტომაც ვერსალის ზავში ისე გადაიხლართა ნაციონალური პრობლემები, რომ კიდევ რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში სისხლის ღვრა დასჭირდებათ ევროპელ ერებს, ვიდრე ნამდვილი ზავი ჩამოვარდება ქვეყანაზე. ვერსალის ზავის ავტორებმა ანგარიში არ გაუწიეს ამ ნაციონალურ „შტრიხებს და ნიუანსებს“ გადაუწყვეტელი დარჩა ირლანდიის, შოტლანდიის, ელზასის, ინდოეთის, არაბეთის, წინა აზიის ერების ბედი:

ამიტომაც მეოცე საუკუნეში, ირლანდიაში, საჭირო გახდა მაკსვეინეის სამაგალითო პოლიტიკური მარტვილობა.

რამდენადაც რუსეთის კომუნიზმი ანტატის მოპირდაპირე იდეოლოგიაა, მემარცხენე რუსეთმა მაინც უნდა დაინახოს, რომ ამ ნაციონალური „შტრიხებისა და ნიუანსების“ მიფუჩეჩება მეოცე საუკუნეში აღარ შეიძლება. ამის მსხვერპლი გახდა ნაპოლეონი. იგივე შეცდომები გაიმეორეს ვერსალში...

სად იყო მერე მისი შეცდომების ცენტრის პუნქტი?

მთელი დასავლეთ ევროპის განვითარება გერმანიის ნაციის წმინდა რომის იმპერიის დამხობიდან დახასიათდებოდა ნაციონალური სახელმწიფოსათვის ბრძოლით. ამ ბრძოლამ ააფეთქა გერმანიის ნაციის რომის იმპერია.

ნაციონალური სახელმწიფოს იდეის მსხვერპლი გახდა ჰაბსბურგების მსოფლიო იმპერია, ეს ვერ დაინახა ნაპოლეონმა, იგი ისე გაიტაცა ალბიონის ძეთა წინააღმდეგ ატეხილმა ბრძოლამ, რომ მან მთელი ევროპის კონცენტრაცია მოინდომა ფრანგული ტრიკოლორის და პარიზის გარშემო.

ნაპოლეონის ომებში გადაუჭრელი პრობლემებისათვის გაგრძელდა ბრძოლა უკანასკნელ მსოფლიო ომში. ვერც ვერსალის უზენაესმა საბჭომ შეიგნო ეს საყურადღებო მომენტი მსოფლიო ისტორიის პრობლემათა ფოკუსში.

თუ გენიალური ადამიანები მეტეორებია, რომელნიც გზას უნათებენ საუკუნეს, ყველამ გაიგოს საუკუნის დემონის კარნახი.

ყველამ წაიკითხოს ნაპოლეონის სანტ ჰელენის მარტვილობის დროს დაწერილი სტრიქონები:

„მომავალი თაობანი განგვიკითხავენ ჩვენ!“

საქართველოში ორიოდე თაობა შეიწირა ძველი რუსეთის ტლანქი ხელით შელახული ეროვნული პიროვნების რესტავრაციის იდეამ და ნაციონალურ სახელმწიფოსათვის ბრძოლამ. მე რავინ უარყოფს, რომ დღეს ტფილისში ძველი შეცდომების გარემოებას ლამობენ. თქვენი ტერმინოლოგიით „რუსული შაბლონის" განმეორებას! თუ მემარცხენე რუსეთი დაინტერესებულია, რომ საქართველო რუსეთის საგარეო პოლიტიკის ორბიტაში მოექცეს, იგი ამ გზით მიზანს ვერ მიაღწევს.

მე პირადად, როგორც ქართველ პატრიოტს, სრულიად არ მაშინებს ყველაფერი ის, რაც დღეს ტფილისში ხდება.

საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტიად არასოდეს ჩამითვლია ის იმპრესიონისტულად შეთხზული ნოტები, რომელიც დემოკრატიული მთავრობის დროს პარიზიდან და ლონდონიდან მოდიოდნენ ტფილისში, საქართველოს „ფაქტიურ" და „დე იურე" ცნობის ჟამს. არც ის პათეტიკური სიტყვები, რომლითაც ანტანტის დიპლომატები გვიმასპინძლდებოდნენ ტფილისურ ბანკეტებზე.

ერთად ერთი გარანტია ჩვენი დამოუკიდებლობისა იყო არის და იქნება თვით ქართველი ხალხის შეგნებაში, რადგან ყოველივე განთავისუფლების დედაბოძი თვით თავისუფლების შეგნებაა. ეს შეგნება არ აკლია ქართველ ხალხს, უთხარით და მოსწერეთ იმ პოლიტიკოსებს, რომელნიც ტფილისში ცუდ მეგობრობას უწევენ კომუნისტურ რუსეთს:

ყველაფერი შეიძლება წაართვან პიროვნებასა და ეროვნებას, მხოლოდ თავისუფლების შეგნებას ვერავინ წაართმევს მას.

მერწმუნე: ეგებ საქართველოს ისეთი პოლიტიკური და კულტურული განვითარების სიმაღლეზე არ მიეღწიოს ჯერ, როგორც ირლანდიას, მაგრამ კეზმენტები და მაკ სვეინეები საქართველოს არასოდეს არ გამოელევა, ვიდრე სავსებით უზრუნველყოფილი არ იქნება მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

კ. გამსახურდია

ტფილისი

1921 წ. მაისის 7ს.

გაზ. „სოციალ-ფედერალისტი"

კოტე ანდრონიკაშვილის სიტყვა

წარმოთქმული „დამკომის" სასამართლო პროცესზე

თფილისი 22.7.1925.

ბრალდებული კ. ანდრონიკაშვილი თავიდან პასუხობს სასამართლოს თავმჯდომარის კითხვებს, რომ საქ. სოც. დემ. მუშ. პარტი-

ის წევრია 1902 წლიდან, ცვითმპყრობელობის დროს ორჯერ ვიყავი პოლიტიკური ბრალდებით გასამართლებული, რომელმაც მომისაჯა სამუდამო გადასახლება ციმბირში, ამყარა თავადობა-ბატონყმობა მასთან დაკავშირებული პრივილეგიებიო. ამის შემდეგ, ბრალდებული დაჟინებით თხოვს სასამართლოს, როგორც აჯანყების მეთაურს, ნება მისცენ მას თავიდანვე დაწვრილებით განმარტოს, თუ რა პირობებში და რანაირად ჩაისახა აჯანყების იდეა და რა იყო ამის მიზეზები. ბოლოს თავ-რე თანხმდება იმ პირობით, რომ საბოლოო სიტყვა აღარ ექნება, რაზედაც ანდრონიკაშვილი თანახმაა. იმის ნათელსაყოფად, რომ 1921 წ. მუშათა და გლეხთა რევოლუციას კი არ ჰქონია ადგილი, არამედ საქართველოში რუსის ჯარებმა მოუხდინეს ოკუპაცია, ბრალდებული ნებას თხოულობს სასამართლოს წაუკითხოს „სიტყვები ერთ ქართველ პასუხისმგებელ კომუნისტის". (თავმჯდომარე ზარით წაკითხვის ნებას არ აძლევს. კ. ანდრონიკაშვილი პაუზის შემდეგ განაგრძობს.)

კ. ანდრონიკაშვილი — „დიახ, საქართველო დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა. ეს ფაქტია! როგორ შეხვდა ამ ფაქტს ქართველი ხალხი, ქართული პოლიტ. პარტიები? რასაკვირველია, რომ იგინი ვერ შეურიგდნენ ოკუპაციას, მაგრამ გამოუცხადეს მათ საოკუპაციო ხელისუფლებას ბრძოლა პირველ დღიდანვე, როგორც ამას ვტყობილობთ საბრალმდებლო დასკვნაში? რა თქმა უნდა, რომ არა! ბრძოლაზე ჯერ ფიქრიც არ შეიძლებოდა, პირიქით პოლიტიკური პარტიები, უწევდნენ რა ანგარიშს ფიზიკურ ძალას, რომელმაც საქართველოს მოუსპო დამოუკიდებლობა, შეეცადნენ გამოენახათ „ახალ ხელისუფლებასთან შემათანხმებელი გზა და ენა სადაო საკითხის გადასაწყვეტად საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში. ამისათვის კიდევაც საქ-ს სოც. დემ-მა პარტიამ ამოირჩია დელეგაცია ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად (მეც გახლდით ამ დელეგაციაში), ვინახულეთ რევკომის თავმჯდომარე, ფ. მახარაძე, გვიპასუხა: „ეს არის დელეგაციის აზრი, ჩვენთვის კი სასურველია ვიცოდეთ პარტიის აზრიო." თქვენ იცით, რომ ხელისუფლების ნებართვით თბილისში მოხდა ქართ. სოც. დემოკრატიულ ორგანიზაციების ყრილობა, სადაც გამოტანილი იყო ცნობილი 10 აპრილის 1921 წ. რეზოლუცია. ამ ყრილობის და ამ რეზოლუციის ბედის შესახებ თქვენ მოისმინეთ ვრცელი ჩვენება მოწმეების სეით დევდარიანის და თევზაიასი, ამიტომ მე აღარ შევაჩერებ ამაზე თქვენს ყურადღებას. მე აღვნიშნავ მხოლოდ მხარეებს და ფაქტებს, რომელსაც არ შეეხნენ ხსენებული მოწმეები. 10 აპრილის რეზოლუციის შემდეგ, რომელიც წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ინტერვენციისა და ში-

ნაური ბრძოლისა ხელისუფლების მიმართ, ეს უკანასკნელი არა-
თუ ურიგდება ქართველ პოლიტიკურ პარტიებს, არამედ უსპობს
მათ ლეგალურ, ნებადართულ ბიუროებს და აძლიერებს რეპრესიებს
და ჭერას! ჩვენმა ცეკამ მომცა წინადადება მენახა კომუნისტური
პარტიის ცეკის მდივანი და გამეგო მისგან ჩვენი ბიუროს დახურ-
ვის მიზეზი. იმ დროს საქ-ს კომპარტიის ცეკას მდივნად იყო ალე-
ქსანდრე თუმანიშვილი. ვინახულე და შევეკითხე, რითი აიხსნება
ხელისუფლების ასეთი პასუხი ჩვენს რეზოლუციაზე, რომელიც
მოუწოდებს პარტიულ მასას, ქართველ ხალხს თანამშრომლობი-
საკენ საბჭოთა ხელისუფლებასთან? ამაზე მიპასუხა: „სწორედ 10
აპრილის რეზოლუცია გულისხმობს მშვიდობიანობას კი არა, არა-
მედ ბრძოლას ხელისუფლებასთან და ამიტომ ყველა მენშევიკები
დასაჭერი ხართო."

მართლაც შეუდგნენ შიგადაშიგ დაპატიმრებას. რაც შეეხება
პარტიულ ბიუროს ლეგალურად არსებობას, ამაზე ფიქრიც აღარ
შეიძლებოდა. ამავე წელს (1921) ჩამოვიდა თბილისში სტალინი.
მან პლეხანოვის სახელობის თეატრში გააკეთა მოხსენება, დიდ-
ძალი ხალხი დაესწრო, მაგრამ აუდიტორია მისი არ გამოდგა. მო-
სმენით მოუსმინეს სტალინს, მაგრამ მთელი დარბაზი განწყობილი
იყო მის წინააღმდეგ და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ეს მოხ-
სენება! კომუნისტებმა სცადეს თავისი რეზოლუცია გამოეტანათ,
მაგრამ ვერ შესძლეს. ამის გამო კომპარტიის სხდომაზე ცეკაში
სტალინმა გააკეთა მოხსენება „იმ არანორმალურ მდგომარეობის
შესახებ, რომელიც არსებობს საბჭოთა საქართველოში იმ დროს,
როდესაც ხელისუფლება კომუნისტურია და მასსა კი მენშევიკუ-
რად განწყობილი". ცეკამ გამოიტანა შესაფერისი დადგენილება
(ეს დადგენილება მე ჩამივარდა ხელში) იქ ნათქვამია: „მოისმინა
რა სტალინის მოხსენება, ცეკამ დაადგინა, დაუყოვნებლივ იქნენ
დაპატიმრებულნი პასუხისმგებელი მენშევიკები." იმ დროს რევკო-
მის თავმჯდომარე ფ. მახარაძე, როგორც რბილი პოლიტიკის მატა-
რებელი, იქნა გადაყენებული და მის ალაგას დანიშნეს ბუდუ მდი-
ვანი, რომელსაც უნდა აეღო მაგარი კურსი და კიდეც აიღო: ხელი-
სუფლება შეუდგა მასიურ ჭერას, არა მარტო მენშევიკების, არამედ
ყველა ქართველ პოლიტიკურ პარტიათა წევრებისას. ციხეები გა-
ივსო პატიმრებით. ბრალდებას კი არ უყენებდნენ. ამის გამო ვინა-
ხულე ჩვენი ცეკის დავალებით იმ დროს ჩეკას თავმჯდომარე კოტე
ცინცაძე (ეს იყო ჩემს დაპატიმრებამდე 1921 წ. ოქტომბერში). მი-
ვაქციე მისი ყურადღება დაპატიმრებულთა მდგომარეობას, შევე-
კითხე თუ რაიმე დანაშაული მიუძღვით წარუდგინეთ ბრალდება და

თუ არა, გაანთავისუფლეთ-თქო. ამაზე ცინცაძემ მიპასუხა სიტყვა-სიტყვით შემდეგი: „ვერავითარ ბრალდებას მათ ვერ წარუდგენთ, იგინი სხედან იზოლაციის წესით, როგორც ხელისუფლებისათვის მავნე ელემენტებიო. იმათი ციხეებიდან განთავისუფლება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ესა თუ ის პატიმარი აღარ წარმოადგენს საშიშროებას ხელისუფლებისათვისო". ამავე საქმეზე ვინახულე იუსტიციის კომისარი, დღევანდელი საზოგადო ბრალმდებელი, ს. ქავთარაძე. მისგანაც მივიღე იგივე პასუხი. ამგვარად იზოლაციის წესით დაპატიმრება და ის განმარტება, რომელიც გააკეთეს იუსტიციის კომისარმა და ჩეკის თავმჯდომარემ, აშკარად ამტკიცებდა იმას, რომ ქართველ პოლიტ-პარტიების წევრებს, განსაკუთრებით მენშევიკებს, აპატიმრებდნენ არა იმისათვის, თითქოს იგინი აწარმოებდნენ ბრძოლას, ან უწევდნენ საბჭოთა ხელისუფლებას რაიმე წინააღმდეგობას (მაშინ აშკარაა წარუდგენდნენ კონკრეტულ ბრალდებას), არამედ იმიტომ, რომ ქართველ პოლიტიკურ პარტიების, გარდა კომუნისტების, ლეგალურ არსებობას ვერ ითმენდა საბჭოთა ხელისუფლება. ხელისუფლება თავის ასეთი შეურიგებელი პოლიტიკით აიძულებდა ქართველ პოლიტ. პარტიებს გადასულიყვნენ იატაკქვეშ, ეწარმოებინათ არალეგალური მუშაობა. სასამართლოს ყურადღება უნდა მივაქციო იმ გარემოებას, რომელსაც აქვს დიდი მნიშვნელობა „დამკომის" (დამოუკიდებლობის კომიტეტის) დაარსების და მისი მოქმედების ისტორიაში. საბრალმდებლო დასკვნაში აღნიშნულია, რომ დამკომი ვითომ დაარსდა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ევროპაში გასვლის დღიდან. როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს არაა მართალი. დამკომის დაარსების მიზეზი იყო იგივე შეურიგებელი პოლიტიკა საბჭოთა ხელისუფლების, რომელიც მიმართული იყო ქართველი ხალხის და საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. მე მოვიყვან ფაქტებს. სამწუხაროდ მე არ მეძლევა უფლება დოკუმენტების საშუალებით დავამტკიცო ცნობილი ფაქტები, მაგრამ მე მაინც აღვნიშნავ.

ავიღოთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის შემოღება; ეს სრულიადაც არ გამომდინარეობდა ქართველი ხალხის ნება-სურვილიდან; ვიტყვი მეტს, საქ-ს კომ. პარტიასაც კი არ დაუყენებია ეს საკითხი დამოუკიდებლად; ეს მოახვია თავზე მოსკოვმა და რუსეთის კომ. პარტიამ. ამას დაამტკიცებს რეზოლუციები, რომლებიც გამოჰქონდათ საქ-ს სხვადასხვა რაიონებში (თფილისში, თელავში, სიღნაღში და დასავლეთ საქ-ს სხვადასხვა რაიონებში) ფედერაციის შესახებ. ამ რეზოლუციებში აშკარად და ხაზგასმით არის ნათქვამი,

რომ მიესალმებიან და ეთხოვად აღებენ რ. კ. პ. ც. კომიტეტის კავ-ბიუროს დადგენილებას ამიერ-კავკასიის ფედერაციის შემოღების შესახებ. კომუნისტები ფედარეციის შემოღების აუცილებლობას ასაბუთებდნენ აგრეთვე ეკონომიური მოსაზრებით, რომ ის სასარ-გებლო იყო ყველა რესპუბლიკებისათვის. საინტერესოა გავიხსე-ნოთ კიროვის მოხსენება, რომელიც მან გააკეთა თფილისის პროფ-კავშირების ყრილობაზე ფედერაციის შესახებ 1921 წ. დეკემბერში; მას სხვათა შორის მოჰყავს ერთი პატარა ფაქტი, რომელსაც აქვს ღრმა ეკონომიური მნიშვნელობა ამ საკითხის (ფედერაციის) გასა-გებად. მოვდიოდით ჩვენ აზერბაიჯანიდან საქ-ში და თვითეულ ჩვენთაგანს ჰქონდა მილიონი მანეთი. გადავედით ფოილოს ხიდზე და შევედით საქ-ს საზღვრებში, და ეს ერთი მილიონი აზერბაიჯა-ნის მანეთი იქცა ნახევარ მილიონად ქართულ ფულზეო; ჩემთვის ეს გასაგები იყოვო, მაგრამ აზერბაიჯანის მუშებისათვის, რომლე-ბიც ჩვენთან ერთად მოდიოდნენ, გაუგებარი იყო ეს მოვლენაო; იქაც პროლეტარიატის დიქტატურაა და აქაცო, მხოლოდ იქაური მილიონი უდრის აქაურს ნახევარ მილიონსო. პირიქით, აზერბაი-ჯანის მუშებისათვის ასეთი ფედერაცია გასაგებიც იყო და სასარ-გებლოც, ვინაიდან აზერბაიჯანის და ქართული ფულის სრული გათანასწორება ხელოვნურად, აშკარა უპირატესობას ანიჭებდა აზერბაიჯანს. მართლაც, თუ აზერბაიჯანის ერთი მანეთი ფედერა-ციის შემოღებამდე უდრიდა ქართულ ათ შაურს, აშკარაა ღირებუ-ლება აზერბაიჯანის ფულისა ითვლებოდა ქართულ ფულზე ორ-ჯერ უფრო იაფად. როდესაც შემოიღეს ფედერაცია, რომელიც არ ეგუებოდა ამიერ-კავკასიის ხალხების განსხვავებულ ეკონომიკურ ცხოვრებას, დააკისრეს იგი ზევიდან პოლიტიკური მოსაზრებით და ამ გზით აზერბაიჯანის და ქართული ფული ხელოვნურად ერთ-მანეთს გაუთანასწორეს, მაშინ მოხდა ის, რომ აზერბაიჯანელს თავის ერთი მანეთით საქართველოდან გაჰქონდა ათი შაურის სა-ქონელი-უკვე მუქთათ, ეს კი ნიშნავდა იმას, რომ აზერბაიჯანელი მუშა თუ გლეხი ყვლეფავდა ქართველ მუშა-გლეხს.

რომელი სოციალისტური პარტია მოითხოვს თავის პროგრამა-ში, ერთი ერის მეორე ერის მიერ გაყვლეფას? მეორე, რომელ დღი-დან მარქსისტი ამტკიცებს იმას, რომ პოლიტიკა (ფედერაცია კი გახლავთ პოლიტიკური ფორმა) ქმნის ეკონომიკას? მართალია, პო-ლიტიკა თავის მხრივ ახდენს გავლენას ეკონომიკაზე; ეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ახალი ეკონომიკური ურთიერთობა უკვე შექმნის შესაფერის პოლიტიკურ ფორმას. ფედერაციის შემოღება კი სრუ-ლიად არ იყო რესპუბლიკების ევოლუციურად, ბუნებრივად ეკო-

ნომიური გათანასწორების შედეგი; პირიქით ამ დროს საქართველო ეკონომიურად ღრმად განსხვავდებოდა აზერბაიჯანისა და სომხეთისაგან და გაცილებით მაღლა იდგა მათზე ამ მხრივ.

ამგვარად, ამიერ-კავკასიის ფედერაციამ მოუსპო საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა და გააღატაკა, და, როცა ამიერ კავკასიის ფედერაციას ზედ მოყვა უშუალოდ შეყვანა საბჭოთა სოც. რესპ. კავშირში, მაშინ საქართველოს დაეკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობის ის ნატამალიც, რომელიც შერჩა მას გასაბჭოების შემდეგ. ამ ფაქტით აიხსნება სწორეთ ის უკლონიზმი, რომელიც წარმოიშვა კომუნისტთა რიგებში. უკლონისტები მოითხოვდნენ საქ-ს უშუალოდ შესვლას ხსენებულ კავშირში, რათა ამით მაინც შეენარჩუნებინათ საქ-ს პოლიტიკური ერთგვარი დამოუკიდებლობა. მოგახსენებთ, რომ უკლონიზმი ჩაკლეს, უკლონისტები დაქსაქსეს. როდესაც ქართული პოლიტიკური პარტიები დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვა წარმოადგენს უბრალოთ წყლის ნაყვას და დაინახეს, რომ ხელისუფლების გამგებლობის სისტემას მიჰყავს საქ-ლო დაღუპვისაკენ, მათ დაებადათ იდეა მთლიანი ფრონტის შექმნისა საქ-ს დამოუკიდებლობის აღსადგენად უკვე ბრძოლის საშუალებით, და 1921 წ. აგვისტოში ჩაეყარა საფუძველი დამოუკიდ. კომიტეტს.

აუცილებლივ საჭიროთ მიმაჩნია მივაქციო სასამართლოს ყურადღება დამკომის მოქმედების ხასიათზე დღიდან მისი დაარსებისა თვით აჯანყებამდე, ამას აქვს დიდი მნიშვნელობა ამ პროცესში ბრალდებულთათვის. დამკომის მოქმედება განიყოფება ორ პერიოდად: პირველი — ნიკო ქარცივაძის თავმჯდომარეობით 1922 წ. აგვისტოდან მის დაპატიმრებამდე (1923 წ. მარტი), მეორე — ჩემი თავ-რეობით 1923 წ. მაისიდან აჯანყებამდე. არსებითი განსხვავება ამ ორ პერიოდს შუა გამოიხატება შემდეგში: დამკომი ნიკ. ქარცივაძის თავმჯდომარეობის დროს ექვემდებარებოდა მასში შემავალ პოლიტ. პარტიებს. უკანასკნელნი სწყვეტდნენ საკითხებს და ცხოვრებაში ატარებდნენ დამკომის სახელით. ჩემი თავ-რეობის დროს ხდებოდა პირიქით: დამკომი მოქმედებდა დამოუკიდებლად, საკითხს თვით დამკომი წყვეტდა, მხოლოდ დასადასტურებლად გადაქონდა პარტიულ ცეკებში. პარტიებს ინიციატივების უფლება არ ეხშობოდათ, მათ შეეძლოთ თავიანთი წარმომადგენლების საშუალებით დამკომში ესა თუ ის წინადადება შეეტანათ. პარტიები ეხმარებოდნენ დამკომს. ამგვარად პოლიტიკური პარტიები მთლად არ იყვნენ ჩამოშორებული აჯანყების მოწყობის საქმეს, იგინი იმ-

ავე დროს აწარმოებდნენ თავის წმინდა პარტიულ მუშაობასაც. ამას გადაჭრით ვაცხადებ მენშევიკურ პარტიის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამკომის ასეთი კონსტრუქცია და უფლებები აიხსნება იმ დროით და პირობებით, რომელშიც მას უხდებოდა მუშაობა. ქარცივაძის თავ-რეობით არასდროს აჯანყების საკითხი პრაქტიკულად არ დასმულა. თუ მაინც დაისვა იმ დროს, როგორც ქარცივაძემ განაცხადა, მხოლოდ უფრო თეორიულად, ე. ი., რათა გამოერკვიათ რა ძალას წარმოადგენდნენ პარტიები, თუ მოხდებოდა საქ-ში ოდესმე აჯანყება. როდესაც მე ჩავუდექი დამკომს სათავეში წინანდელ კომიტეტისაგან არავითარი მემკვიდრეობა არ მიმიღია, არც ორგანიზაციული, არც სამხედრო, ვინაიდან წინანდელ კომიტეტის მუშაობას ჰქონდა წმინდა საკონტაქტო ხასიათი პოლიტ. პარტიათა შორის. როცა მე შევედი დამკომში, იქ დამხვდა მხოლოდ იასონ ჯავახიშვილი, წარმომადგენლები სხვა პარტიებისა არ იყვნენ. ჩემ შეკითხვაზე-თუ რატომ არ არიან, ჯავახიშვილმა მიპასუხა, რომ „დაჭერის შემდეგ არ აგზავნიან წარმომადგენლებსო." ამ საკითხის გამორკვევას მე შევუდექი, პარტიებთან მოვახდინე მოლაპარაკება რათა მოეცათ წარმომადგენლები, მაგრამ ამას ვერ მივაღწიე. მხოლოდ „ესერებმა" გამოგზავნეს წარმომადგენელი, „სხიველებს" არ ჰყავდათ კაცი, ფედერალისტებმა ერთხელ გამოგზავნეს წარმომადგენელი.

დამკომმა ჩემი თავმჯდომარეობის დროს აიღო ხელისუფლებასთან აქტიური ბრძოლის ხაზი. მას წინ უძღვოდა მთელი რიგი რეპრესიებისა ხელისუფლების მხრივ. მასიურ დაპატიმრებებს და გადასახლებებს თან მოჰყვა პოლიტიკურების დახვრეტაც. ეს მოხდა ობოლაძის მკვლელობის შემდეგ. მთავრობამ ამ მკვლელობის გამო, რომელიც მოახვია საქ. სოც. დემ. პარტიას, მიუხედავად ამ უკანასკნელის განცხადებისა ფურცლის სახით, რომ მას ამ მკვლელობასთან არავითარი კავშირი არა აქვს, დახვრიტა ადგილობრივად გურიაში 150 კაცი და თფილისის ციხიდან გამოიყვანეს 92 პოლიტ. პატიმარი. მე არ მახსოვს ის დღე, როცა მე შევხვდი იასონ ჯავახიშვილს და ვუთხარი: დღეიდან ჩვენ და საბჭოთა ხელისუფლებას შორის ვედარ მოიძებნება საერთო ენა, მხოლოდ ბრძოლა და ბრძოლა მასთან.

უნდა მოგახსენოთ, მაინც ვცდილობდით მშვიდობიანი გზით გადაგვეჭრა საქ-ს კომ. პარტიასთან სადაო საკითხები, მიუხედავათ იმისა, რომ აჯანყების საკითხი დასმული იყო დამკომში. ნ. ხომერიკის დაპატიმრებამდე 1923წ. საქ-ს სოც. დემ. პარტიის ცეკამ მიმართა საქ-ს კომუნისტური პარტიას და მთავრობას, სხვათა შო-

რის აძლევდა წინადადებას მოეხდინათ საქ-ში რეფერენდუმი იმის შესახებ, თუ რაგვარ მმართველობას ამჯობინებს ქართველი ხალ-ხი. ამასთან მოვითხოვდით, რომ რეფერენდუმი მომხდარიყო ფარ-ულ კენჭის ყრით, თუნდაც მხოლოდ მუშების და გლეხების მონაწი-ლეობით, და წინასწარ პირობას ვსდებდით, რომ თუ ამ კენჭის ყრა-ში კომუნისტები მიიღებდნენ ხმების თუნდაც ერთ მესამედს, ჩვენ ვიღებდით ხელს საბოლოოდ ბრძოლაზე საბჭოთა ხელისუფლება-სთან. ამაზე გვიპასუხეს „ზარია ვოსტოკაში" და ჩვენი წინადადე-ბა სიცილადაც არ ეყოთ. მუდამ ასე ხვდებოდა საქართველოს საბ-ჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია ქართველ ხალხის მშვიდობიან წინადადებებს, ამიტომ ქართველ პოლიტ. პარტიებს სხვა გზა არ დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ თავისი საკუთარი ძა-ლების საშუალებით და ევროპის დიდ სახელმწიფოთა დიპლომა-ტიური დახმარებით აღედგინათ ქართველი ხალხის შელახული უფლებები და დაებრუნებინათ წართმეული დამოუკიდებლობა. ეს კი შეიძლებოდა მხოლოდ აჯანყების გზით. და კიდევაც 1923 წლის დამლევს შევუდექით ამ საკითხის პრაქტიკულად დასმა-გადაჭრას, ენერგიულ მზადებას.

შესდგა სამხედრო კომისია, რომელსაც დაევალა ორგანიზაცი-ული მხარე. როგორც მოგახსენეთ, დამოუკიდებლობის კომიტეტი მოქმედებდა პარტიებისაგან დამოუკიდებლად და ამიტომ, თუმცა აჯანყების საკითხი თავის დღის წესრიგში დასვა, მაგრამ პარტიე-ბის ცეკაში არ გადაუტანია, რადგანაც ჯერ არ ჰქონდა გადაწყვე-ტილი. საჭირო იყო ჯერ თვითონ აეწონ-დაეწონა, გაეთვალისწინე-ბია შიანური მდგომარეობა, საკუთარი ძალები, საერთაშორისო სიტუაცია და, როდესაც მიიღებდა დადგენილებას, მხოლოდ შემ-დეგ საბოლოოდ მისაღებად გადაეტანა პარტიების ცეკაში. ჩვენ დავიწყეთ ძალების აღნუსხვით. სამხედრო კომისიას მიეცა ავტო-ნომიური უფლებები. ჩვენ არ ვადგენდით შეიარაღებულ რაზმებს, რადგან არ იყო არც მიზანშეწონილი და არც კონსპირატიული მო-საზრებით დასაშვები. ასეთი რაზმები თავს ვერ დაიჭერდნენ და ჩაუვარდებოდნენ ხელისუფლებას. მხოლოთ ერთადერთ ჩოლოყაშ-ვილის რაზმს შეეძლო აშკარად ეარსება, რადგან ის ტყეში იმალე-ბოდა და ხელისუფლება მას ვერ იჭერდა.

ჩვენ ვკმაყოფილდებოდით ძალების აღნუსხვით. როგორც თფი-ლისში, ისე პროვინციაში. იყვნენ არჩეული მხოლოდ ათის თავები, რომლებიც ცალ-ცალკე იყვნენ დაკავშირებულნი სამხედრო კომი-სიასთან. მომავალ მებრძოლებმა არც კი იცოდნენ, ირიცხებოდნენ ისინი თუ არა რაზმში, მაგრამ, ვინაიდან ათის თავებს ყავდათ ისი-

ნი აღრიცხვაზე აყვანილი, საკმარისი იყო, სამხედრო კომისიას აჯანყების ორი-სამი დღით ადრე ეცნობებინა მათთვის, რომ შეიარაღებული რაზმიც მზად ჰყოლოდა... მუშაობის ამგვარ მეთოდს ჰქონდა ის კარგი მხარე, რომ არ ყოფილა აჯანყებამდე არც გამცემლობა და არც დარბევა ჩვენი ძალების. არ იყო სავალდებულო, რომ რაზმელი ყოფილიყო უსათუოთ პარტიული, რაზმში ჩაწერა შეიძლებოდა უპარტიოსიც.

ყოველ ქალაქში და პროვინციაში ჩვენ ვცდილობდით შეგვედგინა პარტიული კომისია იმავე პრინციპზე, რაზედაც იყო აშენებული დამოუკიდებლობის კომიტეტი. სადაც ასეთ კომისიას ვერ მოახერხებდნენ, იქ გვყავდნენ დანიშნული რწმუნებულები. სრულუფლებიანი რწმუნებული კი გვყავდა მხოლოდ ბათომში, გიზო ანჯაფარიძე. მუშაობა სამხედრო მიმართულებით მიდიოდა კარგათ. როდესაც დავინახეთ, რომ ჩვენ თითქმის მზათა ვართ, მაშინ აჯანყების საკითხი დავსვით უკვე გადასაწყვეტად. ეს იყო 1923 წლის ოქტომბერი, იქამდის ეს საკითხი არ გადაგვიტანია ცენტ. კომიტეტში სანქციის მისაღებად. იგი გადავიტანეთ ჩვენ პარტიაში ცეკას თავმჯდომარე სეით დევდარიანის დაპატიმრების შემდეგ და ცეკამ კიდევაც დაადასტურა აჯანყება.

ეხლა გადავდივარ იმაზე, თუ რა დამოკიდებულება გვქონდა ჩვენ მეზობელ რესპუბლიკებთან. არაა მართალი, თითქოს ჩვენ ამ მეზობლებთან მოვაწყვეთ მჭიდრო კავშირი აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებათ. არც მუდმივი წარმომადგენლები გვყოლია იქ. მართალია ჩვენ ვცდილობდით დაგვეჭირა მათთან მჭიდრო კავშირი, მაგრამ ეს ცდა არ დამთავრდა ჩვენ სასარგებლოდ. სომხეთმა თავიდან უარი შემოგვითვალა. აზერბაიჯანთან გ. ფაღავას დაპატიმრების შემდეგ არც გვიცდია კავშირის დაჭერა. მხოლოთ ჩრდილო კავკასიასთან ორჯელ გავგზავნეთ რწმუნებული — პირველად გიორგი წინამძღვრიშვილი, მეორედ მ. იშხნელი, მაგრამ, როგორც პირველის მოხსენიბიდან, ისე მეორისაგან დავრწმუნდით, რომ ჩრდილო კავკასიასთან არა გამოვა რა და თავიც მივანებეთ. ამიტომ გადაწყდა, რომ საქ-ლო გამოსულიყო თავის საკუთარ ძალებზე დაყრდნობილი.

ამასთან ჩვენ გვქონდა იმედი დასავლეთ ევროპის, ჩვენ არ ვიყავით მომხრენი შეიარაღებულ დახმარების, ე. წ. შეიარაღებული ინტერვენციის. ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ დიდი სახელმწიფონი, როდესაც საქ-ში მოხდება აჯანყება, გაგვიწევენ დიპლომატიურ დახმარებას ამა თუ იმ სახით. ჩვენი მუშაობა, განსაკუთრებით საქ-ს დემოკ. მთავრობის, სწორეთ ამ მიმართულებით სწარმოებდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რათა ევროპის სახელმწიფოებრივი აზრი და საზოგადოებრივი წრეები შეგვექმნა ჩვენს სასარგებლოთ, და ამ მხრით კიდევაც გვქონდა დამაკმაყოფილებელი ცნობები.

აი ამის და ჩვენი ძალების იმედით ჩვენ გადავსდგით ნაბიჯი. ჩვენ ვიყავით საკმაოთ მომზადებული და კიდევაც გავიმარჯვებდით, თუ არა ის საბედისწერო შეცდომა, რომელიც უკვე აღნიშნა იასონ ჯავახიშვილმა: ესაა ჭიათურაში თითქმის ერთი დღით ადრე გამოსვლა. სწორედ ამან გადასწყვიტა აჯანყების ბედი. ამ გარემოებამ გააფრთხილა ხელისუფლება მიეღო დროზე ზომები და ჩვენი მთავარი ამოცანა — ვაზიანში მყოფი მთელი ამიერ-კავკასიის არტილერიის აღება — ვერ შესრულდა. ამ ამოცანის შესრულება კი (რაც აუცილებლად შესრულდებოდა) ჩვენ გვაძლევდა უტყუარ შანსებს გამარჯვებისას. თფილისი იქნებოდა ჩვენ ხელში და მთელი კახეთი ფეხზე დამდგარი. რაკი ჭიათურა ადრე გამოვიდა, მთავრობა მიხვდა, რომ იწყება საერთო აჯანყება და სწორედ 28 აგვისტოს დღისით მთელი არტილერია გამოიყვანა თბილისისაკენ (გამოსვლა კი საერთოთ დანიშნული იყო ღამის ორ საათზე 28-დან 29-მდე).

ცნობილია, რომ ყოველ ფართე მასიურ მოძრაობაში ადგილი აქვს გამცემლობას. აშკარა იყო გამცემლობა ჩვენი გამოსვლის დროსაც. ჩემთვის დღესაც არ არის გამორკვეული, — რატომ სამხედრო კომისიამ, რომელიც დატოვებული იყო თფილისში და, რომელსაც დავალებული ჰქონდა მთელი რიგი ამოცანებისა (ორგანიზაციულად და ტეხნიკურად სავსებით მოწყობილი), რატომ ვერც ერთი დავალება ვერ შეასრულა: გარდა ვაზიანის აღებისა, ჰაეროპლანების ხელში ჩაგდება, ბრონევიკების დამორჩილება — ეს სულ თბილისის გარეთ.

პირველი ჩვენი გეგმა იყო თბილისის აღება და ადვილიც იყო მისი აღება. საბჭოთა ჯარები გასული იყო საზაფხულო ბანაკებში. ჩვენ კი საკმარისად ვიყავით მომზადებული, მაგრამ მთავრობას ალბათ ეჭვი ჰქონდა აღებული (აშკარაა აქ გამცემლობას ჰქონდა ადგილი), რადგან 16 თუ 17 აგვისტოს მოულოდნელად თფილისი გაავსო ჯარებით. გამოსვლა თფილისში ამ პირობებში გამოიწვევდა საშინელ სისხლის ღვრას და ამის თავიდან ასაცილებლად ჩვენ ცენტრი გადავიტანეთ პროვინციაში. მეორე გეგმა, რომელსაც ჩვენ დავადექით, გამოიხატებოდა იმაში, რომ ერთ დღეს და ერთ საათს მთელ საქართველოში გარდა თფილისისა უნდა დაწყებულიყო შეიარაღებული გამოსვლა და ეს ასეც მოხდა, მხოლოდ, როგორც მოგახსენეთ, ჭიათურა ჩემთვის გაუგებარ ”ეზიზის გამო, გამოვიდა

ერთი დღით ადრე. თფილისს კი ავიღებდით გარედან: პროვინციაში გამარჯვებული ქართლის, კახეთის, ბორჩალოს შეიარაღებული ძალებით და ვაზიანში აღებულ არტილერიის დახმარებით შემოვარტყამდით თფილისს ალყას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთ საქართველოში გამოსვლამ მიიღო ნამდვილი ხალხური, მასიური ხასიათი; სამეგრელოში, გურიაში, ქუთაისის მაზრაში (ჭიათურაში). კახეთში და ქართლში აჯანყებას, მართალია, არ მიუღია მასიური ხასიათი. აიხსნება ეს, ერთი მხრით, იმით რომ კახეთის გლეხკაცობა არ არის პოლიტიკურად საკმარისად მომზადებული და შეგნებული, მეორეს მხრივ, კახეთი იმედს ამყარებდა ვაზიანზე, და, რადგანაც ჭიათურის ადრე გამოსვლამ გააფრთხილა მთავრობა, დროზე იყო მიღებული ამიტომ ზომები და სასწრაფოთ ჩააქრეს სუსტათ დაწყებული გამოსვლა კახეთში. კახეთში და ქართლში აჯანყების ჩაქრობამ მისცა მთავრობას საშუალება მთელი თავისი ძალები, რუსის ჯარი, გადაეყვანა დასავლეთ საქართველოში და იქაც დაემარცხებია მთელი მოძრაობა.

საბრალმდებლო დასკვნაში წარმოდგენილია აგვისტოს აჯანყება, როგორც ავანტიურა, ბოროტმოქმედება ჩადენილი უპასუხისმგებლო პირების, თავად-აზნაურების და მღვდლების მიერ. ასეთი წარმოდგენა აჯანყებაზე შეიძლება კიდევ ჰქონოდათ დამარცხების პირველ დღეებში, ვიდრე გამოირკვეოდა, მაგრამ სასამართლო დარწმუნდებოდა დღევანდელ პროცესში მოწმეებისა და ბრალდებულთა ჩვენებიდან, რომ აჯანყებას ჰქონია ხალხური, ფართე მასიური ხასიათი, რომ შიგ იღებენ მონაწილეობას უმთავრესად გლეხობა და მუშები. თვით მახარაძე თავის მოხსენებაში ამბობს: „ვიცოდით, რომ თუ მენშევიკები დაიწყებდნენ რამეს, გურიიდან დაიწყებდნენ და ეს ასეც მოხდა. აქ გამოსვლებს უფრო მასიური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე სადმე, უმეტესობა მაინც გლეხობა იყოო.“ მერე, თუ აგვისტოს აჯანყება იყო ავანტიურა — მე გეკითხებით — ხელისუფლებას რად დასჭირდა ეგრე სასტიკად და ულმობლად გასწორებოდა ქართველ ხალხს და დაეხვრიტა ოთხი ათასამდე, რომელთა შორის უმრავლესობას შეადგენდნენ მუშები და გლეხები?

ჩვენ დავმარცხდით, დამოუკიდებლობის კომიტეტი მთლად ჩავარდა. ჩვენ დაგვიჭირეს შიო მღვიმის ტყეში, სადაც ვიყავით გასული. მოგვიყვანეს თფილისში: მე, იასონ ჯავახიშვილი, მიხ. ბოჭორიშვილი, გ. ჯინორია. რაც შეეხება მიხ. იშხნელს, ის დააპატიმრეს თფილისში და იმავე ღამეს, 4 ენკენისთვეს მოიყვანეს ზაკჩეკაში. ყველა ჩვენ ცალკე მოგვათავსეს ჩეკის სარდაფებში. ჩვენ, რა თქმა უნდა, თავზე ხელს არ დაგვისვამდნენ და გამზადებული ვიყა-

ვით დასახვრეტად. ჩემს საკანში შემოვიდა ზაკჩეკის თავმჯდომარე მოგილევსკი, მან მომცა წინადადება გამეკეთებინა განცხადება, რომ საქ. სოც. დემ. პარტიამ დაუშვა დიდი შეცდომა, რომ დაუჭირა ავანტიურა და ამ ავანტურაში ჩააბა ხალხი. ჩემთვის აშკარა იყო, რომ სოც. დემ. პარტიისათვის ასეთ დამამცირებელ განცხადებას კომუნისტები გამოიყენებდნენ, მხოლოდ მე სიკვდილისაგან გადამარჩენდნენ, ამიტომ მე კატეგორიულად უარი განვაცხადე. მოგილევსკი რამოდენიმე ხნის შემდეგ მეორეთ შემოვიდა ჩემთან. იგივე წინადადება, იგივე ჩემგან პასუხი. ეს ლაპარაკი ხდებოდა მაღალი ხმით და ესმოდა ჩემ ამხანაგებს. მოგილევსკიმ გაჯავრებულად კარი გაიხურა და ასე ხუთი წამის შემდეგ მე გამომიძახეს საკანიდან, შემიყვანეს დიდ ოთახში, გავსილი ჩეკის მოსამსახურეებით. ერთ-ერთ კუთხეში თოკით ხელებ გაკრული იდგნენ ი. ჯავახიშვილი, ჯინორია, და ბოჭორიშვილი. ამათგან დაშორებით ჩემთვის სრულიად მოულოდნელად იდგა აგრეთვე გათოკილი გიორგი ცინცაძე. მომგლიჯეს მე პალტო და გამიკრეს თოკით ხელები. დამაყენეს ჯავახიშვილის, ბოჭორიშვილის და ჯინორიას გვერდით. იასონ ჯავახიშვილმა მომმართა სიტყვებით: „რაიმე გამოსავალი უნდა მოვნახოთო“. მე ვუპასუხე: ყველაფერი გათავდა, მე მომეცა წინადადება სოც. დემ. პარტიის სახელით გამეკეთებია განცხადება, რომ გამოსვლა იყო ავანტიურა და იგი მოაწყო პარტიამ, მე უარი განვაცხადე. ჯავახიშვილმა მომიგო, რომ ბერია, საქ-ს ჩეკის თავმჯდომარის ამხანაგი, იძლევა წინადადებას, რომ დამოუკიდებლობის კომიტეტმა გამონახოს გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდანაო. მე არ ვიცი, რა გამოსავალზე ლაპარაკობს ბერია, მივუგე მე, მხოლოდ არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს გავიგო მისგან წინადადება. ჯავახიშვილმა მიმართა იქვე მდგომ ქართველ თანამშრომელს, რომ მას გადაეცა ბერიასთვის ჩვენი თანხმობა წინადადების მოსასმენათ. არ გასულა ხუთი წამი, რომ მე და იასონ ჯავახიშვილი გაგვიძახეს შენობის სულ ზედა სართულში და შეგვიყვანეს ბერიას კაბინეტში. იქ იყვნენ თვით ბერია, მოგილევსკი, მოროზი, შემდეგ შემოვიდა საქ. ჩეკის თავმჯდომარე კვანტალიანი. შესვლისთანავე მივმართე ბერიას: თქვენ თურმე იძლევით წინადადებას, რაში გამოიხატება იგი? ბერიამ განაცხადა: „თქვენ დამარცხდით, მაგრამ ნაწილობრივ შიგ და შიგ შებრძოლება გრძელდება. რა თქმა უნდა, ამ დანარჩენ რაზმებსაც ჩვენ მოუღებთ ბოლოს, მხოლოთ უბრალო სისხლის დაღვრა იქნება აუცილებელი. ამ შეიარაღებულ ჯგუფების შეჩერება შეგიძლიათ თქვენ, კომიტეტს: გააკეთეთ განცხადება და მიეცით დაფანტულ რაზმებს ჩაგვაბარონ იარაღი და მათ

ჩვენ ხელს არ ვახლებთ და მასიურ დახვრეტასაც შევაჩერებთო.“ ასეთ განცხადების შემდეგ ჩვენ აშკარად ვიგრძენით, რომ ჩვენი როლი არ დამთავრებულა, რომ ჩვენ განვაგრძობთ პასუხისმგებლობას ქართველი ხალხის წინაშე. ჩვენთვის აშკარა იყო, რომ ბრძოლის გაგრძელება დაფანტულ შეიარაღებულ ჯგუფების სახით, მაშინ როდესაც მთავარი ძალები დამარცხდნენ, იქნებოდა ავანტიურა და დამღუპველი ქართველ მოსახლეობისათვის. ამიტომ, რაკი ჩვენ გვეძლეოდა საშუალება მიგვემართა მოწოდების სახით დაფანტულ რაზმებისათვის, რათა შეეჩერებინათ ბრძოლა და ჩაებარებინათ იარაღი მთავრობისათვის, ჩვენ პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა დავთანხმებულიყავით მოცემულ წინადადებაზე. მე განუცხადე ბერიას, რომ მისი წინადადება იმდენათ სერიოზულია, რომ საჭიროა დანარჩენების დასწრებაც; მან იმწამსვე მისცა განკარგულება ამოეყვანათ დანარჩენებიც: იშხნელი, ჯინორია, ბოჭორიშვილი. ჩვენ ყველანი ვისხედით ხელებშეკრული და ასე ვაწარმოებდით მოლაპარაკებას. მხოლოდ შუა მოლაპარაკებაში რომ ვიყავით მაშინ მოგვხსნეს თოკები. მე გადავეცი მოსულებს წინადადება. ჯინორია დააპატიმრეს დასავლეთ საქართველოში და იყო იქაურ მდგომარეობის კურსში და გზა და გზა თფილისისაკენ რა ხდებოდა, ისიც იცოდა, გააკეთა პატარა მოხსენება, სადაც აღნიშნა, რომ მრავალი ხალხი დაჭერილია, განაგრძობენ ჭერას, იხვრიტებიან მასიურათ, თვითონ იყო ამის მოწმე, და რიგში დგანან დასახვრეტადო. მოწოდებას ექნება მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ, თუ ახლავე შესდგება დეკლარაცია, მისი ცოტა ხნის დაგვიანება დაუკარგავს მას ყოველივე ფასსო. ვიდრე გამოქვეყნდებოდეს ეს მოწოდება, საჭიროა ამ წუთშივე, ამაღამვე იქნეს გაცემული ბრძანება შეაჩერონ მასიური ხვრეტა. ამაზე ბერიამ გვიპასუხა: „თუ კომიტეტი დათანხმდება დეკლარაციის გამოშვებაზე, ამ წუთშივე ჩვენი თანდასწრებით პირდაპირი მავთულით მთავრობა დაგზავნის ბრძანებას ხვრეტის შეჩერების შესახებ.“ ჩემს შეკითხვაზე, თუ რამდენათ ჩეკის გადაწყვეტილებას გაიზიარებს მთავრობა — მიპასუხა, რომ რაც ამ კაბინეტში გადაწყდება, არის ამავე დროს მთავრობის გადაწყვეტილებაო. ჩვენ დავთანხმდით. რა თქმა უნდა, ჩვენ მივდიოდით რისკზე, დასაშვები იყო, რომ დეკლარაციას დაგვაწერინებდნენ და სიტყვას კი არ შეასრულებდენ. მართალია დეკლარაცია მაინც თავის დადებით როლს ასრულებდა იმ მხრით, რომ შეაჩერებდა უკვე უმიზნო ბრძოლას, რომელსაც განაგრძობდნენ დაფანტული რაზმები, მაგრამ გადარჩებოდა დახვრეტისაგან დაპატიმრებული ხალხი თუ არა, ამის სრული გარანტია არ გვქონდა (ჩვენ რა თქმა უნდა არ

ვიცოდით, რომ ხელისუფლებას უკვე ჰყოლოდა ათასობით დახვრეტილი). სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ თავის დაპირება მთავრობამ შეასრულა: მე ვიცი უტყუარი ფაქტები, რომ სწორედ იმ ღამეს, როდესაც ჩვენ ხელი მოვაწერეთ (ეს იყო 4 ენკენისთვის ღამის მე-4 საათი) გაანთავისუფლეს დახვრეტისაგან თფილის-ბათომში, სიღნაღში ასობით დაპატიმრებულნი (ამის მოწმეებად არიან თვით დასახვრეტათ გამზადებულნი). როდესაც დავთანხმდით დეკლარაციაზე, მე განვაცხადე, რომ ჩვენ ამ დეკლარაციას სრულიად არ ვუკავშირებთ ჩვენი პირადი დახვრეტის საკითხს, ვინაიდან დეკლარაციას აქვს მხედველობაში სულ სხვა საგანი. ჩვენ დავიხვრიტებით თუ არა, ეს მოლაპარაკებაში არ შედის-თქო. ამაზე კვანტალიანმა მიპასუხა სიტყვა-სიტყვით ასე: „თქვენ სწორეთ სვამთ საკითხს: თქვენი დახვრეტა არ უკავშირდება ამ განცხადებას; ადვილათ დასაშვებია, რომ ამ დეკლ ̈ რაციას მისცემთ და თქვენ კი დაიხვრიტებითო.“ ჩვენ შევუდექით დეკლარაციისათვის დებულების შედგენას; ჩვენ აღვნიშნეთ ფაქტი ჩვენი დამარცხებისა და იმ გარემოების, რომ ევროპა არ დაგვეხმარა და მოტყუებული დავრჩით. ამის შემდეგ ვაძლევთ რაზმებს წინადადებას, დაიშალონ და ჩააბარონ მთავრობას იარაღი. მთელ პასუხიმგებლობას მომხდარ ამბებზე ვიღებთ ჩვენ თავზე. ეს დებულებები ჩეკამ მიიღო, მხოლოდ მოგვთხოვა შეგვეტანა ორი დებულება: აგვისტოს გამოსვლები მოგვენათლა ავანტიურათ და ამ ავანტიურაში მონაწილეთ გამოგვეცხადებია ერის ზედაფენები. მძიმე იყო ჩვენთვის ამ დებულების მიღება: ამით მარტო ჩვენი თავისთვის გამოგვქონდა პოლიტიკური სიკვდილის განაჩენი; მეორე, ილახებოდა თვით მოძრაობა; მესამე, კომუნისტები ფართოდ გამოიყენებდნენ თავის სასარგებლოდ და კიდევაც გამოიყენეს (ეს ჩვენთვის აშკარა იყო, როდესაც ასეთ დებულებას გვაკისრებდნენ), მაგრამ, როდესაც მივიღეთ მხედველობაში დეკლარაციის ეს უარყოფითი მხარე, მეორე მხრივ ის შედეგები, რომლებიც მას მოჰყვებოდა, როგორც დახვრეტისაგან ხალხის გადარჩენა, უმიზნო სისხლის ღვრის შეჩერება, მოსახლეობის დარბევისაგან გადარჩენა, ჩვენ ვარჩიეთ „ავანტიურა“ და „ერის ზედაფენები“ სიტყვების ფასად გადაგვერჩინა ის, რისი გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლებოდა. მით უმეტეს, ყოველი ქართველი, რომელიც შეგნებულად მიუდგებოდა შექმნილ მდგომარეობას, კარგათ მიხვდებოდა საქმე რაში იყო და ამასთან სიტყვები „ავანტურა“ და „ზედაფენები“ არსებითათ სრულიადაც არ სცვლიდა და არ უკარგავდა აგვისტოს გამოსვლებს მის ნამდვილ ხალხურ და მასიურ მნიშვნელობას. ჩვენ დავმარცხდით, და დამარცხდა აჯანყება ფიზიკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად, მაგრამ მორალურად გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა!
ამით ვამთავრებ ჩემ განმარტებას.“

(გაზ. „ბრძოლა“ №14, 1926 წ. მარტი)

ქართველ ერს

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია.
(საქართველოს დამოუკიდებლობის 50 წლისთავზე)

ჩვენო, სანატრელო სამშობლო მხარევ! ისმინე ხმა შენი, მუდამ ჟამს ერთგული და მოსიყვარულე შვილებისა. რომლებსაც ხვდა მწარე ბედი ხანგრძლივათ შენგან განშორებისა. ისმინე ხმა მშობლიურ მიწას იძულებით მოწყვეტილ ემიგრანტისა.

26 მაისი ბრწყინვალედ აღინიშნა ჩვენი ერის ისტორიის ფურცლებზე. ჩვენ გვწამს, რომ ის ღრმად არის აღბეჭდილი შენი გულის სიღრმეში. კიდევ მეტი: ეს ხანა ლეგენდათ იქცა ჩვენში და მისი სიმბოლო და ბელადი პრეზიდენტი ნოე ჟორდანია ლეგენდის შარავანდედით არის მოსილი.

ამ დღეს აღსდგა თავისუფალი, სუვერენული საქართველო. ამ დღეს ის ფაქტიურად შევიდა საერთაშორისო ოჯახში, რაც შემდეგში დადასტურებულ იქნა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს მიერ იურიდიულ ცნობით. ამას მოჰყვა დასავლეთის სახელმწიფოებთან ელჩების მივლინება. ბუნებრივია და გასაგები, რომ ამ ნეტარ მოსაგონარ ხანაზე ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულიდან დღეს ორიოდე სიტყვა მოგახსენო — ჩვენი გულის ნადები და ნაფიქრალი გაგიზიარო.

მაშ, 26 მაისს, 1918 წელს, შენ გახდი თავის თავის უფალი, თავის ბედის გამომჭედი. მეტად მძიმე და ძნელ პირობებში მოგიხდა ახალი გზის გაკაფვა შენი მომავლისაკენ. მაშინდელი ჩვენი ქვეყნის უშუალო გარემო, ყოფილი მეფის იმპერიის მინდორველი, მთა და ბარი ანარქიის ცეცხლში იყო გახვეული, გზა დასავლეთისაკენ ჩვენთვის მოჭრილი...

აი, ასეთ პირობებში შენ უშიშრად და გაბედულად ჩაები რა სახელმწიფოს აღმშენებლობაში, შესძელი სასწაულის მოხდენა:

საქართველო, იმ დროის და გარემოების მიხედვით, პატარა ოაზისად იქცა! საკმაოდ არიან კიდევ ამის მოწმენი და მონაწილენიც ჩვენში.

° მიმართვა, წაკითხული ქართული ასოციაციის საზეიმო სხდომაზე. პარიზში 1968 წ. 26 მაისს

სამწუხაროდ, ახალ თაობათა წარმოდგენა ამ ხანაზე კიდევ ბურუსში უნდა იყოს გახვეული: ისტორიული სიმართლის და ჭეშმარიტების წყარო, გასაგები მიზეზების გამო, მათთვის აღკვეთილია — ბურუსი მაინც გაიფანტება და მზის სინათლეზე სინამდვილე გამოჩნდება.

სახელდობრ, რა?

დამოუკიდებელმა სუვერენულმა საქართველომ თავის მოქალაქეს ყველა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლება მიანიჭა. ადამიანის პიროვნების პატივისცემა და ღირსება მას საფუძვლად დაედო. შრომა და მშრომელი გაანთავისუფლა და ფართო სოციალური კანონმდებლობით ის უზრუნველყო, — აგრარულ რეფორმების გატარებით მიწის მომქმედი უზრუნველყოფილ იქმნა მიწის და მისი ნაყოფის საკუთრებაზე დაყრდნობით, — კულტურულ და სულიერ შემოქმედების სფეროში ყოველგვარ მახინჯ არტახების გაუქმებით, მის წარმატებას და გაფურჩქვნას ფრთები შეასხა.

ამრიგათ, თავისუფლება, დემოკრატია და სოციალური სამართალი გახდა ქვა-კუთხედი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში.

ავტორიტეტული და მიუდგომელი უცხო მეთვალყურენი და მხილველნი ადგილზე წარმოებული და ჩატარებული მუშაობისა გაკვირვებას გამოსთქვამდნენ ჩვენი ერის უნარისა და ნიჭის წინაშე სახელმწიფოს დამკვიდრებაში.

აი, ასეთ, ახლად ფეხ-ადგმულ, ჭეშმარიტად დემოკრატიულ სახელმწიფოს მტერი, ჩრდილოეთის დიდი მეზობელი უთვალთვალებდა. ეს უცხო ძალა მუხანათურად შემოიჭრა (თითქოს ეს იყო დაგვირგვინება საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისა!) და ნორმალური მიმდინარეობა ნორჩ სახელმწიფოს აღმშენებლობისა მთლიანად მოსპო.

ჩვენს ქვეყანას ოკუპანტი მოახვევს უცხოს, მის ისტორიასთან და ბუნებასთან, მის ტრადიციებთან და საკაცობრიო პროგრესთან შეუთავსებელ სოციალურ და ეკონომიურ სისტემას.

განაწამები, სასოწარკვეთილებას მიცემული ხალხი შემოჭრილ მოძალადეს ეკვეთა... აჯანყდა. დამარცხდა ფიზიკურად, თავისუფლებას საუკეთესო შვილები ათასობით შეეწირა, მაგრამ ერის მორალი არ გატეხილა.

მიუხედავათ ამ დიდი დრამით შექმნილ მდგომარეობისა, ყოველგვარ ფსიქოლოგიურ თუ სხვა დაბრკოლებათა დათრგუნვით, შენ ისევ ჩაები გმირულათ, ქედის მოუხრელათ საქვეყნო მუშაობაში,

აღმშენებლობაში; თავგანწირვით, ცდას არ აკლებ, რომ ერის შემოქმედება და მაჯის ცემა არ შეჩერდეს.

ამასთან ერთად კარგათ იცი, რომ ქართული მეურნეობა-ეკონომება მოსკოვის იმპერიის ცენტრში, პირველყოვლისა, იმპერიის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ.

მოსკოვი ხომ მუდამ, ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე ცეცხლს აღვივებდა და აღვივებს ყველა კონტინენტზე: ახლო და შორეულ აღმოსავლეთში, სამხრეთ ამერიკაში და აზია-აფრიკაში. წონასწორობის და ეკილიბრის დამყარება მსოფლიოში მის ინტერესს არ წარმოადგენს, მას ეწინააღმდეგება. სამხედრო და ყოველგვარი მატერიალური რესურსები მისი ექსპანსიის ბოროტებას ემსახურება. — ამას ეწირება მსხვერპლად შენი და სხვა, საბჭოთა კავშირის ერთა დოვლათი და სიმდიდრე...

ეხლა შენ იკითხავ: მაშ, საით მიდის საბჭოთა იმპერია, საით მიექანება ე. წ. საბჭოთა კავშირი? რას უქადის მიმდინარე პროცესები ქართულ პრობლემას, რას უმზადებს ის სხვა, ჩვენსავით ტყვეობაში მყოფ ერებს? — ჩვენ პასუხი ამაზე მოკლე იქნება.

კარგად იცი, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ეპოქა დაძარღვულია ნაციონალურ მისწრაფებათა ძლიერი გამოვლინებით; ნაციონალური ფილტვებით სუნთქავს კაცობრიობა. ამ გარემოებამ გამოიწვია ცხოვრებისათვის, სახელმწიფოებრივი არსებობისათვის, ისეთი ხალხებიც კი, რომლებსაც ამისათვის არავითარი ისტორიული ტრადიციებიც არ გააჩნდათ. ამ პროცესს ვერ გადაურჩა, როგორც იცით, თვით კომუნისტური ბლოკი.

გავიხსენოთ. ჯერ იყო და იუგოსლავიამ ირჩია (1948წ.) თავისი, ნაციონალური გზა ე. წ. კომუნიზმისა. შემდეგში, ისტორიულათ მისტიკის სამოსელში გახვეული ურჩი და ამაყი ჩინეთის კომუნისტური იმპერია დაუპირდაპირდება მოსკოვის კომუნისტურ იმპერიას. — უნგრეთის გმირული ცდა უცხო უღლის გადაგდებისა ხრუშჩოვმა სისხლში ჩააღრჩო. პოლონეთი მაშინდელ კონიუნკტურის წყალობით სისხლ დენას და აღმოსავლეთიდან მოწოლილ ქარტეხილს გადაურჩა. — ნაციონალური განხრების პროცესი გრძელდება და ღრმავდება: ჯერ რუმინეთი და უკანასკნელად ჩეხო-სლოვაკია. ამ უკანასკნელმა კომუნისტურ ბლოკისათვის სრულიად უჩვეულო გზა აირჩია, რაც ძალზე ძილს უფრთხობს კრემლის ბატონებს. რითაც არ უნდა დასრულდეს ჩეხო-სლოვაკიის ერთგვარად სოციალური დემოკრატიის ხაზზე გადასვლა, დაწყებული პროცესი ნაციონალურ ემანსიპაციისა შეუქცევი გახდება. ამრიგათ, სწორეთ უმთავრესად ნაციონალურ ხაზზე გაიბზარა კომუნისტური ბლოკი,

მისი მონოლიტიზმი საბოლოოდ მოიშალა. ამ, პროცესში შეიძლება შემოიჭრეს ახალი მომენტები და გარემოებანი შენ[illegible] დაჩქარებისა, — მაგრამ ამით არსებითად გარემოება [illegible] ვლება.

ეხლა ბუნებრივათ ისმის კითხვა: ჩვენ რა უნდა ვაკეთოთ შექმნილ პირობებში? აი პასუხი: რაიმე სახით ცალკეული, სეპარატიული გზა თავისუფლებისაკენ შენთვის (ჩვენს დროში) არ არსებობს, გამორიცხულია! შენ უნდა აწარმოო პოლიტიკა მეგობრობა — სოლიდარობისა, პირველ ყოვლისა, შენს ბედში, ტყვეობაში მყოფ ერებთან. ესენი არიან: (სომხები და აზერბაიჯანელები, ჩრდილოკავკასიელები და თურქესტანელები, უკრაინელები და ბელორუსები, ლიტველები, ლატველები და ესტონელები). — ერთა შორის კეთილმეზობლობისა და მეგობრობის ძაფები უნდა გადაებას თვით რუსის ხალხსაც. ამისათვის ერთი აუცილებელი პირობა უნდა იქნას განხორციელებული: მან უნდა სცნოს უდაოდ ჩვენი ერის უფლება დამოუკიდებელ, სუვერენულ არსებობაზე, — რუსის ერის ქცევა უნდა შეეფარდოს, დაემთხვეს მისი სახელოვანი შვილის — გერცენის — დევიზს: „თქვენი და ჩვენი თავისუფლებისათვის!“

დავასკვნათ. ყოველგვარ კრიზისს თუ გარდატეხას ჩვენი ერი ერთად უნდა შეხვდეს ერთიანი და მთლიანი, დარწმუნებული იმაში, რომ ერის ბედს საბოლოო ანგარიშში თვით ერის ურყევი ნებისყოფა გადაწყვეტს.

იმედით შევყურებდეთ მომავალს: ისტორია და მის პროცესები ჩვენი მოკავშირეა!

კიდევ მხურვალე ძოლოცვა.
ვაშა და ვაშა ტურფა ივერსა.
დიდება სამარადისო თავისუფალ,
დამოუკიდებელ საქართველოს!

ქართული ეროვნული საბჭო და
ეროვნულ პოლიტიკური ცენტრი.
პარიზი.
26 მაისი, 1968წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ

მხარს უჭერს რა სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნებს, დემოკრატიის კურსის შემდგომ გაღრმავებას, რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის გაფართოებისაკენ გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებს, ზოგადსაკაცობრიო, ჰუმანურ იდეალებზე დამყარებული საზოგადოების შექმნას, ამავე დროს, განიხილა რა სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი, საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს მიაჩნია, რომ:

— სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 70-ე მუხლისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციათა (ძირითადი კანონების) შესაბამისი მუხლების თანახმად მოკავშირე რესპუბლიკები სუვერენული სახელმწიფოები არიან. მაშასადამე, პრეზიდენტის მმართველობის პირობებში საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, თავისი პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს. სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის არსებობა, მაშინ როცა არ არსებობს საქართველოს პრეზიდენტის პოსტი, საქართველოს როგორც სუვერენული სახელმწიფოს არსებობის უარყოფაა.

— კანონპროექტის 127-ე I მუხლით დაშვებულია სსრ კავშირის პრეზიდენტის არჩევა იმ შემთხვევაშიც, თუ მისი კანდიდატურა უარყოფილია ხმათა უმრავლესობით მოკავშირე რესპუბლიკების უმცირესობის მიერ. ეს იმას ნიშნავს, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტი და, მაშასადამე, საქართველოს, როგორც სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფოს, პრეზიდენტიც, შეიძლება გახდეს საქართველოსათვის მიუღებელი პირი;

— სსრ კავშირის პრეზიდენტი არ უნდა იყოს საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტი, რადგანაც ამ მოვალეობას უნდა ასრულებდეს შესაბამისი სუვერენული სახელმწიფოს — მოკავშირე რესპუბლიკების მეთაური;

— ის ღონისძიებები, რომლებსაც ახორციელებს პრეზიდენტი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, არ უნდა ზღუდავდეს სსრ კავშირის შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლებას, რაც ერთნიშნად უნდა ჩამოყა-

ლიბდეს კანონის ტექსტში. მოკავშირე.რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვის გარანტი შეიძლება იყოს მხოლოდ თვით რესპუბლიკა. სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების პრინციპების რეალიზაცია მოკავშირე რესპუბლიკის — სუვერენული სახელმწიფოს ფარგლებში მხოლოდ ამ მოკავშირე რესპუბლიკის უფლებაა. რაც შეეხება მოკავშირე რესპუბლიკის ურთიერთობას კავშირთან, სსრ კავშირის პრეზიდენტი უნდა იყოს გარანტი მხოლოდ და მხოლოდ იმისა, რომ მოკავშირე რესპუბლიკის უფლებები არ იქნება ხელყოფილი კავშირის მხრიდან;

— ვინაიდან მოკავშირე რესპუბლიკები სუვერენული სახელმწიფოები არიან, მათი ურთიერთობების რეგულირების კონტროლი შეიძლება დაეკისროს ისეთ ორგანოს, რომელიც შედგება ამ რესპუბლიკების, როგორც სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან. რესპუბლიკის ეს უფლება არ შეიძლება შეცვალოს ამ რესპუბლიკის ამომრჩეველთა კორპუსის უფლებამ, ისევე როგორც სამოკავშირეო ხელშეკრულება, როგორც ამ რესპუბლიკათა შორის უფლებათა რეგულატორი, არ შეიძლება შეცვალოს კონსტიტუციამ, რომელსაც იღებენ სახალხო დეპუტატები;

— პრეზიდენტის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებს არ შეიძლება ჰქონდეთ იურიდიული ძალა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თანხმობის გარეშე;

მიუღებელია კანონპროექტის 127[3] მუხლის მე-16 პუნქტი, რომელიც ანიჭებს სსრ კავშირის პრეზიდენტს არა მარტო სამხედრო და საგანგებო წესების გამოცხადების, არამედ ერთპიროვნული — საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების უფლებასაც, რაც შესაძლებელია განიმარტოს, როგორც პრეზიდენტის უფლება — დაითხოვოს მოკავშირე რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები და მოახდინოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის სრული ლიკვიდაცია.

არ ეხება რა პრეზიდენტობის შესაძლო კანდიდატთა პოლიტიკურ პოზიციას და პიროვნულ თვისებებს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო წარმოდგენილ კანონპროექტს სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესების შესახებ მიიჩნევს მიუღებლად, ხოლო საქართველოს დეპუტატთა მონაწილეობას ამ კანონპროექტის მიღებაში — დაუშვებლად.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ადასტურებს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს კომი-

სიის დასკვნას და აღიარებს, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით — ფაქტობრივ ანექსიას; გმობს საქართველოს ოკუპაციას და ფაქტობრივ ანექსიას საბჭოთა რუსეთის მიერ, როგორც საერთაშორისო დანაშაულს, და ესწრაფვის საქართველოსათვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის შედეგების გაუქმებასა და საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულებით აღიარებული საქართველოს უფლებების აღდგენას.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აცხადებს უკანონოდ და ბათილად 1921 წლის 21 მაისის მუშურ-გლეხურ სამოკავშირეო ხელშეკრულების საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა ფადერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის, 1922 წლის 12 მარტის სამოკავშირეო ხელშეკრულებას ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა ფედერალური კავშირის შექმნის შესახებ.

დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შესახებ, ვინაიდან 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ საქართველოს მიმართ არაკანონიერია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. გუმბარიძე
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია
თბილისი

საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატების განცხადება

დამთავრდა მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში, რესპუბლიკის მოსახლეობამ თავისი ნება გამოხატა და 14 ნოემბერს თავის პირველ სესიას გამართავს ახალი პარლამენტი. ეს ისტორიული მოვლენა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს თვისებრივი განახლების კიდევ ერთი არსებითი ფაქტია, რის დიდ მნიშვნელობასაც განსაკუთრებით შეაფასებს მომავალი.

უზენაესი საბჭოს დეპუტატები საქართველოს დამოუკიდებელი, განახლებული კომპარტიისაგან ულოცავენ ახალი პარლამენტის

ყველა წევრს დეპუტატად არჩევას და გამოთქვამენ რწმენას, რომ მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით, საზოგადოების ყველა პროგრესულ ძალასთან კონსტრუქციული თანამშრომლობით ქართველი ლი, აფხაზი, ოსი, რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხის ინტერესების გათვალისწინებით შევძლებთ თავისუფალი, დემოკრატიული, სამართლებრივი საზოგადოების აშენებას, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, მივაღწევთ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ზნეობრივ აღორძინებას, სამოქალაქო მშვიდობას, ეროვნულ და ერთაშორის თანხმობას. ჩვენ კმაყოფილებით გვსურს განვაცხადოთ, რომ ძირითადად სწორად ამ პრინციპებს იზიარებენ სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წინასაარჩევნო პროგრამები.

აქვე გვსურს გულწრფელი მადლობა მოვახსენოთ ამომრჩეველთა საკმაოდ დიდ ნაწილს, რომელმაც ჩვენს პარტიას დაუჭირა მხარი და სწამს მისი როგორც ახალი, ეროვნული, პროგრესული, კომპეტენტური პოლიტიკური ძალისა.

ჩვენ მთელი სიღრმით გვაქვს გაცნობიერებული უდიდესი პასუხისმგებლობა მამულის წინაშე იმის გამოც, რომ არჩევნების მონაწილე თერთმეტი ბლოკიდან და პარტიიდან ეროვნული პარლამენტში პარტიული სიებით დელეგირების პატივი ამომრჩევლებმა მხოლოდ ორს მიანიჭეს — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ და საქართველოს კომპარტიას.

უზენაესი საბჭოს პირველი სესიის წინ ჩვენ თავს ვალდებულად ვრაცხთ განვაცხადოთ, რომ ვაპირებდით და ახლაც ვაპირებთ აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ახალი პარლამენტის მუშაობაში, გვსურდა და გვსურს კონსტრუქციული როლი შევასრულოთ მის საქმიანობაში. ჩვენ ყოველთვის მომხრენი ვიყავით და მომავალშიც ერთგულნი დავრჩებით იმ პრინციპისა, რომ საქართველოს, მისი ხალხის ნათელი მომავლისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალის თანამშრომლობა, თანადგომა, უმთავრესი ამოცანების მისაღწევად მათი გაერთიანება. ეს შეეხება როგორც უზენაეს საბჭოში წარმოდგენილ, ისე მის გარეთ დარჩენილ პროგრესულ ძალებს, რომელთა შორის ბევრი ღირსეული მამულიშვილია.

ახალ პარლამენტში, როცა საქმე ერის, მთელი რესპუბლიკის, მთელი ხალხის ინტერესებს შეეხება, ჩვენ ყოველთვის ამ ინტერესების გამომხატველთა შორის ვიქნებით, როგორც უნდა შეიცვალოს პოლიტიკური ამინდი.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი საბჭო სამართლებრი-

ვი კონსტიტუციური მოქმედებით ობიექტურ რეალობათა გათვალისწინებით, სამომავლო ამოცანებიდან გამომდინარე, სული ბრფელი გრესული კონსტრუქციული და რეალისტური აზრების შეჯერებით მიაგნებს საქართველოს სასიცოცხლო პრობლემათა გადაწყვეტის ჭეშმარიტ გზებს. ამ გზათა ძიება გულისხმობს პირუთვნელ, მაგრამ სხვათა თვალსაზრისის პატივისცემით გამსჭვალულ მსჯელობას აზრთა გაზიარებას და არა ურთიერთდაპირისპირებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამშრომლობა და თანადგომა აუცილებლად მიგვაჩნია იმიტომაც, რომ დღეს საქართველო ურთულესი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ზნეობრივი პრობლემების წინაშე დგას, რომლებიც საერთო ძალისხმევით თანდათან უნდა გადაწყდეს. არ უნდა დავუშვათ, რომ ეს სირთულეები ვინმემ გამოიყენოს ეროვნული და ერთაშორისო ერთიანობის იდეის დისკრედიტაციისათვის.

ახალი უზენაესი საბჭოს ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად, ბუნებრივია, სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ჩვენი აზრით, ისიც უნდა იყოს, რომ როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ძირეული გარდაქმნა და ამისათვის აუცილებელი რეფორმები, მთელი ხალხის საარსებო ინტერესებს, მათ სოციალურ დაცულობას ითვალისწინებდეს. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ არ უნდა გააუარესოს ცხოვრების პირობები, ვინმეს არ უნდა შეუქმნას პრივილეგიები, საზოგადოების ყველა წევრი მეტნაკლებად ერთნაირ საწყის პირობებში უნდა აღმოჩნდეს.

განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანად მიგვაჩნია კანონის შესაბამისი ზომების მიღება მეტად მოძალებული და საშიშ სამართალდარღვევათა აღსაკვეთად, კანონისადმი პატივისცემის აღსადგენად, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მართლწესრიგის დასამყარებლად, რადგან იქ, სადაც ანარქია, ქაოსი და განუკითხაობაა, სადაც უგულებელყოფილია სამართალი და კანონის უზენაესობა, ცივილიზებული საზოგადოება ვერ აშენდება.

ჩვენი ერისათვის, მისი შვილების მომავლისათვის ასევე აუცილებელია, რაც შეიძლება მალე გადაწყდეს თავისუფალი, შემოქმედებითი შრომის სათანადო სტიმულირების საკითხებიც, რამეთუ ღრმად გვწამს ილიასეული სიბრძნე, რომ „ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს... ქვეყანა ეხლა იმისაა, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეთამძლეა მარტო ის, ვინც

მცველია და ბეჯითი სულით და ხორცითა, ცოდნითა და ძალღონეითა". ესაა გზა ხსნისა.

სწორედ საქართველოს უზენაესი ინტერესების ერთგულობის, ერთობისა და თანადგომის, კონსტრუქციული თანამშრომლობის, რეალიზმის, ილიასეული შრომის სუფევის დამყარების რწმენით შევუდგებით საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატის უაღრესად საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულებას.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატები საქართველოს კომპარტიისაგან
გაზ. „კომუნისტი", 14. XI. 1990

კანონი

საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, აცხადებს რა საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძვლები, ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებანი:

1.1 პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, XIX საუკუნის დასაწყისში დაკარგულ იქნა უცხო ძალის ჩარევის შედეგად.

ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია სახელმწიფოებრიობის დაკარგვას.

1917 წლის თებერვალში დაემხო რუსეთის იმპერია, რამაც ქართველ ხალხს შესაძლებლობა მისცა 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღედგინა საუკუნეზე მეტი ხნის წინ რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ გაუქმებული სახელმწიფოებრიობა.

ქართველმა ერმა თავისი პოლიტიკური ნება განახორციელა 1919 წლის 12 მარტს, როდესაც დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე ქვეყნისა და ისტორიის წინაშე ცნო და დაადასტურა ადრე მიღებული დამოუკიდებლობის აქტი, შემდეგ კი 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო საქართველოს კონსტიტუცია.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით (განსაკუთრებით 1924, 1936-38, 1949-51, 1956 წლებში), რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ამ მოვლენამ თვისებრივად ახალ ეტაპზე აიყვანა საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი დასრულდა 1990 წლის 28 ოქტომბერს, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ, დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა. ამით დაიწყო ახალი ხანა, რომელიც უნდა დაგვირგვინდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით.

ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს არსებული კონსტიტუცია სათანადო ცვლილებებითა და დამატებებით იმოქმედებს გარდამავალი პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებითი ძირითადი კანონი.

გარდამავალი პერიოდი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლები.

2. კონსტიტუციის დასახელებასა და ტექსტში სიტყვები „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, საქართველოს სს რესპუბლიკა“, „საქართველოს სსრ“ შესაბამისად შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკა“.

3. მე-4 თავის დასახელებიდან და პირველი, მე-4, მე-60, 64-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სოციალისტური“, ხოლო 37-ე, 48-ე და 59-ე მუხლებში შეიცვალოს სიტყვით „სახელმწიფო“.

4. მე-4, 35-ე, 37-ე, 57-ე, მე-60 მუხლებიდან ამოღებული იქნეს სიტყვა „საბჭოთა“.

5. მე-4, 35-ე, 37-ე, 57-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის კონსტიტუცია“.

6. ა) მე-6 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „კომუნისტური პარტია, სხვა...“.

ბ) 25-ე მუხლიდან — „ემსახურება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას...“,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) 36-ე მუხლიდან — „...რევოლუციურ თუ ...“,

დ) 45-ე მუხლიდან — „...კომუნისტური მშენებლობის მიზნების შესაბამისად...“,

ე) 57-ე მუხლიდან — „...პატივს სცემდეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, ღირსეულად ატარებდეს საბჭოთა მოქალაქის მაღალ წოდებას“,

ვ) 62-ე მუხლიდან — „...საბჭოთა მრავალეროვან სახელმწიფოს...“.

7. კონსტიტუციის

ა) მე-7 თავის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის მდგომარეობა სსრ კავშირის შემადგენლობაში“.

ბ) 68-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკა არის სუვერენული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრე სახელმწიფო, იგი ძალადობით არის შეყვანილი სსრ კავშირის შემადგენლობაში. ამ რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკა მხოლოდ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში იძულებულია უზრუნველყოს სსრ კავშირისათვის მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლით, გარდა ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-11 პუნქტებით განსაზღრული კომპეტენციის ფარგლებისა.

ზემოთ აღნიშნულ ფარგლებს გარეთ საქართველოს რესპუბლიკა დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე“.

გ) 77-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის და სსრ კავშირის კანონები და კანონქვემდებარე აქტები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აჩერებს სსრ კავშირის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოქმედებას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ ისინი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონებს და ინტერესებს.

საქართველოს რესპუბლიკის კანონისაგან სსრ კავშირის კანონის განსხვავების შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი“.

დ) 180-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს სახელმწიფო გერბი არის ეროვნული ორნამენტიანი შვიდქიმიანი ვარსკვლავი, ვარსკვლავის ოქროსფერ ჩუქურთმას აქვს შავი არშია. ქიმების შიდა ველი ქართული წითელი ფერისაა (შინდისფერია).

ვარსკვლავის გულზე მოთავსებულია მრგვალი ქართული ფარი, ქართული ფერის (შინდისფერი) ველით, რომელზედაც გამოსახულია ოქროსფლოქვებიან თეთრ ცხენზე ამხედრებული თეთრი გიორგი. მას მარჯვენა ხელში უპყრია საბრძოლოდ შემართული ვერცხლისპირიანი ოქროს შუბი, ხოლო მარცხენაში — ოქროსზოლიანი ფარი.

თეთრ გიორგის აცვია ალისფერი შარვალი და ოქროსფერი წაღები. შემოსილია ვერცხლისფერ უჯრედებიანი ცისფერი ჯავშნითა და თეთრი მოსასხამით. ჯავშნის ქვემოთ მოუჩანს ყავისფერი (მიხაკისფერი) ტყავის პერანგი.

თეთრი გიორგის ცხენს უნაგირის ქვეშ დაფენილი აქვს ვეფხვის ტყავი, უნაგირი ოქროსია, ხოლო უზანგი — ვერცხლისა.

თეთრი გიორგის თავს ზემოთ რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია. ვარსკვლავის მარჯვნივ არის ვერცხლისფერი მთვარე, ხოლო მარცხნივ ოქროსფერი მზე. მთვარისა და მზის გასწვრივ ორ-ორი რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია.

თეთრი გიორგის ცხენს ქვემოთ შავი ფერით გამოსახულია მთის მწვერვალი“.

ე) 181-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს ეროვნული და სახელმწიფო დროშა არის მართკუთხედის ფორმის ქართული წითელი ფერის (შინდისფერი) ქსოვილი, რომელსაც ტარის მხარეს, ზედა კუთხეში აქვს შავი (ზემოთ) და თეთრი (ქვემოთ) ზოლები.

დროშის სიგანის შეფარდება სიგრძესთან არის 3:5, თითოეული ზოლის (შავისა და თეთრის) სიგანე არის დროშის სიგანის 1/5, ხოლო სიგრძე — დროშის სიგრძის 2/5“.

ვ) 182-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნს ამტკიცებს საქართველოს უზენაესი საბჭო“.

8. კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნეს მე-3, მე-9, მე-14 მე-15, მე-16, მე-20, 23-ე, 29-ე, 30-ე და 61-ე მუხლები მთლიანად, ხოლო მე-8 და 34-ე მუხლებიდან მეორე ნაწილები, აგრეთვე 58-ე მუხლის მეორე წინადადება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 28-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 28.

საქართველოს რესპუბლიკა საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლის პრინციპებითა და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

საქართველოს რესპუბლიკაში ომის პროპაგანდა აკრძალულია".

II. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი
თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა

მსოფლიოს ხალხებს

მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოთა ერთობლივმა ძალისხმევამ შესაძლებელი გახადა ტოტალიტარული რეჟიმების ქვეყნებში დემოკრატიული პროცესების განვითარება. აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში მიმდინარე მოვლენები ცხადყოფს თანამედროვე პირობებში უკიდურესი სისასტიკის რეჟიმების თანდათანობითი, ევოლუციური გზით შეცვლის რეალურ შესაძლებლობას, რაც უდავოდ პროგრესული პოლიტიკური ძალების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. ამ პირობებში საქართველოში დემოკრატიული ოპოზიციისა და მოსახლეობის ძალისხმევით შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირში უპრეცედენტო დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება. არჩევნები დასავლეთის დამოუკიდებელ ექსპერტთა მეთვალყურეობით მიმდინარეობდა. გადამწყვეტი უპირატესობა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა დემოკრატიულმა ძალებმა მოიპოვეს.

საქართველო უკანასკნელ დრომდე დასავლეთისათვის უაღრესად საშიში ზესახელმწიფოს უპიროვნო ნაწილს წარმოადგენს. ამდენად, კარგად გვესმის, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა ერთობ გართულდება, თუ იგი დაუპირისპირდება დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაახლოების პროცესს. ეს პროცესები პოზიტიური დემოკრატიული ნიშნით ვითარდება და სასურველია მოხერხდეს მათი ურთიერთშეთავსება.

საქართველოს მრავალპარტიული უზენაესი საბჭო სახელმწიფოებრიობის აღდგენის ეტაპობრივ პროცესს განიხილავს, როგორც ამიერკავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში სტაბილიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რამეთუ საქართველოს, ისევე როგორც ბალტიის რესპუბლიკების, ხელოვნური გაერთიანება თუნდაც განახლებული საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, აუცილებლად გამოიწვევს ამ რესპუბლიკებში სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის დესტაბილიზაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო გარდამავალი პერიოდის ხელისუფლების ორგანოა და მიზნად ისახავს 1921 წლის თებერვალ-მარტში შეიარაღებული აგრესიის შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ჩვენ არ ვაპირებთ არც რომელიმე სახელმწიფოსთან და არც საქართველოში მცხოვრებ რომელიმე ეროვნებასთან დაპირისპირებას. ეს არის გზა, რომლითაც გარანტირებული იქნება საქართველოში ადამიანის, მოქალაქის, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საქართველო, გახდება რა მსოფლიოს თავისუფალ სახელმწიფოთა ოჯახის წევრი, თავის წვლილს შეიტანს სამართლიანი და ჰარმონიული მსოფლიოს შექმნაში. ამ გზაზე კი სხვა სახელმწიფოთაგან სოლიდარობისა და მხარდაჭერის იმედი გვაქვს.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.
თბილისი. 1990 წ. 14 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა

სრულიად საქართველოს

ძვირფასო თანამემამულენო!

1990 წლის 14 ნოემბერს თავისი ძნელი, მაგრამ ფრიად საპატიო მოვალეობის აღსრულებას შეუდგა დემოკრატიული წესით არჩეული მრავალპარტიული ეროვნული პარლამენტი. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ ნდობის მანდატით აღჭურვილი ეს უზენაესი საკანონმდებლო ორგანო უეჭველად იქნება ჩვენი ეროვნული ნებისა და მისწრაფებების ჭეშმარიტი გამომხატველი.

გრძნობს რა შექმნილი მდგომარეობის ისტორიულ მნიშვნელობას, საქართველოს უზენაესი საბჭო თავის უპირველეს ამოცანად მიიჩნევს დაუღალავად იღვაწოს გარდამავალი პერიოდის სპეციფიკით ნაკარნახევ პრობლემათა გადაჭრისა და ქვეყანაში შექმნილი მრავალმხრივი კრიზისის დაძლევისათვის. სწორედ ამ გზით უნდა შევამზადოთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის აუცილებელი რეალური საფუძველი.

ერისა და პიროვნების სრული თავისუფლების დამკვიდრება ყოველი ჩვენგანის სანუკვარი მიზანია. მაგრამ აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია ეროვნული თანხმობის ურთიერთთანადგომისა და ურთიერთპატივისცემის გარეშე.

საქართველოს კეთილდღეობისათვის დღეს ჰაერივით საჭიროა ერთიანობა და სიმტკიცე, შემწყნარებლობა და მიმტევებლობა, ნებისმიერ პარტიულზე მაღლა ეროვნული ინტერესების დაყენება.

ჩვენ, პარლამენტში არჩეული სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები, საჯაროდ ვაცხადებთ, რომ განუხრელად ვიხელმძღვანელებთ საერთო — ეროვნული და არა ლოკალურ-პარტიული მოტივებით. ამგვარივე მოწოდებით მივმართავთ საქართველოში არსებულ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას.

ამჟამად, დამოუკიდებლობის გზაზე მდგომ საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს შუღლისა და ურთიერთდაპირისპირების რამდენადმე სერიოზული მიზეზი. საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის შეუქცევადი პროცესი სრულიად უზრუნველყოფს პიროვნების უფლებათა ხელშეუხებლობას, ყველა სოციალური ფენის ინტერესთა დაცვას და ეროვნულ უმცირესობათა ყოველმხრივ განვითარებას.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ნათელყოფს, რომ ჩვენში არასოდეს შელახულა ამა თუ იმ ეროვნების ინტერესები. ამჟამადაც გარანტირებულია მათი შეუვალობის ყველა პირობა, მათ შორის ავტონომიურ უფლებათა აღიარება და პატივისცემა.

თანამემამულენო!

საქართველოს უზენაესი საბჭო მიმართავს ყველას, ვისაც გულწრფელად აფიქრებს სამშობლოს ბედი, დადგეს ეროვნული შერიგების პოზიციაზე. მხოლოდ მტკიცე თანხმობა და ერთიანობა იხსნის საქართველოს, მიგვიყვანს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობამდე. ძმათა შორის შუღლის ჩამოგდება ახლა ღალატის ტოლფასია. ერთიანი საქართველო უნდა იყოს თითოეული ჩვენგანის უპირველესი საზრუნავი. ამ ერთიანობის მისაღწევად წმინდა ილია მართალმა თავის დროზე ნათელმხილველის კეთილგონიერებით მოგვიწოდა:

„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაე, ჩვენც, ახლანდელ ქართველობას, გვიდვიოდეს სურვილი წარსულზე ამაღლებისა, თვისტომის სიყვარულისა და უფლის ერთგულებისა.

ღმერთი იყოს სრულიად საქართველოს მფარველი!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.
თბილისი, 1990 წ. 14 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა

ევროპაში უმიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პარიზის კონფერენციას

ჰელსინკის თათბირმა, მისმა საბოლოო აქტმა თავისუფლებას მოწყურებულ ხალხებს ჩაუსახა იმედი, რომელსაც კიდევ დიდხანს არ ეწერა ასრულება. ჰელსინკში დაწყებული მრავალმხრივი პროცესი დღეს თანდათანობით კონკრეტული შინაარსით ივსება, კანონიერ ძალას იძენს ვალდებულებანი, რომლებსაც მხოლოდ იმიტომ უგულებელყოფდნენ, რომ ისინი თვით ტოტალიტარიზმის ბუნებას ეწინააღმდეგება. თანდათანობით მართლდება იმედი, რომ ამ ფორუმს ძალუძს საქმით დაამტკიცოს საბოლოო აქტის, სხვა დოკუმენტების ქმედუნარიანობა, რეალურად განახორციელოს ევროპის ხალხების თანასწორუფლებიანობა და ერთიანობა, მათი უსაფრთხო და ბედნიერი თანაცხოვრება.

სიმბოლურია, რომ პროგრესული ძალები და ცალკეული ადამიანები, რომლებიც საკუთარი კეთილდღეობის, ხშირად თავისუფლების დაკარგვის, სიცოცხლის ფასადაც კი იღვწოდნენ თავიანთ ქვეყნებში ჰელსინკის იდეებისა და პრინციპების დამკვიდრებისა და განხორციელებისათვის, დღეს უკვე ოპოზიციას აღარ წარმოადგენენ, უფრო მეტიც — თავისი ხალხის თავისუფლად გამოხატული ნების შესაბამისად უზენაეს ხელისუფლებას განასახიერებენ და საერთაშორისო აღიარებით სარგებლობენ.

1921 წელს განხორციელებული შეიარაღებული აგრესიის შედეგად ოკუპირებულმა და ფაქტობრივად ანექსირებულმა საქართველომ პირველად 70 წლის მანძილზე დემოკრატიული და მრავალ-

პარტიული არჩევნების საფუძველზე მოიპოვა შესაძლებლობა აერჩია ის გზა, რომელმაც იგი ევროპის ხალხების ოჯახში უნდა დაამბრუნოს. ეს იქნება რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე გზა და საქართველოს უზენაეს საბჭოს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ რესპუბლიკის ლტოლვა სრული დამოუკიდებლობისაკენ არ უნდა იქცეს ევროპაში სტაბილურობის დარღვევის ფაქტორად, უფრო მეტიც, საქართველომ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს რეგიონალურ დონეზე უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და თანამშრომლობის განვითარებაში, რაც საბოლოო ჯამში ევროპული ინტეგრაციის პროცესებს წაადგება.

დიდია პასუხისმგებლობა, რომელიც ევროპისა და მსოფლიოს ხალხების მომავლის გადაწყვეტისათვის ეკისრებათ პარიზის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოების ლიდერებს. პარიზში მიღებული ყოველი გადაწყვეტილება მიმდინარე ცვლილებების რეალურად აღქმის სულისკვეთებით უნდა იყოს აღსავსე, ვინაიდან დადგა ის დღე, როდესაც იზრდება ჰელსინკის პროცესში მონაწილეობის პრეტენდენტთა რიცხვი. სწორედ ამ დროს წამოიწევს წინა პლანზე კონსენსუსის ფუძემდებლური პრინციპი, რომელმაც ჰელსინკის პროცესში ახალი საერთაშორისო სამართალსუბიექტების ჩართვა და შესაბამისად მისი თვისებრივად ახალ დონეზე აყვანა უმტკივნეულოდ უნდა უზრუნველყოს.

მშვიდობიანი გზით გერმანიის გაერთიანების დღეს უკვე რეალობად ქცეულმა ფაქტმა ნათელყო, რომ ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტში 1975 წელს ჩადებული დებულება — მოლაპარაკების გზით ევროპის სახელმწიფოთა საზღვრების შეცვლა-განხორციელებადი პროცესია.

ევროპის სახელმწიფოთა შორის საზღვრების გადასინჯვის პროცესი არ დამთავრებულა. ამის თვალნათლივი მაგალითია ჯერაც სსრ კავშირში შემავალი, წარსულში ევროპული ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის მქონე საქართველოსა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკათა ბუნებრივი, სამართლიანი სწრაფვა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ.

თვით ჰელსინკის პროცესის სულისკვეთება — ევროპის ხალხთა თანასწორუფლებიანი, უსაფრთხო თანაარსებობა — ავალებს პარიზის კონფერენციას და მისი მონაწილე ქვეყნების მთავრობებს ისეთივე გულისხმიერება გამოიჩინონ საქართველოს სწრაფვისადმი თავისუფლებისაკენ, როგორსაც იჩენდნენ გერმანიის გაერთიანების პროცესისადმი.

ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტი ავალებს პარიზის კონ-

ფერენციის მონაწილე ქვეყნებს იზრუნონ არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვისათვის, არამედ ერთა თვითგამორკვევისა და თანასწორობისათვისაც: „მონაწილე ქვეყნებმა პატივი უნდა სცენ ერთა თანასწორობას და მათ უფლებას საკუთარი ბედის განგებულობისას. მათ გამუდმებით უნდა იმოქმედონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებისა და მიზნების შესაბამისად“.

ჰელსინკში დაწყებული პროცესის განვითარებას გარკვეული თვალსაზრისით ასახავს და დღევანდელი გადმოსახედიდან რამდენადმე წინასწარმეტყველურადაც ჟღერს 1975 წელს ჰელსინკში გამოთქმული აზრი: ისტორია ამ თათბირის შესახებ განსჯის არა იმით, თუ რას ვამბობთ დღეს, არამედ იმით, თუ რას გავაკეთებთ ხვალ, არა იმ დაპირებებით, რომლებსაც ჩვენ ვიძლევით, არამედ იმ დაპირებებით, რომლებსაც შევასრულებთ. ეს სიტყვები დღესაც აქტუალურია, რამეთუ ისტორიამ მართლაც ყველას თავისი ადგილი მიუჩინა, მაგრამ მრავალმხრივი პროცესი გრძელდება და მომავალი თაობებიც თავიანთ განაჩენს გამოიტანენ.

იმედს გამოვთქვამთ, რომ პარიზის კონფერენცია და ჰელსინკის პროცესის მონაწილე ქვეყნები რეალურად შეაფასებენ საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში მიმდინარე მოვლენებს — წარსულში დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა სამართლიან სწრაფვას სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ, და ინტეგრაციის ხელოვნური, უსწორო ეტაპებით არ შეაფერხებენ გლობალური ევროინტეგრაციისა და საბოლოო სტაბილიზაციის პროცესს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო
14 ნოემბერი, 1990 წ.

ბოლოთქმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნში საქართველოს ისტორიის ბოლო პერიოდის ორასწლიანი ისტორია არის გადმოცემული. ეს ის ორასი წელია (ოდნავ მეტი), როდესაც საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა — 1783 წელს იგი ტრაქტატით, ქაღალდზე, რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა, ხოლო 1801 წელს იმპერიამ იგი შეიერთა, დაიპყრო. 117 წლის შემდეგ 1918 წლის 26 მაისს ჩვენმა ქვეყანამ აღიდგინა დამოუკიდებლობა, მაგრამ 1921 წლის თებერვალ-მარტში იგი კვლავ იქნა დაპყრობილი, ამჯერად უკვე ბოლშევიკური რუსეთის მიერ. ამჟამად ქართველი ხალხი საფუძვლებს ამზადებს მომავალი დამოუკიდებლობისათვის.

70 წელზე მეტი ხნის განმავლობაში საქართველოზე გავრცელებულმა რეჟიმმა, „ერთადერთი სწორი მოძღვრების" იდეოლოგიური დიქტატით, ყველაფერი გააკეთა ადამიანის პიროვნების დასაკნინებლად, რის შედეგადაც ჩვენში აშკარად შეიგრძნობა ყველაზე უფრო მძიმე დეფიციტი, ღირსეული, გონიერი ადამიანის დეფიციტი.

საბჭოური ისტორიოგრაფია იქმნებოდა მმართველი პარტიის ყრილობების, კონფერენციების, მისი ცენტრალური კომიტეტის პლენუმების „ბრძნული ისტორიული დადგენილების" შუქზე. ისტორია იწერებოდა „სოციალისტური რეალიზმის" პრინციპებზე დაყრდნობით, — სასურველი რეალურ სინამდვილედ საღდებოდა. ასეთი მიდგომა ვრცელდებოდა მთელ ისტორიულ პროცესზე, ამასთან კლასობრივი ბრძოლის გენერალიზაციის ამორალური საფუძვლით. ცხადია ყოველივე ამას სავალალო შედეგები მოჰყვა. ამიტომ სავსებით მართალია ისტორიკოსი იური აფანასიევი, რომელიც აღნიშნავს საბჭოურ ისტორიოგრაფიაზე ყალბისმქმნელი ისტორიოგრაფია ქვეყნად არ მეგულებაო.

ისტორიის შექმნის საბჭოური პრინციპი ხშირად ყალბი მითების შექმნის პროცესს გვაგონებს. იქმნებოდა ფერადოვანი ზღაპრები მოვლენების, ფაქტების შეფასების თვალსაზრისით. ისტორიის ავსულებს ფეერიულ სამოსელში გამოწყობილ ადამიანთა მოდგმის სიკეთისათვის დამაშვრალ ზეკაცებად ხატავდნენ (რომელი ერთი ჩამოვთვალო!). როდესაც მისი ქართული წარმოშობის განსაკუთრებული აქცენტირებით, დაამხეს სტალინი, კვლავ წინა პლანზე წამოიწია „ადამიანთა მოდგმის გამაბედნიერებელი" ლენინი. ჩვენს ისტორიოგრაფიაში გაჩნდა ტენდენცია თითქოს ჰუმანისტი ლენინი, რომელიც მთელი დედამიწის გაწითლების მოსურნე გახლდათ, წინააღმდეგი იყო ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისა (გავიხსენოთ — „შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი" — ვისი დასტურია?). შეიქმნა მითი თითქოს ვიღაცამ (სტალინმა) ბრძენი ბელადის ნაანდერძევს უგვერდა და ქვეყანა სწორ გზას აცდინა, იმ დროს, როდესაც უამრავ ყალბ ლოზუნგთა შორის სავსებით შინაარსიანი გახლდათ ლოზუნგი „სტალინი ლენინია დღეს".

წინამდებარე წიგნი ჩვენი ქვეყნის უკანასკნელი, რთული და ყველაზე მეტად გაყალბებული ისტორიის ახლებური აზროვნების პრინციპებიდან მართლად წარმოსახვის, ვფიქრობ, წარმატებული ცდა არის. მისი წაკითხვისას მკითხველმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ისტორიულ შეცნიერებაზე დიდად მოქმედებს ტრადიციულად დაფუძნებული დებულებების ძალა, ძალა ინერციისა. ამასთან, სრულიად ნათელია სირთულეები თანადროული ისტორიის წერას რომ უკავშირდება. მართლაც ძნელია იმსჯელო შენობის შესახებ, როდესაც ცხვირი ფასადზე გაქვს მიბჯენილი. არქიტექტურული ანსამბლის აღქმისათვის დისტანციური ხედვა არის საჭირო. ამიტომ არის, რომ ავთენტური ისტორიული თხზულებები შემდგომში ისტორიული პირველწყაროების ადგილს იკავებენ.

ყველა შემთხვევაში აშკარაა, რომ „საკითხავი წიგნი" თანდართული დოკუმენტური მასალით დიდად წაადგება სტუდენტობას, მოსწავლე ახალგაზრდობას, აბიტურიენტებს, რაც მთავარია ფართო საზოგადოებას.

დღეს გლობალურად გაზრდილია ინტერესი ისტორიისადმი. ასეთ ვითარებაში ჩვენ, ქართველ ისტორიკოსებს, განსაკუთრებული ვალი გვაკისრია, რათა გავაცნოთ ჩვენი ისტორია სხვა ხალხებს, მოვახდინოთ ჩვენი მდიდარი ისტორიის პოპულარიზაცია. აღნიშნული თვალსაზრისით, წიგნი უცილობლად უნდა ითარგმნოს რუსულ, ევროპულ ენებზე და სათანადო ტირაჟით დაისტამბოს.

ვიმეორებ, წიგნი საქართველოს ისტორიის უკანასკნელი ორასწლოვანი ისტორიის ახლებური გააზრების წარმატებულ ცდად მიმაჩნია, მაგრამ ცხადია იგი უნაკლო ვერ იქნება. ავტორებს კარგად ესმოდათ, რომ ვიდრე ცალკ-ცალკე კონკრეტულად არ იქნება გააზრებული ჩვენი საზოგადოების ისტორიის საკვანძო საკითხები, სახალხო მეურნეობის ეკონომიკური ისტორიის, მწერლობის, ხელოვნების განვითარების პრობლემები, ცხადია, ისტორიული პროცესის სრულყოფილად წარმოჩენა შეუძლებელია. ამიტომ რიგ პრობლემებს წიგნში შეგნებულად აქვს ავლილი გვერდი. უმჯობესია წიგნის შესახებ ვიმსჯელოთ მასში წარმოდგენილი რეალური მასალის მიხედვით.

„წიგნებს თავისი ბედი აქვთ". ვიმედოვნებ, ფართო საზოგადოება ინტერესითა და კეთილგანწყობით გაეცნობა წარმოდგენილ ნაშრომს.

ჯუმბერ ოდიშელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

1. წინასიტყვაობა

თავი I

საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (ა. სურგულაძე)

§ 1. საქართველოს ანექსია. (1. 1783 წ. ტრაქტატი; 2. საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენის ცდები; 3. აღა-მაჰმად ხანის შემოსევა; 4. 1801 წლის მანიფესტი; 5. დასავლეთ საქართველოს დაპყრობა).
5—14

§ 2. საქართველო XIX ს. დამდეგს (1. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ზოგადი დახასიათება; 2. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება; 3. მართველობა; 4. კოლონიზაცია, 5. ფეოდალურ-მონარქიული ჩაგვრის ქვეშ; 6 ობიექტურად — დადებითი შედეგები).
15—28

§ 3. კოლონიური ჩაგვრისადმი საყოველთაო დაუმორჩილებლობა. (1. 1802 წ. შეთქმულება; 2. 1804 წ. აჯანყება მთიანეთში; 3. 1812 წლის აჯანყება კახეთში; 4. 1819 — 1820 წლების აჯანყება იმერეთსა და გურიაში)
28—42

§ 4. 1832 წლის შეთქმულება (1. შეთქმულების აღმოცენება; 2. შეთქმულთა პროგრამა; 3. შეთქმულების გადამწყვეტი ეტაპი, ჩავარდნა. სასჯელი. 5. 1832 წ. შეთქმულების ისტორიული მნიშვნელობა)
42—50

§ 5. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური ვითარება XIX ს. პირველ ნახევარში (1. ეკონომიკური განვითარება; 2. სოციალური ურთიერთობანი; 3. გურიის გლეხთა აჯანყება 1841 წელს. 4. საზოგადოებრივი მოძრაობა 40-50-იან წლებში; 5. ყირიმის ომი და საქართველო; 6. სამთავროთა გაუქმება; 7. ბატონყმურ ურთიერთობათა კრიზისი. ანტიბატონყმური აჯანყებანი).
50—65

§ 6. ქართული კულტურა XIX ს. პირველ ნახევარში
66—72

თავი II

საქართველო XIX ს. მეორე ნახევარში (ა. სურგულაძე)

§ 1. 1864 წლის საგლეხო რეფორმა და მისი შედეგები (1. ბატონყმობის გაუქმება; 2. მომდევნო ბურჟუაზიული რეფორმები; 3. ხელოსნური ჯანყი თბილისში 1865 წელს)
73—76

§ 2. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და სოციალური ცვლილებები რეფორმათა შემდგომ პერიოდში (1. ეკონომიკური წინსვლა; 2. სოციალური ურთიერთობათა გამწვავება სოფლად; 3. მუშათა კლასის წარმოქმნა).
77—81

§ 3. ბათუმის ოლქის შემოერთება. კოლონიური ჩაგვრის გაძლიერება (1. რუსეთ-

თურქეთის 1877-1878 წწ. ომი და აჭარის დედასამშობლოში დაბრუნება; 2. ...ზმის კოლონიური ჩაგვრის გაძლიერება).
81—85

§ 4. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა 60-70-იან წლებში (1. ...
სათავეებთან. დიმიტრი ყიფიანი. გაბრიელ ეპისკოპოსი. 2. თერგდალეულთა გამოსვლა ასპარეზზე; 3. საზოგადოება „უღელი"; 4. ქართული ხალხოსნობა).
85—98

§ 5. საზოგადოებრივი მოძრაობა XIX ს. 80-90-იან წლებში.

(1. მოძრაობის ხასიათი; 2. თერგდალეულთა მომდევნო თაობა; 3. თავისუფლების ლიგა; 4. „მესამე დასი"; 5. მუშათა მოძრაობა 90-იან წლების მეორე ნახევარში).
98—111

§ 6. XIX ს. მეორე ნახევრის ქართული კულტურა
111—121

თავი III

საქართველო 1900-1917 წლებში (ვ. სურგულაძე)

§ 1. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა 1900-1917 წლებში (1. საქართველოს მრეწველობა; 2. სოფლის მეურნეობა; 3. ცვლილებანი სოციალურ ურთიერთობაში).
122—132

§ 2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა 1900-1904 წლებში (1. მუშათა მოძრაობა; 2. აგრარული მოძრაობა; 3. სოციალ-დემოკრატიული პარტია (მენშევიზმი, ბოლშევიზმი), 4. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ჩამოყალიბება; 5. ანარქისტული მიმდინარეობა 6. ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერები (ესერები).
132—143

§ 3. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია საქართველოში, ანარქისტული მიმდინარეობა. სოციალისტ-რევოლუციონერები

(1. რევოლუციის დასაწყისი. 2. რევოლუციის ეტაპები, 3. საქართველოს პოლიტიკური პარტიები რევოლუციაში; 4. რევოლუცია და დემოკრატიული ინტელიგენცია).
143—160

§ 4. საქართველო 1907-1917 წლებში (1. რეაქციის შეტევა; 2 ილია ჭავჭავაძის მკვლელობა; 3. პოლიტიკური პარტიები რეაქციის წლებში. 4. საზოგადოებრივი საქმიანობა 1907-1917 წლებში; 5. ეროვნული საკითხი და ეროვნული მოძრაობის ხასიათი 1907—1917 წწ.6. პირველი მსოფლიო ომი და საქართველო. 7. 1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუცია)
160—177

§ 5. ქართული კულტურა 1900-1917 წლებში
177—183

თავი IV

საქართველო 1918—1921 წლებში (ვ. სურგულაძე)

§ 1. დამოუკიდებლობის სათავეებთან (1. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდე-

ბლობის აღდგენა; 2. პოლიტიკური პარტიები თებერვლის რევოლუციის შემდგომ; 3. 1917 წ. ოქტომბრის გადატრიალება და საქართველო; 4. საქართველოს ეროვნული საბჭო; 5. ბრესტის ზავი და საქართველო)
184—196

§ 2. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა. (1. 1918 წ. 26 მაისი; 2. დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს მთავრობა და პირველი ღონისძიებანი)
196—201

§ 3. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკა (1 საქართველოს საერთო პოლიტიკური კონცეფცია; 2. ეკონომიკური ვითარება; 3. მართველობის ორგანიზაცია; 4. დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკა; 5. გლეხთა აჯანყებანი საქართველოში; 6. დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუცია)
201—215

§ 4. დემოკრატიული საქართველოს საგარეო პოლიტიკა (1. საერთო მიმართულება; 2. სომხეთ-საქართველოს კონფლიქტი; 3. დემოკრატიული საქართველო და დენიკინი; 4. საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე; 5. საქართველო-რუსეთის 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება; 6. საქართველოს საკითხი „ერთა ლიგაში").
216—226

§ 5. 1921 წ. 25 თებერვალი (1. საქართველოს კომუნისტური პარტიის საქმიანობა 1920 წ. 7 მაისის შემდეგ; 2. წითელი არმიის შემოჭრა საქართველოში; 3. ქუთაისის მოლაპარაკება 1921 წ. 17-18 მარტს. 4. 1921 წ. თებერვლის შეფასებისათვის)
226—233

§ 6. საქართველოს კულტურა 1918-1920 წლებში
233—237

თავი V

საქართველო 1921—1990 წლებში

§ 1. საბჭოთა ხელისუფლება 1921-1924 წლებში (1. რევკომები; 2 ძველი ხელისუფლების მსხვრევა; 3. ამიერკავკასიის ფედერაცია; 4. „ნაციონალ-უკლონიზმი" საქართველოს კომპარტიაში; 5. ქვეყნის ფაქტიური ანექსია) (ბ. სურგულაძე)
238—246

§ 2. ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის განახლება; (1. საქართველოს ემიგრანტული მთავრობა და ევროპა; 2. საქართველოს პოლიტიკური პარტიები ოკუპაციის შემდგომ პერიოდში; 3. ბრძოლა საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ 1921-1923 წლებში; 4 1924 წლის აგვისტოს აჯანყება; 5. 1921-1924 წ. ეროვნული მოძრაობის გაკვეთილები) (ბ. სურგულაძე)
246—257

§ 3. საქართველო 1925-1936 წლებში (1. საქართველოს ეკონომიკა 1921-25 წლებში); 2. კურსი ინდუსტრიალიზაციისაკენ; 3. საყოველთაო კოლექტივიზაცია; 4. ქართული ემიგრანტული მთავრობის ლეგაციის გაუქმება; 5. პირველი და მეორე ხუთწლედები; 6. კულტურული რევოლუცია; 7. „გამარჯვებული სოციალიზ-

მის — კონსტიტუცია. 8. 1936-1937 წლების რეპრესიები; 9. საბჭოთა საქართველოს არსებობის ოცი წელილ). (ა. სურგულაძე)
258—280

§ 4. საქართველო მეორე მსოფლიო ომში (1. მეორე მსოფლიო ომი. 2. ქართველები საბრძოლო ფრონტებზე. 3. პარტიზანულ ომში). (ა. სურგულაძე)
280—287

§ 5. საქართველო 1946-1955 წლებში (1. სახალხო მეურნეობის აღდგენითი ღონისძიებანი; 2. რეპრესიები იდეოლოგიურ სფეროში; 3. ქართველთა მასობრივი გადასახლება შუა აზიაში; „მეგრელთა საქმე". 4. სტალინის გარდაცვალება,. XX ყრილობის კურსი). (ა. სურგულაძე)
287—294

§ 6. საქართველო 1955-1984 წლებში (1. საერთო ვითარება; 2. 1956. 9 მარტის ტრაგედია საქართველოში; 3. რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრების ხასიათი. 4 ეროვნულ მისწრაფებათა გაძლიერება. 1978 წ. 14 აპრილი)

5. საქართველოს კულტურა 1921-1980 წლებში (ა. სურგულაძე)
294—308

§ 7. ეროვნული სუვერენიტეტისაკენ (1. 1989 წ. 9 აპრილი. 2. ახალი ეტაპი ეროვნულ მოძრაობაში. გარდამავალი პერიოდი).
308

დოკუმენტები და მასალები

1783 წლის ხელშეკრულების შესახებ
321

1801 წლის 12 სექტემბრის უმაღლესი მანიფესტი
326

ქართველი ხალხის პეტიცია საერთაშორისო საზავო კონფერენციისადმი
328

საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წ. შემუშავებული კანონი მოქალაქეობისა
334

რუსეთ-საქართველოს 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება
336

საქართველოს კონსტიტუცია მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს
345

სტატისტიკური მონაცემები საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში (1918—1920) მოსახლეობის რაოდენობის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის საწარმოთა ოდენობის, ეროვნული ფულის, ვაჭრობის და საგარეო ურთიერთობათა შესახებ
368

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მოხსენება პარიზის საზავო კონფერენციის სახელზე და საქართ. მთავრობის 1918 წ. 21 ნოემბრის სხდომის ოქმი
372

გენერალ ჰეკერის საიდუმლო მოხსენება
388

ნოე ჟორდანიას განცხადება დამფუძნებელ კრებაში 1921 წლის 21 თებერვალს
392

1921 წელს 17 მარტს ქუთაისში მომხდარი საზავო მოლაპარაკება საქართველოს დამოუკიდელ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის გ. ლორთქიფანიძისა და საქართველოს რევკომს შორის
396

საქართველოს მთავრობის მემორანდუმი უცხო სახელმწიფოების მთავრობებისადმი საბჭოთა რუსეთის ჯარების საქართველოზე თავდასხმის შესახებ
398

საქართველოში მუშაობის შესახებ (ფ. მახარაძის წერილი ვ. ლენინისადმი)
405

კონსტანტინე გამსახურდიას „ღია წერილი ლენინისადმი"
417

კოტე ანდრონიკაშვილის სიტყვა წარმოთქმული „დამკომის" სასამართლო პროცესზე 1925 წ. 25 ივლისს
422

ქართველ ერს. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია
436

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ
440

საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატების განცხადება
442

კანონი საქართველოს რესპუბლიკაში. გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ
445

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა მსოფლიოს ხალხებს
449

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა სრულიად საქართველოს
450

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პარიზის კონფერენციას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვრული რედაქტორი **მ. ჭანიშვილი**
ტექნიკური რედაქტორი **მ. ჯაში**
კორექტორები: **ნ. ურუშაძე, ქ. ქავთარაძე**
გამომშვები **ვ. ყარმაზაშვილი.**

სახელშეკრულებო ფასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

АКАКИЙ СУРГУЛАДЗЕ
ПААТА СУРГУЛАДЗЕ

История Грузии

Книга для чтения

(на грузинском языке)

Издательство общества Давида Агмашенебели
Многопрофильная комерческая фирма «Мероны»
Тбилиси, Площадь Свободы, 7

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაბეჭდილია შ.პ.ს „გაზეთი საქართველოს მაცნეს“
სტამბაში გ. რობაქიძის 7ა

291.323
B

აკაკი სურგულაძე - (1913-1991) თავდასაბამით ქართველი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე;

აკაკი სურგულაძის სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენდა საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, რუსეთის იმპერიის ისტორია, საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორია;

მეცნიერის კალამს ეკუთვნის მონოგრაფიები: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა“, „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში“, „ქართული დემოკრატიული ინტელიგენცია რუსეთის სამ რევოლუციაში“, „ნარკვევები ქართული ინტელიგენციის ისტორიიდან“, „ექვთიმე თაყაიშვილი“;

აკაკი სურგულაძე ასევე ავტორია სამტომიანი წიგნისა „ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები“. მეცნიერი იყო „იუნესკო“-ს ეგიდით განხორციელებული სამეცნიერო პროექტის, მრავალტომიანი კაპიტალური ნაშრომის „კაცობრიობის კულტურული მონაპოვარის“ ერთ-ერთი თანაავტორი;

მან მასწავლებლებისა და მეგობრების ხსოვნას მიუძღვნა წიგნი: „არდავიწყება მოყვრისა“;

აკაკი სურგულაძე თანაავტორია წიგნისა, რომელიც თქვენ ახლა ხელთ გიჭირავთ.

აკაკი სურგულაძე იყო საქართველოს სახელმწიფო და სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიების ლაურეატი;

მისი ხელმძღვანელობით დაცული იქნა არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია;

სა-აღმოსავლეთმცოდნე, ისტორიის — აკადემიური დოქტორი;

მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენს საქართველოს თანამედროვე და ახალი ისტორია, სახრეთ კავკასიის, ირანის, რუსეთის ახალი და თანამედროვე ისტორიის საკითხები; არის ორმოცზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი;

პაატა სურგულაძის მეცნიერული კვლევის არეალში ასევე მოქცეულია პარლამენტარიზმის ისტორია, პოლიტოლოგია, ისლამი (პოლიტიკასთან მიმართებაში); არის ავტორი ნაშრომებისა: „ქართული პარლამენტის სათავეებთან“, „ერონული კულტურის კერა“, „ირანის ისლამური რესპუბლიკა“; ამავე დროს თანაავტორია იმ წიგნისა, რომელიც ახლა ხელთ გიჭირავთ.

წლების განმავლობაში იყო საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი დსთ საპარლამენტო ასამბლეაში (სანქტ-პეტერბურგში); დიპლომატიურ სამსახურთან ერთად პარალელურად ეწეოდა მეცნიერულ და პედაგოგიურ საქმიანობას. ლექციებს კითხულობდა პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ფაკულტეტზე.

1989 წელს მისი ინიციატივით დაფუძნდა საქართველოს ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაცია.

2009 წელს აირჩიეს გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების პრეზიდენტად.

პაატა სურგულაძე რამოდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო პროფესიონალური ასოციაციისა და კომისიის წევრია; არის მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა და სიმპოზიუმის, მათ შორის მადრიდის ისტორიკოსთა მსოფლიო კონგრესის მონაწილე.

ISBN 978-9941-16-142-1
9 789941 161421